

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის სამართლის საფუძვლები

(სახელმძღვანელო)

მთავარი რედაქტორი: ზაურ ამილახვარი, იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის
სამართლის კათედრის გამგე



წიგნი გათვალისწინებულია იურიდიული, ეკონომიკური და ბიზნესის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი ასევე გამოადგება მაგისტრანტებს, ასპირანტებსა და პრაქტიკოს სპეციალისტებს.

ეს გამოცემა შესაძლებელი გახდა USAID/Caucasus-ის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი № 114- -00-03-00057-00-ის საფუძველზე. წიგნში გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

ავტორები:

იმდ, ზ. ამილახვარი – წინასიტყვაობა, თავი I §9-11,

თავი III, თავი V, თავი VIII, თავი X, თავი XVII,

თავი XVIII, პრაქტიკული სეარჯიშოები, თავი XIX-XX;

გ. ამილახვარი – თავი I §1-8

იმკ, დოც. გ. ქირია - თავი II, თავი XVI

ემდ, პროფ. ლ. ყორღანაშვილი - თავი IV, თავი V §1-5,8, თავი VI, თავი XI

ემკ, დოც. ს. ბუხაიძე - თავი VII

ემკ, დოც. შ. გოგიაშვილი - თავი IX

ემდ, პროფ. გ. დოლონაძე - თავი XII

ემდ, პროფ. გ. ბაბუნაშვილი, გმკ, დოც. ჯ. ძაძუა – თავი XIII, თავი XIV

ემკ, დოც. თ. ანობაძე - თავი XV

იმკ, პროფ. ალ ბაქრაძე – თავი XVII §1-4

რეცენზენტები:

იმკ, დოცენტი ზ. ძლიერიშვილი

იმკ, დოცენტი ქ. ქოქრაშვილი

ემდ, პროფ. რ. ქუტაძე

სარჩევნო

| | |
|---|-----|
| შესავალი | 5 |
| თავი 1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი დებულებები | 7 |
| თავი 2. ბიზნესის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები | 35 |
| თავი 3. სამეწარმეო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება | 61 |
| თავი 4. ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი საფუძვლები | 76 |
| თავი 5. ბიზნესის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება | 92 |
| თავი 6. ეაჭრობის სამართლებრივი საფუძვლების ზოგადი დახასიათება | 122 |
| თავი 7. საფინანსო სამართლის რეგულირების ზოგადი დებულებანი | 134 |
| თავი 8. საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები | 148 |
| თავი 9. მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება | 173 |
| თავი 10. დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება | 186 |
| თავი 11. სატრანსპორტო სამართალი | 196 |
| თავი 12. საქართველოს მიწის სამართალი | 203 |
| თავი 13. ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და განვითარების ფაქტორები | 213 |
| თავი 14. ბიზნესის განვითარება და ბუნებრივი გარემოს დაცვა | 217 |
| თავი 15. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები | 229 |
| თავი 16. გაკოტრება და მისი სამართლებრივი რეგულირება | 254 |
| თავი 17. ბიზნესთან დაკავშირებული სამართალდარღვევათა ზოგადი დებულებანი | 267 |
| თავი 18. შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი | 294 |
| პრაქტიკული სავარჯიშოები | |
| კაზუსები | 309 |
| კაზუსების პასუხები | 326 |
| ტესტები | 338 |
| ტესტების პასუხები | 364 |
| სავარჯიშო კაზუსები | 370 |
| თავი 19. აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი | 378 |
| თავი 20. სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივი რეგულირება | 387 |

წინასიტყვაობა

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სამართლებრივი ნორმებით დარეგულირებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად ფუნქციას საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, ადგილობრივი ეკონომიკის განუხრელი შესრულება, შედეგად კი მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება წარმოადგენს. საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, დაამყარა ურთიერთხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, გახდა მრავალი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციის წევრი.

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტენსიური განვითარება დააჩქარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეროვნული საგარეო-ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებამ, საერთო სამართლებრივი და ორგანიზაციული პრინციპების გათვალისწინებით. მოხდა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ორგანიზაციულ-ტექნიკური წესების და სახელმწიფოს მიერ საგარეო ეკონომიკური რეგულირების პრაქტიკის თავისებურების უზივიცია. ამის საფუძველზე, მიმდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო საგარეო ეკონომიკური სისტემის ფორმირება და ზორცილდება ერთიანი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ორგანიზაციულ-ტექნიკური სივრცის შექმნის ინტენსიური პროცესი, რომლის ფარგლებში არსებობენ და ვითარდებიან ცალკეული ქვეყნის საკოორპორაციო და სავაჭრო სისტემები.

მსოფლიოს ინტეგრაციის პირობებში, შეუძლებელია ბიზნესის მრავალმხრივი მიმართულებისა და საქმიანობის წარმართვა, დახვეწილი სამართლებრივი ნორმებით რეგულირების გარეშე. ბიზნესთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით. ამავე დროს, ქვეყნის ორიენტირებამ საბაზრო ეკონომიკაზე, თავისთავად მოიხიზვა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების უმრავლესობა პირდაპირ ეხება, ან ნაწილობრივ (არაპირდაპირ) არეგულირებს ბიზნესთან დაკავშირებულ რთულ და მრავალმხრივ ურთიერთობებს. ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების ძალისხმევითა და მონაწილეობით მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების" და "პროკურატურის შესახებ". კანონი "შეწარმეთა შესახებ", სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული-სამართალდარღვევათა და საპროცესო კოდექსები, კანონები "ეროვნული ბანკისა" და "კომერციული ბანკების" შესახებ, კანონი "სახელმწიფო პრევიენტაციის შესახებ". საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ იქნა ასევე მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატოფიცირებულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია, რომელთა ნორმები არეგულირებენ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად, "საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ". ამავე დროს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით საქართველოს ადგილი აქვს ევალდებულება, ეროვნული კანონმდებლობა მოეყვანოს შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. მსოფლიო საუჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან პარმონიზაციაში მოსაყვანად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბიზნესთან დაკავშირებული ამ მრავალმხრივი ურთიერთობების, როგორც სამართლებრივი, ასევე ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემების მოგვარება შეუძლებელია მალაქალიფიკური, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომზადებული კადრების გარეშე. ბიზნე-

სის სფეროს მენეჯერების მომზადებას, ამ დარგში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად, ესაჭიროება ბიზნესის სამართლის სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე ლიტერატურა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაზე დაფუძნებული და ქართულ ენაზე დღემდე არ გამოცემულა.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ქართული და უცხო ქვეყნების მეცნიერული ნაშრომების, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენების საფუძველზე, განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი დებულებანი, კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება, მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური უფლებები, საარბიტრაჟო სასამართლოს როლი ბიზნესთან დაკავშირებული დავების განხილვაში, ბიზნესსა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, ბიზნესისა და ვაჭრობის ცნება, ბიზნესზე მოქმედი პირობები და ფაქტორები, ექსპორტ-იმპორტის სამართლებრივი რეგულირების საკითხები, ბიზნესის სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ძირითადი ასპექტები, საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობები, მონოპოლიური საქმიანობის, კონკურენციისა და გაკოტრების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ცნებები, ფასიანი ქაღალდებისა და საფინანსო ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების საკითხები, ღაზღვევის სამართლებრივი რეგულირების, ბიზნესის განვითარებისა და ბუნებრივი ვარემოს დაცვის, ტურიზმის ორგანიზაციის, საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების, აგრარული სფეროს, საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების, შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლები და მისი რეგულირების ძირითადი საკითხები, ბიზნესის სფეროში სამართალდარღვევების ზოგადი დებულებანი.

ბიზნესის სამართალში ქართულ ენაზე გამოცემული პირველი სახელმძღვანელო, ბუნებრივია, დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან. ავტორთა კოლექტივი დიდი მადლიერებით მიიღებს ყველა სამართლიან და საყურადღებო შენიშვნასა და წინადადებას.

ზაურ ამილახვარი

თავი 1

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი დებულებები

წინამდებარე თავში მოკლედ განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ზოგადი ცნებები. იგი წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერ-იურისტების შრომების მიხედვით და საქართველოს საკანონმდებლო აქტების საფუძველზე შედგენილ კომპილირებულ ნაშრომს. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ცნებებთან ერთად, ამ თავში, ზოგადად, მიმოხილულია სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები, სახელმწიფოს ფორმა, ფუნქციები, მექანიზმი, პოლიტიკური რეჟიმი, ქართული სამართლის ძეგლები, სამართლებრივი ურთიერთობა, სამართლის სუბიექტები. თავი ასევე ეხება სამართლის სუბიექტების უფლებამართლობისა და ქმედუნარიანობის, სამართლის ნორმის ცნების, განმარტებისა და პრეცედენტის, კანონისა და სამართლის ანალოგიის საკითხებს, კანონიერებისა და მართლწესრიგის, მართლზოგიერი ქვეყნისა და სამართალდარღვევის ცნებებს. ამ თავში მოცემულია აგრეთვე ნორმატიული აქტის სახეები, იერარქია, მიღებისა და ძალაში შესვლის მექანიზმი, საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, სახელმწიფოში სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი, საქართველოში კერძო არბიტრაჟის სისტემა და მათი როლი დავების განხილვაში.

1. სახელმწიფოსა და სამართლის ცნება

სახელმწიფო და სამართალი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მათი წარმოშობის შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს. სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ერთ-ერთი უძველესი თეორიაა თეოლოგიური ანუ თეოკრატიული, რომლის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო შეიქმნა და არსებობს ღვთის ნებითა და გავლენით. მათი აზრით, ღვთიური წარმოშობისაა ასევე ხელისუფლების სტრუქტურები, რომლებსაც ყველა უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს. ეს თეორია ემსახურებოდა მონარქის ძალაუფლების განმტკიცებას.

განსაკუთრებით გავრცელებული იყო ზელშეკრულების თეორია, რომლის შესაბამისად სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა ურთიერთშეთანხმებისა და საზოგადოებრივი ზელშეკრულების საფუძველზე. ზელშეკრულების დადების გზით, ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი გადასცეს სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა ვალდებულება დაეცვა მათი ქონება, თავისუფლება და უსაფრთხოება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა სახელმწიფოს წარმოშობის ძალმომრეობის ანუ დაპყრობის თეორია, რომლის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო წარმოიშვა დაპყრობითი და თავდაცვითი ომების შედეგად. ამ თეორიის თანახმად, ძლიერი სახელმწიფოები იპყრობდნენ შედარებით სუსტ სახელმწიფოებს და აქცევენდნენ თავიანთ მორჩილებად.

არსებობდა ასევე პატრიარქალური თეორია, რომლის თანახმად სახელმწიფო წარმოიშვა ოჯახის გაზრდისა და გაფართოების შედეგად. ადამიანებმა შექმნეს ოჯახები, რომელთა გაზრდის შედეგად შეიქმნა ერთიანი დიდი ოჯახი, სახელმწიფოს სახით და ოჯახის მეთაურის ხელისუფლება თანდათან გარდაიქმნა მონარქის ხელისუფლებად.

სახელმწიფო არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების საჯარო ხელისუფლება, რომელიც განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით, დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით, საზოგადოების უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფს, საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. საჯარო სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მის ტერიტორიაზე მყოფ ყველა ადამიანზე;
- სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს ხელისუფლების გარეშე. საჯარო ხელისუფლება განსხვავებულია იმ საზოგადოებრივი ხელისუფლებისაგან, რომელიც არსებობდა პირველყოფილ თემურ წყობილებაში და რომელსაც მთელი საზოგადოება ახორციელებდა. სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია საჯარო ანუ პოლიტიკური ხელისუფლების არსებობა. ამ ხელისუფლებას საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ იგი მოქმედებს საზოგადოების სახელით. საჯარო ხელისუფლება ხორციელდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით;
- სახელმწიფოს ერთ-ერთი თვისებაა ასევე სუვერენიტეტი, რაც გულისხმობს ქვეყნის უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას სხვა ორგანიზაციების ჩარევა თავის საქმიანობაში;
- სახელმწიფოს ამ ძირითად ნიშნებთან მჭიდრო კავშირშია ლეგიტიმურობა, რომელიც გულისხმობს მხოლოდ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ფარგლებში ხელისუფლების შექმნას და მისი უფლებამოსილების განხორციელებით სახელმწიფო ფუნქციების შესრულებას. ამასთან ერთად, დიდი და რთული აპარატის შესანახად, ასევე მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფო აწესებს სავალდებულო გადასახადებს.

სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები სამართალსაც ეხება. სამართლის წარმოშობის თეორიები და შეხედულებები ძველთაგანვე არსებობდა. მათ შორის გავრცელებულ თეორიას წარმოადგენს ბუნებითი სამართლის თეორია, რომლის მიმდევრები თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დაკანონებული სამართლის გარდა, არსებობს ბუნებითი სამართალი, რომელიც თვითონ ბუნების მიერაა ადამიანში შთაწერილი. ადამიანი ფაქტურაა და მოელენებს მარტო ოფიციალურად დადგენილი სამართლის პოზიციებიდან კი არ ტარებს და აკონტროლებს თავის ქცევას, არამედ გამოდინარეობს თავად ადამიანის ბუნებიდან.

მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში შეიქმნა სამართლის ისტორიული სკოლა. ამ სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სამართალი იქმნება და ვითარდება ისტორიულად, სახელმწიფო ხელისუფლების ჩაურევლად და უკონტროლოდ ჩვეულებებისა და კანონების სახით. კანონმდებელი მხოლოდ იმას ასახავს, რაც ხალხის ცხოვრების ისტორიული პირობების განვითარების შედეგად გამოვიწინდა.

მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა სამართლის ფსიქოლოგიური სკოლა, რომელიც სამართლის წარმოშობასა და მოქმედებას უკავშირებს ადამიანის ფსიქოლოგიას. ამ სკოლის მიმდევართა რწმენით, სამართალი წარმოიშობა და მოქმედებს ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსისტულ მოძღვრებაში, რომელიც ჯერ კიდევ გავრცელებულია ზოგიერთ ქვეყანაში. მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, პირველყოფილი თემური წყობილების დასასრულს, არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები. საწარმოო ძალთა განვითარების უაღრესად დაბალი დონისა და იმის გამო, რომ ადამიანებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება, ისინი საერთო ძალით მოიპოვებდნენ და აწარმოებდნენ ყველაფერს.

საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად, გაჩნდა კერძო საკუთრება, რასაც ხელი შეუწყო შრომის საზოგადოებრივად დანაწილებამ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა დაიწყეს გარკვეული საქმის შესრულება (მესაქონლეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა). ამით იწყება თემური წყობილების დაშლა და საზოგადოების ფუნჯად დაყოფა – მდიდრებად და ღარიბებად, მონათმფლობელებად და მონებად.

ეკონომიკურად გაბატონებულმა უმცირესობამ შექმნა სახელმწიფო და სამართალი, თავისი მდგომარეობის შენარჩუნებისა და უმრავლესობის დამორჩილების მიზნით.

დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში, გაბატონებულია თეორიები, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას უკავშირებენ წარმოების განვითარებას, შრომის დანაწილებასა და სხვა ფაქტორებს.

სამართალი არის ქვეყნის საზოგადოებრივი წესწვობილებით განპირობებული ადამიანთა ქცევის წესები ანუ ნორმების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების წევრთა უმრავლესობის ნებას გამოხატავს. იგი სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი ან საჩუქონირებელი და მისი შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით.

სამართალი, როგორც ისტორიული ხასიათის საზოგადოებრივი მოვლენა, სახელმწიფოსთან ერთად წარმოიქმნა ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და საზოგადოება გაითიშა ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასებად. სამართალი არა მარტო წარმოშობის მიზეზებით, არამედ შინაარსით, დანიშნულებითა და ისტორიული ბედით დაკავშირებულია სახელმწიფოსთან. სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ იგი უმრავლესობის ნებას გამოხატავს. ეს ნება კონკრეტულად გამოხატულია ადამიანთა ქცევის წესებში – სამართლის ნორმებში. სამართლის ნორმა დამტკიცებულია სახელმწიფოს მიერ, როგორც უმრავლესობისათვის მისაღები ქცევის წესი. სამართლის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ნებაყოფლობით ასრულებს სამართლის ნორმებს, იმის გამო, რომ შეგნებულა აქეთ მათი სისწორე და მიზანშეწონილობა. ნაწილი კი ამ ნორმებს ასრულებს იმის შიშით, რომ არ დაისჯაოს სახელმწიფოს მიერ. ამიტომ, იძულებითი ღონისძიებების რეალურად გამოყენება სახელმწიფოს უხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის ნორმები ირღვევა.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფოსა და სამართლის დახასიათება;
2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თეორიები;
3. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები: მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, საჯარო ხელისუფლება, სუვერენიტეტი, ლეგიტიმურობა.

2. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები

სახელმწიფომ და სამართალმა, წარმოქმნიდან დღემდე, ვრცელი გზა განვლო. ისტორიულად არსებობდა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და სამართალი.

ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში არსებულ სახელმწიფოებს საერთო დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ, რითიც ისინი განსხვავდებიან სხვა ფორმაციაში არსებული სახელმწიფოებისაგან. ეს ნიშნებია: საერთო ეკონომიკური საფუძველი, საკუთრების გარკვეული ფორმა და ამ ფორმაციაში არსებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ერთი და იგივე სოციალური შინაარსი. ეს ფორმაციები თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს ისტორიაში. ასევე თანმიმდევრობით იცვლებოდა სახელმწიფო. სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნებაში იგულისხმება ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციაში წარმოშობილი სახელმწიფოები, რომლებიც ერთნაირი სოციალური შინაარსით ხასიათდებიან და ერთი გარკვეული კლასის ან ფენის ინტერესებს იცავენ. ცნობილია სახელმწიფოს, ისევე როგორც სამართლის შემდეგი ისტორიული ტიპები: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური. ამა თუ იმ ისტორიული ტიპის სამართალსაც გააჩნია საერთო ეკონომიკური საფუძველი, ერთი და იგივე სოციალური შინაარსი და შესაბამისი ისტორიული ტიპის სახელმწიფო.

ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელია და მარქსისტული მოძღვრების თეორიის თანახმად, სახელმწიფოს პირველი სამი ტიპი – მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური.

ტური (ეს უკანასკნელი მისი განვითარების პირველ ეტაპზე) ითვლება სახელმწიფოს ექსპლუატატორულ ტიპებად. კაპიტალისტური სახელმწიფო მისი განვითარების შემდგომ აღარ შეიძლება მივაკუთვნოთ ექსპლუატატორულ სახელმწიფოს, ვინაიდან მოხდა პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაცია, განხორციელდა პროგრესული რეფორმები, დაინერგა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები და სხვ. რაც შეეხება სოციალისტურ სახელმწიფოს, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის იდეა განუხორციელებელი აღმოჩნდა. სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის, პუშინიზმის, მაღალდემოკრატიის ცნებებითა და დაპირებებით შექმნილმა სოციალისტურმა რეჟიმმა ვერ განახორციელა თავისი პროგრამა, ვერ დააკმაყოფილა ხალხის მოთხოვნები და მათი იდეები. არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად, არც სოციალურად, არც სახელმწიფო ხელისუფლებაში ხალხის რეალური მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ყოფილი საბჭოთა და სხვა სახელმწიფოები სოციალიზმის იდეას არ ასახავდნენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოთა აშკარად გამოხატული ისტორიული ტიპების გარდა, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთი ისტორიული ტიპიდან მეორეზე „გარდამავალი“ სახელმწიფოების თავისებური სისტემა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ აირჩია სუვერენული განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა. დემოკრატულიზაციის აღდგენის შემდგომი პერიოდი, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებამდე, განისაზღვრება როგორც გარდამავალი. თავისუფალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, ნაცკლად საბჭოთა კავშირის ცენტრის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა, იქმნება ეროვნული სამართლებრივი ბაზა, როლის მთავარი ამოცანაა ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების პროცესების დაჩქარება.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპების დახასიათება;
2. „გარდამავალი“ სახელმწიფოს ცნება.

3. ქართული სამართლის ძეგლები

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, სადაც სამართლის წიგნები იწერებოდა. სამწუხაროდ, მე-9 საუკუნემდე დაწერილი სამართლის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ანტიკური ხანის საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანია ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის (I საუკუნე, ძველი წელთაღრიცხვის 64 და ახალი წელთაღრიცხვის 24) ნაშრომი „გეოგრაფია“, რომელიც საქართველოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. სტრაბონის მიხედვით, იბერია ანუ აღმოსავლეთ საქართველო და კოლხეთი ანუ დასავლეთ საქართველო ცივილიზებულ ქვეყანადაა მიჩნეული. ის ქალაქებით და დაბებითა დასახლებული, ასახელებს წიწამურს და არმაზციხეს, ფაზისს, დიოსკურიას, შორაპანს და ტრაპეზუნს. სტრაბონის ცნობით, სვანეთს მართავდა სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭო.

ჩვენამდე მოღწეული ქართული სამართლის ძეგლებში ყველაზე ადრინდელია ბაგრატ კურაპალატის (ბაგრატ III) სამართლის წიგნის ფრაგმენტი (61 მუხლი), რომელიც ბექა-აბღლას სამართლის წიგნშია ჩართული. ეს ფრაგმენტი თარიღდება მე-9 და მე-10 საუკუნეებით. მასში გაერთიანებულია სამართლისა და სამართალწარმოების ნორმები.

სამართლის წიგნით მკაცრად იხსებოდა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქურდობა, მარცვა, შურაცხყოფა, სქესობრივი დანაშაული და სხვ. მასში მოცემული იყო აგრეთვე ნორმები, რომლებიც შეეხებოდა სასჯელს, როგორცაა: სიკვდილით დასჯა, დასაზიარება, დაზნაშაის დაზარალებულისთვის გადაცემა, ქონებრივი საზღაური და სხვ. სასამართლო მტკიცებულებებდან ძველში მოხსენიებულია ფიცის და მონუმის ჩვენება.

ბექა-აბღლას სამართლის წიგნში პირთა პასუხისმგებლობა განსაზღვრულია პიროვნების წოდებრივი, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის შესაბამისად.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ მე-14 საუკუნის ოცდაათიან წლებში არის დაწერილი. ეს ძეგლი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებიდან იყო ცნობილი, მაგრამ უფრო ადრინდელი ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა. ძეგლის დიდი ნაწილი დაკარგულად ითვლება. იგი დაწერილია არა მთელი საქართველოსათვის, არამედ მხოლოდ არაგვის ხეობის მიუღწევისათვის. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ამ მხარეში ფართოდ იყო გავრცელებული ისეთი დანაშაულებები, როგორცაა მკვლელობა, მიხდომა-აოხრება, მეკობრეობა და სხვ. გიორგი V-ს „ძეგლის დადებაში“ მოხსენებულია დარბაზი, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც მეფესთან ერთად წყვეტდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს. მასში აღწერილია დარბაზობის, დიდი დღესასწაულების, საპატიო პირთა მიღების ცერემონიალი, განსაზღვრულია თანამდებობის პირთა უფლებები და მოვალეობები, ასევე სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების საკითხები.

სისხლის სამართლის ნორმით ისჯებოდა მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, ქურდობა, მარცვა, მექრთამეობა, ქალის მოტაცება და სხვ. სამართლის წიგნში მოცემულია სასჯელის შემდეგი სახეები: სიკვდილით დასჯა, სისხლის საფსუსურის გადახდა, გაძევება, შერყენება, შერისხვა, დამნაშაისი გადაცემა და-ზარალებულზე, გამაწილებელი სასჯელი და სხვ. სამოქალაქო სამართლიდან აღსანიშნავია ვალდებულებითი სამართალი, საკუთრების უფლება, ნაყიდობა, გირაენობა, მემკვიდრეობა, სესხი, ჩუქება, განქორწინება და სხვ.

მეფე ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნი მე-18 საუკუნის დასაწყისში მეფის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისიის, სწავლულ კაცთა მიერ არის შედგენილი. სამართლის წიგნი 270 მუხლს შეიცავს. იგი თავიდან მხოლოდ ქართლის სამეფოსათვის იყო დაწერილი, მაგრამ მან გავრცელება ჰპოვა მთელ საქართველოში.

სამართლის წიგნში გაერთიანებულია როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის ნორმები. მასში ვრცლად არის გადმოცემული ბატონყმური ურთიერთობები, მოსამართლის მოვალეობა, სასამართლო მტკიცებულება და სხვ.

ვახტანგ VI-ს კანონთა კრებული, მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნის გარდა, შეიცავს სხვა სამართლის წიგნებსაც: სომხურ სამართალს, ბერძნულ სამართალს, ებრაულ სამართალს, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებას“, ბექა-აბულას სამართალს და კათალიკოსთა სამართალს.

ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის იმ ნაწილმა, რომელიც სისხლის სამართალს ეხებოდა, არსებობა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობა, ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმები კიდევ დღემდე მოქმედებდა.

მეორე წიგნი „დასტურლამალი“ ვახტანგ VI-ს მიერ არის შედგენილი მე-18 საუკუნეში. სახელწოდება სპარსულ-არაბულია და ქართულად დასტურს, მოქმედებას, გარიგებას ნიშნავს. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: მეფის დასტურლამალისა და დედოფლის დასტურლამალისაგან. ორივე ნაწილი 266 მუხლს შეიცავს. წიგნი განკუთვნილი იყო ქართლის სამეფოსათვის.

„დასტურლამალი“ სახელმწიფო სამართლის ნორმებს შეიცავს. მასში მოცემულია საშფო დარბაზობის წესი. ძეგლში დახასიათებულია გვიანფეოდალური მეფის ხელისუფლება, მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება და სხვ. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მონაზნობის აღწერისა და გადასახადების აკრფის საკითხებს.

საეკლესიო სამართლის ძეგლებიდან აღსანიშნავია „მცირე სჯულის კანონი“, რომელსაც საქართველოში სავალდებულო ძალა ჰქონდა. ძეგლი წარმოადგენს საეკლესიო სამართლის ნორმათა კრებულს, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებისა და ბერძნული კანონიკური მწერლობის წყაროების მიხედვით და მისიძვეთ არის შედგენილი. იგი შეადგინა, ქართულად თარგმნა და საკუთარი ნააზრევით საფუძვლიანად შეცვალა და შეავსო ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ ექვთიმე მწიგნობარმა. კრებული მე-11 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. მასში ქართული სინამდვილიდან შეტანილი იქნა ბევრი უმნიშვნელოვანესი დებულება: მაგალითად, ცნება ბრალის შესახებ, თანამონაწილეობის საკითხი და სხვ.

საქართველოში სასულიერო საკითხების გადასაწყვეტად, ძირითადად, მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები გამოიყენებოდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საეკლესიო კრებაც იღებდა კანონებს, რომელთაც საველდებულო ძალა ჰქონდათ. მაგალითად, 1103 წელს დაითვალა აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მიიღო „ძველის წერა“. იგი 15 მუხლისაგან შედგებოდა და ემსახურებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას, რაც გამოიხატებოდა არა მარტო ღვთის მსახურების სიწმინდის დაცვაში, არამედ ურჩ საეკლესიო მსახურთა აღაგმავაში.

კრების მომზადებასა და მუშაობაში გადაშვეტი როლი შეასრულა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ არსენ იყალთოელმა და მწიგნობართუხუცესმა გიორგი ჭყონდიდელმა. ძველში მოწესრიგებული იყო ისეთი საკითხები, როგორცაა: მექრთამობა, საქორწინო ასაკი (არანაკლებ 12 წლისა). აკრძალული იყო ეკლესიის გარეშე ქორწინება, ასევე აიკრძალა მართლმადიდებლის ქორწინება წარმართზე და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. ბაგრატ კურაპალატის (ბაგრატ III) სამართლის წიგნის ფრაგმენტი.
2. გიორგი ბრწყინვალეს „ძველის დადება“;
3. ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი;
4. ხელმწიფის კარის გარიგება;
5. ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნი;
6. დასტურლამალი;
7. მციერ სჯულის კანონი;
8. რუის-ურბნისის საეკლესიო ძველის წერა.

4. სახელმწიფოს ფორმა

ცალკეული ისტორიული ტიპის სახელმწიფოებს, ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში, გააჩნიათ საერთო დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა მიუხედავად კლასობრივი არსის იგივეობისა, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის გამო შემოიღებულა სახელმწიფოს ფორმის ცნება, რომლის მიხედვითაც ხდება სახელმწიფოთა კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნებით ერთი და იმავე ისტორიული ტიპის სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფოს ფორმის ქვეშ იგულისხმება, როგორც მისი მართვა-გამგეობის ფორმა, ისე სახელმწიფო წყობილების ფორმა.

მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება.

მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოს ყოფენ მონარქიებად და რესპუბლიკებად. მონარქიის დროს სახელმწიფოს სათავეში დგას ერთი პიროვნება – მონარქი, რომლის ძალაუფლება მეკევიდრობით გადადის. სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვაგვარად უწოდებენ (მეფე, იმპერატორი, შაჰი, სულთანი და სხვ.). ისტორიულად არსებობდა როგორც აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქია (მაგ., აღმოსავლეთის დესპოტიები, ფეოდალიზმის ეპოქის აბსოლუტური მონარქიები), ასევე შეზღუდული ანუ კონსტიტუციური მონარქიები (მაგ., კაპიტალიზმის ეპოქის მონარქიები დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ესპანეთში).

რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ხელშია (მაგ., საფრანგეთი, საქართველო, ბულგარეთი). რესპუბლიკა შეიძლება იყოს ორი სახის: საპრეზიდენტო და საპარლამენტო.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ხელში თავმოყრილია სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილება. სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტო მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ერთმანეთთან. პრეზიდენტი ირჩევა ხალხის მიერ, იგი ქმნის მთავრობას. საპარლამენტო რესპუბლიკაში გამოცხადებულია პარლამენტის უზენაესობა. არსებობს მინისტრთა კაბინეტი, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს შინაგანი აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციული თავისებურებანი, ის ურთიერთობა, რაც არსებობს სახელმწიფოს, როგორც მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის, ხელისუფლების ცენტრალურსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით სახელმწიფოებს ყოფენ მარტივ ანუ უნიტარულ და ფედერაციულ ანუ რთულ სახელმწიფოებად. უნიტარულ სახელმწიფოში არსებობს მთელი ქვეყნისათვის საერთო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები. სახელმწიფო იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (ოლქი, გუბერნია, რეგიონი, პროვინცია და ა.შ). ფედერაციაში შემავალ წევრ-სახელმწიფოს გააჩნია ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანო (მაგ., აშშ, კანადა, მექსიკა). არსებობს ასევე კონფედერაციის ცნებაც. კონფედერაცია წარმოადგენს სახელმწიფოთა გაერთიანებას მათი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე დარგში (სავაჭრო, სამხედრო), რისთვისაც იქმნება საერთო ორგანოები და მუშავდება საერთო პოლიტიკა. კონფედერაცია არ არის მყარი და მუდმივი გაერთიანება. იგი ან ფედერაციაში გადაიზრდება ან ცალკეულ სახელმწიფოებად დაიშლება. ისტორიულად კონფედერაციას წარმოადგენდნენ აშშ, გერმანია, შვეიცარია.

სახელმწიფოს ფორმა ეწოდება საზოგადოების მმართველი ფუნქსიონის ან მოსახლეობის უმრავლესობის მიერ თავისი ძალაუფლების განხორციელებისათვის დადგენილ ან ხალხის მიერ არჩეულ სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურასა და ორგანიზაციას, რაც გამოხატულებას პოულობს მმართველობის ფორმასა და სახელმწიფო წყობილების ფორმაში.

სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას, თავისი საქმიანობის პროცესში უბღებდა ამოცანების განხორციელება.

სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად და მთავარ მიმართულებებს, უმნიშვნელოვანეს სახეებსა და მხარეებს, რაც მისი სოციალური შინაარსით, მის წინაშე მდგომი ამოცანებით განისაზღვრება, სახელმწიფოს ფუნქციები ეწოდება.

სახელმწიფოს საქმიანობა მეტად ფართოა და მოიცავს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის საკითხებს, სამხედრო საქმეს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფას, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სხვ. ამიტომაც მისი ფუნქციები მრავალია. ზოგიერთი ფუნქცია უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებას ემსახურება და სახელმწიფოში ძირითად ფუნქციებს შეადგენს. ზოგიერთი კი კონკრეტული სახის საქმიანობასთან არის დაკავშირებული და არაძირითად ფუნქციებს წარმოადგენს. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები იყოფა საგარეო და საშინაო ფუნქციებად. საშინაო ფუნქციები მოიცავს სახელმწიფოს საქმიანობას ქვეყნის შიგნით, საგარეო ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობაში.

თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის სახელმწიფო ქმნის აპარატს. იგი წარმოადგენს მეტად რთულ ორგანიზაციას და შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთ მილიანობას წარმოადგენენ, მიუხედავად განსხვავებული კომპეტენციისა, ფუნქციებისა და საქმიანობის მეთოდებისა და ფორმებისა.

სახელმწიფოს მექანიზმი არის სხვადასხვა ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის საშინაო და საგარეო ფუნქციებს.

სახელმწიფოს მექანიზმა:

– სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც იქმნება მოსახლეობის მიერ, ამა თუ იმ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევაში ესენი არიან არჩევითი წარმომადგენლობითი

ორგანოები. თავის მხრივ, ისინი იყოფა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებად (მაგ., პარლამენტი, კონგრესი) და ადგილობრივ ორგანოებად (მაგ., საკრებულო).

– სახელმწიფოს მმართველობის ანუ აღმასრულებელი ორგანოები, რომელსაც, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ქმნიან სხვადასხვა გზით. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები იყოფა: მმართველობის უმაღლეს ორგანოებად (მინისტრთა კაბინეტი, მინისტრთა საბჭო) და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებად (მერია, გამგეობა). ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტს ხალხი ირჩევს, პრეზიდენტი ქმნის მთავრობას (მაგ., აშშ, საქართველო).

– სამართალდამცავი ორგანოები, მათგან ცალკე უნდა გამოეყოთ სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო. სამართალდამცავ ორგანოებში შედის ასევე პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, უშიშროების ორგანოები, სასჯელაღმსრულებლის ორგანოები და სხვ.

– ადამიანთა შეიარაღებული ორგანოები (არმია, პოლიცია). შეიარაღებულ ძალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ძალაუფლების განხორციელების საქმეში, მაგრამ დემოკრატიულ სახელმწიფოში არმია არ უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის საშინაო საქმეების გადასაწყვეტად. არმია აუცილებელია საგარეო ფუნქციის შესასრულებლად. პოლიციის მეშვეობით ხდება ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. პოლიცია ატარებს ასევე სხვადასხვა სახის იძულებით ღონისძიებებს (დაპატიმრება, ჩხრეკა, დემონსტრაციის აღშლა). სახელმწიფო უპეკანიზმის ამავე ნაწილს მიეკუთვნება დახვეწის ორგანოები.

პოლიტიკური სისტემის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სახელმწიფო მექანიზმის ცნება. მასში, გარდა სახელმწიფოს მექანიზმისა, შედიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პარტიები, კავშირები, მოძრაობები და სხვ.), რომლებიც ასევე მონაწილეობენ სახელმწიფოს საქმეებში ან გავლენას ახდენენ სახელმწიფო ორგანოების ფორმირებასა და საქმიანობაზე.

სახელმწიფო ფორმისთან დაკავშირებულია პოლიტიკური რეჟიმის ცნება. ერთსა და იმავე მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების მქონე ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი.

პოლიტიკური რეჟიმი არის მართველი ფენის მიერ თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრული ხერხების გამოყენების შედეგად სახელმწიფოში ადამიანური წესრიგი.

პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ანსხვებენ ტოტალიტარულ, ავტორიტარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებს. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხალხის როლი მთლიანად იგნორირებულია, ადამიანის პირად ცხოვრებაში მთავრობის ჩარევა შეუზღუდავია, ხელისუფლება მთლიანად დიქტატორისა და მისი გარემოცვის ხელშია.

ავტორიტარულ სახელმწიფოში, თუმცა შეზღუდულად, მაინც ფუნქციონირებს სამართლებრივი ინსტიტუტები, დაკულია კანონიერება და მასთან ერთად მართლწესრიგი. თუმცა, პირადი დიქტატურის ელემენტებიც საკმაოდ ძლიერად ხორციელდება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს კანონის უზენაესობა, ხალხი რეალურად მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, დადგენილი და გარანტირებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლება.

იძისათვის, რომ განვსაზღვროთ როგორი პოლიტიკური რეჟიმია ქვეყანაში, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად მონაწილეობს მოსახლეობა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნასა და საქმიანობაში, რამდენად სარგებლობენ უფლებებით სახელმწიფოში არსებული ავტონომიური ერთეულები, დაკულია თუ არა კანონიერების პრინციპი და ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და სხვ.

ფაშისტური რეჟიმის დროს, მართალია ფორმალურად არსებობდა ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მაგრამ მათ ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი მნიშვნელობა და მთელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო ფაშისტ-მეთაურთა ხელში.

სახელმწიფოს ფორმასა და პოლიტიკურ რეჟიმზე გავლენას ახდენს ასევე პოლიტიკური მდგომარეობა, მოსახლეობის კულტურის ღონე, ტრადიციები და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის ცნება;
2. სახელმწიფო წყობილების ფორმის დახასიათება;
3. სახელმწიფოს მექანიზმის დახასიათება;
4. პოლიტიკური რეჟიმის ცნება.

5. სამართლებრივი ურთიერთობები. სამართლის სუბიექტები

საზოგადოებრივი ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. ადამიანები თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის პროცესში მრავალმხრივ ურთიერთობებს ამყარებენ. მათ ახასიათებთ სხვადასხვაგვარი ურთიერთობა ოჯახში, საზოგადოებაში, სამუშაო პროცესში და სხვ. სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამართლის ნორმის საფუძველზე. სამართლის ნორმის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებები და მოვალეობები. ეს უფლებები და მოვალეობები ერთმანეთს შეესაბამება. ე.ი. თითოეული მხარის უფლებას, განახორციელოს რაიმე ქმედება ან მოსთხოვოს სხვას რაიმე მოქმედების შესრულება, როგორც წესი, შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობას - დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება დაკავშირებულია გარკვეულ იურიდიულ ფაქტებთან.

იურიდიულ ფაქტს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას. სამართლის ნორმები თავისთავად არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, ამისათვის საჭიროა იურიდიული ფაქტის არსებობა.

სამართლებრივი ურთიერთობა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

სამართლებრივი სუბიექტი არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით და დაკისრებული აქვს გარკვეული მოვალეობები.

ყველა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდეს რამოდენიმე სამართლის სუბიექტი, მაგრამ არანაკლებ ორისა, ვინაიდან ეს არის ურთიერთობა მხარეებს შორის. როგორც წესი, სამართლის სუბიექტს ერთდროულად გააჩნია უფლებაც და მოვალეობაც. უფრო იშვიათად სამართლის სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უფლება ან დაეკისროს მხოლოდ მოვალეობა (მაგალითად, სესხის ხელშეკრულება). სამართლის სუბიექტის ცნებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა შინაარსი იყო ჩადებული. მონათმფლობელურ სახელმწიფოში სამართლის სუბიექტი იყო მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე. მონა არ სარგებლობდა არავითარი უფლებებით და განიხილებოდა, როგორც ნეთი. არც ფეოდალურ სახელმწიფოში არსებობდა თუნდაც ფორმალური თანასწორობა. ბატონს შეეძლო ცმა-გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მხოლოდ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გამოაცხადა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე და ყველა მოქალაქე და კანონით ნებადართული ორგანიზაცია სამართლის ობიექტად ჩათვალა.

მოქალაქე გამოდის მეტად მრავალრიცხოვან სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილედ. ეს ურთიერთობა შეიძლება წარმოიქმნას მოქალაქეებს შორის (მაგ., საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა), მოქალა-

ქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის (საარჩევნო სამართლებრივი ურთიერთობა), მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანიზაციის შორის (შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა), მოქალაქესა და საზოგადოებრივ ორგანიზაციის შორის (პარტიის წევრობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობა).

საკონტროლო კითხვები:

1. სამართლებრივი ურთიერთობების დახასიათება;
2. იურიდიული ფაქტის ცნება;
3. სამართლის სუბიექტის ცნება.

6. სამართლის სუბიექტის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. სამართლის ნორმის ცნება, სამართლის წყარო, პრეცედენტი, კანონის განმარტება

სამართლებრივ ურთიერთობებში ყველა სამართლის სუბიექტის ძირითადი ნიშანია უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი ანუ იურიდიული შესაძლებლობა, იქონიოს გარკვეული უფლებები და მოვალეობები. ე.ი. იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ანუ სუბიექტი.

პიროვნების სამოქალაქო უფლებაუნარიანობა არის მისი შესაძლებლობა, ჰქონდეს სამოქალაქო ანუ ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. ცალკეულ ურთიერთობებში ფიზიკური პირი შეიძლება ყოველთვის გამოდიოდეს, როგორც სუბიექტი ჩასახვიდან და დაბადებიდან გარდაცვალებამდე. მაგალითად, მემკვიდრეობის მიღება, სახლის უფლება, ქონების შესაკუთრედ ცნობა და სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ადამიანს, რომელიც სამოქალაქო უფლებაუნარიანობით სარგებლობს, ფიზიკურ პირს უწოდებენ.

მოქალაქის უფლებაუნარიანობის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, ვინაიდან ქონებრივი უფლებაუნარიანობის გარდა შეიცავს პოლიტიკურს, შრომით და პირად უფლებებს ისევე, როგორც მოვალეობებს. უფლებაუნარიანობა უმთავრესად შეზღუდულია პიროვნების ასაკით (მაგალითად, არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მოქალაქეს ეძლევა 18 წლის ასაკიდან. შრომით ურთიერთობაში მონაწილეობა შეუძლია 14 წლის ასაკიდან). ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ისპობა მის გარდაცვალებასთან ერთად. ჩვენს ქვეყანაში გარკვეულ ფარგლებში უფლებაუნარიანობით სარგებლობენ უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები (ქონებრივი ხასიათის უფლებაუნარიანობა), რაც შეეხება პოლიტიკურ და ზოგიერთი სხვა სახის უფლებაუნარიანობას, უცხოელები არ შეიძლება გათანაბრებული იყვნენ ჩვენს მოქალაქეებთან.

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანობა გააჩნია მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც თავისი ასაკობრივი და ფსიქიკური მდგომარეობით შეუძლია შეგნებულად იმოქმედოს და შეაფასოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგი. ბავშვები 7 წლამდე მართალია უფლებაუნარიანები არიან, მაგრამ მათ არა აქვთ ქმედუნარიანობა. მათ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებენ მშობლები ან მუურეები. კანონით დადგენილია შეზღუდული ქმედუნარიანობა შედიდან თერამეტ წლამდე. ამ ასაკის ფარგლებში არასრულწლოვანს შეზღუდულად შეუძლია განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობა. მაგალითად 14 წლიდან დადოს შრომითი ხელშეკრულება, დახარჯოს მიღებული ხელფასი და სხვ. სრული ქმედუნარიანობა მოქალაქეს ენიჭება 18 წლის ასაკიდან. ზოგჯერ სრულწლოვანიც შეიძლება იყოს ქმედუნარი, მაგალითად, სულით ავადმყოფი. მას შეუძლია ჰქონდეს ქონებრივი უფლებაუნარიანობა, მაგრამ არ შეიძლება თავისი მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები. გარდა მოქალაქეებისა, სამართლის სუბიექტები არიან ასევე

საწარმოო დაწესებულებები და ორგანიზაციები. სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფოც, იგი, ძირითადად, სამართლის სუბიექტად გამოდის საერთაშორისო ურთიერთობებში.

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აკებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იურიდიულ პირებად უმთავრესად ცნობილი არიან სამეურნეო ხასიათის ორგანიზაციები. იურიდიული პირის დამახასიათებელი ნიშნებია: გარკვეული ქონების არსებობა, რომლის ფარგლებში მას შეუძლია დამოუკიდებლად აკოს პასუხი ვალდებულების შესრულებაზე. იგი გამოდის საკუთარი სახელით სამართლებრივ ურთიერთობაში და სასამართლო პროცესში მონაწილეობს როგორც ერთ-ერთი მხარე. მას გააჩნია საკუთარი დებულება ან წესდება, აქვს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის საფუძველზე გააჩნია გარკვეული უფლება-მოვალეობა.

თითოეულ იურიდიულ პირს აქვს როგორც უფლებაუნარიანობა, ისე ქმედუნარიანობა. მას საქციალურ უფლებაუნარიანობას უწოდებენ, ვინაიდან მისი მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული მიზნებით და ამოცანებით. თავისებურება ახასიათებს ასევე იურიდიული პირის ქმედუნარიანობას. იგი უშუალოდ არ მოქმედებს და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. იურიდიულ პირს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა მთელი არსებობის მანძილზე აქვს, ერთდროულად წარმოეშობა და შეუწყდება.

სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს უფლება და მოვალეობა.

უფლება არის სამართლის სუბიექტის შესაძლებლობა, სამართლის ნორმის საფუძველზე, შესრულოს გარკვეული მოქმედება ან მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება. უფლება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტი, განსხვავდება უფლებაუნარიანობისაგან. უფლებაუნარიანობა სამართლის ყველა სუბიექტს გააჩნია, ხოლო უფლებას სუბიექტი იძენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას. მოვალეობის შესრულების მოთხოვნა შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტული პირის მიმართ ან პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ.

მოვალეობა ეწოდება სამართლის სუბიექტის ისეთ სავალდებულო ქცევას, რაც მან უნდა შესრულოს სამართლის ნორმის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად.

სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირებს გააჩნიათ როგორც უფლებები, ისე მოვალეობები და ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულება. ცალკეულ შემთხვევაში პირს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ უფლება ან დაკისრებული ჰქონდეს მხოლოდ მოვალეობა, მაგალითად, სესხის ხელშეკრულება.

სამართლის ნორმა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესი, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოებრივი იძულებით.

სიტყვა „ნორმა“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს წესს, ნიმუშს, მოდელს ანუ ის აღმაინის მიერ შემოღებული გარკვეული ქცევის წესია. ნებისმიერი სამართლის ნორმა აწესრიგებს და განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა საქმიანობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამართლის ნორმა ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რა შეუძლია გააკეთოს და რაზე უნდა შეიკავოს თავი. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დადგენილია იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ უამრავი სამართლის ნორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, საზოგადოებრივი ცხოვრების თუ რომელ მხარეს, რას აწესრიგებენ ისინი. ამ საფუძველით სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია დაკავშირებულია სამართლის სხვადასხვა დარგთან.

სამართლის დარგი წარმოადგენს სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ რომელიმე სფეროს. სამართლის ძირითადი დარგებია: სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამარ-

თალი, სისხლის სამართალი და სხვ. მოქმედი სამართლის დარგები კი ქმნიან სამართლის ერთიან სისტემას სახელმწიფოში.

სამართლის ნორმა იყოფა სამ ნაწილად: ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია. ამ სამართლის ნორმების ერთობლიობას სამართლის ნორმის სტრუქტურა ეწოდება.

ჰიპოთეზა არის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც განსაზღვრულია, თუ რა პირობებისა და გარემოებების არსებობისას უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ნორმა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ადგენს უშუალოდ ქცევის წესს, წარმოადგენს დისპოზიციას. სანქცია კი განსაზღვრავს იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს, დისპოზიციით დადგენილი წესით დარღვევისასთვის. მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმების 411-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევისასთვის სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომლის დარღვევისასთვის ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე. ამ ნორმაში ჰიპოთეზას წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დრო, დისპოზიციაა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განზრახ დარღვევა, სანქცია კი თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე.

როგორც ცნობილია, სამართალი წარმოადგენს საზოგადოების წევრებისადმი მიმართულ მოთხოვნას იმის თაობაზე, თუ რა მოქმედება უნდა შესრულონ მათ და რა მოქმედებისაგან უნდა შეიკავონ თავი. იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები სრულდებოდეს და სამართალდამრღვევის მიმართ სათანადო ზომები იქნეს გამოყენებული, საჭიროა ამ მოთხოვნების ჩამოყალიბება გარკვეულ ფორმაში და საზოგადოების წევრებისადმი მათი დაყენება. სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით წინასწარ განსაზღვრავს ასეთ ფორმებს.

სამართლის წყარო არის ის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმას

სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ყველა აქტი არ შეიცავს სამართლის ნორმას ანუ ზოგადი ხასიათის ქცევის წესს. ამიტომ ეს აქტები არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს. ასეთი აქტებით წყდება კონკრეტული ინდივიდუალური საკითხები. მაგალითად, პიროვნების დაჯილდოება. სამართლის წყაროს წარმოადგენს კანონი და სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. კანონს უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია, ყველა სხვა სახის ნორმატიული აქტის წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოცემული ყველა აქტი კანონს უნდა შეესაბამებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაუქმებულად ჩაითვლება.

კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საკანონმდებლო აქტები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა კონსტიტუციურ, ორგანულ და საქართველოს კანონებად.

კონსტიტუციური კანონები ადგენენ ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საკითხებს, მოქალაქეობასა და მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საარჩევნო სისტემის პრინციპებს და სხვ. კონსტიტუციური კანონებია, რომლებსაც ცვლილებები და დამატებები შეაქვს კონსტიტუციაში. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მიუღი ტერიტორიაზე აღდგენილი იქნება მისი იურისდიქცია, კონსტიტუციური კანონის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა.

ორგანული კანონი მიიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვან და კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებზე. მისი მიღების წესი გართულებულია (მაგალითად, ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, სახალხო დამცველის შესახებ, პროკურატურის შესახებ და სხვ).

საქართველოს კანონები ანუ მიმდინარე კანონები გამოიყენება კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

გარდა კანონებისა, სამართლის წყაროს წარმოადგენს სხე ნორმატიული აქტებიც, რომლებსაც კანონქვემდებარე აქტებს უწოდებენ. ასეთი აქტებია, მაგალითად, პარლამენტის დადგენილება, პრეზიდენტის ბრძანებულება, ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობის გადაწყვეტილება, მერის, გამგებლის ბრძანება და სხე.

სამართლის წყაროს წარმოადგენს ასევე ხელშეკრულება. საერთაშორისო სამართალში იგი სამართლის ძირითადი წყაროა. ქვეყნის შიგნით ხელშეკრულების მაგალითია კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც იდება მუშა-მოსამსახურეებსა და დაწესებულებებსა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შორის.

ჩვეულებას, როგორც სამართლის წყაროს, უმნიშვნელო ადგილი უკავია. ზოგჯერ სამართლის წყაროს წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანოს მიერ მიღებული აქტი. (მაგალითად, მისი წესდება), რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სასამართლო გადაწყვეტილება და, საერთოდ, სასამართლო პრაქტიკა არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. სასამართლოების მიერ კონკრეტულ საქმეზე, კონკრეტული ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიცავს ზოგადი ხასიათის სამართლებრივ ნორმას. იგი სავალდებულოა მხოლოდ ამ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ანალოგიური საქმეების განხილვისას სხვა სასამართლოები ვალდებული არ არიან იხელმძღვანელონ ამ გადაწყვეტილებით. აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, ბევრ ქვეყანაში სასამართლო პრაქტიკა სასამართლო პრეცედენტის სახით ფართოდ გამოიყენება, როგორც სამართლის წყარო. ის გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო გამოყენებას ანალოგიური საქმეების განხილვისას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული ურთიერთობები არ რეგულირდება სამართლებრივი აქტით, მაგრამ თავისი იურიდიული ხასიათით საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. იურისპრუდენციაში ცნობილია ანალოგიის ორი სახე – კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია. კანონის ანალოგიის შეფარდების დროს გამოიყენება ყველაზე მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. სამართლის ანალოგიას კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ურთიერთობა რეგულირდება მოქმედი სამართლის მთელი სისტემის ზოგადი პრინციპების საფუძველზე. დღეისათვის საქართველოში ანალოგია სისხლის სამართალში არ გამოიყენება ნორმატიული აქტების სუბიექტური ინტერპრეტაციისა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის დაცვისა და ყოველგვარი თვითნებობის აღკვეთის მიზნით.

სამართლის ნორმის განმარტება. სამართლის ნორმის გამოყენებისას (შეფარდებისას) ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამართლის ნორმის განმარტება, რომელიც გულისხმობს მისი შინაარსის ლოგიკურ გააზრებას, იმის გარკვევას და დადგენას, თუ რას არეგულირებს მოცემული სამართლებრივი ნორმა, რა ამოცანების გადასაჭრელად არის მიღებული და რა აზრია მასში ჩადებული.

სამართლის ნორმის განმარტება ეს არის გარკვეული შემეცნებითი პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს მისი გამოყენების ყველა სტადიაზე. განსაკუთრებით კი კონკრეტული ნორმის შეფარდების პროცესში. სამართლის თეორიაში დამკვიდრებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ განმარტება ესაჭიროება ნებისმიერ ნორმატიულ აქტს. არსებობს ასევე საპირისპირო მოსაზრება, რომლის მიმდევრები თვლიან, რომ კანონი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს სხვადასხვა სუბიექტის მიერ, ის უნდა გამოიყენებოდეს იმ სახით, როგორც არის შედგენილი, ან განმარტება უნდა გამოიყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი შედგენილია გაუგებრად, მისი ნორმები არის ურთიერთგამომრიცხავი. იმ შემთხვევაში, თუ კანონი წაკითხვისას გასაგებია და მისი შინაარსი არ იწვევს გაურკვევლობას, მაშინ არავითარი განმარტება თითქოს საჭირო არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ნორმის განმარტება, ძირითადად, განპირობებულია გრამატიკული, ლოგიკური და საკანონმდებლო ტექნიკის არასრულყოფილებით. საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ნორმატიული აქტების მიმღები სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მაღალპროფესიულ და ფექტიან საქმიანობასთან ერთად, საგრძობლად შემცირდა საკანონმდებლო აქტების განმარტების საჭიროება.

იმის მიხედვით, თუ ვინ აწარმოებს სამართლის ნორმის განმარტებას (სუბიექტის მიხედვით), სამართლის თეორიაში ცნობილია ოფიციალური (ლეგალური) და არაოფიციალური განმარტებები.

ოფიციალური (ლეგალური) განმარტება იყოფა ავთენტურ და დელეგირებულ განმარტებად. ავთენტურ განმარტებას იძლევა სამართლის ნორმის მიმღები ორგანო. დელეგირებული განმარტების დროს სამართლის ნორმაში პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელ ორგანოს აქვს უფლება ან ევალება ამ ნორმატიული აქტის განმარტება.

სამართლის ნორმის არაოფიციალურ განმარტებას იძლევიან სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერები, ადოკატები, იურისტკონსულტანტები და სხვა პრაქტიკოსი მუშაკები კანონის კომენტარებში, სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში, სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულების სტატიებსა და სხვა ნაშრომებში.

იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება განმარტების ხერხებსა და მეთოდებთან დაკავშირებით. მეცნიერთა უმრავლესობა მიუთითებს ენობრივ ანუ გრამატიკულ (ფილოლოგიურ), ლოგიკურ, სისტემატურ და ისტორიულ ანუ ისტორიულ-პოლიტიკურ მეთოდებზე.

ენობრივი ანუ გრამატიკული (ფილოლოგიური) განმარტებისას, ნორმის შინაარსი ირკვევა ნორმატიულ აქტში ან მუხლში სიტყვების, ტერმინების, ცნებებისა და გამონათქვამების მნიშვნელობის მიხედვით. სიტყვებსა და ტერმინებს ეძლევა ის მნიშვნელობა, რა აზრითაც ის იხმარება ლიტერატურაში, იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ამასთან, სხვადასხვა სიტყვებსა და ტერმინებს არ უნდა მიეცეს ერთი და იგივე მნიშვნელობა.

ლოგიკური განმარტება ხორციელდება ლოგიკური მეთოდების გამოყენებით. ლოგიკური ანალიზისა და გარდაქმნის საფუძველზე ხდება სამართლის ნორმის ტექსტის გააზრება მისი შინაარსის მნიშვნელობისა და შემადგენელი ნაწილების გარკვევით.

სისტემატური განმარტების დროს უპირველესად დგინდება სამართლის ნორმის ადგილი სამართლის მთლიან სისტემაში სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების მიხედვით. სხვა მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის ლოგიკური კავშირის დადგენით და მისი შინაარსის შედარებით, აზრობრივად ზუსტდება იმ ნორმის შემადგენლობა, რომელიც ექვემდებარება განმარტებას.

ისტორიული (ისტორიულ-პოლიტიკური) განმარტების დანიშნულებაა, გაირკვეს ის ისტორიული ვითარება, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რომლის დროსაც მიღებული იქნა სამართლებრივი აქტი. ასევე უნდა გაირკვეს რა მიზანს და ამოცანებს ისახავდა მისი შემუშავება და მიღება. გასათვალისწინებელია ის, რომ ისტორიული ვითარების შესწავლა ყოველთვის არ არის საკმარისი სამართლის ნორმის შინაარსისა და მთლიანად მისი არსის გასარკვევად. გარკვეულ ისტორიულ პერიოდში შექმნილი კონკრეტული ურთიერთობა შეიძლება დარეგულირდეს კანონმდებლის მიერ სამართლებრივად სხვადასხვა მიდგოვით. ნორმატიული აქტის მიღების დროს ისტორიული ვითარების შესწავლა მხოლოდ აადვილებს ამ ნორმის შინაარსის გაგებას.

საკონტრალოლი კითხვები:

1. უფლებანარჩინობისა და ქმედნარჩინობის ცნება;
2. იურიდიული პირის ცნება;
3. უფლებისა და მოვალეობის ცნება;
4. სამართლის ნორმების სტრუქტურა;
5. სამართლის წყაროს ზოგადი ცნებები;
6. ნორმატიული აქტის სახეები;
7. სასამართლო პრეცედენტი, კანონისა და სამართლის ანალოგია;
8. სამართლის ნორმის განმარტების სახეები.

7. კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა. სამართალდარღვევათა სახეები და იურიდიული პასუხისმგებლობა

კანონიერების ცნებაში იგულისხმება ისეთი რეჟიმის არსებობა, რომლის დროსაც ადამიანის ქცევა ზუსტად შეესაბამება ქვეყანაში მიღებულ კანონებს და სხვა კანონქვემდებარე აქტებში გამოხატულ სამართლის ნორმების მოთხოვნებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოქმედებას კანონის ფარგლებში. დაუშვებლად ითვლება თვითნებობა და მკაცრად ისჯება კანონის დარღვევის ყველა შემთხვევა. ასეთი რეჟიმი არ არსებობდა არც მონათმფლობელურ და არც ფეოდალურ წყობილებაში. ამიტომ ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ცხოვრებაში კანონიერების პრინციპის გატარება.

კანონიერება არის სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებული არიან შეასრულონ მოქმედი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები.

კანონიერება გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ სამართლის ნორმებით დადგენილ ფარგლებში, იცავდნენ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. მეორე მხრივ, კანონიერება არის კანონების შესრულების მოვალეობა, რომელიც ეკისრება ყველა პირსა და ორგანიზაციას, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. არაქონს არ სარგებლობს კანონის დარღვევის უფლებით. შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაკეთილად თანამდებობრივი მდგომარეობა და დამსახურება არ იძლევა საფუძველს პირის პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად. ამასთან, ცხადია საზოგადოებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი საშუალებები, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება კანონიერების ცნების რეალურად მოქმედება. სახელდობრ, სათანადო ეკონომიკური სისტემა, დემოკრატიის მაღალი დონე, ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება და სხვ. სამართალდარღვევების თავიდან აცილების და დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად მთავარია, რომ მოქმედი კანონმდებლობა და სხვა სამართლის ნორმები შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. კანონიერების დაცვისა და განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, რითაც იგი იძლევა კანონიერების გატარების რეალურ გარანტიებს. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: იდეოლოგიური ხასიათის აღმზრდელი ღონისძიებები; ზედამხედველობისა და კონტროლის ზომები; იძულებითი ღონისძიებები.

აღმზრდელი ღონისძიებებში იგულისხმება სათანადო მუშაობის ჩატარება მოსახლეობასა და თანამდებობის პირებთან, მათ შეგნებაში კანონიერების პრინციპის ჩამოყალიბების მიზნით.

ზედამხედველობისა და კონტროლის ზომებში იგულისხმება სახელმწიფოს საქციალური ორგანოების ზედამხედველობა და კონტროლი სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ კანონიერების დაცვაზე. ეს ზომები ასევე გულისხმობს ზემდგომ ორგანოების კონტროლს, მათი ქვემდგომი ორგანოების საქმიანობაზე, რათა მათ შეასრულონ სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. კანონიერების დამრღვევი პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება გამოიხატება როგორც სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებაში, ასევე ადმინისტრაციული, დისციპლინარული და სამოქალაქო სანქციების გამოყენებაში, შედარებით ნაკლები საშიშროების შემცველი დარღვევისათვის. ამასთან, მოქალაქეებს უფლება ეძლევათ გაასაჩივრონ სასამართლოში თანამდებობის პირის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მათ მიმართ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილება.

კანონიერებასთან დაკავშირებულია მართლწესრიგის ცნება. მართლწესრიგი არის სამართლის ნორმებით რეგულირებული ის საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც მყარდება კანონიერების პრინციპის ცხოვრებაში გატარების შედეგად.

მართლწესრიგი და კანონიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მართლწესრიგის განმტკიცება კანონიერების განმტკიცებასაც გულისხმობს და, პირიქით, კანონიერების შესუსტება იწვევს ქვეყანაში მართლწესრიგის დარღვევის ფაქტებს.

კანონიერების მოთხოვნისა და მართლწესრიგის დაცვის აუცილებელ პირობას მოქმედი სამართლის ნორმების შესრულება წარმოადგენს.

მართლზომიერი ქცევა არის ადამიანის ისეთი ქცევა, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმების მოთხოვნას.

აქედან გამომდინარე, სამართალდარღვევა არის ისეთი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმების ანუ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. მართლზომიერი მხოლოდ ის ქცევაა, რომელიც სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებშია მოწესრიგებული. ამიტომ, თუ იგი სამართლებრივი ნორმებით არ არის მოწესრიგებული, მართლზომიერს ვერ ვუწოდებთ, რაოდენ სასარგებლოც არ უნდა იყოს იგი.

სამართალდარღვევად უმეტესად ითვლება მოქმედება, მაგრამ იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც, როდესაც პირს სამართლის ნორმით ევალებოდა რაიმე მოქმედების შესრულება და მან იგი არ შეასრულა. ადამიანის ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩადენილი პირი შეგნებულად მოქმედებდა და შეეძლო ანგარიში გაეყენა საკუთარი ქცევისათვის. ამიტომ, ადამიანი უნდა იყოს გარკვეულ ასაკს მიღწეული და შერაცხადი. გარდა ამისა, პირის ქცევა უნდა იყოს ბრალეული ანუ ჩადენილი განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი. განზრახვას აქვს ორი სახე: პირდაპირი და არაპირდაპირი.

ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

ქმედება არაპირდაპირი განზრახვით არის ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეციდებოდა მის დადგომას.

გაუფრთხილებლობას აქვს ორი სახე: თვითიმედოვნება და დაუდევრობა.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

სამართალდარღვევა რამდენიმე ჯგუფად იყოფა იმის მიხედვით, თუ რამდენად სამშიშა ის საზოგადოებასთვის და რამდენად მნიშვნელოვანია ის ზიანი, რომელიც შეიძლება მან მიაყენოს პიროვნებას, დაწესებულებას, ორგანიზაციას და სახელმწიფოს. საზოგადოებრივი სამიშროების ზარისხის მიხედვით, განასხვავებენ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევას: სისხლის სამართლებრივ დარღვევას ანუ დანაშაულს, რომელიც ვეღვაზე მაღალი საზოგადოებრივი სამიშროებით ხასიათდება, ასევე ადმინისტრაციულ, დისციპლინარულ და სამოქალაქო სამართალდარღვევებს.

დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ანუ გადაცდომად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობი მართლწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

დისციპლინური სამართალდარღვევა არის საჯარო და კერძო საწარმოს მუშაკის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და ეწინააღმდეგება დადგენილ შინაგანაწესს.

სამოქალაქო სამართალდარღვევა არის პირის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც არღვევს ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს და ქონებრივ ზიანს აყენებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე არაქონებრივი ხასიათის ზოგიერთ პირად ურთიერთობებს.

ყველა სამართალდარღვევა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს სამართალდარღვევათა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. სამართალდარღვევათა სახეების შესაბამისად, არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინარული და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევის მიმართ ისეთ არახელსაყრელი და არასასურველი სხვადასხვა სახის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, რომელიც სამართლის ნორმებშია დადგენილი სახელმწიფოს მიერ.

ამგვარი პასუხისმგებლობის დაწესება მიზნად ისახავს სამართალდამრღვევათა სათანადო დასჯას, მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, შემდგომში სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და, საერთოდ, სახელმწიფოში კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებას.

საკონტროლო კითხვები:

1. კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება;
2. მართლზომიერი ქცევისა და სამართალდარღვევის დახასიათება;
3. სამართალდარღვევათა სახეები და იურიდიული პასუხისმგებლობა.

8. ნორმატიული აქტების სახეები, იერარქია, მიღება და ძალაში შესვლა

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს. ამ კანონის თანახმად, სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტებს.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს.

საქართველოს ნორმატიული აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი და ბრძანებულებები, პარლამენტის დადგენილება, ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ფინანსი ქვალაღების ეროვნული კომისიის დადგენილება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელთა ბრძანება, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილება, დადგენილება, ბრძანება.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ნორმატიული აქტებია: მათი კონსტიტუცია, კანონი, უმაღლესი საბჭოს დადგენილება, მინისტრთა საბჭოს დადგენილება, მათი მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უწყებების ხელმძღვანელთა ბრძანება.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტებია: მათი წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო) გადაწყვეტილება და ადამასრულებელი ორგანოს (მერია, გამგეობა) ხელმძღვანელის ბრძანება.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: *კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი.*

კონსტიტუციური კანონი მიიღება პარლამენტის მიერ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას და კონსტიტუციის გადასინჯვისას. კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხზე, რომელთა მოწესრიგება კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონებითაა გათვალისწინებული. საქართველოს კანონი მიიღება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა არ არის გათვალისწინებული ორგანული კანონით.

კოდექსი არის ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლის ნორმათა სისტემატიზებული კანონი.

პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის არსებობისას იღებს დეკრეტს, რომელსაც კანონის ძალა აქვს.

კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში უნდა გამოვყოთ: პარლამენტის დადგენილება და პრეზიდენტის ბრძანებულება. ნორმატიულია პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც ეხება რეგლამენტის მიღებას, გაუქმებას ან მასში ცვლილებების შეტანას. პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულება ნორმატიული აქტია. გამოაკლისია ბრძანებულება, მთავრობის წევრის – მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის ან გათავისუფლების შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ და სხვ.

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, შეთანხმებებითა და ხელშეკრულებით. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს მიერ ხელმოწერილი და ქვეყნის პარლამენტის რატიფიცირებული აქვს მრავალი საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება და შეთანხმება. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე თუ ჩვენი ეროვნული საკანონმდებლო აქტების დებულება ეწინააღმდეგება და არ შეესაბამება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონვენციებს და შეთანხმებებს ანუ ადგილი აქვს კოლიზიას, მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

კანონს სახელმწიფოში უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია ყველა სხვა სახის ნორმატიული აქტის წინაშე. კანონს იღებს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. ზოგიერთ ქვეყანაში კანონის მიღება ხდება ასევე საყოველთაო სახალხო კენჭისყრით ანუ რეფერენდუმით. კანონის წამყვანი ადგილი და მნიშვნელობა განაპირობებს მისი მიღების განსაკუთრებულ წესს. ეს წესი შეიძლება დადგენილ იქნეს კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით. კანონის მიღების წესი გულისხმობს რამოდენიმე საფეხურის თანმიმდევრობას, რომელიც ერთიანი საკანონმდებლო პროცესის სტადიებს წარმოადგენს. ეს სტადიებია: კანონპროექტის მომზადება, კანონპროექტის შეტანა, კანონპროექტის განხილვა, კანონპროექტის მიღება, კანონის გამოქვეყნება.

კანონპროექტის შეტანა დაკავშირებულია საკანონმდებლო ინიციატივასთან.

საკანონმდებლო ინიციატივა ნიშნავს ამა თუ იმ ორგანოს ან ცალკეული პირის უფლებას – საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად შეიტანოს წინადადება კანონის მიღების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი უფლებებით სარგებლობენ: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და არანაკლებ 3000 ამომრჩეველი. საკანონმდებლო ინიციატივის მქონე ორგანოთა და პირთა ზუსტად განსაზღვრა კანონით სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვას არა აქვს უფლება, შეიტანოს წინადადება ამა თუ იმ კანონის მიღების შესახებ. ამგვარი წინადადების უშუალო განხილვა არ ხდება პარლამენტში. მას შეისწავლიან საკანონმდებლო ინიციატივის მქონე პირები ან ორგანოები და თუ მიზანშეწონილად ჩათვლიან, შეიტანენ პარლამენტში განსახილველად.

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი წესით ლობისტად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან მოქალაქეთა ორმოცდაათკაციან ჯგუფს უფლება აქვს ასევე ნორმატიული აქტის პროექტის ან ნორმატიულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის წარდგენისა. კანონპროექტის განხილვა, ჩვეულებრივ, იწყება იმ ორგანოს წარმომადგენლის მოხსენებით, რომელსაც შეაქვს კანონპროექტი, ხოლო მომხსენებლად გამოდის სათანადო კომიტეტის წარმომადგენელი. კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია პარლამენტის ცველა წევრს და, ზოგიერთ შემთხვევაში, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული სპეციალისტებს. განხილვის სტადია მთავრდება მომხსენებლის საბოლოო სიტყვით. ესა თუ ის კანონპროექტი შეიძლება გამოტანილი იქნეს მოსახლეობის განსახილველად. კანონპროექტის მიღება საკანონმდებლო პროცესის შემდგომი სტადიაა. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სხვადასხვა სახის კანონის მისაღებად, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზმების სხვადასხვა რაოდენობა საჭირო. კანონის გამოქვეყნება საკანონმდებლო პროცესის დამამთავრებელი სტადიაა. ვინაიდან კანონი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი ცნობილი გახდება მოსახლეობისათვის. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ხუთი დღის განმავლობაში გადაეცემა პრეზიდენტს. იგი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონპროექტს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. შენიშვნების მიღების ან მიუღებლობის შემთხვევაში, კანონპროექტი გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის განმავლობაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პრეზიდენტმა დადგინდა ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თაემუდომარე. კანონი უნდა გამოქვეყნდეს სპეციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მანქანა“-ში, აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში“. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

კანონი შეიძლება შეეფარდოს იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან მისი გამოცემისა და ძალაში შესვლის შემდეგ. კანონის მოქმედება დროში განისაზღვრება მისი ძალაში შესვლისა და მოქმედების შეწყვეტის ფარგლებით. კანონი ძალას კარგავს ვადის გასვლის შემდეგ, მისი ოფიციალურად გაუქმების შემდეგ ან, კიდევ, იმავე საკითხებზე ახალი კანონის მიღების შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნული საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, ზოგიერთ შემთხვევაში კანონს შეიძლება მიეცეს უკუძალა.

კანონის უკუძალად მიიჩნევა მისი მოქმედების გაერყელება იმ ურთიერთობებსა და ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ კანონის გამოსვლამდე. ეს მოთხოვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირ არის მითითებული კონსტიტუციაში, რომელიც 42-ე მუხლის შესაბამისად: „არაერთ არ ავებს პასუხს იმ მოქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. ცალკე უნდა განვიხილოთ საკითხი სისხლის სამართლის კანონის უკუძალად შესახებ. კონსტიტუციიდან გამომდინარე სისხლის სამართლის კანონს უკუძალა ეძლევა ორ შემთხვევაში: 1. როდესაც სისხლის სამართლის ახალი კანონი აუქმებს ამა თუ იმ დანაშაულებას, 2. როდესაც ახალი კანონი ამსუბუქებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუძალა, თუ იგი დანაშაულად აცხადებს იმ მოქმედებას, რომელიც მანამდე სისხლის სამართლის წესით არ ითვლებოდა. როდესაც ახალი კანონი ადგენს სასჯელს ამა თუ იმ დანაშაულისათვის, კანონისათვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული ახალი კანონის ტექსტში. იშვიათ შემთხვევაში, კანონს უკუძალა შეიძლება მიეცეს მამინაც, როდესაც შემდეგ ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ სპეციალური აქ-

ტი დაადგინა ამ კანონისათვის უკუძალის მიცემის შესახებ. ეს წესი ფაქტობრივად ვრცელდება ადმინისტრაციული და სხვა სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხზეც.

ნორმატიული აქტების მოქმედება სივრცეში, განისაზღვრება იმ ტერიტორიით, რომლის ფარგლებშიც მას აქვს საკმარისი ძალა. ამისათვის უნდა დადგინდეს, თუ რომელი ორგანოს მიერ არის ესა თუ ის ნორმატიული აქტი გამოცემული. საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცემული აქტები მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ადგილობრივი ორგანოს ნორმატიული აქტები შესაბამისად ამ ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე.

ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტები ვრცელდება პირთა წრის მიმართ არა მარტო საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც. საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს საკანონმდებლო აქტები შეიძლება გავრცელდეს საქართველოს იმ მოქალაქეებზეც, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს დანაშაული.

საკონტრაქტო კითხვები:

1. ნორმატიული აქტების სახეების დახასიათება;
2. კანონის მიღების წესი და სტადიები;
3. კანონის ძალაში შესვლა და უკუძალის ცნება;
4. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ.

9. სამართალი და ეკონომიკა

სამართლის ზოგადი დანიშნულებაა მრავალმხრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირება და მოწესრიგება. სამართლის ფუნქცია ემთხვევა სახელმწიფოს ფუნქციას და თავისი ამოცანებითა და მიზნებით ისინი ერთმანეთთან პირდაპირ ურთიერთკავშირშია. სამართლის ნორმებით (კონსტიტუციური ნორმებით) განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, მოქალაქეების ძირითადი უფლებები და გარანტიები. სამართლის სხვა დარგებით რეგულირდება სოციალური, სამეცნიერო, სპორტული, საგადასახადო, სამაგრო, გეოლოგიური, სამართალდაცვითი და სხვა ურთიერთობები.

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართალი და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. სამართლის ბუნება, მისი დანიშნულება განპირობებულია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებითა და სისტემებით. საბაზრო ეკონომიკის დროს, კერძო საკუთრების ძირითად და პრიორიტეტულ პირობებში, სამართალი უპირატესად გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს. ცნობილია, რომ სამართლებრივი ნორმა, რომელიც არ აკმაყოფილებს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რჩება მხოლოდ ქაღალდზე და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.

სამართლებრივი ნორმებით სახელმწიფოში რეგულირდება ეკონომიკური საკითხები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მრავალმხარეთულებიანი და მრავალდარგოვანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. საკანონმდებლო აქტებით დგინდება სახელმწიფოში საკუთრების ფორმა, რომელიც დღევანდელ დემოკრატიულ ქვეყნებში ეკონომიკის ძირითადი საფუძველია. სამართლებრივი ნორმებით ასევე რეგულირდება სამეცნიერო საქმიანობის წამყვანი მიმართულებები დაწყებული ნეკლეულის მოპოვებით, მისი გადამუშავებით, შემდეგ პროდუქციის გამოშვებით, ასევე ურთიერთდამოკიდებულებით მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, დამატებული ამ პროდუქციის ფასწარმოქმნით, სავაჭრო ობიექტებამდე ტრანსპორტირება და რეალიზაციით.

გარდა ამისა, სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნით სახელმწიფო იცავს ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს და ეკონომიკურ უსაფრთხოებას, შიდა ბაზარს, ხელს უწყობს ქვეყნის შიდა ეკონომიკური განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირებას, ახორციელებს და წვეტს ქვეყნის სპინა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მრავალ ამოცანას.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ პერიოდში სახელმწიფოში შექმნილი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ღრმა მეცნიერულ პროგნოზირებაზე დაფუძნებული საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებაზე. ქვეყანაში შექმნილი ფაქტორების, მისი განვითარების დონის გათვალისწინებით შემუშავებული და მიღებული სამართლებრივი ნორმები ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამუხრუჭებს მას, რაც, ბუნებრივია, აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. თავისთავად, განვითარებული და ძლიერი ეკონომიკა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემების განვითარებისა და სტიმულირების საფუძველია.

სახელმწიფოში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, სამართალზე ზეგავლენას ახდენს აგრეთვე მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ზნეობა და მორალი, კანონმორჩილება, კულტურული განვითარების დონე და სხვ. ადამიანთა შორის მყარდება მრავალგვარი ურთიერთობა ყოფაცხოვრებაში, ბიზნესის საქმიანობაში, ოჯახში, სწავლის პროცესში, პოლიტიკურ მოღვაწეობასა და სხვა ყოველდღიური საქმიანობის სხვადასხვა პროცესში. აქედან, ყველა მიმართულება, სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება. ნაწილი ურთიერთობებისა მოწესრიგებულია ჩვეულებითი, ზნეობრივი და მორალური ნორმებით. ზნეობა და მორალი შემუშავებულია ხალხის მიერ და ჩამოყალიბებულია საუკუნეების მანძილზე და ეს ნორმები იქნება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე. გარდა იმისა, რომ ჩვეულებები, ზნეობრივი და მორალური ნორმები სახელმწიფოს მიერ მისი სანქციით ზნირ შემთხვევაში გადაიქცევა სამართლის ნორმად (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისათვის, გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის), ისინი ასევე ხელს უწყობს სამართლის ნორმების შესრულებას საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ისეთი შეხედულებებისა და წარმოდგენების მეშვეობით, როგორცაა: წესიერება, უწყობა, ბოროტება, სინდისი და პატიოსნება. სამართლის ნორმის დარღვევა მიუთითებს კანონმდებლობისა და კულტურის დაბალ დონეზე და განიხილება, როგორც უზნეო საქციელი, რომელიც საზოგადოების მხრიდან, იურიდიულ პასუხისმგებლობასთან ერთად, განიცხვასაც იწვევს.

საქართველოში მიღებულია მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებენ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე წარმოშობილ სხვადასხვა ურთიერთობას. ქვეყნის ახალი კონსტიტუციით განსაზღვრულია დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელის შეწყობის პრინციპები. მნიშვნელოვანია ასევე სამოქალაქო კოდექსის, მეწარმეთა შესახებ კანონის, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა საპროცესო, ზოგადი ადმინისტრაციული, სავადასახადო და საბაჟო კოდექსების, ანტიმონოპოლიური და სხვა საკანონმდებლო აქტების მიღება. ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა ასევე რეგულირდება მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტითა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტების დანიშნულებაა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ბიზნესის საქმიანობის მოწესრიგება, ამ სფეროში ქაოსის აღმოფხვრა და ყველა მონაწილე სუბიექტის უფლებების დაცვა.

საკონტროლო კითხვები:

1. სამართლისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირის ცნება;
2. სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება;

10. მართლმსაჯულების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი საფუძვლები. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად: მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, მათი სისტემა და სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოსამართლე დამოუკიდებლად იღებს და რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე და ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, დაუშვებელია და ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

კონსტიტუციის 85-ე მუხლით სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. საქმის განხილვას ღია სხდომაზე აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებას საშუალება ეძლევა, დაესწროს სასამართლოს სხდომებს და თვალყური ადევნოს მართლმსაჯულების განხორციელებას. ამავე დროს, ხორციელდება ზოგადი პრევენციის პრინციპი.

კონსტიტუცია ითვალისწინებს გარკვეული საქმეების განხილვას დახურულ სხდომაზე. დახურული სხდომის ჩატარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქმის ღიად განხილვა ზიანს აყენებს ცალკეულ მოქალაქეს ან სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაბოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ღია სხდომაზე.

კონსტიტუციის ამავე მუხლით, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე იმ პირებს, რომლებმაც სახელმწიფო ენა არ იციან, გამოეყოფათ თარჯიმანი. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საქმის ძირითადი მასალების გაცნობა მათთვის გასაგებ ენაზე.

მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპია აგრეთვე ის, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის შესაბამისად და კანონის წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის, აგრეთვე შევიწროების მიხედვით.

მეტად მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ასევე უდანაშაულობის პრეზუმფცია. უდანაშაულობის პრეზუმფცია უშუალოდ დაკავშირებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის უფლებების დაცვასთან. სასამართლო განხილვის დროს, დამტყველის მონაწილეობა აუცილებელია, თუ საქმეში მონაწილეობს სახელმწიფო ბრალმძებელი. ასევე ჯგუფური დანაშაულის დროს, თუ არსებობს წინააღმდეგობა ბრალდებულთა ინტერესებს შორის და თუ ერთ მათგანს მინც ჰყავს დამტყველი. დაცვის უფლებაში შედის აგრეთვე ბრალდებულის მიერ საქმის მასალების გაცნობის უფლება, შუამდგომლობათა აღძვრის უფლება და სხვა პროცესუალური მოქმედებაში მონაწილეობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებს საერთო სასამართლოები. საქართველოს საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საოლქო სასამართლოში იქმნება სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგია, ასევე სამოქალაქო, სამეწარმეო და გაყოტრების საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად, საოლქო სასამართლოში იქმნება საგამომიბეო კოლეგია. ამ კოლეგიაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, განიხილება საჩივრები და სხვა მრავალი პროცესუალური საკითხი მოსამართლის მიერ, ერთპიროვნულად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭო შექმნილია სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე, წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესასრულებლად. იუსტიციის საბჭო შედგება თორმეტი წევრისაგან, მის შემადგენლობაში, თანამდებობის მიხედვით, შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები. იუსტიციის საბჭოს ოთხ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ოთხ წევრს, რომელთაგან პარლამენტის წევრთა რაოდენობა სამს არ უნდა აღემატებოდეს, ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ერთ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმებს, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

უზენაესი სასამართლოში იქმნება სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, დიდი პალატა და პლენუმი.

უზენაესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის წევრებს დაეალოს კანონით განსაზღვრულ საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციით, ორი მსჯეულის მონაწილეობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განსჯადი საქმეები პირველი ინსტანციით განიხილება ერთი მოსამართლის და ორი მსჯეულის მონაწილეობით. უზენაესი სასამართლოს პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კოდექსის შესაბამისად, განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით საკასაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. იგი ახდენს განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც 9 მოსამართლის შემადგენლობით, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე და 89-ე მუხლების და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან აირჩევა თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და მდივანი. სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს—საქართველოს პარლამენტი, სამ წევრს – უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური საჩივრების ან კონსტიტუციური წარმოდგენის საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს:

- საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;

- დაეა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;
- დაეა რეფერენდუმის ან საჩივრების კონსტიტუციურობის შესახებ;
- საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;
- საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.

თუ საერთო სასამართლოში კონსტიტუციური საქმის განხილვისას სასამართლო დაასკენის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, პროკურატურა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას. იგი საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას. პროკურატურა ზედამხედველობს მოკვლევას და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობას, ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდის აღსრულების, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში კანონიერების დაცვას.

პროკურორი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. პროკურორს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებენ ბრალდებას. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში. საკასაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს, როგორც მხარე იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს. პროკურატურა ასევე კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი დახასიათება;
2. უდანაშაულობის პრეზუმეციის ცნება;
3. საერთო სასამართლოების სისტემა;
4. საკონსტიტუციო სასამართლო;
5. საქართველოს პროკურატურის სისტემა.

II. კერძო არბიტრაჟი და მისი როლი დაეების განხილვაში

საქართველოში საარბიტრაჟო სასამართლოები გააუქმა “საერთო სასამართლოების შესახებ” 1997 წლის 13 ივნისის ორგანულმა კანონმა. მანამდე კი 1997 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი “კერძო არბიტრაჟის შესახებ”, რომელიც განიხილავს დაეებს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო საკითხებზე, მათივე შეთანხმებით. ამასთან, კანონი განსაზღვრავს, რომ შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ იღება წერილობით, რომელშიც უნდა მითითოს მხარეთა დასახელება და მათი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, დავის საგანი, შეთანხმების დრო და ადგილი.

კერძო არბიტრაჟი თავის საქმიანობას ახორციელებს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ. კანონის თანახმად არბიტრაჟის წევრად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე. ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან. არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი განისაზღვრება მხარეთა მიერ. მხარეები ნიშნავენ არბიტრაჟის წევრთა თანასწორ რაოდენობას. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც არბიტრაჟის წევრთა დანიშვნისას ერთ-ერთ მხარეს აყენებს უპირატეს მდომარეობაში. ამასთან, არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ არბიტრაჟი ვალდებულია შექმნიდან 5 დღის ვადაში დაინიშნოს არბიტრაჟის კიდევ ერთი წევრი. თუ მხარეები თვითონ არ განსაზღვრავენ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობას, მაშინ არბიტრაჟი უნდა შექმნას 3 წევრის შემადგენლობით. თუ არბიტრაჟის წევრთა რიცხვი ერთზე მეტია, ერთ-ერთი მათგანი ინიშნება თავმჯდომარედ.

მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრაჟის წევრის აცილება, თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრაჟის წევრის მოუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში; აგრეთვე, თუ არბიტრაჟის წევრი არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრაჟის წევრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა არბიტრაჟის წევრის დანიშვნის შემდეგ. პირი, რომელიც დაინიშნა არბიტრაჟის წევრად, ვალდებულია აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა არსებობა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებენ მათ მოუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას.

არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვის (საარბიტრაჟო განხილვის) დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მეორე მხარესა და არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟის თავმჯდომარე ჯერ არ არის არჩეული – არბიტრაჟის ყველა დანიშნულ წევრს. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას, არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშნიდან 10 დღის განმავლობაში. საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავს მხარეები, თუ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დაეა განიხილება არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით. მხარეს უფლება აქვს არბიტრაჟის მიერ საჭმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე წარმოადგინოს იყოს დამტკიცების (ადვოკატის) მეშვეობით.

არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს წერილობით აცნობოს არბიტრაჟის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სულ ცოტა 5 დღით ადრე შესაბამისი სხდომის გამართვამდე. არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს გაეგზავნოს მეორე მხარისაგან მიღებული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი, მიღებიდან ორი დღის ვადაში.

არბიტრაჟს შეუძლია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და გამოითხოვოს მტკიცებულებები. თუ მოწმის გამოცხადება ან მტკიცებულების გამოთხოვა შეუძლებელია ნებაყოფლობით, არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოწმის გამოცხადების ან მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-ვალდებულებანი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო სამართლის

თლის საპროცესო კანონმდებლობით. არბიტრაჟს შეუძლია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი, რომელიმე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. არბიტრაჟს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა, მისი უარი ექსპერტის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს. მხარე, არბიტრაჟის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობისას, ვალდებულია ექსპერტს წარუდგინოს საქმესთან დაკავშირებით მის ზღოთ არსებული ინფორმაცია, ნიუთი, დოკუმენტი და სხვა მამოადგენი მასალები, რომლებიც უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთად. არბიტრაჟი საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს, გამოიტანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად, მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. არბიტრაჟს არ შეუძლია საქმე გადაწყვიტოს მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე თავს არიდებს არბიტრაჟში გამოცხადებას ახსნა-განმარტების მისაცემად. თუ საპატიო მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დეა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადევას.

არბიტრაჟის წვერი ვალდებულია დაიცავს საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმება არ არსებობს, საქმის განხილვის ადგილად ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ადგილი. არბიტრაჟს შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას თავის წევრებს შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწვევის, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა დასათავლიერებლად. სასამართლოს უფლება არა აქვს განიხილოს სასარჩელო განცხადება საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები ითხოვენ საქმის განხილვას სასამართლოში ანდა, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი ან ძალადაკარგულია.

სასამართლოში საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა არ იწვევს საარბიტრაჟო განხილვის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას. არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების) გამოტანის ვადა ღვინდება მხარეთა შეთანხმებით. თუ მხარეები არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. არბიტრაჟი უნდა გადადგეს, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ იქნება გამოტანილი. ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან, 10 დღის ვადაში, დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები. იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი არბიტრაჟი არ გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას დადგენილ ვადაში, საარბიტრაჟო შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად. არბიტრაჟს ან მხარეს შეუძლია თხოვნით მიმართოს სასამართლოს, რომ დაეხმაროს მტკიცებულებათა შეროვებისას. სასამართლო ასრულებს ამ თხოვნას თავის კომპეტენციის ფარგლებში და დახმარებას უწევს მტკიცებულებათა შეროვებაში, დადგენილ წესით. მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ, მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადებით მიმართვიდან სამი დღის ვადაში. არბიტრაჟს, რომელშიც ერთზე მეტი წევრია, გადაწყვეტილებები გამოაქვს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით. არბიტრაჟის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და მასში უნდა აღინიშნოს: გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი და არბიტრაჟის შემადგენლობა; საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი მოქმედებდა; დავის ყველა მონაწილე; დავის საგანი; სამოტივაციო ნაწილი, მასში გადმოკრებილი, რომელთა საფუძველზეც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს ასეთი სამოტივაციო ნაწილის არარსებობას; გადაწყვეტილების აღსრულების ვადა.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრაჟის ყველა წევრი. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარეს და იმ რაიონულ (ქალაქის) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

მხარეებმა შეიძლება დაადგინონ, რომ საქმე გადასინჯოს სხე კერძო არბიტრაჟმა. არბიტრაჟში გასაჩივრების ვადა არის 30 დღე. მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობისას, მხარეს უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე პუნქტის შინაარსის დაზუსტების მიზნით, არბიტრაჟს მოსთხოვოს გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის განმარტება. არბიტრაჟი განმარტების მოთხოვნის მიღების დღიდან, 30 დღის ვადაში, იძლევა განმარტებას ან გამოაკვს გადაწყვეტილება განმარტებაზე უარის შესახებ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს. მხარეს უფლება აქვს არბიტრაჟს მოსთხოვოს შეცდომის გამოსწორება, დაშვებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, მოცემულ გაანგარიშებაში, აგრეთვე მისი ხელნაწერი, ნაბეჭდი ან სხვა ამგვარი შეცდომა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ შესრულდება, აღსრულდება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ, არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე. არბიტრაჟის თავმჯდომარე სააღსრულებო წარწერას გასცემს საკუთარი ინიციატივით ანდა არბიტრაჟის ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე მოთხოვნის მისთვის წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში. სააღსრულებო წარწერის გაცემის შემდეგ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდება სააღსრულებო წარმოებისათვის სამოქალაქო სამართლის სპაროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას; დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესები; საქმესთან დაკავშირებით არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასზე.

გასაჩივრების შემთხვევაში სააღსრულებო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. რაიონული (ქალაქის) სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, თუ ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მხარეს.

მითითებული კანონის შესაბამისად, კერძო არბიტრაჟები ვალდებული არიან შეიმუშაონ თავიანთი დებულებები, რომლითაც სამართლებრივად მოწესრიგდება კანონიდან გამომდინარე ცალკეული საკითხები. მთლიანობაში კი ეს სამართლებრივი ბაზა აწესრიგებს კერძო არბიტრაჟის შექმნის წესს, მტკიცებულებების წარდგენის, დავების განხილვის, გადაწყვეტილების გამოტანის, მისი გასაჩივრებისა და გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში შექმნილი და მოქმედი კერძო არბიტრაჟები ჯერ კიდევ სრულად ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მათ მიმართ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა ნდობის ფაქტორი დაბალია, ძირითადად, ისინი განიხილებენ მარტივ და უმნიშვნელო ქონებრივ დავებს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობაში, საზოგადოებრივი აზრი, სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩამოყალიბებული არ არის, ვინაიდან მოსახლეობა სათანადო დონეზე არ იცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, უფრო მეტიც ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ არც კი

იცის ასეთი ორგანოს არსებობის შესახებ. შედეგად კი საერთო სასამართლოები გადატვირთულია სხვადასხვა სარჩელებით, სადაც წლობით იხილება სამოქალაქო საქმეები.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შექმნილია საარბიტრაჟო სასამართლოები, რომლებიც შედიან საერთო სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, შექმნილია საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოები, რომელთა მნიშვნელობა და კომპეტენცია განხილულია სახელმძღვანელოს მე-7 თავში.

საკონტრაქტო კითხვები:

1. საქართველოში კერძო არბიტრაჟის უფლება-მოვალეობების ზოგადი დახასიათება;
2. კერძო არბიტრაჟის შექმნის წესი;
3. კერძო არბიტრაჟში მტკიცებულებების წარდგენის თავისებურებანი;
4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა;
5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება;
6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების წესი.

თავი 2

ბიზნესის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები

ბიზნესის რეგულირების საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალს იმ თვალსაზრისით, რომ თუ პირველი არეგულირებს ქონებრივსა და პირადი არაქონებრივი ზასიათის ურთიერთობებს, მეორე მათგანი არეგულირებს აღნიშნული ურთიერთობების წამოჭრილი დავების გადაწყვეტის წესს.

ამ თავში განხილულია:

- სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო, მეთოდი, მისი ძირითადი პრინციპები. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა;
- სამოქალაქო სამართლის ნორმის გამოყენება, მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. კანონისა და სამართლის ანალოგია;
- სამოქალაქო სამართლის სუბიექტები და იურიდიული პირები;
- სამოქალაქო სამართლის ობიექტის ცნება. მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი;
- გარიგებისა და წარმომადგენლობის ცნება სამოქალაქო სამართალში;
- სამოქალაქო უფლებათა დაცვა და განხორციელება;
- ზნდაზღუდობის ეაღები სამოქალაქო სამართალში;
- ქონების, მფლობელობისა და საკუთრების ზოგადი დებულებები;
- აღნავობა, უზურფურუქტი, გირავნობა და იპოთეკა სამოქალაქო სამართალში;
- საზღვარსაღვლებო სამართლის ძირითადი ასპექტები;
- ინტელექტუალური სამართლის ზოგადი დებულებანი;
- ნასყიდობის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- ქირავნობის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- ლიზინგის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- იჯარის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- ფრენმაზინგის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- სესხის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- გადაზიდვა-გადაყვანის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- სატრანსპორტო ექსპედიციის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება;
- შუამავლობის ზღვარსაღვლების სამართლებრივი ბუნება და თავისებურება;
- საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების სამართალწარმოების ზოგადი დებულებები;
- საპროცესო ეაღები, საპროცესო ზარყები;
- მზარეთა საპროცესო უფლებები;

- სასამართლო მტკიცებულებები;
- საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- გამარტივებული წარმოება;
- სწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია;
- სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება
- აპელაცია და კასაცია.

1. სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო, მეთოდი, მისი ძირითადი პრინციპები. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა

სამოქალაქო სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს ქონებრივსა და პირად არა-ქონებრივ ხასიათის ურთიერთობებს.

სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო ფართო ხასიათისაა და მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა მხარეს, რომელშიც მონაწილეობენ:

- ფიზიკური და
- როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპებია:

ნების ავტონომიურობა, რაც გულისხმობს იმას, რომ სამოქალაქო ურთიერთობის თითოეული მონაწილე დამოუკიდებელია თავიანთი უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საკითხებთან მიმართებაში.

მხარეთა თანასწორობა. გულისხმობს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები თანასწორნი არიან ერთმანეთთან მიმართებაში.

ღისპოზიურობა. გულისხმობს, რომ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობის მონაწილეები თავიანთ უფლებებს განკარგავენ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ურთიერთვალდებულება. გულისხმობს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ სარგებლობენ არა მხოლოდ უფლებებით, არამედ ვალდებულებებით, რომლებიც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებიც.

რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის მეთოდებს, ზოგადად, იგი იგივე პრინციპებია, რაზეც უკვე გვეჩვენა საუბარი. თუმცა, სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ისეთ სპეციფიკურ მეთოდებს, როგორიცაა დამუშავებისა და აკრძალვის მეთოდი.

დამუშავების მეთოდი იგულისხმება, რომ რაც კანონმდებლობით აკრძალული არ არის, ის დამუშავებულია. რაც შეეხება აკრძალვას, აქ როგორც სიტყვის ეტიმოლოგიიდან ჩანს, აკრძალულია კანონმდებლობით ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ხასიათის გარკვეული სახის ურთიერთობები.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არის სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობა, რომლის მონაწილეებსაც გარკვეული სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო?
2. რა პრინციპებია სამოქალაქო სამართალში?
3. რა მეთოდებია სამოქალაქო სამართალში?
4. რა არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა?

2. სამოქალაქო სამართლის ნორმის გამოყენება, მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. კანონისა და სამართლის ანალოგია

სამოქალაქო სამართლის ნორმის გამოყენება ხდება ქონებრივი და პირადი არაკონებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების დროში მოქმედება იწყება სამოქალაქო კოდექსის კანონიერ ძალაში შესვლიდან. ე. ი. 1997 წლის 25 ნოემბრიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა სამოქალაქო კოდექსი.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების დროში მოქმედება კი შეწყდება მაშინ, როდესაც ნორმა გაუქმდება.

სამოქალაქო სამართლის ნორმების მოქმედება გულისხმობს, რომ ეს ნორმა მოქმედებს გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში. კონკრეტულ შემთხვევაში კი სამოქალაქო სამართლის ნორმები მოქმედებს იქ, სადაც წევნი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება. თუმცა, იურიდიულად აქ იგულისხმება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს მიწელი ტერიტორია.

რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის ნორმის გამოყენებას პირთა წრის მიმართ, აქ იგულისხმება ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად.

სამოქალაქო სამართალში არსებობს კანონისა და სამართლის ანალოგიის ცნებები. სამოქალაქო სამართალში კანონის ანალოგია იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც კანონით, კოდექსით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული, უნდა მოწესრიგდეს მსგავს ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის მიღებული ნორმით.

იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება შეუძლებელია კანონის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპებისა და სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად. ეს არის სწორედ სამართლის ანალოგია.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია სამოქალაქო სამართლის ნორმის მოქმედება დროში?
2. როგორია სამოქალაქო სამართლის ნორმის მოქმედება სივრცეში?
3. როგორია სამოქალაქო სამართლის ნორმის მოქმედება პირთა წრის მიხედვით?
4. რა არის კანონისა და სამართლის ანალოგია?

3. სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

სამოქალაქო სამართლის სუბიექტად ითვლება ყველა ის პირი, რომელსაც სამოქალაქო სამართლის ნორმების საფუძველზე უფლება აქვს წარმოშვას, შეცვალოს ან შეწყვიტოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები.

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფიზიკურ პირებად სამოქალაქო სამართალში ითვლებიან მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები.

ფიზიკურ პირებს ახასიათებთ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის უფლებას ჰქონდეს ყველა ის უფლება და დაეკისროს ყველა ის მოვალეობა, რაც სამოქალაქო კოდექსით აკრძალული არ არის. უფლებაუნარიანობა პირს ეწყება დაბადების მომენტიდან და უწყდება გარდაცვალებისას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, მემკვიდრედ ყოფნის

უფლება პირს წარმოემობა ჩასახვისთანავე. აღნიშნული უფლების განხორციელება პირის დაბადებაზე და მოკიდებულია.

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი წესითა და მოქმედებით, სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების ასაკიდან ანუ 18 წლიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში ქმედუნარიანობა მოიპოვება 18 წლის ასაკამდეც, მაშინ, როდესაც 18 წელს მიულწვევლი პირი დაქორწინდება. 7 წლამდე პირი არის არასრულწლოვანების (მცირეწლოვანების) გამო არაქმედუნარიანი.

ფიზიკური პირის არაქმედუნარიანად მიჩნევა ზდება ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო, მხოლოდ სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით. არაქმედუნარიანი პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და თავისივე სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, ღებს გარიგებებს, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

ე. ი. იურიდიული პირები არიან სამეწარმეო სამართლის სუბიექტები

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სპს;
- კომანდიტური საზოგადოება – კს;
- სააქციო საზოგადოება – სს;
- კოოპერატივი.

და არასამეწარმეო სამართლის ანუ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები:

- კავშირი;
- ფონდი.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში განასხვავებენ:

- საჯარო და
- კერძო სამართლის იურიდიული პირებს.

სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი.

სახელმწიფოს უფლებამოსილებას ამ შემთხვევაში ახორციელებენ მისი ორგანოები:

- სამინისტროები;
- დეპარტამენტები და ა. შ.

აღნიშნულ შემთხვევაში ისინი არ წამოადგენენ იურიდიულ პირებს.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა კლასიფიკაცია?
2. ვინ არიან ფიზიკური პირები და რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი?
3. რა არიან იურიდიული პირები და რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი?

4. სამოქალაქო სამართლის ობიექტის ცნება. მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე ბრუნვიდან ამოღებული არ არის.

მატერიალურ სიკეთეში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქონება, როგორც სახეზე არსებული ობიექტი, ასევე ის ქონებრივი უფლებებიც, რომელიც სხვა პირებს გარკვეულ ქონებრივ მოვალეობებს აკისრებს.

სამოქალაქო სამართლის ქონებრივ (მატერიალური) ობიექტებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს:

- მოძრავი და უძრავი;
- მთავარი და საკუთვნებელი;
- ბრუნვიდან ამოღებული და საბრუნავი;
- გაყოფადი და განუყოფადი;
- მოხმარებითი და არამოხმარებითი;
- ნაყოფი, პროდუქცია და შემოსავალი;
- ფული და ფასიანი ქაღალდები და ა. შ.

სამოქალაქო სამართალში არამატერიალურ სიკეთედ მოიხსნება შემოქმედებითი შრომის პროდუქცია და, რაც ყველაზე უმთავრესია, პიროვნების სახელი, პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სამოქალაქო სამართლის ობიექტი?
2. როგორია მატერიალური სიკეთის განსაზღვრება სამოქალაქო სამართალში?
3. როგორია არამატერიალური სიკეთის განსაზღვრება სამოქალაქო სამართალში?

5. გარიგებისა და წარმომადგენლობის ცნება სამოქალაქო სამართალში

სამოქალაქო სამართალში გარიგებად იგულისხმება ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

გარიგებები შეიძლება იყოს:

- ცალმხრივი;
- ორმხრივი;
- მრავალმხრივი.

გარიგებები თავიანთი საგნის, სფეროს მიხედვით არის:

- სანივთო (ქონებრივი);
- ვალდებულებითი;
- საავტორო (და სხვა მომიჯნავე უფლებების);
- საოჯახო;
- მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებში დადებული გარიგებები.

გარიგება იურიდიული უფლებამოსილების მიხედვით არის:

- მავალბელი;
- განკარგვითი;
- შექმნითი გარიგებები.

გარიგება შეიძლება იყოს:

- სასყიდლიანი;
- უსასყიდლო;
- ეადიანი;
- უეადო;
- აბსტრაქტული (მნიშვნელობა არა აქვს გარიგების საფუძველს);
- რეალური (აუცილებელია ნივთის გადაცემა შეთანხმებასთან ერთად);
- კონსესუალური (აუცილებელი არ არის ნივთის გადაცემა შეთანხმებებთან ერთად);
- ჩვეულებრივი;
- პირობითი;
- პოზიტიური;
- ნეგატიური და ა. შ.

გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია დაცულ იქნეს გარიგების ფორმა (წერილობითი თუ ზეპირი) და, ზოგადად, სამოქალაქო სამართლის პრინციპები; წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ჩაითვლება ბათილად.

სამოქალაქო სამართალში წარმომადგენლობა არის ის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის თანახმადც გარიგება, რომელსაც ასრულებს ერთი პირი (წარმომადგენელი) მეორე პირის (წარმომადგენლის) სახელით, უშუალოდ წარმოშობს, ცვლის ან სპობს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს მეორე პირის (წარმომადგენლის) მიმართ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის გარიგება?
2. როგორი სახის შეიძლება იყოს გარიგებები?
3. რას ნიშნავს წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართალში?

6. სამოქალაქო უფლებათა დაცვა და განხორციელება

სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. კანონმდებლობა კრძალავს უფლების გამოყენებას მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

არამართლზომიერ მოქმედებად არ ითვლება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილი მოქმედება და ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანიც, ზიანის მიმყენებლის მიერ არ ანაზღაურდება.

აუცილებელი მოგერიებისგან განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანის მიმყენებელი არ განთავისუფლებს დასუსტებულობისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოქმედება კანონმდებლის მიერ მართლზომიერად არის მიჩნეული.

სამოქალაქო უფლებათა დაცვის საგანი არა მარტო სამოქალაქო უფლებაა, არამედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, კანონისა და სამართლის ანალოგიის გათვალისწინებით დაცული ყველა ინტერესია.

სამოქალაქო უფლებათა დაცვის ორი ფორმა არსებობს:

- იურისდიქციული;
- არაიურისდიქციული (აუცილებელი მოგერიება და თვითდახმარება).

სამოქალაქო უფლებათა დაცვის განხორციელება ხდება:

- უფლების ცნობით;
- პირენდელი მდგომარეობის აღდგენით;
- უფლების დარღვევის აღკვეთით;
- უფლების დაცვით;
- ზიანის ანაზღაურებითა და კომპენსაციით;
- უფლების დაცვა, როდესაც ხორციელდება სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტილი ან შეცვლილი და ა. შ.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს სამოქალაქო სამართალში უფლებათა დაცვა და განხორციელება?
2. როგორია სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები?

7. ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში

სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადად ითვლება დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც პირს სხვა პირისაგან უფლება აქვს მოითხოვოს რაიმე მოქმედების შესრულება, ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ:

- საერთო ხანდაზმულობის ვადას (10 წელი);
- სპეციალურ ვადას, მაგალითად:
 - ✓ სახელშეკრულებო მოთხოვნების ვადა (3 წელი);
 - ✓ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა (6 წელი);
 - ✓ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა (3 წელი) და ა. შ.

კოდექსის მიხედვით ხანდაზმულობა არ ვრცელდება:

- პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- მგანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადა?
2. რა ურთიერთობებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა?
2. რა სახის ხანდაზმულობის ვადაა ცნობილი სამოქალაქო სამართალში?

8. ქონების, მფლობელობისა და საკუთრების ზოგადი დებულებები

სამოქალაქო კოდექსი შედგება შემდეგი წიგნებისაგან:

- სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები;
- სანიეთო (ქონებრივი სამართალი);
- ვალდებულებითი სამართალი;
- ინტელექტუალური სამართალი;
- საოჯახო სამართალი;
- მემკვიდრეობის სამართალი.

წარმოდგენილ პარაგრაფში განსახილველი საკითხები შედის სანიეთო (ქონებრივი) სამართალში, რომლის მიხედვითაც ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის

- ✓ ფლობა
- ✓ სარგებლობა
- ✓ განკარგვა

– შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეენაც შეუზღუდავად შეიძლება, თუ იგი კანონით არ არის აკრძალული, ანდა ზნეობრივ ნორმებს არ ეწინააღმდეგება.

მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი (კანონიერი გზით) მოპოვებით. მფლობელად მიიჩნევა ასევე მფლობელობის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი.

მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცადა ახორციელებს რა ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მოქმედებს სხვა პირის სასარგებლოდ, რომლიდანაც უფლებამოსილება აქვს მიანიჭებულა.

საკუთრების შინაარსის მიხედვით, შესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან ხელშეკრულების ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ ამით მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები არ ილახება, ან თუ მისი მოქმედება არ არის უფლების ბოროტად გამოყენება.

ეულების ბოროტად გამოყენებად ითვლება საკუთრების ისეთი სარგებლობა, რომლითაც ზიანი ადგებათ სხვებს ისე, რომ შესაკუთრის ინტერესების უპირატესობა გამოკვეთილი არ არის და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.

საკუთრება შეიძლება იყოს საერთო საკუთრება, რომელიც თავის თავში მოიცავს:

- ✓ თანაზიარ და
- ✓ წილად საკუთრებას.

საკონტროლო კითხვები:

1. სანიეთო სამართალი სამოქალაქო კოდექსის მერამდენე წილია და რა განიხილება მასში?
2. რა არის ქონება?
3. რა არის მფლობელობა?
4. როგორია საკუთრების შინაარსი?

9. აღნაგობა, უზურფრუქტი, გირავნობა და იპოთეკა სამოქალაქო სამართალში.

სამოქალაქო სამართალში სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა მოიცავს შემდეგ სამართლებრივ ინსტიტუტებს:

1. აღნაგობა;
2. უზურფრუქტი;
3. სერვიტუტი.

- აღნაგობის უფლების საფუძველზე, შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწის ნაკვეთი სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვნის, გაქირავების უფლება.

აღნაგობის უფლების ვადის განსაზღვრა ხდება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს 59 წელს.

- უზურფრუქტის საფუძველზე უძრავი ნივთი შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ ამით სარგებლობა. მესაკუთრისგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.
- სერვიტუტის საფუძველზე მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებულ-დატვირთული, რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევაში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირავნობისა და იპოთეკის სახით.

- გირავნობის საფუძველზე მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავენე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავნებული ქონების ზარჯზე.
- იპოთეკის საფუძველზე უძრავი ნივთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეიძლება ისე იქნეს გამოყენებულ-დატვირთული, რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ინსტიტუტებს მოიცავს სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის უფლება?
2. რა არის აღნაგობის უფლება?
3. რა არის უზურფრუქტი?
4. რა არის სერვიტუტი?
5. რა არის გირავნობა?
6. რა არის იპოთეკა?

10. სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი ასპექტები

ვალდებულებითი სამართლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია სახელშეკრულებო სამართალი, რომლის ძირითადი ასპექტებია:

- ხელშეკრულების თავისუფლება;
- ხელშეკრულების დადების ვალდებულება;
- მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ბათილობა;
- სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა.

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე წინასწარ არიან შეთანხმებული კანონით გათვალისწინებული ფორმით.

ხელშეკრულება შეიძლება იყოს:

- ✓ წერილობითი ან
- ✓ ზეპირი.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეთა შორის წინასწარაა განსაზღვრული.

ხელშეკრულებიდან გასვლა, ისევე როგორც დადება, თითოეულ მხარეს თავისუფლად შეუძლია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ხელშეკრულებისა და კანონით განსაზღვრული ვალდებულების ფარგლებში შესრულებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებები.

საკონტრაქტო კითხვები:

1. როგორია სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი ასპექტები?
2. როგორი ფორმით შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება?

11. ინტელექტუალური სამართლის ზოგადი დებულებანი

ინტელექტუალური სამართალი იცავს საავტორო და სხვა მოპიჯნავე ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა:

- მეცნიერების;
- ლიტერატურის;
- ხელოვნების ნაწარმოებთა
 - ✓ შექმნისა და
 - ✓ გამოყენებისას.

აგრეთვე იმ უფლებებს, რაც დაკავშირებულია:

- შემსრულებელთან;
- ფონოგრამისა და
- ვიდეოგრამის დამამზადებელსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო სამართალი ვრცელდება:

- ჩვენს იურისდიქციაში მყოფ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამებსა და ვიდეოგრამაზე;

- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამებსა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად იქნა გამოცემული საქართველოს ტერიტორიაზე;
- შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე;
- მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით არიან იურიდიული პირები და გადაცემებს ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით;
- არქიტექტურის ნაწარმოებებზე.

საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებები არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას.

მომიჯნავე უფლებები საავტორო უფლებების პატივისცემისა და დაცვის გზით ხორციელდება.

მომიჯნავე უფლებების სუბიექტებს წარმოადგენენ:

- შემსრულებლები;
- ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლები;
- ფონოგრამისა და ვიდეოგრამის მაუწყებლობის ორგანიზაციები.

საკონტროლო კითხვები:

1. რას მოიცავს ინტელექტუალური სამართალი?
2. რაზე ვრცელდება საავტორო სამართალი?
3. რა არის საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები და ვინ შეიძლება იყოს მისი სუბიექტები?

12. ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

ნასყიდობის ხელშეკრულება არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ბიზნესის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

ნასყიდობის ხელშეკრულებით

- გამყიდველი მოვალეა მყიდველს
 - ✓ გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე;
 - ✓ მასთან დაკავშირებული საბუთები;
 - ✓ მიაწოდოს საქონელი;
- მყიდველი მოვალეა გამყიდველს
 - ✓ გადაუხადოს შეთანხმებული ფასი;
 - ✓ მიიღოს ნაყიდი ქონება.

იმ შემთხვევაში, თუ ფასი ხელშეკრულებაში პირდაპირ არაა განსაზღვრული, მხარეები თვითონვე შეთანხმდებიან ფასზე.

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს

- უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გაყიდული ნივთის გადაცემასთან, გამყიდველს ეკისრება, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები ეკისრება მყიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ გაყიდულ ნივთს ნაკლი აღმოაჩნდება, გამყიდველმა

- უნდა გამოასწოროს ნაკლი;
- ან მყიდველს ნივთი უნდა გამოუცვალოს;
- ან შეუმციროს ფასი.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში განასხვავებენ:

- ნასყიდობას გადახდის განვადებით, რომელიც აუცილებლად წერილობითი ფორმის უნდა იყოს, რომელშიც აღინიშნება:
 - ✓ ნაღდი გადახდის ოდენობა;
 - ✓ ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა და გადახდის დრო;
 - ✓ წლიური პროცენტის ოდენობა.
- გამოსყიდვას;
- უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც
 - ✓ არც სხვა პირს გადაეცემა და
 - ✓ არც მემკვიდრეობით გადადის.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ნასყიდობის ხელშეკრულება?
2. რა ვალდებულება გააჩნია გამყიდველს?
3. რა ვალდებულება გააჩნია მყიდველს?
4. როგორ ნაწილდება ხარჯები გამყიდველს და მყიდველს შორის?
5. რა ვალდებულება გააჩნია გამყიდველს გაყიდული ნივთის ნაკლის აღმოჩენისას?
6. რა სახეებს განასხვავებენ ნასყიდობის ხელშეკრულებაში?

13. ქირავნობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე:

- გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს განსაზღვრული ვადით სარგებლობაში გადასცეს ნივთი;
- დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა, რომელიც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული;

ამ ხელშეკრულების საფუძველზე გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადასცეს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში.

გამქირავებელმა დამქირავებელს უნდა გადასცეს

- უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

ქირაენობის ხელშეკრულების საფუძველზე გამქირავებელმა დამქირავებელს უნდა აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

ამ ხელშეკრულების ფარგლებში გამქირავებლის თანხმობით დამქირავებელს უფლება აქვს გაქირავებული ნივთი გადასცეს მესამე პირს – ეს კი იწოდება ქვექირაენობად.

იმ შემთხვევაში, თუ ქვექირაენობა ქირაენობის ხელშეკრულების მოშლის გარანტიებისათვის გვერდის ავლას ისახავს მიზნად, მაშინ ქირაენობის ურთიერთობის დასრულებისას გამქირავებელი თავის თავზე იღებს იმ უფლებასა და მოვალეობას, რომელიც დამქირავებელსა და ქვემოქირაენებს შორის არსებობდა.

თუ ქირაენობის ხელშეკრულება ეხება მიწის ნაკვეთს, იგი აუცილებლად უნდა იყოს:

- წერილობითი ფორმის;
- ერთ წელზე მეტი ვადით;

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ქირაენობის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნია გამქირავებელსა და დამქირავებელს?
3. რა არის ქვექირაენობის ხელშეკრულება და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი?

14. ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

ლიზინგის ხელშეკრულება მომდინარეობს ინგლისური სიტყვა ლიზ-ისაგან, რაც ქონების დროებით გადაცემას ნიშნავს.

აღნიშნული ხელშეკრულება XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა აშშ-ში, როგორც ეკონომიკაში ფულადი სახსრების ინვესტირების სრულიად ახალი ფორმა, რის შემდეგაც უკვე XX საუკუნეში იგი დამკვიდრდა დასავლეთ ევროპაშიც.

ამ ხელშეკრულებით:

- ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით;
- ლიზინგის მიმღები ვალდებულია საზღაური გადაიხადოს დადგენილი პერიოდულობით.

თუკი ხელშეკრულება ლიზინგის საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება, ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ

- იყიდოს ლიზინგის საგანი;
- ან დაიქირაოს იგი.

ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს, როგორც

- უძრავი ქონება;
- ასევე მოძრავი ქონება.

ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა აუცილებლად წერილობითია და იგი უნდა შეიცავდეს:

- ✓ მთლიან ფასს;
- ✓ სალიზინგო საზღაურის თანხასა და მისი გადახდის ვადებს;
- ✓ საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას მისი გამოთვლის წესს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ლიზინგის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნია ლიზინგის გამცემსა და მიმღებს?
3. როგორი ფორმისაა ლიზინგის ხელშეკრულება და რას უნდა შეიცავდეს იგი?

15. იჯარის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

იჯარის ხელშეკრულებით:

- შეიჯარე ვალდებულია
 - ✓ მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება;
 - ✓ საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მუერნობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახითაა მიღებული;
- მოიჯარე ვალდებულია:
 - ✓ შეიჯარეს გადაუხადოს დათქმული საიჯარო ქირა ფულით ან ნატურით.

საიჯარო ხელშეკრულება არის:

- წერილობითი;
- ორმხრივი;
- სასყიდლიანი;
- კონსენსუალური.

საიჯარო ურთიერთობების დამთავრება შეიძლება მოხდეს:

- საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლით;
- ვადიანი ხელშეკრულება ვადამდე მოშლით;
- განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლით, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის იჯარის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ შეიჯარესა და მოიჯარეს?
3. რა შემთხვევაში დამთავრდება საიჯარო ურთიერთობები?

16. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაეცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან ერთად ან ასეთი ნაგებობების გარეშე.

აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ვრცელდება იჯარის ხელშეკრულების წესები და იგი უნდა იყოს წერილობითი ფორმის.

თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების დროს წერილობითი ფორმა არ არის, მაშინ ივარაუდება, რომ იგი განუსაზღვრელი ვადითაა დადებული.

მეიჯარემ მოიჯარეს საიჯარო ქონება უნდა გადასცეს:

- ვარგის მდგომარეობაში;
- შეინარჩუნოს მისი ვარგისიანობა იჯარის მთელი ვადის მანძილზე.

მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უნდა განაზოცილოს:

- ქონების მიმდინარე რემონტი;
- შეაკეთოს
 - ✓ საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები;
 - ✓ გზები;
 - ✓ თხრილები;
 - ✓ მიწები;
 - ✓ ღობეები.

მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებული ქონება გამოიყენოს დანიშნულებით.

მოიჯარეს უფლება აქვს მხოლოდ მოსავლის აღებამდე მოითხოვოს საიჯარო ქირის შემცირება, მაშინ, თუ იჯარის შედეგად მიღებული წლიური მოსავლის ნახევარზე მეტი შემთხვევით განადგურდება.

მეიჯარემ მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს საიჯარო ქონებაზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

მეიჯარემ მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების თანახმად ჯერ კიდევ აუღებელი, მაგრამ იჯარის მიმდინარე წლის ბოლომდე ასაღები მოსავლის ღირებულება, მხოლოდ მაშინ, თუ, საიჯარო წლის განმავლობაში წყდება საიჯარო ურთიერთობა.

მეიჯარეს შეუძლია მოიჯარეს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება მოსთხოვოს თუ:

- მოიჯარისათვის აღნიშნული ურთიერთობა საარსებო საფუძველს წარმოადგენს;
- მიწის ნაკვეთი სასიცოცხლოდ აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის მოშლა მოიჯარისა და მისი ოჯახისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ მას მოიჯარის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინებითაც გამართლება არა აქვს.

სამ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით შეიძლება გაგრძელდეს, მაშინ, თუ ერთი მხარის ამ წინადადებაზე მეორე მხარე სამი თვის განმავლობაში უარს არ იტყვის.

წინადადება და მასზე უარი აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა გაფორმდეს.

იმ შემთხვევაში, თუ იჯარის ვადა მხარეებს შორის არ არის განსაზღვრული, თითოეულ მხარეს შეუძლია საიჯარო წლის დაწყებდან არა უგვიანეს 10 დღეში განაცხადოს მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლა.

საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.

საკონტრაქტო კითხვები:

1. რა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ მეიჯარესა და მოიჯარეს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებისას?

17. ფრენშიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

ფრენშიზინგი სრულიად ახალი სამართლებრივი ინსტიტუტია ქართული სამართლისათვის.

ფრენშიზინგი ეტიმოლოგიურად გამომდინარეობს ფრანგული სიტყვა „ფრანშიზა“-დან, რაც პრივილეგიას, შეღავათს ნიშნავს.

ფრენშიზინგი, როგორც ხელშეკრულების სახეობა და კომერციული საქმიანობის მეთოდი პირველად აშშ-ში აღმოცენდა და გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

აღნიშნული ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც საწარმოები ორმხრივად კისრულობენ საეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ

- საქონლის წარმოებას;
- გასაღებას;
- მომსახურების განხორციელებას.

აღნიშნული ხელშეკრულება წერილობითი ფორმისა უნდა იყოს.

ურენშიზინგის მიმცემი ვალდებულია:

- ფრენშიზინგის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით:
 - ✓ არამატერიალური ქონებრივი უფლებები;
 - ✓ სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები;
 - ✓ ნიშნები;
 - ✓ შეფუთვა;
 - ✓ საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია;
 - ✓ ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც გასაღებისათვის ხელშესაწყობადაა საჭირო;
- დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირების ჩარევისაგან;
- განუწყვეტილად განავითაროს იგი;
- საქმიანი ჩვეულების გაზიარებით, ინფორმაციის მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშიზინგის მიმღებს.

ფრენშიზინგის მიმღები ვალდებულია:

- გადაიხადოს საზღაური;
- მიიღოს მომსახურება;
- შეიძინოს საქონელი ფრენშიზინგის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი იგი უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან.

მხარეები ამ ხელშეკრულების ფარგლებში სრულ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ, რომლის შენახვის ვალდებულება მათ ეკისრებათ.

ფრენშიზინგის ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ამ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა 10 წელს აღემატება, მხარეები უფლებამოსილი არიან მოშალონ ხელშეკრულება, მოშლისათვის აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით. თუ მხარეები საკითხს არ დააყენებენ ხელშეკრულების მოშლაზე, მაშინ მისი ხანგრძლივობა გაგრძელდება ორი წლით.

ფრენშიზინგის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მხარეები ვალდებული არიან

- ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ფრენშიზის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება ერთ წელს აღემატებოდეს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ფრენშიზინგის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ მხარეებს?
3. რა ვადებია ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში?
4. რა არის ლოიალური კონკურენცია?

18. სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

სესხის ხელშეკრულებით

- გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს;
- მსესხებელი ვალდებულია იღებს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

სესხის ხელშეკრულების ფორმა შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი.

ზეპირი ფორმით სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

სესხის ხელშეკრულებისას პროცენტი უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელს უფლება აქვს:

- დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება
- ✓ თუ მსესხებელის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სესხის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ გამსესხებელსა და მსესხებელს?

19. გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი შეთანხმებული საზღაურის გადახდით ვალდებულია:

- გადაიტანოს ტვირთი;
- დანიშნულების ადგილზე გადაიყვანოს მგზავრი.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მოიაზრება ასევე ფრახტის (ჩარტერის) ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გამფრახტეელი ვალდებულია კისრულობს განსაზღვრულ საფასურად გადასცეს დამფრახტეელს ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების მთლიანი ან ნაწილი ტევადობა ერთ ან რამდენიმე რეისზე ტვირთის, ბარგისა და მგზავრთა გადაზიდვა-გადაყვანისათვის.

გადამზიდველი პასუხს აგებს

- მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის;
- ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის.

თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, მგზავრის მიერ ან მისი ბარგით, პასუხისმგებლობა არ დადგება.

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნაღების სახით, რომელიც სამ ცალად დგება და ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი, რომლებსაც ეხლევათ ზედნაღების თითო პირი, ხოლო ზედნაღების შემსახე პირი ტვირთს თან ერთვის.

ზედნაღებში მითითებული უნდა იყოს:

- გადაცემის დღე და ადგილი;
- გამგზავნის სახელი და მისამართი;
- გადამზიდველის სახელი და მისამართი;
- ტვირთის გადაცემის დღე და ადგილი;
- ტვირთის მიტანის ადგილი;
- მიმღების სახელი და მისამართი;
- ტვირთის სახეობის სახელწოდება და შეფუთვის სახე;
- გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა, ნიშნები და ნომრები;
- ტვირთის წონა;
- გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- საბაჟო და სხვა მსგავსი საშასხურების აღნიშვნა;
- სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვა;
- ხარჯები, რომელსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს;
- ტვირთის გამგზავნის დროს გადასახდელი ფასდამამატის ოდენობა;
- ტვირთის ღირებულებისა და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესების აღნიშვნა;
- გამგზავნის მითითებები გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ;
- ეადა, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა;
- გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალი.

ზედნაღებში მხარეებს შეუძლიათ ჩაწერონ ასევე სხვა მონაცემებიც.

ტვირთის მიღებისას გადამზიდველი ვალდებულია შეამოწმოს:

- ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნები და ნორმები ზედნაღებთან მითითებულ ფარგლებში;
- ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გამგზავნი უფლებამოსილია:

- განკარგოს ტვირთი;
- მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა;
- მოითხოვოს, გამგზავნმა არ შეცვალოს მიწოდების ადგილი, ტვირთი, არ მისცეს სხვა პირს.

გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა თუ დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის.

მტიკება იმისა, რომ ტვირთი დაიკარგა, დაზიანდა ან დაირღვა მიტანის ვადა, ეკისრება გადაზიდველს. თუ მიმღები ტვირთს ისე მიიღებს, რომ მის მდგომარეობას გადაზიდველთან ერთად არ შეამოწმებს და გადაზიდველს არ წაუყენებს პრეტენზიას დანაკარგის, თუ დაზიანების შესახებ, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ზედნაღებში მითითებულ მდგომარეობაში ჩაიბარა.

პრეტენზია ტვირთის ჩაბარების დღესვე უნდა იქნეს წარდგენილი, თუ საქმე გარეგნულად შესაძინე და-ნაკარგებსა და დაზიანებას ეხება, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია წარდგინება ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში.

პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ გადაზიდველსა და გამგზავსს?
3. რა არის ფრახტის (ჩარტერის) ხელშეკრულება?
4. რა თავისებურებებით ხასიათდება ზედნაღები?
5. როგორია პრეტენზიის წარდგენის ვადა გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებისას?

20. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით:

- ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელთა და შემკვეთის ხარჯზე განაზორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი;
- შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია.

განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდისას შემკვეთს შეუძლია ექსპედიტორს მოსთხოვოს ტვირთის ცალობრივი შემოწმება მისი მიღებისას.

იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთისაგან მიიღებს მოვალეობას, ექსპედიტორს ეკისრება ტვირთის დაზღვევა.

აღნიშნული ხელშეკრულებით პროვიზია გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სატრანსპორტო ორგანიზაციას ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ ექსპედიტორსა და შემკვეთს?

21. შუამავლობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურება

შუამავლობის ხელშეკრულებით შუამავლობის ხელშეკრულების საგანია საშუამავლო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება.

პირი, რომელიც გასამრჯელოს სხვას პირდება ხელშეკრულების დასაღებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია – გადაიხადოს გასამრჯელო მაშინ, თუ ამ შუამავლობის შედეგად დაიღო ხელშეკრულება თუ ხელშეკრულება იდება გადაღების პირობით, გასამრჯელო მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივად მოქმედი გასამრჯელო.

სამუშაოზე ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება მოიშალოს. ექსკლუზიური დავალება შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლით მოიშალოს. ექსსთვიანი ვადის გაცვლის შემდეგ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს.

საკონტრალო კითხვები:

1. რა არის შუამავლობის ხელშეკრულება?
2. რა უფლებამოსილება გააჩნიათ სამუშაოზე ხელშეკრულების მონაწილეებს?

22. საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების სამართალწარმოების ზოგადი დებულებები.

საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების სამართალწარმოება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, რომლის ძალითაც ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

სასამართლოში საქმის განხილვა იწყება მხოლოდ იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც თვლის, რომ დაირღვა ან შეიძლება კანონით დაცული მისი უფლებები ან ინტერესები.

სასამართლოში საქმის წარმოებას იწყებენ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ:

- დავის საგანს;
- თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებებს სარჩელის ან განცხადების შეტანის შესახებ.

მხარეებს შეუძლია საქმის წარმოება:

- დამთავრონ მორიგებით;
- უარი თქვან სარჩელზე;
- ცნონ სარჩელი.

საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მხარეები შეჯიბრებითობის საფუძველზე სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით:

- დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები;
- უარყონ ან გაატარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები;
- თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაეცოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საკონტრალო კითხვები:

1. რომელი კოდექსის საფუძველზე ხორციელდება საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების სამართალწარმოება?
2. ეინ იწყებს სასამართლოში საქმის წარმოებას?
3. ეინ არიან მხარეები და რა უფლებამოსილება გააჩნიათ მათ?
4. რის საფუძველზე მიმდინარეობს საქმის წარმოება სასამართლოში?

23. საპროცესო ვადები, საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საქმეები სასამართლოების მიერ განხილულ უნდა იქნეს განცხადების მიღებიდან ორ თვეში, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე ვადა შეიძლება გაგრძელდეს 5 თვემდე.

ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორცაა:

- ალიმენტის გადახდევინების;
- დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების;
- მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების;
- შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნილების შესახებ საქმეებზე

დავა განხილულ უნდა იქნეს 1 თვეში

საპროცესო ხარჯები შედგება:

- სასამართლო ხარჯებისაგან, რომელიც მოიცავს
 - ✓ სახელმწიფო ბაჟსა და
 - ✓ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- სასამართლოს გარეშე ხარჯები, რომლებიც მოიცავს:
 - ✓ ადვოკატისათვის გაწეულ ხარჯებს;
 - ✓ დაკარგულ ზღვფასს (განაცდურს);
 - ✓ მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს და
 - ✓ მხარეთა სხვა აუცილებელ ხარჯებს.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება სადავო საგნის ღირებულების შემდეგი ოდენობით.

| | | |
|-----------------|-------|-------|
| I ინსტანციაში | ----- | 2,5 % |
| II ინსტანციაში | ----- | 3 % |
| III ინსტანციაში | ----- | 4 % |

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.

სადავო საგნის ღირებულება განისაზღვრება მხარეთა მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ფასი აშკარად შეუსაბამოა, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე.

შესაძლებელია მოხდეს სასამართლო ხარჯებისაგან

- განთავისუფლება;
- გადახდის გადაღება, განწილვალება ან შემცირება;

საბოლოოდ, წაგებული მხარე იხდის საპროცესო ხარჯებს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა საპროცესო ვადებია სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს?
2. რისგან შედგება საპროცესო ხარჯები?
3. როგორია ინსტანციათა მიხედვით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა?

24. მხარეთა საპროცესო უფლებები

საქმის განხილვის დროს მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ:

- გაეცნონ საქმის მასალას;
- გააკეთონ ამონაწერი და საქმის მასალებიდან გადაიღონ ასლები;
- განაცხადონ აცილება;
- წარმოადგინონ მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში;
- შეითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს;
- განაცხადონ შუამდგომლობები;
- სასამართლოს მისცენ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება;
- წარმოადგინონ თვითნაირი დასკვნები და მოსაზრებები ყველა წამოჭრილ საკითხზე;
- უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები.
- გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები.

მოსარჩლეს ე. ი. იმ პირს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა ან შეიბღალა მისი უფლებები, უფლება აქვს:

- შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი;
- გააღდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა.

საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე – აღნიშნულის შესახებ სასამართლო ვალდებულია მოასუსხეს აცნობოს.

- ✓ სარჩელის საგნის ან
- ✓ საფუძვლის შეცვლა მოსარჩელის მიერ

საკონტროლო კითხვები:

1. რა საპროცესო უფლებები გააჩნიათ მხარეებს?
2. რა საპროცესო უფლებები გააჩნია მოსარჩელეს?

25. სასამართლო მტკიცებულებები

სასამართლო მტკიცებულებებზე ითვლება:

- ადგილზე დათვალიერება;
- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- მოწმეთა ჩვენებები;
- წერილობითი მტკიცებულებები;
- ნივთიერი მტკიცებულებები;
- ექსპერტის დასკვნა.

სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს სასამართლოში თითოეულმა მხარემ უნდა დამატკიცოს ის გარე-ობები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს ან შესაგებლს.

სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ამ თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღე-ბა და სასამართლოში წარდგება, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს თვითონ შეუძლია გამოითხო-ვოს მტკიცებულებები.

კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს.

არაერთარ მტკიცებულებას სასამართლოსთვის არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა დაეფუძნოს სასამართლო სხდომაზე მათ

- ყოველმხრივ;
- სრულ და
- ობიექტური განხილვას.

აღნიშნულის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ითვლება სასამართლო მტკიცებულებად?
2. ვის აწევს მტკიცების ტვირთი?
3. როგორ, რა კრიტერიუმებით აფასებს სასამართლო მტკიცებულებებს?

26. საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე აღიძვრება სარჩელით ან განცხადებით, რომელიც აუცილებელად წერილობითი სახის უნდა იყოს.

სარჩელში მითითებული უნდა იყოს:

- სასამართლოს დასახელება;
- მოსარჩელის სახელი, გვარი და მისამართი;
- წარმომადგენლის სახელი, გვარი და მისამართი;
- მოპასუხის სახელი, გვარი და მისამართი;
- მოსარჩელის მოთხოვნა;
- გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა;

სარჩელი და თანდართული საბუთები სასამართლოს უნდა წარედგინოს ასლების სახით იმდენი ცალი, რამდენიც მოპასუხება.

- სარჩელს აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში მოსამართლე ვალდებულია გამოიტანოს განჩინება;
- სარჩელის მიღების შესახებ;
- სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის აღძვრის დამამტკიცებელ გარემოებათა აცილების გზები.

სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან მოპასუხეს უფლება აქვს საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე, მოსარჩელის მიმართ აღძვრას შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. მისი აღძვრა შესაძლებელია ასევე სასამართლო პაუზის დამთავრებამდე.

შეგებებული სარჩელი ხასიათდება ზუსტად იმ თავისებურებებით, რაც სარჩელს გააჩნია.

სასამართლო შემოსულ სარჩელს მომზადების მიზნით გადაუგზავნის მოპასუხეს და დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე. აგრეთვე, წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები სარჩელთან დაკავშირებით.

მოსარჩელეს უფლება აქვს მოსამართლეს წარუდგინოს დამატებითი მტკიცებულებები და ასევე წერილობით აცნობოს თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობით პასუხზე მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

წერილობითი მასალების წარუდგენლობა, თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა, სასამართლოს მიერ ცნობილი არასაპატიო მიზეზის გამო, მხარეს უფლებას ართმევს, რომ მხარემ ეს მოქმედება შეასრულოს საქმის არსებითად განხილვის დროს.

მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე საქმეს საერთოდ მომზადებულად ცნობს, გამოიტანს განჩინებას საქმის მთავარ სხდომაზე მისი არსებითად განხილვის შესახებ.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე, პირველ ყოვლისა, დგინდება:

- გამოცხადებულია ვინაობა;
- წარმომადგენელთა უფლებამოსილება.

სასამართლო შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო მხარეებს განუმარტავს თავიანთ უფლებამოსილებას და მათ შორის აცილების უფლებას.

პირველ ყოვლისა, საქმის არსებითად განხილვის დროს, მთავარ სხდომაზე მხარეებს ჩამოერთმევათ ახსნა-განმარტებები. მხარეებს უფლება აქვთ ერთმანეთს დაუსვან კითხვები და ვალდებულნი არიან პასუხი გასცენ მოსამართლეთა კითხვებს.

მხარეთა შორის შეეძირს ხელმძღვანელობს სასამართლო.

ამვე დროს, მოწმდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და იწყება მხარეთა პაექრობა, შემდეგი თანმიმდევრობით:

- მოსარჩელე;
- მოპასუხე.

მხარეთა პაექრობის შემდეგ უკანასკნელი რეპლიკის უფლება ეკუთვნის მოპასუხეს, რის შემდეგაც სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად.

საკონტროლო კითხვები:

1. რის საფუძველზე აღიბრება საქმე?
2. რა უნდა იყოს მითითებული სარჩელში?
3. რა უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს სარჩელის შესვლის მომენტიდან?
4. რა დადგინდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე?

27. გამარტივებული წარმოება

სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოება მოიცავს:

- სასარჩელო წარმოებას;
- გამარტივებულ წარმოებას;
- უდავო წარმოებას.

გამარტივებული წარმოება გულისხმობს:

- თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელის განხილვას;

- დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვას;
- ლიზინგის საქმის გამტევის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვას.

სასამართლოში გამარტივებული წესით საქმის განხილვა პირისათვის უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან ამ წესით საქმე განიხილება

- სწრაფად;
- იზოგება უპირავე დრო და საშუალება.

სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, გამარტივებული წარმოება შეცვლილი წარმოებაა. იგი სამოქალაქო დავათა ოპერატიულად განხილვისა და გადაწყვეტილების საშუალებაა.

საკონტროლო კითხვები

1. სამოქალაქო სამართალწარმოების რა სახეებია?
2. რა არის გამარტივებული წარმოება და რა თვისებებით ხასიათდება იგი?
3. გამარტივებული წარმოების რა სახეებია ცნობილი?

28. საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია

საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია არის უდავო წარმოების ერთ-ერთი სახე, რომელშიც გაერთიანებულია ასევე:

- იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების აღდგენა;
- მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება;
- მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება;
- დაკარგულ ან განადგურებულ საწარმოშემადგენლო ფასიან ქაღალდსა და სივრცით ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება);
- ქონების უპატრონოდ ცნობა;
- შვილად აყვანა;

სასამართლო ვალდებულია:

- საწარმოს რეგისტრაცია განახორციელოს საჭირო საბუთების წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში;

კავშირის რეგისტრაცია განახორციელოს განცხადების შეტანიდან 1 თვის განმავლობაში;

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს იტყვის საწარმოს ან კავშირის რეგისტრაციაზე, მიღებული განჩინება პირს შეუძლია გაასაჩივროს კერძო საჩივრით.

საკონტროლო კითხვები

1. რომელ წარმოებაში შედის, საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია?
2. რა სახის საქმეები განიხილება უდავო წარმოების წესით?
3. როგორია ვადა საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციისათვის?

29. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება. აპელაცია და კასაცია

თუ ერთ-ერთი მხარე არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას შეუძლია მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივროს აპელაციის წესით.

საქართველოში სააპელაციო სასამართლოს ფუნქციები გააჩნია:

- თბილისის საოლქო სასამართლოს, აღმოსავლეთ საქართველოს მისმტაბით;
- ქუთაისის საოლქო სასამართლოს, დასავლეთ საქართველოს მისმტაბით;
- აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოს;
- აჭარის უმაღლეს სასამართლოს..

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება 500 ლარს აღემატება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოება ხორციელდება ზუსტად იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია ინსტანციით საქმის წარმოების დროს, ანუ დგინდება საქმის

- ფაქტობრივი
- იურიდიული გარემოებები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მაშინ მიღებული გადაწყვეტილება კასაციის წესით გასაჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კასაციის საქმის გასაჩივრების თავისებურება ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში დგინდება მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელოვანი

- იურიდიული გარემოებები

ანუ როგორია

- ✓ მატერიალური და
- ✓ პროცესუალური

ნორმების გამოყენება ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ.

საკასაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება 1 000 ლარს აღემატება.

ლაუშვებელია ინსტანციათაშორის გამოტოვების გზით საქმის გასაჩივრება.

საკონტროლო კითხვები:

1. რა თავისებურებით ხასიათდება საქმეთა გასაჩივრება?
2. რა არის აპელაცია და რომელ სასამართლოს აკისრია აპელაციის ფუნქცია?
3. რა შემთხვევაში დაიშვება აპელაცია?
4. რა არის კასაცია და რომელ სასამართლოს აკისრია კასაციის ფუნქცია?
5. რა შემთხვევაში დაიშვება კასაცია?

თავი 3

სამეწარმეო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

წინამდებარე თავში განხილულია, სადაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში, ქვეყანაში მიღებული სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ნორმები, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის ცნება და მისი ნიშნები.

მოკლედ არის დახასიათებული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნების, რეგისტრაციის პირობები, სამეწარმეო რეესტრის ცნება. იურიდიული პირების არსი და მცირე საწარმოს ცნება.

თავი ასევე ეხება საწარმოთა მართვისა და ზელმშეკრულების საკითხებს. პარტნიორობა უფლება-მოვალეობებს. საწარმოთა კაპიტალის შექმნის, დაფინანსების, ფულადი და არაფულადი შენატანის, საწესდებო კაპიტალისა და საზოგადოების ქონების ცნებებს. სამეწარმეო საქმიანობის შემოწმებისა და დავეების რეგულირების საკითხებს.

1. სამეწარმეო საქმიანობის ცნება, მისი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

ამ თავში, სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება და საწარმოთა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმების მიმოხილვა, ძირითადად, დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1994 წელს. კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, იგი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და არა სამეწარმეო საქმიანობაში წარმოშობილ ყველა ურთიერთობას. ამასთან, კანონის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობად ითვლება არა ნებისმიერი, არამედ მართლზომიერი და არაერთგვარადაი საქმიანობა, რომელიც ზორციელდება მოგების მიღების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ნიშნებია: ა) მართლზომიერი საქმიანობა; ბ) არაერთგვარადაი საქმიანობა; გ) მოგების მიღება; დ) საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლად; ე) საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა.

ზოგადად, სამართლის თეორიაში, მართლზომიერად მიიჩნევა ნებისმიერი საქმიანობა, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ ნორმებსა და ასევე, საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ, საყოველთაოდ დამკვიდრებულ და აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ჩვეულებებსა და ტრადიციებს. საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული ცალკეული საქმიანობა, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 257-ე მუხლის შესაბამისად, დასჯადია პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დაშვება ან გასაღება, 265-ე მუხლით კი ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვა, მოყვანა ან კულტივირება და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართლზომიერია ნებისმიერი საქმიანობა, თუ ნორმატიული აქტით პირდაპირ არ არის აკრძალული.

კანონი ადგენს, რომ მეწარმეობად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც ატარებს არაერთგვარად ხასიათს, ანუ მეწარმეობა არის სისტემატურად და მიზანმიმართულად განხორციელებული საქმიანობა.

ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი საწარმოს მიზანია წესდებით გათვალისწინებული და კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განხორციელება სისტემატურად და განუსაზ-

ღერელი ვადით. რეესტრაციის პროცესის დასრულება, ფაქტობრივად, აღასტურებს საწარმოს დამფუძნებლების განზრახვას არაერთგვარადად ანუ სისტემატურად აწარმოონ თავიანთი საქმიანობა მოგების მიღების მიზნით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც იმავდროულად დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. ამასთან ერთად, სამეწარმეო საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად ასევე ჩაითვლება, მოგების მიღების მიზნით თუნდაც ერთხელ განხორციელებული კომერციული ან სხვა საქმიანობა. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის №273-III დადგენილების საფუძველზე, ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარების მიზნით 300 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის 20 კილოგრამზე და არაერთგვაროვანი საქონლის 50 კილოგრამზე მეტი რაოდენობის შემოტანა 100 კილოგრამ წინამდებ დათბერვა ყოველი კილოგრამი ერთი ლარით, ხოლო 100 კილოგრამის ზემოთ საქონლის შემოტანა განიხილება კომერციულ საქმიანობად და იბეგრება საერთო წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეწარმეო საქმიანობის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია მოგების მიღება. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს თავისი სამეწარმეო საქმიანობისას განზრახული აქვს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება, ანუ შექმნას და დააბრუნოს შესაბამისი კაპიტალი წარმოების განვითარებისათვის, სოციალური და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის ფიზიკური თუ იურიდიული პირი ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს – მიიღოს მოგება, მათი მთავარი მიზანი და განზრახვა მოგების მიღებაა. ამ პროცესში სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლობა გულისხმობს არა ყოველმხრივ დამოუკიდებლობას, არამედ სამართლებრივ დამოუკიდებლობას. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი თვითონ იღებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ნებისმიერ გადაწყვეტილებას, შეზღუდული არ არის აირჩიოს თავისი საქმიანობის სახე და მიმართულება, შეადგინოს ბიზნესგეგმები, თვითონ გადაწყვიტოს და შექმნას მმართველობითი ორგანოები, დანიშნოს დირექტორი და დამოუკიდებლად განახორციელოს სხვა საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელება გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის შესაბამისად ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებას, მმართველობითი ორგანოს შექმნას და სამეწარმეო რეესტრში რეესტრაციას.

კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირის სახელწოდებით, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, სააღვრეო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. რეესტრაცია კი სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მანძი.

კანონის ეს მოთხოვნა ერკვლება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ჩამოთვლილი საქმიანობა განიხილება სამეწარმეო საქმიანობად. დღეისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილია მრავალი სააღვრეო, არქიტექტურული, აუდიტორული, სამედიცინო საზოგადოებები.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გარდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა, მიღებულ იქნა სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. მათ შორის თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1991 წლის კანონმა „სამეწარმეო საფუძვლების შესახებ“, 1992 წლის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებამ „ცალკეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის დროებითი წესის შესახებ“, 1993 წლის სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებამ „საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადარეგულირების ღონისძიებათა შესახებ“, 1997 წლის პრეზიდენტის განკარგულებამ „საქართველოში მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, 1999 წლის საქართველოს კანონმა „მცირე საწარმეთა მხარდაჭერის შესახებ“, 2001 წლის კანონმა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, 2002 წლის კანონმა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ და სხვა ნორმატიულმა აქტებმა.

საკონტროლო კითხვები:

1. სამეწარმეო საქმიანობის ცნება.
2. სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ნიშნების დახასიათება.
3. სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები.

2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნება, რეგისტრაცია, ლიკვიდაცია და სამეწარმეო რეესტრის ცნება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილია საწარმოთა ექვსი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:

ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი.

ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი არის ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, საკასო და საბუღალტრო საქმე. სამეწარმეო ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

მიუხედავად იმისა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმე ანუ ფიზიკური პირი გამოდის საკუთარი სახელით, როგორც დამოუკიდებელი პირი. ის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმიანობას წვეტს ერთპიროვნულად და კრედიტორების წინაშე პირადად არის პასუხისმგებელი თავისი ქონებით. ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილი საწარმოს მფლობელი და სარგებლობდეს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ იურიდიულ პირებს. ამასთან ერთად, უფლებამოსილია ეწეოდეს ნებისმიერ საქმიანობას, რაც აკრძალული არ არის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

ნიშნდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის ერთი და იგივე უფლებამოსილებიანი გააჩნია, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, თუ ისინი დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, გადასახადების ოდენობა და რეჟიმი, საქართველოს მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ასევე, ინდივიდუალურ საწარმოებსა და იურიდიულ პირებზე ერთნაირად ვრცელდება.

დღეისათვის მოქმედი კანონების შესაბამისად, ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრირებული უნდა იყოს სცხოვრებული ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციის მიერ წარმოებულ სამეწარმეო რეესტრში. იგი ვალდებულია აწარმოოს განხორციელებული, საქმიანობის აღრიცხვა, ანუ მონეწარმეობის კონტროლი საკასო და საბუღალტრო საქმე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) წარმოადგენს იურიდიულ პირს. კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას და კარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეუძლია დააფუძნოს ორმა ან მეტმა ფიზიკურმა პირმა ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით სამეწარმეო საქმიანობის არაერთჯერად და დამოუკიდებლად განხორციელების მიზნით. საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თითოეული პარ-

ტნიორი უშუალოდ, მილიანად და პირდაპირ, შეუზღუდავად და სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით. ამასთან, კრედიტორი უფლებამოსილია ვალის გადახდის მოთხოვნა წაუყენოს მთელ საზოგადოებას, გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში კი კონკრეტულ პარტნიორს. კრედიტორის ვალის გადახდა უზრუნველყოფილია, როგორც საზოგადოების, ასევე პარტნიორების ქონებით. კანონის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია ვალის გადახდის მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ პარტნიორს, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა ამ პარტნიორმა მონაწილეობა კრედიტორთან უშუალოდ სამეწარმეო გარიგებაში ან სხვა საქმიანობაში. ვალის გადახდის შემდეგ პარტნიორს უფლება აქვს შეეგებებოდეს მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ იმ პარტნიორს, რომლის ქმედებითაც საზოგადოებაში წარმოიშვა ეს ვალი.

კანონით დადგენილია, რომ ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან ეკუთვნის წილი თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის ოდენობით. ამასთან, თუ წლიური მოგება მცირეა და საკმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება შესაბამისად უფრო დაბალი პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორის წილად მოსული მოგების დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება პარტნიორის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც მან სამეურნეო წლის განმავლობაში შესატანის სახით შესრულა, ამ სამუშაოს შესრულებიდან გასული დროის გათვალისწინებით. მოგების ის ნაწილი რომელიც აღებატება მითითებულ გამოსანგარიშებულ წილ მოგების თანხას და სამეურნეო წლის ზარალი განაწილდება პარტნიორთა შორის და მიებატება (გამოაკლდება) მათ წილ კაპიტალს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა წესებსაც.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელი არ შეძლება იყოს აუქრადიული პარა. დაფუძნება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეთანხმების საფუძველზე. ამ შეთანხმების პირობები აუცილებლად უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში.

კომანდიტური საზოგადოება (კს) არის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსი საზოგადოება. მთავარ განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს კომანდიტურ საზოგადოებაში პარტნიორთა ორი კატეგორიის არსებობა – კომანდიტებისა და კომპლემენტარების – კომანდიტის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით. კომპლემენტარები პერსონალურად პასუხისმგებელი პირებია და მათი პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის.

კომანდიტური საზოგადოების ცნებიდან გამომდინარე, მისი დამფუძნებლები უნდა იყოს სულ ცოტა ერთი კომპლემენტარი ანუ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი და ერთი კომანდიტი, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით. ამასთან, კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. კომანდიტი კი შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. კომანდიტად შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფოც.

პარტნიორთა წილი წლიური მოგებაში, თუ მოგება არ აღებატება წილი კაპიტალის ოთხ პროცენტს განისაზღვრება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესების შესაბამისად. სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი, რომელიც აღებატება ამ თანხას, პროცენტულად ნაწილდება პარტნიორთა შორის, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამასთან, განაწილების პროპორციულობის დასადგენად მხედველობაში მიიღება კომანდიტის წილი კაპიტალი და მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ კომანდიტი შესატანის საბოლოო შეტანამდე პასუხს ატებს საზოგადოების კრედიტორების წინაშე მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით. შესატანის სრულად შეტანა კომანდიტს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, თუ მან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად გამოიყენა. ბოროტად გამოიყენება კი ჩაითვლება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამოდინარეობს, თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აქისრია საზოგადოებას და რომელი არა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის

პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, თუ მან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად არ გამოიყენა. (მუხლი 3.4).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ამ ცნებიდან გამომდინარე, იგი იქმნება პარტნიორების მიერ კაპიტალის გაერთიანების შედეგად. შესატანი კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ქონება (მუხლი 3.3.). საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია და იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს პირადად არ აგებენ. საზოგადოების ვალდების დაფარვაში პარტნიორების მონაწილეობა გამოიხატება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონებით.

საზოგადოება არის იურიდიული პირი, მისი დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური პირები, ასევე იურიდიული პირები. საზოგადოების დამფუძნებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოც.

საზოგადოების მმართველი ორგანოებია: პარტნიორობა კრება და დირექტორატი. გარდა ამისა, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას.

კანონით აუცილებელი არ არის, რომ დირექტორებად და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეული იყვნენ დამფუძნებლები. მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ იქნება დირექტორი.

კანონის შესაბამისად, პარტნიორებს შეუძლიათ წილის გასხვივება და მემკვიდრეობით გადაცემა. ამასთან, წესდებით შეიძლება განისაზღვროს სხვა პირობაც და წილის გასხვივისთვის საჭირო გახდება საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორობა კრების გადაწყვეტილება. პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების დადებას. პარტნიორებს უფლება აქვთ შეამოწმონ და კონტროლი გაუწიონ საზოგადოების ხელმძღვანელობას. დირექტორები პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე ვალდებული არიან დაუყენებლივ მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, ნება დართონ პარტნიორებს გაეცნონ საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს, სამეურნეო წლის ბოლოს, წილის პროპორციულად, მოგების მიღების უფლება აქვს. ამასთან, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება პარტნიორებს შორის კი არ განაწილდება, არამედ შეიქმნება რეზერვები და მოხმარდება საზოგადოების განვითარებას.

სააქციო საზოგადოება (სს) არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქტიებად. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს სულ მცირე თხუთმეტ ათას ლარს (მუხლი 51).

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებას გააჩნია აქტიებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც გააჩნია ნომინალური ღირებულება, ანუ ის ღირებულება, რომლითაც გაიცა აქცია და რეგისტრაციაში გატარდა საზოგადოების წიგნში. აქცია ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში.

აქცია არის ორი სახის – ჩვეულებრივი და პრივილეგირებული, რომელსაც გაცემს საზოგადოება სახელლობითი ფორმით. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. საზოგადოებას უფლება აქვს გამოუმუშავოს პრივილეგირებული აქციები, რომელიც უზრუნველყოფს დივიდენდების მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით. სააქციო საზოგადოებაში ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას სათანადო ფისის პროსპექტი. ლიკვიდირებული სააქციო საზოგადოების ქონება, ვალდების დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში ნაწილდება პრივილეგირებულ აქციათა მფლობელებზე, მათი წილის შესაბამისად.

სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი, რომელიც თავისი ქონებით პასუხს აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე. აქციონერებს საზოგადოების კრედიტორების წინაშე არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. სააქციო საზოგადოებას უნდა გააჩნდეს საწესდებო კაპიტალი, რომლის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს თხუთმეტ ათას ლარზე ნაკლები.

ფასიანი ქაღალდების სახეები, აქციონერთა უფლებები და მოვალეობები, აქციათა გამოსყიდვის წესი, წლიური ანგარიში, მოგების გამოყენება, რევიზიის ჩატარების, კაპიტალის შექმნის პირობები და სააქციო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები უფრო ფართოდ განხილული იქნება სახელმძღვანელოს სხვა თავებში.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მუშაობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კანონის ამ ცნებიდან გამომდინარე, კოოპერატივის მთავარ ამოცანას წარმოადგენს წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ კოოპერატივს არა აქვს მოგების მიღების უფლება.

კოოპერატივები თავისი საქმიანობის საგნის მიხედვით იყოფა შემდეგ ეკუთვნება:

1. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;
2. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;
3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნის დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);
4. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემპენი და საცალო ეტყობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;
5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;
6. სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;
7. სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივი თავის ვალდებულებებზე კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. საზოგადოების ვალზე კოოპერატივის წევრები პასუხს არ აგებენ. კანონით დასაშვებია კოოპერატივისათვის წევრის მონაწილეობა სხვა კოოპერატივში, თუ ეს უკანასკნელი მოწოდებულია ემსახუროს პირველი კოოპერატივის წევრთა შემოსავლის მიღების ან მათი მუშაობის განვითარების ხელშეწყობას.

კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. კანონის შესაბამისად კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც დამფუძნებლები, ასევე კოოპერატივის დაფუძნების შემდეგ დამატებით მიღებული პირები.

კანონით კოოპერატივის წევრის პაის მინიმალური ოდენობა დადგენილი არ არის, იგი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. აუცილებელია, რომ ყოველი მათ იყოფოდეს ორმოცდაათზე უნაშთოდ. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მათი. კოოპერატივის წევრის საპაიო შენატანი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე სხვა უძრავი და მოძრავი ქონების სახით.

კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმიანობასთან დაკავშირებით ახორციელებენ საერთო კერძაზე. კრება გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით. ამასთან ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე ხმის მიცემის უფლებას იმ წევრებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს კოოპერატივის საქმიანობის განვითარებას. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის პირობები დგინდება კოოპერატივის წესდებით. დაუშვებელია სამ ხმაზე მეტი ხმის მიცემის უფლება.

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენლობითი კრება. წესდებით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე წარმომადგენლობითი კრების მოწვევა, თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა ორმოცდაათი წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ განსაზღვრული წევრები. წარმომადგენელად შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი წევრი, რომელიც არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური საწარმოს დამფუძნებელია მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმე ანუ ფიზიკური პირი. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო, რომელიც ვალდებულია შექმნას სამეწარმეო რეესტრი და დადგინილი წესით შეიტანოს შესაბამისი მონაცემები. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლებია ორი ან მეტი ფიზიკური პირი. კომანდიტური საზოგადოების დამფუძნებლებია: 1. პერსონალურად პასუხისმგებელი პირები ანუ, როგორც მას კანონი განსაზღვრავს – კომპლექტარები და რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური პირი; 2. კომანდიტები, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე დადგენილია მის მიერ შეტანილი საგარანტიო თანხით. კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კომანდიტად შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფოც. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფოც. ის შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი. საქონელ საზოგადოების დამფუძნებლებია აქციონერები. აქციების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური და იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც. რაც შეეხება კოოპერატივის, მისი დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ საზოგადოების მკაიეები, ფიზიკური ან იურიდიული პირები.

კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ საზოგადოებების რეგისტრაცია ხდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ. საწარმოს რეგისტრაციის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს, საქმიანობის საგანს, მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ, ხელს აწერენ საზოგადოების პარტნიორები ან საზოგადოების წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოს შესაძლო წევრები.

საზოგადოების რეგისტრაცია სასამართლოში ხდება სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით. სამეწარმეო რეესტრის მონაცემები საჯაროა, მისი გაცნობისა და რეესტრის მონაცემების მიღების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლოები ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებენ.

ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, სამეწარმეო სუბიექტი (საწარმო), დასაქმებულთა რაოდენობისა და წლიური ბრუნვის მოცულობიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს მცირე, საშუალო ან მსხვილი.

საქართველოს კანონი "მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ" განსაზღვრავს მცირე საწარმოთა განვითარებას და მხარდაჭერის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს. ამ საკანონმდებლო აქტის მეორე მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება "შეწინააღმდეგება შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელიც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობას:

1. მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს.
2. საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს

ამასთან, კანონით განსაზღვრულია, რომ დადგენილი რაოდენობის გადაამეტების დღიდან საწარმო არ ჩაითვლება მცირე საწარმოდ.

საწარმო არ ჩაითვლება მცირედ, თუ მისი საწესდებო კაპიტალის 25%-ზე მეტი ეკუთვნის პირს ან პირებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მცირე საწარმოთა ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ან მის ძირითად საქმიანობა წარმოადგენს საბანკო, სადაზღვევო და სხვა ფინანსური მომსახურება.

საკონტრაქტო კითხვები:

1. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების – ინდივიდუალური საწარმოს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის ცნება.
2. საწარმოთა დაფუძნება და რეგისტრაცია.
3. მცირე საწარმოთა ცნება.

3. საწარმოს მართვა და ხელმძღვანელობა

საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” ადგენს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილ საწარმოებში მართვისა და ხელმძღვანელობის ფორმებსა და პრინციპებს. საწარმოში ხელმძღვანელობის საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს. კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს. კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს. ამასთან, კოოპერატივში დირექტორად იგულისხმება გამგეობის წევრი. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას. ამავე დროს წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიოს ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, ამ კანონის შესაბამისად არსებობს საზოგადოების უფლებამოსილება შეზღუდვის სამეთვალყურეო ორგანოს ან საზოგადოების კრების აუქციონელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორს, კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის დირექტორებს უფლება არა აქვთ პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას. ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს დირექტორებს.

ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადოების ხელმძღვანელები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნონ ჩვეულებრივი კომპერანტივის გულისხმობებითა და კეთილსინდისიერებით. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზარალისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად ავებენ პასუხს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავისი მოვალეობა.

კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობისათვის კონსულტაციების გაწვევის მიზნით, შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. დირექტორები და კომპლემენტარები არ შეიძლება იყვნენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

ჩამოთვლილი საზოგადოების ხელმძღვანელები წარმართავენ საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და ამ საქმიანობიდან გამომდინარე უფლებამოსილი არიან ყოველგვარი რწმუნების გარეშე წარმოადგინონ საწარმო შესაბამის პირობებში წესდებით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად. კანონის შესაბამისად, საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს პროკურისტი (საერთო მინდობილობით აღჭურვილი პირი), საეკსპერტო წარმომადგენელი (თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, იგი წარმოადგენს გენერალურ საეკსპერტო მინდობილობას), დამოუკიდებელი მოვაჭ-

რე კომისიონერი, სავაჭრო მაკლერი და სამოქალაქო კოდექსისა და “მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად რწმუნებით აღჭურვილი ნებისმიერი პირი გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. ამასთან, კანონით განსაზღვრულია, რომ საზოგადოების სახელით მინდობილობის გაცემის უფლება აქვთ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს.

კანონის შესაბამისად შექმნილი ნებისმიერი საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ძირითად საკითხებზე.

სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებაში იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, იღებს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების კომპეტენციას შეადგენს წლიური ანგარიშის შემოწმება და მიღება, ასევე სამეურნეო შედეგების განაწილება, დირექტორების დანიშვნა, გამოწვევა და მათი ანგარიშების დამტკიცება, დირექტორებთან შრომითი ხელშეკრულების დადება. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას, კრება ასევე წვეტს პარტნიორის გარიცხვის საკითხს, საზოგადოების წესდების შეცვლის, კაპიტალის შემცირებისა და გაზრდის, საზოგადოების მიზნების გაფართოების, სხვა საწარმოთა შექმნის, გასხვისებისა და სხვა მნიშვნელოვან და ძირითად საკითხებს.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება იხილავს წლიურ შედეგებს. კრება უფლებამოსილია აგრეთვე შეცვალოს წესდება, საზოგადოების საქმიანობის საგანი, მიიღოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის, შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ, აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭო და სხვ.

კოოპერატივის საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს, იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების ან წლიური დანაკლისის დაფარვის, წესდებაში ცვლილების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე; ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს

სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში მართვის ორგანოს წარმოადგენს ასევე სამეთვალყურეო საბჭო. კანონის შესაბამისად ამ საზოგადოებებში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა აუცილებელია. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კი “მეწარმეთა შესახებ” კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია შექმნას სამეთვალყურეო საბჭო, რომლის მიმართ გამოიყენება სააქციო საზოგადოების წესები.

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორებს, ამოწმებს წლიურ ანგარიშებას, მოგების განაწილების წინადადებას და ამის შესახებ მოახსენებს საერთო კრებას. მრავალი მნიშვნელოვანი საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საზოგადოების მართვას ერთპიროვნულადც და კოლექციონურადც. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების მართვას ერთპიროვნულად. ამავე დროს საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ ორმა დირექტორმა ერთობლივად უხელმძღვანელოს საწარმოს ან ყველა დირექტორი ვალდებული იყოს, ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა.

როგორც ვნახეთ, კანონი ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისას საზოგადოების ხელმძღვანელების უფლებამოსილებას ზღუდავს, სამეთვალყურეო საბჭოსა და საერთო კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

საზოგადოების წესდებით ასევე უნდა განისაზღვროს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. იგი შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს წარმომადგენლობისათვის უფლებამოსილი პირების ერთპიროვნულად მოქმედებას, პროკურისტებსა და სხვა პირებთან ერთად.

კანონით დადგენილია, რომ წარმომადგენლობის სახე და წესი აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამეწარმეო რეესტრში.

იმ შემთხვევაში თუ კონტრაგენტისათვის გარიგების ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი წინასწარი ურთიერთშთანხმებით განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაღვეს იმ საზოგადოებას, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით.

საზოგადოების ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმომადგენელი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

4. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი. უმრავლესობის კონტროლი და უმცირესობის უფლებების დაცვა

პარტნიორების მიერ ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, კანონით დადგენილია საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა შეზღუდვა, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისათვის გადაწყვეტილების მიღებისათვის სამეთვალყურეო ორგანოს ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

კანონით დადგენილია პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღების, კონტროლისა და შემოწმების მოთხოვნის უფლება, საზოგადოების წლიური ანგარიშის ასლის მოთხოვნის უფლება. მას შეუძლია შეაბრუნოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, როგორც უშუალოდ, ისე დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით. პარტნიორს ასევე უფლება აქვს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე მოსთხოვოს შესაბამისი განმარტებები მის შესახებ. პარტნიორის კონტროლისა და შემოწმების უფლებების გაზრდა შესაძლებელია საზოგადოების წესდებით ან სხვა კანონით. კანონი ასევე განსაზღვრავს პარტნიორის ვალდებულებებს. კომანდიტური საზოგადოების კომანდითი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, საეკიო საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერი, კოპერატივის დამფუძნებელი წევრი შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეტანილი შესატანის ოდენობით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების კომპლენენტარები საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

პარტნიორს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილ სამეწარმეო საზოგადოებაში აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მათ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნონ საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს. საეკიო საზოგადოების აქციონერები თავიანთ უფლებებს – მხის უფლებას, ინფორმაციის მიღების, კონტროლის, ორგანოზე საერთო კრების მოწვევის, ასევე საერთო კრების გასაჩივრების უფლებას, ახორციელებენ საერთო კრებაზე. ამასთან, აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს განმარტება და გამოთქვას თავიანი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილოს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა დასაბუთდეს.

საეკიო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის ზუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედების ან მთლიანად წლიური ბალანსის საეკიოლური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს თუ საერთო კრება ამგვარ მოთხოვნას არ დააკმაყოფი-

ლებს, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ შეიძლება მიიღოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილსამყოფელი. მათ ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად რეგარემუ კერების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. თუ დირექტორები მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში არ მოიწვევენ კრებას, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებამ არ განაზოციელა თავისი მოთხოვნა შესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსაზოციელებლად. იგი ჩაითვლება სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს შესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძერა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება ვალდებულია აქციონერს აუნაზღაუროს სარჩელთან დაკავშირებული კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოს ხარჯები, ადეუკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობებისაგან, თუ იგი დამტკიცებს, რომ სარჩელის ანაზღაურება საზიანო საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიწნულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშეა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

კანონით ასევე დადგენილია აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მან განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. ამ შემთხვევაში აქციონერმა დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

საკონტროლო კითხვები:

1. საზოგადოების მართვისა და ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები;
2. პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები;
3. საზოგადოების კონტროლის სისტემა.

5. საწარმოს კაპიტალი და დაფინანსება

კომანდიტური საზოგადოების, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის დაარსებისას აუცილებელია პარტნიორების მიერ ფულადი ან არაფულადი ქონების შეტანა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული ოდენობით.

ამასთან, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ორი ათასს ლარს. თითოეული პარტნიორისათვის შესატანი შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს. სააქციო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობა თხუთმეტი ათასი ლარია. კოოპერატივში საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა კანონით გათვალისწინებული არ არის, იგი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ, მაგრამ ყოველი ჰაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. ე.ი. მინიმალური ჰაი შეიძლება იყოს 50 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გაეითვალისწინებთ, რომ კოოპერატივის დაფუძნებისათვის აუცილებელია სულ ცოტა, ორი პარტნიორი (მეგაიე) მინც, მაშინ ბუნებრივია კოოპერატივის მინიმალური საწესდები კაპიტალი შეადგენს ას ლარს. კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტის შესატანის ოდენობაზე კანონით არანაირი წესი არ არის დადგენილი. იგი მხოლოდ წესდებით დგინდება.

საწესდებო კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის, როგორც წესი, იგი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ მათი ფინანსური მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

კანონით დადგენილია, რომ ფულადი შენატანის დროს თანხა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ვალუტით, მაგრამ საზოგადოების საბუღალტრო წიგნში იგი აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეროვნული ვალუტით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. პარტნიორები ვალდებული არიან დროულად შეიტანონ შესატანი. ისინი არ შეიძლება განათავისუფლდნენ შესატანის შეტანისაგან. შესატანის უკან დაბრუნება კომანდიტურ, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივებში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისათვის საჭიროა ცვლილების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში.

როგორც ზემოთ მითითებულ, კანონით დადგენილია, რომ საწესდებო კაპიტალში შესატანი შეიძლება წარმოადგენდეს იქნეს, როგორც ფულადი, ასევე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტის სახით ანუ არაფულადი შესატანი. პარტნიორების მიერ, როგორც ფულადი, ისე არაფულადი შესატანი აღინიშნება საზოგადოების წესდებაში. არაფულადი შენატანისას აუცილებელია ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, სადაც უნდა მითითოს ამ ქონების სახეობა და მისი საბაზრო ღირებულება. ეს ქონება აუცილებლად უნდა გადავიდეს საზოგადოების რეალურ მფლობელობაში და წარმოადგენდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის საგანს იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობას შეეძლოს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

არაფულადი შენატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უძრავი და მოძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ. ასევე არამატერიალური აქტივები.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ კომანდიტური საზოგადოების კომანდიტო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერი, კოოპერატივის დამფუძნებელი წევრი (შეპაი) შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხის ავებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით. ე. ი. როგორც სას-ის პარტნიორი ან ეს-ის კომპლიმენტარი შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდებით უფრო მეტის შეტანა არ არის გათვალისწინებული. დარჩენილი შესატანის შეტანის ვალდებულება უნდა ითვალისწინებდეს.

იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა გადააცილა საწესდებო კაპიტალის შესატანის შეტანის ვადა, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გათვინილოს იგი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვის ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი კარგავს. ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგების წილს. ამის შესახებ პარტნიორს უნდა განემარტოს წერილობით. გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება, თუ დამფუძნებელი პარტნიორის მიერ შესატანის შეუტანლობის გამო არ შეიქცება ამ ფორმის საწარმოსათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი, შეუსრულებელი შესატანი ნაწილდება სხვა დამფუძნებელ პარტნიორებს შორის (გარდა სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების პარტნიორებისა) მათი წილის პროპორციულად.

საკონტროლო კითხვები:

1. საწესდებო კაპიტალის ცნება;
2. ფულადი და არაფულადი შენატანის ცნება;
3. პარტნიორების პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალის არადროულად შეტანის ან ნაწილობრივი შეტანისათვის;
4. საწესდებო კაპიტალის უკან დაბრუნების პირობები.

6. სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების პირობები და დაევის რეგულირება

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი საზოგადოების პარტნიორებს აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. კანონით დადგენილია, რომ საზოგადოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ საბუღალტრო წიგნები, საინვესტიციური აქტივების ლობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის შეიკვლილები ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები, ასევე მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია.

კანონი განსაზღვრავს ხანდაზმულობისა და გასაჩივრების ვადებს. პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა ხუთი წელია მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გაცლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამავე დროს დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გავლის შემდეგ.

სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე მხარის განცხადების საფუძველზე მოითხოვოს ერთ-ერთი მხარის საბუღალტრო წიგნები. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თანდასწრებით ამ წიგნების შინაარსის გაეცნობა, თუ ისინი დაევის საგანს შეეხება. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამონაწერების გაკეთება. საბუღალტრო წიგნების სხვა მონაცემები სასამართლოს შეიძლება წარედგინოს იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის აღიარების შესაძლებლად. კრებრივი დაევის დროს, კერძოდ, მემკვიდრეობის, საზოგადოების კრებრივი გაფიქროს საქმეებზე სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ყველა წიგნის წარდგენა, მათი სრული შინაარსის გაეცნობის მიზნით. მხარეებს შეუძლიათ საკუთარი ხარჯებით წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტების აუდიო-ვიდეო და სხვა ტექნიკური საშუალებებით შესრულებული ჩანაწერები. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაიბეჭდოს ეს დოკუმენტები ან სასამართლოს წარედგინოს ისეთი რეპროდუქცია, რომლის წაყითხვაც შესაძლებელი იქნება.

გარდა აღნიშნულისა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ყველას აქვს უფლება თვისუფლად ეწვიოს სამეწარმეო საქმიანობას. მისი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად შეიძლება მხოლოდ კანონით.

ამ კანონის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არის კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი საჩივრების დადება.

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ კანონის შესაბამისად უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას (მათ შორის, შეეიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დააუქვოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხი ან საწარმოში გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც გაიცემა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მოსამართლე ბრძანებას გაცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო წარუდგენს მას შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. თუ მოსამართლე არ გაცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მეწარმის შემოწმება არ განხორციელდება. თუ მე-

წარმის შემოწმება უკვე დაწყებულია, მოსამართლის მიერ შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყვედეს და მეწარმეს უპირობოდ დაუბრუნდეს მაკონტროლებელი ორგანოსათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ან სხვა ვაკუუმი ქონება თუ ღირებულება. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მეწარმეს მიეცება სათანადო და სრული ანაზღაურება. ამასთან, კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს მეწარმე მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, როდის შესახებაც არსებობს მოსამართლის ბრძანება.

კანონი ადგენს, თუ მეწარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ. მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია კონტროლის განხორციელებამდე მეწარმეს გადასცეს მისი უფლებებისა და მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი.

მოსამართლის ბრძანება არ არის საჭირო:

- ა) საგადასახლო ორგანოების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ გეგმურ შემოწმებებზე;
- ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;
- გ) საქართველოს კონტროლის პალატის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;
- დ) დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;
- ე) ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;
- ვ) დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიებისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

ვევლი მაკონტროლებელ ორგანოს ვერძალდება მეწარმეს მოსთხოვოს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. კონტროლის პალატა სხვა სახელმწიფო ორგანოთა შემოწმებისას უფლებამოსილია შესაბამის ორგანოსაგან მოითხოვოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა, მათი კამერალური წესით შემოწმების მიზნით.

ამასთან ერთად დადგენილია, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება “ოპერატიულ-სამმართველო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებზე. ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ოპერატიულ-სამმართველო საქმიანობის განმარტებული ორგანოს თხოვნით, შემოწმების უფლებას მოიპოვებს მოსამართლის ბრძანებით.

სამართლოში შემოწმების შესახებ შუამდგომლობით შედის მოკლევითი და ოპერატიულ-სამმართველო საქმიანობის განმარტებული ორგანო, რომელიც მოსამართლეს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. მოსამართლე საკითხს იხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, მზარეთა მონაწილეობის გარეშე.

მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანებების ოდენობისა და მოსამართლის ბრძანებების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგების შესახებ.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მეწარმეთა შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონები აწესრიგებენ ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი საწარმოს პარტნიორებისა და სახელმწიფოს მიერ შემოწმების ფორმებსა და პროცესებს. საერთოდ,

ყველა ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში ნორმატიული აქტების სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, სამეწარმეო საქმიანობის პროცესში წამოჭრილი ყველა დაეა უნდა გადაწყვედეს ურთიერთშეთანხმებით და მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ როგორც კერძო არბიტრაჟს, ასევე საქართველოს და საერთაშორისო სასამართლოებს. სასამართლოში სამეწარმეო საქმიანობასთან წარმოშობილი დავები რეგულირდება როგორც ეროვნული სამართლებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით საერთო წესითა და საფუძვლებით.

საკონტრაქტო კითხვები:

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პარტნიორების უფლებები დაეების გადაწყვეტასთან დაკავშირებით;
2. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის განხორციელების პირობები;
3. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავების გადაწყვეტის საერთო წესი.

თავი 4

ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი საფუძვლები

განხილულია ბიზნესისა და მეწარმეობის არსი, მათი განმასხვავებელი ნიშნები, ბიზნესის სუბიექტების – ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებდუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, სამეწარმეო საქმიანობის ცნება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და მისი კონსტიტუციური საფუძველი.

მოცემულია ბიზნესის გარემოს ცნება, შიდა და გარე გარემოს ელემენტები, დახასიათებულია ბიზნესის სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული გარემო.

გამუქებულია მენეჯმენტის არსი, ბიზნესის მენეჯმენტის რეგულირების მექანიზმი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, განხილულია მარკეტინგის როლი ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფაში, მარკეტინგული კვლევის მიზანი და ძირითადი მარეგულირებელი აქტები.

განხილულია ფინანსური გარემოს როლი ბიზნეს-საქმიანობაში, დახასიათებულია საქართველოს ფინანსური სისტემის ძირითადი მარეგულირებელი კანონები, მოცემულია მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის, ნომინალური და რეალური შემოსავლების, მინიმალური და რაციონალური კალათების ცნებები და მათი მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებაში.

განხილულია საქართველოში საბანკო საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები.

1. ბიზნესის ცნება, ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები

აპერიკული წარმოშობის სიტყვას “ბიზნესი” (Business) ინგლისურენოვან ქვეყნებში მრავალი მონათესავე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არსებითად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. იგი აღნიშნავს პროფესიას, საქმიანობას, მეწარმეობას, ვარიეტას, საქმიან ცხოვრებას, შემოსავლის წყაროს და ა.შ. აღნიშნულის გამო, ამ ცნების გამოყენებისას საჭიროა მისი დაკონკრეტება. ჩვენს შემთხვევაში ცნება “ბიზნესი” გულისხმობს შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით სხვადასხვა სფეროში (საქონლისა და მომსახურების წარმოება, ვაჭრობა, ტრანსპორტი, საბანკო, სადაზღვეო, ტურიზმის და სხვა სფეროები) განხორციელებულ საქმიანობას.

ბიზნესის ერთადერთი ფუნქციაა მოგების უზრუნველყოფა, მისი ფორმულა მარტივია: ფ – ფ', სადაც ფ საქმეში დაბანდებული ფულადი ეწრება, ხოლო ფ' – საქმის ან განსაზღვრული საქმიანი ციკლის დასრულების შემდეგ მოგებასთან ერთად დაბრუნებული ფულადი სახსრები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესი ფულით ფულის კეთებაა.

მართალია, ბიზნესის ფორმულა მარტივია, მაგრამ იგი საკმაოდ რთული და ამასთან, რისიკიანი პროცესია. იგი ითვალისწინებს წარმოების, ეკონომიკური საქმიანობის და თვით ცხოვრების ორგანიზაციას.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების შედეგად ბიზნესი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობაში ბიზნესის ცნება არ გვხვდება. მის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი “მეწარმეობა”. აღსანიშნავია, რომ ბიზნესი, თავისი არსით, უფრო

ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა), რადგან ბიზნესს მიეკუთვნება, აგრეთვე, მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი, ცალკეული, ერთჯერადი კომერციული გარიგება საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად, მეწარმეობა კაპიტალის მართვის სისტემატური, დამოუკიდებელი და ინოვაციური საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში, აგრეთვე კონკრეტული ისტორიული სიტუაციისათვის ბიზნესის წარმოების საყოველთაოდ მიღებული ნორმების ჩარჩოებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეწარმეობას მიეკუთვნება საქმიანობის ის სახეები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. კაპიტალის მართვა მოგების მიღების მიზნით;
2. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების აქტიურობა. ამ კრიტერიუმით სამეწარმეო საქმიანობიდან გამოირიცხება კაპიტალის, მიწის, წარმოების საშუალებების ფლობიდან გამომდინარე შემოსავლის მიღების პასიური ფორმები, თუმცა ისინი ბიზნესის ცნებას აკმაყოფილებენ. ასეთი მიდგომით უზარალო შევასშობა არ შეიძლება ჩაითვალოს მეწარმეობად, მაგრამ შევასშობა მიერ განხორციელებული მიზანმიმართული საინვესტიციო საქმიანობა მეწარმეობაა;
3. სამეწარმეო საქმიანობის სისტემატური ხასიათი. სწორედ ამ კრიტერიუმით სამეწარმეო საქმიანობიდან გამოირიცხება შემთხვევითი, ერთჯერადი, ეპიზოდური გარიგებები, რომელთაც მოაქვთ მოგება მისი სუბიექტისათვის;
4. საქმიანობის ინოვაციური ხასიათი, რომელიც ორიენტირებულია წარმოების ფაქტორების ახალი, უფრო ეფექტიანი კომბინაციების ფორმირებაზე.

შესაბამისად, მეწარმეობა მხოლოდ სისტემური ხასიათის ინოვაციური ბიზნესია.

როგორც ბიზნესი, ისე მეწარმეობა, თავისი არსით, მოგებაზე გამოზნული საქმიანობაა, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, გერმანია, რუსეთი და სხვ.) ეს ორი ტერმინი გათავსებულია. ანალოგიურ სიტუაციად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კანონმდებლობაც, რადგან მასში არ ფიგურირებს "ბიზნესის" ცნება.

მეწარმეობა, როგორც საქმიანობის განსაკუთრებული სახე, საჭიროებს მისი სუბიექტების განსაკუთრებულ ნიჭს – სამეწარმეო უნარს. იგი გამოიხატება მეწარმის მიერ შესასრულებელ შემდეგ ოთხ ფუნქციაში:

1. მეწარმე კისრულობს ყველა არსებული ეკონომიკური რესურსის შეერთების ინიციატივას საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში;
2. მეწარმე კისრულობს ბიზნესის წარმოების პროცესში ყველა გადაწყვეტილების მიღების რთულ ამოცანას და საწარმოს საქმიანობის კურსის განსაზღვრას;
3. მეწარმე იწარაფვის ახალი პროდუქტების, ახალი ტექნოლოგიების ან ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმების დასაწერად;
4. მეწარმე საკუთარ თავზე იღებს ბიზნესის წარმოების პროცესთან დაკავშირებულ რისკს, რადგან საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მისი მოგება არაა გარანტირებული. მეწარმე რისკავს როგორც საკუთარი ღირით, შრომითა და საქმიანი რეპუტაციით, ისე დაბანდებული სახსრებითაც. დინამიკურ ეკონომიკაში მან შეიძლება იზარალოს ან საერთოდ გაკოტრდეს.

ბიზნესის (მეწარმეობის) სუბიექტები არიან ბაზარზე თავისუფლად მოქმედი და კაპიტალის ერთპიროვნული მფლობელები – ფიზიკური პირები, აგრეთვე ფირმის კაპიტალის მფლობელები და თანამფლობელები, რომლებიც გამოდიან იურიდიული პირების სახით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, “ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან”. მე-12 მუხლის თანახმად “ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა) წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე”.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში განსაზღვრულია იურიდიული პირის ცნება: “იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, ღებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მთავსებდეს. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას”.

იურიდიული პირის ქონება განცალკევებულია მისი წევრების ქონებისაგან. მისი საკუთარი ქონება იძლევა ვალდებულებებზე დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. იურიდიული პირები ორი სახისაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირები და კერძო სამართლის იურიდიული პირები. საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიზნები საჯარო ხასიათისაა. მათ ახასიათებს მბრძანებლური უფლებამოსილებანი და წევრობის განსაკუთრებული ხასიათი. საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის დაფუძნებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.) ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

კერძო სამართლის იურიდიული პირები ფირმის სახით რეგისტრირებულ პირთა და კაპიტალის გაერთიანებებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს საქმიანობისა და საკუთრების ხასიათს, კაპიტალის კუთვნილებისა და კონტროლის უფლებას. პირთა გაერთიანება გულისხმობს ფირმის (საწარმოს) საქმიანობაში პარტნიორთა პირად მონაწილეობას. ე.ი. ამ შემთხვევაში გაერთიანებაში შემავალი პირები აერთიანებენ როგორც ფულად და სხვა საშუალებებს, ისე საკუთარ საქმიანობას ამ საშუალებათა გამოყენების პროცესში, რის შედეგად ყოველ მათგანს აქვს საკმის წარმოების, წარმომადგენლობისა და მართვის უფლება. კაპიტალის გაერთიანება ითვალისწინებს მხოლოდ გაერთიანების წევრთა კაპიტალის შეერთებას, ხოლო ფირმის (საწარმოს) ხელმძღვანელობასა და ოპერატიულ მართვას ახორციელებენ სპეციალურად შექმნილი ორგანოები.

იურიდიული პირი შეიძლება იყოს სამეწარმეო და არასამეწარმეო. კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის წესებს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირებისას „მეწარმეთა შესახებ“ კანონი.

იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს კავშირის ან ფონდის სახით.

არასამეწარმეო იურიდიულ პირს უფლება აქვს გასწიოს სამეწარმეო საქმიანობა. ოღონდ, ასეთი საქმიანობა დამზარეუ ხასიათს უნდა ატარებდეს და ამ პირის მიზნებს ემსახურებოდეს.

მაგრამ, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ეს ვახდება მათი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 35).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა და არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ნებართვის მიღების მომენტიდან.

იურიდიული პირის უფლებანარჩინობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან.

საქართველოს კონსტიტუციის (მიღებულია 1995 წლის 25 აგვისტოს) 30.2 მუხლის მიხედვით “სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით”.

საქართველოს კონსტიტუციისა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის გარდა, ბიზნესი ეფუძნება ქვეყანაში მიღებულ ყველა არსებითი მნიშვნელობის კანონს, რომელთა შორის აღსანიშნავია კანონები: საკუთრების, მიწის, მშრომელთა უფლებების, შრომის, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, იჯარის, ფასებისა და ფასწარმოქმნის, აუდიტორული საქმიანობის, დაზღვევის, კოლექტიური ხელშეკრულების, დასაქმების, საინვესტიციო საქმიანობის, გაკორტების, საგადასახადო სისტემისა და გადასახადების შესახებ, საგადასახადო კოდექსის, საბაჟო კოდექსს და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. რას გულისხმობს ბიზნესის ცნება?
2. რა არის ბიზნესის მთავარი მიზანი?
3. რით განსხვავდება ბიზნესი მეწარმეობისაგან?
4. რა ფუნქციებს ასრულებს მეწარმე?
5. დაასახელეთ ბიზნესის ძირითადი სუბიექტები და განსაზღვრეთ მათი უფლებანარჩინობა.
6. რა მახასიათებელი ნიშნები აქვთ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს?
7. როდის წარმოიშობა და წყდება იურიდიული პირის უფლებანარჩინობა?
8. რომელი კანონებით რეგულირდება ბიზნეს-საქმიანობა საქართველოში?

2. ბიზნესის გარემოს ცნება და დახასიათება

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ნებისმიერი ფირმა (საწარმო) განიცდის სხვადასხვა ფაქტორისა და პირობის ზემოქმედებას. ეს ზემოქმედება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ღიბია ფირმის საქმიანობის მასშტაბები და სფეროები. ბიზნესის გარემოში იგულისხმება ფირმის საქმიანობაზე მოქმედი პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა. სხვადასხვა საბაზრო სიტუაციაში ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედების დონე არსებითად იცვლება. დროთა განმავლობაში ზოგიერთი ძირითადი ფაქტორი შეიძლება გახდეს მეორეხარისხოვანი ან, პირიქით.

განასხვავებენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. შიდა გარემოში იგულისხმება ფირმის სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც მოიცავს მის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს ადგილმდებარეობისა და საქმიანობის

სფეროს მიუხედავად. შიდა გარემოს ელემენტებია: ადამიანისეული, მატერიალური და ფინანსური რესურსები; წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია, წარმოება-გასაღების საქმიანობის შედეგები. თავის მხრივ, გარეა ფირმის ირგვლივ არსებულ გარემოში მოქმედი ყველა პირობა და ფაქტორი.

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი და პირობა, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული გარემოს შესწავლას.

სამართლებრივი გარემოს შესწავლით შესაძლებელია ბიზნესისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებათა შეცნობა. სამართალი ემსახურება ბიზნესის-საქმიანობის რეგულირებას. საქართველოში მოქმედებს სამოქალაქო სამართლის სისტემა (კოდიფიცირებული სამართლებრივი სისტემა), რომელიც ეფუძნება დეტალურად დამუშავებულ და კოდექსში თავმოყრილ კანონების კომპლექსს. ეროვნული კანონები უშუალოდ მოქმედებენ ბიზნესის წარმოების პროცესზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების დროს. ბიზნესის წარმოების პროცესში გასათვალისწინებელია სამართლებრივი ზემოქმედების შემდეგი სფეროები: სახელშეკრულებო სამართალი, ზოგადსამართლებრივი გარემო (კანონი გარემოს დაცვის შესახებ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უსაფრთხოების ტექნიკის წესები, კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და სხვ.); ახალი ბიზნესის წამოწყება; შრომითი კანონმდებლობა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა; ფასწარმოქმნა; დაბეგვრა.

ეროვნულ კანონებთან ერთად ბიზნესის წარმოების პროცესში გასათვალისწინებელია საერთაშორისო სამართალი, რომელიც არეგულირებს სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობებს საკონლის, წარმოების ფაქტორებისა და კაპიტალის მოძრაობის საკითხებში.

ბიზნესზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები. პოლიტიკური სისტემა ემსახურება საზოგადოების ინტეგრაციას, ხოლო ეკონომიკური სისტემა – შეზღუდული რესურსების განაწილებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დამკაფიოებას. განასხვავებენ ტოტალიტარულ და დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებს. ტოტალიტარული სისტემა ემყარება სახელმწიფო დირექტივებს. ამ სისტემაში ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა ემყარება დემოკრატიის პრინციპებს. დემოკრატიულ სისტემაში უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. ე.ი. მოქალაქენი მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეალურ პირობებში ეს მონაწილეობა გამოიხატება წარმომადგენლობით დემოკრატიაში, რომელიც გულისხმობს უმეტესობის მართვის პრინციპის განხორციელებას პერიოდული არჩევნების ჩატარების გზით. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა აღიარებს პლურალიზმს (სახელმწიფო მმართველობის მრავალპარტიულ სისტემას).

მისთვის დამახასიათებელია სიტყვის, პრესის, რწმენის, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციაში გაერთიანების თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები და არჩეულ თანამდებობაზე ყოფნის დადგენილი (შეზღუდული) ვადა, დეპოლიტიზებული ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი და ღია სახელმწიფო (შფავარდუბითი გაგებით).

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა, გლობალური პოლიტიკური პროცესების ტენდენცია (ლოკალური კონფლიქტები, იდოლოგიური ორიენტაცია და ა.შ.), ქვეყნის პარტიულ-პოლიტიკური განვითარება, ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციები, ტენდენციები შრომით კანონმდებლობაში, პროფკავშირების გაევლება, ბენარემობის თავისუფლების დონე, მართვაში შემსრულებელ და წარმომადგენლობით ხელისუფლებას შორის თანაფარდობა, ინტეგრაცია შრომის საერთაშორისო ბაზარზე და ეკონომიკური ინტეგრაცია, სახელმწიფო სტრუქტურების სტაბილურობა.

ეკონომიკური სისტემის კლასიფიკაციის ნიშნად მიღებულია: 1. საკუთრების ფორმა წარმოების საშუალებებზე და 2. ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციისა და მართვის ხერხი. ამ ნიშნებით განასხვავებენ მარძანებულურ ანუ ცენტრალიზებულ ეკონომიკას, საბაზრო ეკონომიკას ანუ თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმს და შერეულ ეკონომიკას.

მარძანებლური ანუ ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში საწარმოთა უმეტესი ნაწილი სახელმწიფო (საზოგადოებრივ) საკუთრებაშია, ეს ეკონომიკური სისტემა საქართველოში გაბატონებული იყო დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კერძო საკუთრება, საბაზრო სისტემა და თავისუფალი ფასები. ამ ეკონომიკურ სისტემაში რესურსების განაწილება წარმოებს სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, საბაზრო ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ პირადი ინტერესების, მაგრამ მათ საქმიანობას წარმართავს “უხილავი ხელი” (კონკურენცია). ამ უკანასკნელის მეშვეობით ხდება კერძო (პირადი) და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება.

საქართველოში კერძო საკუთრების დამკვიდრებასა და შეწარმეობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა 1991 წლის 9 აგვისტოს მიღებულმა კანონმა “სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ”. 1992 წლის 11 აგვისტოს დამტკიცდა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც I ეტაპზე ითვალისწინებდა “მცირე საწარმოთა” პრივატიზებას, II ეტაპზე კი – მასობრივ პრივატიზაციას ეაურების გამოყენებით. მას წინ უძღოდა მსხვილი საწარმოების აქციონირების პროცესი. 1998 წელს მიღებულია ახალი კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ და შემუშავებულია პრივატიზების ახალი პროგრამა 2001-2003 წლებისათვის.

თანამედროვე პირობებში არც ცენტრალიზებული და არც საბაზრო ეკონომიკა წმინდა სახით არ არსებობს. იგი ფაქტობრივად ორივე მათგანის კომბინაციაა, ე.ი. შერეულია. ამასთან, ეს შეხამება განსხვავებულია ქვეყანათა მიხედვით. ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შეფასების მაჩვენებლად მიღებულია მთლიანი ეროვნული პროდუქტის მიმართ პროცენტებში გაანგარიშებული ცენტრალიზებული სახელმწიფო დანახარჯები და შემოსავლები.

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შეფასება წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით: ეროვნული შემოსავლის ფორმირების ტენდენციები, კოორპერაციული კავშირები, ინფლაცია, კაპიტალის ბაზრის მდგომარეობა, კონუნქტურის მოსალოდნელი ცვლილებები, საინვესტიციო პოლიტიკა, პრიორიტეტები ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორების განვითარებაში, ფასების სტაბილურობა, მომხმარებელთა და მწარმოებელთა ბაზრების განვითარების ტენდენციები, კონკურენციის სიმძაფრე, ეკოლოგიური მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული საკითხები, საწარმოო ტექნოლოგიები და ა.შ.

ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოგრაფიული გარემო, რადგან დემოგრაფიული ხასიათის ცვლილება პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, მოთხოვნის კონუნქტურაზე და ა.შ. მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა იწვევს ბიზნესის გაფართოებას, ხოლო შემცირება კი – პირიქით. ურბანიზაცია ცვლის თანაფარდობას სასაქონლო და ნატურალურ მოხმარებათა შორის და ა.შ.

დემოგრაფიული გარემოს შესწავლის მიზანია ქვეყნის, რეგიონის მოსახლეობის ცვლილებების პროგნოზი სქესობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი, ეკონომიკური და სხვა ნიშნებით. ადამიანთა დასახლებაზე მოქმედ პირითად ფაქტორებს მიეკუთვნება: ტერიტორიის ბუნებრივი პირობები, მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების არსებობა, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების დონე, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ცვლილებების პირობები, ტერიტორიების ათვისებისა და დასახლების ისტორია.

ბიზნესის გარემოში მოქმედი ფაქტორები და პირობები შეიძლება იყოს კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი. კონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომელთა მართვა ფირმას შეუძლია

(მაგალითად, ბიზნესის დაგეგმვა, მართვის სტრუქტურა, წარმოებისა და რეალიზაციის ფორმების შერჩევა, რეკლამა და ა.შ.). არაკონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც არ ექვემდებარება ფირმის მხრიდან რეგულირებას. ასეთებია: მომხმარებლები, ეკონომიკა, პოლიტიკა, სახელმწიფო მმართველობა, კონკურენტები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სხვ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის გარემოში მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა უნდა განიხილებოდეს მუდმივ მოძრაობასა და ურთიერთკავშირში. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ბიზნესის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

საკონტროლო კითხვები:

1. რა იგულისხმება ბიზნესის გარემოში?
2. რომელი ფაქტორები და პირობები დამახასიათებელი ბიზნესის შიდა და გარე გარემოსათვის?
3. რა იგულისხმება ბიზნესის სამართლებრივ გარემოში?
4. რას ემსახურება ქვეყნის პოლიტიკური სისტემა?
5. რომელი კრიტერიუმები გამოიყენება პოლიტიკური სიტუაციის შესაფასებლად?
6. რა მნიშვნელობა აქვს ბიზნესის დემოგრაფიული გარემოს შესწავლას?
7. რომელი კრიტერიუმები გამოიყენება ბიზნესის დემოგრაფიული გარემოს შესაფასებლად?

3. ბიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამართლებრივი საფუძვლები

ტერმინი „მენეჯმენტი“ (management) ამერიკული წარმოშობისა და გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის (ბიზნესის) მართვის მიმართ. მენეჯმენტი პროფესიულად განხორციელებადი საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომლის მიზანია საწარმოს (კომპანიის) დასახული მიზნების მიღწევა ყველა სახის რესურსის რაციონალური გამოყენების გზით.

მენეჯმენტის განსაზღვრებაში სამეურნეო საქმიანობად მიჩნეულია:

- საწარმოს საქმიანობა ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში: მრეწველობა, ვაჭრობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, საბანკო საქმე, სადაზღვევო საქმე და სხვ.
- საწარმოს საქმიანობის ნებისმიერი სფერო (წარმოება, გასაღება, სამცენიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ფინანსები), თუ იგი გამოიხატავს მოცემის მიღებაზე (როგორც საბოლოო შედეგი), ან სამეწარმეო შემოსავალზე (ფირმის საქმიანობის კონკრეტული მიზნების შესაბამისად).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტი ბიზნესის-საქმიანობის მართვას გულისხმობს.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შინაარსი მოიცავს წარმოების პროცესის უზრუნველყოფას ყველა აუცილებელი რესურსითა და მთლიანი ტექნოლოგიური ციკლის ორგანიზებას: სამცენიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგების დანერგვას წარმოებაში; წარმოების ტექნოლოგიის დამუშავებასა და სრულყოფას; პროდუქციის ხარისხის სათანადო დონის უზრუნველყოფას; კომერციული, საქონელბრუნვის, ყველა სახის ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელებას; პროდუქციის ტექნიკუ-

რი მომსახურების უზრუნველყოფას; წარმოების პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას; ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას; ინფორმაციულ უზრუნველყოფას; პერსონალით უზრუნველყოფას.

საქართველოში ბიზნესის-საქმიანობის მენეჯმენტის რეგულირების მექანიზმი განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, რომელიც იძლევა იურიდიული პირის ორგანიზაციული მთლიანობის ნიშანს.

იურიდიული პირის ორგანიზაციული მთლიანობა გულისხმობს ისეთი მთლიანი ორგანიზმის სახით მის ჩამოყალიბებას, რომლის შიდა სტრუქტურა პასუხობს ამ პირის საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს. ორგანიზაციული მთლიანობა აისახება იურიდიული პირის წესდებაში.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის თანახმად:

1. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს; კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს); შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს;
2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს;
3. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ ავრთვეთ აწესებდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა.

გარდა ამისა, ამ კანონის შესაბამისად, შესაძლოა, საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილობის ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე, საზოგადოების შინაგანწესით.

ბიზნესის წარმატება უშუალოდაა დამოკიდებული ბაზრისა და საბაზრო შესაძლებლობების სიდრმისეულ და ყოველმხრივ შესწავლაზე. ბიზნესის საბაზრო პირობების ანალიზი, ბაზარზე საქონლის დამკვიდრების გზებისა და მეთოდების დამუშავება, მისი რეალიზაციის მოცულობების გაფართოება ფირმის საქმიანობის ის განსაკუთრებული მიმართულებაა, რომელსაც მარკეტინგს უწოდებენ. მარკეტინგი არეგულირებს საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და გასაღებას მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებისა და ბაზარზე ჩამოყალიბებული პირობების საფუძველზე. მარკეტინგი ორიენტირებულია საბაზრო ეკონომიკაზე და ბიზნესის საფუძვლად განიხილება. მარკეტინგის პრინციპებზე დაფუძნებული წარმოება უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ იმ პროდუქტის წარმოებას, რომელიც სჭირდება ბაზარსა და კონკრეტულ მომხმარებელს.

მარკეტინგის მარეგულირებელი კანონი საქართველოში არ არსებობს, თუმცა მისი ცალკეული საკითხები სამართლებრივად რეგულირებულია. მაგალითად, მიღებულია კანონები რეკლამის შესახებ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ, მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენტის განვითარების შესახებ და ა.შ.

მარკეტინგული კვლევა გამიზნულია ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ბაზრის შესწავლაზე. ამიტომ მარკეტინგის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგის ევროპული საზოგადოების მიერ შემუშავებული მარკეტინგული კვლევის საერთაშორისო კოდექსი, აგრეთვე საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საქონლის გაერტყლების საერთაშორისო კოდექსი, სარეკლამო პრაქტიკის საერთაშორისო კოდექსი,

„ლიკექტ მელისა“ და ფოსტით საქონლის გაყიდვის საერთაშორისო კოდექსი, უშუალო გაყიდვების პრაქტიკის საერთაშორისო კოდექსი და სხვ.

საკონტროლო საკითხები:

1. რას გულისხმობს ტერმინი „მენეჯმენტი“?
2. რას გულისხმობს იურიდიული პირის ორგანიზაციული მთლიანობა?
3. რა როლს თამაშობს მარკეტინგი ბიზნესის განვითარებაში?

4. ფინანსური გარემო და მყიდველობითუნარიანის როლი ბიზნესის განვითარებაში

ფული ბიზნესის არა მარტო მთავარი მიზანი, არამედ მისი რელიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია საჭირო კაპიტალის წყაროსა და მისი დაბანდების საკითხების გადაჭრაზე. შესაბამისად, საწარმოს საქმიანობა დამოკიდებულია ფინანსურ გარემოზე, რომელიც გულისხმობს ფინანსური ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობას. იგი ხასიათდება დიდი ღირებულებებით.

ბიზნესის ფინანსურ გარემოს განსაზღვრავს ქვეყნის ფინანსური სისტემა, რომელიც ფართო გაგებით მოიცავს ფინანსური ინსტიტუტების ერთობლიობას: სახელმწიფო ფინანსების, საწარმოთა ფინანსების, საბანკო, ინსტიტუციური ინვესტორების სისტემებს.

სახელმწიფო ფინანსები მოიცავს ცენტრალურ, რეგიონების და ადგილობრივ ფინანსებს, საწარმოთა ფინანსები — სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით წარმოდგენილი ბიზნესის საწარმოთა ფინანსებს. საბანკო სისტემა წარმოდგენილია ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ერთობლიობით, ინსტიტუციური ინვესტორების სისტემა კი — საინვესტიციო და საპენსიო ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების ერთობლიობით. ფინანსური სისტემის ვიწრო გაგებაში გამოირჩევა საბანკო სისტემა. ამ პარაგრაფში ფინანსური სისტემა ვიწრო გაგებით განიხილება.

სახელმწიფო ფინანსებში შედის: ცენტრალური, ავტონომიური ერთეულებისა და ადგილობრივი ბიუჯეტები, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები, საპენსიო, სოციალური დაზღვევის, საკალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდები და ა. შ.

ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და განაწილების ძირითადი ფინანსური გეგმა.

ცენტრალურ ბიუჯეტს ამტკიცებს პარლამენტი, რომლის მიერ 1996 წლის 29 მაისს მიღებულია კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ. ამ კანონში ჩამოყალიბებულია რესპუბლიკური, ავტონომიური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამოყენის ძირითადი პრინციპები და საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი.

ფინანსურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საწარმოთა ფინანსებს, რომელთა სწორ ორგანიზაციაზე დამოკიდებულია ბიზნესის წარმატება. საწარმოს ფინანსების არსი გამოიხატება მისი ფულადი შემოსავლების ფორმირებისა და გამოყენების პროცესში დამყარებული ფულადი ურთიერთობებით. ფინანსური ურთიერთობების მატერიალური გამოხატულებაა საწარმოს განკარგულებაში არსებული და მისი

საწარმოო და სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ფინანსური რესურსები. მათი წყაროება საწარმოს საკუთარი სახსრები და სხვადასხვა წყაროდან მოზიდული სახსრები.

ფინანსური რესურსების ფორმირება იწყება საწარმოს დაფუძნების მომენტში. მისი ფორმირების წესი რეგულირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონითა და სადაფუძნებლო დოკუმენტებით.

ბიზნესის განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯებს. მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა განისაზღვრება მათ განკარგულებაში არსებული, გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლებით. ამ შემოსავლის ერთი ნაწილი გამოიყენება სამომხმარებლო ხარჯებისათვის, მეორე კი დანაზოგებში მიდის.

მინიმალური და რაციონალური სამომხმარებლო კალათების ფასები იცვლება მათში შემავალი საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილების შესაბამისად.

გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის გარდა, მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობაზე ანუ მოხმარების სიდიდეზე მოქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება: სიმდიდრე, ფასების დონე, მოლოდინი, მომხმარებელთა დავალიანება, საგადასახადო სისტემა.

სიმდიდრეში იგულისხმება ოჯახებისა და ინდივიდების მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება (სახლი, ტელევიზორი და ა.შ.) და ფინანსური საშუალებები (ნაღდი ფული, დანაზოგები, აქციები და ა.შ.). სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მეტი ქონება აქვს ოჯახს დაგროვილი, მით უფრო მეტია მოხმარება და, შესაბამისად, ბიზნესს განვითარების მეტი შესაძლებლობა აქვს.

ფასების ზრდა, ჩვეულებრივ, უარყოფითად მოქმედებს მოხმარებაზე. ეს ფაქტორი უშუალოდაა დაკავშირებული ზოგიერთი სახის სიმდიდრის რეალური ღირებულების ან მის მყიდველობითუნარიანობის ცვლილებასთან.

ფინანსური საშუალებების რეალური ღირებულება, რომელთა ნომინალური ღირებულება ფულშია გამოსახული, ფასების დონის უკუპროპორციულად იცვლება. ამ კანონზომიერებას სიმდიდრის ეფექტს უწოდებენ. ფინანსური სიმდიდრის შემცირების შედეგად მყიდველობითუნარიანობაც შემცირდება. თავის მხრივ, ფასების დონის შემცირება ზრდის მყიდველობითუნარიანობას და, შესაბამისად, მოხმარებასაც.

მომავალი ფასების, ფულადი შემოსავლების ცვლილებების მოლოდინი, ჩვეულებრივ ზემოქმედებს სამომხმარებლო ხარჯებსა და დანაზოგებზე.

ფასების ზრდისა და დეფიციტის მოლოდინი იწვევს სამომხმარებლო ხარჯების ზრდასა და შემცირებას; მომხმარებლები სხვადასხვა საქონელს მარაგის შესაქმნელად ყიდულობენ, რათა თავიდან აიცილონ მაღალი ფასები და დეფიციტი.

ფულადი შემოსავლების გადიდების იმედით, აგრეთვე იზრდება სამომხმარებლო დანახარჯები, ხოლო მოსალოდნელი ფასდაკლება ან შემოსავლების შემცირება, პირიქით, აღამიანს დანაზოგების ზრდისაკენ უბიძგებს.

მომხმარებელთა დავალიანების (კრედიტში ნაყიდი საქონლის და ა.შ.), გადასახადების ზომების შემცირება, ჩვეულებრივ, ზრდის სამომხმარებლო დანახარჯებს, ხოლო გადიდება კი, პირიქით, ამცირებს.

ფინანსური გარემოსათვის დამახასიათებელია არასტაბილურობა, რომელსაც იწვევს ინფლაცია – საქონლისა და მომსახურების ფასების დონის სისტემატური ზრდა. ინფლაცია ზემოქმედებს საპროცენტო განაკვეთებზე, ფინანსურ ბაზრებზე, ინვესტირების შემოსავალზე, ფირმების ინვესტიციებზე და ა.შ. ანუ მთელ ფინანსურ გარემოზე. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე. აღნიშნულის გამო, ინფლაციის თავიდან აცილებაზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოში ფინანსური გარემოს ფორმირებასა და განვითარებაში, მყიდველობითუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონები: საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გრანტების, სახელმწიფო კრედიტების, სახელმწიფო სუბსიდიების, ფასიანი ქაღალდების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ფულად-საკრედიტო რეგულირების, დაზღვევის შესახებ, საგადასახადო კოდექსი და ა.შ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა იგულისხმება ფინანსურ გარემოში?
2. რას გულისხმობს ქვეყნის ფინანსური სისტემის ცნება?
3. რა შედის სახელმწიფო ფინანსებში?
4. რაში გამოიხატება საწარმოთა ფინანსების არსი?
5. რა არის საწარმოთა ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროები?
6. როგორია საწარმოთა ფინანსური რესურსების ფორმირების წესი?
7. რა იგულისხმება მომხმარებელთა მყიდველობითუნარიანობაში?
8. რა იგულისხმება ნომინალური და რეალური შემოსავლების ცნებებში?
9. რა იგულისხმება მინიმალური და რაციონალური კალათების ცნებებში და რა დანიშნულება აქვთ მათ?
10. რა ფაქტორები ზემოქმედებს მომხმარებელთა მყიდველობითუნარიანობაზე?
11. რა იწვევს ფინანსური გარემოს არასტაბილურობას?

5. საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება

ეკონომიკა ფუნქცია ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფულის მიმოქცევის კანონი. ფული ბრუნავს ფინანსური ინსტიტუტების და, უპირველესად, ბანკების მეშვეობით. ისინი ქმნიან ფულის ბრუნვის საფუძველს და დაკავშირებული არიან ყველა დარგსა და სექტორთან. ბანკები უზრუნველყოფენ ბიზნესის ყველა სფეროს დაფინანსებას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პრინციპულად შეიცვალა საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა, ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, რომელიც მოიცავს ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკსა და კომერციულ ბანკებს.

საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის თანახმად:

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას, პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.
4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.
5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 23 ივნისს მიღებული „საქართველოს ეროვნული ბანკის საქართველოს ორგანული კანონის“ შესაბამისად. ამ კანონის 1.1 მუხლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს.

ორგანული კანონის (მუხლი 2) თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, როგორც ორიენტირებულია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა;
- ბ) განახორციელოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადაძკვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა მათი ლიცენზირების, რეგულირებისა და შემოწმების მეშვეობით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვა და ლიკვიდაცია;
- გ) ფლობდეს, ინახავდეს და განკარგავდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს;
- დ) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი, მრჩეველი და ფისკალური აგენტი;
- ე) უზრუნველყოფდეს საგადასახადო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას;
- ვ) ხელს უწყობდეს საიმპლო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას;
- ზ) კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებებისათვის დააწესოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშგების წესები და პროცედურები.

ორგანული კანონის თანახმად (მუხლი 36), საქართველოს ფულის ერთეულია ლარი. იგი არის ერთადერთი კანონიერი საგადასხდელი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გადაცემის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვებების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით.

ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების, როგორც გადახდის კანონიერი საშუალებების ემისია, ასევე მიმოქცევისათვის ან ნუმიზმატიკური მიზნებისათვის სამასხორი მონეტების მოჭრა. ეროვნული ბანკი ადგენს ქვეყნის საზღვრებზე ფულის ნიშნების შემოტანა-გატანასა და ქვეყნის ტერიტორიაზე მათ გადაზიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზას. ფულის ნიშნების ემისიის გამოყენება უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია (ორგანული კანონის მუხლი 37).

ეროვნული ბანკი ფინანსურად არ ემხარება სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული გამოჩაკლისი შემთხვევებისა. იგი უფლებამოსილია გასცეს სესხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე 6 თვეზე ვადით (გამოჩაკლის შემთხვევაში უფრო ხანგრძლივი ვადით). ეროვნული ბანკის მიერ ყველა სესხი გაიცემა ბაზარზე მოქმედი განაკვეთების პროცენტებით და უზრუნველყოფილია იმავე პროცენტების მქონე სასესხო ვალდებულებებით წარმოდგენაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 96-ე მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

ეროვნული ბანკი ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემაა. მისი უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სითით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის განაწვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბანკის განცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს თხუთმეტ მილიონ ლარს. მასში ცვილებების შეტანა შეიძლება ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგენის საფუძველზე პარლამენტის გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალის მთელი ეს თანხა არ ექვემდებარება გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის სახით.

კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირია, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

კომერციული ბანკების საქმიანობა რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (1996 წელი), საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კანონით „მეწარმეთა შესახებ“, აგრეთვე სხვა კანონებით, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით.

კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:

- პროცენტბანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვაღიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- სესხების გაცემა სამომხმარებლო, საბიოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეიტორების ჩათვლით;

- გ) საკუთარ და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადებოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, ფორერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
- დ) ნაღდი და უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადასახადო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ვ) საშუალო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- ზ) კლიენტების დაკავლებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- თ) ფასულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- კ) ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების განხორციელება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, განაღებული საწესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ საწესდებო კაპიტალის შევსება (ფორმირება) არაფულადი ფორმით. არც ერთ კომერციულ ბანკს უფლება არა აქვს შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების უკუგამოსყიდვით ან შეამციროს საზედამხედველო კაპიტალი რეზერვების გამოყენებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ წესდებაში სათანადო შესწორებების შეუტანლად.

ეროვნული ბანკი თავის ფუნქციებს ასრულებს კომერციულ ბანკებსა და ფინანსური ბაზრის სხვა სტრუქტურებზე დაყრდნობით და მათ ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად. ფულის მიმოქცევის მართვის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი იყენებს და აქვეყნებს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ სხვადასხვა მარეგულაციებს – ფულის აგრეგატებს. ფულის მიმოქცევის რეგულირების ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად იგი აანალიზებს ფულის მასის მახასიათებელ სხვადასხვა მარეგულაციებს.

ეროვნული ბანკი ფულის მიმოქცევას არეგულირებს საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. საკრედიტო პოლიტიკა გამოიხატება საკრედიტო ექსპანსიაში ან საკრედიტო რესტრიქციაში. პირველ შემთხვევაში იზრდება კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსები და, შესაბამისად, გაცემული კრედიტების მოცულობა. რაც, თავის მხრივ, ზრდის მიმოქცევაში არსებული ფულის საერთო მასას. რესტრიქცია, პირიქით, ამცირებს კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცემის შესაძლებლობას და, შესაბამისად, მიმოქცევაში არსებული ფულის საერთო მასას.

საკრედიტო ექსპანსიის ან საკრედიტო რესტრიქციის ინსტრუმენტება ეროვნული ბანკის ოფიციალური საპროცენტო განაკვეთი და ზოგიერთი არაკონომიკური ღონისძიება.

ოფიციალური საპროცენტო განაკვეთი არის პროცენტი სესხზე, რომლითაც ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციული ბანკების დაკრედიტებას. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საკრედიტო-ფულადი რეგულ-

ლირების სფეროში ცვლილებების მაჩვენებელია. მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს კომპერციული ბანკების შესაძლებლობას – რუსურსები მიიღონ დასაკრედიტებლად. ეს, თავის მხრივ, ამცირებს ფულის მასას მიმოქცევაში. დაბალი საპროცენტო განაკვეთი კი პირიქით მოქმედებს.

ეროვნული ბანკის მიერ განსახორციელებელ ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითად ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- ოპერაციები ღია ბაზარზე;
- ბანკების რეფინანსირება;
- საეალუტო რეგულირება;
- ნაღდი ფულის მასის მართვა;
- კომერციული ბანკების ფულის რეზერვირება ეროვნულ ბანკში დეპონირების გზით.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს უწესებს შემდეგ ეკონომიკურ ლიმიტებს:

- ა) საწესდებო და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;
- ბ) კომერციული ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
- გ) ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა საზედამხედველო კაპიტალთან;
- დ) ბანკის მიერ ერთი მსესხებლისათვის (ინსაიდერისათვის და აუტსაიდერისათვის) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;
- ე) ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის (ბანკთან, ასევე ერთმანეთთან, დაკავშირებული პირებისათვის) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;
- ვ) ყველა კრედიტის მაქსიმალურად დასაშვები მთლიანი მოცულობა, რაც პროცენტულად გამოიხატება ბანკის მიერ ყველა გაცემულ კრედიტთან მიმართებაში, რომელშიც შეიძლება გასცეს ბანკმა ათ ყველაზე მსხვილ მსესხებელზე (მათ შორის ინსაიდერებსა და ურთიერთდაკავშირებულ პირებზე).

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს განუსაზღვრავს შემდეგი ეკონომიკური ნორმატივების მოთხოვნებს:

- ა) ლიკვიდური სახსრების მინიმალური ერთობლივი თანხის ან ასეთი სახსრების კონკრეტულ სახეობათა თანაფარდობა აქტივების (მიღებული გარანტიებისა და გირაოს ჩათვლით) ღირებულებასთან ან მათი ღირებულების ცვლილებასთან. ასეთი თანაფარდობა შეიძლება დაწესდეს ზოგადად აქტივებთან ან ვალდებულებებთან (გარესაბაღანსო ვალდებულებების ჩათვლით) ან მათ კონკრეტულ სახეობასთან. ამასთან, ყველა შემთხვევაში ბანკები ლიკვიდურობის დაცვის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, ინარჩუნებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისი სახსრების განთავსების უფლებას;
- ბ) კრედიტებისა და ინვესტიციების, ან მათი განსაკუთრებული სახეების მაქსიმალური ერთობლივი თანხის შესახებ;

- გ) აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება, ასევე ის ვადები და პირობები, რომლითაც აქტივების მიხედვით მისაღები თანხები აღარ აღირიცხება შემოსავალში, გარდა ნაღდად მიღებულისა;
- დ) აკრძალვის, შეზღუდვის ან პირობების შესახებ, რომლებიც შეეხება:
 - და) გაცემული კრედიტებისა და განხორციელებული ინვესტიციების სახეობებსა და ფორმებს;
 - დაბ) აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით დაბრუნების ვადებისა და პროცენტების შესაბამისობას;
 - დაგ) დადგენილი ლიმიტების გადაშეღებით წარმოქმნილ ღია პოზიციებს უცხოურ ვალუტაში, ძვირფას ლითონებში ან ძვირფას ქვებში.

საქართველოს ეროვნულ ბანკს ევალება ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცველი პუნქტების საქმიანობას. იგი მოიცავს ლიცენზიების გაცემას და გაუქმებას, ნებისმიერი სახის შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებით აღმინისტრაციულ მართვასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკონტროლო კითხვები:

1. რა მნიშვნელობა აქვს საბანკო სისტემას და როგორ არის იგი საქართველოში ორგანიზებული?
2. რა ფუნქციები აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს?
3. როგორ არის ორგანიზებული საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველობა?
4. რა ურთიერთობა აქვს ეროვნულ ბანკს კომერციულ ბანკებთან?
5. საქმიანობის რა სახეობანია ნებადართული კომერციული ბანკებისათვის?
6. როგორ არეგულირებს ეროვნული ბანკი ფულის მიმოქცევას ქვეყანაში?
7. ჩამოთვალეთ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები.

თავი 5

ბიზნესის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

წინამდებარე თავში მოცემულია ბიზნესის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებები, დაზნაობებულია საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტები და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უცხო იურიდიული პირის აღიარების დოკტრინები, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-ყიდვის სამართლებრივი ასპექტები, ინტელექტუალური საკუთრების მარკეტულირებელი ძირითადი კონვენციები, საქართველოს საერთაშორისო ზელშეკრულებები თავიუფალი ვაჭრობის შესახებ, აგრეთვე კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, საერთაშორისო კომერციული დავების საარბიტრაჟო და ხასამართლო გარჩევის წესები.

1. საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტები და მათი სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობის განხორციელების უფლება.

პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირებს ეძლევათ მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეების ანალოგიური უფლებები (პოლიტიკური უფლებებისაგან განსხვავებით) ბიზნესის განხორციელებისათვის, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში (გარკვეული სახის გარიგებებისათვის) მათთვის განსაზღვრულია განსაკუთრებული პირობები. აღსანიშნავია, რომ ერთჯერადი საერთაშორისო საეკონომიკური გარიგებებისათვის, ჩვეულებრივ, საჭირო არაა რაიმე ფორმალობათა დაცვა, ხოლო ფიზიკურ პირს მისთვის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, მოეთხოვება მოცემულ ქვეყანაში ბინადრობის მიღება და კომერსანტის სახით რეგისტრაცია.

კერძო მეწარმე ანუ ვაჭარი, კომერსანტი (აშშ-ში **Individual proprietorschip**, ინგლისში – **sole proprietor, ownership**, გერმანიაში – **Kaufmann, Einzelunternehmung, Eizelfirma**, საფრანგეთში – **Enterprise individuelle**) მეწარმეობით დასაქმებული სუბიექტების პირველი ისტორიული ფორმაა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ვაჭრობის ერთადერთი სუბიექტის როლში გამოდიოდნენ ვაჭრები ანუ ფიზიკური პირები, რომლებიც საკუთარი სახელით ახორციელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას. ამასთან, შუა საუკუნეებში საეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ვაჭართა ფენის წარმომადგენლებს.

მრავალი ქვეყნის (ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობის) კანონმდებლობით ფიზიკური პირის მიერ საეკონომიკური საქმიანობის განხორციელებლად აუცილებელია საეკონომიკური რეესტრში მისი რეგისტრაცია ვაჭრის (კომერსანტის) სახით. ამასთან, საჭიროა აგრეთვე ფირმისა (საეკონომიკური დასახელების) და მისი საქმიანობის სახის რეგისტრაცია. აშშ-ის კანონმდებლობით ასეთი რეგისტრაცია არაა საჭირო. რეგისტრაცია აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური პირი აპირებს ლიცენზირებული სახის საქმიანობას ან საეკონომიკური ბრუნვაში უნდა გამოვიდეს თავისი გვარისაგან განსხვავებული გვარით.

კერძო მეწარმის საქმიანობა დაკავშირებული არ არის სამართლის ახალი სუბიექტის წარმოქმნასთან, ამიტომ მისი სამართალუნარიანობის მოცულობა შეესაბამება ფიზიკური პირისათვის განსაზღვრულ სამართალუნარიანობის მოცულობას (იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც იგი ახორციელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას).

კერძო მეწარმის (ვაჭრის, კომერსანტის) სახელით გარიგების განხორციელების უფლება აქვს თვით კომერსანტს, რომელსაც ეკისრება შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ნაყიარ ვალდებულებებზე. კერძო მეწარმეს საკუთარი ვალდებულებების შესრულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ამორიცხვულია სავაჭრო რეესტრიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მეწარმის საწარმო საკმაოდ დიდია, სავაჭრო რეესტრში შეაქვთ აგრეთვე ცნობები პროკურისტების შესახებ. პროკურისტი ის პირია, რომელსაც სპეციალური უფლებამოსილების გარეშე შეუძლია გარიგებათა განხორციელება მეწარმის სახელით.

გფრ-ში ინდივიდუალური საწარმოები გავრცელებულია საცალო და წვილსაბითუმო ვაჭრობაში, აგრეთვე ადგილობრივ მრეწველობაში. ასეთი საწარმოს მფლობელი თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. გერმანული საწარმოების საერთო რაოდენობის 10% მოდის მეწარმოების ამ ფორმაზე. შესაბამისად, იგი საკმაოდ ეფექტანია. ანალოგიური ფორმა არსებობს საფრანგეთში – ერთი მფლობელის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო. ფრანგული ინდივიდუალური საწარმოების ძირითადი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ინდივიდუალურ მეწარმეს არ გააჩნია ასეთი სახის რამდენიმე საწარმოს შექმნის უფლება; ერთი პირის სახელზე შექმნილი მას არ შეიძლება გახდეს სხვა ასეთი საწარმოს ერთადერთი მონაწილე.

საერთაშორისო ბიზნესში მონაწილეობენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნება: სახელმწიფო (მისი ორგანოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები), სავაჭრო და სამრეწველო პალატები, მეწარმეთა კავშირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას არ ახორციელებენ.

მათივე, სახელმწიფო ტრადიციულად განიხილება საჯარო სამართლის სუბიექტის როლში, მაგრამ ამასთან ერთად, იგი ერთდროულად შეიძლება იყოს კერძო სამართლის სუბიექტი, ე.ი. ესაა პირი, რომელიც შეიძლება გახდეს ქონებრივი (შესაბამისად სავაჭრო) ურთიერთობების მონაწილე.

საერთაშორისო ბაზარზე სახელმწიფო გამოდის თავისი ორგანოების (სამინისტროებისა და უწყებების) მეშვეობით. საერთაშორისო ვაჭრობაში იგი ყველაზე ხშირად მონაწილეობს შემდეგ ურთიერთობებში: სახელმწიფო სესხი, მათ შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება; მოცემული სახელმწიფოს სუბიექტების სესხზე სახელმწიფო გარანტია, საინვესტიციო ხელშეკრულებები, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები (როგორც წესი, ეს ხდება საგარეო ვაჭრობაზე მონოპოლიის დამყარების ან შეზღუდვის შემთხვევაში).

სავაჭრო და სამრეწველო პალატები, მეწარმეთა კავშირები – მეწარმეთა ცალკეული ჯგუფების გაერთიანებება. ისინი შექმნილია მეწარმეთა ინტერესების დაცვადაც და საერთაშორისო საქმიანობაში მათი დამხმარებისა და ხელშეწყობისათვის. მათი უმეტესი ნაწილი საერთაშორისო კომერციულ ოპერაციებში უშუალოდ არ მონაწილეობს, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებში) მეწარმეთა დარგობრივ კავშირებზე მოდის საერთაშორისო კომერციული ოპერაციების უდიდესი ნაწილი ან ისინი საერთოდ მონოპოლისტები არიან. მაგალითად, ფინეთში ტყე-ქაღალდის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის მონოპოლიური უფლებით სარგებლობს მხოლოდ ოთხი მეწარმეთა კავშირი: ქაღალდის და მუყაოს დამამუშავებელი ფინური ფაბრიკების კავშირი, ფინური მუყაოს ფაბრიკების კავშირი, ფინური ტყესახერხი ქარხნების მფლობელთა კავშირი და ყუთების კომპლექტების დამამზადებელი საწარმოების მფლობელთა კავშირი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან ფირმის სახით რეესტრირებულ პირთა და კაპიტალის გაერთიანებები (ამხანაგობები). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს საქმიანობისა და საკუთრების ხასიათს, კაპიტალის კუთვნილებასა და კონტროლის უფლებას.

ამხანაგობის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციული ფორმებია: სრული ამხანაგობა ანუ პარტნიორობა (შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოება), კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება.

პირთა გაერთიანებებს მიეკუთვნება სრული ამხანაგობა და კომანდიტური საზოგადოებები, კაპიტალის გაერთიანებებს – შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები.

ამხანაგობები შეიძლება იყოს: პირთა გაერთიანებები და კაპიტალის გაერთიანებები, იურიდიული და ან-იურიდიული პირები, ხელშეკრულებითი და საწესდებო.

გაერთიანებების დაყოფა ხელშეკრულებით და საწესდებო ამხანაგობებად ეფუძნება მათი შექმნის ხასიათს. ხელშეკრულებითი ამხანაგობები იქმნება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მისი წევრების ურთიერთობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამხანაგობის მონაწილეებსა და თვით ამხანაგობას შორის. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთში) დაშვებულია ხელშეკრულებითი გაერთიანების არსებობა ერთი პირის ხელში მისი ყველა წილის კონცენტრაციის შემთხვევაში. საწესდებო ამხანაგობები იქმნება წესდების საფუძველზე, მაგრამ ეს არ გამოირჩევა მისი დაფუძნებლების ხელშეკრულებით ურთიერთობებს. წესდებებში, ჩვეულებრივ, დათქმულია გაერთიანების სტრუქტურა, მმართველი ორგანოების უფლებამოსილებანი, დებულება არბიტრაჟის შესახებ და ა.შ. გაერთიანებების წესდება შეთანხმებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ნორმებთან. ხელშეკრულებით გაერთიანების მიყუთვნება სრული და კომანდიტური ამხანაგობები, ხოლო საწესდებოს – შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები.

სრული ამხანაგობა ანუ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოება ყველა პარტნიორის პირად მონაწილეობაზე დაფუძნებული საწარმოს ორგანიზაციული ფორმაა. მართალია, იგი ითვალისწინებს ყველა წევრის მიერ საქმის წარმოებას და გარიგებებში წარმომადგენლობის უფლებას, მაგრამ წესდებით ან ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული უფლებები შეიძლება დაეკისროს პარტნიორობის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით სრული ამხანაგობის წევრს არ გააჩნია საკუთარი წილის გაყიდვის უფლება სხვა წევრთა თანხმობის გარეშე. სრული ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის სიკვდილი, ან ამხანაგობიდან ერთ-ერთი წევრის გასვლა, ჩვეულებრივ, საჭიროებს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ამხანაგობის შექმნის შესახებ, თუ დაფუძნების დოკუმენტებით მისა რამ არაა გათვალისწინებული. სრული ამხანაგობა არ ითვალისწინებს სამუდამო ფინანსური საქმიანობის მონაცემების გამოქვეყნებას.

სრული ამხანაგობის ფორმით ჩვეულებრივ იქმნება კოოპერატიული (საწარმოო, საკრედიტო, გამსაღებელი) გაერთიანებები, მაგრამ ამ შემთხვევაში იცვლება წევრთა რაოდენობა და შესაძამისად, თვით კაპიტალი, რომელიც იქმნება საპაიო შენატანებისაგან. საპაიო შენატანების ზომა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით. იგი ყველა წევრისათვის ერთნაირია.

გერმანული კანონმდებლობა კრძალავს სრული ამხანაგობის წევრებისათვის კონკურენციას: სხვა მონაწილეთა ნებართვის გარეშე დაუშვებელია საწარმოს დაფუძნება იმავე დარგში ან მონაწილეობა მათ საქმიანობაში; გამოირჩევა, აგრეთვე, მათი მონაწილეობა სხვა ამხანაგობებში სრული პარტნიორობის სახით. მონაწილენი ვალდებული არიან განახორციელონ ამხანაგობის მართვა დაფუძნებელი ხელშეკრულების შესაძამისად. მათ აქვთ ამხანაგობის ბუღალტრული ანგარიშებისა და შედეგების უფლება. ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიიღონ სალიკვიდაციო ღირებულების ნაწილი კაპიტალში მათი წილის პროპორციულად.

ამასთან ერთად, გერმანიაში არსებობს მოგებისა და ზარალის განაწილების თავისებურებანი, სრული ამხანაგობების ზარალი მის მონაწილეებზე თანაბრად ნაწილდება ("თავების" მიხედვით), ხოლო მოგება იყოფა ამხანაგობის კაპიტალში წილის პროპორციულად მხოლოდ რენტაბელობის 4%-ის ზღვარში, დანარჩენი ნაწილი კი ნაწილდება "თავების" მიხედვით. ასეთი მიდგომის მიზეზია იმის რწმენა, რომ 4% მოგება საწარმოს ბუნებრივი, ნორმალური შედეგია.

კომანდიტური ამხანაგობა (საზოგადოებო) დაფუძნებულია მისი წევრთა პირად მონაწილეობასა და კაპიტალის გაერთიანებაზე. მისთვის დამახასიათებელია ორი ტიპის მონაწილეობა – კომანდიტებისა და სრული პარტნიორობის არსებობა. კომანდიტები საწარმოს ვალდებულებებზე პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ თავიანთი შენატანების ფარგლებში, ხოლო სრული პარტნიორები – მთელი ქონებით. საწარმოს წარმომადგენლობისა და საკუთარი სახელით გარიგებათა განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით კომანდიტურ საზოგადოებას არ გააჩნია იურიდიული პირის უფლება. კომანდიტური საზოგადოების მოქმედების ვადა ჩვეულებრივ კონტრაქტშია დათქმული.

გერმანიაში კომანდიტური ამხანაგობის წევრთა შორის მოგებისა და ზარალის განაწილება ხდება სრული ამხანაგობის მსგავსად, მაგრამ, ამასთან, ითვალისწინებენ მონაწილეთა სხვადასხვა პასუხისმგებლობას. 4%-ზე მეტმა მონაწილემ იხვედრება, როგორც სრულ ამხანაგობაში (ყველა მონაწილეს შორის დაბანდებული კაპიტალის პროპორციულად). 4%-ზე მეტი მოგება კი იყოფა სრულ ამხანაგებსა და კომანდიტებს შორის შეთანხმებული პროპორციის მიხედვით, რომელშიც აისახება სრული ამხანაგების უფრო მაღალი პასუხისმგებლობა კომანდიტებთან შედარებით და მათი როლი დამატებითი მოგების მიღებაში. კომანდიტები ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობენ შეთანხმებული წილის პროპორციულად, თავიანთი შენატანის ზომის ფარგლებში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საწარმოს ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ითვალისწინებს მის მონაწილეთა მიერ საწესდებო ფონდში გარკვეულ სააპირ შენატანებს და თავიანთი შენატანების ფარგლებში შეზღუდულ პასუხისმგებლობას. ე.ი. ამ შემთხვევაში იქნება სააპირ კაპიტალი. სააპირ შენატანების სრული გადახდის შემდეგ საზოგადოების წევრები იღებენ სააპირ მოწმობას, რომელიც აქციებისაგან განსხვავებით, ფასიანი ქაღალდი არაა. ამ მოწმობით მის მფლობელს შეუძლია დივიდენდების მიღება, აგრეთვე საზოგადოების ქონების წილის მიღება მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში. საზოგადოების წევრებს არ შეუძლიათ საკუთარი წილის გაყიდვა სხვა წევრთა თანხმობის გარეშე.

სხვა ამხანაგობისაგან განსხვავებით, შპს-თვის დამახასიათებელია ფიქსირებული საწესდებო კაპიტალი (ფონდი) – ქონების მინიმალური ზომა მისი კრედიტორების ინტერესების საგარანტიოდ. თუ მეორე ან ნებისმიერი შემდგომი საფინანსო წლის ბოლოსათვის შპს-ს აქტივების ღირებულება აღმოჩნდება საწესდებო კაპიტალზე ნაკლები, საზოგადოება ვალდებულია გამოაცხადოს მისი შემცირების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საწესდებო კაპიტალის ზომა იქნება კანონით განსაზღვრულ ზომამზე ნაკლები, ასეთი საზოგადოება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს.

გერმანული კანონმდებლობით შპს-ს რეგისტრაციის მომენტისათვის მის ყოველ მონაწილეს შეტანილი უნდა ჰქონდეს თავისი პაის არანაკლებ 25%; ამასთან, საერთო შეტანილი თანხა უნდა იყოს საწესდებო კაპიტალის მინიმალურად დასაშვები მოცულობის არანაკლებ ნახევარი. თუ საზოგადოებას ჰყავს მხოლოდ ერთი დამფუძნებელი, მან დარჩენილ გადაუხველ თანხაზე უნდა წარადგინოს სათანადო გარანტია. გფრ-ის კანონით დადგენილია აგრეთვე შპს-ის მონაწილის პაის მინიმალური ზომა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არ ითვალისწინებს საჯარო ანგარიშგებას, აგრეთვე წესდების, საბალანსო მონაცემების, კაპიტალის ცვლილებებისა და დირექტორატის შემადგენლობაში გადაადგილებათა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. აღნიშნულის გამო, იგი მოხერხებულია მეწარმეთათვის და იძლევა საჯაროობის გარეშე და შეზღუდული ვალდებულებების პირობებში ყოველგვარი ოპერაციების წარმოების შესაძლებლობას.

სააქციო საზოგადოება მეწარმეთა გერთიანების განსაკუთრებული ფორმაა. მისი კაპიტალი იქმნება აქციების გამოშვებისა და განთავსების გზით, ხოლო მონაწილეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ანაბრების მოცულობით. აშშ-ში იგი ცნობილია კორპორაციის (corporation) სახელწოდებით, გერმანიაში – Aktiengesellschaft, ინგლისში – company limited by shares, საფრანგეთში – societe anonyme, იტალიაში – societa per azione და ა.შ. მრავალ საწარმოში ამ საწარმოთა დასახელებასთან ერთად აუცილებელია მისი სააქციო ბუნების მითითება. მაგალითად, შვეიცარიაში და გერმანიაში – AG, იაპონიაში – KK, აშშ-ში – Inc., რომანული ჯგუფის ქვეყნებში – SA და ა.შ.

სააქციო საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ოპერაციათა ფართო მასშტაბები, კინაიდან ისინი, უპირველესად, კაპიტალის გაერთიანებას გულისხმობს. ფულადი სახსრების მოზიდვის საკითხში სააქციო საზოგადოება ბიზნესის ორგანიზაციის ყველაზე ეფექტიანი ფორმაა. მასში გამოიყენება დაფინანსების უნიკალური ზერზი, რომელიც ითვალისწინებს ოჯახური მურწუნობების დანაშაულების მიზიდავას ობლიგაციებისა და აქციების გაყიდვის გზით. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელია შეზღუდული პასუხისმგებლობა, კინაიდან აქციონერები სააქციო საზოგადოების მესაკუთრენი კი არიან, მაგრამ მათ არ გააჩნიათ ქონებრივი პასუხისმგებლობა. ე.ი. სააქციო საზოგადოება მოქმედებს და ვითარდება მისი მფლობელისაგან დამოუკიდებლად. საკუთრებისაგან მართვის განცალკევების გამო, სააქციო საზოგადოების მფლობელთა კოლექტიური გადაწყვეტილებით შეიძლება თანამდებობის პირების შეცვლა. ამასთან, კინაიდან აქციები იყიდება ან შემკიდრებით გადადის, დროთა განმავლობაში იცვლება მისი მფლობელების შემადგენლობა,

მაგრამ თვით საწარმო და მართვის სტრუქტურა უცვლელი რჩება მანამ, სანამ მისი არსებობა ეკონომიკურად მიზანშეწონილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოება სხვა საწარმოსაგან განსხვავებით გარკვეული მუდმივობით ხასიათდება და ამიტომ მას ზრდის დიდი პერსპექტივები აქვს. ამას ხელს უწყობს აგრეთვე აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვის გზით ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა და კაპიტალის გაერთიანების უპირატესობა რეალიზაცია. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იძლევა მასობრივი წარმოების ტექნოლოგიების ფართო გამოყენების შესაძლებლობას.

სააქციო საზოგადოება იქმნება სხვადასხვა პირთა (პირი შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული) ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე და აქციონერთა კუთვნილებას წარმოადგენს. აქციონერები თორიულად სააქციო საზოგადოების მმართველები არიან, მაგრამ მის მართვაში პრაქტიკულად იშვიათად მონაწილეობენ (განსაკუთრებით ღია კორპორაციებში, რომელთა აქციები თავისუფლად იყიდება ღია ბაზარზე). რაც უფრო დიდია აქციონერთა რიცხვი, მით უფრო ნაკლებია მათი ზემოქმედება კორპორაციის მართვაზე.

სააქციო საზოგადოების მართვისათვის იქმნება სამრგოლიანი ან ორრგოლიანი სისტემის მართვის ორგანოები. სამრგოლიან სისტემაში შულის აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა, ორრგოლიანში – აქციონერთა კრება და დირექტორთა საბჭო. სამრგოლიან სისტემაში, როგორც წესი, აქციონერთა კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს არ გააჩნია სააქციო საზოგადოების გარე ურთიერთობებში წარმომადგენლობის უფლება. ამ ფუნქციას ასრულებენ აღმასრულებელი ორგანოს წევრები. ინგლისსა და აშშ-ში აღმასრულებელი ორგანოა დირექტორთა საბჭო, გერმანიაში – გამგეობა, საფრანგეთში – აღმინისტრაციული საბჭო.

საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტთა წრე განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით, ამიტომ მათი სახეები განისაზღვრება ქვეყანათა მიხედვით და საკმაოდ მრავალფეროვანია. აღნიშნულის გამო დასახასიათებლად შერჩეულია სუბიექტთა ის სახეები, რომლებიც ამ თუ იმ განსხვავებით წარმოდგენილია სახელმწიფოთა უმრავლესობის ეროვნულ კანონმდებლობაში.

საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტები, ძირითადად, კორპორაციული (სააქციო საზოგადოების) სახისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სახელწოდებითაა ცნობილი.

გაეროს კომისია, ტრანსნაციონალური კორპორაციებად (ტნკ) მიიჩნევს ისეთ კორპორაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- წლიური ბრუნვა აღემატება 1 მლრდ ამერიკულ დოლარს;
- ფილიალები აქვს არანაკლებ 6 ქვეყანაში;
- უცხოური აქტივების წილი უნდა შეადგენდეს კომპანიის აქტივების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 25-30%-ს
- კომპანიის ბრუნვის მთლიანი მოცულობის 1/5-1/3 რეალიზებული უნდა იყოს რეზიდენტ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ამხანაგოები კერძო მეწარმეობის (ერთპიროვნული მფლობელობის) ბუნებრივი განვითარების შედეგია. ისინი ითვალისწინებენ კოლექტიურ საქმიანობას ორი და მეტი პირის გაერთიანების საფუძველზე.

ამხანაგოების იურიდიულ და არაიურიდიულ პირებად დაყოფის საფუძველია მათში იურიდიული პირის თვისებების აღიარების პრინციპი. იურიდიული პირის მახასიათებელ ნიშნებს მიეკუთვნება: კანონის თანახმად დაფუძნება, სტრუქტურული გაფორმება, სპეციოო ქონების ფლობა, დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა და საკუთარი სახელით მოქმედება. კაპიტალის გაერთიანებები, როგორც წესი, იურიდიული პირები არიან, ხოლო პირთა გაერთიანებების სამართლებრივი სუბიექტის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვა მდგომარეობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობას შეიძლება ჰქონდეს სამართლის სუბიექტის ძირითადი ნიშნები, მაგრამ არ იყოს იურიდიული პირი.

ფირმის მიერ სამართლებრივი ანუ იურიდიული პირის უფლების მისაღებად ხდება მისი რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში. სავაჭრო რეესტრი სამართლებრივი პნიშენლობის მონაცემების ჩასაწერად განკუთ-

ენილი სააღრიცხვო წიგნია. სავაჭრო რეესტრებს აწარმოებენ სასამართლოები ან ადმინისტრაციული ორგანოები. მაგალითად, ინგლისში სავაჭრო რეესტრებს აწარმოებს ვაჭრობის სამინისტრო, აშშ-ში – შტატის ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანო, საფრანგეთში – სავაჭრო სასამართლოები, გერმანიაში – პირველი ინსტანციის სამოქალაქო სასამართლოები და ა.შ. სავაჭრო რეესტრების წარმოების ძირითად მიზნებს მიეკუთვნება:

სავაჭრო საზოგადოების (ამხანაგობების) რეგისტრაცია;

სავაჭრო საქმიანობის, ფირმების (სავაჭრო დასახელებების), აგრეთვე საქმიანობის იმ სახეების რეგისტრაცია, რომელთა განხორციელების უფლება აქვთ მოცემულ სუბიექტებს;

სავაჭრო ბრუნვის ყველა მონაწილისათვის რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ მონაცემების (საწესდებო ფონდის ზომა, ადგილსამყოფელი, მართვის ორგანოები, მოცემული სუბიექტის სახელით გარიგების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები) მიწოდება.

სავაჭრო რეესტრში არსებული მონაცემების განხორციელებისა და დამოწმებული ასლების მიღების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (სათანადო თანხის გადახდით). ამასთან, სახელმწიფოთა უმეტესობაში მოქმედებს სავაჭრო რეესტრში მითითებული მონაცემების ცოდნის, აგრეთვე მათი უტყუარობის პრეზუმციის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ პირს არ შეუძლია გამოიყენოს ის გარემოება, რომ მას ინფორმაცია არ ჰქონდა სავაჭრო რეესტრში არსებული მონაცემების შესახებ, ხოლო სავაჭრო რეესტრის სუბიექტს არა აქვს იმის მითითების უფლება, რომ სავაჭრო რეესტრში შეტანილი მონაცემები არასწორია.

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში ფაქტობრივად გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტების რეგულირება. ეროვნული კანონმდებლობის უნიფიკაცია სამეწარმეო სუბიექტების მიმართ განხორციელებულია მხოლოდ ზოგიერთი რეგიონული ორგანიზაციის (მაგალითად, ევროკავშირის) ჩარჩოში.

სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილის ეროვნული კანონმდებლობა, აღიარებს რა პირს სავაჭრო სამართლის სუბიექტად, ავტომატურად აძლევს მას საერთაშორისო სავაჭრო გარიგებათა განხორციელების უფლებას. მაგრამ, ამასთან სხვა სახელმწიფოს სუბიექტებთან გარიგების განსახორციელებლად, საჭიროა მოცემული სახელმწიფოს მიერ მათი სამართალუნარიანობის, აგრეთვე ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების უფლების აღიარება.

უცხო იურიდიული პირების აღიარების პრობლემა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოები დაყოფილია სამ ჯგუფად.

პირველი ჯგუფის სახელმწიფოებში (აშშ, ინგლისი და სხვა) უცხო იურიდიულ პირს აღიარებენ იმ შემთხვევაში, თუ მას იურიდიული პირის უფლება მიღებული აქვს იმ სახელმწიფოში, რომელსაც ეს სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს.

მეორე ჯგუფის სახელმწიფოები (საფრანგეთი და სხვა) უცხო სახელმწიფოთა იურიდიულ პირებს აღიარებენ ამ სახელმწიფოსთან საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.

მესამე ჯგუფის სახელმწიფოებში უცხო იურიდიული პირების აღიარება ხდება ნაცვალების პრინციპით. ამასთან, ნაცვალება ეხება არა მარტო იურიდიული პირების აღიარების ფაქტს, არამედ, აგრეთვე ორივე სახელმწიფოში მოცემული სახის იურიდიული პირებისათვის სამართალუნარიანობის მოცულობის დამთხვევას.

ზოგიერთ შემთხვევაში ერთი ქვეყნის იურიდიულ პირს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე სურს საქმიანობის განხორციელება ამ უკანასკნელში იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ასეთი შემთხვევები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად რეგულირდება. აღსანიშნავია, რომ უცხო იურიდიულ პირთა სამართალუნარიანობის აღიარების საკითხი განსხვავდება გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობისათვის მათი დაშვების საკითხისაგან. უკანასკნელისათვის შემუშავებულია სხვადასხვა კანონი. მაგალითად, ინგლისში უცხო იურიდიული პირების დაშვება სამეურნეო საქმიანობისათვის რეგულირდება კომპანიების შესახებ მიღებული კანონით. ამ ქვეყანაში უცხო კომპანია ითვლება ის კომპანია, რომელ-

საკ იურიდიული პირის უფლება მიღებული აქვს დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ. აშშ-ის ყოველ შტატს კორპორაციების შესახებ მიღებული აქვს საკუთარი კანონი, ამიტომ ამ ქვეყანაში უცხო იურიდიულ პირად ანუ უცხო კორპორაციად ითვლება როგორც აშშ-ის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული, ასევე სხვა შტატებში რეგისტრირებული იურიდიული პირები.

უცხო იურიდიული პირებისათვის დადგინდულ შეზღუდვებსა და პირობებს იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა სცილდება ერთჯერადი ოპერაციის ჩარჩოებს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ინგლისსა და აშშ-ში) განასხვავებენ ხელშეკრულებათა რეგულაციებს დადგენასა და ინტერესების წარმოებას. იმისათვის, რომ უცხო იურიდიულ პირზე გავრცელდეს ნორმები სამურწუნო საქმიანობისათვის უცხო კომპანიების (კორპორაციების) დაშვების შესახებ, საჭიროა, მას დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ტერიტორიაზე ჰქონდეს: ინტერესის წარმოების ადგილი – საქმიანი სწარმო და ინტერესის წარმოების ხერხი, რომლის შესაბამისად იგი მოქმედებს.

ინგლისში, ინტერესების წარმოების შემთხვევაში, უცხო კომპანია ასეთი საქმიანობის დადების მომენტთან ერთი თვის ვადაში საეაჭრო რეესტრში უნდა წარადგინოს კომპანიის ლეგალიზებული დოკუმენტები და მიუთითოს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე უფლებამოსილი პირი, ოფიციალური და პროცესუალური დოკუმენტების მისილება. გარდა ამისა, მოცემულმა კომპანიამ უნდა წარადგინოს საგადასახადო ანგარიშები და ბალანსები ინგლისის ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აშშ-ში საქმიანობის განხორციელებისათვის უცხო კორპორაციების დასაშვებად გამოიყენება კვალიფიკაციის საეციალური პროცედურა, რომლის თანახმად უცხო კორპორაციამ შტატის მდივანს უნდა წარუდგინოს გარკვეული დოკუმენტები (ისინი უნდა შეიცავდეს მონაცემებს მოცემული კორპორაციის შესახებ) და მიუთითოს შტატის ტერიტორიაზე ასახვისმცემელი პირი. წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შტატის მდივანი ნებართვას გასცემს შტატის ტერიტორიაზე ინტერესის წარმოებაზე. აღნიშნული პროცედურის დაუცველობის შემთხვევაში უცხოური კორპორაციის მიერ დადებული გარიგებები ითვლება უმოქმედოდ.

გერმანიის ტერიტორიაზე სამურწუნო საქმიანობისათვის უცხო კომპანიების დასაშვებად გათვალისწინებულია ნებართვების მთლიანი სისტემა. უცხო იურიდიულმა პირმა საეციალური ნებართვა უნდა მიიღოს გერმანიაში მისი მურწუნობის საბინისტროში, რომლის ტერიტორიაზეც ნაჯარაუდგეა საქმიანობა. ნებართვაში მიუთითება საქმიანობის მხოლოდ გარკვეული სახე. უცხო კომპანია შეიძლება უარი მიიღოს ნებართვაზე, თუ მის სახელმწიფოში აღიარებული არაა გერმანიაში შექმნილი იურიდიული პირების უფლებები.

უცხო იურიდიული პირის მიერ გერმანიის ტერიტორიაზე განყოფილების გახსნის შემთხვევაში საჭიროა საეაჭრო რეესტრში მისი რეგისტრაცია, გერმანული სამურწუნო საზოგადოებისა და ამხანაგობებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

უცხო იურიდიული პირების საეაჭრო საქმიანობა საფრანგეთის ტერიტორიაზე რეგულირდება 1967 წელს მიღებული დეკრეტით საეაჭრო რეესტრის შესახებ. ამ დეკრეტით გათვალისწინებულია გარკვეული ფორმალუბების დაცვა, რომელშიც შედის უცხო იურიდიული პირის განყოფილების, სააგენტოს და ა.შ. რეგისტრაცია საეაჭრო რეესტრში, ფრანგული საეაჭრო საზოგადოებისა და ამხანაგობებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობის სფეროში ამა თუ იმ სახელმწიფოს უცხო იურიდიული პირებისადმი სხვადასხვა მიდგომა აქვს, ამიტომ მათი აღიარებისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქმიანობისათვის დაშვების პრობლემების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოცემული იურიდიული პირის "ეროვნულობის" გარკვევის საკითხსაც. "ეროვნულობის" დადგენა ანუ იმის დადგენა, თუ რომელი სახელმწიფოს სუბიექტია მოცემული იურიდიული პირი, საჭიროა ბაჟებისა და მოსაკრებლების, საგადასახადო განაკეთებისა და ა.შ. სწორი განსაზღვრისათვის.

ამჟამად იურიდიული პირის "ეროვნულობა" განისაზღვრება სამი ძირითადი მიდგომის (დოქტრინის) საფუძველზე.

პირველი დოქტრინა ინკორპორაციის დოქტრინა, რომლის თანახმად იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება მისი რეგისტრაციის ადგილით. ამ დოქტრინას აღიარებენ აშშ, ინგლისი, დსთ.

მეორე დოქტრინის თანახმად, იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება მისი ადგილსამყოფელით. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება მისი მართვის აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელით. ამასთან, იურიდიული პირის აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელად ითვლება არა დამფუძნებელი დოკუმენტებში მითითებული ადგილი, არამედ ის ადგილი, სადაც რეალურად იმყოფება მისი მართვის ორგანო. ამ დოქტრინის მხარდამჭერი სახელმწიფოების (კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტესობა) კანონმდებლობა მოითხოვს, რომ იურიდიული პირი რეგისტრირებული იყოს იმ სახელმწიფოში, რომელშიცაა მისი მართვის აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელი. ასეთი მიდგომიდან გამომდინარეობს, რომ თუ იურიდიულ პირს დასაწყისში თავისი მართვის ორგანო ჰქონდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და არა მისი რეგისტრაციის სახელმწიფოში, ან მართვის ორგანო შემდგომ გადაიტანა რეგისტრაციის სახელმწიფოში, მეორე დოქტრინის მხარდამჭერი სახელმწიფოები მას იურიდიულ პირად არ აღიარებენ. აღნიშნულის გამო, ეს პრინციპი შეიზღუდა წესით, რომლის თანახმად მოთხოვნა იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მისი მართვის ორგანოს ადგილსამყოფელში გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავს მართვის ორგანოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა.

იურიდიული პირის "ეროვნულობის" განსაზღვრის მესამე დოქტრინა ცნობილია ე.წ. "კონტროლის დოქტრინის" სახელწოდებით. ამ დოქტრინის თანახმად იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახელმწიფოების სუბიექტთა კაპიტალი ზემოქმედებს მოცემული იურიდიული პირის კონტროლზე.

საკონტროლო კითხვები:

1. საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტების ჩამონათვალი;
2. ფიზიკური პირების მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების განსაზღვრული პირობები;
3. შემთხვევა, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის კერძო იურიდიული პირის როლში;
4. საერთაშორისო ბიზნესისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები;
5. სავაჭრო რეგისტრის მიზნები და მისი მანარმობელი ორგანოები;
6. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის აღიარება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში;
7. იურიდიული პირის "ეროვნულობის" განსაზღვრა.

2. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება

ხანგრძლივი დროის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საფუძველს ორმხრივი სა-ვაჭრო ხელშეკრულებები წარმოადგენდა. მათი მეშვეობით შეიქმნა ურთიერთვალდებულებების სისტემა, რომელიც იძლეოდა პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო შეზღუდვების გაწონასწორების შესაძლებლობას. ხოლო საგარეო სავაჭრო რეგულირება გასცდა ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებს და მიიღო საერთაშორისო ხასიათი. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა საერთაშორისო ხელშეკრულებების, როგორც სამართლებრივი ნორმების როლი რეგულირების ეროვნული სისტემების ფორმირებაში. ორმხრივი ხელშეკრულებები საკმაოდ კარგ სამართლებრივ ბაზას ქმნიდნენ ერთ ან რამდენიმე პარტნიორთან საგარეო სავაჭრო გაცვლის განხორციელებისათვის, მაგრამ მათი მეშვეობით შეუძლებელი იყო შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა მაქსიმიზაციის ამოცანის გადაჭრა, მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის განვითარების გზით. ევრო კიდევ მეორე მსოფლიო ომის

წინ განდა მრავალმხრივი შეთანხმებების აუცილებლობა. ამ მოთხოვნების რეალიზაცია 1947 წელს გახდა შესაძლებელი, როდესაც 23 სახელმწიფომ ეწევაში ხელი მოაწერა გენერალურ შეთანხმებას ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (General Agreement of Tariffs and Trade - GATT). იგი ცნობილია GATT-47-ის სახელწოდებით. თავისი არსებობის პერიოდში (1947-1994 წ.წ.) GATT იყო საერთაშორისო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირების ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტიანი მექანიზმი, რომელმაც უზრუნველყო მნიშვნელოვანი მიღწევები საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, აგრეთვე სავაჭრო პოლიტიკის ინსტიტუტების გამოყენების წესებისა და მექანიზმების უნიფიკაციაში.

GATT-ის უმნიშვნელოვანეს პრინციპს მიეკუთვნება:

1. დებულება საგარეო ვაჭრობის ყველა მონაწილის თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, რომელმაც მიიღო "უდიდესი ხელშეწყობის რეჟიმი", იგი ჩამოყალიბებულია როგორც GATT-ის მონაწილე ქვეყნების ვალდებულება ურთიერთმისწოდებელ საქონელზე არ დაწესონ ნებისმიერი მესამე ქვეყნის მიმართ დადგენილზე უფრო მაღალი საბაჟო ტარიფი. აღნიშნულის მიუხედავად, ამ დებულებას აქვს გამონაკლისი, რომლის თანახმად დაშვებულია გამონაკლისი სპეციალური ეკონომიკური (ინტეგრაციული) დაჯგუფებების შექმნის შემთხვევაში. GATT-ის შექმნის მიზეზში ასეთი გამონაკლისი დადგენილი იყო მეტროპოლიტთან განსაკუთრებული შეთანხმებით დაკავშირებული კოლონიებისათვის, ამჟამად კი გამონაკლისების უმეტესობა მოდის ინტეგრაციულ გაერთიანებებსა (ევროკავშირი, ჩრდილო-ამერიკული, ლათინურ-ამერიკული და სხვა რეგიონული დაჯგუფებები) და მათთან ასოცირებულ ქვეყნებზე. გარდა ამისა, განვითარებული ქვეყნებისათვის გათვალისწინებულია პრეფერენციული საბაჟო რეჟიმი სარგებლობის უფლება ცალმხრივ საფუძველზე, ანუ განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე ბაჟების შემცირების გარეშე;
 2. GATT აღიარებს საგარეო სავაჭრო რეგულირების გამოყენების უფლებამოსილებას და ბაჟებს მიიჩნევს ერთადერთ ასეთ საშუალებად. ყველა დანარჩენი ფორმა და მეთოდი არ უნდა გამოიყენებოდეს. ამასთან, თუ ისინი მაინც გამოიყენება, იგი უნდა იყოს დროებითი ხასიათის მოვლენა და დასაბუთდეს განსაკუთრებული გარემოებით. რეკომენდებული არაა კვოტების, საქსპორტო და სიმპორტო ლიცენზიების გამოყენება. მიუხედავად ამისა, GATT-ის ტექსტი შეიცავს ყველაზე ნაირი გამონაკლისის ჩამონათვალს, როდესაც რაოდენობრივი შეზღუდვების გამოყენება მისაღებია შესაძლებელია. ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგულირებას, საგადასახდლო ბალანსის წონასწორობის დარღვევას.
- GATT ნეგატიურად აყვას აგრეთვე წარმოების სტიმულირების სახელმწიფო ღონისძიებებს, რეგიონული განვითარების დახმარების პროგრამებს და ა.შ. ამ ღონისძიებების გამოყენება დაუშვებელია, როდესაც ისინი იწვევენ შეთანხმების მონაწილე ქვეყნების დისკრიმინაციას.
3. გადაწყვეტილებათა მიღებისას ცალმხრივი მოქმედებების უაყვავა მოლაპარაკებათა და კონსულტაციების სასარგებლოდ. GATT-ის მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ცალმხრივი მოქმედებების განუხორციელებლობის ვალდებულება. ყველა გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებულია მხოლოდ სავაჭრო ურთიერთმოლაპარაკების დროს.

GATT-ის ძირითადი საქმიანობა ითვალისწინებდა მრავალმხრივი შეხვედრა-რაუნდების ჩატარებას. ამ შეხვედრების განხილვის საგან მონაწილე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები იყო. დღემდე ჩატარებულია 8 რაუნდი.

GATT-ის საქმიანობაში მთავარი იყო ბაჟების ლიკვიდაცია ან შემცირება და საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმის შექმნა. ეს საშუალები ხორციელდებოდა ღონისძიებად. GATT-ის პირველ სესიებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ცალკეული საქონლის ძირითად წარმოებებსა და მომხმარებლების შორის. შემდგომში, როდესაც საბაჟო ტარიფების სიდიდე მნიშვნელოვნად შემცირდა და შეთანხმებას შეუერთდნენ სხვა სახელწიფოებიც, მოლაპარაკებები წარმოებდა კომპლექსური სიის მიხედვით, რომელთა შორის მთავარი პოზიცია საბაჟო ტარიფებს ეკავა.

საბაჟო ტარიფების შემცირების პირველი ფართომასშტაბიანი გადაწყვეტილება მიღებული იყო მეექვსე, ე.წ. კენედი-რაუნდის (1964-1967წწ.) მოლაპარაკებების დროს. ამავე პერიოდში დადგა დამკაივი ზომების აუცილებლობის საკითხი, ხოლო 1967 წელს თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა მიერ სანქციონირებული იყო ანტიდემპინგური ტარიფების გამოყენება. ტოკიოს რაუნდით (1973-1980წწ.) შემცირდა სატარიფო (სატარიფო საქონელზე 8 წინას განმავლობაში 33%-ით) და არასატარიფო ბარიერები. GATT-ის ტოკიოს შეხვედრაზე მიღებულ იქნა “კოდექსი საქონლის საბაჟო შეფასების შესახებ”, რომლითაც ბაჟების დარიცხვის დასაბეგრ ბაზად უნდა მიიღონ ხელშეკრულებაში მოცემული საქონლის გაყიდვის რეალურად ანუ ფაქტობრივად განსაზღვრული ფასი. დამატებითი დანახარჯების (საღირსეზო, გასამრჯელოს, შეფუთვის, ფრახტისა და ა.შ. ღირებულება) ჩართვა წარმოებს მხოლოდ შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნების გადაწყვეტილებით. ამ რაუნდის სახელზე მიეკუთვნება დამატებითი დებულებები ანტიდემპინგური ბაჟების შემოღების პირობების თაობაზე. მიღებული შეთანხმების თანახმად, დემპინგი განისაზღვრა, როგორც საქონლის გაყიდვა ნორმალურ ფასზე (ე.ი. ისეთ ფასზე, რომლითაც იგი იყიდება ქვეყნის შიგნით) ნაკლებ ფასად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სადამსჯელო ბაჟების დადგენილი სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს “დემპინგურ სხვაობას” ანუ სხვაობას “ნორმალურ” ფასსა და იმ ფასს შორის, რომლითაც საქონელი შეიღება მის იმპორტიორ ქვეყანაში. იგივე პრინციპი გამოიყენება სუბსიდიური ექსპორტის მიმართაც. საკომპენსაციო ან სადამსჯელო ბაჟების ამოცანაში შედის მხოლოდ სუბსიდიების ან შეღავათიანი დებეჯერის ნეიტრალიზაცია, ამიტომ სადამსჯელო ბაჟის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს სუბსიდიის ან დამატებითი შეღავათის სიდიდეს.

დემპინგური ფასით საქონლის მიწოდების ფაქტის დაუიქსირებისა და “მნიშვნელოვანი ზარალის” არსებობის შემთხვევაში ქვეყანას ეძლევა სადამსჯელო ბაჟების მოთხოვნის შესაძლებლობა. ამასთან, იაფი საქონლის მიწოდების ფაქტსა და ღარგის კრიზისული მდგომარეობის მჭიდრო კავშირის ზედმეტი დასაბუთების გარეშე.

ტოკიოს რაუნდზე მიღებულ შეთანხმებაში იმპორტის რეგულირების პროცედურის შესახებ ფორმულირებულია ვალდებულება ლიცენზირების თაობაზე ყველა წესისა და პროცედურის გამოყენების, აგრეთვე შეთანხმების დებულებებთან არსებული პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. დადგინდა ავტომატური ლიცენზირების, აგრეთვე ინდივიდუალური ლიცენზირების შემოღების პროცედურა.

კოდექსში სტანდარტების შესახებ განისაზღვრა, რომ სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმების გამოყენებამ არ უნდა დააბრკოლოს ვაჭრობის განვითარება. აგრეთვე მიღებულ იქნა “ნოტიფიკაციის” ვალდებულება, რაც ნიშნავს მოსალოდნელი შემონადებების შესახებ წინასწარ შეტყობინებას.

ტოკიოს რაუნდზე ფაქტობრივად აიკრძალა ყველა სუბსიდია (ტყის, სოფლის მეურნეობისა და მთევხეობის პროდუქტების გარდა). ამასთან, განვითარებულმა ქვეყნებმა მიიღეს სუბსიდიების უფლება, მაგრამ დროებითი ღონისძიების სახით, რომელიც უნდა შეწყდეს მათი ეკონომიკური პროგრესის შემთხვევაში.

GATT-ის მერვე (ურუგვაის) რაუნდის მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ზოგიერთ საქონელზე ყველა საბაჟო ტარიფის 1/3-ით შემცირებაზე, ზოგიერთი სახის ალკოჰოლიან სასმელებზე, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობაზე, საოფისე ავეჯზე, სათამაშოებზე, ფარმაცეპტულ საქონელზე კი მათი სრული ლიკვიდაცია, აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში საქონელზე ბაჟების გარკვეულ (20-30%-ით) შემცირებაზე. ამასთან ერთად, მოხდა ბაჟების პარმონიზაცია და საბაჟო დაცვის ყველაზე მაღალი განაკვეთების ლიკვიდაცია. ქსოვილითა და ტანსაცმლით ვაჭრობის სფეროში 2005 წლისათვის გათვალისწინებულია ბაჟებისა და რაოდენობრივი შეზღუდვების სრული ლიკვიდაცია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქონელზე – სუბსიდიების ლიკვიდაცია და 30-40%-ით ნაექსპორტო და საწარმოო სუბსიდიების სიდიდის შემცირება, აგრეთვე ერთდროულად სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობაში რეგულირების ყველა ფორმის უარყოფა საბაჟო ტარიფების სასარგებლოდ.

მერვე რაუნდზე შემოღებულია “კანონიერი” სუბსიდიების ცნება, რომელიც გულისხმობს საგარეო ვაჭრობაში დაუმჯობესებელი “უკანონო” სუბსიდიების სასასუხოდ გამოყენებულ სუბსიდიებს. “მისაღებ” და “კანონიერი” სუბსიდიებად ითვლება გარემოს დაცვისა და რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სუბსიდიები. აგრეთვე დადიდნა მინიმალური რაოდენობრივი პარამეტრები, რომელთა ქვევით სუბსიდიება ავტომატურად კანონიერად ითვლება (იმპორტის საერთო სიდიდის 3% ან საქონლის საერთო ღირებულების 1%).

GATT-ის საქმიანობის სფერო გაფართოვდა საგარეო ვაჭრობაზე ირიბად მოქმედი ეკონომიკური რეგულირების საკითხების ჩართვითაც. ასე მაგალითად, შემოღებულია გარკვეული შეზღუდვები ისეთ დებულებებზე, როგორიცაა მოთხოვნა ერთობლივ საწარმოებში წარმოებული პროდუქციის მინიმალური ექსპორტის, წარმოებაში ადგილობრივი კომპონენტების სავალდებულო გამოყენების შესახებ და ა.შ.

1994 წელს ურუგვაის რაუნდზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის – ემო (World Trade Organization, WTO) ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც მოქმედებს 1995 წლის 1 იანვრიდან და არის GATT-ის სამართალმემკვიდრე. იურიდიული თვალსაზრისით WTO GATT-თან შედარებით უფრო მკაცრი და განვითარებული ორგანიზაციული სტრუქტურაა. ამის მიზეზი ისაა, რომ GATT შეიქმნა ეკონომისტების მიერ, ხოლო WTO – იურისტების მიერ. WTO-ის საფუძველში ჩადებულია GATT- 47-ის პრინციპები, მაგრამ ამასთან, გაფართოვდა შეთანხმების გამოყენების სფერო.

WTO-ის ჩარჩოში მრავალმხრივი შეთანხმების ძირითადი ელემენტები შესულია რამდენიმე მნიშვნელოვან ბლოკში:

1. მრავალმხრივი რეგულირებისა და შეთანხმებების სისტემის ძირითადი პრინციპები;
2. მონაწილე ქვეყნების ინდივიდუალური ვალდებულებები სავაჭრო შეზღუდვების სფეროში (GATT-ის სავაჭრო ტარიფები, WTO-ში – სავაჭრო ტარიფები და სუბსიდიები საქონლით ვაჭრობაში და ბაზარზე შეღწევის რეგულირების ზომები მომსახურებით ვაჭრობის სფეროში);
3. სავაჭრო შეზღუდვებისა და რეგულირების სხვა ღონისძიებების გამოყენების ძირითადი წესები (უმეტესწილად, ესაა გამონაკლისები ძირითადი პრინციპებიდან და ასეთი გამონაკლისების გამოყენების წესები).

საგარეო ვაჭრობის სფეროში სახელმწიფოთა ურთიერთობების ფორმირების ფუნდამენტია დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ტრანსპარანტულობა. WTO-ის ჩარჩოში მუდმივ საფუძველზე დაიწყო აგრეთვე ამ პრინციპის იურიდიული გაფორმება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა ფორმების (მომსახურებით ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მფლობელთა უფლებების დაცვა) მიმართ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მიზნად ისახავს საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შეთანხმებული ლიბერალიზაციის გზით. ამ შეთანხმების ძირითადი დებულებებია:

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისათვის "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" მინიჭებას, ხოლო, მეორე მხრივ, თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის;
- ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარში და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობლივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე;
- კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება ურთიერთდათმობების განხორციელებით;
- დავების გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – GATT-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვების ან ანალოგიური მეთოდებისა;
- თითოეულ ქვეყანაში პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა.

WTO-ს სისტემა ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს:

- (I) ადგილობრივი მრეწველობის დაცვა მხოლოდ ტარიფების საშუალებით, რაც გულისხმობს

არასატარიფო ბარიერების მინიმალურ დონეზე შენარჩუნებას და შიდა ბაზრის დაცვას სატარიფო ბარიერების დაწესების საშუალებით;

- (II) ტარიფების მიბმა, რაც გულისხმობს ქვეყნების ვალდებულებას შეამცირონ და, შესაძლებლობებისამებრ – გააუქმონ ადგილობრივი მრეწველობისათვის პროტექციონის-ტული რეჟიმი ტარიფების დაკლებისა და სხვა ბარიერების მოხსნის გზით. ამისათვის კი, ქვეყნის ეროვნულ სატარიფო ცხრილებში უნდა განზოციელდეს ტარიფების მიბმა გარკვეულ დონეზე, მათი შემდგომი ზრდის თავიდან აცილების მიზნით;
- (III) უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN). GATT-ის ეს მნიშვნელოვანი პრინციპი მოითხოვს, რომ ტარიფები და რეგულირების სხვა საშუალებები ყველა ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მიმართ იყოს ერთნაირი და არ ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს რომელიმე ქვეყნის მიმართ. ამ პრინციპიდან დასაშვებია გამონაკლისები იმ შემთხვევაში, როდესაც რეგიონული გაერთიანებების წევრ ქვეყნებს შორის არსებობს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ან პრეფერენციული ვაჭრობის შესახებ;
- (IV) ეროვნული რეჟიმის პრინციპი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის საქონელს შორის. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის საქონელზე უნდა ერთდებოდეს შიდა რეგულირების ერთნაირი რეჟიმი.

WTO-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ და გადაწყვეტილებებს იღებს, ძირითადად, სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ. კონფერენციებს შორის WTO-ს მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მინისტრთა კონფერენციის წინაშე. გენერალური საბჭოს დონეზე ფუნქციონირებს ორი სტრუქტურა:

1. დაკების გადაწყვეტის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს სადავო საკითხების მოგვარების პროცედურებს;
2. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო, რომელიც ორგანიზებას უწევს WTO-ს ინდივიდუალური წევრების სავაჭრო პოლიტიკის რეგულარულ (2 წელიწადში ერთხელ) განხილვას.

აღნიშნული ორგანოების გარდა, WTO-ს სტრუქტურა შეიცავს მრავალრიცხოვან კომიტეტებს, საბჭოებსა და კომისიებს, რომელთა ფუნქციები საკმაოდ მრავალფეროვანია და გამოძინარეობს მრავალმხრივი შეთანხმებების ხასიათიდან.

გადაწყვეტილებების მიღებისას WTO აგრძელებს GATT-ის პოლიტიკის კონსენსუსის წესის გამოყენების შესახებ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით, პრინციპით “ერთი ქვეყანა – ერთი ხმა”.

WTO-ს მანდატში ერთ-ერთი საყურადღებო ასპექტია კოოპერაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის თანამიმდევრული გატარებისათვის.

საკონტრალო კითხვები:

1. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულების როლი საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში;
2. GATT-ის შექმნის დრო და მიზანი;
3. GATT-ის ჩარჩოში ჩატარებულ რაუნდთა რაოდენობა და მათი მოკლე დახასიათება;
4. WTO-ს შექმნის დრო და მისი დამფუძნებელი;

5. WTO-ს ჩარჩოში წარმოდგენილი, მრავალმხრივი შთანხმებების ძირითადი ელემენტების ბლოკები;
6. WTO-ს მიზნები;

3. ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

ინტელექტუალური საკმანაობის შედეგები (ისმ) სპეციფიკური საქონელია, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მფლობელის ავტორის ავტორის მიერ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ინტელექტუალური საკუთრება განისაზღვრება როგორც უფლება ლიტერატურის, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაშრომებზე, არტისტულ-სამუსიკალურ ნაშრომებზე, ხმის ჩანაწერებზე, აგრეთვე რადიო და ტელევიზიულ-სამუსიკალურ ნაშრომებზე, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, სამეცნიერო აღმოჩენებზე, სამრეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო ნიშნებზე, მომსახურების ნიშნებზე, სხვა დასახელებისა და სავაჭრო აღნიშვნებზე, ისევე როგორც ყველა სხვა უფლება, რომელიც ეხება ინტელექტუალურ საკმანაობას მრეწველობის, ვაჭრობის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ისმ-ად მიჩნეულია მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებები, ფონოგრამის შესრულება და რადიომაუწყებლობის გადაცემები ან ორგანიზაცია, გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სელექციური მიღწევები, ინტელექტუალური მიკროსკოპების ტოპოლოგიები, საიდუმლო ინფორმაცია, მათ შორის წარმოების საიდუმლოებები (ნოუ-ჰაუ), ინდივიდუალიზაციის ნიშნები – საფორმო დასახელებები, სასაქონლო ნიშნები (მომსახურების ნიშნები), საქონლის წარმოშობის ადგილების დასახელებები.

ისმ განსაკუთრებული სახის საკუთრების უფლების ობიექტებია, რომლებიც შექმნილია ადამიანის გონების მიერ. ისმ ჩვეულებრივ იყოფა საავტორო უფლებებით დაცულ და სამრეწველო საკუთრების ობიექტებად.

საავტორო უფლებების ობიექტებს მიეკუთვნებიან:

- ლიტერატურული ნაწარმოებები, დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები, კორეოგრაფიის ნაწარმოებები და სხვა სასცენარო ნაწარმოებები;
- სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები;
- გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები;
- არქიტექტურის, ქალაქთმშენებლობის და საბალო-საავარაკო ხელოვნების ნაწარმოებები;
- ფოტოგრაფიული ნაწარმოებები;
- რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები, რომლებიც განეკუთვნებიან გეოგრაფიის, ტოპოგრაფიის და სხვა მეცნიერებებს;
- წარმოებული ნაწარმოებები (თარგმანები, ინსცენირებები, ორანჟირებები და ა. შ.);
- კრებულები (მათ შორის მონაცემთა ბაზები), კომპიუტერული პროგრამები და ა. შ.

საავტორო უფლებების ობიექტებს აგრეთვე უერთდებიან მომიჯნავე უფლებების ობიექტები, რომლებიც დაკავშირებული არიან შესრულებასთან, შესრულების ჩაწერასთან, საეთერო საკაბელო მაუწყებლობასთან და ა. შ.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებია:

- გამოგონებები;

- სასარგებლო მოდელები;
- სამრეწველო ნიმუშები;
- სელექციური მიღწევები;
- ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები;
- საიდუმლო ინფორმაცია, კერძოდ “ნოუ-ჰაუ”;
- საფირმო ნიშნები;
- სასაქონლო ნიშნები (მომსახურების ნიშნები);
- საქონლის წარმოშობის ადგილების დასახელება.

საავტორო უფლებების ობიექტების დაცვა ხდება ყოველგვარი სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, მხოლოდ ნაწარმების შექმნის საფუძველზე. საავტორო უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების პირველი აქტია 1886 წელს მიღებული ბერნის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ, რომელშიც ცვლილებები შეტანილია 1896, 1908, 1914, 1928, 1948, 1967, 1971 წლებში. მეორე მნიშვნელოვანი აქტია იუნესკოს ჩარჩოში შემუშავებული და 1952 წელს ხელმოწერილი მსოფლიო (ვენეციის) კონვენცია საავტორო უფლებების შესახებ. მასში ცვლილებები შეტანილია 1971 წელს.

საავტორო უფლებების ობიექტებისაგან განსხვავებით, სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაცვა უფრო გამპლავებული წესით ხდება. ამ ობიექტებზე უფლებების დაცვა დარეგულირებულია ჯერ კიდევ 1889 წლის 20 მარტს პარიზში მიღებული კონვენციით სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ. ამ კონვენციაში ცვლილებები შეტანილია 1900, 1911, 1925, 1934, 1958, 1967 წლებში. პარიზის კონვენციით ხდება გამოგონებებზე, საყოველთაოდ სასარგებლო ნიმუშებზე, სამრეწველო ნახატზე ან მოდელებზე, საფაბრიკო ან სასაქონლო ნიშანზე, საფირმო დასახელებაზე უფლებების დაცვა და სხვ.

პარიზის კონვენცია განეკუთვნება ძირითად ფუძემდებლურ შეთანხმებას სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში. იგი ემსახურება არა გამოგონებებისა და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების შესახებ ეროვნული კანონმდებლობების უნიფიკაციას, არამედ მისი მიზანია მათზე უცხოელების მიერ უფლებების მოპოვებისათვის შეღავათიანი პირობების უზრუნველყოფა.

პარიზის კონვენციაში აღსანიშნავია სამი საკანონო დებულება:

1. მასში სამრეწველო საკუთრების ყველა ჩამოთვლილი ობიექტისათვის დამტკიცებულია ეროვნული რეჟიმის პრინციპი. მისი მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეები და ფირმები სარგებლობენ მათი უფლებების ისეთივე დაცვით, რომელიც ენიჭება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით საკუთარ მოქალაქეებსა და ფირმებს. კონვენციის ამოსავალი პრინციპია ეროვნული რეჟიმის ურთიერთგაცემა. ვინაიდან ეროვნული საპატენტო კანონმდებლობა მოქმედებს განაგრობს პატენტზე განაცხადის გაცემისას, პატენტის გამოთხოვისას გასათვალისწინებელია ყოველი ქვეყნის განსაკუთრებული მოთხოვნები.
2. კონვენციით დადგენილია იმ პირის კონვენციური პრიორიტეტების უფლება, რომელმაც პირველმა შეიტანა შესაბამისი განაცხადი. განაცხადის შეტანის თარიღიდან იწყება კონვენციური პრიორიტეტის ვადების ათვალი. გამოგონებაზე პატენტისა და სასარგებლო მოდელებისათვის ეს ვადა 12 თვეა, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისათვის – 6 თვე. განმცხადებელს უფლება აქვს ერთ ქვეყანაში განაცხადის საფუძველზე მთითხოვოს დაცვა კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში. ასეთ პრინციპს აქვს აშკარა პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან მთელ რიგ ქვეყნებში იგი განთავისუფლებული იქნება ერთდროულად და პატენტების აუცილებლობისაგან, რაც დაკავშირებულია გასაფორმებელი საშუაობებისა და ფულადი დანახარჯების დიდ მიცულობასთან.

3. კონვენციით განსაზღვრულია პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვა ბიოტექნოლოგიების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, თუ პატენტის მფლობელი კონკრეტული ვადის განმავლობაში პატენტს არ გამოიყენებს და აბრკოლებს დაინტერესებულ პირებს მიერ მის გამოყენებას, კონვენცია ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობას.

გამოგონების დაცულობის კრიტერიუმებზე, ჩვეულებრივ, მიღებულია შემდეგი კრიტერიუმები: სიახლე, გამომგონებლობის დონე და სამრეწველო გამოყენება (ან მათი ანალოგები სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში). ამ კრიტერიუმებს ითვალისწინებენ სპეციალურ კანონმდებლობაში და აზუსტებენ საპატენტო უწყებების ნორმატიულ დოკუმენტებში.

გამოგონება ითვლება სიახლედ, თუ იგი უცნობია ე.წ. "ტექნიკის დონიდან". ცნება "ტექნიკის დონე" განისაზღვრება როგორც ცოდნის გარკვეული ნაკრები, რომელიც მიღებულია მთელი მსოფლიოს ხელმისაწვდომი ცნობების შეგროვებისა და ანალიზის გზით. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს "ახსოვლური მსოფლიო სიახლის" კრიტერიუმი, სხვა ქვეყნებში სიახლე შეიძლება იყოს "ლოკალური" ან "ფარდობითი მსოფლიო სიახლე".

ითვლება, რომ გამოგონებას აქვს საგამომგონებლო სიახლე, თუ იგი სპეციალისტისათვის აშკარა სახით არ გამოძინარეობს ტექნიკის დონიდან.

სამრეწველოდ გამოყენებადი შემდეგი ობიექტები: მოწყობილობები, ხერხები, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები, აგრეთვე ადრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხების, ნივთიერებების, შტამპების გამოყენება ახალი დანიშნულებით.

გამოგონებაზე გამომგონებლისათვის მიცემული სამართლებრივი დაცვის მოცულობა განისაზღვრება საპატენტო უწყებაში დაზუსტების შემდეგ. ამისათვის გამოგონების ავტორმა უნდა გააფორმოს სპეციალური დოკუმენტი, ე.წ. "გამოგონების ფორმულა", გამოგონების ძირითადი ნიშნების მითითებით.

სასარგებლო მოდელს, გამოგონებისაგან განსხვავებით, აქვს სამართლებრივი დაცვის უფრო დაბალი დონე და გამომგონებლის უფლებების გამარტივებული მექანიზმი, რაც თავის მხრივ, ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. სასარგებლო მოდელი ცნობილია აგრეთვე "მცირე გამოგონების" სახელწოდებით.

სასარგებლო მოდელს მიეკუთვნება წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების, აგრეთვე მათი შემადგენელი ნაწილების კონსტრუქციული შესრულება. დაცვის ეს ხერხი ყველა ქვეყანაში არ არსებობს.

სასარგებლო მოდელს, გამოგონებისაგან განსხვავებით, აფასებენ ორი კრიტერიუმით: სიახლე და სამრეწველო გამოყენებადობა. სასარგებლო მოდელი ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა უცნობია ტექნიკის დონიდან. ტერმინი "არსებითი ნიშნები" განისაზღვრება საპატენტო უწყების ნორმატიულ აქტებში.

ტექნიკის დონე, ჩვეულებრივ, მოიცავს სასარგებლო მოდელს პრიორიტეტის თარიღამდე მსოფლიოში გამოქვეყნებულ და საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ცნობებს იმავე დანიშნულების საშუალებათა შესახებ, როგორცაა განცხადებული სასარგებლო მოდელი, აგრეთვე ცნობებს მათი გამოყენების შესახებ.

სამრეწველო გამოყენების კრიტერიუმები სასარგებლო მოდელისათვის იგივეა, რაც გამოგონებისათვის.

სამრეწველო ნიმუშებში, ჩვეულებრივ, იგულისხმება ნაწარმის მხატვრულ-კონსტრუქციური გადაწყვეტა, რომელიც განსაზღვრავს მის გარეგან სახეს. მათი სამართლებრივი დაცვა წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ახალია, ორიგინალური და მრეწველობისათვის გამოყენებადი.

სამრეწველო ნიმუში ახალია, თუ მისი ესთეტიკური და/ან ეკონომიკური თავისებურებების განსაზღვრული არსებითი ნიშნების ერთობლიობა სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტის თარიღამდე ცნობილი არ არის მსოფლიოში საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ცნობებიდან.

სამრეწველო ნიშში სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი მრავალჯერადი კვლავწარმოება შესაბამისი ნაწარმის დამზადების გზით.

სასაქონლო ნიშანში (მომსახურების ნიშანში) იგულისხმება საქონლისათვის მინიჭებული ორიგინალური აღნიშვნა, რომელიც ემსახურება მისი და მწარმოებლის ინდივიდუალიზაციის მიზანს. სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნახატი, გრაფიკული გამოსახულება, ორიგინალური დასახელება, ციფრების, ასოებისა და სიტყვების განსაკუთრებული შესხმება, აგრეთვე საწარმოს მფლობელის სახელი, ფირმი სახელწოდება და ა. შ. სასაქონლო ნიშნების განსაკუთრებული სახეა მათ სპეციალურ დასახელებაში ჩადებული სიტყვიერი ნიშნები. მაგალითად, “ასპირინი” დასაწყისში რეგისტრირებული იყო როგორც სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი.

სასაქონლო ნიშნისადმი წაყენებულ მოთხოვნებს მიეკუთვნება: ორიგინალობა, სიმარტივე და ადვილად დამახსოვრების შესაძლებლობა.

სასაქონლო ნიშანი გამოიხატება თვით საქონელზე, საქონლის საფუთავზე, საქონელზე მიმაგრებულ ეტიკეტზე, ზოგიერთ ქვეყანაში (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) სასაქონლო ნიშანს უწოდებენ სეაჭრო მარკას. ზოგიერთ შემთხვევაში, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში, სეაჭრო მარკაში შეიძლება იგულისხმებოდეს გარკვეული ნაწარმის და არა მისი მწარმოებლის (გამომშვების) სასაქონლო ნიშანი. ანალოგიური მნიშვნელობა აქვს ტერმინებს “საფაბრიკო ნიშანი”, “საფირმო ნიშანი”. ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს უამრავი ნიშანი პროდუქციის ცალკეული სახეებისა და სორტებისათვის, მაგრამ, როგორც წესი, ერთი სეაჭრო ან საფაბრიკო მარკა.

უფლებები სასაქონლო ნიშნების გამოყენებაზე განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციებით დადგენილ დებულებებითა და იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, რომელშიც იგი გამოიყენება.

საერთაშორისო ვაჭრობაში სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეგულირდება 1883 წლის პარიზის კონვენციით სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, 1891 წლის მადრიდის კონვენციით საფაბრიკო და სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ და 1973 წლის 12 ივნისს ვენაში დადებული ხელშეკრულებით სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებები სხვადასხვანაირადაა განსაზღვრული. სასაქონლო ნიშნის სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც წესი, საჭიროა მისი სახელმწიფო რეგისტრაცია იურიდიული და ფიზიკური პირის სახელზე. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისათვის) ასეთი რეგისტრაცია არაა საჭირო. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია წარმოებს განსაზღვრული (ჩვეულებრივ საკმაოდ ხანგრძლივი) ვადით. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ მის მფლობელს მოცემულ ქვეყანაში ეძლევა ამ ნიშნის გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ეს უფლება მან შეიძლება თვითონ გამოიყენოს ან სხვას დაუთმოს (ნაწილობრივ ან მთლიანად).

ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ირანი, ფილიპინები) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა, ამიტომ დაინტერესებულ მესამე პირებს გამოყენების პრიორიტეტზე დაყრდნობით ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოცემულ ნიშანზე შეღავება. აღნიშნულის გამო, ექსპორტიორებს ასეთ ქვეყნებში საქონლის შეტანა შეუძლიათ თვითნებურად სასაქონლო ნიშნის წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით (ფინეთი, საბერძნეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები) სასაქონლო ნიშანზე საკუთრების უფლება წარმოიშობა რეგისტრაციის პრიორიტეტის საფუძველზე. ამ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნების მფლობელს კანონი ვერ დაიცავს.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (ამერიკა, ინგლისი, ავსტრალია, ბრაზილია, დანია, მექსიკა, პორტუგალია და სხვ.) სასაქონლო ნიშანზე საკუთრების უფლებას აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ მისი რეგისტრაციის მომენტიდან დადგენილი ვადის განმავლობაში ადგილი არ ექნება ამ ნიშნის გამოყენებაზე პრიორიტეტის მქონე პირის მხრიდან შეღავებას. თუ ეს პირი დადგენილი ვადის განმავლობაში პრეტენზიას არ განაცხადებს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე, მაშინ მისი მფლობელი იღებს ან ნიშნის გამოყენების აბსოლუტურ უფლებას.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. მაგალითად, კანადაში წარმოებს ძვირფასი ლითონების სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, თურქეთში, საბერძნეთში, კოსტა-რიკაში და სხვა ქვეყანაში – ფარმაცევტული საქონლის და ა. შ.

მეწარმეთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო ნიშნის უმოქმედობის აღიარების საფუძვლის ცოდნას, რადგან ზოგჯერ არსებობს სასაქონლოს შემუშავებით სხვისი სასაქონლო ნიშნის გაუქმების მცდელობა. სასაქონლო ნიშანი შეიძლება უმოქმედოდ მიიჩნიონ, თუ იგი რეგისტრირებულია უკანონოდ ან დროთა განმავლობაში დაკარგულია შემდეგამ პერიოდში სახელმწიფო დაცვის უფლება. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის აკრძალვის პრობლემის შესასწავლად საჭიროა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობისა და შესაბამისი საპატენტო უწყების დოკუმენტების გაცნობა.

გამოგონებების, სასარგებლო მოდელების ან სამრეწველო ნიმუშის სრული და ყოველმხრივი იურიდიული დაცვა ხორციელდება პატენტებით, ხოლო სასაქონლო ნიშნების – მოწმობით. პატენტი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს გამოგონების, სასარგებლო მოდელების ან სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტს, ავტორობასა და მათ გამოყენებაზე განსაკუთრებულ უფლებას. თავის მხრივ, მოწმობა ადასტურებს სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტს, მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას სასაქონლო ნიშანზე, მოწმობაში მითითებული საქონლის მიმართ.

პატენტს აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რადგან მისი მოქმედების ვადის განმავლობაში მის მფლობელს აქვს შესაბამის გამოგონებაში განსახიერებელი პროდუქციის წარმოებისა და გასაღების უფლება მანობლიურ საფუძველზე (მონობლიურად მაღალი ფასით) მანამ, სანამ დაპატენტებული სახელუ არ გახდება სხვებისათვის ცნობილი.

პარიზის კონვენცია, რომელიც დამყარებულია ეროვნული რეჟიმის პრინციპზე, უზრუნველყოფს მხოლოდ კონვენციური პრიორიტეტის პრინციპს პატენტის გაცემისა და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროს.

პარიზის კონვენციის თანახმად, ერთი სახელმწიფოს საპატენტო ბიუროს მიერ გაცემული პატენტი მოქმედებს მხოლოდ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მისი მოქმედება არ ვრცელდება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე. რამდენიმე სახელმწიფოში დაცვის მიღების მიზნით დაინტერესებულ პირს სჭირდება “კეთილგანწყობილების მიღება”, ყოველ მათგანში ეროვნული კანონმდებლობის დებულებებით განსაზღვრული პრინციპების თანახმად. გარდა ამისა, დაინტერესებულმა პირმა ყოველ სახელმწიფოში, რომელშიც სურს დაცვის მიღება, უნდა შეიტანოს ოფიციალური გადასახდელი, აგრეთვე სამართლებრივი წარმომადგენლობის გადასახდელი. შესაბამისად, ეს პროცედურა საკმაოდ შრომატევადია და დიდ დანახარჯებთანა დაკავშირებული. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესრულება საჭიროებს დიდ დროსა და ზმირად იწვევს პარიზის კონვენციაში მითითებული საწყისი ვადის დარღვევას განმცხადებლის მიერ. აღნიშნული და ზოგიერთი სხვა მიზეზის გამო, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით 1970 წლის 19 ივლისს ვაშინგტონში მიიღეს ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (Patent Cooperation Treaty – PCT), რომელიც მოქმედებს 1973 წლიდან. ამ ხელშეკრულებამ შეარბილა პარიზის კონვენციით გათვალისწინებული ტერიტორიულობის პრინციპები. PCT-მ უზრუნველყო:

- საპატენტო ბიუროთა მუშაობის გამარტივება მრავალჯერადი მოძიების ან პატენტზე საკითხების გადაწყვეტის საჭიროების აღმოფხვრის გამო;
- პატენტების საკითხების გადაწყვეტაზე სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების შემდგომი დახმობა;
- კვალიფიციური, სამუშაოდ საჭირო ტექნიკით აღჭურვილი პერსონალი;
- დოკუმენტაციისა და საპატენტო ლიტერატურის მდიდარი კრებულები;
- გამოგონების დაცვაზე გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების დაცვა.

PCT-ს გარდა, საპატენტო საქმის უნიფიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს: 1973 წლის მიუნხენის კონვენცია ევროპული პატენტის გაცემის შესახებ, 1975 წლის კონვენცია ევროგაერთიანების სახელმწი-

ფოებისათვის ერთიანი პატენტის შესახებ, ევრაზიული საპატენტო კონვენცია (1994 წლის 9 სექტემბერი, მოსკოვი), რომელიც ითვალისწინებს ერთიანი პატენტის გამოყენებას დსთ-ის ქვეყნებში.

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დაცვის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მომზადებული შეთანხმება, რომელიც მიღებულია 1994 წლის 15 აპრილს მარაკეში. მისი დანართი შეიცავს შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სავაჭრო ასპექტების საკითხებზე (Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights Including Trade in Counterfeit Goods –TRIPs). ამ შეთანხმებით განსაზღვრულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს გაერთიანების პრინციპი სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის სტოკოლმის ტექსტის საფუძველზე. TRIPs-ი არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტს, მათ შორის სასაქონლო ნიშნების დაცვას. გარდა ამისა, იგი შეიცავს დებულებას, რომლის თანახმად ეკონომიკის ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფ და ამ პერიოდში პრობლემების მქონე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაადგოს შეთანხმების დებულებათა მოქმედებაში შეცვანა.

TRIP-ს შეთანხმებაში გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების ახალი ობიექტების დაცვა. კერძოდ, ეს ეხება კომპიუტერულ პროგრამებს.

სამართლებრივად დაცული ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების გარდა, საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტების როლში გამოდის სხვადასხვა სახის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი დაცვა. იგი ცნობილია “ნოუ-ჰაუს” სახელწოდებით.

“ნოუ-ჰაუს” ენება გულისხმობს წარმოებისა და პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენებად სხვადასხვა სახის ტექნიკურ, აგრეთვე ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა სახის ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი დაცვა. ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს 1916 წელს აშშ-ში. იგი აღნიშნავდა მინიმალური ძალისხმევის რაიმეს კეთებას (ინგლისური Know how ნიშნავს იცოდე, როგორ). ამჟამად მრავალი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა “ნოუ-ჰაუს” განსაზღვრავს როგორც წარმოების საიდუმლოს შემადგენელ ორგანიზაციულ და კომერციულ ინფორმაციას. ამ სახის ინფორმაციის ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია კონფიდენციალობა და საიდუმლოება. “ნოუ-ჰაუ” მოიცავს კომერციულ საიდუმლოებებს, დაუპატენტებელ ტექნოლოგიურ პროცესებსა და სხვა საწარმოო და სავაჭრო ხასიათის ინფორმაციას, რომელიც ხელმიუწვდომელია პოტენციური მომხმარებლების ფართო წრისათვის. მისი ელემენტებია ყოველგვარ წარმოებაში გამოყენებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები, სპეციფიკაციები, დოკუმენტაცია, წარმოების ორგანიზაციის საქმეები, საწარმოო გამოცდილებები და ა.შ.

ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში მოქცევა პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ამიტომ სახელმწიფო აკონტროლებს ამ სფეროს და სათანადო წინამძღვრების საფუძველზე აღკვეთს მოქალაქეთა მცდელობას გამოიყენონ ადამიანის გონების მიღწევები საზოგადოების საზიანოდ.

საკონტროლო კითხვები:

1. ინტელექტუალური საკუთრების არსი;
2. ობიექტები, რომლებზეც ვრცელდება საავტორო უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი რეგულირება;
3. ობიექტები, რომლებიც სამრეწველო საკუთრების ობიექტებს განეკუთვნება და მათი სამართლებრივი რეგულირება;
4. პარიზის კონვენციაში ჩამოყალიბებული სამრეწველო საკუთრების დაცვის ფუძემდებლური დებულებები;
5. შემთხვევა, რომლის დროსაც გამოგონება ითვლება სიახლედ;

6. სასაჭონლო ნიშნების სამართლებრივი რეგულირება;
7. საპატენტო კორპორაციის ხელშეკრულების მიზანი;
8. TRIP-ის მიერ გათვალისწინებული საკითხები;
9. “ნოუ ჰაუ” და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა.

4. ელექტრონული კომერციისა და ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება

ტერმინი “ელექტრონული კომერცია” გულისხმობს საწარმოებს ან საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის კომერციული ოპერაციების განხორციელებას ინტერნეტის მეშვეობით. ელექტრონული კომერციის დროს იცლება ვაჭრობის ტრადიციული მექანიზმი. მისგან განსხვავებით ტერმინში “ელექტრონული ბიზნესი” აისახება ის მთავარი იდეა, რომ ვაჭრობა უნდა გახდეს ელექტრონული ანუ გადავიდეს ინტერნეტში. შესაბამისად, ელექტრონული ბიზნესი გულისხმობს საქმიანი ბრუნვის მთელი მოდელის გარდაქმნას. მისი საფუძველია უსაფრთხო და საიმედო პროგრამული უზრუნველყოფა, ქსელები, კავშირის არხები და, რა თქმა უნდა, ინტერნეტი.

ელექტრონული კომერცია შეიძლება დაიყოს ხუთ სფეროდ:

1. რეკლამა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ყურადღების მიპყრობას კომერციულ საიტებზე;
2. საჭონლის წარმოდგენა – ჩვენება ინტერნეტის საშუალებით;
3. ყოველგვარი ოპერაციების განხორციელება;
4. გაყიდვის შემდგომი უზრუნველყოფა, კლიენტებისათვის მომსახურების გაწევა, როგორც საჭონლის ყიდვის გაფორმებისას, ისე მის შემდეგ;
5. ურთიერთობათა აგება, კლიენტებში მარკისადმი ერთგულების განვითარება.

მრავალი ფირმა ინტერნეტს იყენებს საკუთარი ბიზნესის ყველა მხარის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ამის შედეგად ინტერნეტი გადაიქცა გლობალურ საქმიან გარემოდ, რომელიც აერთიანებს ფირმის თანამშრომლებს, მის კლიენტებს, პარტნიორებს, მიმწოდებლებს, მწარმოებლებსა და გაყიდვების ქსელის მონაწილეებს. აღნიშნულის შედეგად ელექტრონული კომერცია იცვლება.

ელექტრონული ბიზნესი შეიძლება დაიყოს ორ სფეროდ:

1. დანამატები ერთობლივი მუშაობისათვის;
2. დანამატები ელექტრონული კომერციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს კომერციული ოპერაციების უსაფრთხო წარმოებას.

ელექტრონული ბიზნესი ფირმას აძლევს შემდეგ შესაძლებლობებს:

- მომხმარებელთა შეკვეთების მონაცემების ავტომატიზაციის შიდა სისტემისა და მიმწოდებლებთან შეკვეთების ფორმირების სისტემის გარდაქმნა და მათი ინტეგრირება განაცხადებისა და შეკვეთების მარბრუტოზაციის გარე ინტერნეტ სისტემაში;
- ანგარიშსწორებისა და შეკვეთების დროის შემცირება და სასაწყობო მარაგის მოცულობის შემცირება;
- საჭონელობის შიდა პროცესების ოპტიმიზაცია;
- საწარმოს მიმდინარე რესურსების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღება.

ელექტრონული ბიზნესის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მისი სამართლებრივი რეგულირებისა და სტანდარტიზაციის აუცილებლობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის ქსელის განვითარებას, როგორც წესი, არეგულირებს არა სახელმწიფო, არამედ თვითრეგულირებადი ორგანიზაციები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მას არა ჰყავს ერთი „პატრონი“, მაგრამ არის საკუთრება და არანა შესაკუთრები – სხვადასხვა რესურსების (სერვერების, საიტების, ელექტრონული ფოსტის მისამართების, დომენური სახელუბის) მფლობელები.

მრავალ სახელმწიფოში ელექტრონული კომერციის საკანონმდებლო ბაზა, უპირველესად, ელექტრონული დოკუმენტების ტექნიკური დაცვისა და იდენტიფიკაციის კანონების არსებობაში გამოიხატება. გერმანიაში პირველი სახელმწიფო, რომელმაც მიიღო კანონი „ციფრული ხელმოწერის შესახებ“ (1997 წლის 22 ივლისი). ამ კანონით დადგენილია ციფრული ხელმოწერების გამოყენების სფეროსათვის აუცილებელი ტერმინები და ცნებები. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო ზრუნავს ელექტრონული კომერციისა და ბიზნესის ისეთი უნიფიცირებული წესების შემუშავებაზე, რომლებიც აუცილებელია სავაჭრო სისტემების (ინტერნეტში გარიგებების დასაღებად – ელექტრონული დოკუმენტბრუნვა), საგადასახდელი სისტემების (ინტერნეტში განსაზოცილებელი გარიგებების დროს წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების შესრულება), საქონლის მიწოდების სისტემების (საქონლის მიწოდების გარანტიები და შეკანონებები) არბიტრაჟის სისტემების (დავების გადაჭრა) ფუნქციონირებისათვის. ასეთი საკანონმდებლო ბაზა აშშ-ის ფედერალურ კომისიას აძლევს ფოსტით საქონლის რეალიზაციის დროს ჩადენილი თაღლითობის გამოვლენისა და მასზე პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ფოსტით საქონლის ყიდვის შემთხვევაში აშშ-ის კანონმდებლობა თაღლითობად მიიჩნევს საქონლის არადროულ (დაგვიანებულ) მიწოდებას და ეს დებულება ვრცელდება ინტერნეტით საქონლის გაყიდვაზეც.

ელექტრონული ბიზნესის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს დომენური (დომენი არის მისამართი ინტერნეტში), აგრეთვე ფირმის რეგისტრირებული სავაჭრო მარკების მსგავსი სახელების მითვისებასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირებას. ამ მიზნით დასავლეთში მიღებულია კანონპროექტები, რომელთა მიზანია ინტერნეტში დომენური სახელების რეგისტრაციისას ანგარების თავიდან აცილება.

ზოირ შემთხვევაში ელექტრონული ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება ბიზნესის ტრადიციული სფეროების რეგულირების ანალოგიურია, მაგრამ ინტერნეტ-გარემოს დინამიკურობისა და სამართლებრივი საფუძვლების სათანადო დონის არარსებობის გამო, აუცილებელია ყველა ბარიერის წინასწარი შესწავლა და გათვალისწინება.

ელექტრონული ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს 1996 წლის ბოლოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) პირველ კონფერენციაზე, სინგაპურში ხელმოწერილი დეკლარაცია (ძალაშია 1997 წლიდან) ინფორმაციული ტექნოლოგიების საქონლით ვაჭრობის შესახებ, რომლის მიზანია საბაზო ტარიფებისა და სხვა მოსარკებლების სრული ლიკვიდაცია ისეთი საქონელზე, როგორცაა: კომპიუტერული ტექნიკა, ტელეკომუნიკაციური მოწყობილობა, ნახევარგამტარები, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ.

ელექტრონული ბიზნესი საქმიანობის შედარებით ახალი სფეროა, ამიტომ მისი საკანონმდებლო ბაზა მხოლოდ ახლა ყალიბდება და ამ მიმართულებით მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

საკონტროლო კითხვები:

1. „ელექტრონული კომერციის“ არსი და მისი სფეროები;
2. ნიშნები, რითაც განსხვავდება „ელექტრონული ბიზნესი“ „ელექტრონული კომერციისაგან“ და ის შესაძლებლობები, რომლებსაც სთავაზობს ფირმებს;
3. „ელექტრონული კომერციის“ საკანონმდებლო ბაზა;
4. დომენი და მისი სამართლებრივი რეგულირება;
5. WTO-ის როლი „ელექტრონული ბიზნესის“ საკანონმდებლო ბაზის განვითარებაში.

5. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობისა და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ირიბი გადასახადებით დაბეგვის პრინციპების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეკონომიკის სოციალისტური ცენტრალური დაგეგმის პირობებში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ზორციელებოდა მხოლოდ საკავშირო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ. მოკავშირე რესპუბლიკები უფლებამოსილი არ იყვნენ, დამოუკიდებლად დაემყარებინათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან, თუნდაც უმნიშვნელო, საეკსპორტო და სხვა ეკონომიკური კავშირები.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყნების ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე ორიენტაციამ საუბრელო ჩაუყარა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლებამ და მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამც ცდილობს დამყაროს სხვა ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირები. ამ მიზნით იქმნება ისეთი სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაინტერესებს და სტიმულს მისცემს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებს, დამოუკიდებლად ითანამშრომლონ უცხოეთის პარტნიორ საწარმოებთან.

ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის, მათ შორის მრავალმხრივი საგარეო-საეკსპორტო ურთიერთობების თანასწორობისა და საეკსპორტის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით, სუვერენული საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლებიც რატეფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და ძალაში შესვლისათვის შესრულებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

ამ სახის ხელშეკრულებები დღეისათვის ხელმოწერილია აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის, მოლდოვას რესპუბლიკებთან. ასევე თურქმენისტანთან და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

ყველა ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1993-1997 წ.წ. და როგორც იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მისი ნორმებით ხელმძღვანელობენ საბაჟო და სხვა სახელმწიფო უწყებები საქონლის იმპორტისა და ექსპორტის დროს.

ჩამოთვლილ ქვეყნებთან დადებული მითითებული ხელშეკრულებები თავისი იურიდიული შინაარსით ძირითადად ერთმანეთის მსგავსია და ითვალისწინებს საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებას. ამ ნორმებით დადგენილია, რომ ხელშეკრული მხარეები არ გამოიყენებენ დისკრიმინაციულ ზომებს საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მიმართ რაოდენობრივი შეზღუდვებისა და სხვა ეკვივალენტური ღონისძიებებით. რეგულარულად გაცვიან ინფორმაციას მიღებული ნორმატიული აქტების შესახებ, რომლებიც არეგულირებს საგარეო ურთიერთობებს, ასევე სტატისტიკურ ინფორმაციას ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის, სტატისტიკური და არასტატისტიკური ხელშეკრულების შესახებ. ხელს შეუწყობენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე შეუზღუდავი და დაუბეგრაივი სავაჭრო ტვირთების გატარებას. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია აგრეთვე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა ურთიერთხელსაყრელი საკითხები.

კერძოდ, 1994 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის დადებულია ორმხრივი ხელშეკრულება „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, რომელიც რატეფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 2 აპრილის №177 დადგენილებით ითვალისწინებს, რომ ხელშეკრული მხარეები არ იყენებენ საექსპორტო და/ან იმპორტო საბაჟო გადასახადებს, ასევე ბეგარებს და ანაკრებებს, რომლებსაც გააჩნიათ საბაჟო გადასახადების ეკვივალენტური მოქმედება იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოების ადგილი არის ერთ-ერთი ხელშეკრული მხარის საბაჟო ტერიტორია და განკუთვნილია მთავრად ხელშეკრული მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მისაწოდებად. ამისთანავე, ამ საეკსპორტო რეჟიმის ფარგლებში შეთანხმებული საქონლის ნორმალურტვირიდან გამონაკლისი ფორმდება დოკუმენტებით, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს, თუ ხელშეკრული მხარეები ამას საჭიროდ ჩათვლიან.

ხელშეკრულებაში ასევე მითითებულია, რომ მხარეები:

- პირდაპირ ან ირიბად არ დაბეგრვენ ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილ საქონელს ქვეყნის შიდა გადასახადებით ან ანაკრებებით, რომლებიც აღემატება იმ შესაბამის გადასახადებს ან ანაკრებებს, რითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან შესაბამის ქვეყანაში წარმოებული საქონელი. მხარეები აგრეთვე არ გამოიყენებენ მეორე ხელშემკერელ ქვეყანაში წარმოებული საქონლის დასაწყოების, გადაზიდვის, შენახვის, აგრეთვე გადახდისა და გადარიცხვის მიმართ სხვაგვარ წესებს, ვიდრე ისეთს, რომლებიც ანალოგიურ შემთხვევებში გამოიყენება საკუთარი საქონლის, ან შესაბამის ქვეყნებში წარმოებული საქონლის მიმართ.
- ხელშემკერელი მხარეები ურთიერთვაჭრობაში თავს შეიკავებენ დისკრიმინაციული ზომების გატარებისაგან, შეთანხმების ფარგლებში საქონლის ექსპორტის და/ან იმპორტის მიმართ რაოდენობრივი შეზღუდვების ან კვიცივალენტური ღონისძიებების გამოყენებისაგან.
- მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად დაადგინონ რაოდენობრივი ან სხვა საეკონომიკური შეზღუდვები გონიერულ ფარგლებში და მკაცრად განსაზღვრული ვადით. ნახსენები შეზღუდვები უნდა ატარებდეს განსაკუთრებულ ხასიათს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- ხელშემკერელი მხარე, რომელიც გამოიყენებს რაოდენობრივ შეზღუდვებს, შესაძლებლობისდაგვარად, წინასწარ წარუდგენს მეორე ხელშემკერელ მხარეს ამომწურავ ინფორმაციას აღნიშნული შეზღუდვების შემოღების ძირითადი მიზეზებისა და გამოყენების შესაძლო ვადების შესახებ, რის შემდეგაც ინიშნება კონსულტაციები.

ხელშემკერება ასევე ითვალისწინებს ხელშემკერელი მხარეების მიერ ინფორმაციის რეგულარულ გაცემას: კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკურ მოღვაწეობასთან, მათ შორის ვაჭრობის საკითხებში, ინვესტიციებში, დაბეგერაში, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობასა და სხვა ფინანსურ მომსახურებაში, სტრანსპორტო და საბაჟო საკითხებში, საბაჟო სტატიტიციის ჩათვლით. ხელშემკერელი მხარეები დაუყოვნებლივ აცნობენ ერთმანეთს ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია იმოქმედოს ამ შეთანხმების შესრულებაზე.

ხელშემკერებით გათვალისწინებულია, რომ ტრანზიტის თავისუფლების პრინციპების დაცვა წარმოადგენს შეთანხმების მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობას. ამასთან დაკავშირებით, თითოეული იმპორტირებელი საქონლისა, რომლებსაც ითვალისწინებს თავის ადგილობრივი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ხელშემკერებები. მიუხედავად ამისა, ხელშემკერებებით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლება ზორციელდება საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია საერთაშორისო ხელშემკერებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა თავისი იერარქიით უფრო მაღლა დგას ორგანულ კანონებთან და კანონებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლამდე გაურკვეველი მოტივით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს მიერ დადებული ხელშემკერებების საფუძველზე, საბაჟო გადასახადისაგან არ თავისუფლდებოდა ამ ქვეყნებში წარმოშობილი იმპორტული საქონელი, რის შედეგად იმპორტიორებს 1998–1999 წწ. დაუბრუნდათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანონოდ გადახდილი ძირითადი თანხისა და მათზე დარიცხული საურავის სახით დაახლოებით თორმეტი მილიონი ლარი.

აღსანიშნავია, რომ „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არ არის საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლება იმ ქვეყნებში წარმოშობილ და ჩვენთან იმპორტირებული საქონლისა, რომლებსაც ითვალისწინებს თავის ადგილობრივი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ხელშემკერებები. მიუხედავად ამისა, ხელშემკერებებით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლება ზორციელდება საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია საერთაშორისო ხელშემკერებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა თავისი იერარქიით უფრო მაღლა დგას ორგანულ კანონებთან და კანონებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლამდე გაურკვეველი მოტივით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს მიერ დადებული ხელშემკერებების საფუძველზე, საბაჟო გადასახადისაგან არ თავისუფლდებოდა ამ ქვეყნებში წარმოშობილი იმპორტული საქონელი, რის შედეგად იმპორტიორებს 1998–1999 წწ. დაუბრუნდათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანონოდ გადახდილი ძირითადი თანხისა და მათზე დარიცხული საურავის სახით დაახლოებით თორმეტი მილიონი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს დადებული აქვს საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანასთან სამთავრობო ხელშეკრულებები საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტისას ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ.

ამ ხელშეკრულებების თანახმად:

- მხარეები ირიბი გადასახადებით არ დაბეგრავენ ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე ექსპორტირებულ საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას).
- ერთი მხარის ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონელი (სამუშაო, მომსახურება), რომელიც ექსპორტირებულია მეორე მხარის ტერიტორიიდან, იბეგრება ირიბი გადასახადებით იმპორტიორ ქვეყანაში მისი კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადით დაბეგვრა განხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ ამ მხარის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოხილისას.
- იმპორტირებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დაბეგვრისას, რომელიც ექსპორტირებულია მეორე მხარის ტერიტორიიდან, მხარეები გამოიყენებენ გადასახადების განაკვეთების, შუღავათების და გადასახადის იმავე წესს, რომელიც დადგენილია მათ შიდა ბაზარზე წარმოებული (რეალიზებული) ანალოგიური საქონლისათვის (სამუშაოსათვის, მომსახურებისათვის).

საკონტროლო კითხვები:

1. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს სამთავრობო ხელშეკრულებების რეგულირების სფერო;
2. საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულებების არსი და მნიშვნელობა საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ირიბი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ.

6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები სამართლებრივი დახმარების, კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

ქვეყანაში ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებამ, მიგრაციული და ემიგრაციული პროცესების გაღრმავებამ, ტრანსნაციონალური ტრანზიტული მარშრუტების ჩამოყალიბებამ, გარკვეულწილად, შექმნა ხელსაყრელი გარემო სხვადასხვა სამართალდარღვევის, მათ შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დანაშაულის ჩადენისათვის, რომელთა ზრდის ტენდენციამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში საგრძნობლად მასშტაბებს მიაღწია.

დღეისათვის აღურიცხავი პროდუქციის საქართველოში შემოდინებამ, ცალკეული საქონლის სახეობების მიხედვით, მისი საერთო რაოდენობის მოხმარების გათვალისწინებით 60–70 პროცენტს მიაღწია. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ერთმა რომელიმე ქვეყანამ, ურთიერთხელსაყრელი სამართლებრივი და სხვა დახმარების გარეშე, ებრძოდოს ამ სამართალდარღვევებს და მიაღწიოს სასურველ შედეგს. გაითვალისწინა რა ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა, საქართველომ ხელი მოაწერა ან შეუერთდა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას სამართლებრივი დახმარების შესახებ, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეებზე. მათ შორის მნიშვნელოვანია მინსკის 1993 წლის მრავალმხრივი ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებზე, 2000 წლის 23 ივნისის საქართველოს გენერალურ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს და დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შესაბამის სამსახურებს, მათი ქვეყნების ეკონომიკური, ფისკალური და სოციალური ინტერესებიდან გა-

მომდინარე, ხელმოწერილი აქვთ ურთიერთგაგების მემორანდუმი სამართლებრივი დახმარების შესახებ, რომელიც ძალაშია იმავე დღიდან.

ბერ კვეყანასთან საქართველოს დამყარებული აქვს ორმხრივი სამთავრობო ხელშეკრულება, კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ამ შეთანხმებების შესაბამისად, მონაწილე მხარეები მათ სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა და წესების დაცვით თანამშრომლობენ. კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით მხარეები გაცეკვნიან:

- ა) ინფორმაციას მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების წინააღმდეგ, ბრძოლის მეთოდების შესახებ, აგრეთვე იმ მონაცემებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევების გახსნას, აღკვეთას ან თავიდან აცილებას;
- გ) კონტროლის ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალურად გაწვრთნილი ძალების გამოყენების გამოცდილებას;
- დ) პუბლიკაციებს, სამეცნიერო, პროფესიონალურ და სასწავლო შრომებს კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ე) ინფორმაციას კონტრაბანდის სახეობებისა და მარშრუტების შესახებ;
- ვ) ინფორმაციას ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ახალი სახეობისა და წარმოების აღვილების, მათი უკანონოდ გადაზიდვის მარშრუტების, მათი იდენტიფიკაციისა და ლაბორატორიული ანალიზის შედეგების შესახებ.

ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულია, რომ შეთანხმების მონაწილე მხარეებს, საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნით, შეუძლიათ ერთმანეთს წარუდგინონ ოპერატიული მონაცემები:

- ა) იმ პირებზე, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ ისინი ეწევიან კონტრაბანდის ან ნარკოტიკებით არარეგულარულ ვაჭრობას, ან ეჭვმიტანილნი არიან ამგვარ ქმედებაში;
- ბ) სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთის და საფოსტო გზაწინააღმდეგობის შესახებ, რომლებიც გამოიყენება კონტრაბანდის გადაზიდვისათვის;
- გ) კონტრაბანდის საგნების აღმოჩენის ფაქტების შესახებ.

ხელშეკრულებებში აგრეთვე გათვალისწინებულია ინფორმაციის გაცეკვა შემდეგ საკითხებზე:

- ა) საბაჟო სამსახურის როლზე ეროვნულ ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;
- ბ) საბაჟო კონტროლის მეთოდების შესახებ საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ბარგის, საფოსტო გზაწინააღმდეგობისა და სხვა ნივთების ამ ქვეყნების ტერიტორიაზე შეტანა-გამოტანის დროს;
- გ) პარამონიზებული სისტემისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ;
- დ) კონტრაბანდის ძირითად ფორმებზე, კონტრაბანდული საგნების დამალვის მეთოდებზე, კონტრაბანდის თავიდან აცილების მეთოდებსა და შედეგებზე;
- ე) საბაჟო კანონებსა და წესებზე;
- ვ) საბაჟო მართვის მოდერნიზაციისა და სხვა მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ;
- ზ) საბაჟო საქმეში კომპიუტერებისა და სხვა მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენების თაობაზე;

- თ) ახალი საბაჟოების შექმნის თაობაზე საბაჟო პერსონალის მომზადების შესახებ;
- ი) საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და საერთაშორისო კონვენციების შესრულების თაობაზე;
- კ) იმ სხვა საკითხებზე, რომლებიც შეთანხმების მონაწილე მხარეს დაინტერესებს.

ამასთან, ერთ-ერთი მხარის თხოვნით, მეორე მხარეს თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში შეუძლია განსაზღვრული პერიოდით სპეციალური დაკვირვება:

- ა) პირებზე, რომლებიც შემწველნი არიან მიზნობრივი მხარის საბაჟო წესების დარღვევაში;
- ბ) განსაზღვრულ ტერიტორიებზე, რომელთა შესახებ მიზნობრივმა მხარემ განაცხადა მათი საბაჟო დარღვევის თაობაზე;
- გ) სატრანსპორტო საშუალებებზე (ავიაცია, ავტომობილები და სხვ.), რომელთა შესახებ არსებობს ინფორმაცია, რომ მათ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისას იყენებენ.

შეთანხმების მონაწილე თითოეული მხარის საკუთარი თაოსნობით ან მეორე მონაწილე მხარის თხოვნით, შეუძლია მიზნობრივ მხარეს წარუდგინოს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას სხვადასხვა სახის საბაჟო წესების, განსაკუთრებით ისეთი დარღვევების, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან, იარაღთან, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან და საბრძოლო მასალებთან, მხატვრული, კულტურული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე საგნებთან. ამავე დროს, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ მიღებული ნებისმიერი სადაზვერვო დაკვირვება, დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია შეთანხმების ფარგლებში განიხილება როგორც კონფიდენციალური და მხოლოდ შეთანხმების მიზნებისათვის გამოიყენება. მხარეები შეთანხმების ინტერპრეტაციის დროს წამოჭრილ სადავო საკითხებს მეგობრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საფუძველზე კონსულტაციების გზით გადაწყვეტენ.

საკონტრაქტო კითხვა;

1. ეკონომიკური დანაშაულის, მათ შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სამთავრობო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების არსი და მისი მნიშვნელობა.

7. საერთაშორისო კომერციული დავების საარბიტრაჟო და სასამართლო განხილვის წესები

საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს ხშირად კონტრაქტის ესა თუ ის პირობა არ სრულდება, რის გამოც წამოიჭრება სხვადასხვა სახის სადავო საკითხები და ისინი სამართლებრივ დაცვას საჭიროებს. ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს არ სურს სასამართლო პროცედურის გამოყენება და ცდილობს წარმოქმნილი უთანხმოების მეგობრული გზით დარეგულირებას, მაგრამ ასეთმა შეთანხმებით-უმეზობრებელურმა პოლიტიკამ შეიძლება მიზანს ვერ მიაღწიოს და აუცილებელი ხდება სადავო საკითხების სამართლებრივი წესით განხილვა, განსაკუთრებით ეს აუცილებელია, როდესაც ზარალი დიდია, ან საქმე ეხება მესამე პირის ინტერესებს.

კომერციული დავის გადაჭრის პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ექსპორტიორი ან იმპორტიორი, ამიტომ მათ ვერ კიდევ ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის დადებამდე უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და შეარჩიონ კომერციული დავის გადაჭრის მათთვის სასურველი და მისაღები ზერხი. ამასთან, იგი უნდა შეიტანონ კონტრაქტში შესაბამისი შესწორების სახით და ზედმიწევნით აღწერონ მისი განხორციელების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში სადავო საკითხის გადაჭრის ერთადერთ საშუალებად დარჩება სასამართლო გარჩევა.

თუ ექსპორტიორს წინასწარ აქვს განზრახული სადავო საკითხების შეთანხმების გზით დარეგულირება, მას შეუძლია კონტრაქტში შეიტანოს შესწორება შეთანხმებითი პროცედურის ან არბიტრაჟის შესახებ.

შეთანხმებითი პროცედურა გულისხმობს საკითხის მეგობრული მოლაპარაკების გზით გადაჭრას, მესამე პირის ანუ შუამავლის აქტიური მონაწილეობით. ე.ი. ამ შემთხვევაში კონტრაგენტს იმედია აქვს, რომ დაევის დარეგულირება მშვიდობიანი გზით შეიძლება. თავის მხრივ, არბიტრაჟი ანუ სამედიატორო სასამართლო ითვალისწინებს სადავო საკითხების გადაწყვეტას არბიტრების ანუ მოდავე მხარეთა შორის შუაკაცების მონაწილეობით. საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეებს უკავიათ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია და ჭეშმარიტების დასადგენად ისინი მიმართავენ კერძო მოსამართლეებს, რომლებმაც უნდა გადაჭრან სადავო საკითხები და გამოიტანონ შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟი, თავისი არსით, ემსგავსება სასამართლო პროცესს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მოსამართლეები სახელმწიფოსაგან არ ინიშნებიან.

მოდავე მხარეთათვის არბიტრაჟი დაევის გადაჭრის მოხერხებული და ხელსაყრელი საშუალებაა, ვინაიდან მათ აქვთ საკუთარი სურვილით მოსამართლეების შერჩევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, განსხვავებული კულტურის, ტრადიციებისა და კანონმდებლობათა მქონე ქვეყნების პირობებში სასამართლო პროცესი ჩვეულებრივ ხანგრძლივდება. ამასთან, იგი შეიძლება გადაიზარდოს სააპელაციო ინსტანციაში და გასაჩივრდეს, ხოლო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, როგორც წესი, საბოლოოა და ორივე მხარე დადგენილ ვადაში უნდა შეასრულოს.

არბიტრაჟის უმემბდელებური პრინციპის თანახმად, მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებისა და თანხმობის საფუძველზე. ე.ი. დაევის დარეგულირების ამ ხერხის გამოყენება შეუძლებელია ერთ-ერთი მხარის მიერ უარის თქმის შემთხვევაში. ურთიერთშეთანხმება კი ხდება ან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტში შესაბამისი შესწორების შეტანით ან ცალკე საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებით. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ფორმდება საწყისი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, უშუაღწეს-წილად სადავო საკითხის წყაპობისას. მხარეთა შეთანხმებით ხდება აგრეთვე არბიტრის იურისდიქციის (განსჯადობის) დადგენა, რომლის გადამეტების უფლება ამ უკანასკნელს არ გააჩნია.

არბიტრი მხარეთა მიერ არჩეული ან საარბიტრაჟო შეთანხმებით დანიშნული კერძო მოსამართლეა. იგი უნდა იყოს აბსოლუტურად მიუკერძოებელი და მკაცრად იცავდეს ბუნებრივი სამართლიანობის მოთხოვნებს, არ უნდა ჰქონდეს რომელიმე მხარის მიმართ წინასწარ შექმნილი აზრი ან ადამიანს არ უნდა უქმნიდეს მიკერძოების შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, საარბიტრაჟო საქმე უნდა აწარმოოს დადგენილი ნორმების შესაბამისად და მხარეებს მისცეს სამართლიანი მოსმენის შესაძლებლობა. თუ არბიტრს ერთი მხარისაგან მიღებული აქვს ინფორმაცია, რომელსაც მეორე მხარე არ ფლობს, იგი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გაცნობა და, როგორც წესი, მეორე მხარეს გაუგზავნოს ამ ინფორმაციის ასლი. არბიტრს უფლება აქვს დათვალდებულოს სადავო საგანი (მაგალითად, ტვირთი), მაგრამ ეს უნდა მოხდეს ორივე მხარის თანდასწრებით. არბიტრს შეუძლია მოპასუხეს საზღვევინო თანხიდან გადაახდევინოს პროცენტის (გადაწყვეტილების მიღების თარიღის ჩათვლით) და თავისი მუხეულებებისამებრ განასაზღვროს პროცენტის ზომა. ამასთან, გადაწყვეტილების გამოტანის თარიღის შემდეგ მას არ შეუძლია მოპასუხეს გადაახდევინოს პროცენტები იმაზე მეტი განაკვეთით, რომელიც გამოყენებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მოდავე მხარეთა მიერ არბიტრაჟის სახის შერჩევა წარმოებს საარბიტრაჟო შეთანხმებით. ამ შეთანხმებაში აგრეთვე აუცილებელია საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა და ენის მითითება. არბიტრაჟი ორი სახისია: ad hoc და საინსტიტუციო. ad hoc არბიტრაჟი ითვალისწინებს არბიტრის კანდიდატის შერჩევას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან მისი შერჩევის უფლება ეძლევა მესამე პირს. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც გარიგება მსხვილია) ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის საარბიტრაჟო შესწორებაში ითვალისწინებენ დაევის გარჩევას სამი არბიტრის მონაწილეობით: ყოველი მხარე ორჩევს თავის არბიტრს, ხოლო ეს ორი კი – თავმჯდომარეს (სუპერარბიტრს). ზოგიერთ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს არ სურს თავისი არბიტრის არჩევა, ან მხარეთა წარმომადგენელი არბიტრის ვერ თანხმდებათ თავმჯდომარის კანდიდატურაზე. ასეთი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით ad hoc არბიტრაჟის დროს მიზანშეწონილია UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტის გამოყენება.

საინსტიტუციო არბიტრაჟი მუდმივმოქმედი. მის ფუნქციაში შედის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა დროს წარმოქმნილი უთანხმოების დარეგულირება. საინსტიტუციო არბიტრაჟი და-

ვის განხილვა წარმოებს დადგენილი წესების მიხედვით. მსოფლიოს ძირითად საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრებს მიეკუთვნება: საერთაშორისო საეკონომიკური პალატის საარბიტრაჟო სასამართლო, საერთაშორისო საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლო, საინვესტიციო დავის რეგულირების საერთაშორისო ცენტრი, ლონდონის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო და სხვ. საინსტიტუციო სასამართლოს აქვს უპირატესობა ad hoc არბიტრაჟთან შედარებით, ვინაიდან მას შეუძლია ადმინისტრაციული დახმარების აღმოჩენა საარბიტრაჟო საქმის წარმოებაში. ამასთან ერთად, მისი რეგლამენტი შეიცავს საარბიტრაჟო საქმის წარმოების პროცესულურ წესებს.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არბიტრაჟის შესახებ არსებითად განსხვავდება, ამიტომ სისტემატურად დღის წერიშმა საყოველთაო გამოყენებისათვის მისაღები საარბიტრაჟო წესების დადგენა. ამჟამად, საარბიტრაჟო პრაქტიკაში გამოიყენება UNCITRAL-ის მიერ შემუშავებული საარბიტრაჟო რეგლამენტი და ტიპური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტი მიღებულია გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 1976 წელს, ხოლო გამოყენებისათვის რეკომენდებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1976 წლის 15 დეკემბრის ეს რეგლამენტი არეგულირებს ad hoc სახის არბიტრაჟს და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო პრაქტიკაში. UNCITRAL-ის რეგლამენტს არც ერთ ქვეყანაში არა აქვს კანონის ძალა, ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მხარეთა უთიერთშეთანხმების საფუძველზე და შეთანხმებამ შესაძამისი შესწორების შეტანით. ეს შესწორება ტიპურია და შემდეგი შინაარსისა: ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, რომელიც მოცემული შეთანხმებიდან წარმოიქმნება, ან ეხება მას, ან მის დარღვევას, შეწყვეტას ან გაუქმებას ექვემდებარება არბიტრაჟში გადაჭრას ამჟამად მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტის შესაბამისად.

მხარეთა სურვილით ამ შესწორებას შეიძლება დაემატოს შემდეგი პუნქტები: 1. კომპეტენტური ორგანო (იმ დაწესებულების დასახელება ან პირის სახელი, რომლებიც მოდგენენ მხარეებს მიანაიათ მიზანშეწონილად); 2. არბიტრების რაოდენობა (ერთი ან სამი); 3. არბიტრაჟის ადგილი (ქალაქი ან ქვეყანა); 4. საარბიტრაჟო გარევის ენა (ენები).

UNCITRAL-ის რეგლამენტის თანახმად, არბიტრაჟი უნდა შედგეს ნებისმიერ შემთხვევაში ანუ საეკონომიკურად უწესი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე ან არბიტრს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება ნებისმიერი სხვა მიზეზით. ასეთ სიტუაციაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია თხოვნით მიმართოს ჰააგაში მუდმივი სამედიატორო სასამართლოს გენერალურ მდივანს კომპეტენტური ორგანოს გამოყოფის შესახებ. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო ადგილის შესახებ, ამ ადგილი საარბიტრაჟო სასამართლო განსაზღვრავს. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლება აქვს წარმოადგინოს განცხადებაზე (მათ შორის საარბიტრაჟო შესწორებაზე) გამოიტანოს გადაწყვეტილება. საარბიტრაჟო შესწორება განიხილება კონტრაქტის სხვა პირობებისაგან დამოუკიდებლად ნაწილად, ამიტომ ყოველგაყიდვის კონტრაქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში საარბიტრაჟო შესწორება არ ითვლება ავტომატურად გაუქმებულად.

შეთანხმებით პროცედურასა და არბიტრაჟს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით, UNCITRAL-ის მიერ მიღებულია შეთანხმებითი რეგლამენტი, რომელიც გამოყენებისათვის რეკომენდებულია გაეროს ასამბლეის მიერ 1980 წლის 4 დეკემბერს. მისი გამოყენება შეიძლება მხარეთა უთიერთშეთანხმების საფუძველზე. მასში რეკომენდებული შესწორება შემდეგი სახისაა: მოცემული ხელშეკრულებით განპირობებული ან მასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მხარეები ისურვებენ ამ დავის მშვიდობიან დარეგულირებას შეთანხმებით პროცედურის მეშვეობით. ასეთი პროცედურა განხორციელდება ამჟამად მოქმედი UNCITRAL-ის შეთანხმებითი რეგლამენტის შესაბამისად. ამ ტიპური შინაარსის შესწორების ნაცვლად მხარეებს აქვთ სხვა სახის ფორმულირებული შეთანხმებითი პროცედურის შესწორების გამოყენების უფლება.

UNCITRAL-ის რეგლამენტის შესაბამისად, შეთანხმებითი პროცედურა ხორციელდება შემდეგნაირად: მის დასაწყებად ერთი მხარე მგორებს უკუაყენის წინადადებას ამ პროცედურის გამოყენების შესახებ. თუ მეორე მხარე თანხმდება შეთავაზებულ წინადადებაზე, მაშინ წინადადების მიღების მომენტი ითვლება პროცედურის დაწყების მომენტად. შეთანხმებითი პროცედურაში დასაშვებია ერთი, ორი ან სამი შუამავლის გამოყენება. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან შუამავლის კანდიდატურაზე, ნებისმიერ მათგანს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს შუამავლის გამოყოფის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში UNCITRAL-ს

არ შეუძლია შუამავლის დანიშვნა იძულების წესით. მის მიერ გამოყოფილ შუამავალს შეუძლია მხოლოდ საკითხის დარეგულირების წინადადების შეთავაზება, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ იგი არ მიიღონ.

შეთანხმებით პროცედურის წარმოების პროცესში მხარეებმა არ უნდა მიმართონ (იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც საქმე ეხება ერთ-ერთი მხარის უფლების შენარჩუნებას) არბიტრაჟს ან სასამართლოს. UNCITRAL-ის რეგლამენტი არ ითვალისწინებს რაიმე ღონისძიების გატარებას დავის უშუალოდ გარჩევის შემთხვევაში, ამიტომ კონტრაქტში მიზანშეწონილია იმის მითითება, თუ რა შემთხვევაში გადაეცემა საქმე არბიტრაჟს ან სასამართლოს.

UNCITRAL-ის მიერ შემუშავებული ტიპური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ რეკომენდებულია ყველა სახელმწიფოსათვის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 11 დეკემბერს. ამ კანონის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა სახელმწიფოს საარბიტრაჟო კანონების ერთგვაროვნების უზრუნველყოფა, რაც აადვილებს საერთაშორისო კომერციული დავის გადაჭრის პრობლემას.

მსოფლიოში საერთაშორისო სავაჭრო დავის საარბიტრაჟო დარეგულირებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც თვით ამ პალატის მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციაა. მისი შტაბბინა პარიზშია. ამ საარბიტრაჟო სასამართლოში დავის განხილვისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არის ქვეყანა საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრი თუ არა.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს სურთ საარბიტრაჟო საკითხების საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში გადაცემა, მათ კონტრაქტში რეკომენდებულია არბიტრაჟის შესახებ შედეგი ტიპური შესწორების შეტანა: ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა ექვემდებარება საბოლოო დარეგულირებას საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო და შეთანხმებით რეგლამენტის საფუძველზე ერთი ან რამდენიმე არბიტრის მიერ აღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად.

ამ შესწორებისათვის უფრო კონკრეტული სახის მისაცემად მიზანშეწონილია სამართლის, არბიტრების რაოდენობის, საარბიტრაჟო გარჩევის ადგილისა და ენის (ენების) მითითება. საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი საარბიტრაჟო რეგლამენტი არ ხელდასვს ხელშეკრულებისათვის გამოყენებულ სამართალს, საარბიტრაჟო გარჩევის ადგილსა და ენას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან ფუნქციონირებს შეთანხმებით პროცედურის აღმინისტრაციული კომისია, ამიტომ დავის სასამართლოში გარჩევამდე მხარეებს შეუძლიათ ამ პროცედურის გამოყენება. ყოველ საქმეზე საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ქმნის შემთანხმებულ კომიტეტს სამი წევრის შემადგენლობით. შეთანხმებით პროცედურის გამოყენების სურვილის შემთხვევაში, მოდავე მხარემ თხოვით უნდა მიმართოს ამ კომისიას ან თავისი ეროვნული კომიტეტის მეშვეობით ამ უშუალოდ საერთაშორისო სავაჭრო პალატის შტაბ-ბინაში. თუ ასეთი თხოვნა არ ყოფილა, ამ შეთანხმებით პროცედურა უშედეგოდ დამთავრდა, სადავო საქმე გადაეცემა არბიტრაჟს. შეთანხმებით კომიტეტში შემავალ პირებს ეკარგებათ იმავე დავაზე არბიტრად დანიშნვის უფლება. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან არბიტრის (ან არბიტრების) კანდიდატურაზე (ან კანდიდატურებზე), სასამართლო ირჩევს საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნულ კომიტეტს, ხოლო ეს უკანასკნელი კომპეტენტურ პირთა სიდიდან სთავაზობს არბიტრის (ან არბიტრების) კანდიდატურას (კანდიდატურებს). ერთმანეთს არბიტრად ან საარბიტრაჟო შემადგენლობის თავმჯდომარედ უნდა აირჩიონ მესამე (მხარეთათვის უცხო ქვეყნის) წარმომადგენელი. საარბიტრაჟო საქმის აღსაქმრელად, განმცხადებელმა უნდა მიმართოს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს სამდივნოს ან თავისი ეროვნული კომიტეტის მეშვეობით, ან უშუალოდ შტაბ-ბინაში. სამდივნოს მიერ განცხადების (მოთხოვნის) მიღების თარიღი ითვლება საარბიტრაჟო პროცედურის დაწყების მომენტად.

საერთაშორისო საარბიტრაჟო რეგლამენტი მოიცავს დავის საარბიტრაჟო განხილვის ყველა ასპექტს, ამიტომ იგი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის გამოყენებას არ საჭიროებს. ამ რეგლამენტის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე არბიტრმა უნდა შეადგინოს აქტი უფლებამოსილებათა შესახებ და ამ დოკუმენტზე მხარეთაგან მიიღოს ხელმოწერები. იგი აგრეთვე ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერამდე პროცესი შესაძლებლად გადასცეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს (ქ. პარიზი). თავის მხრივ მხარეები ვალდებული არაან უზრუნველყონ საარ-

ბიტრაჟო დანახარჯები გირაოს შეტანით, იგი უნდა იყოს ავანსის სახით და ორივე მხარისათვის თანაბარი ზომის.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პროექტის შემუშავების შედეგად გარანტირებული მიღებული გადაწყვეტილების იძულებითი წესით შესრულება. საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ენააღიარებული ქვეყანათა კანონები არბიტრაჟის შესახებ განსხვავებულია, ამიტომ ერთ ქვეყანაში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მეორე ქვეყანაში იძულებითი შესრულება გარკვეულ სიტუაციებთანა დაკავშირებული. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელობენ ფუნქციის ოქმითა და კონვენციით და ნიუ-იორკის კონვენციით.

ფუნქციის ოქმი საარბიტრაჟო შესწორებათა შესახებ მიღებულია 1923 წელს, ხოლო კონვენცია უცხო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ – 1928 წელს. ამ კონვენციის თანახმად, ერთი ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება შესრულდეს მეორე ქვეყანაში იმავე წესით, როგორც იმავე ქვეყნის შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მისი და მიუხედავად ათავისუფლებული სამართლისა და ზოგიერთი სხვა მოთხოვნის დაცვით, მაგრამ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის შიდა საჯარო წესს. უკანასკნელ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ სრულდება. ფუნქციის კონვენცია დამყარებულია ურთიერთგაგების მოთხოვნაზე და მისი გამოყენება მოითხოვს ქვეყანათაშორისი ორმხრივი ხელშეკრულების გარანტიას.

ნიუ-იორკის კონვენცია მიღებულია 1958 წლის 10 ივნისს გაეროს კონფერენციაზე. ესაა კონვენცია უცხო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღიარებისა და შესრულების შესახებ. ფუნქციის კონვენციისაგან განსხვავებით, რომელიც ურთიერთგაგების მოთხოვნაზეა დამყარებული, ნიუ-იორკის კონვენცია, პრინციპში, გამოიყენება ყველა უცხო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ, მაგრამ სახელწიფოთა გარკვეული ნაწილის მიერ ეს კონვენცია რატიფიცირებულია ურთიერთგაგების პირობის შესწორების შეტანით.

ზოგიერთ შემთხვევაში სადავო საკითხი მოითხოვს დაუყოვნებელ გადაჭრას. ამისათვის საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებულია საარბიტრაჟო განხილვის გამართვიებული პროცედურის რეგულაციები. ამ რეგულაციებით საკითხის გადასაჭრელად მხარეთა შეთანხმებით ინიშნება მესამე პირი, ე.წ. არბიტრ-რეფერეი, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ამ პირს ინიშნავს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

არბიტრ-რეფერის მოვალეობაში შედის მხარეებისათვის სწრაფი გადაწყვეტილების შეთავაზება სადავო საკითხის დაუყოვნებელი გადაჭრის მიზნით. ამასთან, ეს გადაწყვეტილება ისეთი უნდა იყოს, რომ ხელი არ შეუშალოს არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ დავის საბოლოო დარეგულირებას. საარბიტრაჟო განხილვის პროცესში დასაშვებია არბიტრ-რეფერის მიერ არბიტრის როლის შესრულება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა.

ზოგიერთი (მაგალითად, სანარდო) კონტრაქტის შესრულებისას დავა შეიძლება ტექნიკური ხასიათის იყოს. მისი გადაჭრის მიზნით საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან ფუნქციონირებს ტექნიკური ექსპერტიზის საერთაშორისო ცენტრი. მას შეუძლია ნეიტრალური ექსპერტის გამოყოფა, რომელიც მოდერულ მხარეებს დაეხმარება საკითხის გადაწყვეტაში.

საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან აგრეთვე მოქმედებს ხელშეკრულებითი ურთიერთობების დარეგულირების მუდმივი კომიტეტი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია სამრეწველო ობიექტების მშენებლობასთან.

საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და საერთაშორისო საზღვაო კომიტეტის მიერ დაფუძნებულია საერთაშორისო საზღვაო საარბიტრაჟო კომიტეტი, რომლის საქმიანობა განისაზღვრება საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და საერთაშორისო საზღვაო კომიტეტის მიერ შემუშავებული საარბიტრაჟო რეგულაციებით.

საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტთან დაკავშირებული ზოგიერთი სადავო საკითხი საჭიროებს სასამართლო ჩარევას. ამ შემთხვევაში ექსპორტიორი ირჩევს ორიდან ერთ-ერთ ვარიანტს. უპირველესად, იგი ცდილობს საქმე გააჩიოს მოვალის ქვეყანაში და მიღებული სასამართლო გადაწყვე-

ტილების საფუძველზე აინაზღაუროს ზარალი. გარკვეულ პირობებში სარჩელის აღებრა შესაძლებელია საკუთარ ქვეყანაში, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება უნდა მოხდეს მოვალის ქვეყანაში. თუ უცხოელი მოქალაქე თანხმდება მეორე ქვეყანაში საქმის გარჩევაზე, ამ შემთხვევაში სასამართლოს, ფაქტობრივად, პრობლემები არ ექნება და მას თავისუფლად შეუძლია თავისი უფლებამოსილება-თა რეალიზაცია.

უცხოელი მოპასუხის სასამართლოში მიწვევა წარმოებს სასამართლო უწყების საფუძველზე. უცხოეთში ამ უწყების ჩაბარება წარმოებს საკონსულო ორგანოების მეშვეობით ან უცხოეთში სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტების ჩაბარების შესახებ მიღებული ჰააგის კონვენციის საფუძველზე. ჰააგის კონვენცია მიღებულია 1965 წლის 15 ნოემბერს (ძალაშია 1969 წლის 10 თებერვლიდან) და ცნობილია სახელწოდებით “კონვენცია ჩაბარების შესახებ”.

ჰააგის კონვენციის თანახმად, მასში მონაწილე ყველა სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომლის მიზანია სხვა, ამ კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოებისაგან სასამართლო მომსახურებაზე შეკვეთების მიღება და მათი შემდგომი შესრულება.

ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის თანახმად, ერთსა და იმავე საქმეზე იურისდიქციის უფლება აქვს რამდენიმე ქვეყნის სასამართლოს. ასეთ სიტუაციაში მოსარჩელეს შეუძლია მისთვის ყველაზე ხელსაყრელი სასამართლო გარჩევის ადგილის შერჩევა.

როდესაც მოსარჩელე კანონიერ საფუძველზე იწყებს სასამართლო პროცესს ადგილობრივ ან უცხოურ სასამართლოში, ხოლო მოპასუხეს აქვს მისთვის სასურველი ვარიანტის (სასამართლო გარჩევის ადგილის) შერჩევის შესაძლებლობა, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს საქმის წარმოების შეწყვეტა ან ადგილობრივ, ან უცხოურ სასამართლოში. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

სასამართლო ადრულ საქმეზე შესაბამისი სამართლის გამოყენებით ახორციელებს სასამართლო გარჩევას და იღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესრულება შეიძლება გასცდეს სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება ითვალისწინებს ორი ვარიანტის გამოყენების შესაძლებლობას: 1. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ახალი საქმე უნდა აღიძრას იმ ქვეყანაში, რომელშიც უნდა შესრულდეს ეს გადაწყვეტილება და 2. მიღებული გადაწყვეტილების რეგისტრაცია სხვა ქვეყანაში და შემდგომ მისი პირდაპირი შესრულება.

პირველი ვარიანტი საკმაოდ ზანგრძლივი და მძიმეა, ვინაიდან დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად მოსარჩელეს უწევს ორი პროცესის წარმოება. მისგან განსხვავებით, მეორე ვარიანტი უფრო ეფექტიანია და თანამედროვე პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული, თუმცა იგი საერთაშორისო შეთანხმებებით არაა რეგულირებული.

საკონტრაქტო კითხვები:

1. კომერციული დავის დარეგულირების გზები;
2. არბიტრაჟის ის ნიშნები, რომელიც განასხვავებს მას სასამართლოსაგან;
3. არბიტრაჟის ფუძემდებლური პრინციპი;
4. ad hoc არბიტრაჟის არსი;
5. ინსტიტუციური არბიტრაჟის ფუნქციები;
6. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო რეგლამენტი;
7. საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ ტიპური კანონის არსი და მისი გამოყენების პირობები;
8. საერთაშორისო სავაჭრო კალატის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დაგების დარეგულირება;
9. უცხო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების წესი;
10. კომერციული დაგების სასამართლო გარჩევის წესი.

თავი 6

ვაჭრობის სამართლებრივი საფუძვლების ზოგადი დახასიათება

წინამდებარე თავში მოცემულია ვაჭრობის ცნება და ყიდვა-გაყიდვის განხორციელებისათვის საჭირო პირობები, ჩამოყალიბებულია ვაჭრობის ძირითადი ფუნქცია, დახასიათებულია ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები და მათი მნიშვნელობა, გაშუქებულია კომერციული საქმიანობის არსი და კომერციული საბაზრო კავშირების ძირითადი ოპერაციები.

გაშუქებულია საეჭრო გარიგების არსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებული ცნების თანახმად, მისი განხორციელებისათვის საჭირო პირობები, ხელშეკრულებების დადების წესები, კონტრაქტის სტრუქტურა, ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის საფუძველი.

1. ვაჭრობის არსი და მნიშვნელობა

ვაჭრობა ქვეყნის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმსხვილესი სფეროა. თანამედროვე ეტაპზე მისი შეზღვრვა განვითარება დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებასთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიანი გამოყენების პირობებში.

ვაჭრობა გაცვლის პროცესია, რომელიც ხორციელდება ფულის მეშვეობით სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა საფუძველზე. თავის მხრივ, გაცემა გულისხმობს საქონლის გასხვისებას ანუ მასზე საკუთრების უფლების გადაცემას ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე.

გაცვლისათვის საჭიროა გარკვეული პირობები:

1. მინიმუმ ორი მხარე;
2. ყოველი მხარე უნდა ფლობდეს ისეთ რამეს, რაც მეორე მხარისათვის ფასეულობას წარმოადგენს;
3. ყოველ მხარეს უნდა შეეძლოს კომუნიკაციისა და თავისი საქონლის მიწოდების ორგანიზაცია;
4. ყოველი მხარე უნდა იყოს აბსოლუტურად თავისუფალი მეორე მხარის წინადადების მიღებაში ან უარყოფაში;
5. ყოველი მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მეორე მხარესთან საქმის დაჭერის მიზანშეწონილობაში ან სასურველობაში.

გაცვლის განსახორციელებლად საჭიროა: 1. მყიდველის მოძებნა; 2. მასთან გარიგება – ხელშეკრულების დადება, რომელშიც დათქმული იქნება ყველა პირობა (საქონელი, მისი რაოდენობა, ხარისხი, ფასი და ა.შ.); 3. ხელშეკრულების შესრულება.

ვაჭრობა, თავისი არსით, საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერებათა პროდუქტი და გამოვლენის ფორმაა. ყიდვა-გაყიდვის პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობანი მოიცავს საზოგადოების სა-მეურნეო და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებს.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ვაჭრობის ძირითადი, მონისტრიკური ფუნქციაა საქონელმომოქცევა ანუ „საქონელი-ფული“ და „ფული-საქონელი“, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხდება არა მარტო საქონლის ღირებულებისა და მისი სარგებლიანობის რეალიზაცია, არამედ შესაძლებელია სავაჭრო საქმიანობის მთავარი მიზნის მიღწევა: მაქსიმალური მოგების მიღება.

ვაჭრობის ყველა სხვა ფუნქცია მიმოქცევის ფუნქციიდან გამომდინარეობს. მაგალითად, გაცელოს პროცესში მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად ვაჭრობამ უნდა განახორციელოს მწარმოებლიდან მომხმარებელამდე საქონლის დაყვანის ფუნქცია. მაქსიმალური მოგების მიღების სურვილი ვაჭრობას აიძულებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირებასა და მის დაკმაყოფილებაში. ეს, თავის მხრივ, უშუალოდაა დაკავშირებული კაპიტალის დაგროვების პროცესის მომსახურების ფუნქციებთან.

ვაჭრობა, როგორც მეურნეობის დამოუკიდებელი დარგი, უზრუნველყოფს მწარმოებლიდან მომხმარებელამდე საქონლისა და მომსახურების დაყვანას. იგი მოიცავს ორ ორგანიზაციულ ფორმას: საბითუმო და საცალო ვაჭრობას. საბითუმო ვაჭრობა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა, აგრეთვე თვით სავაჭრო საწარმოთა დამაკავშირებელი შუალედური რგოლია. ყიდვა-გაყიდვის ობიექტია საქონლის მსხვილი პარტიები. საბითუმო საწარმოების, ფირმების, სექტორების ძირითადი ფუნქციაა საქონლის მსხვილი პარტიების ყიდვა საკუთარი ხარჯებით და, როგორც წესი, მისი შენახვა და იმ საწარმოებისათვის მიყიდვა, რომლებიც აწარმოებენ მის ხელახალ გაყიდვას, საწარმოო გადამამუშავებას და საწარმოო მიზნით გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბითუმო ვაჭრობაში შედის გადაყიდვის ან პროფესიული გამოყენების მიზნით საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობა.

საცალო ვაჭრობა საქონელმომოქცევის ბოლო ფაზაა. იგი უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას მყიდველთა ფულად შემოსავლებზე გაცელის გზით. საცალო ვაჭრობაში მყიდველები საქონელს ყიდულობენ საკუთარი საჭიროებისათვის და არა გადაყიდვისათვის.

ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. იგი ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას, მოთხოვნის ფორმირებას, წარმოების მასშტაბების ზრდას, ზემოქმედებს კაპიტალის დაგროვებაზე, აკავშირებს წარმოებისა და მოხმარების სფეროებს. ვაჭრობა მონაწილეობს ეროვნული შემოსავლის შექმნაში, მის განაწილებასა და მოხმარებაში. იგი უშუალო კავშირშია საკრედიტო სისტემასა და ფულის მიმოქცევათან, აკავშირებს სოფელსა და ქალაქს, რეგიონებს და ა.შ.

სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისათვის მიმოქცევის სფეროში იქმნება სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ქსელი. მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება კანონით „მწარმეთა შესახებ“.

სავაჭრო საწარმოთა ფუნქციონირება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საჭიროებს მათი კომერციული საქმიანობის კარდინალურ გაუმჯობესებას: იგი მომხმარებლის ინტერესებზე ანუ ბაზრის პრიმატზე უნდა იყოს აგებული.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ვაჭრობა და რა ფუნქციებს ასრულებს იგი?
2. რა პირობები და მოქმედებები საჭირო გაცელოს განხორციელებისათვის?
3. რა როლს თამაშობს ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიკაში?
4. რომელი კანონი არეგულირებს სავაჭრო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს?

2. სავაჭრო გარიგების ცნება და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებანი

სავაჭრო გარიგება საქონლისა და მომსახურების გამყიდველთა და მყიდველთა შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაზე გამიზნული მოქმედებაა. სავაჭრო გარიგება, ისევე როგორც ნებისმიერი გარიგება, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლში ჩამოყალიბებული ცნების თანახმად. გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

ცალმხრივია ისეთი გარიგება, რომელშიც კანონის, ნორმატიული აქტების ან მხარეთა შეთანხმების შესაბამისად აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ ერთი მხარის ნების გამოვლენა. სხვა პირთათვის ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას დადგენილი კანონი ან მოცემულ პირებთან შეთანხმება ავალდებულებს.

ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლში აღნიშნულია შემდეგი:

1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.
2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.
3. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გაეყენოს არ მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან ქმედუნარიანობის დაკარგვამ, თუკი ეს მოვლენები დადგა ნების გამოვლენის შემდეგ.

ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო-ოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან (სსკ, მუხლი 52).

გარიგების არსებობის აუცილებელი მოთხოვნაა მისი შინაარსის არსებობა. გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან, არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი (სსკ, მუხლი 53).

გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი (სსკ, მუხლი 68).

მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. თუ გარიგების ფორმა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას, მაშინ დამოწმება უნდა განახორციელოს ნოტარიუსმა, მოსამართლემ ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა (სსკ, მუხლი 69).

ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებებისათვის აუცილებელია ორი ან მეტი მხარის ნების გამოხატვა, ასეთ გარიგებას ეწოდება ხელშეკრულება. ნებისმიერი ხელშეკრულება აუცილებლად არის გარიგება, მაგრამ ყველა გარიგება არ შეიძლება იყოს ხელშეკრულება.

ხელშეკრულების დადება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. მათ შეუძლიათ ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომლებიც კანონით არაა გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

სავაჭრო გარიგების განსახორციელებლად თავდაპირველად საჭიროა კონტრაგენტის მოძიება და შერჩევა. კონტრაგენტი (ლათ. *contrahent* – ხელშეკრულების დამდები) არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც ხელშეკრულების ძალით რაიმე ვალდებულება იკისრა.

კონტრაგენტთა განსაზღვრის შემდეგ იწყება მათთან კონტრაქტი. უშუალო გარიგებებში გამყიდველს პოტენციურ მყიდველთან კონტრაქტის დადება შეუძლია სხვადასხვა ხერხით: ოფერტის გაგზავნით, მყიდველისაგან შეკვეთის მიღებით, ტენდერებში, გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობით, სარეკლამო განცხადებების გამოკვეთებით და ა.შ.

მყიდველები, თავის მხრივ, ბაზრის შესწავლის საფუძველზე ეძებენ პოტენციურ მიმწოდებლებს. ამასთან, ისინი საქონლის გამყიდველებს შეკითხვის წესით უგზავნიან თვითნებ მოთხოვნებს, სწავლობენ მიღებულ წინადადებებს და შერჩეულ ვარიანტზე აწარმოებენ საქმიან მოლაპარაკებებს. შეკითხვა დოკუმენტია, რომელშიც მყიდველი გამყიდველს თხოვს ინფორმაციას საქონლის შესახებ და (ან) წინადადების გაგზავნას მის მიწოდებაზე. შეკითხვაში, როგორც წესი, უთითებენ საქონლის დასახელებასა და პირობებს, რომლითაც მყიდველს სურს საქონლის მიღება. შეკითხვის ხასიათი, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია მხარეთა განზრახვაზე. იგი შეიძლება იყოს მიწვევა ხელშეკრულების დასადებად ან ატარებდეს ოფერტის სახეს (Offertus ლათინურიდან ითარგმნება როგორც შეთავაზებული). ოფერტი წინადადება ყველა არსებითი პირობის შემცველი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესახებ. უმეტესწილად შეკითხვა განიხილება როგორც მოწვევა ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ თუ იგი შეიცავს ოფერტის ყველა არსებით პირობას (საქონლის დასახელება და სრული დახასიათება, შესყიდვის ფასი და გადახდის პირობები, მიწოდების პირობები, მათ შორის შეფუთვის, შეტყობინების, გადახდისა და დაზღვევის ინსტრუქციას), ოერიდიულ პრაქტიკაში იგი ოფერტადაა მიჩნეული.

თუ ვარიეტების ინიციატორი გამყიდველია, იგი მყიდველს უგზავნის ოფერტს. სსკ-ის 329-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, დამოუკიდებელია წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება. წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მიწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.

ოფერტი მოითხოვს მის აქცეპტირებას. აქცეპტი ეწოდება ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემს. იგი უნდა იყოს უპირობო და უშესწორებო. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად. როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე დროს, ახალ წინადადებად.

სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

სსკ-ის 328-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან ამ მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საქმარისა სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეგრაფი ან წერილების ურთიერთგაცვლა.

წერილობითი ფორმის ხელშეკრულებას კონტრაქტი ეწოდება. მასში განისაზღვრება გამყიდველთა და მყიდველთა ვალდებულებები. ე.ი. კონტრაქტი კომერციული დოკუმენტია, რომელიც ასახავს საქონლის ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ყველა მომენტს და ადისტურებს მხარეთა შორის ხელშეკრულებას საქონლის მიწოდების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე, მათ შორის შეთანხმებული თანამდევითი მომსახურების განხორციელების შესახებ.

კონტრაქტს უნდა გააჩნდეს გარკვეული სტრუქტურა და შინაარსი. მასში უნდა აისახოს:

1. კონტრაქტის რეკვიზიტები (ხელშეკრულების სახელწოდება, მისი გაფორმების ადგილი და თარიღი);
2. პრეამბულა, რომელიც შეიცავს ვარიეტებში მონაწილე მხარეების დასახელებას და მითითებას იმის შესახებ, რომ მათ გააფორმეს აღნიშნული ხელშეკრულება;
3. ხელშეკრულების საგანი (საქონლის დასახელება, მისი დახასიათება, ასორტიმენტი და ა.შ.);
4. საქონლის რაოდენობა;

5. საქონლის ზარისხი;
6. მიწოდების ვადა და თარიღი;
7. მიწოდების პირობები;
8. საქონლის ფასი და კონტრაქტის მთლიანი თანხა;
9. გადახდის პირობები;
10. საქონლის მიღება-ჩაბარება;
11. დაუძლეველ ძალთა გარემოებანი (ფორს-მაჟორი);
12. დაზღვევა;
13. მხარეთა პასუხისმგებლობა და სანქციები;
14. სადავო საკითხების მოგვარება;
15. სხვა პირობები, რომელსაც მხარეები მიიჩნევენ საჭიროდ. მაგალითად, კონტრაქტის დადების ცვლილებებისა და შეწყვეტის წესები.

კონტრაქტი დასტურდება მხარეთა ხელმოწერებით. კონტრაქტის ხელმოწერის უფლება აქვთ მხოლოდ ასეთი დოკუმენტების ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირებს.

ზშირად ყიდვა-გაყიდვის გარიგებებში გამოიყენება ტიპური კონტრაქტები. ტიპური კონტრაქტი სანიმუშო ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს ერთი საქონლის ან სასაქონლო ჯგუფის ყიდვა-გაყიდვის უნიფიცირებულ, სტანდარტულ პირობებს. სსკ-ის 342-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა შემუშავითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემესები წესების დადგენა. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად. უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული არსებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები (სსკ მუხლი 339). სავაჭრო ჩვეულება ვაჭრობაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული წესია, რომელიც შეიცავს მოცემული საკითხის მკაფიოდ განსაზღვრულ დებულებას. წესის ჩვეულებად აღიარებისათვის საჭიროა იგი იყოს ზოგადი ხასიათის (ე.ი. მისი გამოყენება შეიძლებოდა ყველა ან უმეტეს შემთხვევაში), თავისი შინაარსით იყოს განსაზღვრული, გასაგები და ვაჭრობის მოცემულ სფეროში საკმაოდ ცნობილი.

კონტრაქტის ზოგიერთი პირობის შინაარსი განისაზღვრება სავაჭრო ჩვეულებებით. სავაჭრო ჩვეულებებით განისაზღვრება, აგრეთვე, მხარეთა შორის შეუთანხმებელი პირობები. თუ კონტრაქტში პირდაპირაა მითითებული სავაჭრო ჩვეულებები, მათი შემოვლით შეიძლება კონტრაქტის დისპოზიციური ხასიათის საკითხების დარეგულირება, ე.ი. ამ შემთხვევაში ისინი ცვლიან სამართლის შესაბამის ნორმებს.

კონკრეტულ ბაზარზე დამკვიდრებული და აღიარებული ჩვეულებებისა და ტრადიციების არცოდნა კონტრაქტებს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან. ამ საკითხში უთანხმოების თავიდან აცილებისათვის, მხარეებმა კონტრაქტში უნდა დააზუსტონ როგორც საეცალაური საკანონმდებლო დებულებებიდან, ისე სავაჭრო ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე პირობები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა იგულისხმება სავაჭრო გარიგების ცნებაში?
2. როგორ ვლინდება მხარეთა ნება ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებებში?
3. რომელი ცნებაა უფრო ფართო – „გარიგება“ თუ „ხელშეკრულება“?
4. როგორ ხორციელდება გარიგება, თუ ინიციატორი გამოიძველია?

5. როგორ ხორციელდება გარიგება, თუ ინიციატორი მყიდველია?
6. რა შემთხვევაში ითვლება ხელშეკრულება დადებულიად?
7. რით განსხვავდება ხელშეკრულება კონტრაქტისაგან?
8. რა ძირითადი მომენტების ასახვაა საჭირო კონტრაქტში?
9. რა იგულისხმება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში?
10. რა არის სავაჭრო ჩვეულება და მისი არცოდნა თავისუფლებს თუ არა კონტრაგენტებს ასუსხისმგებლობისაგან?

3. საგარეო ვაჭრობა და ექსპორტ-იმპორტის სამართლებრივი რეგულირება

საგარეო ვაჭრობაში გამოყოფილია სავაჭრო ოპერაციების შემდეგი სახეები: ექსპორტი, იმპორტი, რექსპორტი და რეიმპორტი.

ექსპორტი გულისხმობს საქონლის გატანას უცხოეთში გასაყიდად, იმპორტი – საქონლის შემოტანას საზღვარგარეთიდან. რექსპორტის დროს წარმებს ადრე იმპორტირებული, მაგრამ გადაუმუშავებს დაუქვემდებარებელი საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვა და გატანა, ხოლო რეიმპორტის დროს – ადრე ექსპორტირებული, მაგრამ დამუშავებას დაუქვემდებარებელი საქონლის შესყიდვა და შემოტანა.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში, ჩვეულებრივ, იგულისხმება მატერიალურ-საგნობრივი ფორმის საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული კომერციული საქმიანობა. ამასთან, საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტსა და იმპორტს მიეკუთვნება მხოლოდ კომერციულ საფუძველზე განხორციელებული ოპერაციები ანუ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების (ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტების) საფუძველზე განხორციელებული ოპერაციები. უსაყიდლოდ განხორციელებული სხვადასხვა სახის დახმარებები, განანტები და ა.შ., როგორც წესი, ექსპორტ-იმპორტის ღირებულებაში არ შედის და ცალკე აღირიცხება.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ითვლება განხორციელებულად კონტრაგენტის ქვეყნის საზღვარზე საქონლის გავლის შემდეგ. ამ ოპერაციას თან ახლავს გარკვეული საბაჟო ფორმულებისა და პროცედურების შესრულება, მათ შორის სტატისტიკური აღრიცხვისათვის საჭირო მონაცემების წარგება.

საერთაშორისო სასაქონლო ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვის ბაზად მიღებულია ტვირთების ექსპორტ-იმპორტის საბაჟო აღრიცხვა. სწორედ იგია ჩადებული ყოველი ქვეყნის საგარეო სავაჭრო სტატისტიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის საფუძველში. საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკურ აღრიცხვას აწარმოებენ გაეროს სისტემის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები. მათ მიერ შემუშავებულია სტანდარტული საგარეო სავაჭრო დოკუმენტაცია, უნიფიცირებული ცნებები და თვით საბაჟო სტატისტიკური აღრიცხვის ერთგვაროვანი წესები, რომლებიც იძლევა ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკის შედარების შესაძლებლობას.

სტატისტიკურ აღრიცხვაში ექსპორტს მიეკუთვნება: ქვეყანაში წარმოებული, გამოზრდილი ან მოპოვებული, აგრეთვე ადრე უცხოეთიდან შემოტანილი და ქვეყანაში გადაუმუშავებული საქონლის გატანა; ადრე შემოტანილი და საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაუმუშავებული საქონლის გატანა; რექსპორტი (ადრე უცხოეთიდან შემოტანილი და გადაუმუშავებს დაუქვემდებარებელი საქონლის გატანა). რექსპორტის ოპერაციებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ქვეყანაში საქონლის შემოტანადად განხორციელებული ოპერაციები. მართალია, ამგვარი ოპერაციები არაა კონკრეტული ქვეყნის ექსპორტი ან იმპორტი, მაგრამ საბაჟო სტატისტიკაში ისინი ამგვარი სახით აღირიცხება. რექსპორტის ოპერაციებში შედის აგრეთვე თავისუფალი ზონებიდან და მიწერილი საწყობებიდან საქონლის გატანა. ეს ოპერაციები საბაჟო სტატისტიკაში რექსპორტო ოპერაციებად აღირიცხება.

სტატისტიკურ აღრიცხვაში იმპორტს მიეკუთვნება: უშუალოდ მწარმოებელი ქვეყნიდან ან შუამავალი ქვეყნიდან უცხოური წარმოების საქონლის შემოტანა პირადი მოხმარებისათვის, ან სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გამოსაყენებლად ან გადასამუშავებლად, რომლის შედეგად იგი გამოიყენება ქვეყნისშიდა მოხმარებისათვის ან ექსპორტისათვის; საქონლის შეტანა თავისუფალი

ზონებიდან და მიწერილი საწყობებიდან; რეიშორტი (აღრე გატანილი და დამუშავებას დაუქვემდებარებელი სამამულო საქონლის შემოტანა).

რეიშორტს მიეკუთვნება აუქციონზე გაუყვადი, საკონსიგნაციო საწყობებიდან ადრუნებული, მომხმარებელთა მიერ დაწუნებული და სხვა საქონელი; საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად შემოტანილი საქონელი. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება დასამუშავებლად შემოტანილი საქონელი, რომელიც მზა ნაწარმის სახით უნდა იქნეს გატანილი.

საბაჟო აღრიცხვით ექსპორტ-იმპორტის ღირებულებაში შეაქვთ ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ თავიანთი შეიღობილი კომპანიებისათვის მიწოდებული ყველა საქონელი. სწორედ ასეთი სახით აისახება საერთაშორისო საქონელბრუნვაში შემავალი, ტრანსნაციონალური კორპორაციის ჩარჩოში განხორციელებული ფირმისმიდა საქონელგაცვლა.

აღნიშნულის გარდა, ექსპორტ-იმპორტის ღირებულებაში შედის:

- კომპლექტური მოწყობილობისა და მასალების ღირებულება, მათ შორის ტექნიკური მომსახურების ღირებულება;
- სალიცენზიო ანარიცხები;
- ბაზრობებსა და გამოყენებზე შუამავლების მეშვეობით გაყიდული ან ნაყიდი საქონლის ღირებულება.

უცხოელი კონტრაგენტისათვის იჯარით მიცემული და საბაჟო საზღვარზე გატარებული საქონლის ღირებულება (იგი ცალკე აღირიცხება და ქვეყნდება).

ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო რეგულირების ფორმები უამრავია, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და კლასიკური ინსტრუმენტია საბაჟო ტარიფები. ისინი ეკონომიკური ხასიათისაა და ემსახურება შემდეგ მიზნებს: დამატებითი ფინანსური სახსრების მიღება (როგორც წესი, დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნისათვის), საგარეო სავაჭრო ნაკადების რეგულირება (ტიპურია განვითარებული ქვეყნებისათვის), ან ეროვნულ მწარმოებელთა დაცვა (ძირითადად, შრომატაცვად დარგებში).

საბაჟო ტარიფები ბაჟების სისტემატიზებული ჩამონათვალია, რომლითაც საქონელი იბეგრება იმპორტირებისას, ზოგიერთ შემთხვევაში – აგრეთვე ექსპორტირებისას. ბაჟი სახელმწიფოს მიერ დადგენილი გადასახადია, რომელსაც კრეფენ საქონლის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას. ბაჟს, რომელსაც საქონლის შემტანი ქვეყანა ახდევინებს, ვასატანი ბაჟი ეწოდება. საქონლის შემტანი ქვეყნის მიერ აკრეფილი ბაჟი შესატანი ბაჟია, ხოლო იმ ქვეყნის მიერ აკრეფილი ბაჟი, რომელზედაც ზდება საქონლის გადახიდა – სატრანზიტო ბაჟია. აღნიშნული ბაჟებიდან ყველაზე გავრცელებულია შესატანი ბაჟები. ისინი, ძირითადად, გამოიყენება იმპორტული საქონლის ფასის გასადიდებლად. ასეთი ქმედების მიზანია კონკურენტული ეროვნული საქონლისათვის ფასში შედარებითი უპირატესობის მინიჭება და ეროვნულ მწარმოებას დაცვა უცხოური კონკურენციისაგან. ამასთან ერთად, ბაჟები ასრულებს სხვა ფუნქციებსაც. მაგალითად, ისინი სახელმწიფო შემოსულების მიღების საშუალებაა. გარდა ამისა, ბაჟები გამოიყენება უცხოურ ბაზრებზე საქონლის შეღწევის პირობების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დინტერესებული ქვეყნები ცდილობენ განახორციელონ ბაჟების შემცირება და ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

ბაჟს, როგორც სახელმწიფო შემოსავლის მიღების საშუალებას, დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, ხოლო მსხვილი, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში იგი არსებით როლს არ თამაშობს. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ განვითარებულ ქვეყნებში ზელისუფლებას მეტი შესაძლებლობა აქვს იმპორტირებული საქონლის მოცულობასა და ხასიათზე კონტროლის დაწესებისათვის, ვიდრე პირად და კომერციულ სამომავლო გადასახადებზე.

მართალია, საქონლისაგან შემოსავლებზე გადასახადის სახით დაწესებული ტარიფები, ძირითადად, იმპორტისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მრავალ ქვეყანაში ნელელულის ექსპორტირებისას ფართოდ გამოიყენება ვასატანი ბაჟები. რაც შეეხება სატრანზიტო ბაჟს, ისინი ერთობლივი ძალისხმევითა და საერთაშორისო მოლაპარაკებებით, ფაქტობრივად, ლიკვიდირებულია.

საბაჟო ტარიფები, ჩვეულებრივ, ეროვნულ დონეზე გამოიყენება, მაგრამ ინტერგრატიული პროცესების განვითარებისა და მთელი რიგი სახელმწიფოების სავაჭრო-ეკონომიკური დაჯგუფების პირობებში იქმნება ერთიანი საბაჟო კავშირები, სადაც ბაჟები გამოიყენება მესამე ქვეყნის მიმართ ერთიანი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განსაზოგადებლად. ადრინდელი საბაჟო კავშირის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ევროკავშირი, სადაც პრაქტიკულად ლიკვიდირებულია ურთიერთვაჭრობის ხელშემშლელი ყველა ფაქტორი. ამასთან ერთად, ისინი სხვა ქვეყნების მიმართ ახორციელებენ შეთანხმებულ პოლიტიკას.

საბაჟო ტარიფებში დადგენილი ბაჟები სამი სახისაა: სპეციფიკური, ადვალური ანუ ღირებულებითი და შერეული. სპეციფიკური ბაჟის აკრეფა ხდება ფულადი თანხის სახით საქონლის წონის, მოცულობის ან ცალბის შესაბამისად. მაგალითად, 10 ლარი ყოველ ტონა საქონელზე. ადვალურია საქონლის ფასის პროცენტის სახით დადგენილი ბაჟი. მაგალითად, ქუჩის ღირებულების 15%. შერეული ბაჟი ითვალისწინებს ერთდროულად სპეციფიკური და ადვალური ბაჟების გამოყენებას. ყველაზე ადვილად სპეციფიკური ბაჟის დადგენა, ვინაიდან ამ შემთხვევაში საჭირო არაა საქონლის ფასის განსაზღვრა. ამასთან, ფასების ზრდის შემთხვევაში იგი საქონლის ფასის მცირე პროცენტს შეადგენს და ამიტომ ნაკლებად ზღუდავს იმპორტს.

მრავალი ქვეყნის საბაჟო-სატარიფო პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭება ადვალურ ბაჟებს, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმპორტირებული საქონლის ფასის გაანგარიშების მეთოდებს. ტრადიციულად შებაჟები ადვალური ბაჟის დასადგენად სარგებლობდნენ ფასის განსაზღვრის მეთოდის შერჩევის თავისუფლებით. მაგრამ ასეთი პრაქტიკა სწორად გამოიყენებოდა საქონლის იმპორტზე ადვილად სპეციფიკური (საქონლის ფასის მნიშვნელოვანი გადღობით). აღნიშნულის გამო GATT/WTO-ს მიერ მიღებულია საბაჟო შეფასების კოდექსი, რომლის თანახმად საქონლის შეფასება მიზანშეწონილია CIF ან FOB ფასების საფუძველზე. ე.ი. ანგარიშ-ფაქტურის ფასი სტრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯების გათვალისწინებით ან მათი გათვალისწინების გარეშე.

საბაჟო შეფასების კოდექსი ვრცელდება ყველა სავაჭრო გარიგებაზე. გამონაკლისი დაშვებულია ურთიერთდაკავშირებულ პარტნიორთა გარიგებებზე, რომელთა ურთიერთობანი ზეგავლენას ახდენს საქონლის ფასზე. ამასთან ერთად, საბაჟო შეფასების კოდექსში აღნიშნულია, რომ ურთიერთკავშირის არსებობა არასაკმარისი საფუძველია ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასის საფუძველზე საბაჟო შეფასების განხორციელების უარსაყოფად. შესაბამისად, მოცემულია კონკრეტული შესწორებები, რომლებიც ამცირებს ტრანსნაციონალური კორპორაციების ფირმისშიდა არხებით საქონლის მიწოდების დროს საბაჟო შეფასების სხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას.

ურთიერთდაკავშირებულ პარტნიორთა გარიგებებში, საქონლის ფასის რეალურ ღირებულებასთან შესაბამისობის შემთხვევაში, მკაცრი თანამიმდევრობით (ჩამონათვალის მიხედვით) უნდა გამოიყენონ არაპირდაპირი შეფასების შემდეგი ოთხი მეთოდი:

1. იმავე ქვეყანაში ექსპორტირებული იმავე ან ანალოგიური სახის საქონლის საგარეო სავაჭრო ფასებთან შედარება;
2. დელექტიური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ღირებულების გაანგარიშებას იმპორტირებული საქონლის პირველი რეალიზაციის ფასის საფუძველზე, რომელსაც აკლდენ მომხმარებელმა საქონელბრუნვის ამ ეტაპზე წარმოქმნილ ხარჯებსა და დამატებული ღირებულების სხვა ნაწილებს (ეს მეთოდი, ჩვეულებრივ, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტირებული საქონელი არ ექვემდებარება გადამუშავებას);
3. ღირებულების გაანგარიშება საწარმოო დანახარჯების საფუძველზე. ამ მეთოდში ღირებულებას ანგარიშობენ ნედლეულისა და მასალების შესყიდვის, მათი დამუშავების, საშუალო მოგებისა და საქონლის წარმომქმანთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა დანახარჯის დაჯამებით;
4. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ზემოაღნიშნული რომელიმე მეთოდის გამოყენება, დასაშვებია სხვა მეთოდების გამოყენება, მაგრამ ისინი უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმების პრინციპებს.

საბაჟო ბარიერების დემონტაჟის პირობებში სახელმწიფოები შიდა ბაზრის დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ ე.წ. არასატარიფო ზომებს, რომლებიც მოიცავს თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობი-

სა და სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ფართო წრეს. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ არაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის რეგულირებასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს.

გაეროს მიერ მიღებული კლასიფიკაციით, არასატარიფო ზომები იყოფა სამ კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ის ზომები, რომელთა გამოყენებით ხდება იმპორტის პირდაპირი შეზღუდვა ერთ-ერთი წარმოების გარკვეული დარგების დაცვის მიზნით. ესაა იმპორტის ლიცენზირება და კონტინგენტობა, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟები, ე.წ. ექსპორტის "ნებაყოფლობითი" შეზღუდვა, საკომპენსაციო მოსაკრებლები, მინიმალური საიმპორტო ფასების სისტემა და ა.შ. პირველ კატეგორიაში შედის არასატარიფო ზომების ნახევარზე მეტი. ე.ი. იგი ყველაზე მრავალირცხოვანი კატეგორიაა.

მეორე კატეგორიაში შემაჯავლი ზომები უშუალოდ არაა გამიზნული საგარეო ვაჭრობის შეზღუდვაზე და, უმეტესწილად, ადმინისტრაციული ფორმლობით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, ისინი საგარეო ვაჭრობის შეზღუდვას ემსახურება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება: საბაჟო ფორმალბონანი, ტექნიკური სტანდარტები და ნორმები, სანიტარული და ვეტერინარული ნორმები, საფუთავის, მარკირებისა და ჩამოსხმისადმი წაყენებული მოთხოვნები და ა.შ.

მესამე კატეგორიას მიეკუთვნება არაპირდაპირი (ირიბი) ზემოქმედების ზომები, რომელთა გამოყენება უშუალოდ იმპორტის შეზღუდვაზე არაა გათვალისწინებული, მაგრამ მათი მოქმედება ხშირ შემთხვევაში ასეთ შედეგს იძლევა.

იმპორტის (ზოგიერთ შემთხვევაში ექსპორტის) პირდაპირი რეგულირების ზომებიდან ამჟამად ყველაზე ფართოდ გამოიყენება კონტინგენტები ანუ კვოტები და ლიცენზიები. მათი მუშეობით იზღუდება საგარეო ბაზრებზე საწარმოთა გასვლა, მცირდება ცალკეულ საქონელზე გარიგებებში მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა.

სალიცენზიო სისტემა გულისხმობს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ იმ საქონლის საგარეო სავაჭრო ოპერაციების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემას, რომელიც ჩართულია ექსპორტისა და იმპორტის სალიცენზიო სიაში. საგარეო სავაჭრო ოპერაციებზე ლიცენზიების აღება ხდება სავაჭრო გარიგებების შესრულებამდე. ამ პროცედურას სავაჭრო ლიცენზირება ეწოდება.

სალიცენზიო სისტემები განსხვავებულია ქვეყანათა მიხედვით და ეს მის ფორმებსა და პროცედურებში პოულობს ასახვას. მიუხედავად ამისა, ლიცენზიების ძირითად სახეებში შეიძლება ორი მთავარი ტიპის გამოყოფა: ესაა ავტომატური ანუ გენერალური და არაავტომატური ანუ ერთჯერადი ლიცენზიები. ავტომატური ისეთი ლიცენზია, რომელიც იძლევა საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შეუფერხებელი განხორციელების შესაძლებლობას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ავტომატური ლიცენზიის დროს სახელმწიფო მუდმივ კონტროლსა და მეთვალყურეობას უწევს შესყიდვებს, მათ მოცულობას და, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია იმპორტის სწრაფი შეზღუდვა. ასეთი სახით ამერიკა არეგულირებს ჩარხების მიწოდებას გერმანიიდან და შვეიცარიიდან, კანადა — ფოლადის მიწოდებას და ა.შ. არაავტომატური ლიცენზია ერთჯერადი გამოყენებისაა. იგი გარკვეული იმპორტორისათვის (ექსპორტორისათვის) გარკვეული საქონლის იმპორტზე (ან ექსპორტზე) გაცემული ნებართვაა. ამასთან, მასში მითითებული უნდა იყოს საქონლის რაოდენობა, მისი ღირებულება, წარმოშობის (ან დანიშნულების) ქვეყნები. ზოგიერთ შემთხვევაში აგრეთვე, საბაჟო პუნქტი, რომელზედაც უნდა მოხდეს საქონლის შეტანა (ან გატანა).

საქართველოს საბაჟო კოდექსის 6.1 მუხლით დადასტურებულია ყველა პირის თანაბარი უფლება საქართველოში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანასა და გატანაზე, მათ შორის კომერციული მიზნებით. ამასთან არასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ იძლევა თავის საზღვრებზე საქონლის გარეგულირებადი ნაკადების მობარობის უფლებას. შეზღუდვები დამახასიათებელია როგორც საქონლის შემოტანისათვის, ისე გატანისათვის.

საქართველოში ექსპორტ-იმპორტის რეგულირებაში პრიორიტეტი ეძლევა საბაჟო ტარიფებს. ამ მიზნით მიღებულია კანონი "საბაჟო ტარიფისა და გადასახადების შესახებ" და "საბაჟო კოდექსი".

საქართველოში გამოიყენება საბაჟო გადასახადის განაკვეთის შედეგი სახეები:

1. ადვალური – განისაზღვრება პროცენტებით, დასაბვერი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ;
2. სპეციალური – განისაზღვრება ლარებით, დასაბვერი საქონლის ერთეულის მიმართ;
3. კომბინირებული – მოიცავს განაკვეთების ორივე სახეს.

დადგენილი საბაჟო გადასახადი დიფერენცირებულია და განისაზღვრება პროცენტებით დასაბვერი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოში იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილები. მათზე საბაჟო გადასახადი განისაზღვრება 0,05 ლარით ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე, რომელსაც ემატება საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი მანქანის ყოველკატეგორიაში ყოფინის ყოველი წლისათვის. ამ უკანასკნელს განაპირობებს ეკოლოგიური მოსაზრებები.

საბაჟო გადასახადის განაკვეთებია 5 და 12 პროცენტი. 5%-იანი განაკვეთით იბეგრება: ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი; ძირითადი საშუალებების, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილების იმპორტი; საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება: ინსექტიციდები; ფუნგიციდები; პერბიციდები; თესვის შესაწამლი პრეპარატები, პოლიინილქლორიდი, სხვა ნივთიერებები ნარეულად; ნატურალური კაუჩუკი; ხის ცელულოზა, ხსნადი ხარისხები; გადახვევისათვის ვარგისი აბრეშუმის პარკი; მატყლი, ვარცხნილის გარდა; საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი სინთეზური კომპლექსური ძაფები; არალეგირებული ფოლადისა და რკინის ნახვევარფაბრიკატები; ფურცლოვანი ფოლადი; არალეგირებული ფოლადისა და რკინის კუთხოვანი, ფასონური და სპეციალური პროფილები; სპილენძის მათული; ფურცლოვანი ალუმინი; ინვალიდთა ეტლები და მათი სათადარიგო ნაწილები. დანარჩენი საქონლის იმპორტი იბეგრება 12%-იანი საბაჟო გადასახადის განაკვეთით. იგივე განაკვეთი გამოიყენება ნავთობპროდუქტების იმპორტზე, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებიდან.

სატარიფო პრეფერენციები ანუ შეღავათები საგადასახადო შეღავათების ტიპს განეკუთვნება. იგი შეიძლება ცალმხრივი ან ორმხრივი იყოს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების პროცესში. სატარიფო შეღავათებს წარმოადგენს: გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება, საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება, საბაჟო გადასახადის განაკვეთის შეცირება.

საქონლის ექსპორტსა და რეექსპორტზე მოხსნილია საბაჟო გადასახადი, მაგრამ რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას გადაიხდებიან საბაჟო გადასახადი ან საქართველოს საბაჟო დეკლარაციის მიერ დაითვლება საბაჟო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქონლის გატანისას უქმდება საბაჟო გარანტია, გადაიხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი.

საბაჟო კოდექსით დაშვებულია არასატარიფო ზომების გამოყენებაც (მაგალითად, კვოტირება, ლიცენზირება და ა.შ.). ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწვევიანება ზღუდავს საქართველოს მხარის თავისუფლებას ამ კუთხით.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწვევიანების შედეგად მიღებულია “ბმული ტარიფების” სისტემა. ამ სისტემით სხვადასხვა ნომენკლატურის საქონლისათვის განისაზღვრება საბაჟო ტარიფების დასაშვები მაქსიმალური ღირებულება. “ბმული ტარიფებით” ხდება ტარიფების დიფერენცირება საქონლის სახეობების მიხედვით, აგრეთვე მათი საშუალო ღირებულების შემცირება. გარდამავალი 5-წლიანი პერიოდისათვის საშუალო შეწონილი ტარიფი 10,9%-ია, შესაძლო საბოლოო ბმული ტარიფი კი – 9,2. მაგალი საბოლოო ბმული ტარიფი – 25-30% გათვალისწინებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ საქონელზე (სოფლის მეურნეობის პროდუქციის 0,5%) და მასში არ შედის მრეწველობის არც ერთი სახეობის პროდუქცია. სამრეწველო საქონლიდან შედარებით მაგალი საბოლოო ბმული ტარიფით – 20%-ით იბეგრება ცემენტი, ალიბასტრი, გრანიტი და სხვა (მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 0,2%), 15%-ით – მანგანუმის კონცენტრატები, საფეიქრო ნაწარმი (პალტოები, ქურქები და სხვა (მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 0,9%).

საკონტროლო კითხვები:

1. ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვა;
2. ექსპორტ-იმპორტის რეგულირება და მისი განხორციელების ფორმები;
3. სერთიფიკატი და საქართველოს პრაქტიკაში გამოყენებადი საბაჟო ტარიფები;
4. საბაჟო შეფასების კოდექსის მიზანი;
5. ექსპორტ-იმპორტის რეგულირებისათვის გამოყენებადი არასატარიფო ზომების სახეები;
6. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სამართლებრივი რეგულირება;
7. ბმული ტარიფების სისტემის არსი.

4. დაბეგერის მიზნები და საგადასახადო სისტემის ძირითადი ელემენტები

ბიზნისის სფეროში საგადასახადო სისტემაზე დამოკიდებულია ბიზნესმენთა საქმიანი აქტივობა. საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადების სახეები და გადასახადებთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 13 ივნისს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსით. ამ კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საგადასახადო სისტემა მოიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას. თავის მხრივ, გადასახადი არის ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში საკლდეზულო შენატანს, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადასახადის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის თანახმად, გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა საკლდეზულო კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. გადასახადისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი გადასახადის გადამხდელია (სსკ, მუხლი 3). შესაბამისად, გადასახადები ატარებს აუცილებელ ხასიათს. მათში აისახება სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ღონე და ხასიათი.

გადასახადები დაბეგერისას სახელმწიფო ბიუჯეტი იღებს სასარგებს. ესაა გადასახადების ფისკალური ფუნქცია. გარდა ამისა, გადასახადების მეშვეობით ზდება საკონფისო და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის პირობების რეგულირება ანუ გადასახადები ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციას. გადასახადების ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას უზღვეს მნიშვნელობა აქვს.

გადასახადები დაბეგერის არსებით მახასიათებელ პირობებს მიეკუთვნება: გადასახადების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების წესები; საგადასახადო კანონმდებლობის სისტემა და პრინციპები; საგადასახადო პოლიტიკის პრინციპები; გადასახადების სახეები; გადასახადების გადახდვითების პრინციპები, ფორმები და მეთოდები; გადასახადის გადამხდელთა უფლებები და ვალდებულებები; საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობა; გადასახადების გადამხდელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები; საგადასახადო ორგანოების სისტემა; საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები და ა.შ.

საგადასახადო სისტემის ძირითადი ელემენტებია გადასახადების სახეები და მათი დარიცხვის პრინციპები – საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო ბაზა (ობიექტი). საგადასახადო განაკვეთი შემოსავლის (მოგების, ქონების) ბიუჯეტში გადასახდელი გარკვეული ნაწილია. საგადასახადო განაკვეთები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. საგადასახადო ბაზა (ობიექტი) დაბეგერას დაქვემდებარებული შემოსავლის ან ქონების სიდიდეა. იგი აფიქსირებს შემოსავლის თანხას, რომლის მიმართ გამოიყენება საგადასახადო განაკვეთი. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია სხვადასხვა საგადასახადო შეღავათი. გადასახადების მრავალფეროვნება განაპირობებს სხვადასხვა ნიშნით მათ კლასიფიკაციას.

შემოსავლებისა და ხარჯებისადმი დამოკიდებულებით (აერფის სახით) გადასახადები იყოფა ორ ჯგუფად: პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. პირდაპირი გადასახადების აკრეფა ხდება უშუალოდ გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან ან ქონებიდან, რის გამოც გადასახადის გადამხდელისათვის იგი ზუსტადაა ცნობილი. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება სამშრომლო გადასახადი, ქონების გადასახადი. არაპირდაპირი გადასახადების დადგენა წარმოებს მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით (აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი და ა.შ.). საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, არაპირდაპირია გადასახადი (ღღვ, აქციზი და სხვა), რომელიც ღვინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმწოდებელს. შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების საბოლოო გადამხდელია შემოსავლის მიმღები, არაპირდაპირის – საქონლის მომხმარებელი, რადგან გადასახადი გადადის ფასზე დანამატის სახით.

გადასახადების კლასიფიკაცია შეიძლება ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ხასიათითა და საბიუჯეტო მოწყობის დონეებით. ამ ნიშნით საქართველოს საგადასახადო კოდექსში (მუხლი 6) გადასახადები დაყუთილია საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა) სამშრომლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი;
- დ) აქციზი;
- ე) ქონების გადასახადი;
- ვ) მიწის გადასახადი;
- ზ) ავტოტრანსპორტის საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
- თ) გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
- ი) სოციალური გადასახადი;
- კ) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
- ლ) გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის;
- მ) გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსავლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

- ა) გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
- გ) საკურორტო გადასახადი;
- დ) სასტუმროს გადასახადი;
- ე) რეკლამის გადასახადი;
- ვ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ფუნქციები აქვს გადასახადებს?
2. რა არის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები?
3. რომელი გადასახადები განეკუთვნება საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს?

თავი 7

საფინანსო სამართლის რეგულირების ზოგადი დებულებანი

მოცემულ თავში განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ფინანსების სამართლებრივი რეგულირების არსი და მნიშვნელობა, საფინანსო სამართლის ნორმების ცნება, მათი სახეები, სტრუქტურა. აგრეთვე საბიუჯეტო სამართლის არსი, სახელმწიფო შემოსავლებისა და გასაყვლების სამართლებრივი რეგულირების ცნება, სახელმწიფო კრედიტის სახეები, საშინაო და საგარეო ვალის სახეები და ფორმები, შეზღუდული ბანკების არსი და მისი სამართლებრივი რეგულირება.

1. საფინანსო სამართლებრივი ნორმების ცნება და ურთიერთობანი

თანამედროვე სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობა დაფუძნებულია მეურნეობის საბაზრო სისტემაზე, რომელიც იყენებს ისეთ ძირითად ეკონომიკურ ბერკეტებს, როგორცაა: ფული, კრედიტი, ფინანსები და სხვ. სახელმწიფო განსაზღვრულ სამართლებრივ ბაზაზე ორგანიზებას უკეთებს თავის საფინანსო ორგანოების საქმიანობას და უზრუნველყოფს ამ პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებას.

მეურნეობის საბაზრო სისტემის პირობებში სახელმწიფოს, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმის საწარმოსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს შორის ფინანსური რესურსების შექმნისა და გამოყენების პროცესში წარმოიშობა ფინანსური ურთიერთობები. ფინანსები გამოიყენება საფინანსო სამართლის ნორმების, ცნების, ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბიუჯეტო სამართლის, სახელმწიფო შემოსავლების, გასაყვებისა და სახელმწიფო კრედიტისა და სხვათა სამართლებრივი რეგულირებისათვის.

სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა პირობებში წარმოიშობა ფინანსური რესურსების შექმნისა და გამოყენების რეგულირების აუცილებლობა.

კერძო საწარმოებში წარმოიქმნება ფინანსები, რომელიც ცალკეულ სამეურნეო სუბიექტთა საქმიანობის შედეგის მაჩვენებელია. აქ წარმოშობილი ფინანსები წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის წყაროს და გვეკლინება სახელმწიფო ფინანსების ჩამოყალიბების საფუძვლად.

სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ერთობლიობაა. იგი მთელი ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საფინანსო სამართლის საგნის საფუძველია სახელმწიფო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ფინანსური ურთიერთობა.

საფინანსო სამართლის საგანი ემყარება საფინანსო სისტემას, რომლითაც წარმოებს ფულადი ფონდების წარმოქმნა და გამოყენება.

საფინანსო სისტემა რეგულირდება „საბიუჯეტო უფლებათა შესახებ“ კანონით და დადგენილებით „ბიუჯეტის შესრულების შესახებ“, ასევე კანონით „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“. სახელმწიფო საფინანსო სისტემაში მნიშვნელოვანია საბანკო სისტემა, რომელიც ეფუძნება ორგანულ კანონს „ეროვნული ბანკის შესახებ“ და კანონს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.“

საფინანსო სამართლის სფერო მრავალმხრივია. ამიტომ საფინანსო სამართლის ნორმების გამოყენებასთან ერთად წარმოიშობა სამართლის სხვა დარგების ნორმებით რეგულირების აუცილებლობაც. მაგალითად, საფინანსო სამართლის საგადასახადო ურთიერთობათა რეგულირების დროს საჭიროა ადმინისტრაციული სამართლის ნორმების გამოყენებაც.

საფინანსო ურთიერთობა რამდენიმე სახით წარმოიშობა:

1. ფინანსების სფეროში – ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის შემოსავლებისა და გასაცემების გამოქვინის სახით. ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა საქართველოს სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის;
2. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების შეტანის, ფულადი თანხების გამოყენებისა და საანგარიშსწორებო წესების დაცვის სახით, ასევე საფინანსო და საკრედიტო ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობით;
3. ბიუჯეტის საკასო შესრულების, საბიუჯეტო ასიგნებათა ბანკებში გადარიცხვის სახით;
4. საქართველოს სახელმწიფოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის საფინანსო-სავალუტო ურთიერთობით.

საფინანსო ურთიერთობის რეგულირებისათვის სახელმწიფო ადგენს სამართლის ნორმებს. ამ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა ქმნის საფინანსო სამართლის დარგს.

საფინანსო სამართლის დარგია იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საფინანსო სამართლის ნორმების გამოყენებით სახელმწიფო აკუმულირებას უკეთებს და გამოიყენებს ფულად სახსრებს, ანაწილებს მათ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ცალკეულ რეგიონებსა და მუერნების დარგებს შორის; ასევე საფინანსო სამართლის ნორმების გამოყენება ხელს უწყობს საწარმოთა და ორგანიზაციათა ვალდებულებების შესრულებას, მატერიალური და ფულადი ფონდების მიზნობრივად გამოყენებას, შესაბამისი ფულადი ერთეულით მათი კონტროლის განხორციელებას.

საფინანსო სამართალი ემყარება განსაზღვრულ პრინციპებს, რომლითაც ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება. იგი ასახავს პოულობს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებში.

საფინანსო სამართლის პრინციპებია: გვემურობა, ანგარიშაინობა, დემოკრატიულობისა და კანონმდებლობის დაცვა.

კონსტიტუციის ცალკეული მუხლი ადგენს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კომპენტციიას ბიუჯეტის, გადასახადების, შემოსავლების, სახელმწიფო კრედიტის და სხვა სფეროში. ეს ზოგადი პრინციპები დაკონკრეტებულია საფინანსო სამართლის მიერ ცალკეულ საფინანსო-სამართლებრივ ხასიათის ნორმატიულ აქტებში.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმების თავისებურება არის მათი იმპერატიულობა და დისპოზიციურობა. დადგენილი მოთხოვნები იმპერატიულ ნორმაში მოცემულია მძიმანებლური ფორმით, კონკრეტულად და ზუსტად. ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავისი შეხვედლებისამებრ შეცვალონ, შეწყვიტონ ან გააფართოვონ მოთხოვნები. დისპოზიციური ნორმები მხარეებს შესაძლებლობას აძლევს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში თავად განსაზღვრონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის იმპერატიული და დისპოზიციული ხასიათი საფინანსო-სამართლებრივი ნორმის შემდეგ სახეებში გამოიხატება: მავალბელი, ამკრძალავი და აღმჭურველი.

მავალბელი ნორმა მოიცავს იმ მოქმედების შესრულების მოთხოვნას, რომელიც სახელმწიფო ფულადი სახსრების მობილიზაციასა და გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ასეთი ნორმები, ძირითადად, ურთიერთობებს არეგულირებს საფინანსო დაგეგმვის, გადასახადებისა და სხვათა სფეროში, მაგალითად, გა-

დასახადების სისტემა ერთიანი და საეკონომიკური ფუნქციური და იურიდიული პირისათვის საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმებისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად.

ამჟამინდელი ნორმები შეიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომელიც კრძალავს იმ მოქმედებას, რაც საფინანსო დისციპლინის დარღვევას გამოიწვევს. საფინანსო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს იმ მართლზომიერ მოქმედებას, რომელიც უნდა აკრძალოს. მაგალითად, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გამოყენება.

აღმჭურველი ნორმისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ მოქმედების შესრულების უფლებამოსილება. საფინანსო სამართლებრივ ურთიერთობებს თავისი კომპენტეციის ფარგლებში ყოველთვის არეგულირებს სახელმწიფო საფინანსო ორგანო. აღმჭურველი ნორმების გამოყენების მაგალითია საბიუჯეტო ასიგნებათა გადატანის უფლებამოსილება ბიუჯეტის ერთი რგოლიდან მეორეში. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო სამართლებრივ ნორმებით დადგენილი გადასახადების გარდა, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს უფლება ექვსეა მისდამი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დააწესოს დამატებითი გადასახადები.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სტრუქტურას საერთო აქვს სამართლის სხვა დარგების ნორმის სტრუქტურასთან, მაგრამ საფინანსო სამართლის რეგულირების საგნის თავისებურება მინც საშუალებას იძლევა განსხვავებულად გამოხატოს საფინანსო სამართლის ნორმა პიპოთუზაში, დისპოზიცისა და სანქციაში.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის პიპოთუზა განსაზღვრავს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომელთა დადგომა დაკავშირებულია კონკრეტული საფინანსო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობასთან. ასეთი მოვალეობების შედეგები გამოიხატება საწარმოთა, ორგანიზაციათა და ცალკეული მოქალაქის მიერ მიღებულ შემოსავალში, სახელმწიფო ხარჯების გაწევაში.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის დისპოზიცია განსაზღვრავს იმ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილე მხარეებს წარმოემოზაბათ.

სანქციის მეშვეობით სახელმწიფო ფაქტობრივად უზრუნველყოფს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნების განხორციელებას, საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების დაცვასა და მოვალეობის შესრულებას. არამართლზომიერი მოქმედების ჩადენის შემთხვევაში საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სანქცია ითვალისწინებს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი ხასიათის პასუხისმგებლობას. სანქცია ასევე მიუთითებს ფინანსური ზემოქმედების ისეთ კონკრეტულ ღონისძიებაზე, როგორცაა: საურავი, ჯარიმა, პირგასამეტხლო, საპანკო კრედიტის გადიდებული პროცენტის გადახდევინება და სხვა.

საფინანსო სამართლის სუბიექტებს შორის საფინანსო-საზოგადოებრივი ნორმის ფარგლებში ფულადი სახსრების გამოყენების პროცესში უფლებებისა და მოვალეობის განაწილების დროს წარმოიშობა საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც შემდეგი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება:

1. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობანი დაკავშირებულია ქვეყნის საფინანსო საქმიანობასთან და ფულად ხასიათს ატარებს.
2. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტად ყოველთვის გამოდის უშუალოდ სახელმწიფო ან მისი რომელიმე უფლებამოსილი ორგანო, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით მისივე სახელით ახორციელებს ფულადი სახსრების მგროვებისა და გამოყენებისათვის საჭირო მართლზომიერ მოქმედებას.
3. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა ყოველთვის ხორციელდება კანონით, ან სხვა ნორმატიული აქტით. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ წარმოშვან, შეცვალონ ან შეწყვიტონ სამართლებრივი ურთიერთობები, რადგან ამას თვითონ სახელმწიფო აკეთებს ცალკეული სუბიექტისათვის.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობები მბრძანებლურ-ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებია. აქ ერთმანეთთან შერწყმულია მბრძანებლური ანუ სახელისუფლო და ორგანიზაციულ-ქონებრივი ურთიერთობები. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების მბრძანებლური ხასიათი ისაა, რომ სახელმწიფო ორგანო საფინანსო საქმიანობის განხორციელების დროს აღჭურვილია უფლებამოსილებით საწარმოსათვის მიიღოს სავალდებულო იურიდიული გადაწყვეტილება, გამოიყენოს სანქციები საფინანსო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. საფინანსო საქმიანობის ორგანიზაციულ-ქონებრივი ხასიათი დაკავშირებულია ფულად ურთიერთობებთან და მის მონაწილე მხარეებს წარმოემოხაზება ქონებრივი უფლებები ფულად სახსრების შეცვლის, მიღებისა და დამოუკიდებლად განკარგვის სფეროში. მაგალითად, ავტონომიურ რესპუბლიკების შეუქმნა საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლებიდან და გადასახადებიდან მათთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები გამოიყენონ თავისი ქონებრივი უფლებამოსილების შესაბამისად.

რეგულირების შინაარსის მიხედვით საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობანი იყოფა: საბიუჯეტო, საგადასახადო, სადაზღვევო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო პროცესში, ასევე სახელმწიფო გასაყვების, ფულის მიმოქცევის, სავალუტო ოპერაციების სფეროში წარმოშობილი და სხვა ურთიერთობანი.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საფინანსო-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ისეთი ფაქტები, რომლებიც იწვევს ასეთ შეცვლას. მაგალითად, სახსრების გადახდა განსაზღვრულ დროში, ასევე, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ამა თუ იმ სუბიექტის მილიანად განათვისუფლება გადასახადებისაგან სტიქიური უბედურების შემთხვევის გამო და სხვ.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობათა სუბიექტებია: სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ქალაქები და რაიონები, საწარმოები, ორგანიზაციები, მოქალაქეები.

სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ გამოდის მაშინ, როცა ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა, ერთ მხრივ, თვით სახელმწიფოსა და მეორე მხრივ, საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობათა სხვა სუბიექტს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე. სახელმწიფო ასევე მონაწილეობს საერთაშორისო საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების, ან ქვეყნის შიგნით წარმოშობილ საკრედიტო-სამართლებრივი ურთიერთობებში.

სახელმწიფო საკრედიტო-სამართლებრივი ურთიერთობებში მონაწილეობს საბანკო დაწესებულებების საშუალებით. ეს უკანასკნელნი კონტაქტს ამყარებენ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან სახელმწიფოს სახელით, თუ სახელმწიფო ორგანო (საფინანსო, საკრედიტო და სხვ.) სამართლებრივი ურთიერთობაში გამოდის არა საკუთარი ქონების საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს უშუალო გამგებლობაში არსებული ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს წარმოშობილი უფლება-მოვალეობები სახელმწიფოს ეკუთვნის და არა ამ ორგანოს.

სახელმწიფო საფინანსო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობა განპირობებულია საფინანსო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა შესრულების ხარისხით. ამ მოთხოვნათა შესრულება ეყრდნობა ეკონომიკური სტიმულირების მეთოდს. საფინანსო-სამართლებრივი ნორმების უმეტესობა შეიცავს არა სანქციებს, არამედ წახალისებას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო და საანგარიშსწორებო, საკრედიტო და საგადასახადო დისციპლინის დაცვისათვის. ამასთან, მხოლოდ სტიმულირება ვერ ჩაითვლება საკმარისად და ამიტომ გამოიყენება იძულების მეთოდიც, რაც ხელს უწყობს საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვას.

სამართლებრივი ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის მიზნით ადმინისტრაციული და სასამართლო წესი არსებობს.

ადმინისტრაციული წესი გამოიყენება საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობათა სუბიექტების მიმართ, როდესაც ხდება საფინანსო და საკრედიტო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დადგენა საფინანსო კანონმდებლობის დარღვევისათვის საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების შელახვისათვის; სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების შეტანის კადის დარღვევის შემთხვევასა და სხვა ვითარებაში.

საფინანსო უფლებათა დაცვის ადმინისტრაციული წესი ძირითადია. იგი გამოიყენება ფულადი სახსრების აკუმულირების, დაინანსებისა და სხვა დროს. მაგალითად, იძულებითი წესი გამოიყენება სახსრების გადახდევინების დროს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ბიუჯეტში სახსრებს ნებაყოფლობით არ შეიტანენ. ასეთ შემთხვევაში ბანკი საფინანსო ორგანოს მითითებით გადახდა – ვალდებული ორგანიზაციის ანგარიშიდან აღნიშნულ თანხას ჩამოწერს და გადარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

უფლებათა დაცვის სასამართლო წესი საფინანსო სამართალში შეზღუდულად ხორციელდება. იგი ვრცელდება გადასახდლების გადაუხდელობის შემთხვევაში, ე.ი. გადაუხდელი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით: საფინანსო სამართალში გამოიყენება საჩივრის ინსტიტუტი. იგი არის სუბიექტის უფლება. მათ შემუშავდა სახელმწიფო საფინანსო ორგანოების არაკანონიერი ქმედება გასაჩივრონ. მაგალითად, გადასახადის თანხის არასწორი გაანგარიშება ან რაიმე თანხის უკანონოდ დაკისრება და ა.შ.

კანონი განსაზღვრავს გასაჩივრების ვადას, საჩივრის განხილვისა და მის შესახებ პასუხის გაცემის წესს. საჩივრების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებანი უნდა იყოს მოტივირებული და კონკრეტული.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფო ფინანსების არსი და მისი მნიშვნელობა.
2. საფინანსო სამართლის ნორმების ცნება და მისი სახეები.
3. საფინანსო სამართლის ნორმების სტრუქტურა.

2. საბიუჯეტო სამართალი, სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის რეგულირების საფუძვლები

ბიუჯეტი არის სახელმწიფოს ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდის წარმოქმნისა და გამოყენების ძირითადი საფინანსო გეგმა.

ბიუჯეტი მოიცავს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობების, ასევე მათი ფუნქციებისა და ეკონომიკური შესრულებისათვის გასაწევ გადასახდლების ნუსხას, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

ცენტრალური ბიუჯეტი არის ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი. იგი შედგება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებისა და გადასახდლებისაგან.

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ერთობლიობისაგან. სპეციალური სახელმწიფო ფონდი იქმნება კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული და განსაკუთრებული მიზნებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები არის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი. იგი აერთიანებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, რაიონი, ქალაქი) რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდლებს.

ადგილობრივი ბიუჯეტი არის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი, მათი შემოსულობებისა და გადასახდლების ჯამი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის საფუძველია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმა.

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა წარმართება „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონით. იგი საფუძველად უდევს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებისა და კონტროლის რეგულირებას, აგრეთვე ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალური სახელმწიფო ფონდების საბიუჯეტო ურთიერთობას და პასუხისმგებლობას. ამავე კანონით ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა არის ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესის ერთობლიობა.

საბიუჯეტო სისტემა ეყრდნობა პრინციპებს, რომლის დაცვა საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ევალება საბიუჯეტო სისტემის მონაწილეებს. ეს პრინციპებია: ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, უნივერსალურობა და კონსოლიდაცია.

ყოვლისმომცველობა ნიშნავს შესაბამის ბიუჯეტებში ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვას.

გამჭვირვალობა – ეულისხმობს ბიუჯეტების პროექტების ვარსილების პროცედურების გამჭვირვარებას, საჯაროობას.

ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის მონაწილე პირების პასუხისმგებლობაა ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

დამოუკიდებლობა – განასაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესის ყველა მონაწილე პირის მიერ დამოუკიდებელ მართვას.

ერთიანობა – ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ ერთიანი პრინციპებით მართვის ხელმძღვანელობაა.

უნივერსალობა – ბიუჯეტის შემოსულობათა მიმართვა საერთო გადასახდელის და საფინანსებლად.

კონსოლიდირება – გულისხმობს სახელმწიფო შემოსულობებით სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შექმნას და, აქედან, ხარჯების გაწევას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბიუჯეტო სისტემის ნაწილია საბიუჯეტო პროცესი, რომელიც საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობაა. საბიუჯეტო პროცესის სტადიებია: ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი.

ფინანსთა მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებსა და დადგენილებებს. სპეციალური დადგენილების საფუძველზე ბიუჯეტის შედგენის შესახებ პროექტს ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტრო. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს მისი კლასიფიკაციის მიხედვით მოსალოდნელ შესრულებას.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასაყვების სისტემური დაჯგუფება. საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

საბიუჯეტო სისტემის ყველა შემადგენელი რგოლი, ყოველი საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფულადი სახსრების ოდენობის შემოსულობებითა და გასაყვებით. ეს მოითხოვს შემოსავლებისა და გასაყვების გამიჯვნის სამართლებრივი ნორმების დადგენას.

საბიუჯეტო სისტემის შემოსავლებისა და გასაყვების გამიჯვნის საფუძველია კანონი „საბიუჯეტო უფლების შესახებ.“

შემოსავლების გამიჯვნის საფუძველია თითოეული ბიუჯეტის უზრუნველყოფა აუცილებელი საფინანსო ბაზით; ცალკეულ საბიუჯეტო ელემენტს შორის სახსრები თანაბრად უნდა განაწილდეს; უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების თანაბარზომიერება.

საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულია საბიუჯეტო ასიგნებანი. იგი არის ფისკალური ანუ საბიუჯეტო წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული ხარჯების გაწვევის უფლებამოსილება, რომელიც ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.

ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტით იქნება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს ფისკალური ასიგნების საერთო ოდენობის 2 პროცენტზე მეტი. პრეზიდენტის ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებისათვის. კერძოდ, ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფების და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებების საჭიროებისათვის.

ბიუჯეტის შესრულება შეიძლება გამოისახოს პროფიციტით ან დეფიციტით. ბიუჯეტის პროფიციტი არის, ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ ხარჯებსა და ღირებულებებს შორის დადებითი სხვაობა, ხოლო უარყოფითი სხვაობა ბიუჯეტის დეფიციტია. სხვაგვარად, თუ ბიუჯეტის შემოსავლების თანხები ჭარბობს გასაღებს, მაშინ ადგილი აქვს პროფიციტს და პირიქით.

სახელმწიფო ბიუჯეტი იურიდიული ლოკუმენტია. იგი შედგება ორი ნაწილისაგან – შემოსავლებისა და გასაღებისაგან.

ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა:

1. გადასახადებიდან შემოსავლები და
2. არასაგადასახადო შემოსავლები.

ბიუჯეტის ხარჯებია:

1. ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების დაფინანსება;
2. თავდაცვის ხარჯები;
3. საერთო-სახელმწიფოებრივი ხარჯები;
4. სატრანსფერო გადასახდელები.

მათარება მნიშვნელოვან თანხებს ძირითადად გამოყოფს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან მოსახლეობის განსაზღვრული ფუნქციების დასახმარებლად – სოციალური დაზღვევის, სოციალური უზრუნველყოფის, ომის ვეტერანებისა და უმუშევრებისათვის დახმარების სახით.

სატრანსფერო გადასახდელებს იხდიან სახელმწიფო ორგანოები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით, აგრეთვე საწარმოები და კერძო პირები საქველმოქმედო შენატანების სახით. ტრანსფერული გადასახდელი საწარმოო საქმიანობას არ უკავშირდება.

ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლის მთავარი წყაროა გადასახდებიდან შემოსავალი. იგი ეფუძნება ქვეყნის საგადასახადო კოდექსს.

გადასახდი არის განაწილებისა და განაწილების გზით მიღებული სავალდებულო მოსაკრებელი, რომელიც გადაირიცხება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად.

გადასახდები ძირითადად ორი სახისაა:

- ა) პირდაპირი გადასახდები და
- ბ) არაპირდაპირი გადასახდები.

პირდაპირია გადასახადი, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები უხდიან სახელმწიფოს შემოსავლების ყველა სახიდან და საკუთრივად მიღებული შემოსავლების ჩათვლით. პირდაპირი გადასახადები იყოფა რეალურ და პირად გადასახადებად. რეალური გადასახდებით იბეგრება ქონება. მაგალითად,

ადგილ-მამულის გადასახადი და სხვა. პირად გადასახადებს ახდენენბენ პიროვნებებს. ასეთია, შემოსავალზე გადასახადი და სხვ.

საქართველოში პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: მოგების გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი, ეკოლოგიური გადასახადი და სხვ.

არაპირდაპირია გადასახადი, რომელიც ღებინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დამატების სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმწოდებელს. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი (ღღვ) და სხვ.

საგადასახადო კოდექსი ეყრდნობა სამართლებრივ საფუძვლებს და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ითვალისწინებს. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფულადი რესურსების თავმოყრა სახელმწიფო ბიუჯეტში.

საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოქმედ გადასახადებს, გადასახადით დაბეგვის სუბიექტებსა და ობიექტებს, დაბეგვრაში შეღავათების მინიჭების საერთო წესს, საზღვრავს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობასა და გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის საკითხების გადაწყვეტის წესს. ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები შეიტანება ქვეყნის ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის რგოლებში. გადასახადები ერთიანია და სავალდებულოა ყველა იურიდიული პირისათვის საკუთრების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად, ასევე ფიზიკური პირებისათვის.

გადასახადის თითოეული სახის დროულ და სწორად მობილიზაციაზე ზედამხედველობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები. მათი უფლებაა, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დასვან საკითხი დამრღვევთა ადმინისტრაციულ სამოქალაქო-სამართლებრივ და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევად ითვლება იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოგების ან დაბეგვის სხვა ობიექტის ამაღლება ან მისი შემცირებული ჩვენება, აგრეთვე გადასახადის გაანგარიშებისათვის სავალდებულო მონაცემების წარუდგენლობა ან დაკვიანებით წარღვევა; გადასახადების გადახდის დადგენილი ვადების დაუკველობა; შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტების წარუდგენაზე უარის თქმა და სხვ.

ქვეყნის საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერესებს და ასევე იცავს საერთაშორისო სამართლებრივ და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის აღიარებულ ნორმებს.

ფულადი სახსრების განსაზღვრული ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის არასავადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გზით. არასავადასახადო შემოსავლები საგადასახადო კოდექსით არაა გათვალისწინებული. არასავადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, გრანტები და სხვ.

არასავადასახადო შემოსავლებს, საგადასახადო შემოსავლების მსგავსად, ადგენს ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები.

არასავადასახადო შემოსავლების გადამხდელებად გამოიან როგორც ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები, ისე მოქალაქეებიც. თუ გადასახადის ყველა სახე ვრცელდება იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ ამონაკლისები და შეღავათები, არასავადასახადო შემოსავლებს იხდიან მხოლოდ ისეთი საწარმოები და ორგანიზაციები ან მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ ამა თუ იმ სახელმწიფო ქონებით, მიმართავენ სახელმწიფო ორგანოებს რომელიმე იურიდიული მოქმედების შესასრულებლად, რომლისთვისაც გარკვეული საზღაურია დაწესებული ე.ი. მათ მიერ არასავადასახადო შემოსავლების გადახდა დაკავშირებულია განსაზღვრული პირობების არსებობასთან. თუ ასეთი პირობები არ არსებობს, მაშინ გადახდენინება არ წარმოებს.

არასავადასახადო შემოსავლებს მოქალაქეები იხდიან თავიანთი ნების გამოვლინების საფუძველზე, როცა მიმართავენ სახელმწიფო ორგანოებს საზღაურიანი მოქმედების შესასრულებლად ან ყოფილობენ ლატა-

რის ბილითებს, თუმცა, ზოგჯერ საეკონომიკური წესითაც ხდებიან გადაძვლებები, მაგალითად, სათანადო ორგანოებიდან პასპორტის მიღების დროს.

არასაგადასახადო შემოსავლების ოდენობა განისაზღვრება სპეციალური ნორმებით და იგი დიფერენცირებულია შემოსავლის სხვადასხვა სახისა და შინაარსის მიხედვით.

საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯვის პროცესში წარმოიშობა მრავალი სახის ურთიერთობა. ისინი დაკავშირებულია ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის შემოსავლებისა და გასაღების განაწილების, ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, ასევე ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშისა და კონტროლის პროცესთან. საბიუჯეტო ურთიერთობანი წარმოიშობა: სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, სახელმწიფო ბიუჯეტსა და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და გასაღების განაწილების, მათი ბიუჯეტების მოცულობის განსაზღვრასა და ბიუჯეტის პროცესის ცალკეულ სტადიასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობისა და მათი შემოსავლებისა და გასაღების ცალკეული სახეების განსაზღვრის დროს, საფინანსო ორგანოებსა და საბანკო დაწესებულებებს შორის ბიუჯეტის საკასო შესრულებასთან დაკავშირებით, საფინანსო ორგანოებსა და ცალკეულ წარმოება-დაწესებულებას შორის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში. აღნიშნული ურთიერთობები რეგულირდება საფინანსო სამართლის შესატყვისი ნორმებით ანუ საბიუჯეტო სამართლით.

საბიუჯეტო სამართალი არის იმ საფინანსო სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, ცალკეული ბიუჯეტის მოცულობას, მათ შორის სახსრების განაწილების წესსა და საბიუჯეტო პროცესს.

საბიუჯეტო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები მრავალმხრივია, მათ შორის ძირითადია კონსტიტუციური ნორმები. საბიუჯეტო ურთიერთობათა ცალკეული სახის სამართლებრივი რეგულირებისათვის გამოიყენება სპეციალური სამართლებრივი ნორმები.

საბიუჯეტო ურთიერთობათა რეგულირებაში ძირითადია სახელმწიფოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სპეციალური კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, ცენტრალური საფინანსო და საკრედიტო ორგანოების მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტები.

საბიუჯეტო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები არსებითად განსხვავდებიან მატერიალური და პროცესუალური ხასიათის ნორმებით. მატერიალური ნორმები განისაზღვრება ბიუჯეტის შინაარსი. მათი საშუალებით დგინდება ბიუჯეტების შემოსავლის წყაროები და ოდენობა, გასაღების სახეები და მიზნობრიობა, შემოსავლებისა და გასაღების საერთო ოდენობა და სხვ. პროცესუალური ნორმებით კი წარმოებს ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცების შესრულების შესახებ ანგარიშებისა და კონტროლის წესის განსაზღვრა.

ბიუჯეტის მიღება ხდება ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის და მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში.

საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა წრე შეზღუდულია, ვინაიდან ამ ურთიერთობათა სუბიექტები მონაწილეობენ ბიუჯეტებს შორის სახსრების განაწილებაში ან წარმოადგენს მხარეს საბიუჯეტო პროცესის ამ თუ იმ სტადიაზე. საბიუჯეტო-სამართლებრივ სუბიექტებად არ ჩაითვლებიან კერძო და კოოპერაციული საწარმოები, მოქალაქეები, რადგან ისინი არ მონაწილეობენ ბიუჯეტის სახსრების განაწილებაში, არ იღებენ ბიუჯეტიდან სახსრებს და არ გამოდიან ბიუჯეტის პროცესის მხარედ.

საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობების სუბიექტებია: სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები. ისინი საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებად. საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებია ასევე საფინანსო და საკრედიტო ორგანოები, სამინისტროები, უწყებები, დეპარტამენტები, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და პროფესიული კავშირები.

საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ საბიუჯეტო უფლებები, რაც მათი უფლებამოსილებაა ბიუჯეტის სფეროში. კერძოდ, ესაა საბიუჯეტო სახსრების მიღებისა და მათი განკარგვის უფლება.

კონსტიტუციით განსაზღვრულია ძირითადი საბიუჯეტო უფლებები, რომელიც ასახულია მთ „საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ კანონში.

საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას, განსაზღვრავს სახელმწიფო შემოსავლებისა და გასაყვლების საერთო ოდენობას მთლიანად, აგრეთვე სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და გასაყვლების საერთო ოდენობას. ასევე პარლამენტი ადგენს გადასახადებსა და სხვა შემოსავლებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის, განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი სახსრებიდან ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემი თანხების ოდენობას, ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და გასაყვლების წესს და ამტკიცებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. პარლამენტი იღებს ასევე საბიუჯეტო ურთიერთობათა მარეგულირებელ აქტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენას ხელმძღვანელობს მთავრობა. იგი ყოველწლიურად გამოსცემს დადგენილებას ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესახებ,

ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტრო.

ბიუჯეტის პროექტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვის შემდეგ გამოქვეყნდება.

ბიუჯეტის შესრულება ნიშნავს მოსალოდნელი შემოსავლების დადგენილ დროში მობილიზაციას და გათვალისწინებული ხარჯების გაწევას.

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თითოეულ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელია ხარჯებისა და შემოსავლების მართვაზე.

ფინანსთა სამინისტრო ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და კონტროლის ძალა-ტასთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს სააღრიცხვო კონტროლს და შიდა აუდიტს. ყოველივე ამისათვის გამოიყენება შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის პროცესი შეესაბამება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ფუნქცია ყოველთვიურ ოპერატიულ გეგმას. ბიუჯეტის გასაყვების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის სავსაყვლო ნაწილის შესრულება, რომლის შედეგადაც საბიუჯეტო კრედიტების გამოყოფა.

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოეშობა საბიუჯეტო სახსრების განკარგვის უფლება, მათთვის კრედიტების გახსნის შემდეგ.

საბიუჯეტო კრედიტის გახსნა არის საფინანსო ორგანოების მიერ ბანკისათვის უფლებამოსილების მინიჭება შესატყვისი ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გაცემის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით კრედიტებს ხსნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის მიხედვით – შესაბამისი ფინანსთა სამინისტროები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის – ადგილობრივი საფინანსო ორგანოები. კრედიტები ეხსნება დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელებს. ამ ხელმძღვანელებს ეწოდება კრედიტის გამმკარგულებლები, რომლებსაც უფლება ეძლევათ დაწესებულებებისა და უწყებების ხარჯონუსების მიხედვით განკარგონ საბიუჯეტო ასიგნებანი. კრედიტების გახსნა ხდება მისი გამმკარგულებელ პირთა მიერ შედგენილი განრიგებით.

სახელმწიფო ხაზინა მხარჯავ დაწესებულებებს აცნობებს ყოველთვიურ საფინანსო გეგმას, სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სრულ და

სწორ აღრიცხვაზე, წარმართავს სახელმწიფო ერთიან ანგარიშს და აქვს ამ ანგარიშიდან თანხების მოხსნის ნებართვის გაცემის უფლება. სახელმწიფო ხაზინის თანხები ეროვნულ ბანკში ინახება. ცენტრალური ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით.

სახელმწიფო შემოსავლები არის ფულადი სახსრები, რომელიც თავს იყრის სახელმწიფოს ხელში მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილებისა და გადანაწილების პროცესში.

სახელმწიფო შემოსავლები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საბიუჯეტო შემოსავლები. სახელმწიფო შემოსავლებში საბიუჯეტო შემოსავლებთან ერთად შედის ბიუჯეტგარეშე ფულადი სახსრებიც, როგორცაა: სახელმწიფო დაზღვევა, სახელმწიფო კრედიტი და სხვ.

სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს მიერ საფინანსო სამართლის სფეროში გამოცემული აქტები.

სახელმწიფო ხარჯების გაწევა წარმოებს ბიუჯეტიდან სახელმწიფო ფულადი სახსრების სახით. სახელმწიფო ხარჯების ოდენობა განისაზღვრება მისი მოთხოვნებითა და ამოცანებით, რომლებიც გამოასხულია მიზნობრივი და სახელმწიფო პროგრამებით.

სახელმწიფო ხარჯების ცნება ფართოა. იგი მოიცავს როგორც ყველა ღონის ბიუჯეტის ხარჯებს ან ცენტრალიზებულ სახელმწიფო ხარჯებს, ისე სხვა სახელმწიფო წარმონაქმნების ხარჯებს.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში ყველა საბიუჯეტო დაწესებულებას აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება, რის შედეგადაც მათ საკუთარი შემოსავლები წარმოექმნებათ და მათი დაფინანსების დამატებითი წყაროა. ამ სახსრებს არასაბიუჯეტო სახსრები ანუ სპეციალური სახსრები ეწოდება. მისი გამოყენება ხდება სპეციალური სახსრების ხარჯვის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საბიუჯეტო დაწესებულებების და ორგანიზაციების საჭიროებისათვის.

საკონტროლო კითხვები.

1. საბიუჯეტო სამართლის ცნება;
2. სახელმწიფო შემოსავლები;
3. სახელმწიფო გასაყვები;

3. სახელმწიფო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება

სახელმწიფო კრედიტი ეწოდება საფინანსო ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელშიც მსესხებლად გამოდის სახელმწიფო და თვითონ ადგენს ფულადი სახსრების მობილიზაციის წესსა და პირობებს, ხოლო კრედიტორია მოსახლეობა და სხვადასხვა ორგანიზაცია.

სახელმწიფო კრედიტი საკრედიტო სისტემის ერთი შემადგენელი ნაწილია. მეორე ნაწილია—საბანკო კრედიტი, ორივე კრედიტის საფუძველია თავისუფალი სახსრების გამოყენება. საბანკო კრედიტის დროს კრედიტორია — სახელმწიფო, ხოლო დებიტორები ცალკეული საწარმო და მოქალაქეები არიან. სახელმწიფო კრედიტის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო ქონებით.

სახელმწიფო კრედიტის კონკრეტული ფორმებია: სახელმწიფო სესხების ობლიგაცია, სახაზინო თამასუქი, ფულად-წიფობობრივი ლატარიის გამოშვება და ა.შ. ასევე შენახვეულ ბანკებში ანაბრების მოზიდვა.

სახელმწიფო კრედიტი მოიცავს სამინაო და სავარეო სესხებს, სახელმწიფო კრედიტში შედის სახელმწიფოს მიერ გაცემული გარანტიებიც. სახელმწიფო ვალდებულია გადაიხადოს ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული ვალები.

სახელმწიფო ვალი არის ის ფულადი სახსრები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის აღებული და მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის.

სახელმწიფო ვალისაგან განსხვავდება ეროვნული ვალი, რომელიც უფრო ფართო ცნებაა და სახელმწიფო ვალთან ერთად მოიცავს ქვეყნის ვველა სახის-ბანკების, ფიზიკური პირების, მეურნეობის ცალკეული დარგისა და სხვა დავალიანებას.

სახელმწიფო შიდა ვალი არის მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი.

სახელმწიფო საგარეო ვალი არის მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციებისაგან აღებული სესხი და გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის საეალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის წინაშე.

სახელმწიფო სესხი არის ნებაყოფლობითი და იძულებითი, ამჟამად სახელმწიფო სესხი, ძირითადად, ნებაყოფლობითია. სესხი ასევე შეიძლება იყოს ფულადი და ნატურალური, ვადიანი და უვადო და სხვ. საგარეო სესხის გაორკველებული ფორმა არის სამთავრობათაშორისი სესხები. ამ დროს საეკონომიკური შეთანხმების საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მთავრობა სესხს აძლევს მეორე სახელმწიფოს მთავრობას.

საბიუჯეტო ხარჯების დასაფარავად უმეტესად გამოიყენება სახელმწიფო სესხი, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო თამასუქების ფორმით. სახაზინო ვალდებულება მოკლევადიანი ობლიგაციის სახით არის, ხოლო სახაზინო თამასუქი სახელმწიფოს საეალო ვალდებულებას, რომლის პროცენტები ჩართულია თამასუქის თანხაში.

სახელმწიფო კრედიტის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირება ხდება საფინანსო-სამართლებრივი ნორმებითან ერთად ადმინისტრაციული სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კრედიტის მარეგულირებელი ნორმები ერთიანობაში კომპლექსურია და აბიტომ იგი შეისწავლება როგორც საფინანსო, ისე სამოქალაქო სამართალშიც.

სახელმწიფო კრედიტის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების არსი ისაა, რომ ეს სახსრები სახელმწიფოს საკუთრება არ არის და მოსახლეობას გარკვეული დროის შემდეგ სარგებელთან ერთად უნდა დაუბრუნდეს. იგი სახელმწიფო ვალს წარმოადგენს.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 1998 წლის 27 მარტიდან ამოქმედდა. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს. ამასთან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით საქართველოს სახელმწიფო ვალი არის საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი გარანტიით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის ჯამური თანხა.

საქართველოს კონსტიტუციის უფლებამოსილებით საქართველოს პარლამენტი ახდენს სხვა სახელმწიფო ვალთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანოებთან ან სხვა სახელმწიფო ორგანოებთან სახელმწიფო საგარეო კრედიტების აღებასთან ან კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების რატიფიკაციას.

საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, ფინანსთა სამინისტროს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით უფლება აქვს: დადოს ხელშეკრულება ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ; საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები; გამოუშვას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივი ხელისუფლებას უფლება აქვთ სესხი აიღონ საქართველოს ხელისუფლებისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით ან მისი ნებართვით.

პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის, საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების ლიმიტებს მოცემული წლისათვის.

სახელმწიფო ვალი დაფარულად ითვლება კრედიტორებისათვის პროცენტების გადახდისა და ძირითადი თანხის დაბრუნებისთანავე.

სამინათო ვალის ფორმბია: *სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკიდან რეზიდენტ დაწესებულებებიდან აღებული კრედიტები; სხვა საკალო ვალდებულებები, რომელიც საქართველოს არეზიდენტთან შეთანხმებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული იქნება.*

საგარეო ვალის ფორმბია: სხვა სახელმწიფოებიდან და სხვა სახელმწიფოების საფინანსო აგენტებიდან, საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და სხვ.

XX საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა განვითარებადი ქვეყნების დავალიანების ზრდა. ამ ქვეყნების საგარეო ვალმა 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ბევრ ქვეყანაში განჩნდა ახალი მწვავე პრობლემა. აღებული სესხები ხმარდება არა ამ ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, არამედ აღებული სესხების დაფარვას.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის, 2002 წლის მდგომარეობით, საქართველომ მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობის მიხედვით „პირველი“ ადგილი დაიკავა და 450 დოლარი შეადგინა (შტატებისათვის – თურქმენეთში 70 დოლარი, სომხეთში 145 დოლარი, მოლდოვაში 186 დოლარი და ა.შ).

ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოიყოფა შესაბამისი თანხები ვადადამდგარი სახელმწიფო ვალის დასაფარად და პროცენტების ასანაზღაურებლად.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2002 წელს გამოიყო სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები 264 მილიონი ლარი, ხოლო 2003 წელს – 227 მილიონი ლარი. ამასთან, 2002 და 2003 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ იქნა 56 მილიონი ლარის სახელმწიფო ვალი.

საბიუჯეტო დეფიციტის ქრონიკული ხასიათის დროს სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას საგარეო ან სამინათო ვალის გადახდაზე. ამჟამად აღიარებული უარის ნიშნავს სახელმწიფოს გაკოტრებას, რის გამოც მიმართავენ სესხის პროცენტების გადახდის შეწყვეტას და თანხის დაუბრუნებლობას.

მსოფლიოში გამოიყენება ვალის მართვის ნეაპოლის პირობები, კიუსტონის პირობები, ბრეიდის გეგმა და სხვ.

ვალის მართვის ამ მექანიზმებით წარმოებს სახელმწიფო ვალის გადავადებისა და მისი დაფარვის პირობების შეცვლის დადგენა.

სახელმწიფო სესხის ანულირება სახელმწიფოს გაკოტრების გარეშეც შეუძლია. ასეთ პირობებში ხდება ყველა სახის ობლიგაციის შეწყობა ან ანულირებული სესხის ნაკელად ახალი სასესხო ვალდებულების გაფორმება. ქვეყანაში, როცა ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად საკმარისი არაა გადასახადები და სესხები, მაშინ წარმოებს ფულის ემისია.

ემისიის უფლება წარმოადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას. იგი სამართლებრივი ნორმებით ადგენს ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვების წესს.

მოსახლეობის დროებით თავისუფალი სახსრების მობილიზაცია ხდება სახელმწიფო კომერციული ბანკის დაწესებულებების მეშვეობით.

შენახველი ბანკების ყველაზე გავრცელებული ოპერაცია არის მოქალაქეთაგან ანაბრების მიღება და გაცემა. ანაბრების მოზიდვა შეზღუდულ ბანკებში წარმოებს ნებაყოფლობის, უკან დაბრუნებისა და ანაზღაურების საწყისებზე. ანაბრების დიდი ოდენობით მოზიდვა ხელს უწყობს ფულადი მიმოქცევის განმტკიცებას. შეანაბრე შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელიც, ასევე სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირი.

შეზღვევლ ბანკებში შეტანილი ანაბრები სხვადასხვა სახისაა: მოთხოვნამდე, ვაღიანი, პირობითი, მომგებიანი და მიმდინარე ანგარიშზე.

მოთხოვნამდე ანაბარი შეზღვევლ ბანკში შეიტანება შენახვის ვადის განუსაზღვრელად. ე.ი. ანაბარი გაიცემა მოთხოვნისამებრ, ნებისმიერ დროს. მოთხოვნამდე ანაბარი არის:

1. სახელობითი – ანუ ანაბარს მიიღებს ის პირი, ვის სახელზედაცაა გაცემული საანაბრო ლოკუმენტი.
2. წარმომადგენლობითი – მისი არის ისაა, რომ ფულს მიიღებს ყველა, ვინც კი საანაბრო ლოკუმენტს წარადგენს.

ვაღიანი ანაბარი – შეიტანება განსაზღვრული ვადით. თუ შენახვით ვაღიანი ანაბარს გაიტანს დაწესებულ ვადაზე ადრე, მაშინ სარგებლის სახით მას დაერიცხება მოთხოვნამდე ანაბრის პროცენტი.

პირობითი ანაბარი შეიტანება ერთი პირის მიერ მეორის სახელზე განსაზღვრული პირობის დადგომის ვადით. შენაბარემ ფულადი სახსრების მისაღებად შეზღვევლ ბანკს უნდა წარუდგინოს პირობის შესრულების ან აღნიშნული გარემოს დადგომის დამადასტურებელი საბუთი.

მომგებიანი ანაბარი ისეთი ანაბარია, რომელზეც შენაბარე იღებს პროცენტებთან ერთად სარგებელსაც. შენაბარეს დანაშოგი შეტანილი აქვს მომგებიან ანაბარზე და ტირაჟი ტარდება პერიოდულად. მოგების ოდენობა განისაზღვრება ანაბრის ოდენობისა და შენახვის ვადით.

ანაბარი მიმდინარე ანგარიშზე შეაქვთ მოქალაქეებს და ცალკეულ ორგანიზაციებს. შენაბარეს ეძლევა საანგარიშო და საჩუკი წიგნაკი და არა შეზღვეული წიგნაკი, როგორც ეს ანაბრის სხვა სახეობის დროს ხდება.

ანაბარი შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს კანონის მიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე. შენაბარეს შეუძლია წერილობითი განკარგულება მისცეს შეზღვევლ ბანკს, სიკვდილის შემთხვევაში, განკარგულებაში მითითებული ნებისმიერ პირზე ან სახელმწიფოზე ანაბრის გაცემის შესახებ, რომელიც დამოწმდება სანოტარო წერილობით. ანაბარი არ შედის სამემკვიდრო მასაში და იგი შენაბარის სიკვდილის შემდეგ გადადის იმ პირის ხელში, ვინც არის საანდერძო განკარგულებაში აღნიშნული. საანდერძო განკარგულების დროს შეზღვევლ ბანკში შეტანილი ანაბარზე არ ვრცელდება საერთო დებულებები მემკვიდრეობის შესახებ. თუ საანდერძო განკარგულებაში მითითებული პირი შენაბარეზე ადრე გარდაიცვალა, მაშინ ანაბარი ჩაირთვება საერთო სამემკვიდრო მასაში და გადავა საერთო წესით მემკვიდრეზე, თუ სხვა განკარგულება არ იქნება გაცემული.

არასრულწლოვანის სახელზე შეტანილ ანაბარს განკარგავს შობილები ან მეურვეები, ხოლო 15 წლის ასაკიდან მათ გარეშე თვითონ განკარგავს არასრულწლოვანი. თუ ანაბარი შეტანილია არასრულწლოვანის მიერ, მისი განკარგვისათვის საჭირო არ არის სხვა პირის თანხმობა.

სახელმწიფო იცავს ანაბრების საიდუმლოებას. ცნობები ანაბრების შესახებ გაიცემა კანონით განსაზღვრულ ორგანოებზე. კერძოდ, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის დროს სასამართლოს ორგანოებზე. სახელმწიფო იცავს შენაბარის ხელშეუხებლობას. შენაბარის ნებართვის გარეშე, მისი ანაბრის თანხების მიმართ ოპერაცია არ მოხდება. გადახვედრება ანაბარზე შეიძლება სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფო კრედიტის ცნება და სახეები;
2. სახელმწიფო ვალისა და ეროვნული ვალის არსი;
3. საშინაო ვალისა და საგარეო ვალის არსი და ფორმები;
4. შეზღვევლი ბანკის არსი და ანაბრების სახეები.

თავი 8

საბაჟო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები

წინამდებარე თავში განხილულია საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, როგორც ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირების მექანიზმი. განხილულია ასევე დღეისათვის მოქმედი ძირითადი ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყანაში საბაჟო საქმიანობას. მოკლედ დახასიათებულია საბაჟო რეჟიმების სახეობანი და მათი არსი, ასევე საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები. მოცემულია საბაჟო გადასახდევების ცნება და საბაჟო გადასახდევების სამართლებრივი საფუძვლები, საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის არსი, საბაჟო შეღავათების ვაჭრელების საფუძვლები და საბაჟო ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და მათი ფუნქციები. განხილულია ასევე სასაზღვრო რეჟიმის ცნება და სასაზღვრო კონტროლის არსი.

1. საბაჟო კანონმდებლობის ცნება. საბაჟო პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები

საქართველოს გეოპოლიტიკურმა პირობებმა უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ადრე ფეოდალურ საქართველოში, საფუძველი ჩაუყარა საბაჟო საქმიანობის განვითარებას. საქართველო წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ხიდს, რომელზედაც გადიოდა დიდი საქარანო, აბრევიუმის გზად ცნობილი შინშენილოანი სატრანსპორტო მაგისტრალი ამ ორ კონტინენტს შორის, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში ჩინეთიდან დაიწყო და ფუნქციონირებდა მე-18 საუკუნის ბოლომდე.

ამ შემართებული საქარანო სატრანსპორტო მაგისტრალის შესახებ ცნობები გადმოცემულია უძველეს ქართულ საისტორიო ძეგლებში. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია "ისტორიანი და აზმანი შარავანდედა" რომლის შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფდა დიდი აბრევიუმის საქარანო გზის სრულყოფას, უცხოელი ვაჭრების ქონებისა და პირადი უსაფრთხოების დაცვას. ამ ფუნქციების შესრულება ეკისრებოდა საცილაღურად შექმნილ რაზმს, რომელსაც ქარავენაში ეწოდებოდა და რომლის მეთაურად განსაკუთრებული დამსახურებისა და გავლენის მქონე პირი ინიშნებოდა. პირველად სიტყვა "ბაჟი" ქართულ ისტორიულ წყაროებში 1072 წელს შოი მღვიმის მონასტრისადმი მუფე გიორგი მეორეს სიგელში მოიხსენიება. აღსანიშნავია ასევე მუფე დავით აღმაშენებლის ანდერძი 1123 წელს შოი მღვიმის მონასტრისადმი, სადაც ასევე ტერმინი ბაჟი მოიხსენიება. საბაჟო გადასახდების შესახებ ცნობები მოიპოვება მუფე ვახტანგ VI კანონთა კრებულში შეტანილ დასტურდამალში, რომელშიც დასახელებულია ხიდის ბაჟი, ტივის ბაჟი, მწვანის ბაჟი და სხვ.

დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე საქართველოში შეიქმნა საბაჟო საშსახური, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა საბაჟო საქმიანობის მოწესრიგებელი კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებას.

1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი "საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოების შესახებ". 1992 წლის 15 თებერვალს მიღებულ იქნა მინისტრობა კაბინეტის დადგენილება "საქართველოს საბაჟო სახელმწიფო კომიტეტის შესახებ", 1992 წლის 21 ოქტომბერს – პირველი საბაჟო კოდექსი და დეკრეტი "საბაჟო ტარიფების შესახებ", 1996 წელს პირველი კანონი საბაჟო გადასახდების შესახებ. ამ ნორმატიულმა აქტებმა ქვეყანაში შექმნეს საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლები. განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებანი და პრობლემები. 1997 წლის 14 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან. 1998 წლის მარტში მიღებულია კანონი საბაჟო ტარიფებისა და გადასახდების შე-

სახებ. 1998 წლის 3 მარტს – კანონი “საბაჟო მოსაკრებლების” შესახებ. ამავე დროს მიღებულ იქნა მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც არეგულირებს საბაჟო საქმიანობას. ამასთან ერთად, ხელმოწერილია მრავალი საერთაშორისო კონვენცია, შეთანხმება და ხელშეკრულება, რომლებიც ასევე არეგულირებს საბაჟო საქმიანობას და ხშირ შემთხვევაში აწესებს შესაბამის ქვეყნებთან საბაჟო შეღავათებს. ამ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ემყარება საქართველოს კონსტიტუციას და შედგება საქართველოს საბაჟო კოდექსისაგან, საქართველოს კანონების “საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ”, “საბაჟო მოსაკრებლების შესახებ”, სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. ამ მუხლის შესაბამისად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაჟო კოდექსს და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებს. წინააღმდეგობის არსებობისას გამოიყენება საბაჟო კოდექსის ან შესაბამისი კანონის დებულებები.

საბაჟო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამასთან ერთად, კანონის მიხედვით საბაჟო ურთიერთობების სფეროში გამოიყენება საბაჟო კანონმდებლობის გამოქვეყნებული აქტები, რომლებიც მოქმედებს საქონლის შესაყურის ან მფლობელის სრულ განკარგულებაში გადაცემის დღისათვის.

კოდექსით აკრძალულია სხვა კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით იმ ურთიერთობათა დარეგულირება, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის პრეროგატივას წარმოადგენს. საბაჟო კანონმდებლობის აქტებს უსუკუვეთი ძალა არა აქვს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საბაჟო კოდექსის პირველი მუხლით დადგენილია, რომ საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ფართო გაგებით საბაჟო პოლიტიკა არის ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტიმულირება, საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება.

ქვეყანაში ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს საბაჟო საქმიანობის ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად საქართველოს მიერ საბაჟო ტერიტორიაზე მოქმედებს ცენტრალური უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ავტორიტეტით უმაღლესი კანონმდებლობის მიღება. კონსტიტუციის 9-4-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, მიღების წესს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. საქართველოს მიერ საბაჟო ტერიტორიაზე მოქმედებს პარლამენტის მიერ მიღებული გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურა, მათი შემოღების წესი დგინდება კანონით საქართველოს პარლამენტის მიერ. საქართველოს მიერ საბაჟო ტერიტორიაზე მოქმედებს საბაჟო კოდექსი, კანონები საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ, საბაჟო მოსაკრებლების შესახებ, საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არ არიან დამოუკიდებლად განსაზღვრონ საბაჟო პოლიტიკის მიმართულებები და განხორციელონ საბაჟო საქმიანობა, ისინი საბაჟო ორგანოებს ადგილებზე უწყვეტ დახმარებას საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებასა და მთლიანად საბაჟო ორგანოების ფუნქციების შესრულებაში.

საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ეს პოლიტიკა დღისათვის ორიენტირებულია საბაზრო ეკონომიკის პროცესების დამკვიდრებაზე, აგრეთვე ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებას თავისუფალი საგარეო ვაჭრობის

განვითარებით, საიმპორტო გადასახადების განაკვეთების რეგულირებითა და სხვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, ატარებს პროტექციონისტურ პოლიტიკას ადგილობრივი წარმოების მიმართ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად.

დღეისათვის ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შიშვნელოვანია საბაჟო საზღვრის დაცვა, გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებების სრული აღრიცხვა და კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახდლების დარიცხვა და ბიუჯეტში შეტანა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს შიდა ბაზრის დაცვას და ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ამ მიმართულებით ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საბაჟო პოლიტიკის შიშვნელოვანი პრინციპი – შიდა ბაზრის დაცვა სრულყოფილად ვერ ხორციელდება. ფაქტობრივად, ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი სათანადოდ არ არის დაცული, შიდა ბაზარზე შემოდინება დიდი რაოდენობით აღურიცხავი და დაუბეგრავი პროდუქტია, რაც ანგრევს ჯანსაღი კონკურენციის პრინციპებს და საგრძობლად ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს. ექსპერტთა გათვლებით დღეისათვის აღურიცხავი პროდუქციის ხვედრითი წილი ძირითადი მოხმარების ცალკეული საქონლის მიხედვით აღწევს დაახლოებით 50-70%-ს.

ამრიგად, საბაჟო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მისი აღსრულების უზრუნველყოფა. რაც ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სტიმულირების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მთლიანად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის, ადგილობრივი წარმოებისათვის პროტექციონისტული პოლიტიკის დაწესების, შიდა ბაზრის დაცვისა და საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელების საფუძველია.

საკონტროლო კითხვები:

1. საბაჟო კანონმდებლობის ცნება;
2. საბაჟო კანონმდებლობის ნორმატიული აქტები (წყაროები);
3. საბაჟო პოლიტიკის არსი;
4. საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები;
5. საბაჟო პოლიტიკის პრინციპები.

2. საბაჟო რეჟიმების სახეობანი და საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები

საბაჟო სამართლის ერთ-ერთ შიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს საბაჟო რეჟიმები. საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ხორციელდება საბაჟო რეჟიმების შესაბამისად. **საბაჟო რეჟიმში არის იმ დებულებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტების კომპლექსურ გამოყენებას საბაჟო საზღვრის გადაკვეთით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებზე გარკვეული სტატუსის მინიჭების მიზნით.**

საბაჟო რეჟიმი განსაზღვრავს ამ რეჟიმისათვის დამახასიათებელი პროცედურების სტანდარტულ ფორმებსა და თანმიმდევრობას, ასევე საბაჟო საზღვრებზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის მოხმარების შესაძლებლობას ან მოხმარების აკრძალვის პირობებს, კონკრეტულ საბაჟო რეჟიმში ყოფნის ხანგრძლივობას,

თითოეული პირის (საქონლის მფლობელის, საბაჟო გადაზიდველის, საბაჟო ბროკერის ან სხვა რწმუნებულის) უფლებებსა და მოთხოვნებს მათ მიმართ.

საბაჟო რეჟიმში საქონლისა და სტრანსპორტო საშუალებების მოქცევა, თავისთავად გულისხმობს საბაჟო პროცედურების ერთობლიობას, რომელიც გამოყენებულია მოცემული საქონლის მიმართ და დადგენილია საქართველოს საზღვარზე საქონლის გადაადგილების მიზნისა და ხასიათის გათვალისწინებით. ძირითადად, საბაჟო პროცედურებში იგულისხმება საბაჟო ორგანოების მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს საზღვრის გადაკვეთი იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან და რომლის გარეშეც დაუმუშავებელია სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილია საბაჟო რეგულირების მიზნით საქონლისა და სტრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო რეჟიმის თხუთმეტი სახეობა:

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);
2. რეიმპორტი;
3. ტრანზიტი;
4. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;
5. უბაჟო ვაჭრობა;
6. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;
7. გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ;
8. ღრობითი შემოტანა დასან გატანა;
9. თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და გამოყენება;
10. თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და გამოყენება;
11. გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;
12. ექსპორტი;
13. რეექსპორტი;
14. განადგურება;
15. უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

კანონი ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი ან შეიცვალოს იგი მეორით, საქონლის ან სტრანსპორტო საშუალებების ხასიათის, რაოდენობის, მწარმოებელი ან დანიშნულების ქვეყნის მოუხდევად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საბაჟო კოდექსითა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

– საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მუდმივად დატოვებას ამ ტერიტორიაზე, მისი გადატანის ვალდებულების გარეშე.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) ითვალისწინებს:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელების გადახდას;
- ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვას.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შემოტანილი ანუ იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახდელებით დაბეგრვას, რომელიც ერიცხება საქონლის საბაჟო ღირებულებას. საბაჟო ღირებულებაში კი შედის საქონლის ტრანსპორტირების ღირებულების ხარჯი, დაზღვევის თანხის, შეფუთვის, მარკირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის გაწეული ხარჯების ჯამი. საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშებისას, ამ ნაკრები თანხების ჯამს ერიცხება საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო მომსახურებისათვის, რომელიც "საბაჟო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შეადგენს საბაჟო ღირებულების

0.15 პროცენტს. შემდეგ ამ თანხის ჯამს ერიცხება საბაჟო გადასახადი, რომელიც იმპორტირებული საქონლის სახეობების მიხედვით "საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შეადგენს 2-დან 30 პროცენტამდე. ამ ნაზარდ ჯამს აქციზური საქონლის შემთხვევაში ერიცხება აქციზის გადასახადი საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთებით აქციზური საქონლის სახეობების მიხედვით. ბოლოს კი საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთებით ნაზარდ ჯამს ერიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი, საქონლის სახეობის მიხედვით.

სხვა დანარჩენ საბაჟო რეჟიმებზე ერიცხება საბაჟო მოსაკრებელი საბაჟო მომსახურებისათვის, ან სატრანზიტო მოსაკრებელი, რომლის ოდენობა განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებების სახეობისა და საბაჟო-სატვირთო დეკლარაციის რაოდენობის შესაბამისად. ასევე გადაიხდებიან სალიცენზიო და სანე-ბართო მოსაკრებელი საბაჟო რეჟიმების შესაბამისად. ცალკეულ საბაჟო რეჟიმებში მოთავსებულ საქონელზე ასევე გათვალისწინებულია საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო პოლისის წარდგენა იმპორტის გადასახდლების ოდენობის შესაბამისად.

– საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გატანილი სამამულო საქონლის უკან შემოტანას დადგენილ ვადებში, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

კანონის შესაბამისად რეიმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისათვის დადგენილია შემდეგი პირობები:

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს გატანის მომენტ-დან არა უგვიანეს სამი წლისა;
- შემოტანილი საქონელი ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, როგორც გატანის მომენტში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლითი, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

– საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების უცხო სახელმწიფოთა (ან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს) შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მიმოქცევისათვის განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

- დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლითი, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით და არ უნდა გამოიყენებოდეს რაიმე სხვა მიზნით, ტრანზიტის გარდა;
- მიწოდოს გასასვლელ საბაჟო ორგანოს შემოსასვლელი საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებლობების, დასახული მარშრუტისა და გადახდის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უშუტეს ათი დღისა.

– საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოში შემოტანილი ან საქართველოდან გასატანი საქონლის შენახვას საბაჟო კონტროლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში ან საქართველოდან გატანა აკრძალულია. საქონელი, რომელიც მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში. საბაჟო საწყობში საქონელი შენახვის რეჟიმში შეიძლება ინახებოდეს ერთ წლამდე ვადით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში. საქონლის შესანახად გამოიყენება სპეციალურად მოწყობილი სათავსოები – საბაჟო საწყობები. საბაჟო საწყობები შეიძლება იყოს ღია, რომელიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირობისათვის და დახურუ-

ლი, რომელიც გათვალისწინებულია განსაზღვრულ პირთა საქონლის შესანახად. საბაჟო საწყობების მფლობელები შეიძლება იყვნენ საბაჟო ორგანოები ან საქართველოს ფიზიკური დასან იურიდიული პირები.

– უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გაყიდვას საცალო ვაჭრობის ობიექტებში საბაჟო კონტროლის ქვეშ, საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებში (აეროპორტებში, ნავსადგურებსა და სხვა ადგილებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის), საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენებლად.

უბაჟო ვაჭრობის რეჟიმით შეიძლება გაყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია. საქონელი, რომლის გაყიდვაც საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია, შეიძლება გაიყიდოს უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის რეჟიმით მხოლოდ იმ პირობით, თუ დატული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტი შეუძლია დააარსოს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის უფლების მქონე პირმა.

– საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით გადასამუშავებლად, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოყენებლად და გადამუშავების შედეგად მიღებული საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობით.

საქონლის გადამუშავების ოპერაციები მოიცავს:

- საქონლის დამზადებას (დამუშავებას, გადამუშავებას), მათ შორის მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას;
- საქონლის შეკეთებას, კერძოდ, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას;
- იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მიიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება ზორციელდება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ლიცენზიით. ლიცენზია მიეცემა საქართველოს ფიზიკურ ან იურადიულ პირს იმ პირობით, თუ:

- შესაძლებელია შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტების იდენტიფიკაცია;
- გადამუშავება იძლევა საქართველოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის საშუალებას;
- შესრულებულია საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მოთხოვნები.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის საცალოდ გადამსავლანობის ნორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების მიერ ერთობლივად დადგენილი წესით.

– საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით უცხოური საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებას და ამ გადამუშავების შედეგად მიღებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევის.

საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისა და საქონლის წარმოების ქვეყნის განსაზღვრის წესების დაცვისათვის თავის აპარატურად. შემთხვევები, როდესაც საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენება დაუშვებელია, განისაზღვრება კანონმდებლობით.

– თავისუფალ საბაჟო ზონას და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა დასან, გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას დასან გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში ან სათავსებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამშალო საქონლის მოთავსებას დასან გამოყენებას – ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით.

თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების შექმნა და მათში საქონლის განთავსებისა დასან გამოყენების პირობები, აგრეთვე თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი საბაჟო რეჟიმი რეგულირდება კანონმდებლობით.

– საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საქონლის გატანასა და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად მისი გადამუშავების შემდეგ მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელუბის დაბრუნება ან საბაჟო გადასახდელუბისაგან განთავისუფლება;
- თუ საქონელი გატანამდე გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტის) საბაჟო გადასახდელუბისაგან სრული განთავისუფლებით;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება ხდება საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ:

- გადამუშავების პროდუქტების საქართველოში შემოტანისას შესაძლებელია იმის დადგენა, რომ ისინი ნამდვილად მიღებულია გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება ზიანს არ აყენებს საქართველოს ეკონომიკის ინტერესებს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონელი უნდა გადამუშავდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, ვადების დადგენა უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავების პროცესის კონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას.

– საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე. ექსპორტის საბაჟო რეჟიმი საქონლის გაშვებისას საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლილებით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დაზარალებით.

საქართველოს საგადასახდლო კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოცემული საქონელი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

– საქონლის რეექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

საქონლის რეექსპორტი დაიშვება საბაჟო ორგანოს ნებართვით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. საბაჟო კოდექსი ადგენს საქონლის რეექსპორტის პირობებს:

- საქონელი, რომლის შემოტანაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განცხადებულ იქნა რეექსპორტისათვის, გატარდა უნდა იქნეს ამ ტერიტორიიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა მასზე დეკლარაციის მიღების დღიდან. აღდგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, საქონელი ვაინახილება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულად.
- რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას იმავე მდგომარეობაში უნდა იყოს, როგორშიც იყო შემოტანის მომენტში, გარდა საქონლის მდგომარეობის იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლილებებით, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

– საქონლის განადგურების საბაჟო რეჟიმში ნიშნავს უცხოური საქონლის განადგურებას საბაჟოს კონტროლით, მათ შორის მის გამოსაყენებლად უკარგის მდგომარეობაში მოყვანას, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოყენებლად. საქონლის განადგურების ნებადართვას იძლევა საბაჟო ორგანო შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო რეჟიმში, როგორც საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული უცხოური საქონელი.

– სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმში ნიშნავს პირის მიერ საქონელზე შესაკუთრის ან მფლობელის უფლებებზე უარის თქმას, მის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოყენებლად.

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა არ იწვევს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით ხდება მათ მიმართ გამოყენებული საბაჟო რეჟიმების მიხედვით. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთით სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც საბაჟო საზღვარს გადაკვეთს როგორც საქონელი, განლაგდება საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოები ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებათა იძულებით გაჩერებას.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა გულისხმობს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების შემოტანას ან ამ ტერიტორიიდან მათ გატანას, მათ შორის ვაგზავენას საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით, მილსადენით და ელექტროგადაცემი ხაზების გამოყენებით.

ამ საკითხის სრულად გარკვევის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიისა და საბაჟო საზღვრის განხილვა. საბაჟო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიას შეადგენს საქართველოს სახმელეთო ტერიტორია, ტერიტორიული და შიდა წყლები და მათი საპაეო სივრცე. საქართველოს საბაჟო ტერიტორია მოიცავს, აგრეთვე, განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში შექმნილ ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნავთობების ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია. საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება იყოს თავისუფალი საბაჟო ზონები და თავისუფალი საწყობები, რომელთა ტერიტორიები განიხილება, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებული. თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიებზე მოქმედებს საბაჟო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლები, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები შეადგენს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

საბაჟო კოდექსის მე-8 მუხლი ადგენს, რომ ყველა პირს აქვს თანაბარი უფლება საქართველოში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისა და გატანის ნებისმიერი, მათ შორის, კომერციული მიზნით. ეს არის საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით მოქალაქეებზე მინიჭებული უფლება, თავისუფლად გადაადგილდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ და

დაბრუნდნენ უკან. იგივე მუხლი ადგენს, რომ არავის არ შეუძლია ჩაერიოს ან შეზღუდოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და გატანის უფლება, რაც ნიშნავს, რომ საბაჟო კოდექსი კრძალავს თვითნებობას, კანონის გარეშე საბაჟო მოზღვევს ეკრძალება ხელყოს პირის უფლება, შემოიტანოს ან გაიტანოს საქართველოდან ნებისმიერი საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

საბაჟო კოდექსი ადგენს, რომ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო ორგანოს სამუშაო დროს დაიშვება იმ ადგილებში, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სხვა ადგილებში ან საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა დასაშვებია საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

საკონტროლო კითხვები:

1. საბაჟო რეჟიმების ცნება;
2. საბაჟო რეჟიმების სახეობანი და მათი არსი;
3. საბაჟო საზღვრისა და საბაჟო ტერიტორიის ცნება;
4. საბაჟო საზღვრის გადაკვეთის არსი;
5. საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დრო და ადგილი.

3. საბაჟო გადასახდელების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საბაჟო კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილია, რომ საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლიდან მოხსნისა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში გადასახდებებსა და საბაჟო გადასახდელებს – გადასახადები და მოსაკრებლები. კანონით დაწესებულია საბაჟო, დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადები, ასევე საბაჟო მოსაკრებლები- საბაჟო პროცედურებისა და ლიცენზიის გაცემისათვის.)

“საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ” საქართველოს კანონი ადგენს საქართველოს საბაჟო ტარიფის, როგორც საქართველოს შიდა სასაქონლო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმის, ფორმირებისა და გამოყენების წესს, აგრეთვე საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგრის წესს. აღნიშნულიდან გამომდინარე “საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულია ამ კანონის საგანი, გამოყენების სფერო და საბაჟო ტარიფის რეგულირების მიზნები, საქართველოს საბაჟო ტარიფის, როგორც შიდა სასაქონლო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმის ფორმულირებისა და გამოყენების წესი, აგრეთვე საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგრის მექანიზმი. კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე.

ამ კანონის მიზნებია: ა) საქართველოში საქონლის შემოტანის სტრუქტურის რაციონალიზაცია; ბ) საქართველოში საქონლის შემოტანისა და გატანის, სავალუტო შემოსავლისა და გასავლის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა; გ) საქართველოში საქონლის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაში პროგრესული ცვლილებებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; დ) საქარველოს ეკონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან; ე) მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაციის პირობების უზრუნველყოფა.)

საქართველოში საქონლის შემოტანის სტრუქტურის რაციონალიზაცია ნიშნავს საბაჟო გადასახადის შემცირებას ან საერთოდ გადასახადისგან გათავისუფლებას ისეთ საქონელზე, რომლის იმპორტირება აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, ამავე დროს მაღალი გადასახადი უნდა შენარჩუნდეს იმ საქონელზე, რომელსაც შეუძლია კონკურენტია გაუწიოს სამამულო საქონლის მომხმარებლებს.

როგორც აღვნიშნეთ, კანონის მიზნად დასახულია საქართველოში საქონლის შემოტანისა და გატანის, საეკონომიკური შემოსავლისა და გადასახადების ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა. ქვეყანაში ექსპორტისა და იმპორტის ბალანსის რაციონალური თანაფარდობა დიდ გავლენას ახდენს ფისკალური პოლიტიკის განხორციელებაზე. ამასთან ერთად, საბაჟო გადასახადების რეგულირება ხელს უწყობს საქონლის წარმოებისა და გამოყენების სტრუქტურაში პროგრესული პოლიტიკის განხორციელებას. ამ მიზნით საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რომელიც უნდა წარმოადგინოს სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერით, უახლესი ტექნოლოგიების იმპორტზე დაბალი საბაჟო გადასახადების დაწესებით, საექსპორტო პროდუქციის დასაშვადებლად შემოტანილი ნედლეულის გადასახადისაგან სრული გათავისუფლებით. აღსანიშნავია, რომ "საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, საექსპორტო პროდუქციის დასაშვადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტზე, ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისა და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ამავე დროს, საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, რაც მიუთითებს, რომ საექსპორტო პროდუქციის დამზადებისას გადახდილი დამატებული ღირებულებისა და აქტიური საქონლის შემთხვევაში აქტივის გადასახადი უბრუნდება ამ საქონლის მწარმოებელ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, ან ჩათვლება მომავალ გადასახადებში.

კანონის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არასასურველი ზემოქმედებისაგან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეისათვის მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია ერთგვაროვანი საქონლის მიმწოდებელთა დიდი ოდენობით. ბევრი მათგანი ტექნიკური პარამეტრებითა და ხარისხით, უკეთესია და ამავე დროს მათ დასაშვადებლად გაწეული დანახარჯები გაცილებით მცირეა სამამულო წარმოების ანალოგიურ საქონელთან შედარებით. ყოველივე ეს კი საფუძველია მაღალი დონის კონკურენციის შესაქმნელად, რომელიც უნდა დარეგულირდეს მსოფლიო და შიდა ბაზრის ფასების შეთანხმებით. ფასების რეგულირების მექანიზმად ამ შემთხვევაში გამოიყენება საბაჟო ტარიფის რეგულირება, რაც გამოიხატება ადგილობრივი წარმოების წახალისებით დაბალი გადასახადებითა და ანალოგიურ იმპორტირებულ საქონელზე შედარებით მაღალი გადასახადების დაწესებით და არა აკრძალვით და სხვა რადიკალური ზომების გამოყენებით. ცალკეული საქონლის იმპორტის სრული შეფერხებით გარდაუვალია შიდა ბაზარზე დეფიციტის შექმნა და შესაბამისად ფასების გაზრდა. მეორე უკიდურესობაა საქონლის ჭარბი იმპორტირება, რომელიც აფერხებს სამამულო წარმოების განვითარებას და არღვევს შიდა საეკონომიკურ ბაზარს.

საქართველოს ეკონომიკის დაცვის ღონისძიებების გატარება შიდა ფაქტორების არასასურველი ზემოქმედებისაგან ემსახურება გლობალურ მიზანს – საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მთლიანობაში ქვეყნის მყარი და დამოუკიდებელი ეკონომიკური საფუძვლის შექმნას, რომელიც გარანტიას იძლევა საქმარისი დონის სოციალური, პოლიტიკური და თავდაცვის არსებობისა და საქართველოს პროგრესული განვითარებისათვის.

საბაჟო ტარიფის კიდევ ერთი ამოცანაა შექმნას პირობები და უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის ეფექტური ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ეს ამოცანა არა მარტო სატარიფოა, არამედ საბაჟო პოლიტიკის მიზანსაც წარმოადგენს.

კანონი განმარტავს საბაჟო ტარიფს, როგორც საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებულ ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და/ან ამ ტერი-

ტორიდან გატანილი საქონლის მიმართ, მისი საცალო ღირებულების შემცირების ან გაზრდის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური და/ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კანონის შესაბამისად, საბაჟო გადასახადი არის [სახელმწიფო ბიუჯეტში საცალოდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის. საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები: ა) ჩვეულებრივი; ბ) სეზონური და გ) განსაკუთრებული.

ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი არის მუდმივმოქმედი გადასახადი, რომლის მოქმედებაც დროებით ჩერდება სეზონური და განსაკუთრებული გადასახადების გამოყენების პერიოდში. სეზონური საბაჟო გადასახადი არის დროის გარკვეული პერიოდისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის და/ან ამ ტერიტორიიდან გატანის რეგულირება მისი წარმოების და მოხმარების სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, სეზონური საბაჟო გადასახადის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში ექვს თვეს.

განსაკუთრებული საბაჟო გადასახადია, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც დაკეითი და სასუსხო ღონისძიება იმ სახელმწიფოთა ან პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის და/ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს.

საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები:

- ა) სპეციალური; ბ) ანტიდემპინგური; გ) საკომპენსაციო.

სპეციალური საბაჟო გადასახადები გამოიყენება, როგორც:

- დაკეითი ღონისძიება, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება იმ ოდენობითა და ისეთი პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს;
- სასუსხო ღონისძიება დისკრიმინაციული ან მსგავსი ქმედებისათვის სხვა სახელმწიფოების ან მათი კავშირების მხრიდან, რომელიც ლახავს საქართველოს ინტერესებს;
- დაკეითი ღონისძიება განსაკუთრებულ შემთხვევაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობის ექსპორტის დროებითი შეზღუდვის მიზნით.

ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება მის რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოს მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას და/ან გაფართოებას.

საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი იმ საქონლის მიმართ, რომლის წარმოების ან შემოტანის დროს გამოიყენებულ იქნა პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდიები და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას და/ან გაფართოებას.

კანონი განსაზღვრავს, რომ საბაჟო გადასახადის გადამხდლები არიან პირები, რომლებიც საქონლით გადაკეთებულ საქართველოს საბაჟო საზღვარს. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკეთის საქართველოს საბაჟო საზღვარს. საქონლის საბაჟო ღირებულება კი არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკეთისას საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაინაზრებულია საბაჟო გადასახადი. იგი მოიცავს გარიგების ფასს საქონლის შექმნისას, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკეთის პუნქტამდე მისი ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, საკომისიო და საბროკერო მომსახურების ზარებას, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისათვის შეოდველის მიერ პირდაპირ და არაპირდაპირ გადახდილ სალიცენზიო და სხვა გადასახადებს. კანონით დადგენილია საბაჟო გადასახადის განაკვეთები სხვადასხვა საქონელზე 2-დან 30 პროცენტამდე.

ამასთან ერთად, კანონით საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებულია:

1. საქონლის ექსპორტი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადისა;
2. საქონლის რეექსპორტი. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადახდებიან გადასახადი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დატოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;
3. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;
4. იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას; საქონლის საბაჟო საწყობებიდან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, ამ საქონლის დაბეგრვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახადებით;
5. საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე კუმანტარული დახმარების მიზნით;
6. საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ზელშეკრულებით გრანტების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;
7. საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოთა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით. ამ გრანტის ელემენტს კი განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით, კრედიტის ფარგლებში გადასახდელთა დისკონტრირების გზით დისკონტის განაკვეთიდან გამოზღვრავს, კრედიტის პირობების შესაბამისად;
8. საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი, აგრეთვე პირადი მოხმარების სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომელიც განკუთვნილია “ნაეთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაეთობისა და დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის;
9. საქონლის დროებით შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე; -
10. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი, ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. ამ ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადახდებიან საბაჟო გადასახადი ან დატოვება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;
11. ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 300 ლარამდე ღირებულების საქონელი, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის № 273-III-ს დადგენილების განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად;
12. ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის. რენტგენის ფირების,

- ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების იმპორტი;
13. ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი;
 14. 16 დასახელების ფარმაცეპტული პროდუქციის იმპორტი საქართველოს ფინანსთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებისა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ჩამონათვალის შესაბამისად;
 15. საერთაშორისო საპაერო რეისების განსაზოციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, სააოზი და სხვა დამზარეული საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქონლის შემოტანისას გადაიხდებინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ საბაჟო გარანტიას, ზოლო საერთაშორისო საპაერო რეისების განსაზოციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება საბაჟო გარანტია;
 16. “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;
 17. საქართველოს სახელმწიფო აღმით მცურავი ვეშები;
 18. საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;
 19. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიე დისტილატები;
 20. ალაოს იმპორტი.

“საბაჟო მოსაკრებლების შესახებ” 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონის შესაბამისად, საბაჟო მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საკვალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდებენებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განსოციელებული საკვალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის და ლიცენზიების გაცემისათვის.

კანონის შესაბამისად საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებია: საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის: ა) საავტომობილო ტრანსპორტით – ერთ დეკლარაციაზე 100 ლარი; ბ) რკინიგზის ტრანსპორტით – ერთ დეკლარაციაზე 200 ლარი; გ) საზღვაო ტრანსპორტით – ერთ დეკლარაციაზე 300 ლარი; საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისათვის და/ან ამ ტერიტორიიდან მისი დროებით გატანისათვის: ა) 10000 კოლოგრამზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 1 თეთრი; ბ) 10000 კილოგრამზე მეტი წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 100 ლარიდან დამატებითი 0,3 თეთრი; გ) საგაბოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე – 2,5 თეთრი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოსაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის – ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე 10 ლარი;

კანონით ასევე დადგენილია საბაჟო მოსაკრებლების გადახდა საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზიების გაცემისათვის: ა) საბაჟო საწყობის შექმნის ლიცენზიის გაცემისათვის, საერთო მოხმარების შემდეგი ფართობის საბაჟო საწყობზე: 1000 კვ.მ-დან – 5000 ლარი; 1000 კვ.მ-დან 2000 კვ.მ-მდე – 10000 ლარი; 2000 კვ.მ-ზე მეტი – 15000 ლარი; ბ) უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის შექმნის ლიცენზიის გაცემისათვის – 1000 ლარი; გ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადადამუშავების ლიცენზიის გაცემისათვის 1000 ლარი; დ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადადამუშავების ლიცენზიის გაცემისათვის – 2000 ლარი; ე) საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადადამუშავების ლიცენზიის გაცემისათვის – 1000 ლარი; საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის გაცემისათვის – 1000 ლარი; საბაჟო გადაზიდვების საქმიანობის ლიცენზიის გაცემისათვის – 1000 ლარი.

საკონტროლო კითხვები:

1. “საბაჟო ტარიფისა და გადასახადების შესახებ” საქართველოს კანონის მიზნები;
2. ამ კანონით დადგენილი გადასახადის სახეები;
3. საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება;
4. საბაჟო მოსაკრებელის ცნება და საბაჟო მოსაკრებელისაგან გათავისუფლება.

4. საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის არსი

საბაჟო კოდექსითა და საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტებით, საქონლითა და სტრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან (ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შემთხვევაში კი საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაციის წარდგენიდან) ზორციელდება საბაჟო კონტროლი ამ კონკრეტული საბაჟო რეჟიმის დასრულებამდე. საქონლისა და სტრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლზე აყვანა და შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევა ზორციელდება საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. საბაჟო ორგანოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეცაა ზორციელდება საბაჟო გაფორმება, საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარდგინება საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ცნობები, რომელთა ნუსხა საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის დამტკიცებულია 2001 წლის 17 აპრილს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ამ ნუსხის შესაბამისად საქონლის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო სატვირთო დეკლარაციასთან შესაბამის საბაჟო ორგანოს წარდგინება შემდეგი საბუთები და ცნობები:

- დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს დეკლარანტის ანუ საქონლის და/ან სტრანსპორტო საშუალებების მფლობელის, საბაჟო გადამზიდველის, საბაჟო ბროკერის ან მათ მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით რწმუნებით (მინდობილობით) აღჭურვილი პირის უფლებამოსილებას წარადგინოს საბაჟო სატვირთო დეკლარაცია;
- სტრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს საქონლის გადაადგილების ფაქტს. ასეთ დოკუმენტად ჩათვლება სასაქონლო სტრანსპორტო ზედღებულის, საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში TIR წიგნაკები, საბაჟო გადამზიდველთან გაფორმებული ხელშეკრულება და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვის ნებათაუკმე;
- საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტი (ხელშეკრულება) ან მისი შემცველი დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტაციაა საქონლის შექმნის ანგარიშ-ფაქტურა, ქვითარი და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინვოისი ანუ ანგარიშ-ფაქტურა ტვირთის სახეობის, რაოდენობისა და ფასის შესახებ;
- გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის დამადასტურებელი საბუთი (გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი). საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ტერიტორიულ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციაში გატარდეს გადასახადის გადამხდელად. აღნიშნულ შესაბამის საიდენტიფიკაციო ნომერი და ელფეა გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი;
- შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი. აღნიშნულ სერტიფიკატს გასცემს საეაჭრო-სამრეწველო პალატები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის დაშვებას სრულად ან როდესაც საქონელი მზადდება რამდენიმე ქვეყანაში ან არსებით მის ტრანსფორმაციას კონკრეტულ ქვეყანაში. ცალკეულ შემთხვევაში საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად, იმპორტირებული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. კონკრეტულად იმ ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონელი, რომლებთანაც საქართველოს დადებული აქვს სამთავრობო ხელშეკრულებები “თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, რომლებიც რატიფიცირებულია პარ-

ლამენტის მიერ (რუსეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა) და თუ განკუთვნილია ერთ-ერთი ზღმშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მოსახმარებლად, თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან;

- საეაღდებულო სერტიფიკაციის დაქვემდებარებულ საქონელზე – შესაბამისი სერტიფიკატი. კონონდებლობა ითვალისწინებს კვების პროდუქტებზე ჰიგიენური ანუ ვარგისიანობის სერტიფიკატისა და სხვა საქონელზე შესაბამისობის ანუ ხარისხის სერტიფიკატის გაცემას;
- თუ საქონლის ექსპორტი ან იმპორტი ექვემდებარება ლიცენზირებას, უნდა წარედგინოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია. დღეისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ხის მასალის ექსპორტზე ლიცენზირებას, მედიკამენტებით იმპორტზე ლიცენზირებას, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტზე ლიცენზირებას და ა. შ. გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა. ცალკეული სახეობის პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტზე დაწესებული დამატებითი შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ნებაართებები, სერტიფიკატები, სპეციალური საბაჟო სატვირთო დეკლარაციები და სხვა წერილობითი თანხმობები.

საბაჟო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, საბაჟო გაფორმება არის გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარება საქონლისა და/ან სტრანსპორტო საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დამთავრების მიზნით კოდექსით დადგენილი საბაჟო გაფორმების დრო და ადგილი. საბაჟო გაფორმება, როგორც წესი, წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას – საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც იმყოფებიან საქონლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფი. დაინტერესებულ პირთა თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს განცხადებაში მითითებულ ადგილზე და/ან საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც. ამასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს დაადგინოს, რომ ცალკეული კატეგორიის საქონლისა და სტრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება განახორციელონ მხოლოდ განსაზღვრულმა საბაჟო ორგანოებმა. ამ მიზნით საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში შექმნილია „რკინიგზის“ და „ენერჯეტიკული“ რეგონალური საბაჟოები.

საბაჟო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, საქონლითა და სტრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, აგრეთვე საბაჟო რეჟიმის შეცვლისას, საქონელი და სტრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებას. დეკლარაციაში შეიტანება ზუსტი ცნობები საქონლისა და სტრანსპორტო საშუალებების, მათი საბაჟო რეჟიმის შესახებ და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო სხვა მონაცემებს.

საქონლისა და სტრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის დადგენილია და გამოიყენება შემდეგი სახის დეკლარაციები:

- სატვირთო საბაჟო დეკლარაცია, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების ჩატარების მიზნით;
- ფიზიკური პირის დეკლარაცია საბაჟო ორგანოს წარედგინება იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას გააჩნია დეკლარირებას დაქვემდებარებული პირადი საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები;
- საფოსტო გზავნილების დეკლარაცია, რომელიც იესება საქართველოდან საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით გასაგზავნ საქონელზე;
- სპეციალური საბაჟო-სატვირთო დეკლარაცია, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოს ნავთობპროდუქტებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთაზე.

საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლით გადაკვეთის მომენტი-სათვის, ამ საქონლისა და/ან სტრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციები: საქონლის ტრანსპორ-

ტირება, რაოდენობის განსაზღვრა, საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინსპექტირების უზრუნველყოფა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა და ხელახალი შეფუთვა. საწყობის მფლობელი ასევე ვალდებულია გააღოს სათავსები, საცაგები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება მოთავსებული იყოს საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა ოპერაციები ხორციელდება შესაკუთრის ხარჯით და მათ არ უნდა გამოიწვიონ ამ მიზნით სახელმწიფოს მხრივ რაიმე დანახარჯი.

საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება საბაჟო გაფორმების შემდეგი პროცედურები:

- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა, მათი დათვალიერება და საბაჟო შემოწმება;
- საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება;
- საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების ამაღასტრუქტურული დოკუმენტების შემოწმება;
- გადასახდელების გამოანგარიშება და გადახდევინება;
- საბაჟოსათვის ფინანსური გარანტიების წარდგენა;
- საქონლის გაშვება.

საბაჟო ორგანოები ასორციელებენ საქონლის საბაჟო დათვალიერებას, ამოწმებენ საქონლის დასახელების, წარმოშობის, მდგომარეობის, რაოდენობის, ღირებულების შესაბამისობას წარმოდგენილი დეკლარაციის მონაცემებთან. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაღვილებულ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს საქონლის საბაჟო დათვალიერებას და შემოწმებას. საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ საბაჟო ტერიტორიაზე შემოსული, საბაჟო ტერიტორიაზე არსებული და ტერიტორიიდან გამოსვლილი სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე მოახდინონ მათი საბაჟო დათვალიერება.

ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკეობისა და საბაჟო კონტროლის ზონაში ყოფნისას საბაჟო ორგანოს მუშაკს უფლება აქვს მოსთხოვოს მას პირადი ნივთების წარდგენა საბაჟო დათვალიერებისათვის და დაათვალიეროს ისინი. შესაძრეველი ფიზიკური პირი ვალდებულია საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს დაეხმაროს თავისი ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებაში, გახსნას თავისი ბარგი მისი მითითებით. ფიზიკური პირის ნივთების საბაჟო დათვალიერება ხორციელდება მფლობელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. თუ საგნების მფლობელი არ იქნება დადგენილი, ან თუ იგი უარს აცხადებს საბაჟო დათვალიერებაზე დასასწრებად, პირადი ნივთები შეიძლება დათვალიერებულ იქნეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაჟო გაფორმების მიზნით საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ აიღონ საქონლის სინჯები და ნიმუშები და ჩაატარონ მათი გამოკვლევა (ექსპერტიზა). საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სინჯები და ნიმუშები, კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანოს ნებაართვით შეუძლიათ აიღონ აგრეთვე საქონლის მფლობელებმა ან მათმა წარმომადგენლებმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საქმიანისა მათ გამოსაკვლევად. სინჯებისა და ნიმუშების აღების შესახებ დგება დადგენილი ფორმის ოქმი.

საქონლის შესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ საბაჟო ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ესწრებიან სახელმწიფო კონტროლის სხვა

ორგანოების, აგრეთვე საქონლის მესაკუთრის, მფლობელისა და სხვა უფლებამოსილი პირების მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. აღნიშნული პირები და მათი წარმომადგენლები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღებაში, კერძოდ, თავიანთ ხარჯზე განახორციელონ სატვირთო და სხვა ოპერაციები, რომლებიც საჭიროა სინჯებისა და ნიმუშების ასაღებად. საქონლის მესაკუთრეთა, მფლობელთა და სხვა უფლებამოსილი პირთა დაუსწრებლად საქონლის სინჯები და ნიმუშები საბაჟო ორგანოებმა შეიძლება აიღონ საქონლის წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში; სხვა გადაუდებელი გარემოებების დროს სინჯებისა და ნიმუშების აღებას ესწრება ორი მოწმე, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი გამოკვლევის შედეგებით. საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს და სხვა უფლებამოსილი პირებს უფლება აქვთ გაეცნონ საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის შედეგებს. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების მიერ აღებული საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის შედეგები უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოებს. საბაჟო ორგანოები არ უნაზღაურებენ საქონლის მესაკუთრეს იმ ზიანს, რომელიც დაკავშირებულია სინჯებისა და ნიმუშების აღებასთან. სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევისას საბაჟო ორგანოების და საბაჟო ლაბორატორიების ხარჯებს საქონლის მესაკუთრე არ ანაზღაურებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი გამოკვლევა ეწყება აღნიშნული პირის ინიციატივით.

საბაჟო გაფორმება მთავრდება საქონლის გაშვებით, რის შედეგადაც საქონელი გადადის მფლობელის სრულ განკარგულებაში. საბაჟო დათვალიერება საფოსტო გზაწინილებისა, რომლებშიც მოთავსებულია უცხო სახელმწიფოდან შემოსული საქონელი, ხდება კავშირგაბმულობის საწარმოებში გზაწინილის მიმდებარისათვის გადაეცემაღვე. უცხო სახელმწიფოში გასაცავადი საფოსტო გზაწინილების საბაჟო დათვალიერება ხდება კავშირგაბმულობის საწარმოებში მიღების შემდეგ ან მიღებისას.

საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირნი ახორციელებენ საბაჟო კონტროლს, რაც ითვალისწინებს:

- საბაჟო მიზნებისათვის საჭირო ღირებულებებისა და ცნობების შემოწმებას;
- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო შემოწმებას;
- პირად გასინჯვას;
- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას;
- ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას;
- აღრიცხვისა და ანგარიშების შემოწმებას;
- დროებითი შენახვის საწყობების ტერიტორიისა და სათავსოების, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და უბაჟო ვაჭრობის მალაზიებისა და სხვა ადგილების დათვალიერებას, სადაც შეიძლება ინახებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ანდა ზორციელდება საქმიანობა, რომლის კონტროლიც ევალება საბაჟო ორგანოებს;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის სხვა სახეებს.

საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განისაზღვრება კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთისას საბაჟო კონტროლთან კოორდინაციაში ზორციელდება სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ტექნიკური სტანდარტებისა და შესაბამისობისა და ზარისხის კონტროლი, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

აღნიშნულ ორგანოთა შესაბამისი სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციონირებენ საბაჟო კონტროლის ზონაში. საბაჟო კონტროლის ზონაში ამ სამსახურების საქმიანობას კოორდინაციის უწყვეს საბაჟო დეპარტამენტი. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება შეიძლე-

ბა დამთავრდეს მხოლოდ ყველა შესაბამისი სახის სახელმწიფო კონტროლის დამთავრებისა და გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ.

საქონლია და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ხორციელდება სრული ან შერჩევითი შემოწმება. საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საბაჟო ორგანოები იყენებენ ისეთ მეთოდებს, როლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დაცვას. საბაჟო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს იმ ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც არაერთარ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ცხოველებსა და მცენარეულობას და არ აზიანებს საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს.

საკონტროლო კითხვები:

1. საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა;
2. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება და დეკლარაციის სახეები;
3. საბაჟო გაფორმების პროცედურები;
4. საბაჟო კონტროლის არსი.

5. საბაჟო შეღავათები

საბაჟო შეღავათები ნიშნავს მოქმედი კანონმდებლობით გარკვეული ფიზიკური და იურიდიული პირების განთავისუფლებას საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გადასახდელებისაგან მილიანად ან ნაწილობრივ.

უძველესი დროიდან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობას. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს სხვა სახელმწიფოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარგზავნილებს შეუქმნას ნორმალური პირობები თავისი ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ ეს გარემოება გახდა ვენის 1961 წლის "დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" კონვენციის (საქართველო შეუერთდა 1993 წლის 13 მაისს) და ვენის 1963 წლის კონვენციის "საკონსულო ურთიერთობების შესახებ" (საქართველო მიუერთდა 1993 წლის 8 ივნისს) მიღების საფუძველი. დღეისათვის მოქმედი ეს ორი საერთაშორისო ნორმატიული აქტი და მის საფუძველზე მიღებული ეროვნული კანონმდებლობა არეგულირებს და განსაზღვრავს ყველა სახელმწიფოში დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსს, საქმიანობის ამოცანებსა და პრინციპებს, ამ წარმომადგენლობის დიპლომატიური პირებისა, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის და მათი ოჯახის წევრების პრივილეგიებს, იმუნიტეტსა და საგადასახადო შეღავათებს, ასევე წარმომადგენლობის ოფიციალურ კორესპონდენციისა და ფოსტის ხელშეუხებლობისა და მათი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ვენის 1961 წლის "დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, მაკრედიტებული ანუ დიპლომატიური წარმომადგენლის გამგზავნი სახელმწიფო და დიპლომატიური აგენტი თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო და მუნიციპალური გადასახადებისაგან, წარმომადგენლობის საკუთარი თუ დაქირავებული ნაგებობისათვის მოსაკრებელისა და ბაჟისაგან. ამ კონვენციის თანახმად გასარეჯელო, მოსაკრებელი, რომლებსაც წარმომადგენლობა იღებს თავისი ოფიციალური მრეკლეობების შესრულებისას, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან, მოსაკრებელისა და ბაჟისაგან.

დიპლომატიური აგენტი ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არაერთი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ევროპური პატივისცემით ექვემდებარება მას და ყველაფერს აკეთებდეს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მისი პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა. დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია ისევე ხელშეუხებელი და დაცულია, როგორც წარმომადგენლობის შენობები.

ადგილსამყოფელი სახელმწიფო იქ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, ნებას იძლევა და დიპლომატიურ აგენტს თავისუფლებს ყოველგვარი ბაჟისაგან, გადასახდლებისა და ამასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურების მოსაკრებელისა. კრიძოდ, გადასახდებისა და ყოველგვარი ბაჟისაგან თავისუფლება საგნები, რომლებიც პირადი გამოყენებისათვის სჭირდება დიპლომატიურ აგენტს, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მათ შორის საყოფაცხოვრებო საგნები.

დიპლომატიური აგენტის პირადი ბარჯი თავისუფლება შემოწმებისაგან. თუ არის სერიოზული ეჭვი იმისა, რომ იგი შეიკავს საგნებს, რომლებზედაც არ ვრცელდება შეუვალობა, ან საგნებს, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია კანონმდებლობით ან რეგულირდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საკარანტინო წესებით. ამ შემთხვევაში შემოწმება დასაშვებია მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

ამ კონვენციის თანახმად, წარმომადგენლობის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია. ოფიციალურ კორესპონდენციად ითვლება მთელი ის კორესპონდენცია, რომლებიც წარმომადგენლობას და მის ფუნქციებს ეხება. ამასთან, დიპლომატიური ფოსტის გახსნა ან შეყენება დაუშვებელია. ამავე დროს დიპლომატიური ფოსტის ყველა დანტას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგანი ნიშნები, რომლებიც მოთხოვს მათ ხასიათს და მათში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური სარგებლობისათვის.

ვენის 1963 წლის კონვენცია "საკონსულო ურთიერთობების შესახებ", ძირითადად, ითვალისწინებს იმ პრივილეგიებსა და შეღავათებს, რასაც ითვალისწინებს ვენის 1961 წლის კონვენცია "დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ". დამატებით "საკონსულო ურთიერთობების შესახებ" კონვენცია ითვალისწინებს, რომ საკონსულო ვალიზა არ ექვემდებარება არც გახსნას და არც დაკავებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებს აქვთ სერიოზული საფუძვლიანი დავები მასში, რომ ვალიზა შეიკავს კანონმდებლობით აკრძალულ საგნებს, მათ შეუძლიათ მოთხოვონ ვალიზის გახსნა წარმდგენი სახელმწიფოს რწმუნებულის თანდასწრებით. თუ წარმდგენი სახელმწიფოს ხელისუფლება უარს იტყვის ამ მოთხოვნის შესრულებაზე, ვალიზა ბრუნდება იქ, საიდანაც გაიგზავნა. ამასთან, კონვენციით დადგენილია, რომ საკონსულო ვალიზის შემადგენელ ყველა შეკრას გარდა შემსაჩვენებელ უნდა ეწეროს, რა არის მოთავსებული შიგნით და უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ კორესპონდენციას და დოკუმენტებს, ან მხოლოდ ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილ ნივთებს.

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები ასევე რეგულირდება 1969 წლის კონვენციით "საქციალური მისიების შესახებ", 1973 წლის კონვენციით "საერთაშორისო დაცვით მოსარგებლელ პირთა, მათ შორის დიპლომატიური აგენტების, დანაშაულის აცილებასა და დასჯის შესახებ", ვენის 1974 წლის კონვენციით "სახელმწიფოების წარმომადგენლობის შესახებ, მათ ურთიერთობებში უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან".

მითითებული კონვენციების შესრულების მიზნით, საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს საბაჟო შეღავათებს დიპლომატებისათვის, ასევე საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლებულია საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები, მათი ბარჯი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმისაგან განთავისუფლება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად ხდება მათი რატიფიცირების შემდეგ.

საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოში უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) და მათი ბარჯი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბაჟო გადასახდისა და მოსაკრებლებისაგან თავისუფლება იმ საქმიანობის იმპორტზე, რომელიც განკუთვნილია დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ან წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის,

აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავსუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომლის მონაწილეც საქართველოა. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან თავისუფლება აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი.

- ზემოთ მითითებული საბაჟო შეღავათები კრეკლდება ასევე უცხოელ დიპლომატიურ და საკონსულო კურიერებზე. მათ შეუძლიათ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საჭირო ნაცვალდების საფუძველზე, რომელიც გამოდინარობს ორ ქვეყანას შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან, საბაჟო კონტროლის გარეშე და საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებით.

საკონტროლო კითხვები:

1. საბაჟო შეღავათები ვენის 1961 და 1963წ. კონვენციების შესაბამისად;
2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დიპლომატიური წარმომადგენლების, მთავრობისა და პარლამენტის წევრების საბაჟო შეღავათები;
3. საბაჟო კონტროლის თავისებურებანი დიპლომატიური ფოსტითა და საკონსულო ვალიზით საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

6. საბაჟო ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და მათი ფუნქციები

საბაჟო ორგანოების მთავარი ამოცანაა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. საბაჟო ორგანოები იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს საბაჟო სფეროში, ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან სახელმწიფო სტრუქტურებს. თანამედროვე საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ ერთიან სისტემას, მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოთა მთლიან ერთობლიობაში, ატარებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

საბაჟო ორგანოები აღჭურვილი არიან სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებით. ისინი ხელმძღვანელობენ და მართავენ საბაჟო საქმეს. საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც არ ახორციელებენ საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას, უფლება არა აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხება საქართველოს საბაჟო ორგანოების კომპეტენციას საბაჟო საქმის დარგში ან სხვაგვარად ჩაერიონ ამ ორგანოების საქმიანობაში. ამასთან, საბაჟო ორგანო, რომელიც ხელისუფლების მიერ აღჭურვილია უფლებით – იმოქმედოს სახელმწიფოს სახელით, მოვალეა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის, აგრეთვე პასუხი მოსთხოვოს მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობაზე.

საბაჟო ორგანოები, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ იქმნება საზღვრებზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ კონტროლის უშუალოდ განსახორციელებლად, აგრეთვე საბაჟო სფეროში სამართალდარღვევების აღსაკვეთად. ამიტომ, უფრო ზუსტი იქნება, რომ საბაჟო ორგანოების ამოცანად მივიჩნიოთ სახელმწიფო საზღვრების ეკონომიკური დაცვა.

საბაჟო ორგანოები დარგობრივი მართვის ორგანოებია. საბაჟო დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ერთ კონკრეტულ და სპეციფიკურ დარგს – საბაჟო საქმიანობას. ამასთან, საბაჟო დეპარტამენტი ამ საქმიანობას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, იგი ცენტრალიზებული მართვის ორგანოა.

საბაჟო კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ, როგორც სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საბაჟო ორგანოები, რომლებიც შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. საბაჟო ორგანოები აღმასრულებელ-განმკარგულბელ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობის სპეციფიკურ სფეროში. იგი დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვარზე სხვადასხვა სახეობის ტვირთის, მათ შორის ბარგისა და საფოსტო გზავნილების, ვალუტისა და ძვირფასეულობის გატარებასთან, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების გაშვებასთან, რომლებიც ემსახურებიან მგზავრებისა და ტვირთის გადაადგილებას, მათი მეშვეობით უზრუნველყოფილია აგრეთვე საბაჟო გადასახდელების ამოღება.

საბაჟო ორგანო, როგორც წესი, იქმნება ან უშუალოდ სახელმწიფო საზღვრებზე, ან მასთან ახლოს სასაზღვრო ზონაში. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, საბაჟოები განლაგებულია არა სახელმწიფო საზღვრის ახლოს, არამედ ქვეყნის შიგნით – დიდ ქალაქებში, რომლებიც დანიშნულების ის პუნქტებია, სადაც ხდება ტვირთების შეტანა ექსპორტორი ქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში ტვირთები საზღვარზე კი არ ჩერდება, არამედ მიემართება ქვეყნის სიღრმეში შესაბამის საბაჟოებში გასაფორმებლად. ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხშირად მიღებულია საბაჟოების დაყოფა ორ სახედ – შინაგან და სასაზღვრო საბაჟოებად.

საბაჟო საქმიანობას ქვეყანაში ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი, რომლის მთავარი ფუნქციებია:

- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა;
- საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელება;
- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და შიდა ბაზრის დაცვა;
- საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება;
- საბაჟო საქმის ორგანიზება.

დეპარტამენტი დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად:

- შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფისათვის;
- შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების განხორციელებისა და სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს მის შესრულებას;
- შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს საბაჟო საქმის განვითარების პროგრამებს;
- მონაწილეობს საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;
- მონაწილეობს შსოფლიოს თანამეგობრობასთან ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირების მექანიზმის სრულყოფის, ექსპორტის სტიმულირებისა და უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფისათვის;
- კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს საბაჟო გადასახდელებისა და მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების დადგენა-გამოყენების შესახებ;
- მონაწილეობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა (ლიცენზირება ან სხვა სახის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება) შემუშავებაში. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

- ორგანიზაციის უწევს საბაჟო გადასახდლების, სხვა მოსაკრებლების და გადასახდლების დარიცხვა-ამოღებას და შესაბამის ბიუჯეტებში მათ დროულ და სრულ აკუმულირებას;
- შეიმუშავებს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგიას;
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისა და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებისათვის უზრუნველყოფს საბაჟო რეჟიმის ეფექტურ გამოყენებას;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ნებათაშეღებებს (ლიცენზიების) გაცემას, შეჩერებას ან გაუქმებას;
- ორგანიზებას უწევს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას, ახორციელებს საბაჟო პროცედურების გამარტივებას, ტერიტორიების გაზრდასა და მეწარმეობის სტიმულირებისათვის;
- სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინაციაში შეიმუშავებს საბაჟო კონტროლის ზონების, საბაჟო ინფრასტრუქტურისა და საქართველოს საბაჟო საზღვრის დაცვის ღონისძიებებს;
- ახორციელებს ღონისძიებათა კომპლექსს საბაჟო კანონმდებლობის დაცვის სრულყოფისათვის;
- ორგანიზებას უწევს საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცალკეულ სახეობათა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, სტრატეგიული და საქართველოს ინტერესებისათვის სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მასალების, მდიდარ მინერალებისა და ფსიქოტროპული საშუალებების, აგრეთვე კულტურული ფასეულობების გადაადგილების წესის დაცვას;
- კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზებას უწევს სავალუტო კონტროლის განხორციელებას;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობს სახელმწიფო უშიშროების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, ბუნებრივი გარემოს დაცვის ღონისძიებებში;
- ახორციელებს საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენას და აღკვეთის ღონისძიებებს, კანონით დადგენილი წესით განიხილავს და წვეტს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევათა საქმეებს;
- ორგანიზებას უწევს საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო და საციალური საბაჟო სტატისტიკის წარმოებას და მონაცემების ოფიციალურ გამოქვეყნებას, დადგენილი წესით აწვდის ინფორმაციას სამთავრობო დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს;
- თვალყურს ადევნებს სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებს და დამატებებს, საჭიროების შემთხვევაში, არსებული წესით შეიმუშავებს წინადადებებს, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასაქონლო ნომენკლატურაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;
- ახორციელებს საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, იღებს ზომებს საბაჟო ორგანოების თანამშრომლების მხრიდან არამართლზომიერი ქმედებისაგან იურიდიული თუ ფიზიკური პირის უფლებების დაცვის მიზნით;
- კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს უცხოეთის საბაჟო და სხვა ორგანოებთან;
- ქმნის და სრულყოფს ერთიან ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემებს;
- ახორციელებს საბაჟო ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარებასა და სრულყოფას;

საკონტროლო კითხვები:

1. საბაჟო ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში;
2. საბაჟო ორგანოების ძირითადი ამოცანები;
3. საბაჟო ორგანოების ფუნქციები.

7. სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნება

“საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონი განმარტავს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნებას, რომელიც მოიცავს: 1. სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს. 2. საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და სხვა არასამხედრო გეგმების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესებს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესებს.

კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი ადგენს:

- პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა და მათი შემოწმების წესს;
- სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, ნივთების, ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ფასიანი ქაღალდების გადატანას, ცხოველთა გადაყვანის წესს;
- საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების სანაოსნო საშუალებათა შესვლის, გადაადგილებისა და ყოფნის, აგრეთვე იქიდან გამოსვლის წესს;
- სასაზღვრო გამტარ პუნქტებში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შეტანა-გამოტანის წესს;
- საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს;
- სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესს ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 20 დეკემბრის № 676 ბრძანებულებით დამტკიცებულია “სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის და დაცვის წესი“, რომლის თანახმად საქართველოს სახელმწიფო საზღვარი აღინიშნება სასაზღვრო ნიშნებით.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, მითითებული წესის თანახმად, წარმოებს პირების მიერ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში.

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის პირობები და საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ასევე მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, კონვენციითა და შეთანხმებით, რომლის საფუძველზე საქართველოში მიღებულია მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

კანონი “საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ განმარტავს, რომ სასაზღვრო გამტარი პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილია, სადაც ზორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი.

“სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, სახელმწიფო საზღვარს კვეთენ იმ საბუთებით, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნებში წასვლისას საქართველოს მოქალაქეები სახელმწიფო საზღვარს კვეთენ საქართველოს მოქალაქის პასპორტით (სამსახურებრივი და დიპლომატიური), სასაერო ხომალდის ეკიპაჟის პირადობის მოწმობით, მეზღვაურის პასპორტით, მატარებლის ბრიჯაჟის წევრების პირადობის მოწმობითა და სამხედრო მოსამსახურის პირადობის მოწმობით ამ პირების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები საქართველოს საზღვარს კვეთენ ეროვნული პასპორტებით (საზღვარგარეთის პასპორტი) და საქართველოს ვიზით, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული უეიზოდ შემოსვლის წესი. უცხოეთის მოქალაქეები, რომლებიც მიემგზავრებიან საქართველოს ტერიტორიიდან სხვა ქვეყანაში, სახელმწიფო საზღვარს კვეთენ იმ საბუთებით, რომლებიც იხინი შემოედნენ საქართველოში.

არასრულწლოვანი პირები (შესაძამისი სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით) სახელმწიფო საზღვარს კვეთენ დაბადების მოწმობისა და მათი თანმხლები პირების საბუთებში ჩაწერის საფუძველზე. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გაეღოს შემთხვევაში მოწმდება იმ საბუთების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გაეღას (საქართველოს სატრანზიტო ვიზა), თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში იმ საბუთებში, რომლებიც უფლებას აძლევს პირს შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე, ისმება თარიღის შტამი აღნიშნით “შემოსვლა“ ან “გასვლა“.

საეცემობილო მიმოსვლის სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მგზავთა შემოწმება, რომლებიც მგზავრობენ საერთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით, როგორც წესი, წარმოებს ავტობუსის სალონში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოძრაობის ხაზზე სასაპორტის კონტროლის ჯიხურში. პირთა უკანონო გადაყვანის გამოკლების მიზნით წარმოებს სამალაგების დათვალიერება.

დალუქული ტვირთების გახსნა და შემოწმება წარმოებს კომისიურად საბაჟო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, მძლიერსა და თანმხლები პირების თანდასწრებით. შემოწმების შედეგებზე ფორმდება სათანადო აქტი.

საპაერო ხომალდებისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხდება სპეციალურად ფრენისათვის გამოყოფილ დერეფანში, რომლის კოორდინატები ქვეყნდება პერსონალის ინფორმაციის კრებულში. საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილი საპაერო ხომალდების სასაზღვრო კონტროლი წარმოებს საერთაშორისო აეროპორტებში, სადაც გახსნილია სასაზღვრო გამტარი პუნქტები.

სასაზღვრო კონტროლს ექვემდებარება ყველა ქართული და უცხოური ავიაკომპანიის საპაერო ხომალდი, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ფრენას.

საქართველოს საპაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი ნებისმიერი საპაერო ხომალდის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ საპაერო დერეფნის გაუვლელად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის ნებაართვას ათანხმებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და ინფორმაციას აწვდის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს.

რკინიგზის ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომლის მოწყობასაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს რკინიგზის ადმინისტრაცია.

საქართველოში მომავალ მგზავთა საბუთები, როგორც წესი, მოწმდება მატარებლის მოძრაობისას, სახელმწიფო საზღვართან სასაზღვრო რკინიგზის სადგურამდე და პირითი. შესაძამისი ინფორმაციის საფუძველზე სასაზღვრო ძალები უფლებამოსილი არან საბაჟოს, რკინიგზის წარმომადგენლისა და ტვირთის თანმხლები პირის თანდასწრებით შესამოწმებლად გახსნან დალუქული ვაგონი (კონტენერი).

საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვნილი უცხოეთისა და საქართველოს გემების სასაზღვრო კონტროლი ხორციელდება მისაღვომებთან ან საჭიროების შემთხვევაში – რეიდზე. საზღვარგარეთიდან მომავალი სამგზავრო გემების სასაზღვრო კონტროლი შეიძლება მოხდეს საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების ნავსადგურში შესვლამდე. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიული ზღვის დათქმულ ადგილზე ან საქართველოს შიდა წყლებში გემებს ზედება კომისია. ნავსადგურში გემის შემოსვლისას (რეიდზე ან ნავსადგურში) საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარულ-საკარანტინო სამსახურის ექიმი შესაზღვრებთან ერთად ადის გემზე და ამოწმებს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, რომლის შემდეგ ამ სატრანსპორტო საშუალებას ეძლევა ნავსადგურთან თავისუფალი ურთიერთობის უფლება.

სანაოსნოს, საბაჟოს, ნავსადგურის, სასაზღვრო გამტარი პუნქტის უფროსებსა და მათ მოადგილეებს უფლება აქვთ ავიდნენ ნავსადგურში მყოფ საზღვარგარეთის გემზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს, საშვის გარეშე თავიანთი სამსახურებრივი დოკუმენტებით.

გემებიდან მგზავთა გადმოსვლისას საბუთები მოწმდება ტრამთან ან სატრანსპორტო კონტროლის ჯიხურში ეროვნული პასპორტებისა და სიების მიხედვით.

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილება, დგომა, ადგილის შეცვლა ხორციელდება მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და საბაჟო ორგანოების ნებართვით.

სამეურნეო, სარეწი და სხვა სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან და ენება საქართველოსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს ინტერესებს, ახორციელებენ საქართველოსა და ამ სახელმწიფოს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (მათ შორის ერთობლივად) უშუალოდ სახელმწიფო საზღვარზე ან მის ახლოს. აღნიშნულმა საქმიანობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, საქართველოსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს ეკოლოგიურ და სხვა სახის უსაფრთხოებას, ასევე სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობას.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნება;
2. სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ზოგადი მიმოხილვა;
3. სასაზღვრო კონტროლის არსი

თავი 9

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება

წინამდებარე თავში განსაზღვრულია კონკურენციის განვითარების როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დასაბუთებულია მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის, სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა. დასაბუთებულია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნის ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები.

წარმოადგენილია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გენეზისი საქართველოში და ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროებში სახელმწიფოს ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კანონმდებლობათა აღსრულებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მოკლე დახასიათება.

1. მონოპოლიური მდგომარეობის ცნება

საბაზრო ურთიერთობათა რეგულირება, რომლის ფორმირებაც ხდება დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდება როგორც სტიქიურად, ისე მიზანმიმართულად. სტიქიური რეგულირება (ანუ თვითრეგულირება) ეფუძნება ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, პირველ რიგში კი მოთხოვნა-მიწოდების კანონს. აღიარებულია, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით ამ კანონების შემოქმედებას ყოველთვის არ მოყვება სასურველი დადებითი ეფექტი. ამიტომ საბაზრო სისტემის ნეგატიურ გამოვლინებათა შეშუპების მიზნით აუცილებელია თვითრეგულირების კორექტირება და მისი მიზანმიმართული ზემოქმედების ზომებით შევსება. ასეთი ზეგავლენა ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სამართლებრივი ანტიმონოპოლიური რეგულირება. მისი უმთავრესი დანიშნულებაა კონკურენციის სტიმულირება, ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა მხრიდან კონკურენტული ბრძოლის მექანიზმის ხელშეწყობა სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობის თავიდან აცილება და აღკვეთა. მიზეზს, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური რეგულირების ზომების რეალიზებას, წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა კონკურენტული საფუძვლების მხარდაჭერის აუცილებლობისადმი საჯარო ინტერესი.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ აგენტთა შორის არსებული კონკურენცია ობიექტურად ქმნის მონოპოლიის განვითარების წინაპირობებს. ამგვარი პარადოქსალური ურთიერთკავშირი შემჩნეულია ჯერ კიდევ ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მონოპოლიის ნიშნებით ტრესტების უმრავლესობა იქმნებოდა დამოუკიდებელ საწარმოთა შეერთების გზით. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ არამარტო ხელი შეუწყოს კეთილსინდისიერ კონკურენციას, არამედ აღკვეთოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიმართულია მონოპოლიზირებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაკენ.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს მონოპოლიური მდგომარეობა და მონოპოლიური საქმიანობა, რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაში გამოიხატება მონოპოლიის ნეგატიური თვისებები და რა ზომები უნდა იქნეს გატარებული, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია.

ბაზარი, რომელზეც მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი, იწოდება მონოპოლიად. მონოპოლიური ძალაუფლება ასეთ გამყიდველს საშუალებას აძლევს შეზღუდოს წარმოება და პროდუქციის გამოშვება, ამაღლოს ფასი და ამით მოახდინოს მოგების მაქსიმიზაცია. მონოპოლისტის ამგვარი მოქმედება განაპირობებს სიმდიდრის გადატანას მომხმარებლისაგან გამყიდველისაკენ, ამცირებს ამ უკანასკნელის მოტივაციას დანერგვის სახელე წარმოებაში ან გაადიდოს მისი ეფექტიანობა. მონოპოლიური ბაზარი ხასიათდება შემდეგი მარკენტებით:

1. ბაზარზე მოქმედებს ერთი გამყიდველი;
2. გამყიდველის პროდუქტია უნიკალურია, ამიტომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება იგი შეცვალოს რაიმე სხვა მსგავსი საქონლით;
3. არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც სხვა ფირმებს არ აძლევენ საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე ასევე გაძლებულია ამ ბაზრის დატოვება (გამოსვლა).

ამ პირობების ცოდნა მნიშვნელოვანია გამყიდველის მონოპოლიური ქცევის აღბათობის პროგნოზირებისას. თუმცა თავისთავად ისინი არ განსაზღვრავენ /არ ადასტურებენ/ იმას, რომ აუცილებელად ექნება ადგილი მონოპოლიურ ქცევას შესაბამისი შედეგებით.

თუ მონოპოლისტი არ იყენებს ფასობრივი დისკრიმინაციის მეთოდს, რაც თავის მხრივ აკრძალულია უმრავლესი ქვეყნების ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, მაშინ პროდუქციის რაოდენობის გადიდებასა, უფრო იტულებული იქნება შედარებით დაბალი ფასი დააწესოს არა მხოლოდ დამატებით გამოშვებულ პროდუქტს, არამედ გასაყიდი საქონლის მთლიან რაოდენობაზე. ანუ მონოპოლისტს დამატებითი გაყიდვა ნუშვლია განახორციელოს ფასების შემცირებით მთელ გამოშვებულ პროდუქტსაზე.

მონოპოლისტი დედა არჩევანის წინაშე: ან გაადიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, ანდა გამოუმავს საქონლის შედარებით ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად. ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობა განსაზღვრავს მის გადაწყვეტილებასაც. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნის შედეგების საპირისპიროდ, როგორც წესი, მოგების მაქსიმიზებას ახდენს პროდუქციის რაოდენობის შეზღუდვის და ფასების ზღვრულ დანახარებებზე უბოთ დადგენის საშუალებით. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოგების მაქსიმიზება ფასების ზრდის საშუალებით არაეფექტურია, რადგან მომხმარებელი შეიძენს პროდუქციის შედარებით ნაკლებ რაოდენობას და შედეგად უკეთესი მოგება შემცირდება. მეორეს მხრივ, მონოპოლისტი საქონლის გამოშვებას ადრებს მხოლოდ იმ დონეზე, სანამ ხდება მისი მოგების ზრდა.

ეკონომიკურ თეორიაში ამ დებულებას მივყავართ ძალიან მნიშვნელოვან დასკვნამდე. როგორი ძალაც არ უნდა გააჩნდეს მონოპოლისტს ბაზარზე, მისი შესაძლებლობები ფასების გაზრდის თვალსაზრისით შეზღუდულია რეალური მოთხოვნის სიდიდით; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონოპოლიას არ შეუძლია დააწესოს იმაზე მაღალი ფასი, ვიდრე ამ საქონელზე შეუძლია გააიხსნოს მომხმარებელმა. ამდენად, თითო ტოტალურ მონოპოლიურ ძალაუფლებასაც კი არ შეუძლია დიდხანს იარსებოს, რადგან გრძელვადიანი პერიოდისთვის ყოველივეს გამოწვება ამ საქონლის რაიმე ეფექტური შეცვლელი და მომხმარებელი გადაერთვება მის მოხმარებაზე. ამგვარად, ეკონომიკურ თეორიაში ხაზგასმულია, რომ მონოპოლიური ძალაუფლება აბსოლუტურს არ წარმოადგენს და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მისი დონისა და ხარისხის შესახებ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეისათვის რეალური ბაზრები იმყოფებიან ორ უკიდურესობას, ანუ სრულყოფილ კონკურენციასა და მონოპოლიას შორის. ეკონომიკურსა და იურიდიულ ლიტერატურაში “მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა” გამოიყენება ფირმის, გაერთიანების ან ორგანიზაციის ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობის მიმართ, კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას გადაწყვიტი ზეგავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის ბრუნვის საერთო პირობებზე /დათრგუნოს კონკურენცია, არეგულიროს მიწოდებათა მოცულობა და პირობები, განსაზღვროს ფიქსირებული ფასები, რითაც ზიანს აყენებს მომხმარებელს ან გაართულოს ამ ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების შეღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკურ აგენტს მონოპოლიური (დომინირე-

ბული) მდგომარეობა უკავია, თუ მას ამ საქონლის ბაზარზე შეუძლია იმოქმედოს, ძირითადად კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად, ანუ თუ მას გააჩნია “ძალაუფლება” ბაზარზე.

მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებია მნიშვნელოვანი საბაზრო წილი, ბაზარზე შეღწევის ბარიერები და მოწინააღმდეგეთა შესაძლო რვაქცია. საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისთავად დიდი საბაზრო წილის არსებობა, ანდა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა არ განიხილება და არც შეიძლება განიხილებოდეს როგორც კანონსწინააღმდეგო, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული მეტწილელად ამბიციური ეკონომიკური აგენტის ბუნებრივი სწრაფვა წარმოების მასშტაბების ზრდისა და მოგების მაქსიმიზებისაკენ, წარმატების შემთხვევაში იწვევს მათ მონოპოლიური (დომინირებულ) მდგომარეობას ბაზარზე. მით უმეტეს ისეთ პატიარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც უძრავლეს კაპიტალტექვად სამრეწველო ხასიათის დარგებში პრაქტიკულად შეუძლებელია კონკურენციის ვეროვანი განვითარება.

როგორც ევროპული, ისე ამერიკული კანონმდებლობით მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა თავისთავად არ ითვლება უკანონოდ. სამართლებრივი ზემოქმედების სავანია მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენება, კერძოდ: მონოპოლიურად მაღალი ან მონოპოლიურად დაბალი ფასების დაწესება, კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის განაწილების გზით, ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის შეზღუდვა სხვადასხვა ბარიერის გამოყენებით და სხვ.

საქართველოში, ისევე როგორც უძრავლეს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, კატეგორიულად იკრძალება ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური საქმიანობა. ეს უკანასკნელი კი საქართველოს კანონის “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” შესაბამისად ისეთი საქმიანობაა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშეზღუდვადი /კონკურენტული/ საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია. შეუნიშნავთ, რომ მონოპოლიური საქმიანობის სახეები ჩამოთვლილია ზემოთ აღნიშნული კანონის მე-10 და მე-13 მუხლებში. სხვაგვარად, მონოპოლიურ საქმიანობად ითვლება ეკონომიკური აგენტის (მეურნე სუბიექტის), აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სწინააღმდეგო ისეთი ქმედება (უპოქმედება), რომელიც იწვევს (შეუძლია გამოიწვიოს) კონკურენციის აღკვეთა ან შეზღუდვა.

რადგან მონოპოლიური საქმიანობის პოტენციური შესაძლებლობა გააჩნია მხოლოდ მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, ისინი ანტიმონოპოლიური ორგანოების განსაკუთრებული ინტერესის სფეროში იმყოფებიან და მათი საქმიანობა მუდმივი მონიტორინგის სავანას წარმოადგენს, რათა არ მოხდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ განხორციელდეს მონოპოლიური საქმიანობა კონკურენციის აღკვეთის ან შეზღუდვის ხარჯზე.

ცალკე აღნიშნავს საჭიროებს ისეთი ბაზარი, სადაც არ არსებობს კონკურენცია და არც შეიძლება არსებობდეს. ესენია ე.წ. ბუნებრივი მონოპოლები, ანუ “სასაქონლო ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე /წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით/ უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციასზე , სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებებზე.” არაკონკურენტულ: სფეროებში მომხმარებელთა უფლებებისა და სხვა კონკურენტული დარგების ეკონომიკურ აგენტთა უფლებების დაცვის მიზნით ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტები იმყოფებიან დარგობრივი ეროვნული მარეგულირებელი კომისიებისა და ანტიმონოპოლიური სამსახურის მუდმივი ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ, რომლებიც ახორციელებენ უპირველეს ყოვლისა კოორდინირებულ სატარიფო პოლიტიკას.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ძირითადი მაჩვენებლები ახასიათებს მონოპოლიურ ბაზარს?
2. რატომ დგება მონოპოლისტი არჩევანის წინაშე – გააღიოს წარმოება და შეამციროს ფასი, თუ გამოუშვას საქონლის ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად?
3. რას ნიშნავს ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური /დომინირებულ/ მდგომარეობა და რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ მას?
4. როგორ განისაზღვრება მონოპოლიური საქმიანობა და რატომ იკრძალება იგი კატეგორიულად, ხოლო მონოპოლიური მდგომარეობა კი – არა?

**2. კონკურენტული გარემოსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა**

ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის, ასევე მომხმარებელთა უფლებების ჯეროვანი დაცვისათვის აუცილებელია სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირება და შემდგომი სრულყოფა საბაზრო რეფორმების შესაბამისად.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში, სადაც 1890 წელს მიიღეს პირველი ანტიმონოპოლიური აქტი ფედერალურ დონეზე შერმანის აქტის სახით (მანამდე უკვე არსებობდა ანტი-მონოპოლიური აქტები ზოგიერთი შტატის დონეზე). მისი შექმნა მოაშადა ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. ეკონომიკური თვალსაზრისით ანტიმონოპოლიური /აშშ-ში – ანტიტრესტული, ხოლო ევროპაში – კონკურენტული/ კანონმდებლობის წარმოქმნა განაპირობა კაპიტალისტური მურყნობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ – თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლით შეცვლამ. მონოპოლიური გაერთიანებების – ტრესტების შექმნისა და საქმიანობის დასაწყისშივე ცხადი გახდა მათი დამანგრეველი ზემოქმედება როგორც ეკონომიკაზე, ისე საზოგადოების პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კანონი აშშ-ის კონგრესმა მიიღო ანტიტრესტული საზოგადოებრიობის და უპირატესი ყოვლისა ფერდობებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან ძლიერი დაწოლის შედეგად, რომელთაც გაუჩნდათ საფუძვლიანი შიში კომპანიათა მცირე ჯგუფის ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის გაძლიერების მიმართ, რაშიც ზედადნენ საფრთხეს მეწარმეობისა და საერთოდ დემოკრატიისათვის.

კანონმდებლობის წარმოშობის მეორე ძირითადი მიზეზი აიხსნება ზოგადი სამოქალაქო სამართლის გარკვეული შეზღუდულობით და იმ ფაქტით, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები აშკარად არაადეკვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენტული სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და წარადგინა მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენციის საკითხებზე.

განვიხილო 113 წლის განმავლობაში თვით აშშ-ში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ხარისხობრივად შეიცვალა, იგი უფრო მოქნილი და მიზანმიმართული გახდა და შეიძინა სისტემური ხასიათი. უმრავლეს შემთხვევაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კომპლექსს, რომელიც მიღებულია ანტიმონოპოლიური (კონკურენტული) პოლიტიკის გატარების მიზნით. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ არის ურთიერთდაკავშირებული ზომების სისტემა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მონოპოლიზმის შეზღუდვის, კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა დაცვის მიზნით.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მოიცავს მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების სამ ძირითად ზომას /პროცედურას/: შემზღუდავს, გამაფრთხილებელს და აღმკვეთს. იგი, ძირითადად, ხორციელდება სამი მიმართულებით: 1. ანტიკონკურენტული შეთანხმებები; 2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; 3. საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია.

აშშ-ის შემდეგ სხვადასხვა დროს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მიღებულ იქნა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. იაპონიაში ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების ინიციატივით შემუშავებული კანონი კერძო მონოპოლიების აკრძალვის შესახებ მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ 1947 წელს. მისი მიღება იაპონური "ეკონომიკური სასწაულის" მნიშვნელოვან ხელშეწყობ ფაქტორად იქცა.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის უმრავლეს ქვეყნებს აქვთ თავიანთი ანტიმონოპოლიური წესები; დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებში ისინი გაერთიანებულია ცნებაში "კონკურენტული სამართალი", აშშ-ში გამოიყენება ანტიტრესტული, ხოლო საქართველოსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში – ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ეროვნული მოდელები განსხვავდებიან არა მარტო ტერმინოლოგიით, არამედ თავისი მიმართულებით, შინაარსით, პროცესუალური და სხვა ასპექტებით.

ჩვეულებრივ, ანსხვავებენ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს. პირველი მათგანი /მისი ფელაზე ნათელი გამოვლინებაა აშშ-ის ანტიტრესტული კანონმდებლობა/ გამოდის ამ ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგ, თავიდანვე (დომინირებული მდგომარეობის დაკავებაზე) მკაცრ კონტროლს აწესებს ამ პროცესზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად, ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია აგრეთვე ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი, გარდა აშშ-ისა, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ევროპული მოდელი კი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ; ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გამოყოფილია ცალკე დარგში /ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ/. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ასევე ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

აღიარებულია, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზებისას ჩამოყალიბდა პროცედურების ორი ვეგუი – ადმინისტრაციული და სასამართლოს მეშვეობით. ადმინისტრაციული პროცედურების ჩარჩოებში, რომელიც უპირატესად გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ვერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოქმნილ დავებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომპეტენტური ორგანო, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ხოლო ისეთ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ესპანეთი), სადაც უპირატესაა ენიჭება სასამართლო პროცედურებს, გადაწყვეტილებებს იღებენ სასამართლოები. ადმინისტრაციული ორგანოები იხილვენ საჩივრებს, დამრღვევ მოპასუხე მხარეს სთავაზობენ (მოსთხოვენ) არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის ნებაყოფლობით აღკვეთას, აღმრავნ საქმეს სასამართლოში. ამ ორგანოებს უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საფუძველი, ასევე განაზოცილონ მოლაპარაკებები დააპირსპირებულ მხარეებს შორის დავების დასარეგულირებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განვითარება მიდის დაახლოებისა და უნიფიცირების გზით როგორც ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, ასევე განსხვავებულა წაშლის გზით საკუთრივ ამ ორ მოდელს შორის.

ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დგება ანტიმონოპოლიური წესების, კონკურენტული პოლიტიკის ერთიანი ნორმებისა და მიდგომების შექმნის აუცილებლობის საკითხი. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიღვა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში; კერძოდ, 1957 წლის რომის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ამ გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის ერთიანი ანტიმონოპოლიური წესები, შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციული საფუძველები მათი რეალიზებისათვის. საერთო ევროპულ დონეზე კონკურენციის წესების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ევროპულ გაერთიანებათა კომისიას, კერძოდ, მის ერთ-ერთ ქვედანაყოფს

(Directorate General-IV ofec), რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანების წევრი ქვეყნების ანტიმონოპოლიურ ორგანოებთან. გარდა ამისა, იგი მეთოდურ და საკონსულტაციო დახმარებას უწევს ყველა სხვა ქვეყნის შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსაც.

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას პრაქტიკულად სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ” დეკრეტის მიღებით.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც კონკურენტული პოლიტიკის სფეროში ძირითად საკანონმდებლო აქტს /სხვაგვარად ჩარჩო კანონს/ წარმოადგენს და რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ცნობილია, რომ კონკურენციის განვითარება და დაცვა, მასზე ზრუნვა უპირველეს ყოვლისა ემსახურება მომხმარებელთა უფლებების დაცვას და მათი ინტერესების წინა პლანზე დაყენებას. ეს დაუფიქრებულა ითა კანონში “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”. იმავედროულად, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს მეტად ფართო და სოციალური თვალსაზრისით უადრესად საპასუხისმგებლო სფეროს, 1996 წელს მიღებულია ცალკე კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალურ საფუძვლებს. ეს კანონი და მის შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტები /მათი რიცხვი უკვე 27 ერთეულს შეადგენს/ განსაზღვრავს მომხმარებელთა უფლებებს და მათი დაცვის წესებს საქონლის გაყიდვისას, სამუშაოთა შესრულებისას და მომსახურების გაწევისას. კანონის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების დაცვას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო ორგანოები, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სახელმწიფო კონტროლი კანონის აღსრულებაზე დაკისრებული აქვს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად განიხილება კანონი “რეკლამის შესახებ” /მიღებულია 1998 წელს/, რომლის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება /რაც თავისთავად აერთიანებს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედებს/, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასამთავრო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას მიეკუთვნებიან სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ-სამართალ-დარღვევათა და სამოქალაქო კოდექსის, ასევე, ცალკეული კანონების ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კონკურენციის სფეროს, ამავე პრობლემატიკაზე საქართველოს პრეზიდენტის რიგი ბრძანებულებებისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის დადგენილი წესით რევისტირებული ბრძანებები. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულებები: „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ და “ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ”, ხოლო 2000 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით დებულება “საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ”.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცდა ინსტრუქცია “საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ”, რომელმაც მთავრად ანტიმონოპოლიურ, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში არსებულ კანონმდებლობის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის სრულყოფა და მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ბრძანებებით დამტკიცდა საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისა და ბუნებრივი მონოპოლი-

ბის სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის ფორმები /25.10.2000/ და შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განმსაზღვრელი წილი 35%-ის ღირებულება /12.12.2000/, რომლის კომპეტენცია კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ანტიმონოპოლიური სამსახურს.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, საქართველოში კონკურენტული გარემოს ფორმირება და დაცვა, სარეკლამო საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მომხარებელთა უფლებების დაცვა ეკავება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს და მის ტერიტორიულ ქვედანაყოფებს, რომელიც ამ სიტუაციით ჩამოყალიბდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით. უფრო ადრე, კერძოდ 1992 წლის თებერვალში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვის მიზნით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მეწარმეობის მხარდაჭერის სამმართველო, რომელსაც დაეკისრა ქვეყნის ანტიმონოპოლიური ორგანოს ფუნქციები. შემდგომში ამ ორგანოს ფუნქციონალური დატვირთვის ზრდის შესაბამისად იგი გადაკეთდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ /1995წ/, ხოლო უფრო მოგვიანებით /1996წ/, ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიურ სამსახურად.

საკონტროლო კითხვები:

1. რა მიზეზებმა განაპირობა ანტიმონოპოლიური (ანტიტრესტული) კანონმდებლობის ფორმირება?
2. როგორ დახასიათებთ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს და მათი შექმნის ისტორიას?
3. რა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა უდევს საქართველოში საფუძვლად ანტიმონოპოლიურ რეგულირებასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას?

3. კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა

კონკურენციის განვითარებაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები ბაზრის განაწილების, ფასების დაფიქსირების და სხვა მიმართულებით, რითაც ერთის მხრივ იზღუდება კონკურენცია და მეორეს მხრივ ზარალიდება მომხმარებელი.

ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები შეიძლება ატარებდნენ პორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხასიათს.

ბაზარზე შესაძლებელია ისეთი სიტუაციის არსებობა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ინარჩუნებენ თავიანთ ოურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ ათანხმებენ რა ერთმანეთთან თავიანთ მოქმედებას, მათი საბაზრო ქცევა ფაქტობრივად ემსგავსება ერთი ეკონომიკური აგენტის მოქმედებას. ცხადია, ან შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები იძენენ სერიოზულ საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოიყენებულ იქნას ანტიკონკურენტული მიზნების მისაღწევად. ამგვარი სიტუაცია დაკავშირებულია პორიზონტალური შეზღუდვების, ანუ პორიზონტალური შეთანხმებების არსებობასთან.

ამგვარად, პორიზონტალური შეთანხმება წარმოადგენს ერთ და იგივე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების (გამყიდველების ან მყიდველების) შეთანხმებას, რომლის შედეგად იზღუდება ან შეიძლება შეიზღუდოს კონკურენცია. პორიზონტალური შეთანხმების გარკვეული სახეები, კერძოდ კარტელური შეთანხმებები ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთა მიზანია ფასების დაფიქსირება და ბაზრების განაწილება მომხმარებლის კატეგორიების ან ტერიტორიული ნიშნით, წარმოადგენს კონკურენციისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს და უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის აშშ-შიც ითვლება

უპირობოდ კანონსწინააღმდეგოდ (per se illegel) და მათი გამოვლენის შემთხვევაში ისევეა კიდევ განხილვის ვარეუ. თუმცა, არსებობს პორიზონტალური შეთანხმებების გარკვეული სახეობები, რომელთა გავლენის შეფასება კონკურენციაზე იხილება „კონიერულობის წესით“ (rule of reason) მათი დადებითი და უარყოფითი ეფექტების შესაფასებლად.

არსებობს შეთანხმების მეორე სახეც, ე.წ. ვერტიკალური შეთანხმება. ვერტიკალური შეთანხმების მონაწილენი პორიზონტალურისგან განსხვავებით არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. ამ შეთანხმების მონაწილენი, ხშირ შემთხვევაში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა სტადიაზე ფუნქციონირებადი ეკონომიკური აგენტები არიან. აქ შეიძლება, მაგალითად ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილედ რეალიზატორ აგენტს პროდუქციას სთავაზობს შეღავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. მაგრამ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის სამიშროებას ქნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (რომელმემ ცალკე ან ერთად აღებულთ) უკავიათ მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება. შესაბამისად, მათი ქმედება ამ შემთხვევაში იკრძალება კანონმდებლობით და იგი ექვევა ანტიმონოპოლიური ორგანოს ზედამხედველობისა და რეგულირების არეალში.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაოვებლად; ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, კონიერულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებენ (შეიძლება მაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ამ მათ საქმიან რეპუტაციაში.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვებ, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ პირობაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაეღობოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერები.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – ესაა სპეციფიური სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას, არ უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების არაკეროვანად (ბოროტად) გამოყენებას და ძირითადად ახასიათებს კონკურენტების ქცევას ეთიკური ნორმების თვალსაზრისით.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეკონომიკური შედეგები, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არაა ისე ცხადად გამოხატული, როგორც მონოპოლიური საქმიანობისა, უკავშირდება კონკურენციის “ხარისხის” გაუარესებას და როგორც შედეგი ეფექტიანობის შემცირებას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომლის დანიშნულებაა ურთიერთობათა დარეგულირება კონკურენციის სფეროში და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, ფაქტობრივად აიძულებს საქონელმწარმოებლებს რაბა მომხმარებელთა მოთხოვნები დააკმაყოფილონ მაქსიმალურად აბალი ფასებით (ზღვრული დანახარჯების დონეზე) რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიანი გამოყენების პირობებში. იგი მოწოდებულია კონკურენციის იდეალთან რეალური სამეწარმეო პრაქტიკის და მართვის მეთოდების დაახლოებისთვის. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვაიწყუდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა “სტაჟი” გააჩნიათ ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენტულ კანონმდებლობათა რეალიზაცია.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტის დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების არად ჩაგდებასა და მათი გვერდის ავლისა.

ეკონომიკურ კონკურენციაში "არბიტრის" ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გაროულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატროსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ "თამაშის წესებს". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლენების თვითდას აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენტული კანონმდებლობების და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონიერულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;
- მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს – კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ამდენად, ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდნენ დროთა განმავლობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება შეაფიქროდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა ძეიძლება იქნეს განხილული "არაკეთილსინდისიერი"-ს და როგორი "ეთილსინდისიერი"-ს რანჟში. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოუღენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით იკრძალება არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია მისი გამოვლინების სახეები:

- კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უზიბებს გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;
- ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;
- კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;

- ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქტიაზე, სამეწარმეო და საეკსპორტო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;
 - კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურად გამოყენება;
- კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;
- სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, საეკსპორტო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გაუცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ეწოდება პორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები და რა შემთხვევებში კრძალავს მათ კანონმდებლობა?
2. რას ნიშნავს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და როგორ გავლენას ახდენს იგი სასაქონლო ბაზარზე?
3. როდის ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად? რა ძირითადი ნიშნები უნდა ახასიათებდეს ამგვარ ქმედებებს?
4. რა ითვლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად? ჩამოთვალეთ 3-4 დასახელება.

4. საქართველოს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის ამოცანები, მისი განმახორციელებელი სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ გამოეყენებულ იქნეს მაღალი ეფექტიანობის მქონე მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკის უპირატესობები, ხოლო მეორეს მხრივ განხორციელდეს კონკურენციის განვითარებაზე მისი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის განეიტრალება.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეადგენს კონკურენციის სტიმულირება და კონკურენტული გარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში სწორი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება ეკისრება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოდგენილია სამინისტროების, კომიტეტების, კომისიების, საბჭოების თუ სააგენტოების სახით. საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია ევალება საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს.

კანონის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური არის საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის უფროსსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, რეგიონული სტრუქტურების (ავტონომიურ რესპუბლიკებში – ავტონომიური რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური სამსახური, ხოლო ქ. თბილისისა და მხარეებში სამხარეო მოწყობის შესაბამისად – ანტიმონოპოლიური ბიუროები) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან

ათვისუფლებს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ტერიტორიული ორგანოები არ შედიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სისტემაში, თუმცა კი თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით მჭიდროდ თანამშრომლობენ მათთან. ტერიტორიული ორგანოების შენახვის სახსრები გათვალისწინებულია ცენტრალური ბიუჯეტით. ამგვარად, ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურა, კადრების დანიშვნა და დაფინანსება ისეა აწყობილი, როგორც ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ერთიანი სისტემა, რომელსაც ეკისრება ერთიანი კონკურენტული პოლიტიკის გატარების ამოცანა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებები კონკურენტული პოლიტიკის სფეროში განსაზღვრულია “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლებითა და სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

ქვეყნის ანტიმონოპოლიური პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალური აპარატისა და რეგიონული ორგანოების საქმიანობის ძირითად ამოცანებს და მიმართულებებს:

- საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
- მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;
- ბუნებრივ მონოპოლიათა საქმიანობის რეგულირება;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინადადებების შემუშავება და წინასწარი ღონისძიებების გატარება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის სფეროებში;
- ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

აღნიშნული ამოცანებისა და საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურს მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. კერძოდ, კანონის თანახმად, მას უფლება აქვს:

- დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას;
- მოსთხოვოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევებზე ორგანოს მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება. წინააღმდეგ შემთხვევაში დასვას საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;
- მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევით დადებული ხელშეკრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოსთხოვოს შეუსრულებლობის შემთხვევაში კი სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში;

- ეკონომიკური აგენტის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობისას ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია ეკონომიკური აგენტისაგან მოითხოვოს ცნობები მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ და გაცენოს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;
- სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმოს და ამოიღოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- ანტიმონოპოლიურ სამსახურს უფლება აქვს დააყენოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;
- სამინისტროებს, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებს, ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებს მოთხოვოს ნებისმიერი მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოთხოვნის შესრულებლობის შემთხვევაში დააყენოს ამ თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული ან დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

ამასთან, თუ მოთხოვნიდან 30 დღეში შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ან ეკონომიკური აგენტი არ მიაწოდებს სამსახურს საჭირო ინფორმაციას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს მის ხელთ არსებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე;

- თუ ანტიმონოპოლიური სამსახური დაადგენს ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, მას შეუძლია დააგადადებულოს ეკონომიკური აგენტი, რათა აღკვეთოს არსებული მდგომარეობა;
- მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის აქციების ან წილის შექენისას საჭიროა ანტიმონოპოლიური სამსახურის საექსპერტო დასკვნა;
- განახორციელოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლი და ამ სფეროში მოქმედი მაკონტროლებული ორგანოების კოორდინაცია;
- არეგულიროს სარეკლამო საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე და განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვაზე;
- განიხილოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა განცხადებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ოფიციალური განმარტებანი საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ კანონის შესაბამისად ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება საკვალდებულოა როგორც ეკონომიკური აგენტისთვის, ისე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები და კომპეტენცია შემოფარგლულია იმ ტერიტორიული საზღვრებით, რომლებშიც ისინი მოქმედებენ. ამასთან, ის საქმეები და კანონდარღვევები, რომლებიც სცდებიან ერთი ტერიტორიის საზღვრებს, ხდება უშუალოდ ცენტრალური აპარატის განხილვის საგანი.

ბაზარზე კონკურენტული სამართლის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა ზორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევით. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ყველა არ იქნება მზად ამ ნორმების შესასრულებლად. იმ შემთხვევებში,

როცა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ირღვევა ან არ სრულდება, მის დაცვას უზრუნველყოფს იძულებითი პროცესუალური ნორმები, რომელიც შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს. ამ მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილია რიგი ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ (მუხლები 153, 158, 158¹, 159, 159¹, 159², 159³, 159⁴ და 173³) შესაბამის სასჯელს (დაჯარიმებას) მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებლის უფლებების შელახვისათვის, რეკლამის დაკეთვის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისათვის (გავრცელებისათვის), ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ჩვილ ბავშვთა ხელეწიურად კვების რეკლამისათვის, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლისათვის.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელებისათვის და ფალსიფიკაციისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილი პირები ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში კანონმდებლობათა დარღვევისას აესებენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, ხოლო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კანონდარღვევებზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე. ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია მიმართოს პროკურატურას და უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად სხვა სამართალდამცავ ორგანოებს კომპეტენციის სფეროში დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის აღძერის თაობაზე.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა? ჩამოთვალეთ მისი განხორციელების ძირითადი მიმართულებები.
2. რომელი სახელმწიფო ორგანო ატარებს ანტიმონოპოლიურ საქმიანობას საქართველოში? დაახასიათეთ მისი შექმნის ისტორია და სტრუქტურა.
3. რა ძირითადი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურს?
4. რა უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის?
5. როგორაა გამიჯნული კომპეტენციები სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალურ აპარატსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის?

თავი 10

დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება

მოცემულ თავში განხილულია დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა, სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძვლები, დაზღვევის ფორმები, დაზღვევის ურთიერთობების მონაწილენი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციები, დაზღვევის ობიექტის, სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო რისკის ცნებები. განხილულია აგრეთვე, დაზღვევის ხელშეკრულების არსი და დაზღვევის ზოგადი პირობები, საქართველოში გავრცელებული დაზღვევის ფორმები, დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები, აგრეთვე ორმაგი დაზღვევის არსი და მზღვეველის ფინანსური მდგარადობის უზრუნველყოფის პირობები.

1. დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა. დაზღვევის ფორმები

დაზღვევა არის ფიზიკური და იურიდიული პირის პირადი ან ქონებრივი ინტერესების დასაცავად სხვადასხვა ფულადი ფონდებისა და წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებებისა და შემთხვევების დადგომის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მყარად დადგენილი (შეთანხმებული სადაზღვევო თანხის ოდენობით და არა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით) სადაზღვევო თანხით.

სადაზღვევო ურთიერთობები გავრცელდა და მომდინარეობს უძველესი დროიდან. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინათ ბაბილონის მეფე ხამურაბის კანონში შეტანილია სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. სადაზღვევო ურთიერთობები არსებობდა მრავალ ქვეყანაში საეკონომიკური ქარაზეთ გადაადგილებული საქონლის დასაცავად, საზღვაო ტრანსპორტზე მომხდარი შემთხვევების დროს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და შემდეგ გავრცელდა ჰპოვა სხვა სფეროებში.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში დაზღვევის ინსტიტუტს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, განსაკუთრებით კი ბიზნისის სფეროში. სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილე საწარმოს უფლება აქვს მიეღოს საწარმოო პროცესში (დაწვეული ნედლეულის პირობებით, მისი ტრანსპორტირებით გადაამუშავებულ საწარმოზე, პროდუქციის გამოშვებითა და შემდეგ მისი გადაზიდვით და მიწოდებით მომხმარებელამდე), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დადგომისას, ზიანის ანაზღაურების მიღებაზე. მთლიანობაში ნებისმიერ საწარმოს, როგორც მცირესა და საშუალოს, ასევე ტრანსნაციონალურ გიგანტებს ესაჭიროება გარკვეული ფინანსები ბუნების სტიქიური თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური უარყოფითი ფაქტორებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად.

საქართველოში 1990 წლიდან დღემდე მიღებულია მრავალი ნორმატიული აქტი. მათ შორის მნიშვნელოვანია სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, რომლებიც შეტანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 თავის 799-858 მუხლებში, აგრეთვე მიღებულია ამ სფეროს მარეგულირებელი შვიდი სპეციალური კანონი: 1) 1995 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკალდებულო" დაზღვევის შესატანების შესახებ"; 2) 1997 წლის 18 აპრილის კანონი "სამედიცინო დაზღვევის შესახებ"; 3) 1997 წლის 3 მაისის კანონი "დაზღვევის შესახებ"; 4) 1997 წლის 27 ივნისის კანონი "ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკალდებულო დაზღვევის შესახებ"; 5) 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი "სახელმწიფო საქონლის დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ"; 6) 1999 წლის 3 თებერვლის კანონი "საკალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ"; 7) 1999 წლის 24 ივნისის კანონი "პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საკალდებულო დაზღვევისა და საქონლის უზრუნველყოფის შესახებ".

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ზარგზე. ზოგადად, სადაზღვევო საქმიანობა არის მზღვეველის საქმიანობა, დაკავშირებული დამზღვევისა და გადამზღვევის ხელშეკრულების დადებასა და განხორციელებასთან. ამ კანონის თანახმად დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის:

- ა) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეველის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა);
- ბ) დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგავასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა);
- გ) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეველის მიერ შესაძენი (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

კანონი ასევე განსაზღვრავს დაზღვევის სახეობებს, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით.

ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნებაყოფლობით დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. სავალდებულო დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულება დალოს დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. მზღვეველს უფლება აქვს დამზღვევს შესთავაზოს ამ უკანასკნელისათვის კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები. სავალდებულო დაზღვევას ახორციელებს აგრეთვე საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

კანონით დადგენილია დაზღვევის ურთიერთობის მონაწილენი. დამზღვევი არის პირი, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება. დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობასთან და საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებასთან დაკავშირებული დაზღვევის ხელშეკრულებები, გარდა გადაზღვევის ხელშეკრულებებისა, შეუძლიათ დადონ მხოლოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციებთან. ამავე დროს, საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის ხელშეკრულებები შეუძლიათ დადონ მხოლოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციებთან.

მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია. მზღვეველის, როგორც ორგანიზაციის რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით. კანონის შესაბამისად სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. ამასთან ერთად, საბიუჯეტო ორგანიზაციის ეკრძალება სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნებლად ყოფნა. სადაზღვევო ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

დაზღვეული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმედროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სადაზღვეო ურთიერთობებში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ მოსარგებლე (სარგებლის მიმღები), სადაზღვეო აგენტი და სადაზღვეო ბროკერი.

მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვეო ანაზღაურებას. მოსარგებლე შეიძლება დადგინდეს როგორც პირადი, ისე ქონების დაზღვევისას. საკვალდეულო დაზღვევისას მოსარგებლის განსაზღვრა ხდება დაზღვევის მოცემული სახეობის მარეგულირებელი კანონმდებლობით – “ავტორთან-სპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკვალდეულო დაზღვევის შესახებ”, “საკვალდეულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონებით, ხოლო ნებაყოფლობით დაზღვევისას მოსარგებლეს ადგენს დამზღვევი. დაზღვეული არის მოსარგებლე, თუ საკვალდეულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობით ან დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საკუთრების დაზღვევის ხელშეკრულება მოსარგებლის სასარგებლოდ შეიძლება დაიდოს მოსარგებლის სახელის ან სახელწოდების მიუთითებლად. ასეთი ხელშეკრულების დადებისას დაზღვევს ეძლევა დაზღვევის მოწმობა (პოლისი, სერტიფიკატი და ა.შ.) წარმდგენზე. ამ შემთხვევაში სარგებლის მიმღებია ის, ვინც მზღვეველს წარუდგენს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტს. მოსარგებლის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება დამზღვევს არ ათავისუფლებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მზღვეველს შეუძლია განახორციელოს სადაზღვეო საქმიანობა სადაზღვეო აგენტისა და სადაზღვეო ბროკერის მეშვეობით. სადაზღვეო აგენტი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დაკვლებით და სახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სადაზღვეო ბროკერი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ლიცენზიის შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სფეროში სამუშაო საქმიანობას, როგორც თავისი სამწარმოო საქმიანობის სახეობას. სადაზღვეო ბროკერის ურთიერთობა მზღვეველთან და დამზღვევთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. აკრძალულია მზღვეველის, სადაზღვეო აგენტის ან სადაზღვეო ბროკერის მიერ უცხოეთის სადაზღვეო ორგანიზაციის სახელით დაზღვევის ხელშეკრულების დადება, გარდა ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ. სადაზღვეო ბროკერი და სადაზღვეო აგენტი ვალდებული არიან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინონ მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისათვის.

“დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს დაზღვევის სფეროში უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე. უცხოელი მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალით შექმნილი იურიდიული პირი, უცხოური იურიდიული პირის ფილიალი და წარმომადგენლობა, რომელიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე, აწარმოებენ დაზღვევას საქართველოს სადაზღვეო ორგანიზაციებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მითითებულ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის სფეროში აქვთ ყველა ის უფლება და ეკისრებათ ყველა ის ვალდებულება, რაც საქართველოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს. ამავე დროს უცხოელ ფიზიკურ პირს, მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხოურ იურიდიულ პირს (უცხოეთის სადაზღვეო და გადაზღვევის ორგანიზაციების ჩათვლით) უფლება აქვს იყოს საქართველოს დაზღვევის და გადაზღვევის ორგანიზაციების დამფუძნებელი. ამასთან ერთად, უცხოეთის სადაზღვეო ორგანიზაციის, როგორც უშუალო მზღვეველის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

საქართველოს სადაზღვეო ორგანიზაციას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გადაზღვევის ხელშეკრულება. უცხოეთის ერთ ან რამდენიმე გადაზღვეველთან უშუალოდ. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური იურიდიული პირის მიერ სადაზღვეო ბროკერის ფუნქციების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სადაზღვეო ორგანიზაციისათვის, მის მიერ ადებული რისკის უცხოეთში გადაზღვევის სფეროში. საქართველოს უცხოური იურიდიული პირი სადაზღვეო ბროკერის საქმიანობას ახორციელებს ფილიალის ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც რეგისტრირებულია სათანადო წესით, ან უშუა-

ლოდ საქართველოს იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციის თავისი რისკის უცხოეთში გადაზღვევასთან დაკავშირებით შეუძლია უშუალოდ ისარგებლოს უცხოური საბროკერი ორგანიზაციის მომსახურებით.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 აგვისტოს № 433 ბრძანებულებით დამტკიცებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულება. დებულების თანახმად, ეს სამსახური არის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო რეგულირების მიზნით. სამსახურის ძირითად ამოცანად დებულებით განსაზღვრულია დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელება, სადაზღვევო მექანიზმის სრულყოფა, სადაზღვევო ბაზრის რეგულირება და სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა. სამსახურის ფუნქციებია:

- ა) სადაზღვევო, მათ შორის, დაზღვევის სფეროში საბროკერი საქმიანობის ლიცენზირება;
- ბ) მზღვეველის, დაზღვევის ბროკერის, არაკომერციული დაზღვევის ორგანიზაციათა (ურთიერთდაზღვევის საზოგადოება) რეესტრის წარმოება;
- გ) ლიცენზირების წესების შემუშავება, დადგენა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით და გამოცემა;
- დ) ლიცენზიის ასაღებად აუცილებელი შეესხებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დაწესება (მათ შორის ფულადი ფორმით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ე) მზღვეველის მიერ გამოყენებული სადაზღვევო ტარიფების გამოთვლის მეთოდიკის შემუშავება და მათი გამოყენებისადმი ზედამხედველობის განხორციელება;
- ვ) მზღვეველთა გადახდისუნარიანობის კონტროლი;
- ზ) სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ნუსხის განსაზღვრა, მათი შექმნის, განთავსებისა და ინვესტირების წესების დადგენა და გამოცემა;
- თ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სადაზღვევო ოპერაციების მაჩვენებლებისა და ფორმების, მზღვეველის ანგარიშგებისა და მისი წარდგენის ეტაპების დადგენა და გამოცემა;
- ი) მზღვეველის აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდიკის შემუშავება და ნორმატიული მოცულობის დადგენა და გამოცემა;
- კ) მზღვეველის მიერ მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის დადგენა და გამოცემა;
- ლ) ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტაციის გამოცემა სადაზღვევო საქმიანობის იმ საკითხებზე, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით განეკუთვნება სამსახურის კომპეტენციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი სახის დაზღვევის ფორმას. პირველი არის სავალდებულო, მეორე კი ნებაყოფლობითი დაზღვევა. სავალდებულო დაზღვევის ფორმას განეკუთვნება ქონების სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა და ავტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. დაზღვევის დანარჩენი სახეობები არის ნებაყოფლობითი. ანუ ფიზიკურ პირს შეუძლია დააზღვიოს როგორც ქონება, ასევე თავისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე, სხვა უბედურ შემთხვევათა (ტრაგეიის მიყენება, შემთხვევითი მოწამვლა, მოტეხილობა და სხვ.), იურიდიულ პირს კი უფლება აქვს დააზღვიოს ბალანსზე არსებული ქონება, ნებისმიერი მომსახურება, ფასეულობათა გადაზიდვები და სხვა მატერიალური სიკეთე.

ამრიგად, კანონმდებლობის შესაბამისად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საენკისი უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან, აგრეთვე ქონების ფლობასთან, განკარგეასთან და ქონებით სარგებლობასთან. ამავე დროს კანონმდებლობით დადგენილია

სავალდებულო დაზღვევის ფორმები, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელ გაფორმებას. "სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური ვალდებულია, სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის უქონლობის გამოვლენის შემთხვევაში, გამოიყენოს "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში კი მითითებულია, რომ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ორგანოებმა არ უნდა მიიღონ განაცხადები ქონების გადასახადის შესახებ და არ უნდა ჩაიბარონ ბუღალტრული ანგარიშები (ბალანსი) საწარმოსაგან, რომელიც არ წარმოადგენს ამ კანონით განსაზღვრულ სადაზღვევო პოლისს (მიწმობას). დაზღვევის ამ ფორმით გათვალისწინებულია ხანძრის, ავითქების, მეხის დაცვით საწარმოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საწარმომ ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების 0.4% (სადაზღვევო პრემიის განაკვეთი). იმ შემთხვევაში, თუ დადგა სადაზღვევო შემთხვევა ანუ ხანძარი, ავითქებამ და მეხის დაცვამ დაზიანა დაზღვეულის ქონება სადაზღვევო ანაზღაურება ხორციელდება სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ანუ ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულების მიხედვით.

"ავტორტანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ავტორტანსპორტის მფლობელი ვალდებულია დაზღვეოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ყოველ ავტორტანსპორტზე. ამავე დროს, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია იმპერატიული ნორმა, რომლის თანახმად საგზაო პოლიციის ორგანოები მოვალენ არიან ტექნიკურ დათვალიერებაზე არ გაატარონ ის ავტორტანსპორტი, რომლის მფლობელსაც გაფორმებული არა აქვს შესაბამისი დაზღვევა. კანონის ეს კატეგორიული მოთხოვნა გამყარებულია 21-ე მუხლით, რომლის შესაბამისად პირი, რომელიც ავტორტანსპორტის ექსპლუატაციას ახორციელებს სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაზღვევულად, პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა იმ სპორტსმარტო საშუალებების მართვისათვის, რომელსაც არ გაუვლია ტექნიკური დათვალიერება დადგენილი წესით, ან ასეთი სპორტსმარტო საშუალებების სამართალდარღვევა დადასტურდა. ამ ნორმის დარღვევისათვის კი გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახელის დადგენა სამიდან რვა ღირებულ ოდენობით.

ამავე დროს "დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია სავალდებულო დაზღვევის წესების დარღვევის შედეგები.

თუ პირი, დაზღვეული არ არის, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოისთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევეს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება. თუ დამზღვევემ არ დალო დაზღვევის ხელშეკრულება ან დალო ისეთი პირობით, რომელიც აუარესებს დაზღვეულის მდგომარეობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან შედარებით, დამზღვევეი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აუნაზღაუროს ზიანი იმ ოდენობით, რომელსაც დაზღვეველი მიიღობდა მოცემული დაზღვევის არსებობის შემთხვევაში. დამზღვევეს უფლება აქვს სასამართლო წესით მზღვეველს მოისთხოვოს ხელშეკრულების დადგმა კანონით განსაზღვრული პირობით. მზღვეველს ამავე დროს უფლება აქვს დამზღვევეს შესთავაზოს კანონით უფრო ხელსაყრელი პირობები.

მითითებული სავალდებულო ფორმის სადაზღვევო რისკი რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორტანსპორტის მფლობელმა მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგად დაზიანდა ფიზიკური პირი. სადაზღვევო ანაზღაურება ცვალებადია და განისაზღვრება სხეულის დაზიანების ხარისხის შესაბამისად.

საქართველოს კანონი "პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საქონლო უზრუნველყოფის შესახებ" ითვალისწინებს პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით.

"სამედიცინო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს დაზღვევას როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობით ფორმას. ამ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის პროგრამას შეიმუშავებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველ-

ყოფის სამინისტრო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიას და სხვა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით. პროგრამას საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მუხლში გათვალისწინებულია პირის მოვალეობა – გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება. კერძოდ, 245-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ უძრავი ნივთის უზურფრუქტის დროს უზურფრუქტარი ვალდებულია უზურფრუქტის არსებობის მანძილზე დაზღვევის ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 691-ე მუხლის შესაბამისად, გამგზავნის მიერ საფრთხემეცველი ტვირთის გაგზავნისას ის ვალდებულია გადაზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი დაზღვივის ტვირთი. ასევე, ამ კოდექსის 734-ე მუხლი ითვალისწინებს ტვირთის დაზღვევის მოვალეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექსპედიტორი ამის თაობაზე მიიღებს შემკვეთისაგან მითითებას. განსაკუთრებული მითითებას არარსებობისას, ექსპედიტორი მოვალეა დაზღვივის ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობით.

სადაზღვეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სადაზღვეო ანაზღაურება ზორციელდება მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და სადაზღვეო შემთხვევის არსებობისას, ანუ სადაზღვეო რისკის – იმ საფრთხის დადგომის შედეგად, რომლისგანაც დაზღვეულია პიროვნება ან ქონება. "დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ი) პუნქტის შესაბამისად, სადაზღვეო რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობას და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ზდება დაზღვევა. ამ ნორმებიდან გამომდინარე, დაზღვევის რისკი, რომელიც კონკრეტულად უნდა მიუთითოს სადაზღვეო ხელშეკრულებაში, შესაძლოა დადგეს მომავალში და ის წინასწარ არ არის ცნობილი. სადაზღვეო ანაზღაურება ზორციელდება მხოლოდ მომავალში ამ შესაძლო სადაზღვეო შემთხვევის დადგომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ დამზღვევმა დროულად გადაიხადა სადაზღვეო პრემია, დადგენილი ვადის გასვლის შედეგად სადაზღვეო ხელშეკრულება შეიძლება ისე გაუქმდეს, რომ სადაზღვეო შემთხვევა არც კი დადგეს.

კანონით გათვალისწინებულია რისკების დაზღვევის ცნება, რომელიც გულისხმობს სადაზღვეო კომპანიის მიერ სადაზღვეო რისკების გადაზღვევას, რისთვისაც სადაზღვეო კომპანია გადაიხდის კომპანიას უხდის წინასწარ შეთანხმებულ საკომისიოს შესაბამისი რისკების ოდენობაში ლიმიტებში გადაზღვევისათვის. სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას, გადაიხდებიან კომპანია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, ანაზღაუროს შეთანხმებული თანხა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს გადაიხდებიან კომპანიები და მზღვეველები ახორციელებენ რისკის გადაზღვევას საერთაშორისო სადაზღვეო ბაზარზე.

ამრიგად, საქართველოში სადაზღვეო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით დადგენილია საკვალდებულო დაზღვევა, რომლის საფუძველზე დამზღვევისათვის დაზღვევის ხელშეკრულების მოკვალდების დავისრება საჯარო-სამართლებრივ ხასიათზე მიუთითებს. ყველა სხვა შემთხვევაში, დაზღვევა არის ნებაყოფლობითი, რის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები არის კერძო სამართლებრივი. ამასთან ერთად, ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ამ შემთხვევაში კი დამზღვევს უფლება აქვს ერთი და იმავე დაზღვევის ობიექტი დაზღვიოს, როგორც საკვალდებულო დაზღვევით, ისე ნებაყოფლობითი ფორმითაც.

საკონტროლო კითხვები:

1. დაზღვევის ცნება;
2. საქართველოში სადაზღვეო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების არსი;
3. დაზღვევის სახეები. ნებაყოფლობითი და საკვალდებულო დაზღვევა;
4. გადაზღვევის ცნება;
5. დაზღვევის ურთიერთობების მონაწილენი.

2. დაზღვევის ხელშეკრულების ცნება და დაზღვევის ზოგადი პირობები

დაზღვევის ხელშეკრულების ცნება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლში, რომლის თანახმად დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა დაზღვევს (ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან) აუნაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით. დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დაზღვევი კი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა (პრემია).

სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლით დადგენილია მზღვეველის მოვალეობა დაზღვევს ჩააბაროს ხელმოწერილი საბუთი, სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), ხელშეკრულების დადების შესახებ. სადაზღვევო პოლისის ცნება განმარტებულია კანონში "დაზღვევის შესახებ". სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამდასტურებელ საბუთს და დაზღვევს უფლება აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო თანხა. სადაზღვევო პოლისი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) ხელშეკრულების მხარეების ვინაობასა და მათ ადგილსამყოფელს (საცხოვრებელ ადგილს ან იურიდიულ მისამართს);
- ბ) დაზღვევის საგნისა და დაზღვეული პირის დასახელებას;
- გ) სადაზღვევო რისკის განსაზღვრას;
- დ) დაზღვევის დასაწყისს და ხანგრძლივობას;
- ე) სადაზღვევო თანხის ოდენობას;
- ვ) სადაზღვევო შესატანის მოცულობას, მისი გადახდის ადგილსა და ვადას.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე. ამასთან, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია ხუთ წელზე მეტი ვადით, ამ შემთხვევაში თითოეულ მხარეს, ანუ მზღვეველსა და დაზღვევს, შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამის შესახებ გაფორმებისთანავე სამი თვის გასვლის შემდეგ.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე, ანუ იურიდიული ფაქტის დადგომისას, რომლის საფუძველზე სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას, დაზღვევი მოვალეა ამის შესახებ აცნობოს მზღვეველს. ამასთან, კანონმდებლობით მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დაზღვევს მოსთხოვოს იურიდიული ფაქტის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) დადასტურების ცნობები. მზღვეველი ვალდებულია სრულად გადაიხადოს შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი, მყარად დადგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი იხდის სადაზღვევო თანხას ან ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მოქმედებას.

საქართველოში სადაზღვევო საწარმოების (კომპანიების) მუშაობის ანალიზით დადგენილია, რომ გარდა საკვალდებულო დაზღვევისა, ნებაყოფლობითი სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება, ძირითადად, ხორციელდება დაზღვევის შემდეგ ობიექტებზე:

- ავტორტანსპორტის ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც გულისხმობს ავტორტანსპორტის მფლობელის მიერ მის საკუთრებაში მყოფი ავტორტანსპორტის ნებაყოფლობით დაზღვევას – მანქანის ფიზიკურ ზიანსა თუ გატყვევებაზე ან მოარჩევაზე. ხელშეკრულებით დაზღვევის ამ პროდუქტს შეიძლება თან დაერთოს შესაბამისი მხარისადმი პასუხისმგებლობა, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, ეს ზიანი მიადგა სხვა პირის ქონებას, თუ ჯანმრთელობას. ამ სახის დაზღვევისას დგება შესაბამისი სადაზღვევო ლიმიტები, რომელსაც ირჩევს დაზღვევი პირიონება.

- დაზღვევის ხელშეკრულებით ტვირთების დაზღვევა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი პიროვნების ან იურიდიული პირის უფლებამოსილებას, დაზღვივის ის ტვირთი, რომელსაც ავზანის ან იღებს. დაზღვევა ხდება ყველა რისკისაგან ანუ ის ფიზიკური ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს დამზღვევის მიერ დაზღვეულ ტვირთის, ასევე ტვირთის მფარველის მიღებული ზიანიც.
- ჯანმრთელობის დაზღვევა. დაზღვეულმა პიროვნებამ შეიძლება აირჩიოს მისთვის სასურველი სადაზღვევეო პროდუქტი. სადაზღვევეო პროდუქტები განიხილება ერთმანეთისაგან სადაზღვევეო ანაზღაურების ფარგლებით და მომსახურების არეალით. არსებობს იაფფასიანი სადაზღვევეო პროდუქტები, რომელიც გულისხმობს მხოლოდ გადაადგებელი სასწრაფო დახმარების ხარჯების ანაზღაურებას და ძვირადღირებული სადაზღვევეო პროდუქტები, რომელიც გულისხმობს სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას.
- სამოგზაურო დაზღვევა. გულისხმობს სამოგზაუროდ წასული პირის საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას. ამ სახის დაზღვევა ასევე გულისხმობს რეპატრიაციის ხარჯებსაც, ანუ პიროვნების საზღვარგარეთ გარდაცვალების შემთხვევაში მისი ჩამოსვენების ხარჯების ანაზღაურებას.
- ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც გულისხმობს იურიდიული თუ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული ქონების დაზღვევას იმ რისკებზე, რომელიც მათ სურთ. სადაზღვევეო თანხის დადგენა ხდება საბაზრო ან აღდგენითი ღირებულებიდან დამზღვევასა და მზღვეველს შორის ურთიერთშეთანხმებით.
- სამშენებლო რისკების დაზღვევა, რომელიც შეიცავს სამშენებლო ობიექტზე არსებული მანქანა – დანადგარებისა და სამშენებლო მასალების მარაგის დაზღვევას ნებისმიერი შესაძლო რისკისაგან, ამ პროდუქტს თან ერთვის ზოლმე მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა, როდესაც კონკრეტული მშენებლობის მიმდინარეობისას დაზიანდა მესამე მხარის ქონება ან ფიზიკური ზიანი მიადგა კერძო პირს. ეს პროდუქტი არის ნებაყოფლობითი სახის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დაამკვეთი ორგანიზაციები ითხოვენ თავისი კონტრაქტორისაგან ამ სახის დაზღვევის არსებობას.
- გადაშიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეს დაზღვევა გულისხმობს გადაშიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევას დამკვეთის წინაშე, ანუ ტვირთის მფლობელის წინაშე. როგორც წესი, გადაშიდველი წლის დასაწყისში ირჩევს პასუხისმგებლობის იმ ლიმიტებს, რაზეც უნდა დაეზღვიოს და იხდის შესაბამის წლიურ სადაზღვევეო პრემიას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის თანახმად, დაზღვევს ეკისრება სადაზღვევეო შესატანი გადახდის ვალდებულება. ამასთან, დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევეო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის – სადაზღვევეო ხელშეკრულების, სადაზღვევეო პოლისის მიღების შემდეგ. მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შერულებისაგან, თუ პირველი ან ერთეკრადი სადაზღვევეო შესატანი დროულად არ იქნა გადახდილი. იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევეო შესატანი დამზღვევის მიერ დროულად არ არის გადახდილი, მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან უნდა მიითვლიოს იმ მზღვევი, რომელიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევეო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან დადგენილი პროცენტის გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან.

სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ სადაზღვევეო შესატანის არადროულად გადახდისათვის ხელშეკრულების მოშლის პირობებს. ამ ნორმით დადგენილია, რომ თუ დამზღვევემ თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევეო შესატანის თანხა, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და თუ ამ ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მზღვეველის მიერ არ იქნა გადახდილი, დამზღვევს შეუძლია მომალოს იგი.

ამავე დროს, კანონი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ სადაზღვევეო შესატანის გადახდის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვევა, რომ მზღვეველის ეკონომიური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ არსებობს სადაზღვევეო შემთხვევის დადგომისას მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობის რეალური საფრთხე, ანუ მას არ შეეძლება სადაზღვევეო ანაზღაურების გადახდა.

სადაზღვევო თანხის ოდენობის დადგენა ხდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად. როგორც წესი, ქონების დაზღვევისას სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს პირად საკუთრებაში არსებული ქონების დაზღვევისას მის საბაზრო ღირებულებას, იურიდიული პირის ქონების დაზღვევისას კი მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით დაზღვეული ქონება გასხვისდა, მაშინ დამზღვევის უფლებად და მოვალეობები იგივე სადაზღვევო თანხის გათვალისწინებით გადადის შემქმნე და ფაქტობრივად ის ხდება ამ ქონების მზღვეველი. კანონით განსაზღვრულია, რომ მზღვეველს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ. თუ შემქმნმა ან გამსხვიებელმა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან (თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა ორი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც ხელშეკრულების შესაბამისად მზღვეველს შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა).

კანონით განსაზღვრულია ასევე დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები ქონების გასხვისებისას. მზღვეველს უფლება აქვს სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს სადაზღვევო ურთიერთობა შემქმნელთან. ამასთან, მზღვეველი კარგავს ხელშეკრულების მოშლის უფლებას, თუ გასულია ერთთვიანი ვადა იმ მომენტიდან, როცა მას შეატყობინეს ქონების გასხვისების შესახებ.

შემქმნის უფლება აქვს მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება. ამის უფლება მას აქვს მხოლოდ დაუყოვნებლივ ქონების შექმნისას ან დაზღვევის მიმდინარე პერიოდის დამთავრებისას. ეს უფლება წყდება თუ შემქმნი შექმნიდან ერთი თვის ვადაში არ ისარგებლებს ამ უფლებით. იმ შემთხვევაში თუ შემქმნისათვის ცნობილი არ იყო შექმნილი ქონების დაზღვევის შესახებ, მაშინ ხელშეკრულების მოშლის უფლება ძალაში ერთი თვის გასვლამდე იმ მომენტიდან, როცა ქონების შემქმნმა შეიტყო ამ სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ. ამავე დროს, თუ დამზღვევის ხელშეკრულება მოიშალა ამ წესის შესაბამისად, მაშინ გამსხვიებელი მოვალეა მზღვეველს გადაუხადოს სადაზღვევის შესატანი, მაგრამ არა იმაზე მეტი, რაც დაზღვევის პერიოდში უნდა გადაეხადა, ხელშეკრულების მოშლის მომენტის ჩათვლით. ამ შემთხვევაში მზღვეველი პასუხს არ აგებს სადაზღვევო შესატანის გადახდაზე.

კანონმდებლობის შესაბამისად, პირადი დაზღვევისას სადაზღვევო თანხის ოდენობა არ არის შეზღუდული და იგი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით გონიურულ ფარგლებში, დამზღვევის ასაკისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

კანონით დადგენილია, რომ თუ სადაზღვევო თანხა მნიშვნელოვნად აღემატება დაზღვეული ინტერესის ანუ ობიექტის ღირებულებას (სადაზღვევო ღირებულება), მაშინ როგორც დამზღვევს, ისე მზღვეველს გადაჭარბებული დაზღვევის თაიდან აცილების მიზნით შეუძლიათ მოითხოვონ სადაზღვევო თანხის შემცირება სადაზღვევო შესატანის (პრემიის) დაუყოვნებლივ პროპორციულად შემცირებით. ასევე გათვალისწინებულია, რომ თუ დამზღვევი მართლსაწინააღმდეგო შემოსავლების მიღების მიზნით, წინასწარი განზრახვით დებს ხელშეკრულებას დაზღვევის გაზრდის თვალსაზრისით, მაშინ ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება. ხელშეკრულების ბათილობამდე მზღვეველისათვის გადახდილი შენატანები მას რჩება, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მზღვეველის წინასწარი განზრახვა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლების მიღების მიზნით ცნობილი არ იყო. კანონი აგრეთვე ადგენს, რომ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თუ დამზღვევმა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

კანონი ადგენს, რომ მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ის არ არის ვალდებული დამზღვევს გადაუხადოს წარმოშობილ ზიანზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას. ამავე დროს, თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

დამზღვევმა, რომელმაც დაზღვევის ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლად აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ეინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ მოცემუ-

ლი დაზღვევის ობიექტი ერთი და იმავე სადაზღვევო რისკისაგან რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული და სადაზღვევო თანხები ჯამში სადაზღვევო ღირებულებას და მთელ ზიანს აჭარბებს (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველები მივაღწეოთ არიან დაზღვევის წინაშე – როგორც სოლიდარული მოვალეობი – იმ თანხის ფარგლებში. რაც დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული. მაგრამ დამზღვევს უფლება არა აქვს მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ დამზღვევა გაფორმდა ორმაგი დაზღვევის ხელშეკრულება მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული, ბათილად ჩაითვლება.

შესაძლებელია დაზღვევის ხელშეკრულების დადება სხვა პირის სასარგებლოდ. დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ ისე, რომ ამ პირის დასახლება საეკონომიკო არ არის. ამ შემთხვევაში უფლებები, რომლებიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან, ეკუთვნის აღნიშნულ პირს. ამასთან, სადაზღვევო მოწმობის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ დამზღვევს. დაზღვეულ პირს შეუძლია თავისი უფლებებით ისარგებლოს დამზღვევთან შეთანხმების გარეშე და თავისი უფლებების დაცვა და განხორციელება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო მოწმობა მის ხელთაა.

კანონმდებლობით აგრეთვე დადგინებულია მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობები. მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საფუძველია მისი საწესდებო კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. მზღვეველი და სადაზღვევო ბროკერი ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს დაზღვევის სასელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები:

- ა) სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა (მათ შორის ფულადი ფორმით);
- ბ) სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების შექმნის წესი;
- გ) სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსებისა და ინვესტირების წესი;
- დ) აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;
- ე) მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა.

ამავე დროს, აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად, მზღვეველი სადაზღვევო შენატანების საფუძველზე ქმნის მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებისათვის აუცილებელ რეზერვებს. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ნუსხასა და მათი შექმნის წესს ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო რეზერვები, რომლებსაც ქმნის მზღვეველი, არ იბეგრება. სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ინვესტირების წესს განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

მზღვეველი, თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ვალდებულია დაიცვას ნორმატიული თანაფარდობა აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის. ამ თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდისა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მზღვეველის მიერ სადაზღვევო რეზერვების განთავსება უნდა განხორციელდეს დივერსიფიკაციის (საწარმოს განვითარების), დაბრუნებადობის, სარგებლიანობისა და ლიკვიდობის პირობებით. რეზერვების განთავსების დროს აუცილებელ თანაფარდობას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

საკონტროლო კითხვები:

1. დაზღვევის ხელშეკრულების არსი;
2. სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო რისკის ცნება;
3. საქართველოში დაზღვევის გავრცელებული ფორმები;
4. დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის პირობები;
5. ორმაგი დაზღვევის არსი;
6. მზღვეველის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობები.

თავი 11

სატრანსპორტო სამართალი

ამ თავში, განხილულია საქართველოს სატრანსპორტო სამართლის ზოგადი დებულებები, გაშუქებულია საერთაშორისო გადაზიდვების თავისებურებანი და მათი მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო კონვენციები.

1. საქართველოს სატრანსპორტო სამართლის ზოგადი დებულებები

სატრანსპორტო სამართალი მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა. მის სფეროში შედის: ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულებით წარმომადგენელი მხარეთა ურთიერთობები, გადაზიდვების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკითხები; გადაზიდვებზე ანგარიშსწორების წესები; ხელშეკრულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევაზე დაწესებული სანქციების გატარების წესები და ა.შ.

სატრანსპორტო სამართლის სუბიექტები არიან გადამზიდველები (რკინიგზა, საზღვაო და სამდინარო სახანოსნოები, საჰაერო და ავტოსატრანსპორტო საწარმოები), ტრანსპორტის სხვა ადმინისტრაციული სამეურნეო ქვლანაყოფები (სადგურები, პორტები, ნავსაყუდლები), კლიენტურა (ტვირთებისა და ფოსტის გამგზავნები, მიმღებები, მგზავრები), ტრანსპორტის სფეროს მართვის ორგანოები (სამინისტროები, დეპარტამენტები).

სატრანსპორტო სამართლის ნორმები ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (თავი XII, გადაზიდვა-გადაყვანა), საქართველოს კანონში სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ, საქართველოს კანონში საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ, საქართველოს საჰაერო კოდექსში, საქართველოს საზღვაო კოდექსში და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს გადაზიდვა-გადაყვანის საკითხებს. მისი 668-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე.

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზენდადების (ან სხვა დოკუმენტების) სახით. იგი უნდა გაფორმდეს სამ ცალად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი. პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი. თუ გადასაზიდი ტვირთი ნაწილდება რამდენიმე ტრანსპორტზე, ან საქმე ეხება სხვადასხვა სახის, ანდა პარტიკულ დაყოფილ ტვირთს, როგორც გამგზავნს ასევე გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს იმდენი ზენდადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტიც ან ტვირთის სახეობა გამოყენებული (სსკ-ის მუხლი 673).

სსკ-ში ჩამოყალიბებულია გამგზავნისა და გადამზიდველის პასუხისმგებლობა. გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ზარებისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად, ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი: მისი სახელი და მისამართი; ტვირთის გადაცემის დღე და ადგილი, ასევე ტვირთის მიტანის ადგილი; მიმღების სახელი და მისამართი; ტვირთის სახეობის ჩვეულებრივი სახელწოდება და შეფუთვის სახე; გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა, ნიშნები და ნომრები; ტვირთის წონა ან სხვაგვარად აღნიშნული რაოდენობა; გადაზიდვისათან დაკავშირებული ზარჯები; საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნები; საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე ზოგიერთი სხვა დამატებითი აღნიშვნა (სსკ-ის მუხლები 674-675).

გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მოღიანად ან ნაწილობრივ დაკარგვასა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე მიტანის ვადის გადაცილები-

სათვის (სსკ-ის მუხლი 686). სსკ-ში გათვალისწინებულია აგრეთვე ის სიტუაციები, როდესაც გადაზიდვები თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

საკონტრაქტო კითხვები:

1. რა შედის სატრანსპორტო სამართლის სფეროში?
2. სატრანსპორტო სამართლის რა საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი?

2. საერთაშორისო გადაზიდვების ცნება და სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო გადაზიდვები, ჩვეულებრივ, ზორციელდება სხვადასხვა ქვეყნის გადაზიდვათა მიერ, ცალკეული სახელმწიფოსა და კომპანიის კუთვნილებაში მყოფი სატრანსპორტო სისტემების გამოყენებით.

ერთი სახის ტრანსპორტით განხორციელებულ საერთაშორისო გადაზიდვებს პირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლა ეწოდება, ხოლო ორი ან მეტი სახის ტრანსპორტის გამოყენებისას – შერეული ანუ კომბინირებული მიმოსვლა. თუ შერეული გადაზიდვები გაფორმებულია ერთი (გამქოლი) სატრანსპორტო დოკუმენტით, მას პირდაპირი შერეული მიმოსვლა ეწოდება.

“საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერაციის ცნება” ვიწრო და ფართო გაგებით იხმარება. ვიწრო გაგებით მასში იგულისხმება ტვირთების გადაზიდვა წარმოების ადგილიდან გამოდევნილი სახელმწიფოს სასაზღვრო პუნქტამდე (პორტამდე), შემდეგ საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვა გამოდევნილის ქვეყნის სასაზღვრო პუნქტიდან (პორტიდან) შეიძველი ქვეყნის (თუ პარტნიორ ქვეყნებს საერთო სახმელეთო საზღვარი არ გააჩნიათ) სასაზღვრო პუნქტამდე (პორტამდე) და შეიძველის ქვეყნის სასაზღვრო პუნქტიდან (პორტიდან) საქონლის ქვეყნისშიგა გამოყენების ადგილამდე მიტანა. სატრანსპორტო ოპერაცია ითვლება საერთაშორისოდ, თუ ტვირთების მოძრაობა ზორციელდება გამოდევნილი და შეიძველი ქვეყნებისათვის უცხო ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში ტვირთების გამზავნი და მიმღები მხარეების ერთმანეთთან და გადაზიდვებთან დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობანი საერთაშორისო ხასიათს ატარებს.

საერთაშორისო გადაზიდვების კლასიფიკაცია წარმოებს სხვადასხვა ნიშნით: ტრანსპორტის სახე (საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, რკინიგზის, საუტომობილო, მილსადენების), სატრანსპორტო ოპერაციების საგანი (ტვირთი, მგზავრი), საქონლის სატრანსპორტო მასხაითებლები (გენერალური, მასური. ჩამოსასხმელი, გაზისებრი), პერიოდულობა (სახაზო, ტრამპული ნაოსნობა, რეგულარული საჰაერო მიმოსვლა, ჩარტერული გადაზიდვები), საზღვრის გადაკვეთის წესი (გადასატვირთი, სატრანზიტო), სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემა (აკეტური, კონტეინერული, ლიხტერზომიდავი, საბორნო, საბუქსირო კარჭანი, “მდინარე-ზღვა” ნაოსნობა), მიმოსვლის სახე (პირდაპირი, თანმიმდევრული გადაზიდვების მიერ), სარეჟიმო ტვირთების განსაკუთრებული პირობები (მალფუჭებადი, საშიში, მძიმეწონიანი, არაგაბარიტული და სხვ.).

საერთაშორისო გადაზიდვებში ყველაზე ფართოდ გამოიყენება საზღვაო ტრანსპორტი, ამიტომ ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ორგანიზაციული ფორმები და ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტები კარგადაა განვითარებული.

საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები ზორციელდება ორი ტიპის ხელშეკრულების – ჩარტერებისა და კონოსამენტის საფუძველზე. პირველი დამახასიათებელია არარეგულარული ანუ ტრამპული გადაზიდვებისათვის, ხოლო მეორე – რეგულარული ანუ საზური გადაზიდვებისათვის.

ჩარტერები ხელშეკრულებათა თავისუფლების პრინციპზეა დამყარებული. ამიტომ გვემის მფლობელს დამფრანტავიან შეთანხმებით შეუძლია შეცვალოს თავისი, როგორც გადაზიდვის ჩვეულებრივი პასუხისმგებლობა რაიმე შეზღუდვების გარეშე იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც კანონსწინააღმდეგო არაა.

ჩანართებში აისახება გადაზიდვის (გვემის გამქირავებლის ანუ ფრანტით გამქემის) და ტვირთის გამგზავნის (დამფრანტავის) ვალდებულებები. გადაზიდვაი კისრულობს კონტრაქტით განსაზღვრულ ადგილზე ტვირთის ჩატანას და დაუზიანებლად დამფრანტავისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბა-

რებას, ხოლო ტვირთის გამგზავნი ვალდებულია დადგინდეს ვადაში მიაწოდოს ტვირთი გემზე ჩასატვირთად, ანაზღაუროს გადაზიდვა (ტარიფი, ფრახტი) და დანიშნულების პუნქტში ტვირთი მიიღოს გემიდან. ხელშეკრულებაში უნდა დაითქვას ტვირთის ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და გადატვირთვის პირობები, მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და ქასუხისმგებლობათა ფარგლები სხვადასხვა სიტუაციაში (ტრანსპორტირების, ანაზღაურების, უთანხმოების დროს).

საერთაშორისო საზაზო ნაოსნობაში გადაზიდვა ფორმდება კონოსამენტიის საფუძველზე. კონოსამენტი, ფაქტობრივად, გემის მფლობელის მიერ ტვირთის მიღების დამადასტურებელი ქვითარია, რომელშიც გამოტვირთულია ხელშეკრულების პირობები.

საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს კონკრეტულ გადაზიდვამდე. ამ შემთხვევაში გემთმფლობელი მთლიანად ინარჩუნებს გემზე კონტროლის უფლებას, ამიტომ ჩარტერში უნდა დადგინდეს რეისის ყველა პირობა და ერთეული ტვირთის გადაზიდვის განაკვეთი ან ფრახტის მთლიანი თანხა. კონკრეტული გადაზიდვის ხელშეკრულებაში გემთმფლობელი გადაზიდვითა, ამიტომ იგი ეწევა კომერციულ რისკსა და ქასუხს ავტის ტვირთის დატყულობაზე.

კონკრეტული გადაზიდვა შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ რეისს, ან რამდენიმე თანამიმდევრულ რეისს, ამიტომ ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს მათი რაოდენობა. რამდენიმე რეისის შემთხვევაში საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება (ჩარტერი) გამოიწერება ყოველ რეისზე ერთნაირი კომერციულ-სამართლებრივი პირობების შენარჩუნებით. ხელშეკრულების განსაზღვრული ვადის განმავლობაში დამფრახტავთან შეუთანხმებლად გემთმფლობელს გემზე სხვა ტვირთმფლობელთა ტვირთების გადაზიდვის უფლება არ აქვს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი უკან ცარიელი ბრუნდება.

კონოსამენტი საჭიროებს გაცემაზე: სახელმძიბოთი კონოსამენტიის შემთხვევაში – იმ პირზე, ვისზედაცაა გამოწერილი კონოსამენტი; საორდერი კონოსამენტი – პირზე, რომლის სახელზეა ინდოსირებული კონოსამენტი; წარმომდგენზე გამოწერილი კონოსამენტი – პირზე, რომელიც წარადგენს კონოსამენტს. იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის მიმღები კონოსამენტით ყიდის საჭიროის პარტიის ნაწილს ან, როდესაც საჭიროის პარტიას ერთდროულად რამდენიმე მყიდველი ჰყავს, კონოსამენტი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად და ყოველ მყიდველს გამოეწეროს წილობრივი კონოსამენტი ანუ დელივერი-ორდერი, რომლის საფუძველზეც ყოველ მყიდველს შეუძლია ტვირთის შესაბამისი ნაწილის მიღება. გადაზიდვის, აგრეთვე ტვირთმფლობელის მიერ გაცემული და გემის კაპიტნის მიერ დამოწმებული დელივერი-ორდერი საქონელვანამკარგულებითი დოკუმენტია.

კონოსამენტის განსაკუთრებული სახეა პირდაპირი ანუ გამჭოლი კონოსამენტი, რომელიც ადასტურებს ერთი ადგილიდან მეორეში ცალკეულ ეტაპად სხვადასხვა სახის ტრანსპორტი, გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობას, რომელშიც ერთი ეტაპი მაინც საზღვაო გადაზიდვაა. ასეთი კონოსამენტი გამოირიცხავს რამდენიმე გადაზიდვითან ხელშეკრულების გაფორმების აუცილობარს. გამჭოლი კონოსამენტის გამოწერისას ტვირთის გამგზავნის საქმე აქვს მხოლოდ კონოსამენტის ხელმოწერის გადაზიდვითან, რომელიც კისრულობს დანიშნულების ადგილამდე ტვირთის ტრანსპორტირების ორგანიზაციას. ე.ი. გამჭოლი კონოსამენტი გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც დანიშნულების პორტამდე საჭიროის მოსაწოდებლად შუალედურ პუნქტში საჭიროა მისი სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვა. გზაში გადატვირთვის სამუშაოების განხორციელება და ანაზღაურება შედის გემთმფლობელის მოვალეობაში.

კონოსამენტები, ჩვეულებრივ, გამოიწერება სამ და მეტ ეგზემპლარად. ყოველ მათგანს აქვს ერთი და იგივე შინაარსი და თარიღი. კონოსამენტის ერთი ეგზემპლარი განკუთვნილია ტვირთის გამგზავნისათვის და ექსპედიტორისათვის, ერთი ტვირთის მიმღებისა და ერთი გემთმფლობელისათვის. კონოსამენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია და მათზე უნდა იყოს დასმული შტამი “ორიგინალი”. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ორიგინალების აღნიშვნა რიგითი ნომრებით: პირველი, მეორე, მესამე. კონოსამენტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოწერილი ეგზემპლარების რაოდენობა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს საქონელვანამკარგულებითი დოკუმენტი. ერთ-ერთი ორიგინალი-ეგზემპლარით ტვირთის გაცემისას დანარჩენები ძალას კარგავს.

ორიგინალების გარდა, შეიძლება გამოიწეროს კონოსამენტების ასლების საჭირო რაოდენობა. ასლებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. ისინი ჩვეულებრივ გამოიყენება: კაპიტნის (ჩატვირთული და გადმოტვირთული ტვირთების შესამოწმებლად), გემის აგენტის, პორტის ადმინისტრაციის, საბაჟო ორგანოების, სატ-

რანსპორტო-საექსპედიციო ფირმის და სხვათა მიერ. კონოსამენტის ასლს უნდა ჰქონდეს შტამში “ასლი” ან იგი დაბეჭდილი უნდა იყოს ორიგინალისაგან განსხვავებულ ქაღალდზე. ასლების რაოდენობა კონოსამენტში ნაჩვენებია ვგზემპლარების რიცხვში არ შედის.

კომბინირებული გადაზიდვის კონოსამენტი გადაზიდვის საბრუნაეი ან არასაბრუნაეი გამჭოლი სატრანსპორტო დოკუმენტია, რომლის პირობებით მისი გამკემა მხარე უშუალოდ ტვირთის მფლობელის წინაშე კისრულობს ტვირთსა და გადაზიდვის ხელშეკრულებაზე პასუხისმგებლობას. იგი გაიცემა ექსპედიტორზე, ამიტომ იურიდიული თვალსაზრისით არაა კონოსამენტი და ყველა გარიგებაში, რომელშიც კონკრეტულადაა საჭირო კონოსამენტის გაცემა (მაგალითად, სასაქონლო აკრედიტაციის გახსნისას), ამგვარი დოკუმენტის გამოყენება არ შეიძლება. ამასთან, მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დოკუმენტის გაცემა კონკრეტულადაა გათვალისწინებული.

კონოსამენტის კიდზე ჩვეულებრივ მოცემულია საქონლის აღწერა, რომელიც ამ დოკუმენტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. ტვირთის მიმღები ან კონოსამენტის ინდოსატი საქონლის ფასს იხდის გემის მფლობელის მიერ კონოსამენტში მოყვანილი მახასიათებლების საფუძველზე, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ საქონლის ზარისხისა და რაოდენობის შემოწმება მისი დათვალიერების გზით. სწორედ ამიტომ საუკურო წეს-ჩვეულებებით კონოსამენტის ფლობა საქონლის ფლობის ეკვივალენტურია, ხოლო კონოსამენტის გადაცემა საქონლის გადაცემის შედეგის ანალოგურია.

კონოსამენტის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია 1924 წელს მიღებული ბრიუსელის კონვენციით „კონოსამენტის უნიფიკაციის ზოგიერთი წესის შესახებ (ე.წ. პაავის წესები)“. 1968 წელს ბრიუსელის ოქმით ამ კონვენციაში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება. პაავის წესებში ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს ტვირთებზე საზღვაო პასუხისმგებლობის საკითხებს. 1924 წლის ბრიუსელის კონვენციის ზოგიერთი დებულების კრიტიკის გათვალისწინებით, 1978 წელს მიღებულია გაეროს კონვენცია ტვირთების საზღვაო გადაზიდვის შესახებ, რომელიც ცნობილია ჰამბურგის წესების სახელწოდებით. ეს კონვენცია მოქმედებაშია 1992 წლიდან.

ჰამბურგის წესების თანახმად, საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება აღნიშნავს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად გადაამზიდავი ფრანტის გადახდით კისრულობს ზღვით ტვირთის გადაზიდვას ერთი პორტიდან მეორემდე, მაგრამ ზღვით გადაზიდვის, აგრეთვე რომელიმე სხვა სახის გადაზიდვის მომკველი ხელშეკრულება ამ კონვენციის მიზნისათვის განიხილება, როგორც საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება იმ დონით, როგორითაც იგი მიეკუთვნება საზღვაო გადაზიდვას. გაეროს კონვენცია ტვირთების საზღვაო გადაზიდვის შესახებ შედგება 7 ნაწილისა და 34 მუხლისაგან.

1. ზოგადი დებულებები;
2. გადაამზიდავის პასუხისმგებლობა;
3. ტვირთის გამგზავნის პასუხისმგებლობა,
4. სატრანსპორტო დოკუმენტები;
5. მოთხოვნები და სარჩელები;
6. დამატებითი ღირებულებები;
7. დასკვნითი დებულებები.

მგზავრებისა და ბარგის საზღვაო გადაყვანა-გადაზიდვა რეგულირდება ათენის კონვენციით მგზავრების, მათი ბარგის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ხელბარგის გადაზიდვების შესახებ.

საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (International Maritime Organization – IMO), რომელიც დაფუძნებულია 1958 წელს გაეროს მიერ 1948 წელს შემუშავებული კონვენციის საფუძველზე. ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია 40-ზე მეტი კონვენცია (ზღვაზე უსაფრთხოების, ზღვის დაბინძურების და სხვა საკითხებზე).

საავიაციო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანის საკითხები რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომელთა შორის ძირითადია:

- 1929 წლის ვარშავის კონვენცია საპაერო გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ, რომელშიც შემდგომ შეტანილია ცვლილებები 1955 წლის პაგის, 1971 წლის გვატე-მალისა და 1975 წლის მონრეალის ოქმების საფუძველზე;
- ჩიკაგოს 1944 წლის კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, რომელიც ძალაშია 1974 წლის 4 აპრილიდან;
- 1961 წლის ვადალპარის კონვენცია იმ პირების მიერ განხორციელებული საპაერო გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ, რომელიც ხელშეკრულებით არ არიან გადაზიდვები;
- 1952 წლის რომის კონვენცია ზედაპირზე მესამე პირებისათვის უცხოური საპაერო ზომალდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;
- 1963 წლის ტოკიოს კონვენცია საპაერო ზომალდის პორტზე განხორციელებული სამართალდარღვევათა და ზოგიერთი სხვა ქმედების შესახებ;
- კონვენცია საპაერო ზომალდზე უფლებების საერთაშორისო აღიარების, მათი დაპატიმრებისა და იძულებითი გაყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად.

საერთაშორისო საპაერო მიმოსვლის სფეროში მრავალმხრივი რეგულირების სხვა შეთანხმებებს მიეკუთვნება შეთანხმება საერთაშორისო საპაერო ხაზებით ტრანზიტის შესახებ და შეთანხმება საერთაშორისო საპაერო ტრანსპორტის შესახებ. ორივე შეთანხმება ხელმოწერილია 1944 წელს ჩიკაგოში. ამ შეთანხმებების საფუძველზე სახელმწიფოები ერთმანეთს აძლევენ თავიანთ საპაერო სივრცეში სამოქალაქო თვითმფრინავების რეგულარული ფრენის უფლებას. ის სახელმწიფოები, რომელთაც არ მოაწერეს ამ შეთანხმებებს, ერთმანეთის ტერიტორიაზე რეგულარული საპაერო რეისების შესრულების შესაძლებლობას აძლევენ ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

საერთაშორისო ფრენად ითვლება ნებისმიერი ფრენა, რომლის დროსაც საპაერო ზომალდი კეთს ორი ქვეყნის საზღვარს, ხოლო საერთაშორისო საპაერო გადაზიდვა საპაერო ზომალდით განხორციელებული ნებისმიერი გადაზიდვა, რომლის დროსაც იმისდა მიუხედავად, ადგილი ჰქონდა თუ არა გადატვირთვის ან ფრენის შეწყვეტას, გაგზავნისა და დანიშნულების ადგილები განლაგებულია:

ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ერთი და იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ გაჩერება გათვალისწინებულია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო საპაერო ფრენები შეიძლება იყოს რეგულარული და არარეგულარული სახის.

რეგულარულ საპაერო რეისებს მიეკუთვნება გამოქვეყნებული განრიგის საფუძველზე ხელშეკრულებით ავიახაზებზე განხორციელებული რეისები. განრიგში უთითებენ ფრენის მარშრუტს, დაჯდომის შუალედურ პუნქტს, მარშრუტის ყოველ პუნქტში თვითმფრინავის გაფრენისა და მოფრენის დროს, ფრენის სიხშირეს, თვითმფრინავის ტიპს. რეგულარული რეისების ამ პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ხელშეკრული სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

რეგულარულ საპაერო რეისებს არეგულარულებს ვარშავის კონვენცია. რეგულარული ავიაგადაზიდვების ანაზღაურება წარმოებს გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი საერთაშორისო საპაერო ტარიფებით. ეს ტარიფები შეიძლება იყოს სამგზავრო, საპარგო და სატვირთო.

საავიაციო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვისას გამოიყენება გადაზიდვის დოკუმენტი, რომელსაც ვარშავის კონვენციის პირვანდელი რედაქციით ავიასატრანსპორტო დოკუმენტი ეწოდებოდა, ხოლო კონვენციის შესწორებულ რედაქციაში მას ავიაზედაზიდვები ეწოდება. გადაზიდვას უფლება აქვს ტვირთის გამგზავნისაგან ყოველ საფუთავზე ცალ-ცალკე მოითხოვოს ავიაზედაზიდვები.

ყოველი ავიასატრანსპორტო დოკუმენტი უნდა შეიცოს სამ ორიგინალ-ვებზემპლარად და ჩაბარდეს ტვირთთან ერთად. პირველი ვებზემპლარი განკუთვნილია გადაზიდვისათვის და მას ხელს აწერს ტვირთის გამგზავნი, მეორე – ტვირთის მიმღებისათვის. იგი ხელმოწერილია ტვირთის გამგზავნის მიერ და თან ახლავს ტვირთს, ხოლო მესამეს ხელს აწერს გადაზიდვაში და აბარებს ტვირთის გამგზავნს გადაზიდვი-

სათვის ტვირთის მიღების შემდეგ. ტვირთის გამგზავნის მოვალეობაში შედის იმ დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც საჭიროა საბაჟო და სხვა კონტროლისათვის. ამასთან, ეს უნდა მოხდეს ტვირთის მიმღებისათვის მის ჩაბარებამდე. გარდა ამისა, ტვირთის გამგზავნი პასუხისმგებელია გადაამზადავს წინაშე არასწორი ინფორმაციის ან დოკუმენტების, ან მათი უზიარობის შედეგად მიღებულ ზარალზე. ტვირთის გამგზავნის ასეთი პასუხისმგებლობა ვრცელდება ავიასატრანსპორტო დოკუმენტებში შეტანილ განცხადებაზეც. თუ გადაამზადეი დოკუმენტს აშხადებს ტვირთის გამგზავნის თხოვნით, მან ეს საქმე უნდა შეასრულოს როგორც ავტომატურად.

გადაამზადეი კარგავს კონვენციით გათვალისწინებული მისი პასუხისმგებლობის შესახებ დებულებათა გამოყენების შესაძლებლობას ტვირთის ავიასატრანსპორტო დოკუმენტის გარეშე მიღებისას ან, როდესაც მასში არაა ასახული ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი მონაცემები: 1. ავიადოკუმენტის შედგენის ადგილი და თარიღი; 2. გამგზავნისა და მიწოდების ადგილი; 3. გაწერების შეთანხმებული ადგილები (საჭიროების შემთხვევაში გადაამზადეი შეუძლია მათი შეცვლა); 4. ტვირთის გამგზავნის გვარი და მისამართი; 5. გადაამზადეის გვარი და მისამართი; 6. ტვირთის მიმღების გვარი და მისამართი, "თუ ამას მოითხოვს გარემოება"; 7. ტვირთის ხასიათი; 8. ადგილების რაოდენობა, შეფუთვის მეთოდი, მარკირების თავისებურებანი ან ადგილების ნომრები; 9. საჭიროების წონა, რაოდენობა, მოცულობა ან ზომები; 10. განცხადება იმის შესახებ, რომ გადაამზადეი ზორციელდება კონვენციით დადგენილ პასუხისმგებლობის წესებით.

ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს საბაჟო გადახდეები ზორციელდება არასაკონვენციო წესებით და ეს პირობები აღინიშნება ხელშეკრულებაში. არასაკონვენციო პირობებით გათვალისწინებული გადაამზადეია პასუხისმგებლობის ძირითადი სისტემა არ განსხვავდება კონვენციის გადასინჯული ვარიანტის პირობებისაგან, მაგრამ მასში არაა დებულება გადასახიდი დოკუმენტების, აგრეთვე ტვირთის გამგზავნითა და მიმღებთა განსაკუთრებული უფლებების შესახებ.

საერთაშორისო ავიაგადახდეებში გამოიყენება საავიაციო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის IATA-ს წევრების მიერ შემუშავებული სატვირთო ავიაგადახდეების წესები. ამ ასოციაციაში შემავალი ქვეყნები იყენებენ ავიაზღანდების ბლანკსა და ხელშეკრულების შესაბამის პირობებს, რომელთა უკუმხარეზე დაბეჭდილია ზღანდების სამი ასლი-ორიგინალი. ასეთ დოკუმენტებს იყენებენ IATA -ში შემავალ ქვეყნებთან ურთიერთობებში მყოფი ქვეყნები, აგრეთვე ის ქვეყნები, რომელთაც სურთ თავიანთ საქმიანობაში ამ ორგანიზაციის მიერ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა.

არარეგულარული ავიაგადახდეები ზორციელდება ერთჯერადი ფრენის განზორციელებაზე მიღებული ნებართვების საფუძველზე. მათი რეგულირება წარმოებს გვადალაპარის კონვენციის საფუძველზე. არარეგულარული ავიაგადახდეები შეიძლება იყოს დამატებითი, სპეციალური და ჩარტერული. დამატებითი რეისები სრულდება რეგულარულ ზაზებზე, მაგრამ განსაკუთრებული განრიგით, სპეციალური - როგორც რეგულარულ ზაზებზე, ისე განსაკუთრებულ მარშრუტებზე (როგორც წესი, მათზე ნებართვა გაიცემა დიპლომატიური არხებით), ჩარტერული - გადაამზადეისა და შეკვეთს შორის სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე.

სახმელეთო გადახდეებში გამოიყენება რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტი. საერთაშორისო სარკინიგზო და საავტომობილო გადახდეები რეგულირდება ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ ყველაზე უნივერსალური, მრავალმხრივი შეთანხმებებს მიეკუთვნება ბერნის კონვენცია ტვირთების გადახდეების შესახებ. პირველად იგი დაიდო XIX საუკუნის ბოლოს ევროპის რამდენიმე ქვეყანას შორის და შემდგომ არა ერთხელ გადასინჯა. ამჟამად მოქმედებს ბერნის 1980 წლის 9 მაისის ერთიანი კონვენცია საერთაშორისო სარკინიგზო გადახდეების შესახებ (COTIF), რომელსაც თან ახლავს 1961 წლის 25 თებერვალის მიღებული ერთიანი წესები რკინიგზით საერთაშორისო გადახდეების ხელშეკრულების შესახებ (CIM)

რკინიგზით გამგზავნილ საკონტაინერო ფორმებას სარკინიგზო სატვირთო ზღანდები. რკინიგზის მსახურნი ტვირთის მიმღებს საჭიროებს აბარებენ მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენით. საკონტაინერზე კონტროლის უფლება შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს ექსპორტორს, ავიასატრანსპორტო ზღანდების გამოყენების ანალოგიურად.

საერთაშორისო საავტომობილო გადახდეებში გამოიყენება 1956 წლის 19 მაისს ყენევაში ხელმოწერილი კონვენცია საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადახდეების შესახებ

(CMP), აგრეთვე ევროპული შეთანხმება სამიში ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ.

ევროპის ქვეყნებში საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლებში საბაჟო პროცედურის გამარტივების მიზნით, 1959 წელს დაიდო კონვენცია TIR წიგნაკის საფუძველზე ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ, რომლის ახალი რედაქცია მიღებულია 1975 წლის 14 ნოემბერს. TIR წიგნაკი გაიცემა საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირში შემავალი და საბაჟო ხელისუფლებით უფლებამოსილი გარანტიის გამცემი ასოციაციის მიერ.

სატრანსპორტო საშუალებები ილუქება გამგზავნის საბაჟოში და სატრანსპორტო საბაჟოებში მისი შემოწმება აღარ წარმოებს. TIR წიგნაკს ადგენენ ყოველი სატრანსპორტო საშუალებისათვის ან კონტეინერისათვის. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ერთი გადაზიდვისათვის. TIR წიგნაკი შედგება ერთი მწკანე და 6, 14 (ორზე მეტი საზღურის გადაკვეთისას) ან 20 (6-ზე მეტი საზღურის გადაკვეთისას) წველი (აქტი კნტი და ლუწი ნომრები) თითო მოსახვეი ფურცლებისაგან. პირველი ნაწილი ტვირთის მანიფესტია, რომელშიც აღწერილია გადასაზიდი საქონელი, მეორე – მოწმობა-სერტიფიკატი, რომელშიც მითითებულია გადაზიდვის პირობები და მარშრუტი, დადებული ლუქები ან ამოსაცნობი ნიშნები.

ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს ზედნადებით, მაგრამ მისი არარსებობის ან დეფექტის შემთხვევაში ხელშეკრულების უტყუარობა ეჭვს არ იწვევს. ზედნადები გაიცემა სამ ეგზემპლარად. პირველს აბარებენ გამგზავნს, მეორე თან ახლავს საქონელს და მესამე რჩება გადაზიდავს. სხვადასხვა სახის საქონლის გადაზიდვისას ან მისი პარტიებად დაყოფითა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისას გამოიდეველს ან გადაზიდავს უფლება აქვს მოითხოვოს ტვირთის ყოველ სახეზე, პარტიაზე ან ყოველ სატრანსპორტო საშუალებაზე ცალკე გამოწერილი ზედნადები. საავტომობილო ზედნადები არ ითვლება საბრუნავ ან საქონელგანმკარგულებელ დოკუმენტად.

საერთაშორისო გადაზიდვებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები, რომელთა საფუძველზე განისაზღვრება საქონლის ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებები საქონელბრუნვის სხვადასხვა ეტაპზე (მიმწოდებლის საწყობიდან მიმღების საწყობამდე), აგრეთვე გამოიდეველსა და მყიდველს შორის სატრანსპორტო და სხვა თანამდევი ხარჯების განაწილების წესი, რისკის გადაკემის მომენტი და პასუხისმგებლობა გადაზიდვის დროს საქონლის განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში.

საკონტროლო კითხვები

1. რა შემთხვევაში აქვს გადაზიდავს საერთაშორისო ხასიათი?
2. რა სახის ჩარტრები გამოიყენება საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებში?
3. რა სახის კონოსამენტები გამოიყენება საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებში და როგორ ხდება მათი რეგულირება?
4. რომელი კონვენციები არეგულირებენ საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებს?
5. რომელი კონვენციები არეგულირებენ საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებს?
6. რომელი კონვენციები არეგულირებენ საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვებს?
7. რომელი კონვენციები არეგულირებენ საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებს?

თავი 12

საქართველოს მიწის სამართალი

წინამდებარე თავში განხილულია ყველა ის ძირითადი, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც უკანასკნელ წლებში მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ და მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს.

1. მიწის სამართლის არსი და ცნება, მიწის საკუთრებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება

მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. მიწის რესურსების განსაზღვრულობა, შეუნაცვლადობა, მოსახლეობის ყოველწლიური მატება, მატერიალური წარმოების განუწყვეტელი ზრდა განსაზღვრავს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია, საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფის ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც მყარ სამართლებრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს და წარმოიშობა მიწის გამოყენებისა და დაცვის, მისი განაწილების-გადაანაწილების ახალ პირობებში.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა სამართლებრივმა რეფორმამ მიწის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ რადიკალურად შეცვალა საადგილმამულო ურთიერთობა. საქართველოს მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცათ როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ახლებურად წარმოჩნდა მიწების მართვის, რეგისტრაციის, იჯარით გაცემის, ყიდვა-გაყიდვის და ა.შ. საკითხები, რამაც წინა პლანზე წამოსწია სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა.

ფუნქციები, რომელსაც მიწა ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში ასრულებს, განაპირობებს მიწასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებას, ამასთან ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მიწის სამართალს, როგორც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის მრავალმხრივ და რთულ მოვლენას, გააჩნია ჩამოყალიბებული სისტემა, რომელსაც დამოუკიდებელი ადგილი უკავია სამართლის საერთო სისტემაში. მის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საადგილმამულო ურთიერთობათა სუბიექტების ქცევის ნორმებია.

სამართლებრივი ნორმები ერთგვარობების მიხედვით ჯგუფდება გარკვეულ რგოლში და ქმნის სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც არეგულირებს არა ცალკეულ მოქმედებას, არამედ მთელი საადგილმამულო ურთიერთობების ერთგვაროვან საქმიანობას. მაგალითად, საიჯარო ურთიერთობათა სამართლებრივი ინსტიტუტი არეგულირებს მიწის იჯარით გაცემის წესს, იჯარის პირობებს, შეიჯარისა და მოიჯარის უფლება-მოვალეობებს.

მიწის სამართლის ზოგადი ნაწილი შედგება საერთო და სპეციალური ნაწილებისაგან. საერთო ნაწილის შემადგენელი სამართლებრივი ინსტიტუტებია: მიწათსაკუთრების, მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის, მიწის მართვის და მიწების გამოყოფის უფლება. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორცაა მიწათმოწყობა, მიწების კონტროლი, მიწის სამართლებრივი დაცვა, რეგულტივაცია, მიწების ნაყოფიერების ამაღლება.

სპეციალური ნაწილის სამართლებრივი ინსტიტუტებია: მიწის ფონდის ცალკეული კატეგორიების დადგენა, მიწების გამოყენების ფორმა (მეურნეობა, კოოპერატივი, ფირმა, გლეხური მეურნეობა და ა.შ.). ასევე

ამ ნაწილში შედის მიწის მესაკუთრის, მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელისა და მიწის იჯარის სამართლებრივი ინსტიტუტები და ის ინსტიტუტები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწების სხვადასხვა კატეგორიის გამოყენებისა და დაცვის უფლებრივ რეჟიმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის სამართლის ზოგიერთი პრინციპის ფორმულირება ასე შეიძლება:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრიორიტეტი სხვა მიწათმოსარგებლეთა კატეგორიებთან შედარებით, რაც განაპირობებელია მიწის სავარგულების მნიშვნელობით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკმარის. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, სადაც ერთ სულ მოსახლეზე 0,15 ჰექტარი სახნავი მიწის, ხოლო მიწის სავარგულების სტრუქტურაში სახნავს მხოლოდ 10,4 პროცენტი, მრავალწლიან ნარგავებს კი – 3,5 პროცენტი უკავია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით კი ინტენსიური სავარგულების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა.
2. ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც მიწების გამოყენების მეთოდების და წესების შერჩევის საფუძველი.
3. მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება. მიწები გამოყენებულ უნდა იქნეს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რა დანიშნულებითაც გამოყოფილია ის სუბიექტს.
4. ბუნებადაცვითი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა ორგანიზაციებზე გაწეული შეღავათები, როდესაც სახელმწიფო უარს აცხადებს გარკვეული ორგანიზაციებიდან მიწის გადასახადის ამოღებაზე.
5. საქართველოში მიწის მესაკუთრედ გვევლინებათ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ფიზიკური პირები, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ყველა კონკრეტულ მიწის ნაკვეთს ერთი მესაკუთრე ჰყავდეს.

სახელმწიფო, როგორც მიწის უზენაესი მესაკუთრე, კონტროლს ახორციელებს მიწების გამოყენებასა და დაცვაზე, არეგულირებს მიწასთან დაკავშირებულ დავებს. ამასთან ერთად, სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს მიწების რაციონალურად გამოყენებასა და დაცვას, კერძოდ:

1. მიწების აღრიცხვას, მონიტორინგს, კარტოგრაფირებას, მიწათმოწყობისა და ტყეთმოწყობის სამუშაოებს;
2. სახელმწიფო მიწის კადასტრის შედგენას;
3. მიწების მართვას, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი სამსახურების მიერ;
4. კონტროლს მიწების გამოყენებაზე;
5. საადგილმამული დავების მართლმსაჯულების უზრუნველყოფას.

როგორც აღვნიშნეთ, მიწის სამართლის საჯანო საადგილმამული ურთიერთობები, რომლებიც წარმოადგენილია ქონებრივი და მმართველობითი ურთიერთობების კომპლექსით. მიწის სამართლის საგნის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ერთი მხრივ მიწა ქონებაა და რეგულირდება სამოქალაქო და საადგილმამული კანონმდებლობით, მეორე მხრივ კი მიწა როგორც სახელმწიფოს უფლებამოსილების ობიექტი, საადგილმამული ურთიერთობათა დარეგულირებისათვის იყენებს ადმინისტრაციული სამართლის მეთოდს. მაგალითად, მიწების ყიდვა-გაყიდვა დაშვებულია სამოქალაქო სამართლის ნორმით, მაგრამ არსებობს მიწის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, რომელსაც სამოქალაქო სამართალი არ ითვალისწინებს. აქრძალულია ბუნებადაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური ნაკეთების, სპეცდანიშნულების მიწების და ა.შ. გაყიდვა. სხვა ქონებისაგან განსხვავებით მიწის ნაკვეთის მემკვიდრეებზე მიკუთვნებისას მიწის ნაკვეთის დაქუცმაცების თავიდან აცილების მიზნით მუერნეობის ზღმმღვანელობა ეკისრება ერთ-ერთ მემკვიდრეს, თანამემკვიდრეების ნებართვით. შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის. სახელმწიფო სასაზღვრო ზოლსა და შვეი ზღვის სამკილომეტრთან სანაპირო ზოლში, სპეციალური საზოგადოებო დადგენილების გარეშე აკრძალულია მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა. ზმირად საადგილმამული ურთიერთობები რეგულირდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით, მაგალითად, დავა საზღვარზე ორ მეზობელს შორის, ღობის გაყვებაზე და ა.შ.

საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების დროს ადმინისტრაციულ სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთობათა მონაწილეთა მიერ ჩადენილია სამართალდარღვევები (მაგალითად, მიწის დატაცება და ა.შ).

ამდენად, საადგილმამულო ურთიერთობა რთული ურთიერთობაა, რომელიც შეიძლება დარეგულირდეს, როგორც მიწის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით.

მიწების გამოყენების მრავალფეროვნება და მიწისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, წარმოიქმნება საადგილმამულო ურთიერთობების ნაირგვაროვნება. ერთი სახის ურთიერთობა ყალბდება სოფლის მეურნეობაში, მეორე – დასახლებულ პუნქტებში, მესამე – სატყეო მეურნეობაში, მეოთხე – მრეწველობაში და ა.შ. ეს კი განაპირობებს საადგილმამულო ურთიერთობათა კლასიფიკაციის აუცილებლობას მიწის ძირითადი სამეურნეო და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით.

სახელმწიფო ვალდებულია მიწების მართვის პროცესში დაიცვას როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო მესაკუთრის ინტერესები, ხელი შეუწყოს მიწების ინტენსიურ გამოყენებას და მისი ნაყოფიერების ამაღლებას.

ქვეყნის მიწის მართვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა დაიწყო 1992 წლის 18 იანვარს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის № 48 დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ და იმავე წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილებით.

შემდეგ მიღებულ იქნა საადგილმამულო ურთიერთობების რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონი „სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;
- საქართველოს 1996 წლის 28 ივლისის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“;
- საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“;
- 1998 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებად გამოცხადების შესახებ“;
- საქართველოს 1997 წლის 2 ოქტომბრის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი „მიწის გადასახადი“.

მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ასევე არეგულირებს სამოქალაქო სამართლის, საგადასახადო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ნორმები.

ავტონომიური რესპუბლიკის მიწის სამართლის საფუძველია არა მარტო საქართველოს მიწის სამართალი, არამედ მათ მიერ გამოცემული კანონები, რომლებიც საქართველოს კანონების საფუძველზე იქმნება. ავტონომიური რესპუბლიკის მიწის სამართალი და მისი სამართლებრივი ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს მიწის კანონმდებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბათილად იქნება ცნობილი. ავტონომიური რესპუბლიკები უფლებამოსილი არიან მიწის კანონმდებლობის შედგენისას გაითვალისწინონ ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი, ეროვნული მეურნეობის დარგების სპეციალიზაცია და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. მიწის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგში.
2. მიწის სამართლის სისტემა და პრინციპები;
3. მიწის მართვის თავისებურებანი;
4. მიწის სამართლის ძირითადი წყაროები.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემკვიდრეობისა და მცხოვრელობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული სამეურნეო დამზადრე ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება:

- ა) კომლის (ოჯახის) საკუთრების წილი სოფლის, თემის, იურიდიული პირის საძოვრების, სათიბების, ტყეების ტერიტორიაზე;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწა საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, კომლს და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

მიწის რეფორმის დაწყებამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ორი ძირითადი ფორმა ფუნქციონირებდა – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დაფუძნებული სახელმწიფო საკუთრებაზე. ხოლო რაც შეეხება საკარმიდამო მიწებს, იგი გადაცემული ჰქონდათ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს მუდმივ სარგებლობაში და ისიც სახელმწიფო საკუთრებაში იყო. 1992 წლიდან დაწყებულმა მიწის რეფორმამ ძირულად შეცვალა აგრარული სექტორის ორგანიზაციულ-სამეურნეო სტრუქტურა. მიწაზე დაფუძნდა საკუთრების ორი ფორმა – სახელმწიფო და კერძო. მიწის რეფორმის შედეგად 2002 წლის მონაცემებით კერძო საკუთრებაში გადავიდა 918,0 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, მათ შორის 789,7 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან 431,9 ათასი ჰექტარი სახნავი, 185,7 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები, 47,6 ათასი ჰექტარი სათიბი და 120,4 ათასი ჰექტარი საძოვარი.

სასოფლო-სამეურნეო მიწების სამართლებრივი რეჟიმი ძირითადად არეგულირებს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას. მის თავისებურებას განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივად გამოყენებისა და დაცვის გარანტიები. ესენია:

1. მიწაზე ამ კატეგორიის ყველა სუბიექტის მთავარი ვალდებულებაა მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფაზე მკაცრი კონტროლის დაწესება;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრიორიტეტულობა მიწათმოსარგებელთა სხვა კატეგორიებთან შედარებით;
4. მიწების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის წახალისება, მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის საკმაოდ მკაცრი იურიდიული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

მიწის რეფორმის მიმდინარეობის შედეგად სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან კერძო საკუთრებაში გაიქცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგი ზღვრული ოდენობით:

- სოფლად მცხოვრებთათვის ბარისა და ზეგნის რაიონებში – 1,25 ჰექტარამდე;
- მთის რაიონებში – 5 ჰექტარამდე, მათ შორის დამუშავებაში მყოფი მიწები 1 ჰექტარამდე;
- ქალაქად მცხოვრებთათვის – სავარგუნო ზონაში – 0,15 ჰექტარამდე, ბარისა და ზეგნის რაიონებში – 0,25 ჰექტარამდე, მთის რაიონებში 1 ჰექტარამდე, მათ შორის, დამუშავებაში მყოფი მიწები 0,25 ჰექტარამდე.

აღნიშნული ნორმებით განაწილებული და კერძო საკუთრებაში გაცემული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტების მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის მეურნეობების საფუძველს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება დაშვებულია ცივილური წესით, მაგრამ არსებობს გარკვეული ზოგადი შეზღუდვებიც, კერძოდ:

- მემკვიდრეობა სასოფლო მეურნეობაში იხსნება კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალებისას. თუ საკომლო მეურნეობა ერთი პირის საკუთრებაა, მესაკუთრეს შეუძლია მეურნეობა ან-

დროით გადასცეს სხვა პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრისათვის გათვალისწინებულ პირობებს;

- თუ საკომლო მურნეობა ერთი პირის საკუთრებაა, მისი გარდაცვალებისას მემკვიდრეობა გადადის სამემკვიდროს დამტოვებლის შვილზე. თუ საკომლო მურნეობის მემკვიდრეობით მიღების სურვილს განაცხადებს რამოდენიმე მესაკუთრე, უპირატესობა მიენიჭება იმ მემკვიდრეს, რომელიც;
- ა) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სამემკვიდროს დამტოვებელთან ერთად უძღვებოდა მურნეობას ან განაგრძობს ამ საქმიანობას სამემკვიდროს გახსნის მომენტისათვის;
- ბ) სამემკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში არ უძღვებოდა მურნეობას, მაგრამ აქვს გამოცდილება და უნარი გაუძღვეს მურნეობას;
- გ) სამემკვიდროს დამტოვებლის მეუღლეს, სამემკვიდროს დამტოვებლის მშობლებს, თუ სამემკვიდროს დამტოვებელმა მურნეობა მიიღო მშობლებისაგან ან მათი სახსრებით შეიძინა;
- დ) სამემკვიდროს დამტოვებლის და-ძმას და მათ შვილებს იმ რიგის

მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი რიგის მემკვიდრეობისათვის:

- თუ სამემკვიდროს იღებს უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, მან მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი უნდა გაასხვისოს კანონით დადგენილი წესით.
- თუ სამემკვიდროს გახსნის მომენტისათვის მურნეობა ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი იჯარითაა გაკეცილი, მაშინ მემკვიდრეს, რომელსაც შესწევს უნარი თვითონ გაუძღვეს მურნეობას, შეუძლია ერთი წლით ადრე გააფრთხილოს მოიჯარე და მისი თანხმობის შემთხვევაში მოშალოს იჯარის ხელშეკრულება;
- იმ პირებს, რომლებმაც მემკვიდრეობით ვერ მიიღეს მურნეობა ან მიწის ნაკვეთი, აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, კომპენსაციის სახესა და ოდენობას ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ მემკვიდრეები;
- აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო საეარეულების გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- იმ მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ აშუშავებდა მიწას, არ იხდოდა მიწისათარგებლობისათვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვებდა მურნეობას და ასეთ შემთხვევაშიც იჯარით არ გასცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფის შეზღუდვის მიზნით კანონით გათვალისწინებულია:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას აუნაზღაურდეს სანაცვლო მიწის ათვისების ხარჯები და ნაკვეთის ჩამორთმევით ან დროებითი დაკავებით გამოწვეული ზიანი, რომელსაც ანაზღაურებს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისაც მიწა გამოუყვს.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ან დროებით დაკავებისას უნდა ანაზღაურდეს: შენობა-ნაგებობათა ღირებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანის ხარჯები, მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება, მიწის ნაყოფიერების აღსადგენი ხარჯები, დაუშთაერებელი წარმოების (ხენა, თესვა, სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები) ღირებულება, მოსავლის ღირებულება, დაკარგული მოგება, აგრეთვე მიწის მფლობელისათვის მიყენებული სხვა ზიანი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან ან დროებით დაკავებასთან. აღნიშნულ თანხებს ადგენს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამსახურები ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ერთად.
- ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის ასათვისებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოების საშუალო შეწონილი ღირებულება (საბაზისო ნორმატივები) განისაზღვრა 144286 ლარის ოდენობით,

ასევე განისაზღვრა სახნაის პროდუქტიულობის შეფარდებით შესაფასებელი საკადასტრო მაჩვენებელი.

- არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საწინააღმდეგო ახალი მიწის ასათვისებლად მიწის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირი იხდის დაწესებული კოეფიციენტების ჯამისა და საწყისი ნორმატივის ღირებულების ნამრავლით მიღებულ თანხას.

საკონტროლო კითხვები:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან კერძო საკუთრებაში გაცემული მიწის ზღერული ნორმები;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებაში არსებული შეზღუდვები;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ზარალის განისაზღვრის მექანიზმი.

3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამართლებრივი რეგულირება

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია ყველა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით არ გამოიყენება. მის სამართლებრივ რეჟიმში შუღის მიწათსარგებლობის, ყოველგვარი, რეგისტრაციის, კონსერვაციის, მიწათმოწყობის, კადასტრისა და ქალაქმშენებლობის ნორმატიული აქტები. ასევე სამართლებრივ რეჟიმს განეკუთვნება ნებისმიერი კერძო სამართლებრივი შეთანხმება, რომელიც ეხება მიწის ფლობას, საარგენტობას და განკარგვას.

გადაწყვეტილებას მიწის გაცემაზე იღებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო, კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. სახელმწიფო ნებართვა საჭირო არ არის საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც კანონით არ ექვემდებარება პრივატიზაციას.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა დაფინანსება ზორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საკუთრების მიწა სარგებლობაში ეძლევათ პირდაპირი განკარგვის წესით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრების უფლება ეძლევათ: პრივატიზებულ საწარმოთა სარგებლობაში არსებულ მიწებზე, ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სარგებლობაში დადგენილი წესით გამოყოფილ მიწებზე.

კერძო საკუთრების მინიჭება არ ხდება – საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, მაგისტრალურ მილსადენებზე, დროებით სარგებლობაში გამოყოფილ მიწებზე და ა.შ.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი წესით ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კერძო საკუთრებად არ გამოცხადებულა, უსასყიდლოდ გადადის მათ საკუთრებაში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზეც ის არის განლაგებული.

დასახლებული პუნქტების მიწების სამართლებრივი რეგულირება. დასახლებული პუნქტების მიწების განეკუთვნება ქალაქების, დაბების, სოფლის პუნქტების ტერიტორიები, მათი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში. მათი ძირითადი მიზნობრივი დანიშნულებაა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა საწარმოო, სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის საჭიროების დაკმაყოფილება.

დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე მიწის გაცემა ხდება შედგენილი გენგეგმების, განაშენიანების პროექტებისა და ქალაქმშენებლობის სხვა დოკუმენტების მიხედვით, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული დასახლებული პუნქტები დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად: ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბებად და სოფლის დასახლებულ პუნქტებად.

ქალაქის, დაბის, სოფლის მიწების განაშენიანება მოიცავს ტერიტორიას, რომელზეც აშენებულია ან ექვემდებარება აშენებას. ამ მიწებზე შეკეთადა გამოხატული მისი მიზნობრივი დანიშნულება. მიწები გადაცემული აქვთ წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ცალკეულ მოქალაქეებს, სამრეწველო, საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობების აშენება-ექსპლუატაციისათვის, ნაკვეთები გაიცემა როგორც კერძო საკუთრებაში, ისე სარგებლობის უფლებით.

კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ შეიძინონ მიწის ნაკვეთები მიწაზე ნების-საბინო სახის გარიგებით. ნაკვეთის ზომა განისაზღვრება პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტის სიდიდით. მიწის ნაკვეთების გასხვისების წესი განსაზღვრულია კანონმდებლობით აუქციონის, კონკურსის ან პირდაპირი განკარგვის წესით. როდესაც ქრება (შენობა-ნაგებობა) გადადის ერთი მესაკუთრიდან მეორე მესაკუთრეზე, მაშინ მიწის საკუთრების უფლებაც გადადის ახალ მესაკუთრეზე.

ქალაქების, დაბებისა და სოფლების საერთო სარგებლობის მიწები გამოიყენება მიმოსვლისათვის (გზები, ქუჩები, მოედნები) და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად (ბაღები, პარკები, წყალსაცავები, დასასვენებელი ადგილები და სხვ.), რომლებიც კონკრეტულ მოსარგებლეს არ ეძლევა და არება თავისუფალ სარგებლობაში. საერთო სარგებლობის მიწების ნაწილი ადგილობრივი მმართველობის მიერ გაცემულია იჯარით სხვადასხვა სახის სავაჭრო ობიექტების, სახელოსნოების, ატრაქციონებისა და სხვათა მოსაწყობად. ამ მიწების გამოყენების რეჟიმი განსაზღვრულია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე განთავსებულია აგრეთვე ბუნების დაცვითი, გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული, საეკლესიო და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწები და აგრეთვე ტყეები. ეს მიწები ეკუთვნის სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებულად დაცულ მიწებს და მათი გამოყოფა და პრიატიზაცია ხდება მხოლოდ სპეციალური დადგენილებით.

დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე განთავსებულია მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაცვისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიწები, რომლებსაც გააჩნია თავისი სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

დასახლებული პუნქტების მიწების, როგორც საერთო, ასევე ოპერატიული მართვა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვისა და სხვა დანიშნულების მიწების სამართლებრივი ნორმები. ამ მიწათმოსარგებლეთა კატეგორიას განეკუთვნება მიწები, რომლებიც გამოყოფილი აქვთ შესაბამის წარმოება-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. ამასთან, მიწის ეს ნაკვეთები სარგებლობაში ან საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს როგორც მოქალაქეებს, ისე იურიდიულ პირებს.

მომოკვებელი და გადაამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, მელსადენების ელექტროგადამცემი ხაზების, თავდაცვის მიწების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საქართველოს მიწის კანონმდებლობით. აღნიშნული ობიექტებისათვის მიწის გამოყოფა ხდება როგორც სახელმწიფო საკუთრების, ისე კერძო საკუთრების მიწებიდან უფასო და ფასიანი გარიგებებით.

კერძო საკუთრების მიწის ფართობზე საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ადგილობრივი მნიშვნელობის წი-ადრისულების მოპოვებაზე ლიცენზია საჭირო არ არის.

აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების დაბრუნება და მშენებლობა, სანამ არ დადასტურდება, რომ ამ ფართობზე არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის საბადო.

ნათობისა და გაზის საბადოების სუბიექტია საჯარო და კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები. საქართველო ტერიტორიის წიაღში არსებული ნათობისა და გაზის რესურსები არის სახელმწიფო საკუთრება. საბადოს მოპოვების ადგილი ინვესტორის სარგებლობაში ეძლევა ხელშეკრულებით, ლიცენზიით გარკვეული ვადითა და პირობებით. ფართობი გაიცემა ტენდერის ან აუქციონის წესით. იმ შემთხვევაში, თუ გასაცემ ფართობზე არსებობს კერძო მესაკუთრის ფართობი, ინვესტორმა მასაც უნდა აუნაზღაუროს საფასური. გაცემული ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 25 წელი.

ინვესტორს უფლება აქვს ფართობი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით. სახელმწიფო უზრუნველყოფის ინვესტორის უფლებების დაცვას. ამ კანონით დადგენილია, რომ თუ 25 წლის განმავლობაში საქართველოს კანონი შეიცვალა, რომელიც გააუარესებს საინვესტიციო პირობებს, არ შეეხება არსებულ ხელშეკრულებას.

ტყის ფონდის სამართლებრივი ნორმები. ძირითადი ნორმატიული აქტები, რომლითაც რეგულირდება ტყის ფონდისა და მისი მიწების გამოყენება, არის საქართველოს ტყის კოდექსი.

საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირი.

ტყისსარგებლობის სახეების მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყისსარგებლობის განსაზოცრებლად აუცილებელია:

- სასოფლო-სამეურნეო მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის იმ მიწებით სარგებლობისათვის, რომლებიც არ განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიას – ხელშეკრულება ან ბილიტი;
- სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით სარგებლობისათვის ნებართვის გაცემა ზღვება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებისა და იჯარის კანონების შესაბამისად.
- აკრძალულია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობის გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებზე კერძო საკუთრების ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა.
- თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალულია არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების პრივატიზაცია, მათთვის კატეგორიის შეცვლა და მათი იჯარით გაცემა.
- თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა და ხისჭრა სამასალე მერქნის მისაღებად.

კანონმდებლობის მიხედვით ყველა ტყე ექვემდებარება ხანძრისაგან, უკანონო ჭრისაგან, ტყისსარგებლობის წესების დარღვევისაგან და ავადმყოფობისა და მავნებლობისაგან დაცვას.

სატყეო მეურნეობის სფეროში კანონმდებლობის დარღვევისათვის დადგენილია იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება უკანონო ჭრების, უკანონოდ ჩატარებული ყიდვა-გაყიდვით, დაგირავების, განზრახ ხანძრის გაჩენისა და სხვა დარღვევებისათვის; დისციპლინარული პასუხისმგებლობა ვრცელდება თანამდებობის პირებზე, როდესაც ირდევება შრომითი კანონმდებლობა; მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილია სატყეო-სამეურნეო მოთხოვნათა დარღვევის დროს; კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია ტყის ფონდის ნაკვეთის იძულებითი ჩამორთმევა.

წყლის ფონდის მიწების სამართლებრივი ნორმები. საქართველოს წყლის ფონდის მიწას განეკუთვნება: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, არხები, წყალსაცავები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, მყინვარები, ჭაობები, საქართველოს ტერიტორიული წყლები.

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს სასმელი, საყოფაცხოვრებო, საეკონომიკური, საკურორტო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, ამასთან, მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან გამ-

დინარე ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას. საქართველოში წყალსარგებლობა ფასიანია, გარდა საერთო წყალსარგებლობისა.

წყალმოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. წყალმოსარგებლებს უფლება აქვს გამოიყოფილ მიწაზე, ლიცენზიით განსაზღვრული მიზნით, აწარმოოს მეურნეობა. მიწის მე-საკუთრე და მოსარგებლეს უფლება აქვს მის ფართობზე არსებული წყლის ობიექტი გამოიყენოს ლიცენზიის გარეშე მხოლოდ საერთო წყალმომხმარებლის ფორმით.

წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, სისხლის, მატერიალური და დისციპლინური პასუხისმგებლობა.

ბუნებადაცვითი, ნაკრძალების, გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული დანიშნულების მიწების სამართლებრივი რეჟიმი. ამ მიწების გამოყენების საერთო წესია მკაცრი ეკოლოგიური ნორმების გატარება და სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობების შეზღუდვა. ბუნების დაცვითი მნიშვნელობის მიწების სამართლებრივი რეჟიმი არეგულირებს ისეთი მიწების გამოყენებას, რომელზეც განთავსებულია ბუნებრივი ობიექტები, განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული ფასეულობები. ამ მიწებით სარგებლობა დაშვებულია მხოლოდ საეცოლოური გადაწყვეტილებების შემთხვევაში. მიწის ამ სახეობებს გააჩნია თავისი სამართლებრივი სტატუსი და გამოყენების საკუთარი რეჟიმი.

ბუნებრივი ნაკრძალების მიწის ფონდს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთები ბუნებრივი კომპლექსებითა და ობიექტებით, რომლებსაც გააჩნია განსაკუთრებული ეკოლოგიური, სამეცნიერო, ესოთიკური, კულტურული და რეკრეაციული მნიშვნელობა. ამ მიწების მნიშვნელოვან ნაწილზე მილიანად აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო მოღვაწეობა. სხვა მიწებზე დაშვებულია შეზღუდული სამეურნეო და რეკრეაციული საქმიანობა დადგენილი რეჟიმის შესაბამისად. ამ მიწებზე აკრძალულია:

- ბუნებრივი წიაღისეულის ძიება-დამუშავება და სხვა სახით მიწის საფარის დარღვევა;
- ტყის მთავარი ჭრა, მერქნის, სამკურნალო მცენარეების ტექნიკური ნედლეულისა და სხვათა დამზადება;
- სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენება, მეფუტკრეობა, ნაყოფის შეგროვება;
- სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, გზების, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა სახის კომუნიკაციების მშენებლობა, რომლებიც დაკავშირებული არ არის ნაკრძალით სარგებლობასთან;
- ქიმიური და სხვა სახის სასუქების გამოყენება;
- ნადირობა, საერთო სარგებლობის ავტორტრანსპორტის მოძრაობა, პირუტყვის გადარეკვა;
- თვითმფრინავის ფრენა 2000მ სიმაღლეზე დაბლა.

დასაშვებია მხოლოდ მომსახურე პერსონალისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამხმარე მეურნეობის წარმოება.

გამაჯანსაღებელი მნიშვნელობის მიწები მოიცავს სააგარაკო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტერიტორიებს. ამ მიწების სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი ელემენტია სანიტარული დაცვა. ამ მიზნით აღნიშნული მიწების კატეგორიაზე მიკუთვნებული მიწები დაცულია საეცოლოური სამართლებრივი რეჟიმით.

საქართველოს საკურორტო ადგილებისა და საკურორტო ობიექტების გასხვისება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მიწების აუქციონით კონკურსის წესით სარგებლობაში გადაცემისას სავალდებულოა ტურიზმისა და კურორტების მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობა.

რეკრეაციული დანიშნულების მიწების ტერიტორია მოიცავს ტურიზმისა და მასობრივი დასვენების ფართობებს. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ასევე საგარეუბნო მწვანე ზონა. ამ ზონის ფარგლებში მაცხოვრებლებისათვის დადგენილია ბუნების გამოყენების შეზღუდული რეჟიმი სარგებლობა. აკრძალულია სამეურნეო მოღვაწეობა, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიაზე და სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციების შესრულებაზე. მწვანე ზონის ტყეებში აკრძალულია მთავარი ჭრები. მშენებლობა ამ მიწებზე შეიძლება

მხოლოდ შესაბამისი ორგანოების დადგენილებით, მიწების გამოყოფა დაშვებულია მხოლოდ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით.

საკონტრაქტო კითხვები:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრების უფლება;
2. დასახლებულ პუნქტებში მიწის შეძენის წესი;
3. მრეწველობის მიწებისა და ნავთობისა და გაზის საბადოების სამართლებრივი ნორმები;
4. ტყითსარგებლობის სამართლებრივი რეგულირება;
5. წყალმოსარგებლეთა კატეგორიები;
6. ბუნებათდაცვით მიწებზე სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვის პირობები;

თავი 13

ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და განვითარების ფაქტორები

1. ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და სამართლებრივი რეგულირება

ტურიზმი რეკრეაციული მეურნეობის განუყოფელი ნაწილია და იგი ინტენსიურად ვითარდება ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარ ადგილებში, დიდ ქალაქებში, კლიმატურად ხელსაყრელ რაიონებში. საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთში, რომ ხშირად ძნელია ტურისტებსა და დამსვენებლებს შორის ხდერის გაელება.

ტურისტული მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის განვითარების საწინდარია ქვეყნის მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თვითმყოფადი კულტურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული თავისებურებანი და სხვ.

90-იან წლებამდე საქართველოში მოქმედებდა შიდა ტურიზმისათვის განკუთვნილი 65 ტურისტული დაწესებულება 20 ათასი საწოლის ტევადობით, რომლებიც განლაგებული იყო 21 ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე და ფოკედწლიურად 800 ათასზე მეტ ტურისტს ემსახურებოდა. სულ არაორგანიზებულ ტურისტებთან ერთად საქართველოში ჩამოსულთა საერთო რაოდენობა წელიწადში 4 მლნ-ს აჭარბებდა. საერთაშორისო ტურიზმის ხაზით კი „ინტურისტის“ 21 დაწესებულება (სასტუმროები, კემპინგები, მოტელები) 300 ათას უცხოელ სტუმარს მასპინძლობდა. საქართველოზე გადიოდა 87 ტურისტული მარშრუტი (მათ შორის 61 საკავშირო მნიშვნელობის).

90-ანი წლების დასაწყისიდან, ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში მთლიანად მოიშალა. როგორც ცნობილია, მეურნეობის საბჭოური მოდელი მატერიალური და შრომითი რესურსების ტოტალური დეფიციტურობით ხასიათდებოდა. ამის მიზეზად ითვლებოდა ის, რომ გვემან ეკონომიკაში მთავარი აქცენტი მიმართული იყო მიწოდებაზე და არა მოთხოვნისადაც. იგნორირებული იყო კონკურენცია, საბაზრო ფას-წარმოქმნა, შეზღუდული რესურსების საბაზრო განაწილება. საუკეთესო კონომიკურ სტრატეგიად ითვლებოდა „მეტი რაოდენობის საქონლისა და მომსახურების მიწოდება“. საბჭოურმა სისტემამ წარმოშვა დეფიციტის ეკონომიკა. ასეთ პირობებში ნებისმიერი დარგი, მათ შორის ტურიზმი, დეფორმირებულად და არაკონკურენტუნარიანად ჩამოყალიბდა, რომლის ობიექტური უარყოფითი შედეგები გამოჩნდა საბჭოთა სისტემის დაშლისთანავე. შედეგად, ტურისტულ პროდუქტზე შემცირდა როგორც მოთხოვნა ისე მიწოდება.

ბოლო პერიოდში, მიუხედავად რთული სიტუაციისა, მნიშვნელოვნად იმატა ტურისტთა ნაკადმა საქართველოში. 2000 წელს, 1995 წელთან შედარებით, საქართველოში შემოსულ არარეზიდენტთა რიცხვი 4,5-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს სახელმწიფო სახლერის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს ქვეყანაში სულ შემოვიდა 387,3 ათასი უცხოელი ტურისტი და ვიზიტორი, მათ შორის დამოუკიდებელი თანამეგობრობის წევრი ქვეყნიდან – 220,4 ათასი, ხოლო სახლერარგარეთის სხვა ქვეყნიდან 166,9 ათასი.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციული რესურსებისა და ეკონომიკური ბლოკის ექსპერტთა ერთობლივი შეფასებით, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2000 წელს დაახლოებით 826,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვების 14,5%-ია. 2000 წლის შედეგებით ტურიზმის დარგიდან მიღებული შემოსავლები 1995 წელთან შედარებით 26 მილიონი ლარით გაიზარდა.

2002 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურიზმისა და კურორტების დარგში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ოდენობა. მარტო თბილისში აღირიცხა 9 მშენებარე სასტუმრო, 480 ნომერზე, 954

საწლიო ადგილით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასტუმრო „თბილისი – მარიოტი“, სადაც დასაბანდებელ ინვესტიციათა რაოდენობამ 57 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის რეკონსტრუქციამ მოზიდულმა უცხოურმა ინვესტიციებმა 97,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

საკურორტო-ტურისტული რესურსები არათანაბრადა განაწილებული მსოფლიოში. ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მაღალი კომფორტბელურობით გამოირჩევიან სუბტროპიკული და ტროპიკული (ნაწინალობრივ ზომიერი) სარტყლების ზღვისპირა და ოკეანისპირა ქვეყნები (გამონაკლისია ტროპიკულ სანაპირო უდაბნოთა ოლქები), განსაკუთრებით კი ხმელთაშუა, შავი და კარიბის ზღვების აუზები. საერთაშორისო ტურისტთა 2/3-ს მასინძობობენ ევროპის ქვეყნები, რომლებიც მდიდარია კულტურისა და ისტორიული ძეგლებით. ევროპის შემდეგ ტურისტების ყველაზე მეტ ნაკადს იღებს ამერიკის შეერთებული შტატები. საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე სწრაფი ტემპით მატულობს აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის (განსაკუთრებით აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ) ზვედრითი წილი, სადაც ტურისტებს იზიდავს ბუნებრივი ლანდშაფტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ტრადიციების ეგზოტიკურობა.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორია, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდ ეკონომიკურ სინძულებს განიცდიან, რადგან ტურიზმი ხელს უწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, შემოაქვს უცხოური ვალუტა, ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურისა და რევიონულ განვითარებას, აესებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

საერთაშორისო ტურიზმს, როგორც საკაურო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ ფორმას, დიდი ადგილი უკავია მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსში. ტურიზმის შემოსავალი მილიანად მსოფლიოში 423 მილიარდი დოლარია და აღემატება ისეთი ინდუსტრიების შემოსავალს, როგორცაა ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ტელეკომუნიკაციების აღჭურვილობის ექსპორტი, საფეიქრო პროდუქტების ექსპორტი. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანი რესურსია საქართველოს უარყოფითი საგადასახადო ბალანსის შესამცირებლად. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ წინა წლებში საქართველო ტურისტების დიდ რაოდენობას იღებდა, თავის უნიკალური ბუნების წყალობით, შესაძლებელია მსოფლიო სტანდარტების დონეზე ტურიზმის ორგანიზების შემთხვევაში, საქართველო გადაიქცეს ტურიზმის ქვეყნად.

ჩვენი ქვეყნის დიდ პერსპექტივაზე მეტყველებს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზი, რომლის გათვლებითაც საერთაშორისო მგზავრობა მსოფლიოში 2010 წელს მილიარდ ადამიანს მიაღწევს, შემოსავალი კი საერთაშორისო ტურიზმიდან 2010 წელს 1,550 მილიარდი დოლარი გახდება.

ისრაელის ექსპერტთა მიერ დამუშავდა საქართველოში ტურიზმის განვითარების პროგნოზული მაჩვენებლები 2005 წლისათვის. მათი აზრით, საქართველოს აღნიშნული პერიოდისათვის შეუძლია მიიღოს 1 მილიონი ტურისტი, რომელიც ქვეყანას მოუტანს 1 მილიარდ აშშ დოლარის შემოსავალს. ამისათვის საჭიროა 200-მდე თანამედროვე ტიპის სასტუმრო 300 ათასი მოქმედი ოთახით, რაც საჭიროებს 100 მლნ დოლარის ინვესტიციას ტურიზმის ინფრასტრუქტურაში. მათ მიერ დამუშავებული მოდელით ტურიზმში დასაქმდება 100 000 კაცი, მათ შორის სასტუმროში – 30 000 კაცი, ხოლო ტურიზმის სხვადასხვა სფეროში – 70 000 კაცი.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს მსოფლიო ტურიზმის პოლიტიკაში და არის ტურიზმის ნოუ-აუს პრაქტიკული წყარო, მისი ძირითადი მიზნებიც მიმართულია ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის, გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. ამასთან, ახორციელებს სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ეკონომიკურ ანალიზს, ბაზრის შესწავლას და ვეროვან ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებაში დადებით როლს ასრულებს მოსახერხებელი სტრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, იგი ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეობითა დაკავშირებული დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან, შავ ზღვაზე გასასვლელი კი მას საშუალებას აძლევს კავშირი დაამყაროს ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებთან, რომლებიც მსოფლიოში გამოირჩევიან როგორც უმნიშვნელოვანესი საკურორტო-ტურისტული ცენტრები.

საქართველოში დიდი პერსპექტივებია აღზინიზმისა და სამთო ტურიზმის განვითარებისათვის. ტურიზმის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება შეუძლია სპელიტურიზმს, სადაც მიწისქვეშა მღვიმეთა ობიექტების საერთო ფართობი 5000 კმ² მოიცავს. მათი მოწყობა და გამოყენება საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობის სპელიტურიზმის ცენტრად აქცევს.

საქართველო საინტერესოა სამეცნიერო-მეცენებითი და სამონადირო ტურიზმის განვითარების მხრივაც. უნიკალური ლანდშაფტების სიმაღლებრივი ზონალობა ბიომრავალფეროვნების აღქმისა და შესწავლის კარგი საშუალებაა. მსოფლიოში სამონადირო ტურიზმი მაღალშემოსავლიანია, განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისათვის. სანაკრძალო შეურნებისა და დაცული ტერიტორიების ახალ სისტემაში, რომელიც ფეხს იკიდებს საქართველოში, შესაძლებელია სამონადირო ტურიზმის განვითარება.

ნებისმიერი ბიზნესი, როგორც წესი, სამომხმარებლო ბაზრის შესწავლით იწყება და მის შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული ბიზნესის წარმატება. ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა მომსახურებისა და საკონსლის ბაზრის ნაწილია. ტურისტული ბაზრის ძირითადი მახასიათებლები გვეხმარება გეოგრაფიული სტრუქტურა და დავსახოთ მისი შემდგომი განვითარების ეტაპები.

სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის (მათ შორის ტურისტული და საკურორტო მეურნეობის) შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა შემუშავდეს ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის განვითარების გეგმა და განისაზღვროს სახელმწიფო და კერძო სექტორების როლი შედეგინილი გეგმის შესრულებაში. ამ საკითხის გადაწყვეტაში კი დიდი როლი აქირაით სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, გადაწყვეტილებებით და კანონებით ხელს უწყობენ ტურიზმის პოლიტიკის შემდგომ განვითარებას. ასეთი ნორმატიული აქტების რიცხვს განეკუთვნება დებულება ტურიზმისა და კურორტების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველო ტურიზმისა და კურორტების საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობს სრულუფლებიანი, ასოცირებული წევრის, დამკვირვებლის ან სხვა უფლებით. ტურიზმისა და კურორტების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს.

დამტკიცებული დებულების თანახმად, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დარგში მმართველობით ფუნქციას ასრულებს ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს დარგში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ აქტებს და კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას.

ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის დარგის მართვის ორგანო უფლებამოსილია:

- ა) შეიმუშავოს და საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარუდგინოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის ძირითადი მიმართულებები, მისი განხორციელების პროგრამები და უზრუნველყოს მათი რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ბ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, დაამტკიცოს თითოეული რეკრეაციული ზონის დებულება;
- გ) საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მიზნით, შეიმუშავოს წინადადებები საპასპორტი და სავიზო მომსახურების გასამარტივებლად;
- დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთობა დაამყაროს საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან; საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად გახსნას წარმომადგენლობები უცხოეთში;
- ე) ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას ტურიზმისა და კურორტების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მიზნით;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს ტურისტული რესურსების მქონე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და არქიტექტურული დაგეგმარების პროექტების დამტკიცებაში;

- ზ) უზრუნველყოს ტურიზმისა და კურორტების დარგში სამეცნიერო-კვლევითი საბუშაოების განხორციელება, თავისი სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და სრულყოფის მიზნით;

საკონტროლო კითხვები:

1. ტურისტული ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები;
2. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში;
3. საერთაშორისო ტურიზმის როლი სავადასახადო ბალანსში;
4. ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები.

თავი 14

ბიზნესის განვითარება და ბუნებრივი გარემოს დაცვა

მოცემულ თავში განხილულია გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები, მოქმედი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსი ბუნების სამართლებრივი დაცვის შესახებ.

სამეურნეო საქმიანობაში ეკოლოგიური მოთხოვნების რეალიზაციის აუცილებელი პირობა ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც წარმოადგენს გამაფრთხილებელი კონტროლის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. იგი გულისხმობს კომპლექსურ ექსპერტიზას და ითვალისწინებს გარემოსდაცვით, სოციალურ-ეკონომიკურ და ა.შ. ასპექტებს. ამავე თავში განხილულია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობა, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი, გარემოს დაცვა და ზოგიერთი ტექნოლოგია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი რეგულირება.

1. გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ძირითადი და განუყოფელი მიმართულებაა გარემოსდაცვითი პოლიტიკა. გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, დაწყებული 1970-იანი წლებიდან.

1990-1995 წლებში სოციალური პრობლემების გამწვავებამ, სამოქალაქო ომმა და შიდა სახელმწიფოებრივმა კონფორტაციებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან ერთად, ღიდი ღიდი დაასვა გარემოსდაცვით პოლიტიკას. მოიშალა მართვის სისტემები და ქვეყნის რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, კრიზისმა გარემოსდაცვითი პოლიტიკაც მოიცვა.

ეროვნულ დონეზე, ეკონომიკის მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები აისახა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში. მდგრადი განვითარების პრინციპებს ფუძნება ასევე 1996 წლის 10 დეკემბერს მიღებული კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც ქმნის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთიანი სისტემის ფორმირების სამართლებრივ საფუძველს. თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული არაა გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, გარემოს დაცვის მოქმედებათა რეგიონული, ადგილობრივი და უწყებრივი პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების შედგენის წესი და პერიოდულობა.

სამართლებრივი დედა, ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ, უძველეს ხანაში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა. საქართველოში ბუნების დაცვის ელემენტები ოდითგანვე არსებობდა. სხვადასხვა წყაროში გვხვდება „მონადირეობის“, „ტყის მცველნი“. ცნობილია, რომ თამარ მეფის კარზე იყო თანამდებობა „ტყეთუხუცესის“, რომელიც ხელმძღვანელობდა სტრატეგიული და სამონადირეო ტყის დაცვას. ბუნების სამართლებრივი დაცვა აღწერილია ასევე ვახტანგ VI-ის „დასტურდამალში“, „ჰსჯულთა კრებულში“.

დემოკრატიულ საქართველოში მიღებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტი. მაგალითად, 1918 წ. 26 დეკემბერს გამოიცა პირველი დეკრეტი მიწის, ტყისა და წყლის შესახებ, ხოლო 1919 წლის 28 იანვარს – კანონი მიწის საკუთრების შესახებ.

საინტერესოა მოქმედი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსი ბუნების სამართლებრივი დაცვის შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ეკოლოგიური მიდგომების ასახვა ახალ კონსტიტუციაში, მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ „ზოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სერვისის, კონტინენტური შეღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა; მიტეროლოგიური სამსახური; მიწის, წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა“.

ბუნების დაცვის სფეროში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ჩაისახა ამ საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე საერთაშორისო თანამშრომლობა ბუნების დაცვის სფეროში ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: 1) ცალკეული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და მოქმედების კოორდინაცია; 2) ორი ან რამოდენიმე ქვეყნის თანამშრომლობა ცალკეული ობიექტის დაცვის ერთობლივი მოქმედების მიზნით (მაგ., შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობა მისი გავსუჭყთანების თავიდან ასაცილებლად). 3) მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობა გარემოს გლობალური ამოცანების გადასაწყვეტად.

ცალკეულ ქვეყანაში მიღებული საკანონმდებლო დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცივილიზებული ქვეყნების ურთიერთობების დასარეგულირებლად. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკვე 85 ქვეყანაზე მეტმა ხელი მოაწერა კონვენციას „გარეული ფაუნისა და ფლორის გადაშენებაში სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. ამან ხელი შეუწყო მრავალი იშვიათი მცენარისა და ცხოველის გადარჩენას.

საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ურთიერთობები მოიცავს გლობალურ, რეგიონალურ და ორმხრივ კონვენციებს.

ნებისმიერ კონვენციასთან მიერთება გულისხმობს ამ კონვენციის დებულებათა იურიდიულ აღიარებას სახელმწიფოს მიერ. საქართველო მიერთებულია შემდეგ კონვენციებთან:

ა) გლობალური ხელშეკრულებები:

- 1) ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია. მიღებულია 1992 წელს გაეროს რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო სამიტზე. საქართველო შეუერთდა 1994 წელს.
- 2) კლიმატის ცვლილებები ჩარჩო-კონვენცია, მიღებულია 1992 წელს, საქართველო შეუერთდა 1996 წელს. მიზდინარეობს კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის შემუშავება გაეროს განვითარების პროგრამის განაწილთ
- 3) ენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ და მონრეალის ოქმი.
- 4) ფლორისა და ფაუნის იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1996 წელს. წყალჭაობიანი ტერიტორიების დაცვის კონვენცია (ე.წ. რამსის კონვენცია), საქართველო შეუერთდა 1996 წელს.

ბ) რეგიონული ხელშეკრულებები:

შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია (ე.წ. ბუქარესტის კონვენცია, 1992წ.).

გ) ორმხრივი ხელშეკრულებები: 1997 წელს დაიდო ორმხრივი სამთავრობო ხელშეკრულებები აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და საბერძნეთთან.

1996 წლის 10 დეკემბრის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ წარმოადგენს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთიან სისტემის ფორმირების სამართლებრივ საფუძველს. კანონის თანახმად, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის ნაწილი. გარემოსდაცვითი მოქმედებათა ეროვნული გეგმის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოსდაცვითი დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

კანონმა „გარემოს დაცვის შესახებ“ შექმნა სამართლებრივი საფუძველები გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და ამ სფეროში ინსტიტუციური მოწყობისათვის. მასში ჩამოყალიბებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფოებრივი დაცვის მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები. კანონი განსაზღვრავს: მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს; სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას; ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციების გამოყენების კრიტერიუმებს გარემოს დაცვის სფეროში. კანონი მოითხოვს, რომ საქმიანობის სუბიექტმა თავად აწარმოოს გარემოს დაბინძუ-

რების ინტეგრირებული კონტროლი და მონიტორინგი. კანონის თანახმად, პრევატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვით ვალდებულებათა შესრულებისაგან, რომლებიც ყოფილ მესაკუთრეზე ქონდა დაკისრებული. კანონის მიხედვით, დაბინძურების, დაზიანებისა და დეგრადაციისაგან დაცულია განსაკუთრებულად მგრძობიარე და გამორჩეული ფუნქციის მქონე ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები (შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ჭაობები, წყაროსთავეები, მდინარეთა სათავეები, სუბალპური და ჭლის ტყეები, ძირფასი ტყის მასივები და სხვ.). მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სანაპირო ზოლში ზღვის მყარი დანალექების ბუნებრივი მოძრაობა, რათა ზღვის ნაპირზე მიმდინარე საპარტო და სხვა სახის შეწინააღმდეგებამ არ დააბრკოლოს მათი მიმოქცევა და ამით არ დაზარალოს სანაპიროს ეკოლოგიური წონასწორობა.

კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მოითხოვს, რომ ნებისმიერი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს საქმიანობის სუბიექტებმა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

რისკის შემცირების პრინციპი: საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას მიიღოს სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

პრიორიტეტულობის პრინციპი: ქმედება, რომელმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, უნდა შეიცვალოს სხვა, ნაკლებრისკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. ამ უკანასკნელს პრიორიტეტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების ხარჯებს;

ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი: საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას;

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი: საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას;

რესტრუქციის პრინციპი: საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო უნდა აღდგეს პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით, საქართველოში მოქმედებს:

ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი: საქმიანობის სუბიექტისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორის, ფაუნის, წიაღისა და წიაღისეული რესურსებით სარგებლობა ფასიანია;

პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“: საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზიანი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მთავარ ნაკლებობას წარმოადგენს ის, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონები დადგენილია სამართლის ზოგადი ნორმების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, უმეტეს შემთხვევაში, მიღებული არ არის დეტალიზებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობა, რომლებიც პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ კანონის მოთხოვნათა შესრულების სახელმწიფო კონტროლზე, ხელს უშლის მიღებული კანონების აღსრულებას.

ქვეყანაში მოქმედი გარემოს ზარისხობრივი მდგომარეობის ნორმები ემყარება ყოფილ საბჭოთა კავშირში დადგენილ ნორმებს. ნორმების უმრავლესობა იმდენად მკაცრია, რომ მათი მოთხოვნების შესრულება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

განსაზოცილებელი ღონისძიებები: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომლებიც მოაწესრიგებენ:

- ნარჩენების (სახიფათო ნარჩენების ჩათვლით) მართვას;
- საწარმოებში გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარებას;

- გარემოზე მანვნი ზემოქმედებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საკითხებს.

საშუალო და გრძელვადიანი პერიოდში მიღებულ უნდა იქნეს გარემოს ზარისხობრივი მდგომარეობის ნორმები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ზოგ შემთხვევაში საჭირო იქნება შეაღწეული სტანდარტების შემოღება და, გარკვეულ პერიოდში, მათი მიახლოება საერთაშორისო ნორმებთან.

საკონტროლო კითხვები:

1. ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები;
2. ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება;
3. სამუერწო საქმიანობაში ეკოლოგიური მოთხოვნების რეალიზაციის აუცილებელი პირობები.

2. ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი

გეოეკოლოგიური პრობლემები, ძირითადად, წარმოიქმნება გარემოს დაზიანებებისა და ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამოყენების შედეგად. ლოკალური დაზიანებების წყაროებიდან გამოსული მანვნი ნივთიერებები სწრაფად ვრცელდება გარემოში და მოიცავს გარკვეულ არეალებს.

დაზიანება შეიძლება იყოს ბუნებრივი და ანთროპოგენური. ბუნებრივი დაზიანებების მიზეზია ბუნებრივი კატასტროფები, ანთროპოგენულის კი – ადამიანის საქმიანობის შედეგები. ანთროპოგენული დაზიანებების ტიპებია: ბიოლოგიური და ქიმიური, ფიზიკური და მექანიკური. ბიოლოგიური დაზიანება ნიშნავს გარემოში ბიკოროგენიზმების წარმოქმნასა და გამარჯვებას მასში, ქიმიური კი – ქიმიური ტოქსიკური აგენტების ვარცელებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტში. რაც შეეხება ფიზიკურ დაზიანებებს, იგი შეიძლება გამოვლინდეს რადიოაქტიული, ხმაურის, სითბურის, ელექტრომაგნიტური დაზიანებების სახით.

საქართველოში გეოეკოლოგიური პრობლემები წარმოვიდგება როგორც აბიოტურ (ლითოსფერო, პედროსფერო, ატმოსფერო, ნიადაგები), ასევე ბიოტურ (ადამიანი, მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები) გარემოში.

ატმოსფეროს დაზიანება: ატმოსფეროს ძირითადი დამაზიანებელი წყაროებია ტრანსპორტი და სამრეწველო საწარმოები. სატრანსპორტო საშუალებების ზრდასათან ერადა, კომუნიკაციების მზარდი ქსელი და სამრეწველო საწარმოები, ძირითადად, ქალაქებში განლაგებული, ამიტომ ატმოსფეროს დაზიანებაზეც თავისი სიმწეაივი ქალაქებში წარმოიწდება.

ატმოსფეროს დამაზიანებულებია აეროზოლები და გაზოვანი ნივთიერებები. მათგან გაცილებით საშიშია გაზოვანი ნივთიერებები. აეროზოლები წარმოიქმნება სამშენებლო მასალათა, კერძოდ – ცემენტის, გაჯის, სილიკატურ-საკედლე მასალათა, აზბესტის, აგრეთვე ქვანახშირისა და სხვადასხვა მადნეულის ღია წესით მოპოვებით, შავი და ფერადი მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობის საწარმოებში. ზოგადად, ატმოსფეროს დაზიანებების უდიდესი ნაწილი მოდის გაზოვანი ნივთიერებებსა და მათ ქიმიურ შენაერთებზე. მათგან ძირითადია: ნახშირორგანები, გოგირდოვანი ამჟიდრიდი და აზოტოვანი შენაერთები.

საქართველოში მრეწველობის დარგებიდან ატმოსფეროს ძირითადი დამაზიანებულებია: სათბობ-წენერეტიკული, შავი მეტალურგიული, საშენ მასალათა, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები. სამწუხაროდ, მათ შესახებ აღრიცხვა ვეროვნად არ მიმდინარეობს, რაც ანალიზის საშუალებას ვერ იძლევა.

დაზიანებების პრობლემა განსაკუთრებით მწეაევა იმ საწარმოთა ირგვლივ, რომლებსაც არ გააჩნიათ სანტიარული დაცვის ზონები.

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული დაახლოებით 200000 აეტომობილი. მათგან საშუალოდ მხოლოდ 15% გადის საეალებული ყოველწლოურ ტექნიკურ დათეაღერებას.

საქართველოში საწვავის იმპორტი, ძირითადად, წარმოებს რუმინეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1998-2000 წლებში ტყეის შემცველი საწვავის იმპორტის წილი 26%-დან 2,5%-მდე შემცირდა, რაც მსოფლიო ბაზარზე ტყეის შემცველი საწვავის მიწოდების შემცირებითაა უნდა იყოს განპირობებული.

ავტოტრანსპორტით ატმოსფეროს დაბინძურება გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: ავტოსატრანსპორტის საშუალებათა უდიდესი ნაწილი მოძველებულია, გამოხალკეების ღირებულება მრავალჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს, ავტომობილთა უმეტესობა არ გააჩნია კატალიზური გარდამქმნელები, რაც იწვევს მავნე ნივთიერებათა მაღალი კონცენტრაციით ემისიას; გზების დაბალი ხარისხი და სტრანსპორტო საცობები ხელს უწყობს მავნე გამოხალკეების ზრდას; საქართველო სტრანსპორტო ქვეყანაა და სახმელეთო ტრანსპორტი ქალაქების ცენტრალურ თუ განაშენიანებულ ტერიტორიებზე გადის, რაც კიდევ უფრო აუარესებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხს; სტრანსპორტო საშუალებებიდან გამოხალკეების კონცენტრაციის სისტემა ცუდად არის განვითარებული და სუსტია სახელმწიფო კონტროლი.

წყლის დაბინძურება. წყლის დაბინძურება სამი სახისაა: ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური. საქართველოში წყლის ქიმიური და ბიოლოგიური დაბინძურების პრობლემაა. ეს გულისხმობს წყალში ქიმიური ნივთიერებების, მისი შენაერთებისა და ბიოლოგიური მიკროორგანიზმების კონცენტრაციის იმ რაოდენობას, რომელიც უარყოფით ეკოლოგიურ ცვლილებებს იწვევს ცოცხალ ორგანიზმებში. განსაკუთრებით მავნეა ტყეით, თუთიით, სპილენძით, ქრომით, ვერცხლისწყლით, დარიშხანით, ფეროლით, მანგანუმით წყლის დაბინძურება. ბიოლოგიური დაბინძურება გამოწვეულია საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სამედიცინო დაწესებულებების წყლებით, ქიმიური დაბინძურება კი – სამთო მოპოვებითი, ქიმიური, მანქანათმშენებელი მრეწველობის ფუნქციონირებით.

ამჟამად საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენს კომუნალური საკანალიზაციო სისტემები, სამედიცინო დაწესებულებები და სამრეწველო ობიექტები. საწარმოო ჩამდინარე წყლების მოცულობის დაახლოებით 10% და კომუნალური საკანალიზაციო წყლების მოცულობის მხოლოდ 13% იმჟინდება ნორმატივების შესაბამისად გაწმენდ ნაგებობებში.

ცენტრალიზებული კომუნალური საკანალიზაციო სისტემა, რომელიც 45 ქალაქში არსებობს, მთლიანად ამორტიზებულია. საკანალიზაციო წყლების გამწმენდი 33 ქალაქშია და მათი საშუალებით დღეში მხოლოდ 1.64 მლნ მ³ ჩამდინარე წყლის გაწმენდა შესაძლებელი.

კომუნალური საკანალიზაციო წყლებით ყველაზე მეტად დაბინძურებული მდინარეებია: მტკვარი – გორის, ბორჯომის, თბილისისა და რუსთავის მონაკვეთებზე, ვერე – თბილისში, ალაზანი – თელავის მონაკვეთზე, სურამულა – ხაშურის მონაკვეთზე, მაშვერა – კახრეთულასა და მაშვერას შესართავთან, ალგეთი – მარნეულის მონაკვეთზე, რიონი – ქუთაისისა და ფოთის მონაკვეთებზე.

ასევე მნიშვნელოვანადაა დაბინძურებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის მიმდებარე აკვატორია ფოთისა და ბათუმის მიდამოებში.

მძიმე მრეწველობის საწარმოები იწვევს წყლის ნაზირწყალბადებით, ფეროლითა და მძიმე მეტალებით დაბინძურებას. 1990 წელს ჩატარდა შავი და კასპის ზღვების აუზების ჰიდროქიმიური ტესტირება 40-50 პუნქტში. წყლის ყველაზე მაღალი ღირის დაბინძურება აღინიშნა ჭიათურის, ტყეულის, ზესტაფონის მახლობლად დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში კი, მტკვარი – სოღანდულისა და რუსთავის მიდამოებში.

დაბინძურებისაგან სათანადოდ არ არის დაცული სასმელი წყლის სათავე ნაგებობების სანიტარული ზონები, ხოლო ქლორის დეფიციტის გამო ხშირად ვერ ხერხდება წყლის დეზინფექცია.

საკმაოდ დიდია გრუნტის წყლების მარაგი, განსაკუთრებით კავკასიონის სამხრეთ ფერდობებსა და ახალქალაქისა და მარნეულის პლატოებზე. ამ წყაროების საერთო დებიტი 340 მ³/წმ-ს აღწევს. მთლიანად წყალმომარაგების სისტემები უზრუნველყოფს წელიწადში 600 მლნ მ³ სასმელი წყლის მიწოდებას. აქედან 90% გრუნტის წყლებზე მოდის და დაქლორვის გარდა სხვა განსაკუთრებულ დამუშავებას არ განიცდის.

სოფლებსა და სასოფლო დასახლებებში არსებული წყალმომარაგების სისტემების უდიდესი ნაწილი დღეს არ ფუნქციონირებს. ხშირად მოსახლეობას საცხოვრებელი ადგილიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული წყაროებიდან უხდება სასმელი წყლის აღება. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც აქტიურ-ფერული ნალექების რაოდენობა მცირეა, ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაა. სოფლების წყალმომარაგების სისტემებში როგორც წესი, დეზინფექცია არ ხდება, ხოლო სათავე ნაგებობების სანიტარულ დაცვას თითქმის არ ექვევება ყურადღება, რის შედეგადაც სასმელი წყლის ხარისხი ხშირად სტანდარტებს არ შეესაბამება.

ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემა შავი ზღვის ეკოსისტემის დაბინძურების აღკვეთა. შვედეთის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესურსული პოტენციალის, რეკრეაციული, საგარეო კავშირის თვალსაზრისით.

შავი ზღვის ეკოსისტემის დაბინძურებაზე გავლენას ახდენს არა მარტო შავი ზღვისპირა ქვეყნების – თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველო – საწარმოო და საყოფაცხოვრებო ფუნქციონირების შედეგები, არამედ იმ ქვეყნებისაც, სადაც შავი ზღვის აუზის მდინარეები მიედინებიან და ზღვაში ჩაიტანენ საწარმოო და საყოფაცხოვრებო გაუმწმენდავ ჩამონარე წყლებს. ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ აზოტის 58% და ფოსფორის 66% ზღვაში ხვდება მდ. დუნაის აუზიდან. შავი ზღვის რეგიონი მოიცავს 17 სახელმწიფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს და თითქმის 160 მლნ მცხოვრებს. ცხადია, ზღვის წყალშემკრებ აუზში ხვდება მრეწველობის, კომუნალური, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ზემოქმედებით გამოწვეული მომწამლავი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ცირკულაციის შედეგად შავი ზღვის სისტემაში ვრცელდება.

ჩერონობლის კატასტროფის შემდეგ შავი ზღვა დაბინძურდა რადიოაქტიური ნივთიერებებით. 10 წლის შემდეგ, 1996 წელს ვენის საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს აღნიშნული კატასტროფის შედეგებით გამოწვეული რადიონუკლიდით ცეზიუმ 137-ით დაბინძურების არეალები, მათ შორისაა ამიერკავკასია.

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემა ნათობით დაბინძურება, რომლის აქტუალობა უკავშირდება სუფსის ტერმინალის მოქმედებას. ნათობი ძლიერ ტოქსიკურად ზემოქმედებს როგორც თევზებზე, ასევე მარიულტურაზე.

შავი ზღვის ერთ-ერთი პრობლემა აგრეთვე გოგირდწყლოვანი ფენის მაღალი კონცენტრაცია ფსკერისპირა ფენებში, რომლის დონემ უკანასკნელ წლებში აიწია.

მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემას შავი ზღვისპირეთში წარმოადგენს, აგრეთვე, ზღვის აბრაზიული ზემოქმედება, რომელიც მთლიანად ანთროპოგენული ფაქტორითაა განპირობებული. სანაპირო ზოლის ნგრევა იმ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გადაჭრაც პრაქტიკულად რთულად განსახორციელებელია.

შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთის შეღწეული ზონის ფსკერზე უხვად მზარდი წყალმცენარეები უწინ საკვებითა და ფანჯბადით უზრუნველყოფდა ძვირფას სარეწაო თევზებს, დღეს იგი უსიცოცხლო უდაბნოდ გადაიქცა.

ნიადაგის ეროზია და ტყეების გაჩეხვა.

სასოფლო-სამეურნეო მიწების (3 მლნ ჰა) დაახლოებით 35% დეგრადირებულია გარკვეულ ღონებზე, წყლისმთიერი და ქარისმთიერი ეროზიის, ეკოლოგიური თვალსაზრისით არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, სხვა ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესების გამო.

ეროზიის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მთიან რაიონებში, რასაც ბუნებრივ პროცესებთან ერთად ხელს უწყობს დამრეკ ფერადობებზე ტრასების გარეშე ხენა-თესვა და ჭარბი ძოვება, ტყის უკონტროლო და უსისტემო ჭრა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნიადაგის ეროზიას იწვევს მდინარეთა კალაპოტიდან გადმოსვლა.

აღმოსავლეთ საქართველოში ხდება გაუდაბნოების პროცესის გააქტიურება ჭარბი ძოვებისა და კლიმატური პირობების – ნალექიანობის შემცირების გამო. გაუდაბნოებულია დაახლოებით 3 000 ჰა, რომე-

ლიც მოიცავს შირაქის, ელდარის, იორის, ტარბანის, ნატბურის, ნაოპარის, ოლეს, ჯაირან-ჩოლის ველებს, მათ გამოყოფ ქვლებს, ზეგნებსა და კახეთის ქედის სამხრეთ ფერდობის უმეტეს ნაწილს.

ქვეყანა არც თუ მდიდარია მიწისა და ნიადაგური რესურსების რაოდენობით. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სწორი მიმართულებით გაძლიერება, რომელიც გულისხმობს არა მაქსიმალური პროდუქტის მიღებას, არაორგანული სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებით, არამედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას.

საქართველოში შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციის დასარეგულირებლად საქართველოს მთავრობა უნდა სარგებლობდეს საერთაშორისო კონვენციებით გარემოს დაცვის სფეროში, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით; მან უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების უშუალო მონაწილეობა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეალური მოქმედება. ცხადია, საფუძველი უნდა ვეძიოთ ეკოლოგიური მონიტორინგის, ექსპერტიზის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სრულყოფაში.

გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი სატრანზიტო სტატუსი შეიძინა, რამაც ძირეულად შეცვალა საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა. საგარეო პოლიტიკაში და ეკონომიკურ კავშირების გაფართოების შესაძლებლობების მკვეთრი ზრდა უზრუნველყოფს სინვესტიციური რესურსებით მდიდარი და, ამავე დროს, ტექადი სამომხმარებლო ბაზრის მქონე დასავლეთის ქვეყნებსა და ბუნებრივი რესურსებით უაღრესად მდიდარ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის საეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის ნაწილი, იმთავითვე მოიაზრებოდა ბუნებრივ ხიდად, ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოებს შორის, ახალი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.

ქვეყანას გააჩნია სატრანსპორტო სისტემა, რომელიც საჭიროებს სერიოზულ მოდერნიზაციას. ამასთანავე, პირველ ეტაპზე სამართლებრივი ბაზის შექმნის პარალელურად, იძლევა მარტივი და მცირე მოცულობითი ტვირთების ტრანზიტული გადაზიდვების საშუალებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთხაზიანი ლინდარების მაღალი ხვედრითი წილი და ავტომატური სიგნალიზაციით უზრუნველყოფის დაბალი დონე გადაზიდვების ინტენსივობის ზრდასთან ერთად, უსაფრთხოების ხარისხს ამცირებს, ხოლო საავტომობილო მაგისტრალების გასწვრივ არსებული მომსახურების ინფრასტრუქტურა უკვე პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც სატრანზიტო გადაზიდვებისათვის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. საგულისხმოა სატრანზიტო დერეფნის სახმელეთო ინფრასტრუქტურის ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების საშუალებით საზღვაო ტრანსპორტთან შეწყობა.

საქართველოს დასავლეთის მიმართულების მოქმედი სატრანზიტო მილსადენი ტრანსპორტი წარმოადგენდა ბაქო-სუფსის საექსპორტო ნავთობსადენით, რომელიც ექსპლუატაციაში 1999 წელს შევიდა. ეს არის თანამედროვე სამშენებლო კომპლექსი უნიკალური ნავთობბითა და დანადგარ-მოწყობილობებით.

სატელეკომუნიკაციო სისტემები. დასრულების ფაზაშია ტრანს-აზია-ევროპის ბოჭკოვან-ოპტიკური საკაბელო სისტემის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობა. მაგისტრალის ძირითადი მონაკვეთების მშენებლობა უკვე დამთავრებულია. ესენია: თბილისი-აზერბაიჯანის საზღვარი, თბილისი-სომხეთის საზღვარი, თბილისი-საბურთის, ქუთაისი-ზესტაფონი. მაგისტრალის ჯამური სიგრძე 678 კმ იქნება. ასევე რეალიზაციის ფაზაშია ფოთი-რიზუს ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყალქვეშა საკაბელო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელოს ჩადება რკინიგზის გასწვრივ ფოთთან აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრამდე, რასაც ევროკავშირი აფინანსებს.

საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან აკავშირებს 220, 330 და 500 კმ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოს ენერჯისისტემა ელექტროენერჯის დეფიციტს განიცდის, მომავალში ელექტროენერჯის გამოუმუშავების გაზრდასთან ერთად, არსებული გადაცემი ინფრასტრუქტურით შესაძლებელი იქნება ენერჯის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში. განსაკუთრებით დიდია საექსპორტო პოტენციალი თურქეთის მიმართულებით, სადაც ელექტროენერჯიან ენერჯის მიწოდება სტაბილურად იზრდება. რუსეთი უკვე იჩენს თურქეთის ბაზრით დაინტერესებას და ამ მიზნით საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენების აპირებს. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერჯის ტრანზიტის გეოგრაფია ადგილობრივი, რეგიონული მასშტაბისა და ტრანსპორტის სხვა სახეობებით გადაზიდვებისგან განსხვავებით, კავკასიით და მისი უშუალოდ მოსაზღვრე არეალით შემოიფარგლება.

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მართვის ერთიანი სისტემა არ გააჩნია. ტრადიციული ტრანსპორტისა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მართვას ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო ახორციელებს, მილსადენი ინფრასტრუქტურის მართვას – საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, ხოლო ელექტროენერჯის ტრანზიტის სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტროს პრიორიტეტია. მართვის პროცესის ამგვარი უწყვეტობი დასაქუთვნილობა ართულებს ერთიანი სატრანზიტო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას და საერთო სახელმწიფოებრივ ღონეზე მართვას საჭიროებს.

სატრანზიტო ფუნქცია საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტუნარიანი უპირატესობაა, რომელმაც გლობალიზაციის ეპოქაში ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებსა და სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარება. სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირების შედეგად, 2001 წელს ბიუჯეტში მილიანი შენატინი 142,8 მლნ ლარს შეადგენდა, რაც მილიანი შიდა პროდუქტის 10%-ს აჭარბებს. პერსპექტივაში, მილსადენი ტრანსპორტით ნავთობის სატრანსპორტო შემოსავლები ქვეყნის ბიუჯეტში საშუალოდ 62,5 მლნ ლარს შემოიტანს. ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების შემოტანით სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტი დამატებით შემოსავალს მიიღებს; ასევე მნიშვნელოვანი იქნება ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენით გაზის ექსპორტის ტრანზიტით, რომელიც ექსპერტების ვარაუდით წლიურად 175 მლნ აშშ დოლარი იქნება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით სტანდარტებს.

საქართველოს რთული რელიეფური პირობების, საავტომობილო გზების დაბალი გამტარუნარიანობისა და ცუდი ტექნიკური მდგომარეობის გამო, იზრდება გარემოს დაბინძურების საფრთხე. ამას ემატება სატრანსპორტო საშუალებათა გაუმართაობა და უხარისხო საწვავი, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. ხშირად, ნორმატიული ბაზის დაუხვეწაობა ან უგულვებელყოფა ხდება გარემოს დაბინძურების მიზეზი. 2001 წლის მარტში ფოთის პორტში შემოტანილი იქნა ტაჯიკეთში გადასაზიდი 6 ათასი ტონა ალუმინის ოქსიდი, რომელიც მოშუამღავ ნივთიერებებს მიეკუთვნება. შემდგომში კიდევ 100 ათასი ტონის ტრანზიტია გათვალისწინებული. ნავსადგურში ტვირთის დამუშავების პროცესში გაიზარდა მტერის კონცენტრაცია, რამაც მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. ასევე, საექსპლუატაციო ნორმების დარღვევის შედეგად 1999 წელს მდ. ხანისწყალმა ჩამორეცხა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, რასაც მოჰყვა ნავთობის ტრანზიტის დროებით შეჩერება. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის, ისე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენების პროექტის მიხედვით, საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტები უნდა იქნეს გათვალისწინებული. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია აგრეთვე პრინციპი – „დამბინძურებელი იხდის“. რაც მთავარია, მილსადენების მშენებლობას წინ უნდა უძღვოდეს საქართველოს მიერ დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“, რომელიც წინასწარ საჯაროდ იქნება განხილული. მილსადენების მშენებლობის შემდეგ, აუცილებელია პროექტის ინვესტირებაში მიწის დეფორმაციების პირვანდელ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ სატრანზიტო დერეფანში სახმელეთო გადაზიდვების მოცულობის ზრდასთან ერთად, გარემოს დაბინძურების საფრთხე მეტია, ვიდრე მილსადენი ტრანსპორტით. ნავთობისა და გაზის ტრანზიტთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ამ თვალსაზრისით ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვა. სატრანზიტო საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებული გარემოს დაბინძურების ფაქტების აღწესზე და შეფასება, სამწუხაროდ, არ წარმოებს. ჩამოყალიბებული არ არის ტრანსპორტის ფუნქციონირების ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტები. ამგვარი მონიტორინგის გარეშე რთულია გარემოზე ზემოქმედების დონის განსაზღვრა.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება დაკავშირებულია როგორც ქვეყნის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის სრულყოფასთან, ისე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან. ეს უკანასკნელი რეგიონის ქვეყნების მიერ ერთიანი დახვეწილი სატრანზიტო პოლიტიკის განხორციელებაზეა დამოკიდებული. იმავდროულად, სატრანზიტო პოტენციალის რეალიზაციის ამოცანა მდგრადი განვითარების პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც, პირველ რიგში, გარემოსდაცვითი სტანდარტების აუცილებელ დაცვას გულისხმობს.

საკონტროლო კითხვები:

1. ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი;
2. გარემოს დამაბინძურებელი ძირითადი წყაროები;
3. ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, საქართველოში მიღებული ნორმატიული აქტები.
4. საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის ერთიანი სისტემა და გაუმჯობესების გზები.

3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი რეგულირება

საკვები პროდუქტების ხარისხი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

საკვები შეიძლება იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა დიდი რაოდენობის წყარო და მატარებელი. ადამიანის ორგანიზმში ქიმიურ ნივთიერებათა 70% ხდება საკვების მეშვეობით და მხოლოდ 30% – წყლისა და ჰერის საშუალებით. პროდუქტებში მათი მოხვედრის გზები სხვადასხვაა: ბიოლოგიური ჯაჭვის დროს მათი დაგროვება წარმოების პროცესის, ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის დროს.

დღესდღეობით, განუწყვეტელი ფართოვდება საკვები პროდუქტების ასორტიმენტი, ჩნდება საკვები პროდუქტების წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ახალი ტექნოლოგიური პროცესები, სულ უფრო იზრდება გამოყენებული სხვადასხვა ქიმიური ნაერთების რაოდენობა.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია ადამიანისათვის მავნე თხევადი და გაზისებრი ტექნიკური ნარჩენების გარემოში გამოტყორცნის ზრდა. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ქიმიური და ბიოლოგიური წარმოშობის ასობით სხვადასხვა პესტიციდი, რომლებიც ხედებიან სასურსათო ნედლეულსა და კვების პროდუქტებში. აშშ-ის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის მონაცემებით ფუნგიციდების 90%-ს, პერბიციდების 60%-სა და ინსექტიციდების 30%-ს შეუძლია კიბოს დაავადების პროვოცირება. იმ 400 პესტიციდიდან, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, 262 არის მუტაგენური. ჩვენს ქვეყანაში გამოკვლევების შედეგები მოწმობს, რომ საკვები პროდუქტები ძალიან დაბინძურებულია ტოქსიკურ-ქიმიური შენაერთებით, ბიოლოგიური აგენტებითა და მიკროორგანიზმებით.

საკვები პროდუქტების უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის დროს, პირველ რიგში, აუცილებელია დაისვას საკითხი მათი ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის წარმოების შესახებ. ძირეულად უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სერტიფიკაციისაში მიდგომა. ეს გლობალური ამოცანაა და მისი გადაჭრა მოითხოვს არა მარტო განსაზღვრულ დროს, არამედ მნიშვნელოვან თანხებსაც.

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ საკვები პროდუქტებისა და სასურსათო ნედლეულის დაბინძურება, ძირითადად, ხდება შემდეგი მიზეზების გამო:

- მემცენარეობასა და მეცხოველეობაში სასუქების, სარწყავი წყლის, პესტიციდების, ანტიბიოტიკების, საკვები დანამატების, სტიმულატორებისა და სხვა გამოყენების წესების დარღვევა;
- სასურსათო ნედლეულსა და პროდუქტებში ტოქსიკური ნივთიერებების მოხვედრა გარემო ბუნებიდან, ატმოსფეროდან, ნიადაგიდან, წყალსატევებიდან და სხვ.
- წარმოების ტექნოლოგიებისა და საკვები პროდუქტების შენახვის სანიტარული მოთხოვნების დაუცველობა, რასაც მიყვავართ ბაქტერიული ტოქსინების წარმოქმნამდე;
- საკვები პროდუქტების წარმოების ახალი არატრადიციული, ხშირად შემოწმებული ტექნოლოგიებისა და აკრძალული საკვები დანამატების (სალევაების, კონსერვანტების, ანტიმჟანგელების და სხვ.) გამოყენება;

- ტოქსიკური ნივთიერებების საკვები მოწყობილობებიდან, ჭურჭლიდან, ინვენტარიდან, ტარიდან, საფუთავებიდან საკვებ პროდუქტებში გადატანა, აკრძალული პოლიმერული, რეზინისა და ლითონის მასალის გამოყენების გამო;
- საკვებ პროდუქტებში ტოქსიკური ნაერთების წარმოქმნა სითბური ზემოქმედების, დუღილის, შეწვის, დასხივებისა და სხვა ტექნოლოგიური დამუშავების საშუალებების გამოყენების პროცესში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პროცესში (კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული და სხვ.) საჭიროა ნოყიერი ნივთიერებების განსაზღვრული რაოდენობა. ამაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის აზოტის შემცველ ნაერთებს, რადგან ნიადაგში მათ მიერ შეყვანილი აზოტი, მცენარეების საშუალებით, ტრანსფორმაციას განიცდის ცილოვან ნაერთში და ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას.

დღეისათვის ნიტრატები, ნიტრიტები და სხვა აზოტშემცველი ნაერთები საეკოლოგიურ სტრატეგიასა და მოსახლეობაში სერიოზულ შემოთხვევას იწვევს. როგორც წესი, მცენარეებში, ჩვეულებრივ, ნიტრიტების შემცველობა 3-4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ნიტრატებისა, ხოლო ხილი და კენკროვნები მათ, პრაქტიკულად, არ შეიცავს. ბოსტნეულში ნიტრიტების ზღვრული დონე არ აღემატება 1-2 მგ/კგ-ს. სისხლში მოხვედრისას, ნიტრიტები ურთიერთქმედებაში შედის ჰემოგლობინთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეტჰემოგლობინი, რომელსაც არ შეუძლია განახორციელოს ფანჯბადის შექცევადობის პროცესი. ჯანმრთელი ადამიანის სისხლში მეტჰემოგლობინის დაგროვებისას ჩნდება მწვავე ინტოქსიკაციის (ქოზინი, სისუსტე, თავის ტკივილი) სიმპტომები, ხოლო 50%-მდე დაგროვება კი სიცოცხლისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ნიტრატების კანცეროგენული მოქმედების შესწავლას. არსებობს მეცნიერული მონაცემები კულტურების მიერ ნიტრატების სელექციური დაგროვების სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ. გამოვლენილია მცენარეების სხვადასხვა ორგანოში დაგროვილი ნიტრატების გრადუაცია: მათ ყველაზე მეტ რაოდენობას შეიცავს ყლორტები, ყუნწები, ფოთლების ძარღვები და კომპლექსმაგარი ბოსტნეულის მურკები (ხიკვები).

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიღებულია, რომ ნიტრატ-იონის მაქსიმალური შემცველობა უნდა იყოს შემდეგი (მგ/კგ-ში): კარტოფილში – 80, თეთრთაიან კომბოსტოში – 300, სტაფილოში – 300, ტომატში – 60, კიტრში – 150, ჭარხალში – 1400, თავიან ხახვში – 60, ხახვში – 400, ნესვში – 45, საზამთროში – 45.

ბოლო დროს საკვებ პროდუქტებში შემწვეულ იქნა ზოგიერთი ანტიბიოტიკის არსებობა, რაც გამოწვეულია სოფლის მეურნეობაში მათი არასწორი მოხმარებით ცხოველების მკურნალობისა და ზრდის სტიმულაციის მიზნით. ანტიბიოტიკების (ტეტრაციკლინი, პენიცილინი, სტრეპტომიცინი) მანვე მოქმედება გამოიხატება ორგანიზმების ალერგიულ რეაქციებსა და გაცვლითი რეაქციების შეცვლაში.

მრავალ ქიმურ ნივთიერებას შორის, რომელთა ზემოქმედებასაც განიცდის ადამიანის ორგანიზმი, არსებობს ნაერთთა ნეკროფი, რომელიც განისაზღვრება როგორც დაბინძურებები გარემო ბუნებიდან. დღეისათვის ადამიანის ჯანმრთელობისათვის ისინი დიდ პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს, ქიმიურად მდგრადება და საკვებ პროდუქტებში დაგროვების უნარი გააჩნია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვების კოდექსის შემსწავლელი გაერთიანებული კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით, რვა ქიმიური ნივთიერება შეტანილია იმ კომპონენტების რიცხვში, რომელთა შემცველობა კონტროლირდება საკვებ პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას – ეს არის ვერცხლისწყალი, კადმიუმი, ტყვია, დარიშხანი, სპილენძი, სტრონციუმი, თუთია, რკინა. ამ ელემენტების სია კვლავ ივსება.

საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულში ქიმიური ელემენტების შემცველობის დაშვებული ნორმები (მგ/კგ-ში)

| პროდუქტები | ტოქსიკური ელემენტები | | | | | |
|---------------------------------------|----------------------|----------|-----------|----------------|----------|-------|
| | ტყვია | კადმიუმი | დარიშხანი | ვერცხლის წყალი | სპილენძი | თუთია |
| ახალი ხორცი და ფრინველი | 0,5 | 0,05 | 0,1 | 0,03 | 5,0 | 70,0 |
| კვერცხი | 0,3 | 0,01 | 0,1 | 0,02 | 3,0 | 50,0 |
| რძე | 0,1 | 0,03 | 0,05 | 0,005 | 1,0 | 5,0 |
| ახალი თევზი | 1,0 | 0,2 | 1,0 | 0,3 | 10,0 | 40,0 |
| პური | 0,3 | 0,05 | 0,1 | 0,01 | 5,0 | 25,0 |
| შაქარი | 1,0 | 0,05 | 0,5 | 0,01 | 1,0 | 3,0 |
| ახალი ბოსტნეული და ხილი | 0,5 | 0,03 | 0,2 | 0,02 | 5,0 | 10,0 |
| სოკო | 0,5 | 0,1 | 0,5 | 0,05 | 10,0 | 20,0 |
| ხილ-ბოსტნეულის კონსერვი | 1,0 | 0,05 | 0,2 | 0,02 | 5,0 | 10,0 |
| კანფეტები | 1,0 | 0,1 | 0,5 | 0,01 | 15,0 | 30,0 |
| მინერალური წყლები | 0,1 | 0,01 | 0,1 | 0,005 | 1,0 | 5,0 |
| ლუდი, ლვინო, არაყი | 0,3 | 0,03 | 0,2 | 0,005 | 5,0 | 10,0 |
| სუფრის მარილი | 2,0 | 0,1 | 1,0 | 0,01 | 3,0 | 10,0 |
| ხორცის კონსერვები ბავშვთა კვებისათვის | 0,3 | 0,03 | 0,1 | 0,02 | - | - |

გარემო ბუნების დაბინძურების ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სახეა რადიოაქტიური დაბინძურება. ეს დაბინძურება შეიძლება მოხდეს ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგად, აგრეთვე ურანის მადნის მოპოვებისა და გადამუშავების, ბირთვული რეაქტორების მუშაობის, სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის რადიონუკლიდების მოპოვების მიზნით, რადიოაქტიური ნარჩენების შენახვისა და ჩამარხვის, ატომური ელექტროსადგურების ავარიის შედეგად.

მაღალი რადიაციის ზონაში მცხოვრებია მოსახლეობა კვების რაციონთან ერთად იღებს მომატებულ რადიონუკლიდებს. ჩერნობილის აეს-ზე მომხდარმა ავარიამ გვიჩვენა ცეხიუმისა და სტრონციუმის რადიონუკლიდების ადამიანის ორგანიზმში, ინტენსიური ბიოგენური მიგრაცია. ავარიული გამონატყორცნებით დაბინძურებულ ტერიტორიაზე მომუშავე ან მცხოვრები ადამიანების ორგანიზმებში რადიონუკლიდების დაგროვების აცილების მნიშვნელოვანი ფაქტორია განსაზღვრული საკვები პროდუქტების მოხმარება.

კვების პროდუქტების უსაფრთხოებაზე ლაპარაკის დროს, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკვებ დანამატებს.

ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა, რომელიც ეხება კვების პროდუქტებს, სავალდებულო წესით მოითხოვს პროდუქციის ეტიკეტზე იმ საკვები დანამატების სახეებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციის აღნიშვნას, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ პროდუქციის დამზადებისას.

საკვებ ინფექციას იწვევს პროდუქტში მიკროორგანიზმის არსებობა. საკვები ტოქსიკოინფექციის გამომწვევებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სალმონელას. ადამიანებში სალმონელური ტოქსიკოინფექციების 85% წარმოიშობა ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარების შედეგად. დაავადების წყარო ასევე შეიძლება იყოს თევზი და თევზის პროდუქტები.

მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით მოწამელათა შორის ყველაზე უფრო ხშირად შეინიშნება ინდივიდუალურად მოკრეფილი სოკოებით მოწამელა, რომელიც 50%-ზე მეტ შემთხვევაში სიკვდილთ მთავრდება.

მცენარეული პროდუქტებით მოწამვლის მხრივ მეორე ადგილს იკავებს შხამიანი მცენარეებით მოწამვლა. ცნობილია ველური და კულტურული მცენარეების 100-ზე მეტი სახეობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოწამვლა. მათ შორის მეტ-ნაკლებად გავრცელებულია: შავი ლენციოფა, ლემა, ბელადონა და სხვ.

ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით მოწამვლა საკმაოდ იშვიათად გვხვდება. იგი დაკავშირებულია ზოგიერთი სახის თევზის ქვირილისა და ხაშის გამოყენებით საკვებში.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ფუტკრის თაფლით მოწამვლის შესაძლებლობა. თაფლი იძენს ტოქსიკურ თვისებებს იმ წლებში, როდესაც გაზაფხული გვიან დდება, მაშინ ფუტკრები იძულებული ხდებიან, ნექტარი შეაგროვონ შხამიანი მცენარეების ყვავილებისგან.

ზოგიერთი მცენარე შეიცავს უცილო აზოტის ნივთიერებებს – ალკალოიდებს, რომელთაც გააჩნია სამკურნალო ან ტოქსიკური თვისებები. ალკალოიდების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მედიცინაში – გულის, სისხლძარღვების, ნერვული და სხვა დაავადებების მკურნალობისას.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ძირითადი გარანტიაა – მათი სერტიფიკაცია და სტანდარტიზაცია მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად („მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ“, „სერტიფიკაციის შესახებ“, „სტანდარტიზაციის შესახებ“ და სხვ.) თუმცა, რამდენადაც საქართველოში ჯერჯერობით არ შექმნილა ამ კანონების რეალიზაციის მექანიზმი და არ არსებობს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისი ბაზა, ხარისხისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უბრალოდ კეთილგანზრახვად რჩება. თუმცა, 2003 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი შემოსული კვების პროდუქტების ქართულ ენაზე მარკირების შესახებ.

სერიოზული პრობლემა წარმოიშობა სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების იმპორტის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით. სურსათის იმპორტს ხშირად თან ახლავს უზარისხო და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტების შესყიდვა; ეს იწვევს საკვებში მრავალი ამოუცნობი ნივთიერების მოხვედრას, რომლებიც, როგორც წესი, ორგანიზმისათვის მავნეა. ამგვარად, კიდევ ერთხელ უნდა გაუიმიოროთ, რომ პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება, ძირითადად, განისაზღვრება ნორმატიული დოკუმენტაციის დონით, სერტიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემებით. დღესდღეობით, კვების მრეწველობის ბევრ დარგში, ძირითადად, სერტიფიცირდება მხოლოდ საბოლოო პროდუქტი.

დღეს, ისე, როგორც არასდროს, აუცილებელია საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც განსაზღვრავს საკვები პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზირების, ამოღებისა და გადაშუშვების წესს, იმ პროდუქტების უტილიზაციას, რომელთაც არ გააჩნია მონახლეობისათვის უსაფრთხოების დამადასტურებელი თანხმობები დოკუმენტაცია. აუცილებელია სრულყოფილი საბაჟო კონტროლი და რეგლამენტირება გაუუკეთოთ პროდუქციის ამოღებას, რადგან ერთ ადგილზე დაწუნებული კვების პროდუქტები უტილიზაციას კი არ ექვემდებარება, არამედ გადაიტანება ქვეყნის სხვა რაიონებში, სადაც იყიდება კიდევ.

საკონტროლო კითხვები:

1. საკვებ პროდუქტებში ტოქსიკური ნივთიერებების წარმოქმნა;
2. საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულში ქიმიური ელემენტების შემცველობის დამუშავებული ნორმები;
3. საკანონმდებლო აქტები საკვები პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ.

თავი 15

ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

აღნიშნულ თავში განხილულია კორპორაციული მართვის არსი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინდუსტრია, ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები და მათი ზედამხედველობა, ბაზრის რეგულირების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ინსტიტუციონალური მოწყობა, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისათვის განსაზღვრული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმები.

1. კორპორაციული მმართველობა

კორპორაციული მართვა ნიშნავს საკორპორაციო სამართლის საფუძვლებისა და საქმიანობის წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სააქციო საზოგადოების (კორპორაციის) ეფექტური ფუნქციონირების, მართვის ორგანიზებისა და დაინტერესებულ მხარეებთან (აქციონერებთან, ობლიგაციის მფლობელებთან, პოტენციურ ინვესტორებთან) მენეჯმენტის სამართლიანი (კეთილსინდისიერი, გამჭვირვალე) დამოკიდებულებისაკენ.

ცნება "კორპორაციული მართვა" უკანასკნელი რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა უპირველესად აშშ-ის, ხოლო შემდგომ ევროპისა და იაპონიის თეორიულ-შეცნიერული და პრაქტიკული მიღწევების შედეგად. დასავლეთის ცნობილი ექსპერტების (მათ შორის პროფესორი მარკუს ლუთერი) განმარტებით კორპორაციული მართვა ნიშნავს მალალ პასუხისმგებლობაზე, წარმატებასა და გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში ფასეულობათა შექმნაზე ორიენტირებული საწარმოს ხელმძღვანელობასა და მასზე კონტროლს.

ამ სფეროში მიღებულ საერთაშორისო ნორმად აღიარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპები, რომელთა შესაბამისად ეფექტურმა კორპორაციულმა მართვამ უნდა უზრუნველყოს:

- *აქციონერთა უფლებების დაცვა;*
ყველა აქციონერისადმი ერთნაირი მიდგომა;
- *დაინტერესებული პირების უფლებების აღიარება კორპორაციის მართვაში;*
- *კორპორაციის შესახებ ინფორმაციის გახსნილობა და გამჭვირვალობა;*
მმართველი ორგანოს მიერ კორპორაციის სტრატეგიული მართვა და მისი ანგარიშვალდებულება კორპორაციისა და აქციონერების წინაშე.

მაღალგანვითარებული ქვეყნების კორპორაციული მართვის ფორმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სააქციო პრინციპით შექმნილ საზოგადოებებს. სხვადასხვა ექსპერტული შეფასებებით, მთელი თანამედროვე

ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პრინციპით აშენდა. სააქციო საზოგადოებები (კერძო კორპორაციები) ანუ ემიტენტები ფასიანი ქაღალდების გამოშვებით იზიდავენ კაპიტალს საკუთარი პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად.

საქართველოში საკორპორაციო სამართლის საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს “შეწარმეთა შესახებ” კანონი, რომლითაც რეგლამენტირებულია კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები. “შეწარმეთა შესახებ” კანონის (თავი 4) შესაბამისად, სააქციო საზოგადოება წარმოადგენს საწარმოს (კორპორაციას, კომპანიას), რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე გარკვეული რაოდენობის აქციებად. აქციონერთა წილი კომპანიის მფლობელობაში განისაზღვრება მათ საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობით. აქციონერები პასუხს არ აგებენ კომპანიის ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც აქციონერები ირჩევენ. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის კომპანიისა და დირექტორთა საქმიანობის ზედამხედველობა. დირექტორები ახორციელებენ კომპანიის მიმდინარე, ოპერატიული საქმიანობის ზედმძღვენელობას და ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერების წინაშე.

სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი;

საერთო კრება არის მესაკუთრეთა მართვის უმაღლესი ორგანო, რომელზეც აქციონერები გადაწყვეტილებებს იღებენ საზოგადოების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესახებ: ცვლილებები წესდებაში და საწესდებო კაპიტალში, საზოგადოების შერწყმა, გაყოფა, გარდაქმნა და ლიკვიდაცია, მოგების გამოყენება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და აუდიტორის არჩევა, საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება, დირექტორებისა და საბჭოს წევრების განთავისუფლება, მმართველი ორგანოს წევრების ანგარიშის დამტკიცება, ქონების შექმნა, გასხვისება ან გაცვლა.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ ცოტა სამი, მაგრამ არა უმეტეს ოცდაერთი წევრისაგან (რაოდენობა სამის ევრადი უნდა იყოს). წევრთა ორი მესამედი აირჩევა საერთო კრების მიერ აქციონერთა წარმომადგენლებისაგან, ხოლო ერთი მესამედი კი საზოგადოების დაქირავებული მოსამსახურეებისაგან. საბჭოს კომპეტენციაა: დირექტორების საქმიანობის კონტროლი და მათზე ზედამხედველობა, საბუღალტრო წიგნების შემოწმება, დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა. მხოლოდ საბჭოს თანხმობითა შეიძლება: საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება, ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, წლიური ბიუჯეტის შედგენა, სესხებისა და კრედიტების აღება, ახალი სახის სამეურნეო საქმიანობის დაწყება.

დირექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო, ისინი ეწვეიან სამეურნეო საქმიანობას და წარმოადგენენ საზოგადოებას მესამე პირთა წინაშე. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობები.

სააქციო საზოგადოების მესაკუთრეთა, აქციონერთა ძირითადი უფლებებია:

- მფლობელობის უფლებების საიმედო მეთოდებით რეესტრაცია;
- აქციების გასხვისება ან გადაცემა;
- საწარმოს შესახებ საჭირო ინფორმაციის დროულად და რეგულარულად მიღება;
- აქციონერთა საერთო კრებებში და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება;

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევამი მონაწილეობა;
- საწარმოს წმინდა მოგებიდან წილის (დივიდენდის) მიღება;
- საწარმოს თაობაზე პრინციპული ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა და საკმარისი ინფორმაციის მიღება ისეთ საკითხებზე, როგორცაა:
 - ა) ცვლილებების შეტანა წესდებაში და სხვა ანალოგიურ დოკუმენტებში, რომლებიც არეგულირებენ საწარმოს საქმიანობას;
 - ბ) ნებართვის გაცემა დამატებითი აქციების გამოშვებაზე;
 - გ) განსაკუთრებული ხასიათის გარიგებები, რომლებსაც არსებითად მიყვავართ კომპანიის გაყიდვისაკენ;

საკონტროლო კითხვები:

1. კორპორაციული მართვის ცნება.
2. სააქციო საზოგადოების მმართველობის სტრუქტურა.
3. აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია.
4. აქციონერთა უფლებები.

2. ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია

ცნობილია, რომ ფინანსური ბაზარი არის ქვეყნის მთელი ფულადი რესურსების ერთობლიობა, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია. თავისი სტრუქტურით იგი შედგება რამდენიმე დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემნაცვლელი ბაზრისაგან. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების (ფქ) ბაზარი, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა და კაპიტალის გადადინება ინვესტორებიდან ემიტენტებისაკენ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი სხვა ბაზრებისაგან, პირველ რიგში, განსხვავდება თავისი საქონლის სპეციფიკით, ფასიანი ქაღალდები ხომ განსაკუთრებული სახის საქონელია. ესაა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას მის მფლობელსა და ემიტენტს შორის. ფასიანი ქაღალდი ყოველთვის ფულადი კაპიტალის ან სხვა მატერიალური ფასეულობის სიმბოლოა. ამიტომ მის ხშირად “საფონდო ფასეულობას” უწოდებენ. ამასთან ერთად, ფასიანი ქაღალდი არის გარკვეული “საფონდო ინსტრუმენტი”, რომლის შემვეობით შესაძლებელია რეალური ფასეულობების შექმნა ან ამ ფასეულობების ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადაცემა. ფასიანი ქაღალდის ეს თვისება ინვესტორებს კაპიტალის სწრაფი დაბანდებისა და მისი უკან სწრაფად დაბრუნების შესაძლებლობას აძლევს. ამდენად, განვითარებული ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის არსებობა არის რეალური კაპიტალის ბაზრის არსებობის მარჯვენა და ინვესტორების მოზიდვის გარანტია.

კაპიტალის ნებისმიერი მფლობელები (ფიზიკური და იურიდიული პირები) ეძებენ მისი დაბანდების ობიექტებს, რათა “ფულით ფული გააკეთონ”, ანუ მოგების მისაღებად ყველაზე მარტივი გამოყენებაა ფულადი კაპიტალის გადაცემა ბანკების განკარგულებაში. დაბანდების სხვა საშუალება, ძვირფას მეტალებსა და მყარ, კონვერტირებად ვალუტაში დაბანდებასთან ერთად, არის წარმოებაში დაბანდება. მეწარმე ცდილობს საქონლის წარმოებას ან მომსახურების გაწევას იმგვარად, რომ მოგება ბანკის პროცენტის ნორ-

მას აღმატებულეს. ამდენად, მეწარმისათვის გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ანუ ათვლის წერტილი, ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას არის სასესხო კაპიტალის პროცენტის ნორმა (ბანკის პროცენტი). თუ მეწარმე შეძლებს წარმოებაში კაპიტალის დაბანდებას მაღალი ეფექტურობით, მოგების ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე ბანკის პროცენტის ნორმა, ხოლო ინვესტორის წილი – უფრო დაბალი, ვიდრე მოგების ნორმა და უფრო მაღალი, ვიდრე ბანკის პროცენტია. წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმე, პარტნიორთა და ინვესტორთა (აქციონერთა) ინვესტიციებს აძუობინებდა ბანკის კრედიტს. მაშასადამე, ინვესტორები ფინანსებს აბანდებენ წარმოებაში, იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი მოგება იმავე კაპიტალის ბანკში მოთავსებით მიღებულ მოგებას აღმატება. მთელი მსოფლიოს ინვესტორთა ინტერესების სფერო და მოქმედების მოტივაცია დაკავშირებულია წარმატებულად ფუნქციონირებად სააქციო საზოგადოებების წარმატებულ და მომხიბველ ფასიან ქაღალდებში კაპიტალის ინვესტირებასთან.

სააქციო საზოგადოება შეიძლება დაფუძნოს შეზღუდულმა, წინასწარ ცნობილ მესაკუთრეთა წრემ. საზოგადოების მონაწილეები იღებენ აქციას, რომელიც წარმოადგენს შეტანილი ჰაის დამადანსტრუბელ მოწმობას. აქციონერებში ცვლილებას სჭირდება საზოგადოების მონაწილეების მხრიდან თანხმობა. ეს არის “კრიძო კორპორაციები”. იმისათვის, რომ გაერთიანდეს მრავალი ათასი, აგრეთვე მილიონი ადამიანის სახსრები, ამისათვის ფუნდება საჯარო (ლია) ტიპის სააქციო საზოგადოებები ანუ “საჯარო კორპორაციები”. სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი, უბრალო აქცია უპირველეს ყოვლისა – ეს არის სტანდარტიზებული მოწმობა, რომელიც იდენტურია ყველა იმ დანარჩენის, რომელიც გამოუშვა სააქციო საზოგადოებამ დაფუძნებისას. იგი გაიცემა ყველაზე, ვინც მონაწილეობა მიიღო საზოგადოების შექმნაში. ამასთან, გაკეპული აქციების რაოდენობა პირდაპირპროპორციულია შეტანილი ჰაის სიდიდისა. აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს, როგორც სახელობითი, ასევე წარმომდგენზე. აქციები შეიძლება არსებობდეს ანგარიშზე ჩანაწერის ფორმით (არამატერიალიზებული). ასეთ შემთხვევაში აქციონერზე გაიცემა არა აქცია დაკული ქაღალდის ფორმით, არამედ ამონაწერი აქციონერთა რეგისტრიდან. აქციის ფასი გდიახდევინება მისი ემისიის დროს და ნიშნავს ერთეული ჰაის ღირებულებას. როგორც წესი, იგი მითითებულია აქციაზე (მატერიალიზებულის გამოშვების შემთხვევაში) და ეწოდება ნომინალური ღირებულება. აქციას გააჩნია აგრეთვე საბაზრო ღირებულება, რომელიც დგინდება აქციების ყოველგვარი ფასის მუდმივად ბაზარზე (საფონდო ბირჟაზე). როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციის მფლობელს აქვს საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება. აქციონერთა საერთო კრებაზე ერთ აქციას აქვს – ერთი ხმა.

აქციების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა პრივილეგირებული აქციები. იგი მფლობელს არ აძლევს აქციონერთა კრებაზე ხმის უფლებას და, შესაბამისად, მართვაში მონაწილეობის უფლებას. პრივილეგიები გამოიხატება გარანტირებული დივიდენდის მიღებაში. გარდა ამისა, კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ჯერ პრივილეგირებული აქციების მფლობელები იღებენ ქონების წილს და შემდეგ – ჩვეულებრივი აქციების მფლობელები. დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე გაიცემა უფრო ადრე, ვიდრე ჩვეულებრივი აქციებზე.

ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს ობლიგაციის გამომშვები იურიდიული პირის სასესხო ვალდებულებას და აღსტურებს მისი მფლობელის უფლებას – მიიღოს ობლიგაციაზე მითითებული ნომინალური ღირებულება წინასწარ დადგენილ ვადაში და სარგებელი – დადგენილი პერიოდულობით.

ძირითადად განასხვავებენ ობლიგაციების 3 კატეგორიას: 1. კორპორაციული ობლიგაციები 2. სახელმწიფოს ობლიგაციები 3. მუნიციპალური ობლიგაციები.

აქციებისაგან განსხვავებით, რომლებიც კორპორაციის საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს, კორპორაციული ობლიგაციები არის სასესხო კაპიტალის გამომხატველი და ამიტომ ისინი კორპორაციის “სასესხო ფასიანი ქაღალდებია”. ამრიგად, ობლიგაციის მფლობელები არიან კორპორაციის კრედიტორები, მაშინ, როცა

აქციონერები მისი მფლობელები არიან. ამასთან დაკავშირებით, ობლიგაციონერთა უფლებები განსხვავებულია აქციონერთა უფლებებისაგან. კერძოდ ობლიგაციონერებს არა აქვთ ხმის უფლება და, შესაბამისად, არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კომპანია-ემიტენტის მართვაში. მაგრამ, როგორც კრედიტორებს, მათ აქვთ ის უფლებები, რაც არ გააჩნია აქციონერებს. კერძოდ, კომპანია-ემიტენტი ვალდებულია გადაიხადოს ობლიგაციის პროცენტები, როცა აქციების, თვით პრივილეგირებულის შემთხვევაში, ასეთი ვალდებულებები არ არსებობს. ობლიგაციის პროცენტები უნდა იქნეს გადახდილი აქციებზე დივიდენდების გაცემის საკითხის გადაწყვეტამდე. გარდა ამისა, კომპანიის ლიკვიდაციის დროს ობლიგაციონერებს აქვთ უპირატესი უფლებები აქციონერებთან შედარებით.

ობლიგაციონერებთან კორპორაციების ურთიერთობა ფორმდება საკვალური ხელშეკრულებით ფირმა-ემიტენტსა და ინვესტორს შორის. ამ ხელშეკრულების პირობებით კორპორაცია ვალდებულია ინვესტორს დაუბრუნოს სრული თანხა დადგენილ ვადაში (დაფარვის თარიღი). აგრეთვე მთელი დროის მანძილზე, რა ხნითაც არის გამოშვებული ობლიგაცია, დადგენილი განაკვეთით გადაიხადოს პროცენტები. ყოველწლიურად ფიქსირებული საპროცენტო თანხის მიღების უფლებას ეწოდება ანუ ობლიგაციის შემთხვევაში გამოშვებულ იქნეს ობლიგაციები ნომინალზე ნაკლები ღირებულებით და დაიფაროს ნომინალური ღირებულებით (დისკონტირებული ობლიგაციები). ჩვეულებრივ, პროცენტებს ობლიგაციებზე იხდიან წელიწადში ორჯერ. დაფარვის ვადის მიხედვით ობლიგაციები პირობითად შემდგენილია იყოფა: 1) მოკლევადიანი; 2) საშუალოვადიანი; 3) გრძელვადიანი.

აქციონერთა მსგავსად, ობლიგაციის მფლობელებიც იღებენ მათ მიერ ობლიგაციების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს – ობლიგაციის სერტიფიკატს ან ამონაწერს რეესტრიდან.

“შეწარმეთა შესახებ” კანონის თანახმად აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოებების ვალდებულებებს აქციონერის მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით. კანონის შესაბამისად, აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა სერტიფიკატი ან ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 100-ზე მეტია, ვალდებულია აწარმოოს აქციონერთა რეესტრი დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა არ აღემატება 100-ს, მას შეუძლია სურვილისამებრ აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. სააქციო საზოგადოება გასცემს ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ სახელობლით ფორმით. ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. ჩვეულებრივი აქციის მფლობელის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია დივიდენდების ან ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილებასთან, განხორციელდება მხოლოდ პრივილეგირებული აქციების მფლობელთა ანალოგიური უფლებების დაკმაყოფილების შემდეგ. საზოგადოებას უფლება აქვს გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წესდება ან ემისიის პროსპექტი ითვალისწინებს პრივილეგირებულ აქციაზე ერთი ხმის მინიჭებას პრივილეგირებულ აქციაზე დივიდენდის გაუცეპლობისას. რომელიმე კლასის აქციათა გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. ამ თანხმობის აუცილებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებაში ან აქციათა სერტიფიკატზე. წესდებაში ასეთი აღნიშვნისათვის აუცილებელია ვგვლა იმ აქციონერის წერილობითი თანხმობა, რომლებიც ამ კლასის აქციებს ფლობენ.

ფასიანი ქაღალდების არსებობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კონსტრუირება, გამოშვება, პირველადი განთავსება (საჯარო შეთავაზება, კერძო განთავსება) და მიმოქცევა. საერთოდ უნდა განვსახვათ ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი ბაზარი. პირველად ბაზარზე ხდება ფასიანი ქაღალდების ასალი

გამოშვების განთავსება მის პირველ მფლობელებს შორის, სადაც ემიტენტებად გამოდიან კორპორაციები, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები. ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების შემდეგ, როდესაც სპეციალიზებული შუამავლების მეშვეობით მოხდა ფასიანი ქაღალდების განთავსება მის პირველ მფლობელებს შორის, ადგილი აქვს გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადებას (ხდება მათი შეზღვევა გადაყიდვა), რომელსაც ეწოდება მეორადი საფონდო ბაზარი.

ფასიანი ქაღალდების ბაზარის ფუნქციები:

- მოსახლეობის დანაზოგების ტრანსფორმაცია ინვესტიციებში;
- შუამავლობა გამყიდველებსა და მყიდველებს შორის;
- ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, რომლის მიზანია კაპიტალის ბრუნვალობის ზრდა და კაპიტალის ფორმირების დანახარჯების შემცირება;
- ფასწარმოქმნის მექანიზმის უზრუნველყოფა, რომლის დანიშნულებაა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების "დამოუკიდებელი" შეფასება და ემიტენტის ხარისხზე მეთვალყურეობის მეთოდის დადგენა.

1998-2000 წლებში საქართველოში, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) დაფინანსებით "ბარენც ჯგუფის" მიერ, განხორციელდა "კაპიტალის ბაზრის განვითარების პროექტი", რომლის ფარგლებში, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების თანამშრომლობით, შექმნილია კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". იგი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 24 დეკემბერს და ძალაშია 1999 წლის 5 თებერვლიდან. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი არის ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების დაფუძნება-ჩამოყალიბების, მათი ნორმალური ფუნქციონირებისა და შეზღვევა განვითარების სამართლებრივი საფუძველი. კანონის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექციის ბაზაზე ჩამოყალიბდა საფონდო ბაზრის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანო - ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ შეიცავს აღნიშნულ კანონს, სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს (კომისიის დადგენილებით დამტკიცებული კომისიის წესები წარმოადგენს ნორმატიულ აქტებს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად), რომელთა შესრულებაზეც ზედამხედველობას ახორციელებს კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის თანახმად, ფასიანი ქაღალდები არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი და სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით ან, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან, რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. კანონით ასევე განსაზღვრულია ის ინსტრუმენტები, რომლებიც არ განიხილება ფასიან ქაღალდებად: ბანკების ვალდებულებები, სადაზღვევო პოლისები, ენუტიტური კონტრაქტები, ჩეკები, სხვა ინსტრუმენტები.

წილობრივი ფასიანი ქაღალდების ყველაზე გავრცელებული სახეა აქცია, ხოლო სასესხო ფასიანი ქაღალდების კი - ობლიგაცია.

კანონის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან ემიტენტი, ინვესტორი (ინდივიდუალური - ფიზიკური პირები - და ინსტიტუციონალური - იურიდიული პირები - საქონილი ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები და სხვა საინვესტიციო ინსტიტუტები) ბაზრის რეგულირებადი მონაწილე (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, საბროკერიო კომპანიები და ბროკერები), აუდიტორი.

ემიტენტი იღებს გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შესახებ, არრეეს ფასიანი ქაღალდების სახეობას, ემისიის მოცულობას, თავისი ძალებით ან დაქირავებული საინვესტიციო კონსულტანტის (საბროკერო კომპანია) მეშვეობით ადგენს ემისიის პროსპექტს, მარეგულირებელ ორგანოში ემისიის პროსპექტის რეგისტრაციისა და დამტკიცების შემდეგ საბროკერო კომპანიასთან დადებული შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე ზორციელება ფასიანი ქაღალდების განთავსება.

ფასიანი ქაღალდები შეიძლება განთავსდეს კერძო ან საჯარო შეთავაზებით. "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით "ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება არის წინადადება ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის". ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების განსაზოციელებლად, ემიტენტმა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას უნდა წარუდგინოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტები, რომლებიც ჩაითვლება საჯარო შეთავაზების განაცხადად.

ემისიის პროსპექტის დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, 30 დღის განმავლობაში კომისია განიხილავს ამ დოკუმენტებს და წერილობით მიაწვდის პასუხს ემიტენტისაგან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნაზე ან მოსთხოვს მას წარადგინოს წინასწარ პროსპექტში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები. ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ, ემიტენტი წარადგენს კომისიაში შესწორებებს, რომელიც ხელშეორედ განიხილება კომისიის მიერ. შესწორებული ვარიანტის განხილვა კვლავ 30 დღით განისაზღვრება. შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ხდება კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება.

თუ ემიტენტი ემისიის პროსპექტის კომისიაში წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით არ მიწვდება ზემოთ აღნიშნული შენიშვნები, 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პროსპექტი დამტკიცებულად ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ ემისიის პროსპექტში მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია არ უნდა იყოს 9 თვეზე უფრო ადრინდელი. კომისიის მიერ წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში (კომისიამ შეიძლება დააწესოს სხვა ვადა) ემიტენტმა კომისიაში უნდა წარადგინოს საბოლოო პროსპექტის სამი ეგზემპლარი, რომლის პირველ გვერდზე მითითებული იქნება შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობა და ზუსტი ფასი. საბოლოო პროსპექტის დამტკიცების შემდეგ ემიტენტს უფლება აქვს შეცვალოს შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების ფასი, მაგრამ კომისიის მიერ დამტკიცებულ საბოლოო პროსპექტში მოცემული ფასი შეიძლება შეიცვალოს არა უმეტეს 20%-ით.

კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება ადასტურებს, რომ ემიტენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფორმალურად შეესაბამება ამ კანონს, მაგრამ იგი არ ადასტურებს გაცხადებული ინფორმაციის სისწორეს. ყოველი ემისიის პროსპექტის წინა გვერდზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს სიტყვები: "კომისიის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა, მისი შინაარსის სისწორის და აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ".

პროსპექტში შემავალი შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების მახასიათებლების გაცნობის მიზნით, საბოლოო პროსპექტი მიწვდება პოტენციურ ინვესტორებს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე, რომლის საფუძველზე ინვესტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების ყიდვის შესახებ.

საჯარო შეთავაზების პროცესში რაიმე არსებითი მოვლენის, მაგალითად ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის, ფასის, შეთავაზების ვადის ან სხვა მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ემიტენტი კომისიას აწვდის შეტყობინებას და წარუდგენს შესაბამის ცვლილებებს. ემიტენტი გაზეთში აქვეყნებს შეტყობინებას არსებული სახით შეთავაზების გაუქმების შესახებ და აცხადებს მითითებულ თარიღამდე დადებული ყველა ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ყოველგვარი ფასდაკლების გა-

რეშე. ფასიანი ქაღალდების მყიდველებს ემიტენტი უსაზღვრავს 30-დღიან ვადას ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც ემიტენტი უფლებამოსილია განაგრძოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ემიტენტის მიერ ემისიის პროსპექტში შეტანილი იქნა შესწორებები, ხელმოწერებს უფლება აქვთ უარი თქვან შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე, ხოლო ემიტენტი მოვალეა უკან დაუბრუნოს ფასიანი ქაღალდების საფასური ხელმოწერის მიერ უარის გაცხადებიდან 10 დღის განმავლობაში. ხელმოწერები, რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

საბოლოო პროსპექტის დამტკიცებამდე ემიტენტმა და მისი სახელით მოქმედმა საბროკერო კომპანიამ, საზოგადოების დაინტერესების მიზნით, წინასწარი ემისიის პროსპექტი შეიძლება დაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს, მაგრამ წინასწარი პროსპექტით არ უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ან გაყიდვა. წინასწარი პროსპექტის პირველი გვერდი უნდა შეიცავდეს შემდეგ განცხადებას: "ამ წინასწარი პროსპექტით არ ხდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება. პროსპექტი ამ ფასიანი ქაღალდების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას და გამოქვეყნდება დამტკიცების შემდეგ. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შეფასება ან გაყიდვა ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე აკრძალულია და კანონით ისჯება".

კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს დამტკიცებული ემისიის პროსპექტის მოქმედება, თუ ემიტენტი ან მისი სახელით მოქმედი საბროკერო კომპანია არღვევს კანონის მოთხოვნებს ან ემისიის პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არასწორი ან არასრულია.

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, ემიტენტი კომისიას წარუდგენს ანგარიშს ემისიისა და ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ. კომისია წარადგენილ ანგარიშს განიხილავს მისი მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია ანგარიშვალდებული საწარმოს ცნება. ანგარიშვალდებულ საწარმოდ ითვლება საწარმო, – საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის გარდა, – თუ მას გამოშვებული აქვს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდები (კანონის მუხლი 9). საჯარო ფასიანი ქაღალდებია "ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და რომლებსაც "ჩანაწერთ ფლობს" ფასიანი ქაღალდების 50-ზე მეტი მფლობელი" (კანონის მუხლი 2, პუნქტი 36). "ჩანაწერთ ფლობის შესახებ" წესი დამტკიცებულია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2001 წლის 3 მაისის №10 დადგენილებით. აღნიშნული წესით "ჩანაწერთ ფლობა" ნიშნავს მატერიალიზებულ ფორმით გამოშვებული ან არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ისეთ მფლობელობას, რომელიც დასტურდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ან ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ წარმოებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრის ჩანაწერებით, ხოლო თუ ეს ფასიანი ქაღალდები ნომინალურ მფლობელობაშია – მაშინ ყოველი საფეხურის ნომინალური მფლობელების ჩანაწერებით (წესის მე-2 მუხლი, 1-ლი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი). ამასთან, რეგისტრის საწარმოებლად ანგარიშვალდებულმა საწარმომ ხელშეკრულება უნდა დადოს ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებულ რეგისტრატორთან (კანონის მე-10 მუხლი, მე-12 პუნქტი). ემიტენტი ვალდებულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს გადასცეს რეგისტრის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტები. ემიტენტის მიერ გადაცემული საბუთების საფუძველზე რეგისტრატორმა საწარმოს დახმარებით უნდა მოახდინოს აქციების რეგისტრების კონსოლიდაცია ანუ აქტივთა და მათ შესაკუთრება მოწესრიგებული ნუსხა.

ანგარიშვალდებული საწარმოების შესახებ ინფორმაციის საინვესტიციო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხორციელდება კომისიის მიერ შესაბამისი საანგარიშგებო მოთხოვნების დაწე-

სებით, მათ მიმართ ინფორმაციის შესაბამისობის დადგენითა და საჭიროების შემთხვევაში – საკანონმდებლო მოთხოვნების იძულებითი აღსრულებით.

ანგარიშვალდებულ საწარმოებს ეკისრებათ გარკვეული ვალდებულებები. კერძოდ, ანგარიშვალდებულმა საწარმოებმა რეგულარულად უნდა მოამზადონ, კომისიას წარუდგინონ და გამოაქვეყნონ ინფორმაცია საწარმოს შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ მიმართულებით კომისია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის საფუძველზე, განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადებისა და კომისიაში მათი წარდგენის წესებს.

ანგარიშვალდებულმა საწარმოებმა უნდა მოამზადონ და კომისიაში წარადგინონ წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები. წლიური ანგარიშის წარდგენის ვადაა 90 დღე სამუდამო წლის დამთავრებიდან, ნახევარწლიური ანგარიშისა - წლის პირველი ნახევრის დასრულებიდან 45 დღე, ხოლო მიმდინარე ანგარიშის წარდგენა აუცილებელია არსებითი მოვლენის მოხდენიდან 15 დღის ვადაში. წლიური და ნახევარწლიური ანგარიშები აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფინანსურ ანგარიშგებას.

ყველა ანგარიში კომისიაში წარდგენილ უნდა იქნეს კომისიის მიერ დამტკიცებული "ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ წლიური ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ"; "ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ ნახევარწლიური ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ"; "ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ მიმდინარე ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ"; "ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ" და "ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაჩენის და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ" წესების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში 2000-2002 წლების განმავლობაში წარმოადგენილია 319 ანგარიშვალდებული საწარმოს 1170 სხვადასხვა ანგარიში. მათ შორის: 584 – წლიური, 513 – ნახევარწლიური, 73 – მიმდინარე.

საწარმოების რაოდენობა, რომელთაც 2000–2002 წლებში სხვადასხვა ანგარიში წარმოადგინეს კომისიაში

ცხრილი

| წელი | საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც წარმოადგინეს ანგარიშები | წარმოდგენილი ანგარიშების რაოდენობა, სულ | მათ შორის: | | |
|---------|---|---|-----------------|------------------------|--------------------|
| | | | წლიური ანგარიში | ნახევარწლიური ანგარიში | მიმდინარე ანგარიში |
| 2000 წ. | 118 | 239 | 109 | 113 | 17 |
| 2001 წ. | 191 | 356 | 181 | 147 | 28 |
| 2002 წ. | 304 | 575 | 294 | 253 | 28 |

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 11.2 მუხლის შესაბამისად, შემუშავდა "ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ წლიური ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ" წესი. აღნიშნული წესი დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2000 წლის 21 იანვრის №4 დადგენილებით.

ამ წესის თანახმად, საწარმოს მიერ წარდგენილი ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის, საწარმოს ტიპების, სასამართლო პროცესების, აქციონერთა საერთო კრებაზე განხილული საკითხების, საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის, შერჩეული ფინანსური მონაცემების, საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვი-

სა და ანალიზის, საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკის, აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებების, საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შტეკლის, მმართველი ორგანოს წევრებისა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების, საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურების, საერთო კრებაზე ხმათა 5%-ის ან მეტის მფლობელების, დაკავშირებული მხარეებისა და ურთიერთობების შესახებ. ანგარიშს თან უნდა ახლდეს მასში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები.

წლიური ანგარიშის წარდგენისას შესაბამისი წესის მე-10 მუხლის მიხედვით: "საწარმომ უნდა წარმოადგინოს კომისიის დადგენილებით მოთხოვნილი ფინანსური სტანდარტების შესაბამისად მომზადებული სამეურნეო წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება. საწარმომ უნდა წარადგინოს ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ანგარიშგება საანგარიშგებო პერიოდში სახსრების წყაროების ფორმირებისა და ამ სახსრების გამოყენების შესახებ. ფინანსურ ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს ახსნა-განმარტებითი შენიშვნები."

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.3 მუხლის შესაბამისად შემუშავდა წესი „ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ ნახევარწლიური ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ“. აღნიშნული წესი დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2000 წლის 21 იანვრის №4 დადგენილებით.

წესის მიხედვით მომზადებული ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგებების, საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მობილიზებისა და ანალიზის, საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკის, სასამართლო პროცესების, ფასიანი ქაღალდებში ცვლილებების, საწარმოს დავალიანებების, აქციონერთა საერთო კრებაზე განხილული საკითხებისა და სხვათა შესახებ. ანგარიშს თან უნდა ახლდეს მასში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.4 მუხლის შესაბამისად შემუშავდა „ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ მიმდინარე ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ წესი“. აღნიშნული წესი დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2000 წლის 21 იანვრის №4 დადგენილებით.

ანგარიშვალდებული საწარმოების მიმდინარე ანგარიშები დგება საწარმოში მომხდარ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით და იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქციათა კონტროლთან დაკავშირებით ცვლილებების, აქტივების შექმნისა და გასხვიების, ლიკვიდაციის, საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შტეკლის, ფინანსური ანგარიშგებების, საბიუჯეტურ სავაჭრო წყაროს გადადგომისა და სხვა ცვლილებების შესახებ. ანგარიშს თან უნდა ახლდეს მასში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი დანართები.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12, მე-14 და მე-16 მუხლების თანახმად, ანგარიშვალდებული საწარმოების მმართველი ორგანოს წევრები და აქციათა გარკვეული პაკეტის მქონე (5%-ის და მეტის მფლობელი) აქციონერები ანგარიშვალდებულნი არიან ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის და აქციონერების წინაშე. მმართველი ორგანოს წევრებმა და მსხვილმა აქციონერებმა კომისიაში უნდა წარადგინონ ანგარიშები, ანგარიშვალდებული საწარმოების თავიანთ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ.

მმართველი ორგანოს წევრებისა და მსხვილი პაკეტის მფლობელი აქციონერების მიმართ საანგარიშგებო მოთხოვნები დაწესებულია კომისიის წესებით: „ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციარ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი“ (დამტკიცებულია კომისიის 2000 წლის 7 აგვისტოს №7 დადგენილებით) და „ანგარიშვალდებული სა-

წარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენისა და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ" წესი (დამტკიცდა კომისიის 2001 წლის 19 მარტის №9 დადგენილებით).

საკონტროლო კითხვები:

1. სააქციო საზოგადოებების ძირითადი ტიპები.
2. აქცია და მისი თვისებები.
3. პრივილეგირებული აქციები.
4. ობლიგაცია და მისი განსხვავება აქციისაგან.
5. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები.
6. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების მარეგულირებელ ორგანოში დარეგისტრირების პროცედურა.
7. ანგარიშვალდებული საწარმოების ცნება საქართველოს კანონით "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ"
8. ანგარიშვალდებული საწარმოების, მმართველი ორგანოს წევრებისა და მსხვილი აქციონერების ძირითადი ვალდებულებები.
9. ანგარიშვალდებული საწარმოების წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებში წარმოსადგენი ინფორმაცია.

3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები და მათი რეგულირება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს განეკუთვნება: საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი (საბროკერი კომპანია, ბროკერი). რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობა ექვემდებარება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებას.

ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა. საფონდო ბირჟა

ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობის ორგანიზატორია საფონდო ბირჟა. იგი წარმოადგენს მოწესრიგებულ, ორგანიზებულ სისტემას, სადაც ბაზრის მონაწილეები შუამავლების მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდებიან. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა საფონდო ბირჟის ჩამოყალიბება. "საქართველოს საფონდო ბირჟა" დაფუძნდა 1999 წლის იანვარში, ლიცენზია გაიცა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ 2000 წლის 14 იანვარს, იმედროულად აღიარდა თვითრეგულირებად ორგანიზაციად. "საქართველოს საფონდო ბირჟის" საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, ანუ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ინვესტორისადმი სამართლიან მოპერობას, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, აქციების სამართლიანი ფასის დადგენას, რათა მათ უსაფრთხოდ დააბანდონ თავიანთი სახსრები.

საფონდო ბირჟა არის საშუაგლო არაკომერციული ორგანიზაცია. სხვა სააქციო საზოგადოებებისაგან განსხვავებით, საფონდო ბირჟის აქციის ფლობა არ იძლევა დივიდენდის მიღების უფლებას, სამაგიეროდ ბირჟის აქციის ფლობა იძლევა ბირჟის სავაჭრო სისტემაში ჩართვის და საბირჟო ვაჭრობებში მონაწილეობის უფლებას. ბირჟის მესაკუთრე-წევრთათვის დადგენილია საწევრო შესატანები და სხვა გადასახდევლები, რომლებიც გამოიყენება ბირჟის სავაჭრო სისტემის ხარჯების დასაფარად, აგრეთვე ბირჟის შემდგომი განვითარებისათვის.

საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრები შეიძლება გახდნენ მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები. საბროკერო კომპანიები მოქმედებენ, როგორც შუამავლები იმათ შორის, ვისაც ფული აქვს ინვესტიციისთვის და ვისაც სჭირდება კაპიტალი. ამ ფუნქციის შესრულებისას ბროკერები უზრუნველყოფენ ბაზრის ლიკვიდურობას. ლიკვიდურობის მაღალი დონე არის ეფექტურად მოქმედი ბაზრის საფუძველი. ეს ნიშნავს, რომ ინვესტორებს შეეძლებათ სწრაფად გადააკციონ აქტივები ნაღდ ფულად, რომ მათ შეუძლიათ სწრაფად იყიდონ ან გაყიდონ დიდი რაოდენობით აქტივები. 2002 წლის ბოლოსათვის საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრთა რაოდენობა შეადგენდა 35 საბროკერო კომპანიას.

ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხორციელდება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საფონდო ბირჟის წესების მიხედვით. საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრის მიერ ელექტრონული სავაჭრო სისტემის მუშეობით გარიგების დადებისას, სისტემა ავტომატურად ადგენს ანგარიშს გარიგების შესახებ. საბირჟო ვაჭრობის შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ვრცელდება ბირჟის მიერ დადგენილი წესით.

სავაჭრო სესის დამთავრების შემდეგ, ელექტრონული სავაჭრო სისტემის მუშეობით, ვაჭრობის მონაწილეებს მიეწოდება ანგარიში მათ მიერ დადებული გარიგებების შესახებ, რომელიც საფუძველად ედება შემდგომ ცენტრალურ კლირინგსა და ანგარიშსწორებას.

საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, მათზე ვაჭრობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ – საფონდო ბირჟაზე. საფონდო ბირჟა ვალდებულია უზრუნველყოს ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებისათვის თანაბარი პირობები. ემიტენტი ვალდებულია ბირჟას მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მას მოეთხოვება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით. საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ შეიძლება დაშვებულ იქნეს:

- საქართველოსა და უცხოელი ემიტენტების ფასიანი ქაღალდები, რომელთა მიმოქცევაც დაშვებულია საქართველოში კომისიის მიერ დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად;
- ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ვალს, ან/და გამოშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მათ შორის სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, თუ მათი ყიდვა-გაყიდვა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ამ ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის შესახებ.

საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები იყოფა არასალისტინგო და ლისტინგის ფასიან ქაღალდებად. არასალისტინგო ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე დაშვების აუცილებელი და საკმარისი პირობაა მათი რეესტრი იყოს მოწესრიგებული ანუ რეესტრის წარმოება ხდებოდეს ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის მიერ. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვების პირობები უფრო მეტ მოთხოვნებს ითვალისწინებს, კერძოდ ემიტენტის საკუთარი კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 100 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აგრეთვე ზარალის გარეშე მუშაობის ზანგრძლივობა ბოლო სამი წლიდან ორი წელი, ემიტენტის გამოშვებული აქტივების რაოდენობა არანაკლებ 50 ათასი, ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა ხდებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. 2002 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია 282 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. აქედან, ერთი ემიტენტის აქციები დაშვებულია ბირჟის ლისტინგში. 2002 წლის განმავლობაში ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების რაოდენობამ შეადგინა 1347, გარიგებების ჯამურმა მოცულობამ - 11,5 მლნ აქცია, ხოლო ჯამურმა ღირებულებამ - 8,4 მლნ ლარი. ხოლო ვაჭრობის დაწყების პირველი დღიდან (2000 წლის 23 მარტი) დაფიქსირებულია სულ 3 535 გარიგება 26,6 მლნ აქციაზე, გარიგების საერთო თანხამ შეადგინა 27,4 მლნ ლარი.

ცენტრალური დეპოზიტარი

“საქართველოს საფონდო ბირჟის” მიერ დაფუძნებულია “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი”, რომელიც ხელს უწყობს ბირჟაზე დადებული გარიგებების სწრაფ და საიმედო კლირინგსა და ანგარიშსწორებას. 2000 წლის 1 მარტს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობაზე გასცა ლიცენზია და აღიარა ის თვითრეგულირებად ორგანიზაციად.

ცენტრალური დეპოზიტარი, “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად არის პირი, რომელიც ნომინალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ კლირინგსა და ანგარიშსწორებას, ან ეწვეა კომისიის წესებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას. ცენტრალური დეპოზიტარის მოვალეობებია გახსნას, ამოქმედოს და დახუროს მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, მისი წესების შესაბამისად; უზრუნველყოს აღრიცხვის სისტემის მიწოდება და უსაფრთხოება; მონაწილეს მისცეს ამონაწერი ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ; უზრუნველყოს სხვა მომსახურება მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მომსახურების მიზნით.

დეპოზიტარის წევრები (მონაწილეები) შეიძლება გახდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდეგი მონაწილეები: საბროკერო კომპანიები, ბანკები, საღაზღვეო კომპანიები, ემიტენტები, საინვესტიციო კომპანიები და საფონდო ბირჟები, რომლებიც დააკმაყოფილებენ წევრებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. 2002 წლის ბოლოსათვის “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის” წევრთა რიცხვი შეადგენდა 33 საბროკერო კომპანიას.

“საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარსა” და მის წევრს შორის დადებული ხელშეკრულებით დეპოზიტარი პასუხს აგებს ყველა იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება დეპოზიტარის არასწორი ქმედებით, აგრეთვე პასუხისმგებელია ყველა სხვა გაუგებრობაზე, რომელიც წარმოიქმნება მისი თანამშრომლის ან წარმომადგენლის დაუღვეობით. დეპოზიტარის წესებით დაკუთვნილი ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამოყენებამაც შესაძლოა მორალური ან მატერიალური ზარალი მიაყენოს მის წევრებს.

“საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის” ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესების მიხედვით მისი წევრი საბროკერო კომპანიები დეპოზიტარში ხსნიან ფასიანი ქაღალდების შემდეგი სახის ანგარიშებს: *წევრის საკუთარი ფასიანი ქაღალდების ანგარიში*, სადაც ანგარიშის მფლობელი არის ცენტრალური დეპოზიტარის წევრი-საბროკერო კომპანია და აღირიცხება მის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები და *წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში*, რომლის ანგარიშის მფლობელია წევრი-საბროკერო კომპანია და რომელზეც აღირიცხება მის ნომინალურ მფლობელობაში მყოფი ფასიანი ქაღალდები. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების მფლობელს ცენტრალურ დეპოზიტარში შეუძლია გახსნას *პირდაპირი ანგარიში* (კლიენტის ანგარიში), მაგრამ ამ ანგარიშიდან ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანა უნდა მოხდეს საბროკერო კომპანიის მეშვეობით. ცენტრალურ დეპოზიტარში შეიძლება გაიხსნას: ფასიანი ქაღალდების *შენაჭვის ანგარიში*, რომელზეც აღირიცხება თავისუფალი საკუთრების პოზიციები, *ბლოკირების ანგარიში*, რომელზეც აღირიცხება

ვალდებულებებით დატვირთული საკუთრების პოზიციები და *საეჭვო ანგარიში*, სადაც აღირიცხება ბირჟაზე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საკუთრების პოზიციები.

ფულადი ანგარიშწორების სისტემა ცენტრალური დეპოზიტარის წესებით შემდეგნაირად არის განსაზღვრული: ცენტრალურ დეპოზიტარს, ისევე როგორც მის წევრ საბროკერო კომპანიებს, გახსნილი აქვთ ანგარიშები 4 საანგარიშსწორებო ბანკში. ამასთან, კლიენტის სახსრების საკუთარი სახსრებისაგან გამოკენის მიზნით გახსნილი აქვთ განაკლებული ანგარიშები. ეს საშუალებას იძლევა საერთაშორისოდ მიღებული T+3 დღიანი ანგარიშსწორების ნაცვლად, საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება მოხდეს გარიგების დადების მეორე დღეს, ანუ განხორციელდეს T+1 ვადაში. ეს, თავის მხრივ, საფონდო ბირჟაზე სწრაფი და საიმედო გარიგებების ერთ-ერთ გარანტიად გვევლინება. ცენტრალური დეპოზიტარის საანგარიშსწორებო მომსახურება ემყარება ფასიანი ქაღალდების გამყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების წინასწარი მიწოდებისა და ფასიანი ქაღალდის მყიდველი ანგარიშის მფლობელის მიერ ფულის წინასწარი გადახდის პრინციპს.

საბროკერო კომპანიები და ბროკერები

საქართველოში საჯარო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით. საბროკერო კომპანია რეგისტრირებული უნდა იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ლიცენზია გაცივმა ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ ან რამდენიმე საქმიანობაზე:

- ა) ინვესტირებისათვის პირდაპირი კონსულტაციების გაწევა ინვესტიციებთან დაკავშირებით;
- ბ) ემიტენტებისათვის კონსულტაციის გაწევა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
- გ) ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება არაგარანტირებულ საფუძველზე;
- დ) ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით კლიენტის დავალებების მიიღება და გადაცემა, კლიენტების სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგების განხორციელება მათივე ინტერესებისათვის;
- ე) კლიენტების საინვესტიციო პორტფელებისა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრების მართვა;
- ვ) კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება;
- ზ) საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის;
- თ) ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება გარანტირებულ საფუძველზე.

საბროკერო კომპანიებს ეკრძალებათ ნებისმიერი სხვა საქმიანობა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა.

კომისიას შეუძლია გასცეს გენერალური ლიცენზია, რომლის მიხედვითაც საბროკერო კომპანიას უფლება აქვს ჩაებას ყველა ნებადართულ საქმიანობაში, ან სპეციალური ლიცენზიები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს აძლევს მხოლოდ ზოგიერთი საქმიანობის განხორციელების უფლებას. "საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ" კომისიის წესის შესაბამისად, საკუთარი კაპიტალის ოდენობის მიხედვით საბროკერო კომპანიები პირობითად შეიძლება დაყვით სამ კატეგორიად. პირველი, შესაბამის ლიცენზიის ქონის შემთხვევაში იძლევა პირველი ორი პუნქტით გათ-

ვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლებას; მეორე – შესაბამისი ლიცენზიის ქონის შემთხვევაში, პირველი ექვსი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლებას; მესამე – შესაბამისი ლიცენზიის ქონის შემთხვევაში, უფლებას აძლევს საბროკერო კომპანიას განხორციელოს საბროკერო კომპანიის საქმიანობა სრული სპექტრით. 2002 წლის ბოლოსათვის სახზეა 35 საბროკერო კომპანია. საიდანაც, 6 კომპანია განეკუთვნება პირველ კატეგორიას, 22 კომპანია – მეორე კატეგორიას, ხოლო 7 კომპანია – მესამე კატეგორიას.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომერციულ ბანკებს უშუალოდ მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ. მათ შეუძლიათ დააფუძნონ შეიღობილი საბროკერო კომპანიები შეუზღუდავი წილით.

კომისიის მიერ მიღებული წესი “საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ” უზრუნველყოფს, რომ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას გააჩნდეს ადეკვატური კაპიტალი კლიენტებისა და კონტრაგენტების დასაცავად იმ ზარალისაგან, რომელიც შეიძლება განიცადოს კომპანიამ სავაჭრო წიგნში აღრიცხული ფასიანი ქაღალდების ფასების ცვალებადობის საბაზრო რისკების, კონტრაგენტების მიერ გარიგებათა პირობების დროულად შესრულებლობის, სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული სავალუტო რისკების, აგრეთვე სავაჭრო წიგნში ცალმხრივი ზეგავლენისაღმდეგ დიდი დაკუმულბარებისა და სხვა რისკების გამო. ეს წესი, აგრეთვე, განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგისა და ზედამხედველობის ფარგლებსა და შიდა კონტროლის სისტემებს. კომპანიას მოეთხოვება ისეთი შიდა კონტროლის სისტემებისა და ადმინისტრაციული და ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების ქონა, რომლებიც ამ წესთან მათი შესაბამისობის ნებისმიერ დროს შემოწმებისა და ჩაწერის საშუალებას იძლევა.

ყოველი ლიცენზირებული საბროკერო კომპანია მთავალა აწარმოოს კომისიის წესებით დადგენილი ჩანაწერები და მათი ასლები, მოაშალოს და გაავრცელოს ანგარიშები. კომისიის წესი “საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ” განსაზღვრავს საბროკერო კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების, პერიოდულობის, აუდიტისა და მათი კლიენტებისა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისაღმდეგ წარდგენის წესებს. ამ წესის მიხედვით საბროკერო კომპანიამ ყოველწლიურად, კალენდარული წლის საფუძველზე, კომისიაში უნდა წარადგინოს აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები) და, ამასთან ერთად, კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის ანგარიშგებაც. გარდა ამისა, ყველა საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის მქონე საბროკერო კომპანიამ კომისიას უნდა წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიშგება, ხოლო ერთი ან რამდენიმე საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის მქონე კომპანიამ – ყოველკვარტალური ანგარიშგება.

“საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დაეთრების შესახებ” კომისიის წესი კი განსაზღვრავს ჩანაწერებისა და ბუღალტრული დაეთრების წარმოების იმ პრინციპებსა და შენახვის ვადებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ლიცენზირებულმა საბროკერო კომპანიამ.

საბროკერო კომპანიის ყველა თანამშრომელი, რომელიც მოქმედებს საბროკერო კომპანიის სახელით და საქმე აქვს კლიენტებთან ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებთან დაკავშირებით, უნდა იყოს ლიცენზირებული ბროკერი. ლიცენზირებულ ბროკერს უფლება აქვს მონაწილეობდეს საბროკერო საქმიანობაში მხოლოდ მისი დამქირაველი საბროკერო კომპანიის სახელით. საბროკერო საქმიანობისათვის ფიზიკურ პირზე კომისიის მიერ გაიცემა გენერალური და სპეციალური ლიცენზიები. გენერალურია ლიცენზია, რომელიც მისი დამქირაველი საბროკერო კომპანიის სახელით მოქმედ კანდიდატს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე კონსულტაციებისა და სანეიტრატიო პორტფელის მართვის უფლებებს მანიჭებს. სპეციალურია ლიცენზია, რომელიც კანდიდატს მანიჭებს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ამგვარი საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მონა-

ცემებსა და კვალფიკაციაზე. ბროკერის ლიცენზიის მისაღებად კანდიდატი აპირებს კომისიის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდას. 2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბროკერის ლიცენზია აქვს 125 ფიზიკურ პირს. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ გატეხული 125 ბროკერის ლიცენზია გენერალურია.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები

აქციონერთა დიდი რიცხვის მქონე სააქციო საზოგადოებებისთვის (ანუ სააქციო საზოგადოებები, რომელთა აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს) და იმ სააქციო საზოგადოებებისთვის, რომელთა აქციები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული მფლობელის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდებისა და მათი გადაცემების ზუსტი ასახვა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა - ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად არის პირი, რომელიც აწარმოებს სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას სააქციო საზოგადოებისა და მისი აქციონერებისათვის. აქედან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ სააქციო საზოგადოებისათვის გაწეული მომსახურება პირობითად შეიძლება დაეყოს ძირითად ანუ სავალდებულო და დამატებით მომსახურებად. ძირითადი მომსახურებაა - აწარმოოს ემიტენტის რეესტრი, რეგისტრირებულ პირთა პიროვნულ ანგარიშებზე მომხდარი ყველა ცვლილების აღრიცხვა, მოთხოვნის შემთხვევაში ამონაწერის გაცემა, მატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დოკუმენტების აღრიცხვა (თუ აქციები მატერიალიზებული ფორმითაა გამოშვებული), ბლოკირების ოპერაციების განხორციელება, ყოველი სააღრიცხვო თარიღისათვის სიების მომზადება. ზელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგი სახის დამატებით მომსახურებას: უზრუნველყოს ემიტენტი პერიოდულად ან მოთხოვნის თანახმად აქციონერთა სიით, დაეხმაროს ემიტენტს აქციონერთა საერთო კრების გამართვასთან დაკავშირებით (შეტყობინებების დარიცხვა, კრების მონაწილეთა ხმების რაოდენობის დათვლა და სხვა), დოკუმენტების გამოანგარიშება და თითოეული აქციონერისათვის გასაცემი თანხის გამოთვლა, დოკუმენტების გაცემაში დახმარების გაწევა.

თვითრეგულირებადი ორგანიზაციები (თრო)

თვითრეგულირებადი ორგანიზაციად აღიარება ხდება ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ. თვითრეგულირებადი ორგანიზაციად ჩამოყალიბება შეუძლია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც ჩამოყალიბებულია იურიდიულ პირად "შეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ლიცენზირებული საფონდო ბირჟა და ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი კანონის მიხედვით აღიარებულნი არიან თვითრეგულირებადი ორგანიზაციებად. თრო-ს ძირითადი მიზნებია თავისი წევრებისათვის წესების შემუშავება, ამ წესების დაცვისა და შესრულების კონტროლი; ასევე წესების დარღვევისათვის სანქციების გამოყენება თავისი წევრების მიმართ.

თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები მტკიცდება კომისიის მიერ და არ შეიძლება შეიცვალოს და გაუქმდეს კომისიის წინასწარი ნებართვის გარეშე. თვითრეგულირებადი ორგანიზაცია ნებისმიერი ახალი წესის, ან არსებული წესის ცვლილების პროექტს აცნობს კომისიას.

ფასიანი ქაღალდების გარიგებებში გაყალბებისა და მანიპულაციების აკრძალვა

განვითარებული ბაზრის პირობებში არსებობს გარიგებების გაყალბებისა და მანიპულაციების მრავალი ფორმა, როგორცაა: სავაჭრო პრიორიტეტი, გადასწრება, ფაქტობრივი ვაჭრობა, ყალბი ინფორმაცია და სხვა.

“ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით აკრძალულია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, მოჩვენებითი აქტიუობის შექმნის მიზნით. მოჩვენებით აქტიუობაში იგულისხმება ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც არ იწვევს ცვლილებებს ბენეფიციარულ შესაკუთრებაში, ან ისეთი ფასიანი ქაღალდების შებენის ან გაყიდვის შესახებ ბრძანების გაცემა, როდესაც მონაწილისათვის ცნობილია, რომ შესაბამისი საწინააღმდეგო ბრძანება გაცემულია ან გაიცემა მის ან სხვა მონაწილის მიერ. კანონი კრძალავს ნებისმიერი ტიპის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მანიპულირებას ან მოტყუებით ქმედებას, რომელიც მიმართულია კომისიის წესების მოთხოვნათა და ინვესტორთა ინტერესების წინააღმდეგ, ასევე ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას. ინსაიდერული ინფორმაცია ნიშნავს არასაჯარო, არსებით ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ საწარმოსთან ან მათ ფასიან ქაღალდებთან, ხოლო ინსაიდერი არის პირი, რომელსაც ხელი მიუწვდება ინსაიდერულ ინფორმაციაზე.

კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სანქციებს განსაზღვრავს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. სანქციები მოიცავს ჯარიმებს, ლიცენზიის შეჩერებას და გაუქმებას. ინსაიდერული ვაჭრობისათვის და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თაღლითობასა მანიპულაციებში მონაწილეობისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია 10 000 ლარამდე ოდენობით ჯარიმა.

საკონტროლო კითხვები:

1. ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობის არის
2. საფონდო ბირჟის საქმიანობის სპეციფიკა
3. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ძირითადი მიზანი.
4. საბროკერო კომპანიების საქმიანობის სახეები.
5. ბროკერის საქმიანობის სახეები და მისი მონაწილეობა საბროკერო საქმიანობაში.
6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის მიზანი.
7. თვითრეგულირებადი ორგანიზაციის არსი.
8. სანქციები გარიგებების გაყალბებასა და მანიპულაციებში მონაწილეობისათვის.

4. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა (რეგულირების მნიშვნელობა და პრინციპები)

ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით ვითარდება ფინანსური მომსახურების ძირითადი სახეების (საბანკო, სადაზღვევო, საინვესტიციო) ფუნქციონირება და მისი რეგულირების სისტემები. 2003 წლის მდგომარეობით საბანკო კანონმდებლობის (“ეროვნული ბანკის შესახებ” ორგანული კანონი, “კომერციული ბანკების შესახებ” კანონი, ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები) შესაბამისად ეროვნული ბანკის ზედამხედველობით ფუნქციონირებს 27 ლიცენზირებული კომერციული ბანკი. სადაზღვევო კანონმდებლობის (“სადაზღვევო საქმიანობის შესახებ” კანონი, “სამსახურის” ნორმატიული აქტები) შესაბამისად, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობის სამსახურის რეგულირებით ფუნქციონირებს 18 ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია.

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ზედამხედველობით რეალურად ფუნქციონირებს ბაზრის ინფრასტრუქტურის (მონაწილეთა და რეგულირებად მონაწილეთა) ინსტიტუტები.

მაღალგანვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ფინანსური მომსახურების ზემოთ აღნიშნული მარეგულირებელი ორგანოები, შესაბამის სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, (ფინანსთა სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტი, საგადასახადო დეპარტამენტი, კონტროლის პალატა, აუდიტორული საჭიანობის საბჭო, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია) წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური უშიშროებისა და უსაფრთხოების საგუშაგოს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთლიანობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის ყველა მონაწილისათვის. ბაზრის რეგულირება მნიშვნელოვანია იმით, რომ საფუძველს უყრის ინვესტორთა რწმენას. თუ ინვესტორები დარწმუნებულნი არიან, რომ სისტემა სამართლიანი და არადისკრიმინაციოა, ისინი ნაკლებად იყოფნან ბიზნეს შრომით მოაკვებულ ან მათ ხელში მყოფი თავისუფალი სახსრების (ცხელი ფული) ფასიანი ქაღალდებში დაბანდებისას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებია:

1) სამართლიანობა.

ბაზრის რეგულირების სამართლიანი ლეგალური ბაზის არსებობა. ვაჭრობის პატიოსანი და სამართლიანი პირობები.

2) მისაწვდომობა

ყველა პირს, რომელსაც გააჩნია საკმარისი კაპიტალი და პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც წარედგინება ბაზრის მონაწილეებს და მზად არის დაიცავს მოცემული ბაზრის წესები, უფლება უნდა ჰქონდეს შევიდეს მოცემული ბაზრის წევრების რიგებში.

3) გამჭვირვალობა

ბაზრის გამჭვირვალობა განსაზღვრავს, რამდენად სწრაფად ხდება მისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაცია გარიგებების, მათ შორის ფასების, კოტირებებისა, და ოპერაციების მოცულობის შესახებ.

4) გახსნილობა

ემიტენტების მიერ საჭირო ინფორმაციის მაქსიმალური გახსნილობა, შესაძლებელი რომ იყოს მისი დროულად და რეგულარულად მიღება.

5) მოწესრიგებულობა (წესრიგი)

კლიენტების შეკვეთები უნდა დამუშავდეს რიგითობის წესების შესაბამისად. ამის გარდა, უნდა არსებობდეს პირობები და კონტროლის სტრუქტურა, რომელიც გამორიცხავს მაქინაციებს და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, როგორცაა არაკანონიერი ოპერაციები "შიდა" ინფორმაციის საფუძველზე (ინსაიდერული ვაჭრობა).

6) კონკურენტული გარემო (თანაბარულებიანობა, პარიტეტული პირობები)

ბაზრის წესებმა, საკომისიო განაკვეთების ჩათვლით, არ უნდა დაადგინოს არავითარი შეზღუდვები კონკურენტისათვის.

7) მანიპულაციების დაუშვებლობა ბაზრის მონაწილეთა მხრიდან.

8) უსაფრთხოება (უზიფათობა, გარანტირებულობა).

ბაზარზე განხორციელებული გარიგებების უზიფათობა.

9) ეფექტურობა

საშუალებების არსებობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დამუშავებულ და გადაცემულ იქნეს სავაჭრო დაეალები, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა დაუყონებლივ იქნეს მიღებული მონაცემები კოტირებისა და ჩატარებული ოპერაციების შესახებ, აგრეთვე ოპერატიული და ზუსტი კლირინგის და ურთიერთანგარიშსწორების განხორციელებას. ამასთან, დადგენილ პერიოდში გარიგებების შესახებ სრული და ზუსტი პარამეტრების მიღების საშუალებების არსებობა.

10) კადრების ხარისხი

რეგულირებით დასაქმებული სპეციალისტების პიროვნული და პროფესიონალური მახასიათებლების (პირადი პატიოსნება, პასუხისმგებლობა, კვალიფიკაცია) აუცილებლობა და სკაპარისობა.

11) სისტემების ეფექტურობა

სავაჭრო, სარეგისტრაციო, საკლირინგო, საანგარიშსწორებო, სადეპოზიტარო სისტემებში მაღალტექნოლოგიური, საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის რაციონალიზაცია, მოწესრიგებულობა, ეფექტურობა.

საკონტროლო კითხვები:

1. ინვესტორების მიერ თანხების ფასიანი ქაღალდებში დაბანდების რწმენა.
2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები.

5. საქართველოში საფონდო ბაზრის რეგულირების სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ინსტიტუციონალური მოწყობის ისტორია

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1999 წლამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების სფეროში რეგულირების, ლიცენზირებისა და რეგისტრაციის განმანხორციელებელი სახელმწიფო ორგანო, ხოლო 1999 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

საწყის ეტაპზე, ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნული ფუნქციის განხორციელება ხდებოდა სამინისტროს ფასების, ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო პოლიტიკის სამმართველოში შემაჯული ფასიანი ქაღალდების განყოფილების მეშვეობით.

საქართველოში საფონდო ბაზრის რეგულირება დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 1992 წლის 1 მაისს დამტკიცებული "საფინანსო ორგანოებში აქციებისა და ობლიგაციების რეგისტრაციისა და კონტროლის წესით". ამ წესით რეგულირებოდა შემდეგი კატეგორიის ფასიანი ქაღალდების გამოშვება:

- 1) "შრომითი კოლექტივების" (სახელმწიფო საწარმოების, კოოპერატივების, საოჯარო საწარმოების და ა.შ) აქციები და ობლიგაციები;
- 2) საწარმოთა აქციები და ობლიგაციები;
- 3) სააქციო საზოგადოებათა აქციები და ობლიგაციები;

ამ წესის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს ვეალებოდათ ზემოთ აღნიშნული აქციებისა და ობლიგაციების რეესტრის წარმოება. ემიტენტები ანგარიშვალდებული იყვნენ ფინანსთა სამინისტროს წინაშე და მათ ვეალებოდათ სამინისტროსთვის ყოველი ნახევარი წლის ანგარიშის წარდგენა. ამას გარდა, წესებით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული სასჯელები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის.

მეორე სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის, იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 31 აგვისტოს №876 დადგენილებით დამტკიცებული "დროებითი დებულება ფასიანი ქაღალდების შესახებ", რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას.

აღნიშნულ დოკუმენტში განმარტებულ იქნა ტერმინი "ფასიანი ქაღალდი" და განხილულ იქნა შემდეგი კატეგორიის ფასიანი ქაღალდების გამოშვება და განთავსება:

- 1) აქციები;
- 2) ობლიგაციები;
- 3) სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები;
- 4) შეზახველი სერტიფიკატები;
- 5) თამასუქები.

ფასიანი ქაღალდების სფეროს მარეგულირებელი მესამე სამართლებრივი ინსტრუმენტი არის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 14 აპრილს მიღებული №286 დადგენილება "სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ".

აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა:

- 1) დებულება საინვესტიციო ფონდების შესახებ;
- 2) დებულება პრივატიზაციის სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების შესახებ;
- 3) საინვესტიციო ფონდის სანიმუშო წესდება;
- 4) სადეპოზიტარო ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი;
- 5) საინვესტიციო ფონდის ემისიის ტიპობრივი პროსპექტი;

1993 წლის 6 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №627 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან არსებული ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების კომისიის დებულება და პერსონალური შემადგენლობა, თუმცა ამ დადგენილებით დამტკიცებულ კომისიას არ უფუნქციონირებია, ხოლო ამჟამად ფუნქციონირებადი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია შეიქმნა "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის თანახმად და მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

1994 წლის აპრილიდან 1996 წლის სექტემბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასრულებდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს ფუნქციას, მის ცენტრალურ აპარატში შემავალი ფასიანი ქაღალდების სამმართველოს მეშვეობით.

1994 წლის 1 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №17 ბრძანებით დამტკიცდა "ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ მონაწილეთა პიროვნული და ინსტიტუციონალური ლიცენზირების წესი".

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1994 წლის 28 ნოემბერს მიიღო №812 დადგენილება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და ორგანიზაციის შესახებ", რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეკლარაცია: 1) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა პიროვნული და ინსტიტუციონალური ლიცენზირება; 2) საკანონმდებლო საფუძვლების მომზადება საფონდო ბირჟების შესახებ; 3) ფასიანი ქაღალდების კომისიის შესახებ ნორმატიული დოკუმენტაციის მომზადება და სახელმწიფოს მეთაურისთვის განსახილველად წარდგენა.

1995 წლის 15 აპრილს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №211 დადგენილებით დამტკიცდა „დროებითი დებულება ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის და საფონდო ბირჟების შესახებ“. დებულება ითვალისწინებდა სააქციო საზოგადოების აქციების, სახელმწიფო სასესიო ვალდებულებების, მუნიციპალური სასესიო ვალდებულებების, იურიდიული პირის ობლიგაციების, სადეპოზიტო-მენეჯველი სერტიფიკატების, თამაშუბებისა და ფასიანი ქაღალდების წარმოებულების მიმოქცევას. დადგენილების მიზნად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა ლიცენზიის გამცემ ორგანოს. გარდა ამისა, ამ დადგენილების თანახმად, უცხოურ ქვეყნებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოს ბაზარზე დამუშავება, შთავაზება და ყიდვა-გაყიდვა უნდა მომხდარიყო მათი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ.

1995 წლის 1 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №46 ბრძანებით დამტკიცდა „ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ მონაწილეთა პიროვნული და ინსტიტუციონალური ლიცენზირების წესი“-ს ახალი რედაქცია, რომელიც 1995 წლის 24 აგვისტოს რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს მიერ. ბრძანება ითვალისწინებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალური მონაწილის პიროვნული ლიცენზიის მიღების კანდიდატების საატესტაციო კომისიის, ხოლო ამავე სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველოსთან – ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნას.

1996 წლის ოქტომბერში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველო გარდაიქმნა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო სატყუფნებო დაწესებულებად - ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექციად.

ამ პერიოდში ბაზრის რეგულირების იმპაჩინდელმა იდეოლოგიამ, მეთოდოლოგიამ და ორგანიზაციამ, საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პრინციპებსა და ნორმატიულმა დოკუმენტებმა ეტაპობრივად გაიარა პრესტიჟული საერთაშორისო აპრობაცია და დაფუნდა საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკაში მიღებულ ფორმებსა და მეთოდებს.

1998 წლის 18 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის №375 ბრძანებულებით დამტკიცდა „დროებითი დებულება აქციათა რეგისტრის წარმოების შესახებ“.

1998 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის №735 ბრძანებულებით დამტკიცდა "ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების სპეციალიზის ლიცენზირების დროებითი წესი".

1998 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 5 თებერვალს.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს აწესრიგებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს მოკლევადიანი ორგანოს უფლებამოსილება. არაფასიანი არა აქვს უფლება კომისიაზე მო-

ახდინოს რაიმე ზეგავლენა ან ჩაერიოს მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით.

კომისია შედგება 5 წევრისაგან. ხუთივე წევრს, აგრეთვე მათგან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. კომისიის წევრები ინიშნებიან 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორი ვადით.

კომისია უმაღლესი კომპეტენციის ორგანოა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისა და ზედამხედველობის, ამ ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის რეგლამენტებისა და კონტროლის განხორციელების სფეროში.

საკონტროლო კითხვები:

1. 1992 წლის 1 მაისს დამტკიცებული დებულებით "საფინანსო ორგანოებში აქციებისა და ობლიგაციების რეგისტრაციის და კონტროლის წესი" დასარეგულირებელი ფასიანი ქაღალდების კატეგორიები
2. საქართველოს მთავრობის 1992 წლის 31 აგვისტოს №876 დადგენილებით "დროებითი დებულება ფასიანი ქაღალდების შესახებ" გამოსაშვებად და განსათავსებლად დასაშვები ფასიანი ქაღალდების კატეგორიები.
3. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ძირითადი ფუნქციები საქართველოს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის თანახმად.

6. ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის სახეები, სახდელები და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით (შემდგომში - კოდექსი), მუხლები 165\4 -165\9 და 209\2.

კოდექსის მითითებული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემდეგ გადაცდომებზე:

- 1) ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ისეთი დარღვევები, როგორცაა:
 - პირის მიერ საბოლოო პროსპექტის გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ან პროსპექტის გამოყენება, რომლის დამტკიცებაც შეჩერებული ან გაუქმებულია კომისიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად.
 - ემისიის პროსპექტში არსებითი უზუსტობები და არსებითი მოვლენის გამოტოვება.
 - ემიტენტების, ფასიანი ქაღალდების მფლობელების, საბროკერო კომპანიების მმართველებისა და ბროკერების მიერ საჯარო შეთავაზების თაობაზე პროსპექტის დამტკიცებამდე ინფორმაციის გახმაურება.
 - ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის ან სხვა სათანადო ანგარიშების დადგენილი წესით წარუღებლობა.

- ემიტენტის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრის მიერ ემისიის პროსპექტში შესწორებების შეუტანლობა.
 - ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების დროს ემიტენტის მიერ არსებითი მოვლენის შესახებ, ინფორმაციის, ჩანაწერის ან დოკუმენტის დამალვა ან ფალსიფიცირება.
- 2) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესების ისეთი დარღვევები, როგორცაა:
- ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების დადგენილი წესით დემატერიალიზაციის განუხორციელებლობა.
 - ემიტენტის მიერ მისი საჯარო ფასიანი ქაღალდების შესახებ ჩანაწერების საწარმოებლად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შეურყეველობა.
 - ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე შეუტყობინებლობა.
 - ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ საჭირო ანგარიშების მოუმზადებლობა ან წარუდგენლობა.
 - პირების მიერ ანგარიშის წარუდგენლობა ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების ისეთი შექმნის თაობაზე, რომლის შესახებაც მათ დადგენილი წესით ვეალებოდათ ანგარიშის წარდგენა.
- 3) ლიცენზირების წესების ისეთი დარღვევები, როგორცაა:
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ მონაწილის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ლიცენზია, ლიცენზიის მიღების ოპერაციების განხორციელება, ან ლიცენზირებულად თავის მოჩვენება, ან საქმიანობის გაგრძელება, როდესაც ლიცენზია შეჩერებული ან გამოთხოვილია.
 - დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წარდგენილ განცხადებაში შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის შეტანა ან არსებითი ინფორმაციის გამოტოვება.
- 4) ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევები საბროკერო კომპანიის მიერ, როგორცაა:
- დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან თანამშრომლის მიერ "მოკლე" გაყიდვის, სესხის აღებისა და სამარჟო ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევა.
 - ჟურნალებში, ჩანაწერებში და საანგარიშგებო მოთხოვნებში დარღვევები.
 - ბროკერების მიერ ქვეყნის შესახებ კომისიის წესების დარღვევა.
- 5) საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ საანგარიშგებო, კონფიდენციალურობის მოთხოვნებისა და წესების შემუშავების პროცედურის ისეთი დარღვევები, როგორცაა:
- საანგარიშგებო მოთხოვნების დარღვევა.
 - წესების შემუშავების დადგენილი წესების დარღვევა.
 - კონფიდენციალურობის მოთხოვნების დარღვევა.
- 6) ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სხვა ისეთი წესების დარღვევა, როგორცაა:
- პირის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის გარეშე.

- პირის მიერ კანონის დარღვევით საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა იმ საფონდო ბირჟის გარეთ, რომლებზეც ხორციელდება ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.
- პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება (ინსაიდერული ვაჭრობა).
- პირის მიერ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა.
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თაღლითობასა და მანიპულაციაში პირის მონაწილეობა.

კოდექსის 20912 მუხლის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას ენიჭება ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევათა საჭეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება.

ამას გარდა “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით” (მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს) გათვალისწინებულია ჯარიმან ან გამასწორებელი სამუშაოები ორ წლამდე ვადით ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების (მუხლი 213) ისეთი დარღვევებისათვის, როგორცაა:

- განზრახ სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.
- ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

საკონტროლო კითხვები:

1. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას დარღვევის სახეები, რომლებზეც შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დამრღვევ პირებს.
2. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისა და ლიცენზირების წესების დარღვევის სახეები, რომლებზეც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.
3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების ის დარღვევები, რომლებზეც გათვალისწინებულია დამრღვევი პირების პასუხისმგებლობის საკითხი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით”.

7. ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმები

ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის განვითარების ისტორიულმა ეტაპებმა და მეოცე საუკუნეში მიღწეულმა მაღალმა ღონემ ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ ექსპერტებს საშუალება მისცეს მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვრის გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე შეემუშავებინათ თეორიული, სამართლებრივი და პრაქტიკული დებულებები, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე გველინება ყველაზე მეტად მისაბამ საორიენტაციო საერთაშორისო ნორმებად:

- ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის ფუნქციონირების ორ საუკუნეზე მეტი ხნისა და მისი რეგულირების შეიქმნა ათეულამდე წლის გამოცდილების საფუძველზე, ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOSCO) 1998 წელს შეიმუშავა 30 პრინციპი;

- კორპორაციულ სამართლის ნორმების დანერგვისა და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების საფუძველზე, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) 1998-1999 წლებში შეიმუშავა კორპორაციული მართვის ხუთ ფაქტორში გაერთიანებული 48 პრინციპი;
- უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ევროკავშირის სივრცეში წევრ-ქვეყნებს შორის საკანონმდებლო პარამონიზაციისა და ადგილი თავსებადობის მიღწევისათვის მუშავდება და მუდმივად განახლებას ექვემდებარება ე.წ. „ევროკავშირის დირექტივები“ (European Union Directives) მათ შორის ფინანსური მომსახურების ყველა სახის (საბანკო-საკრედიტო, სადაზღვევო, საინვესტიციო) რაციონალური და პარამონიული განვითარებისათვის;
- 1989 წელს 8 მაღალგანვითარებული ქვეყნის 30-მა წარმომადგენელმა – ავტორიტეტულმა ფინანსისტმა შეადგინა ე.წ. „G30-თა მოხსენება“ (G30 report), რომელიც შეიცავს ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გარიგებების სრულფასოვანი შესრულებისათვის (დაცული, უსაფრთხო და ეფექტური კლირინგი და ანაგრიშწორება) განკუთვნილ 9 რეკომენდაციას, რომელთა ახალი რედაქცია 1995 წელს ციურისის შეკრებაზე იქნა მიღებული;

საქართველოში ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი და კომისიის მიერ მიღებული 35 წესი – ნორმატიული აქტი) კონცენტრირებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და სხვადასხვა ექსპერტული შეფასებებით იგი არა მხოლოდ დღეს-ის ქვეყნებს შორის, არამედ მთელს პოსტსოციალისტურ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია. ასევე მართებულად ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები.

საკონტროლო კითხვები

1. ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპები
2. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის პრინციპები
3. ევროკავშირის დირექტივები
4. 30-თა მოხსენების თემატიკა

თავი 16

გაკოტრება და მისი სამართლებრივი რეგულირება

წინამდებარე თავში განხილულია:

გაკოტრების სამართლის მნიშვნელობა; რეაბილიტაციის არსი და მნიშვნელობა; რეაბილიტაციის წინაპირობები; რეაბილიტაციის განხორციელება; რეაბილიტაციის სახეები; რეაბილიტაციის ევგმა; რეაბილიტაციის მმართველი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით; ვალუაგალი მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციის დროს; კრედიტორთა სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციის დროს; კრედიტორთა კრებისა და კომიტეტის როლი რეაბილიტაციის პროცესში; რეაბილიტაციის დასრულება და შეწყვეტა.

1. გაკოტრების სამართლის ცნება

გაკოტრების სამართლის ნორმების მიზანია დაძლეულ იქნეს მოვალის ფინანსური სიძნელებები და მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს კრედიტორთა ინტერესები. „გაკოტრება“ რაღაც ცუდის ასოციაციას იწვევს საზოგადოებაში. თავისთავად ფაქტი, რომ მოვალეს არ შეუძლია დროშოსული ვალდებულებების შესრულება, ცუდია, მაგრამ გაკოტრების საქმის წარმოებით შეიძლება ისარგებლოს როგორც მოვალემ, ასევე კრედიტორმა. გაკოტრების წარმოება წარმოადგენს მოვალის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას. ვალუაგალ მოვალეს შეუძლია გახსნას თავის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება, დააკმაყოფილოს კრედიტორთა ნაწილი მანც და ერთი წლის განმავლობაში ისარგებლოს სააღსრულებლო დაცვით. საწარმოს ქონების ლიკვიდაციით გაკოტრების კრედიტორები იკმაყოფილებენ თავიანთ ინტერესებს. მათი ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელია, აგრეთვე, საწარმოს რეაბილიტაციით.

გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონი საქართველოში მიღებულ იქნა 1996 წელს. ამ კანონში სასამართლოსშიერი სანაცია გაიგივებულია საგაკოტრებო მორიგებასთან. 2001 წლის ნოვაცით საგაკოტრებო მორიგება ცალკე გამოიყო. ცალკე თავად იქნა შეტანილი რეაბილიტაცია. ამით კანონი უფრო დაიხვეწა. კანონის პირველი რედაქცია ბუნდოვნად წვეეტდა სანაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მაგალითად, საგაკოტრებო მორიგების აღსრულებას უზრუნველყოფდა გაკოტრების მმართველი.

კანონის ახალი რედაქცია ერთმანეთთან არ აიგივებს საგაკოტრებო მორიგებასა და რეაბილიტაციას. უბრალოდ, საგაკოტრებო მორიგების შინაარსი სხვა ღონისძიებების გარდა შეიძლება იყოს საწარმოს რეაბილიტაცია. თავი, რომელიც რეაბილიტაციის სახელწოდებით არის კანონში მოცემული, საერთოა როგორც სასამართლოსშიერი (საგაკოტრებო მორიგების შემთხვევაში), ასევე სასამართლოს გარეშე რეაბილიტაციისთვისაც.

2. რეაბილიტაციის არსი და მნიშვნელობა.

რეაბილიტაციის საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონში. ამ კანონის თანახმად, რეაბილიტაცია წარმოადგენს ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიზნად ისახავს მოვალის ფინანსური სიძნელების აღმდგენს, საწარმოს ლიკვიდურობის აღდგენასა და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საწარმოს რეაბილიტაციით დაირტერესებულია სახელმწიფოც. ეკრძოლ, როდესაც სასამართლოში შევა განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე, სასამართლო 45 დღის განმავლობაში განიხილავს ამ განცხადებას. განხილვის დროს ის იწვევს ექსპერტს და აეალებს სხვადასხვა საკითხის გარკვევას. ერთ-ერთი ასეთი საკითხია იმის გამოკვლევა, შესაძლებელია თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელება. სასამართლო ამას აკეთებს მოვალისა და კრედიტორებისგან დამოუკიდებლად, მაშინ, როდესაც მისი ინიციატივით არ ხდება რეაბილიტაცია.

სასამართლოს გარეშე რეაბილიტაცია ვალაუგეალი მოვალის სურვილით მიმდინარეობს, საგაკოტრებო მორიგების დროს კი განცხადება მორიგების თაობაზე მოვალესთან ერთად შეიძლება შეიტანონ კრედიტორებმაც. ასეთი ზრუნვა გამოწვეულია იმით, რომ საწარმოს ლიკვიდაციას ბევრი უარყოფითი შედეგი მოჰყვება. რაც ზოგჯერ გავლენას ახდენს რევიონისა და ქვეყნის სტაბილურობაზე. ზოგი საწარმო იბდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ ლიკვიდაციის „უფლებაც არა აქვთ“. მათ გაკოტრებას შეიძლება სახელისუფლებო ცვლილებებიც მოჰყვეს ქვეყანაში. ასეთი საწარმოების ლიკვიდაციის დროს მატულობს უპუმე-ვართა რაოდენობა, მცირდება ეროვნული შემოსავალი და ა. შ. რეაბილიტაციისადმი ასეთი მიდგომა უცხო არ არის სხვა ქვეყნებისთვისაც. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებიც თვლიან, რომ თუ შესაძლებლობაა, უმჯობესია მოხდეს საწარმოს რეორგანიზაცია და მათი განცხადებით, ეს შედის კრედიტორების ინტერესებშიც.

ამაზე მიუთითებს გაკოტრების წარმოების შესახებ საქართველოს კანონიც, რომლის პირველ მუხლშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ აღნიშნული კანონის მიზანია მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევა და მისი ქონების ლიკვიდაციით თუ საწარმოს რეაბილიტაციით კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება. მაშასადამე, რეაბილიტაცია წარმოადგენს კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებას. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ კრედიტორებს, რომლებსაც გაკოტრების საქმის გახსნითა და საწარმოს ლიკვიდაციით, მასის სიმცირის გამო, არაფერი შეხვდებათ. ამიტომ, მათ ურჩევნიათ საწარმოს არა გაკოტრება, არამედ რეაბილიტაცია. მოსალოდნელია, რომ ისინი იაქტიურებენ სამომრიგებლო წინადადების მიღების დროს და ასევე, სიამოვნებით დაუჭერენ მხარს მოვალეს სასამართლოგარეშე რეაბილიტაციის შემთხვევაში. ეს კრედიტორები გაკოტრების საქმის გახსნით წამებთან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან კიდევ იმიტომ, რომ საწარმოს გაკოტრების მოწყობა მოვალის საღარსულებო დაცვა ერთი წლის განმავლობაში მაშინ, როდესაც რეაბილიტაციის შემთხვევაში შეიძლება მათი ინტერესები დაკმაყოფილდეს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის გაკოტრების სამართლის მიზანი?
2. რა არის რეაბილიტაციის არსი?
3. რა არის რეაბილიტაციის შინაარსი?

3. რეაბილიტაციის წინაპირობები და რეაბილიტაციის განხორციელება

რეაბილიტაცია ხორციელდება მხოლოდ იმ მოვალე იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც რეესტრირებული არიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ არსებობს მოვალის შეთანხმება კრედიტორებთან რეაბილიტაციის შესახებ, ან გაკოტრების სასამართლოს ძალაში შესული განჩინება საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ. როგორც ვხედავთ, რეაბილიტაცია ხორციელდება მხოლოდ ორ შემთხვევაში: გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე, როდესაც მოვალე შეთანხმდება კრედიტორებს და რეაბილიტაციის გეგმას წარადგენს საგაკოტრებო მორიგების დროს.

საგაკოტრებო საქმის წარმოება სრულდება საგაკოტრებო მორიგების დადების შემთხვევაში. წარმოება მთავრდება მაშინაც, როდესაც მოვალე ყველა კრედიტორთან მიაღწევს შეთანხმებას წარმოების შეწყვეტის თაობაზე. ეს უკანასკნელი მომენტი არ უნდა გაავივიეთ მოვალის შეთანხმებებთან კრედიტორებთან რეაბილიტაციის თაობაზე. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ სასამართლოს გარეშე სანაციის დროს წარმოება არ არის დაწყებული. ამავე დროს, აუცილებელია არა ყველა კრედიტორთან, არამედ კრედიტორთა იმ ნაწილთან შეთანხმება, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა 50 პროცენტზე მეტს. შეთანხმების საფუძველზე გახსნილი საქმის წარმოების შეწყვეტის დროს საქმე გვაქვს ნების ავტონომიის გამოვლენასთან, იმასთან, რომ აუცილებელი არ არის ყველა შეთანხმებისა და მორიგების უკან რეაბილიტაცია იგულისხმებოდეს.

ზემოთ მოყვანილი მუხლის თანახმად, რეაბილიტაცია ხორციელდება მხოლოდ იმ მოვალე იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც რეესტრირებული არიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ვალაუკვალ მოვალესთან დაკავშირებულია გაკოტრებაუნარიანობის საკითხი. გაკოტრებაუნარიანობისათვის ძირითადად განსაზღვრულია მოვალის კერძო სამართალსუბიექტურობა. ანუ კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირის სტატუსის ფლობა. გარდა ამისა, გადაწყვეტიდა აგრეთვე აღსასრულებლად მისაქცეველი ქონების არსებობა.

ვალაუკვალ მოვალედ, გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა, შეიძლება წარმოგვიდგეს: ამხანაგობა, არარეგისტრირებული კავშირი, ფონდი. საჯარო სამართლის იურიდიული პირების ქონებაზე ვერ გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება.

რეაბილიტაცია განხორციელება, თუ არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ აღდგება მოვალის საწარმოს ლიკვიდურობა და თავიდან იქნება აცილებული ლიკვიდაცია. იხადება კითხვა: ვინ უნდა გამოიძიოს ეს ყველაფერი? ამის გარკვევას კისრულობს სასამართლო. კერძოდ, განცხადების მიღებიდან ორმოცდახუთი დღის განმავლობაში იგი განიხილავს განცხადებას. უფლებამოსილია დაკითხოს მოვალე, მონიჭიოს კრედიტორები და ექსპერტი. ამ უკანასკნელს ავალებს სწორედ იმის გარკვევას, მიზანშეწონილია თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელება. კარგად იყო მითითებული პირველი რედაქციით გამოსული კანონის პირველ მუხლში, რომ აუცილებელი ლიკვიდაცია არ უნდა დაებრკოლებინა გაუმართლებელ და არარეალურ სანაციას.

საკონტროლო კითხვები:

1. როდის განხორციელდება რეაბილიტაცია?
2. როგორია რეაბილიტაციის წინაპირობები?

4. რეაბილიტაციის სახეები

ა) სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია.

როგორც რეაბილიტაციის წინაპირობების შესახებ მუხლიდან ჩანს, რეაბილიტაციის ორი სახე არსებობს, ესენია: სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია; სასამართლოსმიერი რეაბილიტაცია. სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციის საკითხებს აწესრიგებს გაკოტრების კანონის მეათე მუხლი. ეს მუხლი ეხება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადებას. სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციის დროს რეაბილიტაციის გუბის დასახვა ხდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე. ამიტომაც აქვს მას ასეთი სახელწოდება. სიძარულეს არ შეეფერება აზრი იმის შესახებ, რომ სასამართლოსგარეშე სანაციაში სასამართლოს ფუნქციები მინიმუმამდე დაეცანილი და სახელწოდება ამ გარემოებამ განაპირობა. სასამართლოს დიდი ფუნქციები არც საგაკოტრებო მორიგების დროს ეკისრება. განსხვავება შეიძლება იყოს ის, რომ საგაკოტრებო მორიგება მტკიცდება სასამართლოს მიერ და სამომრიგებლო წინადადების შემუშავება ეწელება გაკოტრების საქმის წარმოების ორგანოს – გაკოტრების მმართველს.

საგაკოტრებო განცხადების შეტანის შემდეგ, საქმის წარმოების გახსნამდე, მოვალემ შეიძლება მოითხოვოს საქმის წარმოების გახსნის გადავადება. თუ მოვალე სათანადო არგუმენტებს წარმოადგენს და სასამართლო სხვადასხვა გარემოების გარკვევის შემდეგ საჭიროდ მიიჩნევს, გადაიდება საქმის წარმოების გახსნა. გადავადება არ უნდა იყოს 6 კვირაზე ნაკლები და 3 თვეზე მეტი. მოვალემ ამ ვადაში უნდა მიაღწიოს კრედიტორებთან შეთანხმებას და სასამართლოს წარუდგინოს რეაბილიტაციის გეგმა. შეთანხმება იდება მოვალესა და იმ კრედიტორებს შორის, რომლებიც ფლობენ მითხოვნათა 50 პროცენტზე მეტს. ამით მოვალე აღწევს წინასაგაკოტრებო მორიგებას თავის კრედიტორებთან.

შეთანხმების მიღწევისა და გეგმის წარდგენის შემდეგ, სასამართლო 5 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას. თუ გეგმა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, საქმის წარმოება აღარ გაიხსნება. რეაბილიტაციის გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს მოვალის სამომრიგებლო წინადადებები, მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას. განსაზღვრულ ვადაში გეგმის წარმოდგენლობის შემთხვევაში იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) სასამართლოსმიერი რეაბილიტაცია

სასამართლოსმიერი რეაბილიტაციის საფუძველია საგაკოტრებო მორიგება.

საგაკოტრებო მორიგების თაობაზე საქმის განმხილველ სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება აქვს ვალაუვალ მოვალეს, გაკოტრების ყოველ კრედიტორს, ყოველ პარტნიორს ან კაპიტალის მფლობელს, კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს, აგრეთვე გაკოტრების მმართველს.

სამომრიგებლო წინადადების შემუშავება ევალება გაკოტრების მმართველს, რაც ხელს არ უშლის სხვა ნებისმიერი განმცხადებლის მიერ განსხვავებული წინადადების წარდგენას. ამის გარდა, სასამართლოსაც შეუძლია შეიმუშაოს წინადადება.

გაკოტრების საქმის წარმოების გასნის შემდეგ მოვალეს ეზღუდება უფლებები ქონებასთან მიმართებაში. ის მინდობილი ხდება გაკოტრების სასამართლოზე. გაკოტრების მმართველს შეუძლია საგაკოტრებო მორიგების თაობაზე შეიტანოს განცხადება, მას ეკისრება სამომრიგებლო წინადადების შემუშავება, რაც ასევე ხელეწიფება გაკოტრების სასამართლოსაც, მოვალე თავის თავს აღარ ეკუთვნის, თუმცა მასაც შეუძლია განცხადების შეტანა და სამომრიგებლო წინადადების წარდგენა.

სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მითითოს, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორები, მოხდეს თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან, უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნ არანაკლებ ორი მესამედით მაინც, ერთი რიგის ყველა კრედიტორს მიენიჭება თანაბარი უფლებები.

უზრუნველყოფილ კრედიტორებად წარმოგვიდგებიან მოგირაენე და იპოთეკარი. მათ საგაკოტრებო მორიგებასთან საქმე ექნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ნივთი არის მოვალის მფლობელობაში. მათი მოთხოვნა კმაყოფილდება ორი მესამედით. საერთოდ, უზრუნველყოფილი კრედიტორები საგაკოტრებო წარმოებაში წარმოადგენენ განცალკევებულად დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილ პირებს. მათ შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთი უფლებების დაკმაყოფილება საგაკოტრებო წარმოებიდან დამოუკიდებლად.

პრივილეგირებული კრედიტორების თანმიმდევრობა შემდეგი სახისაა:

- გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე სამი თვის ხელფასისა და ხელფასის განაკვეთების მოთხოვნები;
- არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის ბანკების მოთხოვნები ინვესტირებული ფულადი კრედიტების დასაბრუნებლად და საქონლის მიწოდების მოთხოვნები საწარმოს მიმართ;
- სოციალური დაზღვევის ორგანოს, საპენსიო და სამედიცინო ფონდების, აგრეთვე უმუშევრობის დაზღვევის მოთხოვნები;
- საქმის წარმოების გახსნამდე გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები.

პრივილეგირებული კრედიტორებიც კმაყოფილდებიან მათი მოთხოვნის არანაკლებ ორი მესამედით. თუ შესაძლებლობაა, რა თქმა უნდა, სრულად დაკმაყოფილდებიან.

სამომრიგებლო წინადადების კენჭისყრისათვის კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი ძირითადი სხდომის გამართვის შემდეგ და საბოლოო განაწილებაზე ნებართვის გაცემამდე უნდა გაიმართოს კრედიტორთა კრება (სამომრიგებლო სხდომა). შესამოწმებელი და სამომრიგებლო სხდომები შეიძლება ერთად ჩატარდეს. წინადადება ეცნობება ყველა მონაწილეს არა უკვიანეს სამომრიგებლო სხდომაზე მიწვევისა. სამომრიგებლო წინადადების მისაღებად საჭიროა, როგორც უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორების ჯგუფის, აგრეთვე, არაპრივილეგირებული კრედიტორების ჯგუფის ხმათა უბრალო უმრავლესობა. თანხმობის მიმცემმა კრედიტორებმა უზრუნველყოფილ და პრივილეგირებულ კრედიტორთა ჯგუფში უნდა მოაგროვონ მოთხოვნათა მოცულობის ორი მესამედი მაინც, ხოლო არაპრივილეგირებულ კრედიტორთა ჯგუფში კი არანაკლებ სამი მეოთხედისა. წერილობითი თანხმობა უთანაბრდება დასწრების განაცხადს, თუ იგი კენჭისყრის დასაწყისში იქნება წარდგენილი.

საგაკოტრებო მორიგება უნდა დამტკიცდეს სასამართლოს სასამართლოს გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოუსმინონ ვალაუვალ მოვალეს. დამტკიცებაზე უარი ითქმება, თუ მორიგება არღვევს საყო-

ველთაოდ აღიარებულ ნორმებს, კერძოდ, იგი არაკეთილსინდისიერი გზით არის დადებული, კრედიტორთა ნაწილს აყენებს გაუმართლებელ ზარალს, ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების გამო.

ძალაში შესული მორიგების პირობების დარღვევისას, მორიგების დამტკიცების შესახებ დადგენილებისა და გაკოტრების ტაბულიდან ამონაწერის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს აღსრულება ზოგადი წესების შესაბამისად. ამასთან, კრედიტორს განცხადების საფუძველზე, გაკოტრების ტაბულიდან გამოძღინრი, მიეცემა სააღსრულებო ფურცელი, აგრეთვე, მორიგებისა და მისი დამტკიცების შესახებ ასლები.

საკონტროლო კითხვები:

1. რეაბილიტაციის რა სახეებია?
2. რა არის სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია?
3. რა არის სასამართლოსშიერი რეაბილიტაცია?

5. რეაბილიტაციის გეგმა

რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს გვემის მიხედვით. რეაბილიტაციის გეგმაში აღინიშნება მოვალის ლიკვიდირების აღდგენისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, აგრეთვე, ვალების დაფარვის ვადები. გეგმაში ნებისმიერი ცვლილება შეტანილ უნდა იქნეს კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით. რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ფინანსურ, ეკონომიკურ და რეორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და რეაბილიტაციის მიზანს.

სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციის დროს რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება ევალება მოვალეს. მან განსაზღვრულ ვადაში უნდა წარადგინოს გეგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება. კანონში ზუსტად არ არის მითითებული იმის თაობაზე, თუ ეინ უნდა წარადგინოს გეგმა სასამართლოსშიერი რეაბილიტაციის დროს. წინადადების შეტანის უფლება აქვთ, აგრეთვე, ვალაუვალ მოვალესა და კრედიტორებს, ყველა პარტნიორსა და კაპიტალის მფლობელს. გამოძინარიე აქედან, წარდგენაც შეიძლება რომელიმე მათგანის მიერ მოხდეს. თუ სამომრიგებლო წინადადება ითვალისწინებს მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას რეაბილიტაციის გზით, მაშინ მისმა წარმდგენმა რეაბილიტაციის გეგმაც უნდა წარადგინოს, მაგრამ ეს მისთვის სავალდებულო არ არის. გეგმის წარდგენა შეიძლება სხვა პირის მიერაც მოხდეს.

6. რეაბილიტაციის მმართველი

ა) ზოგადად

1996 წლის გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სასამართლოს მიერ სანაციას ზელმძღვანელობდა გაკოტრების მმართველი. სასამართლოსგარეშე სანაციას – თვითონ მოვალე. 2001 წლის ნოვაციით დაიხვეწა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ნორმები. ამ ნოვაციით, რეაბილიტაციას, სასამართლოსშიერი იქნება თუ სასამართლოსგარეშე, გაუძღვება რეაბილიტაციის მმართველი.

ბ) რეაბილიტაციის მმართველისადმი წაყენებული მოთხოვნები

კანონი რეაბილიტაციის მმართველს მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებს. პირველ რიგში, ის უნდა იყოს სათანადო გამოცდილების მქონე, მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი. სათანადო გამოცდილებაში არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, რეაბილიტაციის მმართველად მუშაობის გამოცდილება. საქართველოში საწარმოების გაკოტრების დიდი პრაქტიკა არ არის, რომ საწარმოების რეაბილიტაციის პრეცედენტი არსებობდეს. რეაბილიტაციის მმართველს უნდა ჰქონდეს გამოცდილება სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით. უმრავლეს შემთხვევაში ის შეიძლება იყოს ეკონომისტი, რადგან საქმე წარმოების ლიკვიდირების აღდგენას ეხება, თუმცა იურიდიული განათლების მქონე მმართველიც საჭიროა, გამოძინარიე იქიდან, რომ მოვალის ფინანსური სინძლეების დაძღვება შესაძლებელია სხვადასხვა გარიგების დადებით, აგრეთვე, სასამართლო პროცესების მოგებით.

რეაბილიტაციის მმართველისადმი წაყენებული მოთხოვნები თითქმის იგივეა, რაც გაკოტრების მმართველისათვის. ის უნდა იყოს მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი პირი. კანონმდებლებმა დაუშვეს რეაბილიტაციის მმართველად იურიდიული პირის არჩევის შესაძლებლობა.

თუ მოვალეს არ სურს თვითონ გაუძღვეს რეაბილიტაციას, მას შეუძლია კრედიტორებს წარუდგინოს მმართველი ასარჩევად. საგაყრდნობი მორიგებისას რეაბილიტაციის მმართველს კონკურსის წესით კრედიტორები ირჩევენ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია უზრუნველყოფილი კრედიტორებისა და გაკოტრების იმ კრედიტორების თანხმობა, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა არანაკლებ ორ მესამედს. რეაბილიტაციის არჩეულ მმართველს, თუ იგი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, აპტიკებს გაკოტრების სასამართლო. მმართველი ირჩევა რეაბილიტაციის განხორციელების ვადით.

რეაბილიტაციის მმართველი ინდივიდუალურად აგებს პასუხს მოვალისა და კრედიტორების წინაშე. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, ეკისრება მისი სრული ოდენობით ანაზღაურება.

გ) რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება

რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი ქმედება. ის მართავს და განკარგავს მოვალის ქონებას რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად. ზოგ შემთხვევაში საჭიროა კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა. ეს მაშინ, როცა საქმე ეხება მოვალის უძრავ ქონებას, ან იღება ისეთი გარიგება, რომლის ღირებულებაც აღემატება მოვალის ქონების 20 პროცენტს, ან სცილდება რეაბილიტაციის გეგმას.

თუ რეაბილიტაციის შემდეგ წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების ოდენობა აღემატება რეაბილიტაციის დაწყების მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი თანხის 20 პროცენტს, მაშინ რეაბილიტაციის მმართველს, მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით, უფლება აქვს დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც აღგენს მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს.

კრედიტორები სისტემატურად ახორციელებენ კონტროლს რეაბილიტაციის მმართველზე. ის ვალდებულია კრედიტორთა კრებას, ან კრედიტორთა კომიტეტს თვეში არანაკლებ ერთხელ, აგრეთვე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და აცნობოს დადებული გარიგებების თაობაზე.

როგორც გაკოტრების მმართველს, რეაბილიტაციის მმართველსაც უფლება აქვს სადავო გახადოს მოვალის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე დადებული გარიგება, რადგან ასეთი გარიგებები პირდაპირ კავშირშია მასის მოცულობასთან.

მოვალე იგრძნობს რა გაკოტრების საფრთხეს, დიწყებს თავისი ქონებიდან საგნების განკარგვას, ან სხვაგვარად გასხვისებას. ის, ძირითადად, თავის ახლო წრეში ასხვისებს ქონებას. გაკოტრების მასის შემცირებით კრედიტორები ვეღარ დაკმაყოფილებიან, ხოლო რეაბილიტაციის შემთხვევაში საწარმოს გაყვანისებამ გაძინდება.

რეაბილიტაციის მმართველს შეუძლია სარჩელის შეტანის გზით გასაჩივროს ვალაუვალი მოვალის იურიდიული ქმედება, თუ იგი ჩაიდინილი იყო კრედიტორებისათვის ზარალის მიყენების მიზნით და ეს მიზანი ცნობილი იყო მესამე პირისათვის აგრეთვე, მაშინ, როცა მოვალემ დაუვალანებთა წარმოშობის შემდეგ კრედიტორთა საზარალოდ გადაუხადა ფული თავის ახლო გარემოცვაში მყოფ პირებს, თუ ეს უკანასკნელნი ვერ დაამტკიცებენ, რომ მათთვის ცნობილი არ იყო კრედიტორებისათვის ზარალის მიყენების განზრახვა.

თუ ქმედება განხორციელდა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, საცილო გახდება, თუ დადებული გარიგების კონტრაგენტმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გაკოტრების საქმის წარმოება გახსნილი იყო. მოვალემ, მოუხდავად ქონების განკარგვის უფლების ჩამორთმევისა, შეიძლება ჩუმად მანძე მოახდინოს ფასეული ნივთების გასხვისება. მოვალის ასეთ ქმედებებზე კონტროლის მიზნით, როგორც ეს ხდება გაკოტრების საქმის წარმოებისას, შეიძლება ჩაერიოს და გამოიყენოს უზრუნველყოფის განსაკუთრებული ფონდისძიებები: იძულებითი მოყვანა და დაპატიმრება საპარტიკსო კანონმდებლობით დადგენილი წესით (თუ მოვალე ფიზიკური პირია); საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების დაკავება; მოვალისათვის წერილობითი თანხმობებისა და მინდობილობების გამოთქმევა. მართალია, რეაბილიტაცია მოვალის სურვილითა და თანხმობით ხდება, მაგრამ მან შეიძლება თავისთვის ორი კურდღლის დაჭერა

განიზრახოს; საწარმოს რეაბილიტაცია და ქონების გვერდზე გაკურნება. ამის თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზემოთ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები.

დ) რეაბილიტაციის მმართველის გასამრჯელო

რეაბილიტაციის მმართველის გასამრჯელო გადაიხდება მოვალის ქონებიდან. გასამრჯელოს ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავენ კრედიტორები, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა ოდენობის 50 პროცენტზე მეტს.

გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველს აუნაზღაურდება შესაბამისი ხარჯები. მას შეიძლება პრემიაც მიეცეს, თუ მისი საქმიანობის შედეგები დამაკმაყოფილებელი იქნება.

საკონტროლო კითხვები:

1. რა თავისებურებებით ხასიათდება რეაბილიტაციის მმართველი?
2. რა უფლებამოსილება გააჩნია რეაბილიტაციის მმართველს?
3. როგორია რეაბილიტაციის მმართველის გასამრჯელო?

7. ვალაუვალი მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციის დროს

საინტერესო საკითხია, როგორი სამართლებრივი მდგომარეობა უკავია ვალაუვალ მოვალეს რეაბილიტაციის დროს. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკეთესი, ვიდრე გაკოტრების საქმის წარმოებისას. საწარმო აქტიურად უნდა ჩაებას თავისსავე რეაბილიტაციაში, რადგან ეს, პირველ რიგში, მის ინტერესებში შედის. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაურკვეველ სიტუაციაშიან გვექნება საქმე. ჩვენ ვნახეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ მოვალეც შეიძლება დაინიშნოს რეაბილიტაციის მმართველად. ეს სავესებით გამართლებულია, რადგან კრედიტორთა კომიტეტი კონტროლს განახორციელებს მოვალე საწარმოზე და ამით უზრუნველყოფს მისი ქვებების მართლზომიერებას.

8. კრედიტორთა სამართლებრივი მდგომარეობა რეაბილიტაციის დროს

ა) ზოგადად

კრედიტორთა რამდენიმე სახე არსებობს. რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მათი სამართლებრივი მდგომარეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ განსხვავების ნათელსაყოფად საჭიროა კრედიტორთა ცალკეული სახეების დახასიათება. საგაკოტრებო მორიგების პირობებს ემორჩილებიან მხოლოდ უზრუნველყოფილი და გაკოტრების კრედიტორები, ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ.

ბ) უზრუნველყოფილი და გაკოტრების კრედიტორები

გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონიდან გამომდინარე, რეაბილიტაცია ვრცელდება უზრუნველყოფილ და გაკოტრების კრედიტორებზე. ამის თქმის საბაბს გვაძლევს ის, რომ საგაკოტრებო მორიგებას დებენ უზრუნველყოფილი და გაკოტრების კრედიტორები და სასამართლოს მიერ დამტკიცებული ასეთი მორიგება მოქმედებს იმ კრედიტორების მიმართაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმის წარმოებასა და ექსპრისურაში, ან ხმა მისცეს მორიგების წინააღმდეგ. ვინ არიან გაკოტრებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორები? გაკოტრების კრედიტორის ლეგალური დეფინიცია მოცემულია თვით გაკოტრების კანონში. კანონის მიხედვით, გაკოტრების კრედიტორად მიიჩნევა ყველა ის პირი, ვისაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის აქვს ვალაუვალი მოვალის მიმართ საფუძვლიანი პირადი ქონებრივი პრეტენზია. ქონებრივია კრედიტორის ყველა ის პრეტენზია, რომელიც უნდა დატკიცდეს მოვალის ქონებიდან. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს – პრეტენზია ფულადი სახით უნდა დატკიცდეს, თუ ქონების საგნების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით.

გაკოტრების სამართალი გაკოტრების ყველა კრედიტორს თანაბარი უფლებამოსილების პირად განიხილავს. მოქმედებს გაკოტრების კრედიტორების თანასწორობის პრინციპი, რაც სხვა გარემოებებთან ერ-

თად, გამოიხატება გაკორტების ყველა კრედიტორის უფლებაში, შეიტანოს განცხადება საგაკორტებო მორიგების თაობაზე და მონაწილეობა მიიღოს მის დადებაში. თუმცა, გაკორტების კანონი გაკორტების ზოგიერთ მოთხოვნას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. ეს უპირატესობა თავს იჩენს, ძირითადად, განაწილების წარმოებაში, ანუ მასიდან დაკმაყოფილების პრივილეგიებულობაში. ამიტომ გაკორტების სამართალი ასეთ მოთხოვნებს პრივილეგიებულ მოთხოვნებს უწოდებს, ხოლო მათ კრედიტორებს – პრივილეგიურებს კრედიტორებს. პრივილეგიებული მოთხოვნები დაკმაყოფილებდა ჩვეულებრივ მოთხოვნებზე უფრო ადრე. ამასთან, სრულად უნდა დაკმაყოფილდეს წინა რიგის მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდეგ დადგეს მომდევნო რიგის მოთხოვნების დაკმაყოფილების ვერტიკალი. გარდა მასიდან პირველ რიგში დაკმაყოფილების უფლებისა, პრივილეგიებული კრედიტორებისათვის გაკორტების კანონი აწესებს სხვა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ შორის იმას, რომ მათმა ორმა შესაძლებლობა უნდა მიხედოს საგაკორტებო მორიგებას და არა სამმა მეთხედვამ, როგორც ეს არაპრივილეგიებული კრედიტორების შემთხვევაში გვაქვს.

რაც შეეხება უზრუნველყოფილ კრედიტორებს, ის ვალაუვალი მოვალის ქონებაზე უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას მოიპოვებს, მოვალის ნივთზე თავისი თხოვნის უზრუნველყოფით, რაც მიიღწევა აღნიშნულ ქონებაზე გირავნობის ან იპოთეკის დადებით. გაკორტების კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორს გირავნობის უფლების მქონე შესაძლებლობას ანიჭებს, მაგარი „გირავნობის უფლება“ აქ უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული, იგი ვრცელდება იპოთეკაზეც, ვინაიდან გაკორტების კანონი საუბრობს არა მხოლოდ „გირავნობის უფლებით დატვირთულ საგანზე“, არამედ ზოგადად სანიუთოსამართლებრივ უზრუნველყოფაზე. გაკორტების სამართლის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს ვალდებულებებისამართლებრივი უზრუნველყოფის დამატებითი დამატებები და აქედან წარმოშობილი მოთხოვნები. უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, განცალკევებულად, დატვირთული ქონებიდან. ამიტომ უზრუნველყოფილ კრედიტორს შეიძლება ეწოდოს განცალკევებულად დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო მის მოთხოვნას – განცალკევებულად დაკმაყოფილების მოთხოვნა.

განცალკევების მოთხოვნა წარმოშობილი უნდა იყოს გაკორტების წარმოების გახსნამდე, მოვალის ნივთზე უკვე დატვირთული უნდა იყოს გირავნობით ან იპოთეკით, ვიდრე სასამართლო გახსნიდა მის ქონებაზე გაკორტების საქმის წარმოებას. თუკი მოთხოვნის უზრუნველყოფა მოხდება გაკორტების მმართველის მიერ წარმოების მიმდინარეობისას, მაშინ მოთხოვნა უნდა განვიხილოთ როგორც მასის მოთხოვნა.

უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება ხდება გაკორტების წარმოებისგან დამოუკიდებლად – გაკორტების მმართველი მანამდე ახდენს დატვირთული ქონების რეალიზაციას და ამონაგებით უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკევებულად დაკმაყოფილებას, ვიდრე იგი შეუდგებოდეს მასის მთლიან რეალიზაციას და ამონაგების გაკორტების კრედიტორების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორის მიმართ არ ვრცელდება მოთხოვნა წარადგინოს ვადა, რომელიც განისაზღვრება გაკორტების კრედიტორებისათვის. უზრუნველყოფილ კრედიტორს შეუძლია თავისი მოთხოვნა წარადგინოს როგორც ვადის მიმდინარეობის პერიოდში, ისე მისი გასვლის შემდეგაც. მთავარია, მოთხოვნა წარადგინო უნდა იქნეს გაკორტების მმართველის მიერ მასის რეალიზაციამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დატვირთული საგნის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები მთლიანად გაკორტების კრედიტორებს გაუნაწილდება.

გაკორტების სამართლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ უზრუნველყოფილ კრედიტორებზე, რომლებსაც დატვირთული ქონება მფლობელობაში არ გადაეცა, არამედ იგი დატვირთულ იქნა ვალაუვალ მოვალესთან. გაკორტების წარმოების გახსნის შემდეგ ვალაუვალ მოვალესთან არსებული ყველა ნივთი მიეკუთვნება გაკორტების მასას. ხოლო მასაში არსებული დატვირთული ნივთების რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველს.

სხვაგვარი მოწესრიგება ვრცელდება იმ უზრუნველყოფილ კრედიტორებზე, რომლის მფლობელობაშიც იმყოფება დატვირთული ნივთი. ამ დროს ნივთის რეალიზაციისათვის და, შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილებისათვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები. ამ წესების თანახმად, მოგირაგნეს შეიძლება მიეცეს გირაოს რეალიზაციის უფლება, შესაკუთრის წინასწარი გაფრთხილების პირობით, ხოლო იპოთეკის შემთხვევაში იპოთეკარს უფლება აქვს, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, რომელიც განხორციელდება აუქციონზე სასამართლოს მიერ დაინშნული ექსპერტის მეშვეობით. უზრუნველყოფილი კრედიტორი უპირატეს მფლობელობაში სხვა კრედიტორებთან შედარე-

ბით. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მისი მოთხოვნა უზრუნველყოფილია რა დატვირთული ქონებით, უპირატესად დაქმნაყოფილებმა ამ ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

საკარგულია, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი, როცა ნივთი მის მფლობელობაშია, მონაწილეობას არ მიიღებს საგაკოტრებო მორიგებაში. ბანკებმა, რომელთა მფლობელობაშიც არის დატვირთული ქონება, ეს ქონება რომ დათმონ გარკვეული პირობით, თვითონ აღმოჩნდებიან გაკოტრების პირას.

როგორც ენახეთ, უზრუნველყოფილი კრედიტორები განცალკევებულად დაქმნაყოფილებიან. მათ არ ენებათ გაკოტრების წარმოება. იმაღლება კითხვა: რატომ არიან ჩართული ასე აქტიურად რეაბილიტაციის პროცესში, კერძოდ, საგაკოტრებო მორიგების დადებისას? ამით ხომ მათ ეზღუდებათ გარკვეული უფლებები, რადგან უნდა დაემორჩილონ საგაკოტრებო მორიგების პირობებს. რეაბილიტაციაში მათი მონაწილეობა აიხსნება იმით, რომ მოვალეს შეიძლება ბევრი ნივთი ჰქონდეს დატვირთული. თუ ამ ნივთების რეალიზაცია მოხდება, კითხვის ქვეშ დადგება რეაბილიტაციის რეალურობა და ამიტომაც არის აუცილებელი მორიგებისას მათი თანხმობა და მონაწილეობა კენჭისყრაში. მორიგება შეიძლება ისეთი იყოს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორები დროებით უარს ამბობდნენ თავიანთი მოთხოვნების დაქმნაყოფილებაზე. მორიგებით ისეთი პირობები ღვინდება, რომლებიც აუცილებელია რეაბილიტაციის განსახორციელებლად და რომლებსაც უნდა დაემორჩილონ უზრუნველყოფილი კრედიტორები და თვით ისინიც, რომლებმაც ხმა მისცეს მორიგების წინააღმდეგ. მასადაბე, სასამართლოსმიერი რეაბილიტაციის დროს გაკოტრების კრედიტორები და უზრუნველყოფილი კრედიტორები (გარდა მათი, რომელთა მფლობელობაშიც არის ნივთი) შეზღუდული არიან საგაკოტრებო მორიგებით. რა ხდება სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციისას? რა მდგომარეობა უკავიათ ზემოაღნიშნულ კრედიტორებს ამ დროს? როგორც ვიცით, შეთანხმება იდება მოვალესა და იმ კრედიტორებს შორის, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა 50%-ზე მეტს. ცხადია, აქ პირველ რიგში გაკოტრების კრედიტორები იგულისხმებიან. კანონი არაფერს ამბობს უზრუნველყოფილ კრედიტორებზე, მაგრამ არც იმაზე ამბობს რამეს, ეს მოთხოვნები საწინაო სამართლებრივია, თუ საგაკოტრებო. უნდა ვივარაუდოთ, რომ წინასაგაკოტრებო მორიგებაში ისინიც მიიღებენ მონაწილეობას. უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ სხვა კრედიტორები, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს ხელშეკრულებაში და არ დათანხმდნენ მას, დაემორჩილებიან გარიგების პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად ქაოსური ვითარება იქნება და რეაბილიტაცია დაკარგავს აზრს. მათ მეტი გზა არა აქვთ, რადგან დამოუკიდებელი საგაკოტრებო წარმოება ვერ წამოიწყებენ და ვერც სასარჩელო წესით მოითხოვენ რამეს. მორიგების პირობები მათთვის საკალდებულოა.

გ) საკუთრების კრედიტორები

გაკოტრების მმართველის ან რეაბილიტაციის მმართველის მიერ მოვალის ქონების დაუფლებისას მასში შეიძლება მოხდნენ ისეთი საგნები, რომლებიც სამართლებრივად არ ეკუთვნიან მოვალეს, არამედ წარმოადგენს მესამე პირთა კუთვნილებას. ეს საგნები მასისთვის უცხო საგნებია. გაკოტრების მასაში სხვისი ნივთები შეიძლება აღმოჩნდნენ სხვადასხვა კერძოსამართლებრივი გარიგების შედეგად. მაგალითად, გაკოტრების წარმოების გასწავლვ მოვალეს დროებით სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, შესანახად მიზარებადი ჰქონდა ანტიკვარული ივეფი, ნათხოვარი იგი მანქანა და ა. შ. გაკოტრების მასაში შეიძლება მოხდეს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთები, აგრეთვე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ამა თუ იმ საგნის კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლით დადგენილი წესების მიხედვით. საკუთრების უფლებამოსილებიან გამომდინარე, გაკოტრების სამართალი, ქონებაზე უფლებამოსილი პირს საკუთრების უფლების მქონე მესამე პირს უწოდებს. შემოკლებით მას საკუთრების კრედიტორიც შეიძლება ეწოდოს. საკუთრების კრედიტორის სამართლებრივ მოწესრიგებას გაკოტრების კანონი განცალკევებულად ეხება. საკუთრების კრედიტორმა შეიძლება თავისი მოთხოვნა განაცხადოს გაკოტრების მმართველის მიმართ და მისგან მოითხოვოს თავისი ნივთის მასიდან გამოცალკეება და მისთვის დაბრუნება. ეს ნიშნავს, რომ განცალკევების მოთხოვნა განყენებულად არ არსებობს, იგი მოიხსნება ნივთის დაბრუნების მოთხოვნასთან ერთად. გამოცალკეების მოთხოვნიდან გამომდინარე, საკუთრების კრედიტორს შეიძლება გამოცალკეებაზე უფლებამოსილი პირი ეწოდოს.

ვამოცალკეების მოთხოვნა უძრავებს შემთხვევაში ეუუძნება ვინდიაციის მოთხოვნას, ანუ სხვისი მფლობელობიდან ნივთის დაბრუნების მოთხოვნას. სხვისი ნივთის უკანონო მფლობელად ამ შემთხვევაში მოგვევლინება გაკოტრების მასა.

ვინდოკაციის მოთხოვნის გარდა, გამოცალკევების მოთხოვნა შეიძლება დაეფუძნოს, აგრეთვე, უღაცო მოთხოვნას, ანუ როდესაც ხდება რაიმე სამართლებრივი ფაქტის აღიარება, მაგალითად, უფლების აღიარების მოთხოვნა. თუ გამოცალკევების ობიექტს მიწის ნაკვეთი წარმოადგენს, მაშინ უღაცო მოთხოვნა გამოიხატება საჯარო რეესტრის შესწორების მოთხოვნაში. საერთო საკუთრების შემთხვევაში, თუკი გაკოტრების წარმოება იხსნება ერთ-ერთი თანამესაკუთრის ქონებაზე, მაშინ მეორე თანამესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს თანამესაკუთრის უფლების დადგენა. ხოლო, თუკი საერთო ქონება უკვე მოხვდება გაკოტრების მასაში, მაშინ ამ თანამესაკუთრეს შეუძლია თავისი წილი ქონების მისთვის დაბრუნება. ამრიგად, ქონების უკან დაბრუნებაში ზოგადად უნდა ვიგულისხმობ აგრეთვე უფლების დადგენას.

გაკოტრების მასაში მოხვედრილი სხვისი ქონება არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს, ხოლო ამონაგები – განაწილებული კრედიტორებს შორის. სხვისი ქონება უკან უნდა დაბრუნდეს უფლებამოსილ პირს. უკან დაბრუნებას ახდენს გაკოტრების მმართველი, ხოლო რეაბილიტაციის შემთხვევაში – რეაბილიტაციის მმართველი. თუ მათ მიერ ქონების დაბრუნებაზე უარი იქნება გაცხადებული, საკუთრების კრედიტორს შეუძლია სარჩელის შეტანის გზით განახორციელოს თავისი უფლება, ანუ დაიბრუნოს საკუთარი ნივთი უკანონო მფლობელობიდან, ან მიადწიოს თავისი უფლების აღიარებას. ასეთ შემთხვევაში სარჩელს განიხილავს სასარჩელო სასამართლო მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლო პროცესი განხორციელდება გაკოტრების წარმოებისგან დამოუკიდებლად, ხოლო მოსარჩელის პროცესულურ მოწინააღმდეგე გამოვა ყოველთვის გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველი.

საკუთრების კრედიტორი არ იზღუდება რეაბილიტაციის დროს. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება. თუ რეაბილიტაცია მოვალეს შესაძლებლობას მისცემდა დაეტოვებინა მასში სხვისი საკუთრება, მაშინ აშკარად დაირღვეოდა მესაკუთრის კონსტიტუციური აღიარებული უფლება. უფრო მეტიც, გაკოტრების პირას მყოფი საწარმოები ჯერ შეიტანდნენ ვალდებულებას გაკოტრების შესახებ, მეორე მოთხოვნდნენ რეაბილიტაციას და მორიგების დამტკიცების შემდეგ დაისვენებდნენ კრედიტორებისაგან. რეაბილიტაციის დროს ბევრი შეღავათი აქვს საწარმოს, მაგრამ ეს შეღავათები და უფლებები ისე უნდა გამოიყენოს, რომ სხვისი უფლებები არ დაირღვეს. საკუთრების კრედიტორები არც საგაკოტრებო მორიგებაში მონაწილეობენ. მათ შეეხება არა აქვთ არც გაკოტრების საქმის წარმოებასთან და არც რეაბილიტაციასთან.

რეაბილიტაციის დროს, გამოცალკევების მიერ წარმოებას წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი. მან დამოუკიდებლად უნდა შეამოწმოს გაკოტრების მასაში შემავალი საგნების გამოცალკევებაუნარიანობის საკითხი და გადაწყვეტილება მიიღოს მისი აღიარების ან უარყოფის შესახებ. კრედიტორთა თანხმობის მიღება მისთვის სავალდებულო ხდება, თუკი რომელიმე ნივთის გამოცალკევებამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მასის მდგომარეობაზე. ამას ადგილი ექნებოდა, თუკი გამოცალკევებით მოხდებოდა მასის უკანონო შემცირება, ან შესაბამისად – გაკოტრების კრედიტორთა დაზარალება. ასეთ შემთხვევაში, მმართველს დაეკისრება კრედიტორების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება, აგრეთვე, სხვისი საკუთრების არამართლზომიერად გასხვისებისათვის, ანუ რეაბილიტაციის მმართველი მასუს აეგებს საკუთრების კრედიტორის წინაშე მიყენებული ზარალისათვის.

ყველა ხარჯი, რომელიც წარმოიშობა მასაში მოხვედრილი სხვისი ნივთის შენახვისა და მართვისათვის, ეკისრება მოვალის ქონებას. საკუთრების კრედიტორი მხოლოდ მაშინა ვალდებული იქნისროს საკუთარი ნივთის შენახვისა და მართვის ხარჯები, თუკი რეაბილიტაციის მმართველი აღიარებს მისი საკუთრების უფლებას, მაგრამ იგი არ გაიტანს და დატოვებს თავის ნივთს მოვალის ფაქტობრივ მასაში, მმართველის ნების საწინააღმდეგოდ. თუკი საკუთრების კრედიტორი მოისურვებს არა ნივთის დაბრუნებას, არამედ მის რეალიზაციას და ამონაგების მისთვის გადაცემას, მაშინ მას დაეკისრება, აგრეთვე, რეალიზაციის ხარჯების გადაებაც.

დ) მასის კრედიტორები

საგაკოტრებო მორიგების დადებამდე, გაკოტრების მმართველი მასის მართვისა და განკარგვის განსაზღვრულ მოქმედებებს ახორციელებს. ის ამყარებს ვალდებულებით სამართლებრივ, აგრეთვე, შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს სხვადასხვა პირთან: აუდიტორთან – ქონების შესაფასებლად, ადვოკატთან – პროცესების დასამთავრებლად, ხელშეკრულების კონტრაგენტთან – შენახვის, ნასყიდობის, ნარდობის

სხვა. ხელშეკრულებების დასაღებად. მმართველის მიერ დადებული გარიგებების შედეგად ამ პირთა მიმართ, როგორც ხელშეკრულების კონტრაგენტებთან წარმოიშობა შესრულების, ანუ გარკვეული გასამრჯელო ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს გაკოტრების მმართველის მიერ. ამასთან, შესრულება უნდა განხორციელდეს გაკოტრების მასიდან სრული მოცულობით. შესრულების მიღებამდე კონტრაგენტები, ანუ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირები წარმოადგენს მასის კრედიტორებს.

საკუთრებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორებისაგან განსხვავებით, მასის კრედიტორებისთვის დამახასიათებელია ის, რომ მისი მოთხოვნა მართულია უშუალოდ გაკოტრების მასისაკენ. ეს იმით აიხსნება, რომ მასის მოთხოვნა წარმოიშობა გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც შეიქმნება გაკოტრების მასა. მასის კრედიტორის მოთხოვნა მიმართება სწორედ ამ ჩამოყალიბებული მასის მიმართ.

რეაბილიტაციის დაწყების შემდეგ, მასის კრედიტორის კონტრაგენტს წარმოადგენს რეაბილიტაციის მმართველი. იმის გამო, რომ მასის კრედიტორის მიმართ შესრულება უნდა განხორციელდეს უშუალოდ გაკოტრების მასიდან, ყოველი ასეთი შესრულება გარკვეულ ტვირთად დააწევა გაკოტრების მასას. მასიდან გაღებულ ყველა ამ ხარჯს, რომელიც მიმართულია გაკოტრების მმართველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, გაკოტრების სამართალში მასის ხარჯები ეწოდება.

მასის კრედიტორად პირი შეიძლება მოვევლინოს, აგრეთვე, თავისი სამართლებრივი მდგომარეობით, მაგალითად, მოვალის ოჯახის წევრი ან პირი, რომელიც მოვალის კმაყოფაზე იმყოფება. აღნიშნულმა პირებმა გაკოტრების მასიდან უნდა მიიღონ მინიმალურად აუცილებელი შესანახი თანხა.

პირი მასის კრედიტორად შეიძლება იქცეს, აგრეთვე, თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით. ასეთ პირს, გაკოტრების წარმოებაში დაკავებული განსაზღვრული თანამდებობიდან გამომდინარე, წარმოეშობა გასამრჯელოს მიღების მოთხოვნა. აქ იგულისხმება გაკოტრების მმართველი, რომელიც გასამრჯელოს იღებს გაკოტრების მასიდან. გასამრჯელოს მიღების მოთხოვნა ექნებათ, აგრეთვე, კრედიტორთა კომიტეტის წევრებს, თუკი სასამართლო განუსაზღვრავს მათ გასამრჯელოს. მასის კრედიტორს წარმოადგენს სასამართლოს სალაროც იმ ხარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოეშობა მას გაკოტრების წარმოების მიმდინარეობისას.

მასის კრედიტორი არ წარმოადგენს გაკოტრების კრედიტორს. მას არაფერი აქვს საერთო გაკოტრების წარმოებასთან, ასევე რეაბილიტაციასთან. გაკოტრებაში იგი ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ გაკოტრების მმართველი მასთან ამაყვებს განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობას. მასზე არ ვრცელდება გაკოტრების კრედიტორისათვის წყენებული მოთხოვნები.

გაკოტრების კრედიტორისაგან განსხვავებით, რომლის მოთხოვნა წარმოიშობა გაკოტრების წარმოების გახსნამდე, მასის კრედიტორის მოთხოვნა წარმოიშობა გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, ანუ უკვე მიმდინარე გაკოტრების წარმოებაში. გარდა ამისა, გაკოტრების მოთხოვნა მიმართულია მოვალის ქონების მიმართ, რომელიც ჯერ არ არის მოცული საგაკოტრებო ვადლით, ხოლო მასის მოთხოვნა მიმართულია უკვე ფორმულირებული გაკოტრების მასის მიმართ.

მასის კრედიტორი კმაყოფილება მანამ, სანამ დაკმაყოფილებიან გაკოტრების კრედიტორები. მას შეუძლია რეაბილიტაციის დროსაც მოითხოვოს დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ საგაკოტრებო მორიგების დადებამდე წარმოშობილ მასის მოთხოვნებს. რეაბილიტაციაზე ხელი არ უნდა შეუშალოს მასის კრედიტორებს მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში. ჩვენ არ შევხებით იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიშობა უშუალოდ რეაბილიტაციის პროცესში.

განვიხილოთ ერთი საინტერესო მომენტი. როგორც ვიცით, განცალკევებულად დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნა წარმოშობილი უნდა იყოს გაკოტრების წარმოების გახსნამდე. მოვალის ნიეთ უკვე დატვირთული უნდა იყოს გირავნობით ან იპოთეკით, ვიდრე სასამართლო გახსნის მის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებას. თუკი მოთხოვნის უზრუნველყოფა მოხდება გაკოტრების მმართველის მიერ წარმოების მიმდინარეობისას, მაშინ ეს მოთხოვნა განიხილება როგორც, მასის მოთხოვნა. როგორც ცნობილია, რეაბილიტაციაში უზრუნველყოფილი კრედიტორების მონაწილეობა აუცილებელია. მათზე ვრცელდება საგაკოტრებო მორიგების პირობები. გაკოტრების წარმოებისას უზრუნველყოფილი მოთხოვნის მფლობელი კი მასის კრედიტორად გვევლინება. თუ ერთ შემთხვევაში მოგვარებენ და იპოთეკარმა უნდა ითმინონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების გადავადება, მეორე შემთხვევაში პრივილეგიურ

ბუღალ დაკმაყოფილებიან. განსხვავება მხოლოდ სანიუთო მოთხოვნების გაკოტრების წარმოების დაწყებამდე და დაწყების შემდეგ წარმოშობაშია. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ გაკოტრების მმართველი, როცა ახდენდა მოთხოვნის უზრუნველყოფას მოვალის ქონებით, სულაც არ ფიქრობდა რეაბილიტაციის შესაძლებლობაზე და დატვირთული ნიუთის რეალიზაციამ შეიძლება რეაბილიტაციის რეალურება ვეკვემ დააყენოს, მაშინ შეიძლება მართებულად არ მივიჩნიოთ ზემოთ აღნიშნული. ჩვენი აზრით, სწორი იქნება, თუ რეაბილიტაციამდე უზრუნველყოფილი მოთხოვნების მელობლებიც მიიღებენ მონაწილეობას საგაკოტრებო მორიგებაში, მის დაღებაში.

საკონტროლო კითხვები:

1. ვინ არიან და რა თავისებურებებით ხასიათდებიან უზრუნველყოფილი და გაკოტრების კრედიტორები?
2. ვინ არიან და რა თავისებურებებით ხასიათდებიან გაკოტრების კრედიტორები?
3. ვინ არიან და რა თავისებურებებით ხასიათდებიან მასის კრედიტორები?

9. კრედიტორთა კრებისა და კომიტეტის როლი რებილიტაციის დროს

კრედიტორთა კრება წარმოადგენს გაკოტრების კრედიტორების ერთობლიობას, თუმცა მასში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმაც. რეაბილიტაციის დროს ამ უკანასკნელთა მონაწილეობა აუცილებელია.

გაკოტრების წარმოება იცნობს კრედიტორთა რამდენიმე კრებას: კრედიტორთა პირველ კრებას, კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელ კრებას, სამომრიგებლო კრებას, კრედიტორთა უკანასკნელ კრებას. ჩამოთვლილი კრებები ერთმანეთისაგან თავიანთი ფუნქციებითა და ამოცანებით განსხვავდება. მოწვევის უფლება აქვს გაკოტრების სასამართლოს. მოწვევა ზორციელდება საჯარო გამოცხადებით. კრებას ხელმძღვანელობს სასამართლო. მის სხდომებს უძღვება გაკოტრების საქმის განმხილველი მოსამართლე. კრებაში მონაწილეობის უფლებას იძლევა შემოწმებული და აღიარებული მოთხოვნები. ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია, აგრეთვე, სადავო მოთხოვნების მქონე კრედიტორის მონაწილეობა კრებაში.

რეაბილიტაციის დროს კრედიტორთა კრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს სამომრიგებლო წინადადებაზე კენჭისყრა, რისთვისაც კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი ძირითადი სხდომის გამართვის შემდეგ და საბოლოო განაწილებაზე ნებათის გაეცმამდე უნდა გაიმართოს კრედიტორთა კრება (სამომრიგებლო სხდომა). შესამოწმებელი და სამომრიგებლო სხდომები შეიძლება ერთად ჩატარდეს. წინადადება გაეცნობა ყველა მონაწილეს არა უკვიანეს სამომრიგებლო სხდომის მოწვევისა.

სამომრიგებლო წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროს უზრუნველყოფილი და პრიველეგირებული კრედიტორების ორმა მესამედმა მაინც, ხოლო არაპრივილეგირებული კრედიტორების – არანაკლებ სამმა მეოთხედმა. წერილობითი თანხმობა უთანაბრდება დასწრების განაცხადს, თუ იგი წარდგენილ იქნა კენჭისყრის დასაწყევში.

კრედიტორთა კრება ახორციელებს თავის ფუნქციებს სასამართლოს გარეშე რეაბილიტაციის დროსაც. კერძოდ, რეაბილიტაციის მმართველის არჩევა მის კომპეტენციაში შედის. გარდა ამისა, ვიცით, რომ მოკლე აღწვეს შეთანხმებას კრედიტორებთან, რომლებიც ფლობენ მოთხოვნათა ოდენობის 50 პროცენტზე მეტს. ცხადია, ასეთი შეთანხმება მიღებულ უნდა იქნეს კრედიტორთა კრებაზე.

რეაბილიტაცია არ განხორციელდება, თუ არ იქნება შემოწმებული და აღიარებული კრედიტორთა მოთხოვნები. სამომრიგებლო სხდომა იმართება მოთხოვნათა შესამოწმებელი კრების გამართვის შემდეგ. საერთოდ, კრედიტორთა კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნები შემოწმებული და აღიარებულია.

კრედიტორთა კომიტეტი ორი სახისაა: მუდმივი და დროებითი. კრედიტორთა მუდმივი კომიტეტი აირჩევა კრედიტორთა კრების მიერ, ხოლო კრედიტორთა დროებითი კომიტეტი ინიშნება გაკოტრების სასამართლოს მიერ. კრედიტორთა დროებითი კომიტეტის შექმნა იმითაა განპირობებული, რომ გაკოტრების სასამართლომ კრედიტორთა პირველი კრების მოწვევამდე უზრუნველყოს უკვე დანიშნული გაკოტრების მმართველის ან რეაბილიტაციის მმართველის საქმიანობის ხელშეწყობა და კონტროლი.

კრედიტორთა კომიტეტი შეიძლება აირჩიეს როგორც პირველ კრებაზე, ისე სხვა, მომდევნო კრებებზე. კრების გადაწყვეტილება კომიტეტის არჩევის შესახებ არ საჭიროებს სასამართლოს მიერ დამტკიცებას. კრედიტორთა კომიტეტის წევრებად აირჩევიან, ძირითადად, გაკოტრების კრედიტორები. თუმცა, მის წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ სხვა კომპეტენტური პირებიც.

რეაბილიტაციის მმართველმა თანხმობა უნდა მიიღოს კრედიტორთა კომიტეტისაგან იმ შემთხვევაში, თუ აპირებს მოვალის უძრავი ქონების განკარგვას, აგრეთვე, გარიგების დადების დროს, რომლის ღირებულებაც აღემატება მოვალის ქონების 20 პროცენტს, ან სცილდება რეაბილიტაციის გეგმას.

თუ რეაბილიტაციის შემდეგ წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების ოდენობა აღემატება რეაბილიტაციის დაწყების მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი თანხის 20 პროცენტს, მაშინ რეაბილიტაციის მმართველს მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით აქვს უფლება დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც აღეგნენ მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს.

რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს თვეში არანაკლებ ერთხელ წარუდგინოს ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და აცნობოს დადებული გარიგებების თაობაზე. კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი უფლებამოსილი არიან მოიხსონ ადნინული ანგარიში ნებისმიერ დროს.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია კრედიტორთა კრების როლი რეაბილიტაციის დროს?
2. როგორია კრედიტორთა კომიტეტის როლი რეაბილიტაციის დროს?

10. რეაბილიტაციის დასრულება და შეწყვეტა

ცხადია, რომ რეაბილიტაცია უსასრულოდ არ გრძელდება. ის დასრულდება, თუ მიღწეული იქნება რეაბილიტაციის მიზანი. სასამართლოს გამოაქვს განჩინება რეაბილიტაციის დასრულების შესახებ.

თუ შეუძლებელია საწარმოს რეაბილიტაცია, მაშინ რეაბილიტაციის მმართველი სასამართლოსაგან მოითხოვს რეაბილიტაციის შეწყვეტას. ან უნდა წარადგინოს დასკვნა რეაბილიტაციის მიზნის მიუღწევლობის შესახებ და კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა მისი შეწყვეტის თაობაზე. მოვალესა და კრედიტორს, თუ რეაბილიტაციის დროს ირდევდა მათი უფლებები, შეუძლიათ სასამართლოსაგან მოითხოვონ რეაბილიტაციის გეგმის გადასინჯვა ან რეაბილიტაციის შეწყვეტა. სასამართლო განცხადებას განიხილავს 10 დღის ვადაში და მიიღებს შესაბამის განჩინებას.

რეაბილიტაციის შეწყვეტის (და არა დასრულების) შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. განჩინებაზე შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა.

ბიზნესთან დაკავშირებული სამართალდარღვევათა ზოგადი დებულებანი

ამ თავში გადმოცემულია ბიზნესის უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგადი საწყისები, რომლებიც ქვეყანაში ბიზნეს-საქმიანობის სამართლებრივი გარანტიებია. განხილულია სისხლის სამართლის კანონის არსი, კანონის ნორმის აგებულება, მოქმედების ფარგლები, კანონის განმარტება და მნიშვნელობა კანონგამოყენებით საქმიანობაში. დანაშაულის ცნება, მისი ნიშნები და შემადგენლობის დახასიათება. მოკლედ გადმოცემულია ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფი იმ დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ და სამოხელეო საქმიანობასთან. განხილულია ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა არსი და ბიზნესის სფეროში ჩადენილ ადმინისტრაციულ გადაცდომათა პასუხისმგებლობის საკითხები.

1. სისხლის სამართლის კანონი, სისხლის სამართლის კანონის ცნება და მნიშვნელობა. სისხლის სამართლებრივი ნორმის სტრუქტურა

კანონი არის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც შედგება სამართლებრივი ნორმებისაგან. სისხლის სამართლის კანონი სხვა კანონებისაგან განსხვავდება სამართლის ნორმათა სპეციფიკური შინაარსით. იგი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და პრინციპებს, განსაზღვრავს – რომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებია დანაშაული და როგორი სასჯელები შეიძლება დაინიშნოს მათი ჩადენისათვის. სისხლის სამართალი, ასევე აწესრიგებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებს.

საქართველოში ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ) მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის ივლისიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს კოდფიციურულ საკანონმდებლო აქტს და, მილიანობაში, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, შეიცავს რა სახელმწიფოში (ქვეყანაში) მოქმედ სისხლის სამართლებრივ ყველა ნორმას. სისხლის სამართლის ყველა კანონი, რომელსაც მიიღებს საქართველოს პარლამენტი, აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საფუძვლათა და აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. იგი გამოხატავს ხალხის ნებას. ამის გამოვლინებაა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სისხლის სამართლის კანონის განხილვისა და მიღების წესი (კონსტიტუციის 68-ე, 69-ე მუხლები). ასევე მისი შინაარსი, რომელშიც ასახულია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, მორალურ-ზნობრივი, ჰუმანური, პოლიტიკური და სამართლებრივი იდეები, აგრეთვე მის სოციალურ დანიშნულებაში – იფოს პიროვნების დაცვის, მისი უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების, უზნებრივი სიერცის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების, მშვიდობის უზრუნველყოფის, კაცობრიობის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის საშუალება. რა თქმა უნდა, დამნაშავეობასთან ბრძოლა არ დაიწყება მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ზომების გამოყენებამდე, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს სისხლის სამართლის როლს. უზრუნველყოფს რა ქმედების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის კრიტერიუმებს და ფარგლებს, განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის საფუძვლებსა და პრინციპებს, სისხლის სამართალი ქმნის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ იურიდიულ ბაზას.

სისხლის სამართლის კანონი – ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. ეკონომიკის, პოლიტიკის და იდეოლოგიის, დამნაშავეობის მდგომარეობის, მისი ფორმების და სახეობის ცვლილებების კვალდაკვალ მიმდინარეობს კანონმდებლობის სრულყოფის უწყვეტი პროცესი.

სისხლის სამართლის კანონი წარმოადგენს სისხლის სამართლის ძირითად წყაროს, მხოლოდ კანონი განსაზღვრავს დამნაშავეობას და ქმედების დასჯადობას. სისხლის სამართლის კანონი გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტული ქმედების ჩადენის შემთხვევაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში აღნიშნულია: "სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგად დებულებათა გათვალისწინებით." საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად "ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით". კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად "არავის არ შეიძლება განმეორებით დაეღოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის". მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს სასჯელის დანიშნვის ან სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი¹.

სახელმწიფო ორგანოების არავითარი სხვა აქტი არ შეიძლება შეიცავდეს სისხლის სამართლებრივი ხასიათის ნორმებს. სისხლის სამართლის წყაროს არ წარმოადგენს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციები, დებულებები და სხვა აქტები. ადამიანი, ტრადიციები, მორალისა და ზნეობის ნორმები, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენები, განჩინებები და დადგენილებები, ასევე არ შეიძლება წარმოადგინდეს სისხლის სამართლის წყაროს. სასამართლო პრეცედენტი არ ქმნის ახალ ნორმას, იგი ასახავს უკვე არსებული სისხლის სამართლებრივი ნორმის გამოყენების ფაქტს, ან განმარტავს მას ნორმის ჭეშმარიტი აზრის გახსნის თვალსაზრისით. სისხლის სამართლის კანონის სისხლის სამართლის ერთადერთ წყაროდ ცნობა წარმოადგენს ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის უზენაესი ფუნქციონირების გარანტიას და პრინციპს.

სისხლის სამართლის კანონი მოწოდებულია არა მარტო დაიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობები, არამედ მოაწესრიგოს კიდევ ერთი მხრივ, იგი დასჯის შიშით უკრძალავს დანაშაულის ჩადენას, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ავალდებულებს სათანადო ორგანოების მეშვეობით დაადგინოს ჩადენილ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, პასუხისმგებლობის მისცეს დამნაშავე და დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი, ზოლო კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, გაათავისუფლოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან.

სისხლის სამართლის კანონი ასრულებს გამაფრთხილებელ და აღმზრდელი ფუნქციას. გამაფრთხილებელი ფუნქცია მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში, რომლითაც დადგენილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას. სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრულია სასჯელის მიზანი. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი ფუნქცია მარტო აკრძალვითი ნორმებით არ შემოიფარგლება. არის ნორმები, რომლებიც პირს შეაგულიანებს: ა) აქტიურად აღუდგეს დანაშაულს და დამნაშავეს (აუცილებელი მოგერიება, დამნაშავეის შეპყრობა და ა.შ.); ბ) უარი თქვას დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ან ნებაყოფლობით ანაზღაუროს მიყენებული ზიანი; (ნებაყოფლობითი ზელის აღება დანაშაულზე სსკ-ის მუხლები 21-ე, 28-ე, 29-ე).

აღნიშნული მოქმედებების შესასრულებლად მოქალაქეთა წახალისებით, სისხლის სამართლის კანონი, ერთი მხრივ, ახდენს მოქალაქეთა სამართალდაცვითი აქტიურობის სტიმულირებას, მეორე მხრივ – აყა-

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XI და XIV თავები.

ლობებს დამატებით შემაკავებელ მოტივებს იმ პირთა შორის, რომელთაც აქვთ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

სსკ-ის 39-ე მუხლის მითითება რესოციალიზაციაზე, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანზე, გაშლილია ამავე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის შედამისადაც სასჯელის მიზანი ზორციელდება მსჯავრდებულისა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიშუქვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობით. ამდენად, სსკ-ის 39-ე მუხლში გახსნილია სისხლის სამართლის კანონის აღმზრდელი ფუნქცია, რომელიც ზორციელდება სწორედ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას. დანაშაულის ჩადენა იწვევს ნეგატიურ მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას არა მარტო სახელმწიფოს მხრივ, არამედ საზოგადოების წევრთა მხრიდანაც.

სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამასწორებელ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება აღმზრდელი ბით ზემოქმედებას ახდენს არა მარტო დანაშაულებზე, არამედ მერყევ პიროვნებებზეც.

ამდენად, სისხლის სამართლის კანონი:

- წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ სამართლებრივ აქტს;
- არის სისხლის სამართლებრივი ნორმების გამოხატვის ფორმა და სისხლის სამართლის ერთადერთი წყარო;
- განამტკიცებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს და საფუძვლებს, სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს;
- განსაზღვრავს საზოგადოებრივად საშიში რომელი ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და ითვალისწინებს სასჯელის სახეს და ზომებს ამ დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ;
- უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვას;
- სოციალურად განპირობებულია და შეესაბამება საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს, მის მოთხოვნებსა და მიზნებს;
- ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა;
- წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლის ქმედით იარაღს;
- ხელს უწყობს დანაშაულთა აცილებას და მოკვლას, მოქალაქეთა აღზრდას კანონისადმი მორჩილებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა შედგება სისხლის სამართლის კოდექსისაგან, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის ივლისიდან. ეს არის კოდეფიცირებული აქტი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ნორმების სისტემას, მათი არსის, შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით თანმიმდევრებით განლაგებულს. ისევე, როგორც ყველა სისტემა, კოდექსიც გამოირჩევა მისი შემადგენელი ელემენტების შინაგანი ერთიანობითა და ურთიერთკავშირით. ეს სისტემა არ არის უცვლელი, იგი იცვლება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული მოთხოვნების ცვლილებათა შესაბამისად.

კოდექსი აგებულია პანდექტული პრინციპით. პანდექტები, ან მეორეხარისხად დივესტები არის რომაული და ბერძნული სიტყვებით აღნიშნული ყოვლისმომცველობა. ამ სახელწოდებით 533 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს დროს გამოიცა რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული, რომელიც შეიცავდა რომაელი იურისტების მრავალრიცხოვანი შრომებიდან ამოკრეფილ ადგილებს და ჰქონდა კანონის ძალა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ორი ქვესისტემისაგან, ანუ სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან (ნაწილისაგან) – ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა კარებად და თავებად, თავები კი მუხლებად, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლებრივ ნორმებს. კოდექსის ზოგადი ნაწილი შედგება 6 კარისაგან, რომლებიც დაყოფილია 18 თავად. კოდექსის ზოგად ნაწილში

მოცემულია: საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზნები; სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები; სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და დანაშაულის კატეგორიები; სასჯელის მიზნები და სახეები; სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება; არასრულწლოვანების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა; სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და წესი. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი შედგება 9 კარისაგან, რომლებიც დაყოფილია 30 თავად. კოდექსის კერძო ნაწილი შეიცავს ცალკეულ დანაშაულთა აღწერას და იმ სასჯელებს, რომლებიც გათვალისწინებულია აღწერილ დანაშაულთა ჩადენისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი ან მეტი ნაწილისაგან. თუ არ ზდება დანაშაულის დიფერენცირება საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით, მაშინ ეს მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. თუ კანონმდებელი შემასუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებს გამოყოფს, როგორც მოცემული დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციულ ნიშანს, მაშინ ისინი სხვადასხვა ნაწილში განთავსდება. როგორც წესი, მუხლის ნაწილების განლაგება ზდება საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშოდან მეტად საშიშამდე. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა კვალიფიკური და განსაკუთრებით კვალიფიკური დანაშაულის სახეები. წარმოადგენენ რა ერთიანი სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილები ურთიერთკავშირში და განუყოფელ ერთიანობაში არიან. კოდექსის კერძო ნაწილის ნორმის გამოყენებისას აუცილებლად მიემართათ ზოგადი ნაწილის ნორმებს და პრიციტი, ზოგადი ნაწილის დებულებები, გამოანაკლისის გარეშე, შეეხება კერძო ნაწილის ყველა ნორმას.

ზოგადი და კერძო ნაწილების სტრუქტურები განსხვავებულია. ზოგადი ნაწილის ნორმებში არ გამოიყოფა მისი ელემენტები: ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია. ზოგადი ნაწილის ნორმები, მათი შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით იყოფა: ნორმა – განსაზღვრება, ნორმა – პრინციპი, ნორმა – დეკლარაცია, ნორმა – წესები, ასევე ვალდებულებითი და უფლებამოსილებითი ნორმები.

სპეციფიკურობით ხასიათდება კოდექსის კერძო ნაწილში შეტანილი ნორმები, ისინი შედგება ორი სტრუქტურული ელემენტისაგან: დისპოზიცია – არის სისხლის სამართლებრივი ნორმის სტრუქტურული ელემენტი, რომელშიც მოცემულია დანაშაულის ნიშნები; სანქცია – ნორმის სტრუქტურული ელემენტი, რომელშიც აღნიშნულია სასჯელის სახეობა, ვადა და ზომა.

კერძო ნაწილის ნორმები უშუალოდ არ შეიცავს ჰიპოთეზას, ანუ იმ პირობებს, რომლებშიც მოქმედებს მოცემული ნორმები. ჰიპოთეზა საერთოა განსაკუთრებული ნაწილისათვის და იგი გამომდინარეობს ზოგადი ნაწილის დებულებებიდან (სსკ-ის მე-7 მუხლი).

დისპოზიციები არის მარტივი (წოდებითი), აღწერილობითი, ბლანკეტური და მითითებითი.

მარტივი დისპოზიცია ისე ასახელებს მოქმედებას, რომ არ ხსნის მის ნიშნებს. მაგალითად, სსკ-ის 339-ე მუხლი თვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ქრთამის მიცემისათვის ამ დანაშაულის მახასიათებელი ნიშნების აღწერის გარეშე, დისპოზიციის ასეთი სახე საკანონმდებლო ტექნიკაში იშვიათად გამოიყენება, კერძოდ, მაშინ, როცა ხელყოფის მნიშვნელობა გასაგებია კანონში სპეციალური ახსნის გარეშე.

აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს დანაშაულის ყველაზე უფრო არსებითი ნიშნების მეტ-ნაკლებად ფართო განსაზღვრას. მაგალითად, სსკ-ის 239-ე მუხლში ნათქვამია: "ხულიანობა, ესე იგი ქვება, რომელიც უნებმად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით". აღწერილობითი დისპოზიცია უმჯობესია სხვა სახის დისპოზიციებთან შედარებით, რადგან შეიცავს დანაშაულის ელემენტებსაც.

ბლანკეტური დისპოზიციის შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ სამართლის სხვა დარგის ნორმის წაკითხვისას. ასეთი დისპოზიცია, უმეტესწილად, გამოყენებულია სატრანსპორტო დანაშაულის შესახებ საქონალბოტო მუხლებში (თავი XXXIV 275-ე, 276-ე, 280-ე, 281-ე, 283-ე მუხლები). მაგალითად, სსკ-ის 275-ე მუხლში წერია: „რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგოტო ტრანსპორტის მძღობრების უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც სპეციალურად ვვალება ამ წესის

დაცვა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება – ისეგება...“ დისპოზიციაში მითითებული არ არის, რაში გამოიხატება წესების დარღვევა. ამის გასარკვევად აუცილებელია მივმართოთ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც აწესრიგებს სტრანსპორტო საშუალებების ფუნქციონირებას და გაეარკვიოთ კონკრეტულად, რომელი წესებია დარღვეული. ბლანკეტური დისპოზიცია, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ქმედების გამოვლენა მრავალრიცხოვანია, ისინი მოცემულია სხვა ნორმატიულ აქტებში და ყველა ამ დარღვევის ჩაწერა სისხლის სამართლის კანონში შეუძლებელია.

მითითებითი დისპოზიცია დანაშაულის ნიშნების განსაზღვრისათვის მითითებს ამავე კოდექსის სხვა მუხლზე ან მუხლის ნაწილზე. მაგალითად, სსკ-ის 118-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაწერილია "ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის არ არის საშიში და არ გამოუწვევია ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ზანგრძობივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ შესამდგზე ნაკლებად დაკარგვასთან – ისეგება . . .“

ამავე მუხლის მეორე ნაწილში ჩაწერილი: "იგივე ქმედება, ჩადენილი ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას, ანდა იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ქონდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ან ამ კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, – ისეგება ---".

ამდენად, სსკ-ის 118-ე მუხლის დისპოზიციის შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამავე კოდექსის 117-ე, 118-ე და 109-ე მუხლების დისპოზიციის შინაარსის გაცნობით.

მითითებული დისპოზიცია იძლევა განმეორებების თავიდან აცილების საშუალებას და კომპაქტურს ხდის კანონს. დასაშვებია მუხლების ფორმულირება დისპოზიციის სხვადასხვა სახის კომბინაციის გზით.

სანქციები შეიძლება იყოს: შედარებით განსაზღვრული, ალტერნატიული სასჯელებით, მითითებითი და კუმულაციური (შეჯამებითი). შედარებით განსაზღვრული სანქცია განსაზღვრავს სასჯელის მინიმალურ და მაქსიმალურ ზომებს. ასეთი სანქციები ორი სახისაა: როდესაც სანქციაში გათვალისწინებულია როგორც სასჯელის მინიმუმი, ასევე სასჯელის მაქსიმუმი და მეორე – როდესაც მხოლოდ სასჯელის მაქსიმუმი არის განსაზღვრული. ამ შემთხვევაში სასჯელის მინიმუმი, რომელიც შეიძლება დაეცისროს დამსმავეს, არის ამ სახის სასჯელის ზომისათვის სსკ-ის ზოგად ნაწილში გათვალისწინებული მინიმუმი. კერძოდ, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ათი დღური ანაზღაურება (სსკ-ის 42-ე მუხლი); გამასწორებელი სამუშაოების მინიმალური ვადა არის ერთი თვე, ხელფასიდან სახელმწიფო შემოსავალში დაქვითვის მინიმუმი – 5%; საშხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის მინიმალური ვადა – სამი თვე; თავისუფლების შეზღუდვის მინიმალური ვადა – ერთი წელი; ტუსაღობის მინიმალური ვადა – ერთი თვე; სადისციპლინო საშხედრო ნაწილში მოთავსების მინიმალური ვადა – სამი თვე; ვადიანი თავისუფლების აკცეკციის მინიმალური ვადა – ექვსი თვე. ასეთი სანქციები გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, რადგან ასეთი სანქციების გათვალისწინება უფრო მეტად პასუხობს სამართალგამოყენებითი მოთხოვნების პრაქტიკას.

ალტერნატიული სასჯელის სახეების მითითებით სანქციები ძირითადი სასჯელის ორ ან მეტ სახეს შეიცავს, მაგალითად, სსკ-ის 118-ე, 124-ე, 125-ე, 126-ე და ბევრი სხვა მუხლის სანქციით გათვალისწინებულია 2 ან 3 სხვადასხვა სახის სასჯელის გამოყენება. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს მუხლში მითითებული ერთ-ერთი სასჯელი, ამასთან, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

მითითებითი სანქცია თვითონ არ ადგენს კონკრეტული სასჯელის სახეს და მიუთითებს სსკ-ის სხვა მუხლებზე. ასეთ სანქციებს არსებითად არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რამდენადაც დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნის დროს გამოიყენება იმ მუხლის სანქცია, რომელზედაც არის მითითება.

კუმულაციური (შეჯამებითი) სანქცია ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ დამნაშავეს გარდა ძირითადი სასჯელისა, დაინიშნოს დამატებითი სასჯელიც. დამატებითი სასჯელის დანიშვნა ან საკვლდე-

ბუღალა ან შეიძლება დაინიშნოს სასამართლოს შეხედულებისამებრ, მაგალითად, დამატებითი სასჯელე-ბის სავალდებულო დანიშვნა გათვალისწინებული სსკ-ის 130-ე (აუადმყოფის განსაცდელში მიტოვება), 134-ე (ადამიანის ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ალების იძულება), 142-ე ადამიანთა თანასწორუფლე-ბიანობის დარღვევა და სხვა მუხლებით, რომლებითაც გათვალისწინებულია სასჯელი ისეთი დანაშაული-სათვის, რაც დაკავებულ თანამდებობასთან ან გარკვეულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამავე კა-ტეგორიის ზოგიერთი დანაშაულისათვის დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქ-მიანობის უფლების ჩამორთმევა სავალდებულოდ არ არის მიჩნეული და იგი შეიძლება დაინიშნოს ან არ დაინიშნოს სასამართლოს შეხედულებისამებრ. მაგალითად, სსკ-ის 154-ე, 155-ე, 156-ე, 157-ე და სხვა მუხლებით.

კუმულაციური (შეჯამებითი) სანქციების რიცხვი, მათი გამაფრთხილებელ-ადმზრდევლობითი მნიშვნელო-ბის გამო, განუწყვეტელი მატულობს.

სისხლის სამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტი შედარებით ურთიერთდამოკიდებულია, რადგან ასრუ-ლებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფუნქციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ურთიერთდამოკი-დებული და ურთიერთგანპირობებული არიან. პირველ ყოვლისა, ასეთი მჭიდრო კავშირი არსებობს ნორ-მის დისპოზიციასა და სანქციას შორის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუ-ცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტი-ტუციას. ამ კონსტიტუციური დებულებიდან გამომდინარე, საქმეების განხილვის დროს სასამართლოებმა უნდა შეაფასონ იმ კანონის ან სხვა სამართლებრივი ნორმატიული აქტის შინაარსი, რომლებიც აწესრი-გებს განსახილველ სამართალურთიერთობას იმ თვალსაზრისით – შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციას კანონი ან სხვა სამართლებრივ-ნორმატიული აქტი. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამ-დე, რომ კანონი ან სხვა სამართლებრივ-ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას, აჩერებს სისხლის სამართალწარმოებას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს მათი კონსტიტუციურობის გადასწავლად (საქ. სსკ-ის² 29-ე მუხლის "ე" პუნქტი და 390-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართვე-ლოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტე-ბის მიმართ.

საკონტროლო კითხვები:

1. სისხლის სამართლის კანონის სტრუქტურა;
2. დისპოზიციის სახეები;
3. სანქციის სახეები;
4. დანაშაულის მატერიალური და ფორმალური ფორმები.

2. დანაშაულის ცნება, მისი ნიშნები და სოციალური ბუნება

დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელ-ყოფს საქართველოს საზოგადოებრივ წესწყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, სა-კუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებსა და თავისუფ-ლებას, აგრეთვე მართლწესრიგის ხელშეწყობის სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც გათუ-ლისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. სსკ მე-7 მუხლით დანაშაულის არსი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით

გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. ასეთ განსაზღვრებაში დანაშაულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები არის ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა.

დანაშაულის ცნების ამ საკანონმდებლო განსაზღვრებაში ხაზგასმულია მისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი: ადამიანის ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც უცილობლად საზოგადოებრივი სამშრომლობა, ბრალეულობა და დასჯადობა.

პირველი ნიშანი, რომელიც ახასიათებს დანაშაულს, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა (მოქმედება ან უმოქმედობა), როგორც ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული, ნებელობითი ქცევა. ადამიანის როგორც მართლზომიერი, ისე მართლსაწინააღმდეგო ქცევა აზრობრივი პროცესია, ის თავისთავად არ არის ყოველთვის დანაშაულებრივი, მას თუ არ ერთვის ადამიანის განსაზღვრული საზოგადოებრივად სამშობი ზრახვანი და მიზნები. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება განსაზღვრული ქმედების ჩადენისათვის და არა აზრებისათვის. კანონმდებელი დანაშაულის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად ქმედებას მიიჩნევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებელობითი ქცევის აქტად ვერ ჩაითვლება (და ამდენად დანაშაულად) ადამიანის სხეულის ნებისმიერი მოძრაობა, თუ გამორიცხულია თავის ტვინის მაკონტროლებელი ფუნქცია. გამორიცხულია ქმედების მართლსაწინააღმდეგობა დაუძლეველი ძალისა და ფიზიკური ძალადობის დროს. რაც შეეხება ფსიქიკურ მუქარას, იგი ამ გამორიცხავს ადამიანის ნებელობით მოქმედებას. ასეთი ძალადობის ვითარებაში ჩადენილი მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ წარმოადგენს დანაშაულს, თუ იგი აკმაყოფილებს უკიდურესი აუცილებლობის პირობებს.

უეცარი ძლიერი სულიერი ალექციების ვითარებაში, ანუ აფექტში ჩადენილი მოქმედება მომეტებული სირთულის საკითხია. ფიზიოლოგიური აფექტი მთლიანად არ გამორიცხავს ადამიანის შეგნებულ კონტროლს თავისი მოქმედებისადმი, არამედ მხოლოდ ასუსტებს მას. ამიტომაც დგება პასუხისმგებლობა ამ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის, თუმცა აფექტი ითვლება ბრალის შემამსუბუქებელ ერთ-ერთ გარემოებად (სსკ-ის მუხ. 22-ე, III-ე). სხვაგვარად წყდება საკითხი პათოლოგიურ აფექტში ჩადენილ მოქმედებისას. პათოლოგიური აფექტი ცნობიერების ისეთ სრულ დაზიანებას იწვევს, რაც საესეზით გამორიცხავს აზროვნებას და მოქმედების შეგნებული კონტროლის უნარს. ამ შემთხვევაში ნებელობითი მოქმედება საესეზით გამორიცხულია, ამიტომ გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

უმოქმედობა, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ მაშინ წარმოქმნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ პირს მოქმედების ვალდებულების გვერდით, ასეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობაც გააჩნდა. ამიტომ, სისხლისსამართლებრივი წესით პასუხს არ აგებს ღამის დარაჯი, რომელსაც ბორტომოქმედება ხელ-ფეხი შეუკრეს და ამით მოუსაეს მას მოქმედების შესაძლებლობა, რასაც ამბარის გატეხვა მოჰყვა.

დანაშაულის ძირითად თვისებრივ ნიშანს მისი საზოგადოებრივი სამშრომლობა წარმოადგენს. დანაშაულად ითვლება არა ყოველგვარი მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა და ე.ი. სამშობი საზოგადოებისათვის. ეს ნიშანი სხნის დანაშაულის სოციალურ არსს და პასუხს იძლევა კითხვაზე, რატომ ცხადდება ესა თუ ის ქმედება დანაშაულად. საზოგადოებრივი სამშობიების არსებობა იმის მომასწავებელია, რომ ქმედება ხელყოფს საზოგადოებაში არსებულ მორალურ და მატერიალურ ურთიერთობებს, ენებას აყენებს მას.

სიტყვა „ხელყოფის“ ქვეშ იგულისხმება სამართლით დაცული სიკეთის არა მხოლოდ დაზიანება, არამედ ასეთი დაზიანების რეალური საფრთხის შექმნა. ამიტომაცაა, რომ დანაშაულად ითვლება არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელმაც ენება მოაყენა სამართლით დაცულ სიკეთეს, არამედ ისეთიც, რომელმაც ენების მიყენების ნამდვილი საფრთხე შექმნა.

საზოგადოებრივი სამშობიების, ანუ ქმედების კანონსაწინააღმდეგობის არსი იხსნება იმ ობიექტებზე მითითებით, რომელთა ხელყოფაც დანაშაულს წარმოადგენს. ეს ობიექტებია: საქართველოს კონსტიტუციური წესწესობლება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა უფლებები და თავისუფლება, რომლებიც მოცემულია კონსტიტუციის მე-2 თავში.

საზოგადოებრივი საშიშროება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დანაშაული. საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს არა მხოლოდ დანაშაულს, არამედ სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვ.).

სსკ-ის მე-7 მუხლის II ნაწილი, სადაც კანონმდებელი ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნების განსაზღვრებას იძლევა, ხელს უწყობს საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის უფრო სრულად გახსნას. ამ ნორმის არსი იმაშია, რომ დანაშაულად მხოლოდ ისეთი მოქმედება შეიძლება იქნეს ცნობილი, რომელსაც მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი გააჩნია. ამიტომ ჩადენილი ქმედების ნიშნების ფორმალური დამთხვევა კანონში აღწერილი დანაშაულის ნიშნებთან საკმარისი არ არის ამ ქმედების დანაშაულად აღიარებისათვის, თუკი იგი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ქმედება შეიძლება ცნობილი იქნეს ასეთად მიყენებული ენების უმნიშვნელო ხასიათის დროს (იფუფასიანი ნითვის ქურდობა, დაზიანება, რომლის აღსადგენად საჭირო არ არის დიდი ძალისხმევა და მნიშვნელოვანი დანახარჯი). მართლსაწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედება ითვლება, რომელიც გათავალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. ამასთან, კანონმდებელი, როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულად აღიარებს მხოლოდ იმ ქმედებას, რომელსაც საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრული ხასიათი და ხარისხი აქვს.

მართლწინააღმდეგობა იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩამდენმა დაარღვია აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმაშია მოცემული. ამდენად, ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის ნორმით, თუნდაც კანონის ხარვეზის შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება დანაშაულად. მხოლოდ კანონმდებელს აქვს უფლება დანაშაულის რანგში აიყვანოს ეს თუ ის ქმედება. დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (სსკ-ის მე-7 მუხლი). დანაშაულის ასეთი საკანონმდებლო განსაზღვრებით საყოველთაოდ აღიარებულია პრინციპი – დანაშაული არ არის კანონის გარეშე (*nullum crime sine lege*).

შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც ამა თუ იმ მოქმედებას ან უმოქმედობას ადამიანთა მართლშეგნება საზოგადოებისათვის საშიშად მიიჩნევა, მაგრამ თუ ასეთი ქმედება აკრძალული არ არის სისხლის სამართლის კანონით, არაეის არა აქვს უფლება ებრძოლოს მას სასჯელის მეშვეობით. არ არის სასჯელი კანონის გარეშე (*nulla poena sine lege*).

ქმედების მართლსაწინააღმდეგობის ნიშნის გარდა, დანაშაულის ნიშნებია ქმედების ბრალეულობა და დასჯადობა.

ბრალი არის დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, ქმედება შეიძლება იყოს საზოგადოებრივად საშიშიც, მართლსაწინააღმდეგოც, მაგრამ თუ ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ პირს არა აქვს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც იციცხება საზოგადოების მიერ ზნეობრივი თვალსაზრისით - ასეთი ქმედება არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, ე.ი. ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული. ამ მომენტზე საციკალურად მიუთითებს სსკ-ის მე-7 მუხლი, სადაც აღინიშნულია, რომ „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. მოცემული დებულება გამოირიცხავს ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას, ანუ ბრალის გარეშე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი და მართლწინააღმდეგობისადმი, ბრალის ცნებისაგან განსხვავებით, ქმედების ობიექტურ წინააღმდეგობას გამოხატავს, ხოლო ბრალი გამოხატავს დამნაშაის შინაგან, ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი ნიშნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროებისადმი.

დასჯადობის, როგორც დანაშაულის ნიშნის ქვეშ, იგულისხმება ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშნვის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ყოველი დანაშაული დასჯადი ქმედებაა. რეალურად შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჩადენილი დანაშაული სხვადასხვა გარემოების გამო სასჯელს არ იმსახურებდეს. მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულს თან არ ახლავს სასჯელი, მაგალითად, პირობითი მსჯავრის დროს მოსამართლე არ იყენებს სასჯელს.

დანაშაულის ცნების დასჯადობის ნიშანი ისეთნაირად უნდა იქნეს გაგებული, რომ დანაშაულის ჩადენის თითოეულ ფაქტს თან სდევს სასჯელის მუქარა. მხოლოდ ისეთი ქმედება დანაშაული, რომლისთვისაც კანონმდებელი საჭიროდ თელის სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნას. ამრიგად, დანაშაული არ არსებობს სასჯელის გარეშე, ისევე როგორც არც სასჯელი არსებობს დანაშაულის გარეშე. ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით სასჯელი შეიძლება არც იქნეს გამოყენებული, სრულიადაც არ ცვლის ამ დებულებას, ყოველი დანაშაული პრინციპულად დასჯადია.

ყოველი დანაშაული არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, არამედ იმედროულად ამორალური ქმედებაც არის, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენს ამ ნიშნის სპეციალურად შეტანა დანაშაულის ცნების არსში, ქმედების მართლწინააღმდეგობა თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ქმედება ამორალურიც არის.

დანაშაულის კატეგორიზაცია.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სიძვირის დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლითაა გათვალისწინებული. ამ დანაშაულთა მიკუთვნება სხვადასხვა კატეგორიისადმი ანუ დანაშაულთა კლასიფიკაციას მათი სიძვირის ხარისხის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ასეთ დაყოფასთან განსხვავებული სამართლებრივი შედეგებია დაკავშირებული.

დანაშაულის სიძვირის განსაზღვრება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლში, რომელშიც დანაშაულთა კატეგორიები სასჯელის სიძვირის მიხედვით იყოფა:

1. ნაკლებად მძიმე დანაშაული;
2. მძიმე დანაშაული
3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახვით, ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც სსკ-ს მუხლით, ან მუხლის ნაწილით დადგენილი სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას; მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის ზომა არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც თავისუფლების აღკვეთა 5 წელს აღემატება; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ცნობილია ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასამართლომ შეიძლება განსაზღვროს 10 წელზე მეტი ვადით, ან უეადო თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სიძვირის მიხედვით. დანაშაულთა დაყოფა (კლასიფიკირება) არსებითად ხდება დანაშაულის სამართლებრივი შედეგების მიხედვით. ადრე მოქმედი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა დანაშაულთა სამართლებრივი შედეგებით დაყოფას არ იცნობდა. ეს ახალი პოსტულატი საქართველოს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობაში გადმოღებულია, ძირითადად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობიდან. ამ მიმდინარეობას გააყუდა რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული სხვა სახელმწიფოები.

დანაშაულის სოციალური ბუნება

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მარქსი წერდა, რომ „სასჯელი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოების თვითდაცვის საშუალება მისი არსებობის პირობების დარღვევის წინააღმდეგ, როგორც არ უნდა იყოს ეს პირობები“.

ეს გამოთქმა შეიცავს დანაშაულს, როგორც საზოგადოების არსებობის პირობების ხელყოფის ზუსტ დახასიათებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს პირობები. კომუნისტურმა სამართლებრივმა იდეოლოგიამ შეგნებულად მიჩქმალა მოტანილი ციტატის ბოლო სიტყვები და დანაშაულს განიხილავდა, როგორც ანტაგონისტური კლასების ბრძოლის გამოვლინების პროდუქტს და ფორმას, ხოლო სასჯელში ხელაუღია სამართლებრივი კალაპოტში შეყვანილი „დამარჯული“ კლასის წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალებას.

რა თქმა უნდა, ამ შეიძლება უარყოფთ დანაშაულის კლასობრივი ხასიათი, როგორც მისი წარმოშობის, ასევე ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში მისი სოციალური შინაარსის გათვალისწინებით. დანა-

შაული, როგორც ორიგინალი ცნება, ნამდვილად აღმოცენდა მხოლოდ საზოგადოების ანტიკონსტიტუციონალურ (მონებად და მონათმფლობელებად) დაყოფისა და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ. იმ პერიოდში სახელმწიფო, უმთავრესად, მონათმფლობელთა კლასის ხელში წარმოადგენდა მონებზე მათი ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცების იარაღს, დანაშაულად კი მიიჩნეოდა მონათმფლობელური წყობისათვის საშიში ქმედებები. მაგალითად, მონის მოკვლა დანაშაულად არ ითვლებოდა, მაშინ, როცა მონის მიერ თავისი ბატონის მოკვლა, განიხილებოდა როგორც უმძიმესი დანაშაული და იწვევდა მკვლელობის სიკვდილთი დასჯას. მაგრამ იმ დროსაც დანაშაულის კლასიზაციისას ხასიათი აბსოლუტური არ იყო, რადგან პიროვნების ხელყოფის ბევრი ფორმა, ქონებრივი ან სხვა ინტერესების დარღვევა თავისივე კლასის წარმომადგენლის მიერ ასევე დანაშაულად ითვლებოდა, თუმცა ამას არ ჰქონდა გამოხატული კლასობრივი ელფერი.

დემოკრატიის განვითარებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების კვლადაკვალ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და სხვა სახელმწიფოებში, ძირეულად შეიცვალა დანაშაულის სოციალური შინაარსი. ააშენეს რა განვითარებადი დემოკრატია და შეუდგინენ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ საკანონმდებლო წესით ფაქტობრივად განამტკიცა ზოგადსაკაცობრიო ფასიულობათა პრიორიტეტი და ეს ფასიულობები დააყენა კლასობრივ და კორპორაციულ ინტერესებზე მაღლა. პიროვნება, მისი უფლებები, თავისუფლება და ინტერესები გამოცხადდა უმაღლეს სოციალურ ფასიულობებად, მათზე გავრცელდა გაძლიერებული სამართლებრივი, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დაცვა. მე-20 საუკუნის 80-იან წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო დაადგინენ სოციალური ურთიერთობებისა და სამართლებრივი სისტემების დემოკრატიზაციის გზას.

საქართველოს კონსტიტუციის მიღებით, 1995 წელს, ოფიციალურად პირველად აღიარდა სახელმწიფოს ინტერესებთან შედარებით ზოგადსაკაცობრიო ფასიულობათა პრიორიტეტი. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასიულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და ხელისუფლება შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებასა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამოდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც გამოდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან. კოდექსი, პირველ რიგში, აყენებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას და მხოლოდ ამის შემდეგ ითვალისწინებს საკუთრების ყველა ფორმის, საქართველოს კონსტიტუციური წყობის, გარემოს დაცვას და სხვა სახის ხელყოფისათვის პასუხისმგებლობას. ამდენად, დანაშაულის სოციალური ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მიმართულია პიროვნების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, საქართველოს კონსტიტუციური წყობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ.

საკონტრაქტო კითხვები:

1. დანაშაულის ნიშნები, არის;
2. ქმედების მართლსაწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსი და მათი თანაფარდობა;
3. მცირე მნიშვნელობის ქმედების ცნება, რომელიც ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
4. დანაშაულის კატეგორიზაციის კრიტერიუმები.

3. დანაშაულის შემადგენლობა

დანაშაულის შემადგენლობა არის კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ქმედებას როგორც მართლსაწინააღმდეგოს, ბრალულს და დასჯადს. დანაშაულის შემადგენლობა აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული მუხლის დისპოზიკაში. დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილია კანონსაწინააღმდეგო ანუ საშიში ქმედება, მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა და ა.შ. ამ აღწერას (დისპოზიციას) კანონმდებელი უკავშირებს სისხლისსამართლებრივ შედეგს (სანქციას) და ამრიგად, ქმედება ცხადდება კანონსაწინააღმდეგოდ და დასჯადად.

დისპოზიკაში აღწერილი ქმედებისათვის სასჯელის გამოცხადებით, კანონმდებელი ქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ – დანაშაულად აღიარებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ქმედება აკრძალული სამართლის რომელიმე სხვა დარგით, ან უარყოფითად ფასდებოდა თუ არა იგი ზნეობის ნორმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი იმედროულად ამ მოქმედების მართლსაწინააღმდეგოა, ესე იგი დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობის საფუძველი. ქმედების დანაშაულად აღიარებისათვის კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმის აღიარებით, რომ მასში სამი ნიშანი უნდა იყოს: მართლსაწინააღმდეგობა, ბრალულობა და დასჯადობა. ამიტომ, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების (მკვლელობის, ქურდობის და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს აღარ სჭირდება ამ ქმედების საზოგადოებისათვის საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცება, იგი უკვე თავისთავად იგულისხმება. მაგალითად, თუ სასამართლომ დაამტკიცა, რომ დაწნასავე ფარულად გაიტაცა სხვისი მოძრავი ნივთი მთივისების მიზნით, ე.ი. ჩაიდინა ქურდობა, საჭირო აღარ არის იმის მტკიცება, რომ ეს მოქმედება არის საშიში და ამდენად მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე, ზოლო გამონაკლისი კი ის არის, რომ ქმედება შეიძლება ფორმალურად შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ არ იყოს მართლსაწინააღმდეგო ისეთი გარემოების არსებობის გამო, რამაც მას დაუკარგა საშიში ხასიათი. ასეთ გარემოებებს სისხლის სამართლის კანონი მიაკუთვნებს სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ვითარებას – „დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახლიდა მისი ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“.

კანონში აღნიშნულია აგრეთვე, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში ქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აწერილი დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს, მაგრამ იმის გამო, რომ არსებობს მართლსაწინააღმდეგობისა და საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები – იგი დანაშაულად არ ჩაითვლება და გამოცხადებულია მართლზომიერ ქმედებად.

სისხლის სამართლის კანონში დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების აღწერით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ქმედებათა წრეს, რომელიც დანაშაულს წარმოადგენს და სასჯელს იმსახურებს.

შემადგენლობაში აბსტრაქტული, განზოგადებული ფორმით აღწერილია ის ტიპური ნიშნები, რომელთა ერთობლიობა სისხლისსამართლებრივი უმართლობას ქნის და კონკრეტულ დანაშაულს ახასიათებს, ზოლო ინდივიდუალური შემთხვევითი ნიშნები შემადგენლობის გარეთ არის გატანილი. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით ქურდობა განსაზღვრულია, როგორც სხვისი მოძრავი ქონების ფარული გატაცება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამდენად, კანონი ქურდობის ცნების შემდეგ ნიშნებს ასახელებს: 1. მოძრავი ნივთი, როგორც საკუთრება, 2. ფარული დაუფლება, 3. კანონსაწინააღმდეგო მიზანი. აქ იგულისხმება, რომ ამ ნიშნების ერთობლიობა საშიშმა საზოგადოებისათვის და ამდენად მართლსაწინააღმდეგოა.

ქმედება, რომელიც არ ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ელემენტებს, არ წარმოადგენს დანაშაულს და დასჯადს. ეს კი ცნობილი პრინციპის – არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე – (nullum crimen nulla poena sine lege) – განუზრვლად განზორციელების გარანტიას იძლევა და გამორიცხავს დანაშაულის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც სსრ კავშირის პირველი 1924 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები და მის სა-

ფუძელებზე მიღებული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებდა.

სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციამი მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის აღწერა. ეს ნიშნები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად.

აღწერილობითი ეწოდება ისეთ ნიშანს, რომელიც დანაშაულის ფაქტობრივ მხარეს შეეხება, დროსა და სივრცეში არსებობს და შესაძლებელია მისი აღქმა გრძნობის ორგანოების მეშვეობით. ასეთი ნიშნებია ქონების დაზიანება, მისი გატაცება, ადამიანის სიკვდილი და ა.შ. ეს ნიშნები, როგორც წესი, მიზეზობრივად დაკავშირებულია ადამიანის მოქმედებასთან. გარდა ამისა, არსებობს შემადგენლობის ისეთი ნიშნები, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ უკავშირდება მოქმედებას, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს მიეკუთვნება. მაგალითად, ნიეთი ქონების გატაცებისას, ორსულობა, ორსული ქალის მკვლელობისას.

აღწერილობითი ნიშნების დროს უნდა დადგინდეს ამ ნიშანთა არსებობა ქმედების კვალიფიცირებისას. მაგალითად, ნამდვილად მოკლულია თუ არა ადამიანი, გატაცებულია თუ არა ქონება და ა.შ.

შეფასებითი ნიშანი, არ აღიქმება გრძნობის ორგანოების საშუალებით, არ არის განლაგებული დროსა და სივრცეში და მისი არსის დადგენისათვის აუცილებელია კანონის შემფარდებლის გონების თვლით შეფასება, ანალიტიკური აზროვნებით. ასეთი ნიშანია, მაგალითად, "გარყვნილი" მოქმედება, "სხვისი" მოძიად ნიეთის ფარული დაუფლება და ა.შ. ამრიგად, შემადგენლობის შეფასებით ნიშნებს, სიზუსტისა და გარკვეულობის დეფიციტი ახლავს. მათი დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა მომენტის მოშველიებით (სამართლის სხვა დარგიდან, ზნეობრივი ნორმებიდან და ა.შ.). ამის გამო, კანონგამოყენებისას ამ შეხედულებას ფართო გასაქანი აქვს. ამდენად, კანონმდებელი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს არ მძარტოს შეფასებით ნიშნებს, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ამა თუ იმ ქმედების საკანონმდებლო დახასიათება მხოლოდ აღწერილობითი ნიშნების მოშველიებით შეუძლებელია. ამასთან, ასეთი ნიშნების დადგენა არ გულისხმობს ნორმის შემფარდებლის სრულ თვითნებობას. შეფასებითი მსჯელობა შესაძლებელია კანონმდებლის ზოგადი პრინციპებისა და მილიანად სამართლისა და ზნეობის ნორმების მეშვეობით. ზოგჯერ ზღვარი შემადგენლობის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის იშლება. მაგალითად, სსკ-ის 341-ე მუხლი ითვალისწინებს დოკუმენტის გაყალბებას. აქ დოკუმენტს ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორცაა ქაღალდი, შტამპი, ბეჭედი, ხელმოწერა, ე.ი. ისეთი ნიშნები, რაც აღიქმება ჩვენი გრძნობის ორგანოების მეშვეობით, ანუ აღწერილობითი ნიშნები, მაგრამ დოკუმენტის თვისება, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაზღვრული იურიდიული ფაქტების ან ზღომილების დამადასტურებლად, მის შეფასებით ნიშნებს განეკუთვნება.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები განეკუთვნება დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს.

დანაშაულის ობიექტი არის ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რასაც იცავს სისხლის სამართლის კანონი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ან ასეთი ხელყოფის საფრთხისაგან. დანაშაულის ობიექტზე მითითება ზოგჯერ პირდაპირ არის მოცემული სისხლის სამართლის კანონში (მაგალითად სსკ-ის 108-ე მუხლი განზრახ მკვლელობა), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის ობიექტის დადგენა კანონის განმარტების მეშვეობით ხდება.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებისათვის ცნობილია ორობიექტანი დანაშაული (მაგალითად, სსკ-ის 179-ე მუხლი, რომელიც ყაჩაღობის შემადგენლობას ითვალისწინებს, ასეთად მიიჩნევა პიროვნებას და საკუთრებას). როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, უნდა განვასხვაოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაული ალტერნატიულად ხელყოფს რამდენიმე ობიექტს. ამის მაგალითად იგივე ყაჩაღური თავდასხმის შემადგენლობა გამოდგება, სადაც ერთ-ერთი ობიექტის ხელყოფა უკვე დანაშაულის დამამძიმებელ შემადგენლობას ქმნის.

დანაშაულის შემადგენლობაში ასევე აღწერილია დანაშაულის ობიექტური მხარე, რომელშიც იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს განეკუთვნება აგრეთვე დანაშაულებრივი მოქმედების საშუალება, ხერხი, დრო, ადგი-

ლი და ვითარება. დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას, კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ობიექტური მხარის ისეთ შემადგენელ ნაწილს უთმობს, როგორც მოქმედება.

მოქმედების ჩადენის განსაკუთრებული ხერხი აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობისათვის (მაგალითად, სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სპეციალურად მიუთითებს ამ დანაშაულის ჩადენის ხერხზე, კერძოდ თეთომკვლელობაზე იმ პირის მიყვანა, რაც ჩადენილია მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამკიდებელი პირის მიმართ ან დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით, ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით).

ასეთივე საეაღდებულო მნიშვნელობა იქნება დანაშაულის ჩადენის საშუალებას. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის როგორც საშუალებად, ისე დრო, ადგილი და ვითარება შემადგენლობის აუცილებელი ნიშნის სახით არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ამიძიებს დანაშაულს. მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის "ვ" პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული სისასტიკით ან მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით ჩადენილი განზრახვი მკვლელობა ითვლება დამამძიმებელ გარემოებად.

ზოგად დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია კანონმდებლის მიერ დანაშაულის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, საზოგადოებრივი უბედურების გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით და ა.შ.

იგივე ითქმის დანაშაულის ჩადენის პირობების შესახებაც. დანაშაულის შემადგენლობა, იმისდა მიხედვით, არის თუ არა მასში განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგი, იყოფა შედეგან და შედეგგარეშე შემადგენლობებად. მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია შედეგანი დანაშაულის შემადგენლობისათვის.

დანაშაულის სუბიექტის ნიშნებზე მითითება მოცემულია სსკ-ის ზოგად ნაწილში (მუხ. 33-34-ე) და, როგორც წესი, განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში მასზე არაფერია ნათქვამი, ვარდა იმ ზოგიერთი გამონაკლისისა, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება განზორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული ნიშან-თვისებით აღჭურვილი სუბიექტის მიერ. ასეთია, მაგალითად, დანაშაული, რომლის სუბიექტიც მხოლოდ სამხედრო პირია.

დანაშაულის შემადგენლობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა დანაშაულებრივი ქმედების მიზანი და მოტივი. მაგალითად, ტერორისტული აქტის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტება (მუხ. 323), ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ კი მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას (მუხ. 326-ე) და ა.შ. მიზანმა ასევე შეიძლება დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების როლი ითამაშოს, მაგალითად 109-ე მუხლის "ლ" პუნქტის თანახმად, მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ითვლება ამ დანაშაულის დამამძიმებელ ე.ი. მაკალოფიცირებელ გარემოებად. ზოგიერთი შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს დანაშაულის ჩადენის მოტივი წარმოადგენს, მაგალითად, სსკ-ის 341-ე მუხლში ლაპარაკია დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, განსაკუთრებული ბლანკის, ანგარიშების მოსპობაზე, დაზიანებასა და დამალვაზე, რაც ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. მოტივი, ისევე როგორც მიზანი, შეიძლება იყოს მხოლოდ მაკალოფიცირებელი გარემოება, მაგალითად სსკ-ის 109-ე მუხლის "ი" პუნქტით მკვლელობა, ჩადენილი ანგარებითი მოტივით განიხილება როგორც ამ დანაშაულის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებათაგანი. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებად მოკლეწინის, თუ ასეთ გარემოებას ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობა.

დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს მასში გადმოცემული ერთი და იმავე ქმედების საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამ ნიშნით კლასიფიკაციისას განარჩევენ დანაშაულის მარტივ ანუ ძირითად კვალიფიციურ და პრივილეგირებულ შემადგენლობას. დანაშაულის მარტივ ანუ ძირითად შემადგენლობაში გადმოცემული არ არის ამ დანაშაულის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები. ამის მაგალითია მკვლელობა ჩადენილი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. კვალიფიციურ შემადგენლობაში გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს), ხოლო პრივილეგიური შემადგენლობა აღწერს იმ ნიშანს, რომელიც ამსუბუქებს შესაბამის დანაშაულს (მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლი, ძლიერი სულიერი ატეხვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობა; სსკ-

ის 113-ე მუხლი ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლელობას).

ზოგჯერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობა, მისი დიდი მნიშვნელობის გამო, აღარ ექვემდებარება ზემოაღნიშნულ სამწევროვან დაყოფას და დამოუკიდებლობის დიდ ზარისხს იძენს. ასეთი შემთხვევა სისხლის სამართლის ლიტერატურაში "სპეციალობის პრინციპის" სახელწოდებითაა ცნობილი. ეს პრინციპი იმის ამსახველია, რომ სისხლის სამართლებრივი ორი ნორმა ერთმანეთთან ზოგადი და სპეციალური ნორმების დამოკიდებულებაშია, სადაც სპეციალური ნორმას ზოგადთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. ამ შემთხვევაში სპეციალური ნორმა ითვალისწინებს ქმედების სპეციალურ თავისებურებას, მაგალითად, დანაშაულის აფარვა (სსკ-ის 375-ე მუხლი) და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (სსკ-ის 370-ე მუხლი). შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა დანაშაულის აფარვის ერთ-ერთი საშუალებაა და ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 370-ე მუხლით, არამედ დაფარვის სპეციალური სახის ამსახველი 375-ე მუხლით.

დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაცია შეიძლება მისი სტრუქტურის მიხედვითაც. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განსხვავებენ მარტივ და რთულ შემადგენლობებს. მარტივ შემადგენლობაში ცალკეული საშუალო ქმედება პირველად არის აღიარებული დანაშაულად, რთული შემადგენლობის სახესხვაობაა დანაშაული, როდესაც მასში შემაჯავთ რამდენიმე დანაშაული დამოუკიდებელია, მაგრამ დანაშაულში ისინი ისე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რომ დამოუკიდებელი დანაშაული წარმოქმნეს. ასეთი დანაშაულის მაგალითს წარმოადგენს ყაჩაღობა. სადაც ორი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნება გავრთიანებული: ა) პიროვნების და ბ) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა.

რთული დანაშაულის სახეს განეკუთვნება აგრეთვე ალტერნატიული შემადგენლობა. ალტერნატიული შემადგენლობის დროს შემადგენლობით გათვალისწინებული რამდენიმე ნიშანთან ერთ-ერთის არსებობა საკმარისია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.

რთული შემადგენლობის ნაირსახეობა კუმულაციური შემადგენლობა. მართალია, აქაც ალტერნატიულის მსგავსად ორ მოქმედებაზე, ობიექტსა და ბრალის ორ ფორმაზეა ლაპარაკი, მაგრამ განსხვავებით ალტერნატიული შემადგენლობისაგან, შეიძლება აქ ასახული შემადგენლობის ცალკეული ელემენტისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი ერთდროულად არსებობდეს. მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობისათვის დამახასიათებელია ორი ობიექტი – ქონება და პიროვნება და ადგილი აქვს ბრალის ორ ფორმას – განზრახვას და გაუფრთხილებლობას – განზრახვას სხეულის დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობას – სიკვდილისადმი.

საინტერესოა, თუ რა დამოკიდებულებაშია დანაშაულის ცნება დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. მათ შორის ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედებას, როგორც რეალურ, ცხოვრებისეულ მოვლენას, რეალურ პროცესს (დე-ფაქტო), ხოლო შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციამა აღწერს იმას, რაც რეალურად ცხოვრებაში ხდება (დე-იურე).

ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებია: დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი, ანუ სისხლის სამართლის კანონით დაცული სიკეთე; ობიექტური მხარე – დანაშაულებრივი ქმედება ანუ მოქმედება ან უმოქმედობა; სუბიექტური მხარე – შემსრულებლის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილ ქმედებისადმი; სუბიექტი – ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული შერაცხად მდგომარეობაში. ასეთი ქმედების სამართლებრივი შეფასება (დაკვალიფიცირება) დამნაშაულებასთან ბრძოლაში განსაზღვრულია, ძირითადი და აუცილებელია კანონგამოყენებით საქმიანობასი და გარანტიან კანონიერი პრინციპის უზრუნველყოფისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. დანაშაულის შემადგენლობა და მისი მნიშვნელობა;
2. დანაშაულის შემადგენლობის სახეები;
3. დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურა;
4. დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის თანაფარდობა.

4. ეკონომიკური დანაშაული

საქართველოში ეკონომიკის საბაზო ურთიერთობებზე გადასვლისა და კერძო საკუთრების სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველყოფის აუცილებლობამ განაპირობა სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხოების სამართლებრივი დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. სისხლის სამართლის კოდექსის XX თავში დაწერილებითაა გადმოცემული კანონის არსის, მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ. ამ პარაგრაფში გადმოცემა ქვეყნის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის VIII კარის XXVI–XXIX თავებში მოცემულ ნორმათა არსი, რომლებიც ეკონომიკურ დანაშაულთა ჯგუფში შედის და საგამოძიებო-სასამართლო საქმიანობაში ფართოდ არის გამოყენებული. ამ პარაგრაფში აგრეთვე გადმოცემული იქნება სამოხელეო დანაშაულის არსი და მისი ცალკეული სახეები, რომლებიც სსკ XI კარის XXXIX თავშია მოცემული. სსკ 26-ე თავი ეძღვნება იმ დანაშაულთა შემადგენლობებს, რომელთა ხელყოფის ობიექტი. სამეწარმეო და ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული სამართლებრივი ურთიერთობებია. ცალკეულ შემადგენლობაში დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტებია თითოეულ დისპოზიციაში აღნიშნული სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, სსკ 190-ე მუხლი „კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა“ არის დანაშაულის შემადგენლობა, რომლის სუბიექტური მხარე გამოიხატება სპეციალური სუბიექტის პირდაპირ განზრახვამდე. ხელყოფის ობიექტია თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო ობიექტური მხარე კანონიერ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეშლაში მდგომარეობს და ძირითადად ორი ფორმა აქვს: მეწარმის აღრიცხვაზე აყენის (რეგისტრაციის) ან ნებადართვის (ლიცენზიის) გაცემის დაბრკოლება, შეზღუდვა, გაკვიანურება და ა.შ. ამ ქმედებებს სწადის სპეციალური სუბიექტი – სახელმწიფო მთხელე, რომელიც სამსახურებრივად ვალდებული მეწარმეთა აღრიცხვა აწარმოებს და გასცეს სათანადო ლიცენზია. დანაშაულის ეს შემადგენლობა მატერიალური ფორმისაა, რადგან სპეციალური სუბიექტი პირდაპირი განზრახვით დაუსაბუთებლად ეუხნება უარს საქმიანობაზე და ასეთ მოქმედებას შედეგად მოჰყვება მეწარმისათვის მნიშვნელოვანი ზიანი.

სსკ 192-ე მუხლით დასჯადად გამოცხადებულია უკანონო სამეწარმეო საქმიანობა. ამ დანაშაულის დისპოზიციაში აღნიშნულია „სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებადართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პროცესის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“ - ისევეა ჯარიმით ან ტუსალობით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“. ეს დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად ითვლება, თუ იგი ჩადენილია ჯგუფურად, არაერთგზის, ან დანაშაული ჩაიდინა ასეთი დანაშაულისათვის წინათ მსჯავრდებულმა პირმა. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობა გამაკრებელია და კანონის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულია 5 წლიანი თავისუფლების აღკვეთა. ამ დანაშაულის ხელყოფის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობის მოწესრიგებელი ურთიერთობები, სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები, რადგან სახელმწიფო ვერ იღებს რეგისტრაციისათვის ან ლიცენზიის გაცემისათვის ბათის გადასახადს და ა.შ. ობიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენა წარმოებს ქმედებით ან ზახითობა მიმე შედეგით, რაც მნიშვნელოვან ზიანს იწვევს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებისას. პრაქტიკაში ზიანისა და შემოსავლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. დანაშაულის ამ შემადგენლობის სუბიექტია 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი. სუბიექტური მხრივ, განზრახი დანაშაული ანგარებითი მატყია.

სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხოების სამართლებრივი უზრუნველყოფის სისხლისსამართლებრივი გარანტიები მოცემულია აგრეთვე სსკ 193-207-ე მუხლებში, კერძოდ აღნიშნული მუხლები ეხება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ ისეთ დანაშაულებს, როგორცაა: ცრუ მეწარმეობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა, სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება, ფალსიფიკაცია - უხარისხო, საშიში პროდუქციის დაშვება, შემოტანა ან რეალიზაცია, აქციზური მარკების დაშვება ან საქონლის მარკირების გარეშე ბრუნვაში გამოშვება, ყალბი რეკლამა და ა.შ.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (სსკ მუხლი 194-ე). ესე იგი, ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა; აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნაშეილი მესაქუთის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა - ისევეა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე. მაგრამ თუ ეს დანაშაული ჩადენილ იქნა პირთა ჯგუფის მიერ, მრავალჯერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა ოქმი ოდენ

ნობით შემოსავლის მიღება, არის დამამძიმებელი გარემოება, მკაცრდება პასუხისმგებლობა და სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდეა დაწესებული, რასაც აუცილებლად ერთვის ჯარიმა, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს¹. დანაშაულის უშუალო ობიექტი ფულად-საკრედიტო მიმოქცევის მომწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობებია. ამ შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დანაშაულის საგანი - ფულადი სახსრები ნებისმიერ ვალუტაში, ან სხვა რაიმე ქონება. ობიექტური მხრივ, ჩრდილოეთი შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა, ან სხვა ქონების ლეგალიზაცია. სუბიექტური მხრივ, დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, სუბიექტი სსკ 133-ე მუხლით დადგენილ ასაკის მიღწეული შერაცხადი პირია, რომელიც შეუცდომლად აცნობიერებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და სურს დადგეს მიზანდასახული შედეგი. მოტივი ანგარებითია.

სსკ 195-ე მუხლით დანაშაულადაა გამოცხადებული მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა. ასეთი მართლსაწინააღმდეგო ბრალდებული დასჯადი ქმედებისათვის დადგენილია სასჯელის სახეები: ჯარიმა, სამ თვემდე ტუსაღობა ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულის უშუალო ობიექტია მეწარმეობის თავისუფლება და მომხმარებელთა მატერიალური და ზნეობრივი ინტერესები. ობიექტური მხრივ დანაშაულის შემადგენლობა მაშინ არის, როცა სსკ 134-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი მაღალ ფასებს აწესებს და ყველა საშუალებით ინარჩუნებს მას და ამით აქტიურად ზღუდავს კონკურენციას. სუბიექტური მხარე ამ შემადგენლობისა პირდაპირი განზრახვაა. სუბიექტის მიზანია, რომ მიადწიოს და შეინარჩუნოს მხოლოდ თავისი წარმატებული ბიზნესი და მოტივი მხოლოდ ანგარებითია.

აღნიშნული კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულადაა გამოცხადებული ფალსიფიკაცია, რაც ნიშნავს მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ანგარებით, მომხმარებლის მოტყუების მიზნით, გასაყიდი ნივთის ან საკვების თვისებრიობის შეცვლას. ასეთი ქმედება არაერთგვაროვნად ჩადენილი და თუ მან შექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროება, ანდა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა გამოიწვია, პასუხისმგებლობა მკაცრდება და დანაშაუზე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების სამი წლით ჩამორთმევით. ფალსიფიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ნაშადვლის, ჭეშმარიტის შეცვლას მცდარით - ყალბით, რაიმეს გაყალბებას, ჭეშმარიტი ხარისხის გაყარებას. ამ შემადგენლობის ობიექტია არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის ურთიერთობები, არამედ ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები, ანუ დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტია რთული სინთეზია. ასეთ ობიექტზე ხელყოფა ობიექტური მხრივ ხორციელდება მოტყუებით, ნივთის თვისებრიობის შეცვლით. შეცვლა კი გულისხმობს ხარისხის დაქვეითებას, გარეგნული სახის მაცდურად შეცვლას, ტექნოლოგიური მაჩვენებლების გაყალბებას და სხვ. სუბიექტური მხრივ დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, მოტივი ანგარებითია და შემადგენლობის სუბიექტი კი სსკ 33-34-ე მუხლებით გათვალისწინებული ის ფიზიკური პირია, რომელიც ფალსიფიცირებულ საქონელს აწარმოებს ან ასაღებს. დანაშაულთა ამ ჯგუფს (გვარეობითი ობიექტის მიხედვით) მიეკუთვნება ყალბი რეკლამა, ბიზნესში საიდუმლოების შემცველი ცნობების უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება, სპორტული შეჯიბრის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა. საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, უკანონო ქმედება გაკოტრებისას და ა.შ. თითოეული მათგანის შემადგენლობა სექმატურად ისევე განიხილება, როგორც ზემოთ აღწერილი შემადგენლობები.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავში მოცემულია სამოხელეო დანაშაულთა შემადგენლობები. კერძოდ: 332-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, 333-ე მუხლი უფლებამოსილების გადაღებება, 337-ე მუხლი სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა, 338-ე მუხლი ქრთამის აღება, 339-ე მუხლი ქრთამის მიცემა, 340-ე მუხლი კანონით აკრძალული სარჭერის მიღება, 341-ე მუხლი სამსახურებრივი სიყაღბე, 342-ე მუხლი სამსახურებრივი გულგრილობა. თითოეული შემადგენლობის სუბიექტი ცალკეულ კონკრეტულ გარემოებაში შეიძლება იყოს კოდექსის 29-ე თავში მოცემული დანაშაულთა შემადგენლობაშიც. აქ განიხილება ზოგიერთი მათგანი, რათა ნაჩვენებ იქნეს კავშირი და განსხვავება 220-ე და 332-ე მუხლებს შორის, 221-ე და 338-ე მუხლებს შორის და ა.შ.

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამოჩენის ან

¹ სსკ-ის 194-ე მუხლით დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ათი ათასი ლარის ზევით.

უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან ორდილივი პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია არის სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობა და იგი გათვალისწინებულია სსკ 332-ე მუხლში. ამ შემადგენლობაში პირალის დამამძიმებელი გარემოებაა, როცა ასეთ დანაშაულს სჩადის სახელმწიფო-პოლიტიკური პირი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უფრო მკაცრდება, თუ დანაშაული მრავალჯერ იქნა ჩადენილი, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. სასჯელი თავისუფლების აღკვეთა საშიდან რვა წლამდეა, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების სამ წლამდე ჩამორთმევით. ამ შემადგენლობის ობიექტი არის სახელმწიფო აპარატის ნორმალური საქმიანობა, ქვეყნის კონსტიტუციით დადგენილი კონსტიტუციური წყობა სახელმწიფოებრივ პირაშია.

სსკ 338-ე მუხლით, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღება ფულის ან სხვა ნებისმიერი ფასეული სიკეთის სახით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შესრულებლობისათვის, რაც ასეთ სუბიექტს უნდა შეესრულებინა, ან შეეძლო შეესრულებინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან თუ მის სამსახურებრივ ავტორიტეტს შეეძლო ხელი შეეწყო ამგვარი მოქმედებისათვის, აგრეთვე მის მიერ სამსახურებრივი მფარველობის გაწევა არის დანაშაული და მას ქრთამის აღება ეწოდება. ქრთამის აღება კომერციული მოსყიდვისაგან (სსკ 221-ე მუხ.) დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტის საქმიანობის სივრცით განსხვავდება. ორივე შემთხვევაში ქრთამის აღება და მისივე ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი არის შემადგენლობის საეტიკური სუბიექტი. ორივე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადება ქრთამის მიმცემისა და მეწარმის მომსყიდველისათვის. არსებითი განსხვავებაა შემადგენლობის სუბიექტში, მექრთამეობის სუბიექტი სახელმწიფო მოხელეა, ხოლო კომერციული მოსყიდვის სუბიექტი მეწარმეა და შეხება არა აქვს საჯარო მოხელის შესახებ კანონის მოთხოვნებთან.

სსკ 221-ე და 339-ე მუხლებს აქვს შენიშვნა მეწარმის მოსყიდვისა თუ სახელმწიფო მოხელეზე ქრთამის გადაცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, უმთავრესი პირობაა ნებაყოფლობითი განცხადება, თუ მისგან გამოაღვას ჰქონდა ადგილი. განსხვავება იმაშია, რომ ქრთამის მიმცემმა თავისი ნებით უნდა განაცხადოს აღნიშნული ქმედების შესახებ სისხლისსამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოში, ხოლო კომერციულმა მომსყიდველმა კი ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოში. საქართველოს კონსტიტუციით (მუხ. 191-ე) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით, სისხლის სამართლის საქმის აღმძვრის უფლებით აღჭურვილი არიან პროკურორი, მოკვლევის ორგანო, მომკვლევე და გამოძიებელი მოსამართლე მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეებს აღძრავს. შესაბამისად, მექრთამეობა არის რა საზოგადოებრივი სამშრობის მომეტებული ხარისხის დანაშაულებრივი შემადგენლობა და სსკ მე-12 მუხლის შესაბამისად მიმე კატეგორიის დანაშაული, კანონმდებელმა ქრთამის მიმცემს კონკრეტულად განუსაზღვრა – განცხადება ნებით გააკეთოს სისხლის სამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოში. კომერციული მოსყიდვის შემადგენლობის მომსყიდველი ასე შეზღუდული არაა, დანაშაულის ეს შემადგენლობა ნაკლებად მიმე კატეგორიისა.

საკონტროლო კითხვები

1. ეკონომიკური დანაშაულის გვარებითი ობიექტი;
2. ეკონომიკური დანაშაულის ობიექტური მხარე და დანაშაულის საგანი;
3. ცალკეული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების ანალიზი;
4. სსკ XXVI თავში დანაშაულთა შემადგენლობის ობიექტის დახასიათება;
5. სამეწარმეო და სხვა კომერციულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტების განსხვავება სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტებისაგან;
6. როგორ განიხილება სსკ 220-ე და 332 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა და რაშია მსგავსება და განსხვავება?
7. რა განსხვავებაა სსკ 221-ე და 338-ე მუხლების დანაშაულთა შემადგენლობებს შორის?
8. რა განსხვავებაა სსკ 221-ე და 339-ე მუხლების შენიშვნებს შორის?

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ზოგადი წესი

ადმინისტრაციული სამართალი თავის ნორმებით აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულეულ საჭიროებასთან, ანუ ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებასთან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული—სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა (ქმედება) წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახელება, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციული გადაცდომა საზოგადოებრივი წესრიგის შედარებით უმნიშვნელო დარღვევაა. ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ანუ გადაცდომად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობი მართლსაწინააღმდეგო და ბრალდული ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა თავის ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ დარღვევას შორის განსხვავება მათ საზოგადოებრივ საშიშროებაში მდგომარეობს.

ადმინისტრაციული გადაცდომა ნაკლები ზიანის მოტანია დანაშაულთან შედარებით. იშვიათ შემთხვევაში ადმინისტრაციული გადაცდომის განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგალითად, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, ან მისი ანალოგის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება – ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახელის დადების შემდეგ (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 273-ე). ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დღისათვის შეუსრულდათ 16 წელი.

თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ მაშინ, თუ ამ თუ იმ სფეროში დადგენილი წესების შესრულების უზრუნველყოფა მათ სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა (მაგალითად, ბუნების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი წესების შესრულებლობა).

გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული გადაცდომის დროს ყოველთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დგება. სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითებსა და ოფიცრებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის დისციპლინურ წესდებათა საფუძველზე, ხოლო საგზაო მოძრაობის, ნავიგაციის, თევზჭერის, საბაჟო წესების დარღვევის და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში კი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საერთო საფუძველზე, მაგრამ არ შეიძლება შეფუარდოთ ჯარიმა, გამოსასწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, გარდა დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე უცხოელებისა.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეები განიხილება ორი თვის ვადაში, სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან. თუ ეს საქმე ამ ვადაში არ იქნა განხილული, ან დაკისრებული სახდელი სისრულეში არ იქნა მოყვანილი 6 თვეში, პირის ადმინისტრაციული წესით დასჯა აღარ შეიძლება.

ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმეებს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 208-229³-ე მუხლების შესაბამისად განიხილავენ რაიონისა და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ყველა სახის ინსპექცია, მოსამართლეები და სხვა უწყებები.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ავტომატურად მოიხსნება, თუ პირმა ამ ხნის განმავლობაში სხვა ადმინისტრაციული გადაცდომა არ ჩაიდინა.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდარღვევის ხასიათი, მისი შედეგი, პიროვნება და მისი ბრალი. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს დარღვევის მატერიალურ მდგომარეობას და პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელ, ასევე დამამძიმებელ გარემოებებს.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად უნდა მივიჩნიოთ:

- სამართალდარღვევის გულწრფელი მონაწილეა;
- მის მიერ მანვე შედეგის თავიდან აცილება;
- ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;
- სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი ალელეების ნიადაგზე ან მძიმე პირადი თუ ოჯახური გარემოების დამთხვევის გამო;
- მისი ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;
- ორსული ან იმ ქალის მიერ, რომელსაც 3 წლამდე ასაკი ბავშვი ჰყავს;
- სამართალდარღვევის ჩადენა მუქარით ან იძულებით, ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო.

იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ის გარემოებაც, რაც ჩამონათვალში არ არის.

დამამძიმებელ გარემოებათა ჩამოთვლა ამომწურავია. ესენია:

- მართლსაწინააღმდეგო ქცევის გაგრძელება უფლებამოსილი პირის მოთხოვნის მიუხედავად;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ნასამართლელი პირის მიერ;
- ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმად მოზუცებულის ან უმწურო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, აგრეთვე წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
- სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით;
- სტიქიური უბედურების პირობებში, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის ადმინისტრაციული სახდლები:

- გაფრთხილება
- ჯარიმა;
- იმ საგნის სასყიდლოთ ჩამორთმევა ან კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა;
- მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევა;
- გამასწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა;
- საქართველოდან შეიძლება გაძევებულნი იქნენ ის უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც უხეშად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.

ზოგიერთ ამ სახდელს მორალური ხასიათი აქვს, ზოგიერთს – მატერიალური, ან პირადი შეზღუდვითი.

გაფრთხილება გამოაქვთ წერილობითი ფორმით. იგი ადმინისტრაციული ზემოქმედების ყველაზე მსუბუქი ღონისძიება და გამოიყენება წერილობრივ სამართალდარღვევისათვის.

ჯარიმა არის ერთგვარი ფულადი გადასახდელი. იგი ყველაზე უფრო გავრცელებული სახდელია. ჯარიმას საფუძვლად უდევს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა, თუმცა ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული თანხა. პირს ჯარიმა დაეკისრება ადმინისტრაციული გადაცდომის სამიშროებისა და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჯარიმა გადახდილ უნდა იქნეს 15 დღეში. თუ პირი ჯარიმას ნებით არ იხდის, მას ხელფასიდან დაეკითება, ხოლო თუ იგი არ მუშაობს, გადახდებიანა მოხდება მისი ქონებიდან. ჯარიმის დაკისრება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ან ზემდგომ ორგანოში.

იმ საგნის სასყიდლოთ ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო, მდგომარეობს მის იძულებით ჩამორთმევასა და შემდგომ რეალიზაციაში, ხოლო შესაუბრეს გადაეცემა დარჩენილი თანხა რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

კონფისკაცია ეწოდება იმ საგნის უსასყიდლოდ ჩამორთმევას, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან ობიექტს წარმოადგენდა. ამ დროს ქონება იძულებითი წესით გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

გამასწორებელი სამუშაოები გამოიყენება 6 თვემდე ვადით, რასაც პირი მოიხდის სამუშაო ადგილზე სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასიდან 20 პროცენტამდე დაკითვით.

სპეციალური უფლების ჩამორთმევა ადმინისტრაციული წესით შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში: ტრანსპორტის მართვისა და ნადირობის წესების დარღვევისათვის. უფლების ჩამორთმევა ხდება 3 წლამდე ვადით, მაგრამ არანაკლებ 15 დღისა. მართვის უფლება არ ჩამორთმევა ინვალიდებს (გარდა ნასვამ მდგომარეობაში მართვისა).

ადმინისტრაციული პატიმრობა პირს დაეკისრება მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისათვის. იგი გულისხმობს პირის იძულებით მოთავსებას სპეციალურ ადგილას არაკვალიფიციური სამუშაოს შესასრულებლად. ადმინისტრაციულ პატიმრობას უფარდებს მოსამართლე ერთ თვემდე ვადით. ამ პირებს იყენებენ ფიზიკურ სამუშაოზე.

ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება დაეკისროთ არასრულწლოვანებს 18 წლამდე, ორსულ ქალებს, დედაებს, რომელთაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს. ამასთან, ადმინისტრაციული სახდელი არ იწვევს ნასამართლობას.

1999 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ამ კოდექსის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ "ადმინისტრაციული აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი

აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს". ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების დაკმაყოფილებაზე განმკნადაბლისათვის უარის თქმის შესახებ. ადმინისტრაციული აქტი გამოიყენება წერილობით (გადაუდებელ შემთხვევაში შეპირად) და უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ რეკვიზიტებს (მოთხოვნებს).

ადმინისტრაციულ ორგანოებში იგულისხმება მმართველობის ყველა ორგანო უმაღლესიდან დაწყებული, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ჩათვლით (სამინისტრო, დეპარტამენტი, მერია, გამგეობა და სხვ.), აგრეთვე, კონტროლის პალატა, ეროვნული ბანკი და სხვ. სტრუქტურული დაწესებულებები.

ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, იმავე ან ქვემოთ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ხალხი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ. მაგალითად, მოქალაქემ შეიძლება გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც მას არ დაუნიშნეს პენსია, არ მისცეს დახმარება, მერიამ დააკანონა უკანონო მშენებლობა და ა.შ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი და განხილული უნდა იყოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც გამოსცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული საჩივარი შესაბამის ორგანოში შეტანილი უნდა იქნეს მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. იგი განხილულ უნდა იქნეს 1 თვის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად დადგენილ ვადაზე მეტი დრო, იგი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 1 თვით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლი ადგენს საჩივრის შინაარს. საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც იგი შეაქვე, აგრეთვე საჩივრის წარმომდგენის ვინაობა, მისამართი, იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის აქტიც საჩივრდება, საჩივრის მოთხოვნა, პირობები, რომელთაც ეს მოთხოვნა ეფუძნება, ასევე დართული საბუთების ნუსხა.

ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ორგანოს უფლებას შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი. ბათილად გამოცხადება ნიშნავს აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს საჩივარზე, მაგრამ თუ მოსალოდნელია ამას მოჰყვება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი, მაშინ ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ შეაჩერებს მის განხილვას.

ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

საკონტროლო კითხვები:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება;
2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები;
3. ადმინისტრაციული სახელის სახეები;
4. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ზოგადი წესი.

6. ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

ბიზნესის სფეროში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შეიძლება პირობითად მიეკუთვნოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6, მე-12 და მე-14 თავებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომები.

ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, წერილმანი დატაცება იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ამ მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წერილმანი დატაცება ქურდობის, მითვისების, გაფლანგვის, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის გზით გამოიწვევს დაჯარიმებას ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ექვს თვემდე, ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით. ამასთან, ქონების დატაცება ჩაითვლება წერილმანად, თუ დატაცებულის ღირებულება არ აღემატება შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობას. ამავე დროს, ღირებულების გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნივთების რაოდენობა ნატურით (წონა, მოცულობა) და მისი მნიშვნელობა შესაკუთრისათვის.

წერილმანი დატაცების საქმეს განიხილავს რაიონული მოსამართლე. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დაადგენს, რომ პირის მოქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, საქმე ეგზავნება წინასწარი გამოძიების ორგანოს.

ქვემოთ ზოგადად განხილულია სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირითადი მუხლები.

მუხლი 50. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის დანაშაულთ მიყენებული ქონების ანაზღაურებისაგან თავის არიდებისათვის. ამ ადმინისტრაციული გადაცდომის დროს პასუხისმგებლობა დება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება ან განჩინება იმ პირზე, რომელიც მოვალეა ანაზღაურის ასეთი ზარალი. მითითებული მუხლის სანქციით გათვალისწინებულია გაფრთხილება ან დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ექვს თვემდე, ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით.

მუხლი 153. საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია, რომ ქვეყანაში ერთადერთ საგადასახადო ფულის ერთეულად განსაზღვრული ეროვნული ვალუტა – ლარი, რომლის გადაცვლა უცხოურ ვალუტაზე ზორციელდება დადგენილი წესით. ამავე დროს, კანონმდებლობით აკრძალულია ეროვნული ვალუტის გატანა სხვა ქვეყანაში, გარდა თითო ცალი ყოველი კუბურისა საკოლექციოდ. დადგენილი წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულია დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ასეთი საქმიანობიდან მიღებული მთელი ამონაგების კონფისკაციით.

მუხლი 153². მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორების საკონტროლო საკასო აპარატების გამოყენებით, მყიდველებისათვის ჩეკების გაცემის, ავტოგასამართ სადგურში მალფორმირებული და მრიცხველი მექანიზმების მუშაობის წესების დარღვევა. ეს გადაცდომა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მეურნე სუბიექტის მიერ მოსახლეობასთან სავაჭრო ოპერაციების წარმოებისა და მომსახურებისას ფულად ანგარიშსწორებისათვის საკონტროლო საკასო აპარატების გამოყენების გარეშე, ასევე მყიდველისათვის (კლიენტისათვის) ჩეკის გაუცემლობის ან ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენებისათვის, აგრეთვე ავტოგასამართ სადგურში მალფორმირებული და მრიცხველი მექანიზმის საქსტანდარტისა და სავა-

დასახადო ორგანოების ორმაგი ლუკის გარეშე მუშაობისათვის. ამ ქმედებისათვის დაწესებულია სანქცია შრომის ანაზღაურების ათიდან ორას მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 155. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით, აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (დადგენილი წესით მიღებული ინსტრუქციებითა და დებულებებით) რეგულირდება ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესები. ამ სამართლებრივი ნორმებით დადგენილი წესების დარღვევისათვის ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატებით ვაჭრობა არასტაციონალური საავტორო ობიექტებისა და, ასევე მათი რეალიზაციის ტრანსპორტირებისა და შენახვის სხვა წესების დარღვევა (მიწოდება, ტრანსპორტირება პალოგენურმარკიანი ნავთობპროდუქტებისათვის განკუთვნილი სპეციალური საგადასახადო ფაქტურის გარეშე, სპეციალური საბაჟო-სატიერთო დეკლარაციის გარეშე, ნავთობპროდუქტების მოთავსება საბაჟო საწყობის რეჟიმში და სხვ.) იწვევს დაჯარიმებას 100 ლარით. ამავე დროს, მითითებული მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ითვალისწინებს გაზრდილ პასუხისმგებლობას იმავე ქმედების დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენისათვის იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. ამ ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება ისჯება ჯარიმით 500-დან 3000 ლარამდე. ამასთან, კოდექსით დიდ ოდენობად დადგენილია ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტრილატების რაოდენობა 300 ლიტრზე მეტი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – 2000 ლიტრზე მეტი.

მუხლი 155^ა. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა. საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობით აქციზური საქონლის სპეციფიკურ სახეობაზე შემოღებულია აქციზური მარკებით ნიშანდვა, როგორც იმპორტირებულ, აგრეთვე ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციაზე. ზემოთ მითითებული მუხლით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა იწვევს დაჯარიმებას 100 ლარამდე. მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ერთი წლის განმავლობაში პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენისათვის და თუ მას შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი, პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით 200 ლარამდე, ამასთან, საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 200 ლარს. საქონლის ამ თანხის ღირებულების ზევით კი დგება მისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 157, 157^ა, 177^ა. ამ მუხლებით დადგენილია პასუხისმგებლობა ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ვებემპლარების უკანონო რეპროდუქტირებისათვის, გაქირავების ან გამოყენების მიზნით, აგრეთვე ნაწარმოების ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ვებემპლარზე მითითებული ინფორმაციის გაყალბებისათვის, დამამზადებლის ან დამზადების ადგილის შესახებ ცალბედი ინფორმაციის მითითებისათვის, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, ასევე ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ვებემპლარზე საავტორო უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის შეცვლისა და განადგურებისათვის. ამ ქმედებისათვის დაწესებულია სანქცია 500-დან 3000 ლარამდე. იგივე ქმედებით თუ ჩადენილია პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული პატიმრობა ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმდება 1000-დან 5000 ლარამდე, ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ვებემპლარების კონფისკაცია. ამასთან კონფისკებული ვებემპლარები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გადაეცემა საავტორო ან მომხიჯნავე უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

კოდექსის 158-ე, 158^ა, 158^ბ და 169-ე მუხლებით შესაბამისად დადგენილია ადმინისტრაციული სახდელის ზომები არაკეთილსინდისიერი კონკურენტის მიზნით სხვისი სასაქონლო ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების ან სასაქონლო მარკირების უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვისათვის, ეკომარკის უკანონოდ სარგებლობისა და სერტიფიკატის გაყვების წესე-

ბის დარღვევისათვის. მოცემული მუხლების სანქციით გათვალისწინებულია დაჯარიმება, შესაბამისად შრომის ანაზღაურების 10-დან 500 მინიმალურ ოდენობამდე ან დაჯარიმება 300-დან 500 ლარამდე.

ადმინისტრაციულ – სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე და 159¹-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდლის დაღებას რეკლამის დაკეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესის დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისა და გავრცელებისათვის, რომელთა ჩადენისათვის დაწესებულია ფიზიკურ პირთა დაჯარიმება 250 ლარიდან 3000 ლარამდე, საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების – 500-დან 5000 ლარამდე და განთავსებული რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით იურიდიული პირებისა და დაწესებულების განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით.

კოდექსის 159¹-ე და 159²-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ზომების გატარებას ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობაზე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობის შეწყვეტის თაობაზე, ასევე ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობაზე, რაზედაც დაწესებულია დაჯარიმება ფიზიკური პირებისა 300-დან 600 ლარამდე, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირებისა 1000-დან 3000 ლარამდე.

15⁹, 15⁹, 15⁹, 15⁹ მუხლები დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების ან მეთოდის არასწორად შერჩევისათვის ტენდერისა და ფასთა კოტირების არასწორად შერჩევის მიზნით, ან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეწყობაზე დაყოფა კანონით დადგენილი შესყიდვის ფულადი ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, ასევე სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელებისას ტენდერის შესახებ განცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენისათვის, ან განცხადების გამოქვეყნების წესების დარღვევისათვის. დადგენილია აგრეთვე პასუხისმგებლობა სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მინაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასწორად (ტენდენციურად) შევსებისათვის, სახელმწიფო შეზღუდვების შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევისათვის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ან ყალბი ინფორმაციის მიწოდებისათვის. ჩამოთვლილი დარღვევებისათვის კოდექსით გათვალისწინებულია დაჯარიმება სხვადასხვა ოდენობით შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და სხვა პასუხისმგებელი პირებისა, სატენდერო კომიტეტის წევრებისა და თავმჯდომარისა.

164 და 164 მუხლებით გათვალისწინებულია დაჯარიმება სამწარმოო საქმიანობის წესის დარღვევისათვის, სამწარმოო საქმიანობის სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე განხორციელებისათვის, აგრეთვე აკრძალული სამწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის, ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელებისათვის, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზია) საჭიროებს, ან მუერნე სუბიექტის საქმიანობის შეწყობის შემთხვევაში, მათ მიერ საუკუთრო ოპერაციების (მომსახურება) განხორციელება, ასევე სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში გადასახადების გადახსნელად არღიცხვავე აყვანის წესის დარღვევისათვის.

კოდექსის 164¹, 164², 164³, 165, 165¹, 165² და 165³ მუხლებით დადგენილია საჯარიმო სანქციები სხვადასხვა ოდენობით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. კერძოდ, ინდივიდუალური მეწარმის ან მოქალაქის მიერ შემოსავლისა და გადასახადების დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის უქონლობის, ან დადგენილი წესის დარღვევით მისი წარმომავლისათვის, შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოებში წარუდგენლობისათვის, დავიანებისა და მასში შეტანილი მონაცემების დაზიანებისათვის. აგრეთვე მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირებისათვის გადასახადებისა და სხვა საკალდებულო გადასახადების არასწორად განგარიშებისათვის, მოქალაქეთა შემოსავლიდან გადასახადების არასწორად დაკავების ან დაკავებული თანხების ბიუჯეტში არასრულად და დაგვიანებით გადარიცხვისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის უქონლობის ან დადგენილი წესების დარღვევით მისი წარმოებისა, საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, საგადასახადო გაან-

გარიშების, დეკლარაციების, გადასახადებისა და სხვა გადასახდელების განგარიშებასთან დაკავშირებული სხვა ლოკუმენტების საგადასახადო ორგანოებში წარდგენილობისათვის, დაგვიანებით ან დაუდგენელი ფორმით წარდგენისათვის, გადასახადის გადასახდელად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი ლოკუმენტების წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენისათვის. ასევე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, გადასახადებისა და სხვა გადასახდელების განგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის საკითხებზე, აგრეთვე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრებაზე.

ამ მუხლებში ასევე გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და არსებული ფულადი სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაეთა დაუშვებლობისათვის, ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) გასულ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების შესახებ მონაცემების წარუდგენლობისათვის, ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) ფულადი სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციების შეჩერების შესახებ, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითების შეუსრულებლობისათვის, ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი ლოკუმენტების წარუდგენლად გადამხდელთათვის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნისა და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობისათვის, აგრეთვე ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალების (განკარგულებების) მიუღებლობისა და მიღებული საგადასახადო დავალების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობისათვის.

მითითებული მუხლებით დადგენილია აგრეთვე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდებიანებისა და გადამხდელთათვის ზარალის მიყენებისათვის.

ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 16⁵, 16⁶, 16⁷, 16⁸, 16⁹ და 16¹⁰ მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა და ეპისიის ხელმოწერი პირების, მმართველი ორგანოს წევრებისა და სხვა პირების დაჯარიმება 400-დან 10000 ლარამდე ფასიანი ქალაქლების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევისათვის, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ ფასიანი ქალაქლების მიმოქცევის წესების დარღვევისათვის, ფასიანი ქალაქლების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევისათვის საბროკერო კომპანიის ხელმძღვანელების მიერ, საფინანსო ბირჟის ცენტრალური დეპოზიტის, ფასიანი ქალაქლების რეგისტრირებისას, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ, საანგარიშებო, კონფიდენციალობის მოთხოვნებისა და წესების შემუშავების პროცედურების წესების დარღვევისათვის და ფასიანი ქალაქლების მიმოქცევით სხვა წესების დარღვევისათვის.

ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე და 194-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისა და საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო და სხვა საქმიანობისათვის. ამ მუხლით საბაჟო წესების დარღვევად მიჩნეულია:

- საჭონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკურ პირთა უნებართვოდ გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საჭონლისა და სატრანსპორტო საშუალებების უნებართვოდ განკარგვა, დაკარგვა (დაკარგვის საფრთხის ასაცილებლად ზომების მიუღებლობის გამო);

- არამართლზომიერი ოპერაციების ჩატარება გარკვეული საბაჟო რეჟიმით მოთავსებული საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, მათი მდგომარეობის შეცვლა, სარგებლობა ან განკარგვა საბაჟო რეჟიმის დაუცველად;
- საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება;
- საბაჟო საწიგნოში ან საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე საქონლის მოთავსებისა და შენახვის წესების დარღვევა;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ადრე შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობა, თუ გატანა სავალდებულოა, ან ადრე გატანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაუბრუნებლობა, თუ დაბრუნება სავალდებულოა და მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
- საქონლის განადგურების წესის დარღვევა, განადგურების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების მოთავსების დადგენილი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და პირობების დარღვევა;
- საბაჟო კონტროლისათვის იმ საქონლის დამალვა, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილება, აგრეთვე საშაღვებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რაც აძნელებს საქონლის მიგნებას, ან ერთი საქონლისათვის მეორე საქონლის სახის მინიჭება, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
- საბაჟო საზღვრის გავლისას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუჩერებლობა;
- ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად ზომების მიუღებლობა;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გასვლა მათი ღვომის ადგილიდან საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებულ გემთან ან სხვა მცურავ საშუალებებთან გემით თუ სხვა მცურავი საშუალებებით მიდგომა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეცვლა, შეფუთვა, ხელახალი შეფუთვა, გადასაზიდად მიღება, სათავსებისა და სხვა ადგილების განსხნა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;
- პირობითად გამკვეთილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა იმისაგან განსხვავებული მიზნით, რის გამოც მიენიჭათ საბაჟო გადასახდლების შეღავათები, თუ არ არის საბაჟო ორგანოების ნებართვა;
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარაციაში შეუტანლობა ან უზუსტო დეკლარირება, მცდარი ცნობების შეტანა, რაც გავლენას ახდენს საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებაზე საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების, საბაჟო რეჟიმით მათი მოთავსების შესახებ;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან დოკუმენტებისა და იდენტიფიკაციის საშუალებების ყალბად გამოყენების შედეგად უზუსტო დეკლარირების გზით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა, შექმნა, გამოყენება და განკარგვა;
- საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა დოკუმენტებში საბაჟო რეჟიმის, საბაჟო ღირებულების ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარმოშობის ქვეყნის შესახებ ან სხვა ისეთი უზუსტო

ცნობების შეტანა, რაც საფუძველს იძლევა საბაჟო გადასახდევლებისაგან გასათავისუფლებლად ან ოდენობის შესამცივრებლად, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

- საბაჟო დეკლარირების განხორციელება პირის მიერ, რომელსაც არა აქვს საბაჟო ბროკერის ლიცენზია, ან ყალბი ლიცენზიით, აგრეთვე საბაჟო ბროკერის ან მისი წარმომადგენლის მიერ დაცული საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი ცნობების გამოყენება პირადი მიზნებისათვის, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
- საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განხორციელება ულიცენზიოდ ან გაუქმებული, შერყეული ან ყალბი ლიცენზიით.

ეს ჩამოთვლილი დარღვევები იწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე ან საბაჟო გადასახდევლების სამსგეი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მოწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ. მათი განმეორებით ჩადენის შემთხვევაში იწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე ან საბაჟო გადასახდევლების ხუთმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მოწოდების საშუალებების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამავე დროს, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში, საბაჟო და საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან ჯარიმის გადახდამდე დააკავონ საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. კანონმდებლობით დადგენილ ელამში ჯარიმის გადაუხდელობისას დაკავებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კოდექსით დადგენილია პასუხისმგებლობა საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა არსებული წესების დარღვევით განხორციელებისათვის, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობა დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევისათვის. ამ გადაცდომისათვის გათვალისწინებულია ფიზიკური პირის დაჯარიმება 150-დან 200 ლარამდე, ხოლო იურიდიულ პირთა – 300-დან 500 ლარამდე.

საკონტროლო კითხვები:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა არსი;
2. ამ დარღვევებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდევები.

თავი 18

შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი

წინამდებარე თავში განხილულია შრომის ხელშეკრულების არსი და სახეები, კოლექტიური ხელშეკრულებისა და კოლექტიური შეთანხმების არსი და მნიშვნელობა. ეს თავი აგრეთვე ეხება მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძვლებს და შრომის ხელშეკრულების მოშლის პირობებს, როგორც მუშაკის, ასევე ადმინისტრაციის ინიციატივით. განხილულია ასევე სამუშაო და დასვენების დროის ცნებები, შრომის ანაზღაურების არსი და სახეები, შრომის დისციპლინის, შრომის დაცვისა და მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები.

1. შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ცნება. შრომის ხელშეკრულების არსი, სამუშაოზე მიღებისა და გაფორმების წესი

ცივილიზებულ სამყაროში შრომა წარმოადგენს სოციალური პროგრესის მნიშვნელოვან პირობას. შრომითი ურთიერთობების ჰუმანური და დემოკრატიული სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგება, მყარი საფუძველია საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვისა და სახელმწიფოში თანასწორუფლებიანობის პრინციპების გასატარებლად.

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია შრომის თავისუფლების, პროფესიის არჩევისა და იძულებითი შრომის აკრძალვის პრინციპი. კონსტიტუციის 38-ე მუხლით აღიარებული და დამტკიცებულია ქვეყანაში მოქალაქეთა თანასწორობა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური პრინციპი, ასევე დადგენილია შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ანაზღაურებისა აკრძალულია რაიმე შეზღუდვა მუშაკის რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოში შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო აქტია შრომის კანონთა კოდექსი, რომელმაც ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული თვისებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. შრომის კანონთა კოდექსით რეგულირდება მოქალაქეების შრომის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა. ამავე დროს შრომის კანონთა კოდექსთან ერთად საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი შრომის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, ყველა ადამიანს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს თავისი საქმიანობის სფერო, პროფესია, განაგოს თავისი შრომის უნარი და გამოიყენოს იგი ბიზნესის სფეროში ან იმუშაოს როგორც სახელმწიფო, კერძო, ასევე საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად გამოიდან როგორც მოქალაქეები (მუშებისა და მოსამსახურეების სახით), ანუ ფიზიკური პირები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, ანუ იურიდიული პირები, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ამ ურთიერთობების სუბიექტებია ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები კავშირისა და ფონდების ორგანიზაცი-

ულ-სამართლებრივი ფორმით, ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიები და რელიგიური დაწესებულებები.

ჩამოთვლილი სუბიექტების შრომითი ურთიერთობების აღიარების დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომელიც შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე – საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე – მუშაკი ვალდებულია იღებს შესრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს.

როგორც აღინიშნეთ, შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მოქალაქე ანუ ფიზიკური პირი. კოდექსის 167-ე მუხლით დადგენილია მოქალაქის ასაკი (16 წელი), რომლის შესრულების შემდეგ მას უფლება ეძლევა დადოს შრომის ხელშეკრულება. ამავე დროს შრომის კანონთა კოდექსის 167-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნეს 15 წელს მიღწეული პირი. ამ შემთხვევაში კოდექსის შესაბამისად, სამუშაოზე მიღება აუცილებლად უნდა შეთანხმდეს პროფესიულ კომიტეტთან. ამავე მუხლით დადგენილია, რომ ახალგაზრდობის საწარმოო შრომისათვის მოსამზადებლად დასაშვებია სწავლისაგან თავისუფალ დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამუშაოზე მიღება მათ მიერ 14 წლის ასაკის მიღწევისას ერთ-ერთი მხარეების ან მისი შემცველი პირის თანხმობით მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ზიანს არ მოაყენებს მის ჯანმრთელობას და არ დაარღვევს სწავლების პროცესს. შრომის ხელშეკრულების მეორე მხარეა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელთა ხელმძღვანელებს მინიჭებული აქვთ უფლება მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულება არის სამი სახის. განუ-საზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება და გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება.

მუშად ან მოსამსახურედ სამუშაოზე მიღება გაფორმებული უნდა იყოს შრომის ხელშეკრულებით. ხელშეკრულება იდება წერილობით ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, თუ შრომის ხელშეკრულების პირობით სხვა რამ არ არის მითითებული. სამუშაოზე მიღება, როგორც წესი, ხორციელდება საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, ამავე დროს ზოგიერთი კატეგორიის მუშაკი შეიძლება მიღებულ იქნეს ზემდგომი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

იშვიათად, შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინაც, როდესაც იგი ბრძანებით არ არის გაფორმებული, მაგრამ მუშაკი ფაქტობრივად ასრულებს სამუშაოს.

შრომის ხელშეკრულებას უთანაბრდება თანამდებობაზე მუშაკის დანიშვნა ან არჩევა. როგორც წესი ინიშნებან ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, რიგითი მოსამსახურეები კი შრომის ხელშეკრულებით მიიღებიან სამუშაოზე. შრომის ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაცია ვალდებულია, კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, მუშაკს მოსთხოვოს პირადადის დამადასტურებელი დოკუმენტი, შრომის წიგნაკი ან ცნობა ადრინდელი საქმიანობის შესახებ. შეთარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ პირებს კი სამხედრო ბილეთი. დადგენილ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკს მოსთხოვოს საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ მას აქვს გარკვეული პროფესია ან სპეციალობა (მაგალითად ექიმებს, მძღოლებს და სხვ.). ასევე, დადგენილ შემთხვევებში, შრომის ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაცია ვალდებულია მოსთხოვოს მუშაკს ცნობა კვანძრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუ ამას ითვალისწინებს სამუშაოს სპეციატა (მაგალითად კვების საწარმოში მუშაობისათვის).

შრომის ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შეთანხმებით შესასრულებელ სამუშაოსადმი პირის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შრომის კანონთა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება დაწესე-

ბული იყოს საგამოცდო ვადა. იგი არ შეიძლება აღემატებოდეს 6 თვეს. საგამოცდო ვადაში არ ითვლება დროებითი შრომისუნარობის გამო ან საპატიო მიზეზით გაცდენილი დრო. საგამოცდო ვადა ითვლება შრომის სტაჟში. საგამოცდო ვადის გარეშე სამუშაოდ მიიღებიან:

- პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი;
- მუშაკები, რომლებიც მათივე თანხმობით გადააკეთო სხვა საწარმო – დაწესებულებაში ან აგ-ზანთან ტერიტორიულად სხვა ადგილას.

კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, თუ საგამოცდო ვადის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, ადმინისტრაციას უფლება აქვს მომალის მუშაკთან დადებული შრომის ხელშეკრულება. სამუშაოდან ასეთი გათავისუფლება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

შრომის კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, თუ პირი პირველად იწყებს მუშაობას შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, ადმინისტრაციამ მას უნდა გაუხსნას შრომის წიგნაკი, მისი მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში. შრომის წიგნაკი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს მუშის ან მოსამსახურის შრომითი საქმიანობის შესახებ. იგი იყვება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე, რომლებიც საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობენ ხუთ დღეზე მეტი. მასში იწერება ცნობები მუშაკისა და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, აგრეთვე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომითი წარმატებისათვის წახალისებისა და დაჯილდოების თაობაზე. სასჯელი შრომის წიგნაკში არ ჩაიწერება.

ჩანაწერი სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზის შესახებ შრომის წიგნაკში უნდა გაკეთდეს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესაბამისობით და მითითებული უნდა იყოს შესაბამისი კანონის მუხლი, პუნქტი. მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის გამო პენსიაზე გასვლის, უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ან ასპირანტურაში ჩარიცხვისა და სხვა მიზეზების გამო, რომლებსაც კანონმდებლობა უკავშირებს განსაზღვრული შეღავათებისა და უპირატესობის მიცემას, შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოქმედებისას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ შრომის წიგნაკში გაკეთებულ ჩანაწერში უნდა აღინიშნოს ეს მიზეზი. სამუშაოდან დათხოვნისას მუშაკს შრომის წიგნაკი დათხოვნის დღეს აძლევენ.

კოდექსის მე-17 მუხლით აკრძალულია დახუბუბებული უარი სამუშაოდ მიღებაზე. კანონმდებლობით აგრეთვე გათვალისწინებულია სამუშაოზე მიღების ცალკეული შეზღუდვები. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოქალაქეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული ვადით შეიძლება აკრძალოს საქმიანობის განხორციელება და ამა თუ იმ თანამდებობის დაკავება. აკრძალულია ასევე ცალკეული კატეგორიის მუშაკის მიღება მძიმე ან მავნე პირობების შემცველ სამსახურში, მათი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. კოდექსი აგრეთვე კრძალავს ქალებისა და არასრულწლოვანების მიღებას მძიმე, მავნე პირობებთან და მიწისქვეშა სამუშაოზე.

გარდა აღნიშნულისა, შრომის კანონთა კოდექსისა და "კოლექტიური შეთანხმების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმების არსი. კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კოლექტიური შეთანხმება არის სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესილებს შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და პროფესიულ ურთიერთობებს საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას ანუ დამსაქმებელსა და მუშაკებს შორის. კოლექტიური ხელშეკრულება ფორმდება ყოველწლიურად, წერილობითი ფორმით. იგი უნდა გაეცნოს ყველა მუშაკსა და მოსამსახურეს, რომლებიც მუშაობენ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში. ამ კოლექტიური ხელშეკრულებით მიღწეულია შეთანხმება ერთი მხრივ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მეორე მხრივ, პროფკავშირულ კომიტეტს შორის შრომისა და ხელფასის საკითხებზე, სამუშაოსა და დასვენების დროის, შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისების, შრომის დაცვისა და სხვა პირობებზე ადმინისტრაციასა და შრომითი კოლექტივის ურთიერთგადადებულებათა შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულებასთან ერთად მუშაკთა და საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შორის შრომითი უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების მოსაწესრიგებლად შეიძლება დაიდოს კოლექტიური შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს:

- შრომის გარანტიას და დასაქმების უზრუნველყოფას;
- შრომის ანაზღაურებისა და შემოსავლის საკითხებში მუშაკის მინიმალურ სოციალურ გარანტიებს, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების მინიმალურ დონეს;
- მინიმალურ სოციალურ ნორმატივებს;
- სოციალურ დაზღვევას;
- შრომით ურთიერთობებს, მუშაობისა და დასვენების რეჟიმს;
- შრომისა და გარემოს დაცვის პირობებს;
- მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

დარგობრივი (დარგთაშორისი, პროფესიული) შეთანხმება ითვლისწინებს:

- დარგის წარმოებისათვის შრომის ანაზღაურებისა და ნორმირების, ხელფასის გარანტირებულ მინიმალურ დონეს, რომელიც ერთიანი სატარიფო სისტემის მიხედვით შეესაბამება მუშაკთა კვალიფიკაციას და მიესადაგება შრომის პირობებს;
- მინიმალურ სოციალურ გარანტიებს, კომპენსაციებსა და შეღავათებს;
- შრომით ურთიერთობებს;
- შრომის დაცვის პირობებს;
- საბინაო-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კულტურული მომსახურების, დასვენებისა და გაყვანასაღების ორგანიზაციებს.

კოლექტიური შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან, თუ სხვა ვადა მითითებული არ არის შეთანხმებაში.

საკონტრაქტო კითხვები:

1. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) არსი;
2. შრომის ხელშეკრულების სახეები;
3. საგამოცდო ვადის ცნება;
4. კოლექტიური ხელშეკრულებისა და კოლექტიური შეთანხმების არსი და მნიშვნელობა.

2. მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძვლები და შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა

საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ თავისი ინიციატივით მუშა-მოსამსახურებთან დადებული ხელშეკრულების ძირითადი პირობების შეცვლა სხვა სამუშაოზე გადაყვანად ითვლება. მას უთანაბრდება ტერიტორიულად სხვა ადგილზე მუშაკის სამუშაოდ გადაყვანა, თუნდაც მუშაობის წინანდელი პირობების შეუცვლელად. შრომის კანონთა კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მუშაკს მოსთხოვოს იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის ხელშეკრულებით. ამავე დროს, კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სამუშაოზე გადასაყვანად საჭიროა მუშაკის თანხმობა. სხვა სამუშაოზე გადაყვანა იმავე ორგანიზაციაში, აგრეთვე სხვა ორგანიზაციაში, ან ტერიტორიულად სხვა ადგილას, თუნდაც ორგანიზაციათა შორის, დასაშვებია მხოლოდ მუშაკის თანხმობით.

ამასთან ერთად, სხვა სამუშაოზე გადაყვანილად არ ითვლება და მუშაკის თანხმობას არ საჭიროებს მისი გადასაცემლობა იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე და სხვა სამუშაო ადგილას, სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, მუშაობის დაკისრება სხვა მექანიზმსა თუ აგრეგატზე შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განაჩირობებული სპეციალისტის, კვალიფიკაციის ან თანამდებობის ფარგლებში. აღმინისტრაციას უფლება არა აქვს მუშა ან მოსამსახურე გადასაცემლოს მისი ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოზე, თუნდაც მისი თანხმობით.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით დასაშვებია შრომის არსებითი პირობების შეცვლა იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებისას. შრომის არსებითი პირობების – შრომის ანაზღაურების სისტემებისა და ოდენობის, შეღავათების, მუშაობის რეჟიმის შეცვლის, არასრული სამუშაო დროის დაწესების ან გაუქმების, პროფესიების შეთავსების, თანრიგისა და თანამდებობათა დასახელების შეცვლისა და სხვა პირობების შესახებ მუშაკებს უნდა აცნობონ არ უკვიანეს ორი თვისა.

საწარმოო აუცილებლობის დროს აღმინისტრაციას უფლება აქვს ერთ თვემდე ვადით მუშაკი გადაიყვანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოზე იმავე საწარმოში ან ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში. ამ შემთხვევაში შრომა უნდა ანაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არანაკლებ წინანდელი საშუალო ხელფასისა.

ამგვარი გადაყვანა დასაშვებია სტიქიური უბედურების დროს, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების ლიკვიდაციის, უბედური შემთხვევისას, საწარმოს მოცდენის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

მოცდენის შემთხვევაში მუშაკი მისი სპეციალისტისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება გადაყვანილი იქნეს იმავე საწარმოში სხვა ადგილას მოცდენის მთელი დროის მანძილზე. ხოლო იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში ერთ თვემდე ვადით. კოდექსის 152-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად აღმინისტრაცია ვალდებულია მუშაკი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს უფრო მსუბუქ სამუშაოზე დასაქმებას, გადაიყვანოს მისივე თანხმობით დროებით ან ვადის შეუზღუდავად სამედიცინო დასჯინის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში მუშაკს ორი კვირის განმავლობაში უნარჩუნდება წინანდელი საშუალო ხელფასი, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაბალ ხელფასიანი სამუშაოს შესრულების მთელი დროის მანძილზე. სამუშაოსთან დაკავშირებული დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების გამო პირს ეძლევა სხვაობა წინანდელ და ახალ ხელფასს შორის შრომისუნარიანობის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე.

შრომის კანონთა კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, მოცდენის ან სამუშაოზე არმყოფი მუშაკის დროებითი შეცვლისას დაუშვებელია კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე. რაც შეეხება გადაყვანის ისეთ სახეს, როგორცაა უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე ან უფრო მაღალ თანამდებობაზე მუშაკის გადაყვანას, იგი მუშაკის წახალისების საქმეს ემსახურება და საქმის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა ხორციელდება შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტის საფუძვლები დადგენილია შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლით. ეს საფუძვლებია:

- მხარეთა შეთანხმება;
- ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- მუშაკის გაწვევა ან შესვლა სამხედრო სამსახურში;
- შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშაკის ან აღმინისტრაციის ინიციატივით;
- მუშაკის თანხმობით გადასვლა სხვა სამუშაოზე ან თანამდებობაზე;

- საწარმოო აუცილებლობის ან სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო სხვა სამუშაოზე მუშაის გადაყენა;
- კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის საფუძველზე, როდესაც პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ან სხვა სასჯელი, რომელიც გამორიცხავს მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის გადაცემა ერთი ორგანოს დაქვემდებარებიდან მეორე ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არ წყვეტს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოქმედებას. მათი შერწყმის, გაყოფის ან შეერთებისას შრომითი ურთიერთობები გრძელდება მუშის ან მოსამსახურის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციის ინიციატივით დასაშვებია ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირება.

მუშაკის ინიციატივით შრომის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია განუსაზღვრელი ვადით, შეიძლება მოიშალოს ნებისმიერ დროს, მაგრამ ამის შესახებ ადმინისტრაცია უნდა გაფრთხილდეს წერილობით ორი კვირით ადრე. თუ მუშაკს საპატიო მიზეზი აქვს (მაგალითად ავადყოფნა) მას შეუძლია განცხადება დაწეროს სამი დღით ადრე. გაფრთხილების ვადაში შედის ის დროც, როდესაც მუშაკი არ ცხადდება საპატიო მიზეზის გამო. ამ ვადის გასვლის შემდეგ მუშაკს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო ადმინისტრაცია კი მოვალეა მისცეს მას შრომის წინააღმდეგ და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში. მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს აღნიშნული ვადის გასვლამდე. ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე წარმოშობილი დაუა განიხილება სასამართლო წესით.

ვადიანი ხელშეკრულების მოშლა მუშაკის მიერ შეიძლება:

- მუშაკის ავადყოფნის ან ინვალიდობის გამო, რაც აბრკოლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულებას;
- ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის ან შრომის ხელშეკრულების დარღვევის დროს;
- სხვა საპატიო მიზეზების დროს (მაგალითად დაქორწინება და ამასთან დაკავშირებით სიცხობურებად სხვა ადგილზე გადასვლა).

განუსაზღვრელი ვადით დადებული და ვადიანი შრომის ხელშეკრულება, მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, ადმინისტრაციამ შეიძლება მოშალოს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- დაწესებულების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის ან მუშაკთა რიცხვისა და შტატის შემცირების გამო;
- თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის სამუშაოს შესრულებაში;
- მუშაკის მიერ არასაკმარისი მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის მინაგანაწესით დაკისრებული მოვალეობების სისტემატურად შეუსრულებლობის გამო. ან მის მიერ არასაკმარისი მიზეზით სამუშაოს გაკდენის გამო, თუ მის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება;
- სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო ზედიზედ 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, დროებითი შრომისუნარიანობის გამო (ორსულობისა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შეზღუდვის ჩათვლით), თუ ჯანმრთელობის დაკვირვების ორგანოს მიერ მკურნალობის უფრო ხანგრძლივი ვადა არ არის დაწესებული. ოთხთვიანი ვადა არ ვრცელდება შრომითი დასაბრუნებისა და პროფესიულ დაავადებათა არსებობისას. ამ დროს მუშაკს სამუშაო ადგილი ენახება შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე;

- თუ მუშაკი სამუშაოზე გამოცხადდება არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ საშუალება-თა ზემოქმედების ქვეშ;
- სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლის გამო, რომლითაც მუშაკი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადებისა), ან სხვა სასჯელით, რომელიც ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას გამოირიცხავს;
- იმ მუშაკის ბრალეული ქმედების გამო, რომელიც პასუხისგებელია ფულად ან სასაქონლო ფასეულობებზე, თუ ეს ქმედება ადმინისტრაციის მხრიდან ქმნის მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს, ან სამუშაო ადგილზე ქონების დატაცებისას (მათ შორის წერილობრივი დატაცების დროსაც), რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული სახელულის დადება;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მუშაკის იძულებით გაგზავნის გამო;
- დადგენილი წესით მუშაკის ქმედუნაროდ აღიარების გამო;
- იმ მუშაკის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენის გამო, რომელიც აღმზრდელით ფუნქციებს ასრულებს და რაც შეუთავსებელია მუშაობის გაგრძელებასთან;
- ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დაუშვებელია შევლებების ან დროებითი შრომისუუნარობის დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა, გარდა დროებითი შრომისუუნარობის გამო ზედღირდ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გამოუცხადებლობისა, ამასთან, ეს ოთხთვიანი ვადა არ ვრცელდება პროფესიული დაავადებისა და დასახიჩრების დროს, აგრეთვე იმ დაავადებებზეც, სადაც მკურნალობის უფრო მეტი ვადაა დაწესებული.

იმ დაწესებულება-საწარმოში, სადაც პროფკავშირი არსებობს, ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია პროფკავშირთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, ხოლო იმ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, სადაც არ არსებობს პროფკავშირის კოლექტიური ორგანო, მაგრამ არის პროფკავშირული ორგანიზაციები, საჭიროა მისი ერთპიროვნული თანხმობა. თუ ადმინისტრაციამ მუშაკთან ხელშეკრულება მოშლა პროფკავშირთან შეთანხმებლად, საქმე განიხილება სასამართლო წესით.

შრომის კანონთა კოდექსით დადგენილია მუშაკის განთავისუფლებისას მისი უფლებების დაცვის გარანტიები. გამონათვისუფლებული მუშაკების შრომის უფლება გარანტირებულია:

- სხვა სამუშაოს მიცემით იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში;
- წინანდელი პროფესიის სპეციალობის, კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოს მიცემით სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ხოლო ასეთის უქონლობისას – სხვა სამუშაოს მიცემით პირადი სურვილისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;
- ახალი პროფესიების (სპეციალობების) შესწავლის შესაძლებლობის მიცემით, შესაბამისი სამუშაოთი დაკმაყოფილებასთან ერთად.

საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან მათი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა) მიზეზით, მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო განთავისუფლებულ მუშაკებს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტისას:

- ეძლევათ გასასვლელი დახმარება ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით;
- უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომით მოწყობამდე, მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, გასასვლელი დახმარების მიცემის გაუთვალისწინებლად;

- უნარჩუნდება უწყვეტი შრომის სტატი, თუ დათხოვნის შემდეგ წვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

განთავისუფლებულ მუშაკებს შეიძლება მიეცეთ სხვა შეღავათებიც, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან თვით საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის დებულებით (წესდებით).

გარდა აღნიშნულისა, შრომის კანონთა კოდექსის მე-13 და მე-14 თავებით გათვალისწინებულია ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის თავისებურებები. 18 წლამდე არასრულწლოვანები სამუშაოზე მიიღებიან საგამოდლო ვადის გარეშე. ეს პირები შრომით ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებულნი არიან სრულწლოვანებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შევსებისა და შრომის ზოგიერთი სხვა პირობებით სარგებლობენ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით. 18 წლამდე არასრულწლოვანს სამუშაოზე იღებენ მხოლოდ წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ და მათ 18 წლამდე ყოველწლიურად უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება. აკრძალულია 18 წლამდე ახალგაზრდის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე, მყენ და საშიშპირობებიან, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს ამ პირთა დასაქმებას ღამისა და ზეანაკეთურ სამუშაოებზე, ასევე დასვენების დღეებში. 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომის ან მის შემცველ პირს ასევე იმ სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციისა და თანამდებობის პირს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ შრომის კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი, უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულებისაც), თუ მისი მოქმედების გაგრძელება ეუჭრება არასრულწლოვანის ჯანმრთელობას ან არღვევს მის კანონიერ ინტერესებს. აღმინისტრაციის ინიციატივით 18 წლამდე მუშაკის დათხოვნა დაშვება დათხოვნის საერთო წესების დაცვით. დათხოვნა შტატების რიცხვის შემცირების გამო, ან თუ გამოვლინდება მისი არასაკმარისი კვალიფიკაცია სამუშაოსადმი შეუფერებლობა, ხდება მხოლოდ გამორჩეულის შემთხვევაში.

საკონტროლო კითხვები:

1. მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძვლები;
2. მუშაკის შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები;
3. მუშაკის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები;
4. საწარმოს დაწესებულებისა და ორგანიზაციის აღმინისტრაციის ინიციატივით შრომის მოშლის შემთხვევები;
5. ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის თავისებურებები.

3. სამუშაო დრო და დასვენების დრო. შრომის ანაზღაურება

სამუშაო დროისა და დასვენების დროის საკითხი მოწესრიგებულია შრომის კანონთა კოდექსით. სამართლებრივად სამუშაო დრო დროის ის ხანგრძლივობაა, რომლის განმავლობაში მუშაკმა უნდა შეასრულოს თავისი შრომითი მოვალეობები. არსებობს ნორმალური ხანგრძლივობის სამუშაო დრო, შემოკლებული და არასრული სამუშაო დრო.

შრომის კანონთა კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, საწარმო-დაწესებულებაში მუშაკთა სამუშაოს ნორმალური ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 41 საათს კვირაში, ხოლო საჯარო მოსამსახურეებისა 40 საათს კვირაში. უქმე დღეების წინ მუშაობის ხანგრძლივობა მცირდება 1 საათით. კოდექსის 44-ე მუხლის საფუძველზე შემოკლებული ხანგრძლივობის სამუშაო დრო უწყსდებათ 16-დან 18 წლამ-

დე მუშაკებს 36 საათი კვირაში. ხოლო 15-დან 16 წლამდე და 14-დან 15 წლამდე არასრულწლოვანებს 24 საათი კვირაში. სასწავლო წლის განმავლობაში სწავლისაგან თავისუფალ დროს მომუშავე მოსწავლეების სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს არასრულწლოვანთათვის დაწესებული სამუშაო დროის ნახევარს. შრომის მატენ პირობებთან სამუშაოზე დასაქმებული პირებისათვის შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 36 საათს კვირაში. შემოკლებული სამუშაო დრო უწესდება ასევე ცალკეული კატეგორიის მუშაკებს (მაგალითად მასწავლებლებს, ექიმებს). ერთი საათით მცირდება სამუშაო დროის ხანგრძლივობა ღამით მომუშავე მუშაკებისათვის (ღამის დროდ ითვლება 22სთ-დან 6 სა-მდე). მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგ შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა. მისი ანაზღაურება ხდება ნაშუშვარი დროის პროპორციულად ან გამოუმუშავების მიხედვით. არასრული სამუშაო დრო არ იწვევს რაიმე შეზღუდვას მუშაკთა ყოველწლიური შევებულების ხანგრძლივობაზე და შრომის სტაჟის გამოთვლაზე. საწარმო-დაწესებულებაში წარმოების ხასიათისა და შრომის პირობების გათვალისწინებით წესდება 5 ან 6 დღიანი სამუშაო კვირა. 6 დღიანი სამუშაო კვირის დროს, დღეში სამუშაო საათები არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს, როცა კვირის ნორმა 41 საათია. 6 საათს, როცა კვირის ნორმა 36 საათია და 4 საათს, როცა კვირის ნორმა 24 საათია.

შრომის კანონთა კოდექსის 55-ე მუხლით დადგენილია ზევანაკვეთური მუშაობის შემთხვევები:

- ისეთი სამუშაოს წარმოების დროს, რომელიც აუცილებელია ქვეყნის დაცვისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად და მათი შედეგების დაუყოვნებელი აღმოფხვრისათვის;
- საზოგადოებრივად აუცილებელი ისეთი სამუშაოების საწარმოებლად, როგორიცაა წყალმომარაგება, გაზით მომარაგება, გათბობა, განათება, კანალიზაცია, ტრანსპორტი, საფოსტო-სატელეგრაფიო და სატელეფონო კავშირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის შემთხვევითი ან მოულოდნელი გარემოებები, რაც არღვევს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას;
- როცა აუცილებელია, დამთავრდეს დაწყებული სამუშაო, რომელიც გაუთვალისწინებელი ან შემთხვევითი შეცვრების მიზეზით ვერ დამთავრდებოდა ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში წარმოების ტექნიკური პირობების გამო, თუ დაწყებული მუშაობის შეწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაფუჭება ან დაღუპვა;
- მექანიზმის ან ნაგებობების შესაკეთებლად და აღსადგენად დროებითი სამუშაოების წარმოების დროს, იმ შემთხვევებში, თუ მათი მოუწესრიგებლობა გამოიწვევს შრომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაობის შეწყვეტას;
- შემცველი მუშაკის გამოუცხადებლობისას მუშაობის გასაგრძელებლად, თუ დაუშვებელია სამუშაოს შეწყვეტა; ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები შემცველის სხვა მუშაკით შეცვლისათვის;
- როდესაც აუცილებელია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულება იმ მიზნით, რომ არ იქნეს დაშვებული ან აღიკვეთოს მოძრაი შემადგენლობის მოცდენა ან ტვირთის დაგროვება გაზაფხონისა და დანიშნულების პუნქტებში.

ამავე დროს, თითოეული მუშის ან მოსამსახურის ზევანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მიუე წლის განმავლობაში – 120 საათს. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ზუსტად აღრიცხოს თითოეული მუშაკის მიერ ნაშუშვარი ზევანაკვეთური საათები.

დასვენების დღეებში მუშაობის აკრძალვის შემთხვევები და მუშაკის სამუშაოდ გამოწვევა, აგრეთვე კომპენსაციები დასვენების დღეს მუშაობისათვის დადგენილია შრომის კანონთა კოდექსის 62-63-ე მუხლებით. კერძოდ, დასვენების დღეებში მუშაობა აკრძალულია.

- დასვენების დღეს ცალკეული მუშისა და მოსამსახურის სამუშაოდ გაწვევა, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია მხოლოდ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის ნებარ-

თვით და მხოლოდ გამონაკლისის სახით ამ მუხლის შესაბამისად ნაწილობრივ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დასვენების დღეს ცალკეული მუშისა და მოსამსახურის სამუშაოდ გამოწვევა, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

- საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის აცილების, თუ ლიკვიდაციის დროს ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;
- უბედური შემთხვევების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან აცილების დროს;
- ისეთი გადაუდებელი, წინასწარ გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების დროს, რომელთა სწრაფად შესრულებაზე დამოკიდებულია მთლიანად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან მათი ცალკეული ქვედანაყოფის ნორმალური მუშაობა შემდგომში.

დასვენების დღეს მუშაობა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ანაზღაურდეს სამკვიდრო დასვენების დროის მიქმით ან ფულადი სახით ორმაგად.

დრო, რომლის განმავლობაში მუშაეი თავისუფალია შრომის მოვალეობის შესრულებისაგან და შეუძლია თავისი შეხედულებით გამოიყენოს იგი, დასვენების დროდ ითვლება. შრომის კანონმდებლობით მუშაკებს კვებისა და დასვენებისათვის ეძლევათ შესვენება, რომელიც არ შედის სამუშაო დროში. შესვენების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით. როგორც წესი, მუშაკებს შესვენება ეძლევათ სამუშაოს დაწყებიდან 4 საათის შემდეგ და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს. ყველა მუშაკისათვის დაწესებულია ერთი ან ორი დასვენების დღე კვირაში. საერთო დასვენების დღეა კვირა. უწყვეტი წარმოების მუშაკებს დასვენების დღეები ეძლევათ რეგულარული კვირის სხვადასხვა დღეებში. ამავე დროს კოდექსის 64-ე მუხლით დადგენილია უკვე დღეები. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უკვე დღეებში:

- 1 და 2 იანვარს – ახალი წლის საღესთსა და დღეებში;
- 7 იანვარს – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;
- 19 იანვარს – ნათლისღებას – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღეს;
- 3 მარტს – დედის დღეს;
- 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს;
- 9 აპრილს – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღეს, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშოლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- სააღდგომო დღეებში – დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს; მიცვალებულთა მოხსენიების დღეს – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (თარიღი გარდაამავალი);
- 9 მაისს – ფაშინზე გამარჯვების დღეს;
- 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს;
- 28 აგვისტოს – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);
- 14 ოქტომბერს – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;
- 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს.

უკვე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია წარმოების პირობების გამო. ასევე მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. უკვე დღეებში მუშაკს ორმაგად უნაზღაურდება მუშაობა.

მუშაკს ეძლევა ყოველწლიური ხელფასიანი შევებულება არანაკლებ 24 სამუშაო დღისა (თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). მაგალითად ჰედაგოგებს ეძლევათ 48 სამუშაო დღე. 18 წლამდე ახალგაზრდებს კი შევებულება ეძლევათ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში. მუშაკს, როგორც წესი, შევებულება ეძლევა საწარმო-დაწესებულებაში უწყვეტი მუშაობის 11 თვის თავზე. არასრულწლოვანებს და ორსულებს კი ამ ვადის გასვლამდე. თუ მუშაკმა 11 თვეზე ნაკლები იმუშავა და სამუშაოდან განთავისუფლდა, მას მიეცემა ფულადი კონენსაცია ნამუშევარი თვეების პროპორციულად. მუშაკებს შევებულება უნდა მიეცეთ ყოველ წელს. გამოწვევის შემთხვევაში, როდესაც მუშაკის შევებულებაში წასვლამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს დაწესებულების მუშაობაზე, მუშაკის თანხმობით და პროფკავშირთან შეთანხმებით, დასაშვებია შევებულების გადატანა შემდეგი წლისათვის. აკრძალულია შევებულების მიუცემლობა ზედოზედ ორი წლის განმავლობაში. არ შეიძლება 18 წლამდე ახალგაზრდებს და იმ მუშაკებს, რომელთაც შრომის მანე პირობებთან დაკავშირებით აქვთ დამატებითი შევებულება, გადაუტანონ იგი მეორე წლისათვის. ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო მუშაკს შეიძლება მიეცეს უხელფასო შევებულება. ეს ადმინისტრაციის უფლებაა და არა მოვალეობა, მაგრამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შევებულების მიცემა ადმინისტრაციის ვალდებულებაა.

შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით ხელფასის ფორმით. ანაზღაურება ხდება შრომის ხელშეკრულებით დადგინილი წესითა და პირობებით. როგორც სახელმწიფო ისე საზოგადოებრივ და კერძო სექტორში მუშაკის თვიური ხელფასი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. არსებობს ხელფასის ორი ძირითადი სისტემა დროითი და სანარდო. ამ სისტემას აღენს ადმინისტრაცია, როგორც წესი, შრომით კოლექტივთან შეთანხმებით. ხელფასის დროითი სისტემით შრომის ანაზღაურება ხდება ნამუშევარი დროის მიხედვით. შრომის სანარდო ანაზღაურების დროს კი ხელფასის ოდენობის გამოანგარიშება ხდება დამზადებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის მიხედვით. საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება კანონით ან მთავრობის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი განაკვეთების (სარგოები) ნუსხის საფუძველზე. ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა განაკვეთებს ამტკიცებს საკრებულო.

შრომის ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ხდება გადიდებული ოდენობით. პირველი ორი საათისათვის 1,5, შემდგომი მუშაობისათვის კი ორმაგი ოდენობით. ღამის მუშაობის ანაზღაურება ასევე ხდება გადიდებული ოდენობით. მუშაკები, რომლებიც ერთსა და იმავე საწარმო-დაწესებულებაში თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად ასრულებენ დამატებით სამუშაოს სხვა პროფესიის (თანამდებობის) მიხედვით ან ასრულებენ სამუშაოზე დროებით არამყოფი მუშაკის მოვალეობას, იღებენ ხელფასის დანამატს. წუნდებული პროდუქციის დამზადებისას შრომა არ ანაზღაურდება, მაგრამ თუ წუნი მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, მას უნაზღაურდება შესრულებული სამუშაო. საწარმოს მოცდენის დროს მუშაკს შრომა აუნაზღაურდება, თუ მოცდენა მისი ბრალით არ არის გამოწვეული.

აკრძალულია ხელფასიდან დაქვითვა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. დაქვითვის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ხელფასის ნახევარს. ხელფასი გაიკვამ ყოველი ნახევარი თვის შემდეგ, თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კერძო და საზოგადოებრივ საქტორში ხელფასის გაცემის ვადებს აღენს დამქირავებელი.

საკონტროლო კითხვები:

1. სამუშაო დრო და მისი არსი;
2. დახვენების დრო და მისი არსი;
3. შრომის ანაზღაურების ცნება და სახეები.

4. შრომის დაცვა, შრომის დისციპლინა და მუშაკთა მატერიალური პასუხის- მგებლობა

შრომის დაცვა არის საკანონმდებლო, სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის პროცესში ადამიანთა ჯან-მრთელობასა და უსაფრთხოებას.

შრომის კანონმდებლობის გათვალისწინებით, კერძოდ კი შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლის თანახმად, ცველა საწარმო-დაწესებულებაში უნდა შეიქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები. მისი უზრუნველყოფა ადმინისტრაციას ევალება. ადმინისტრაცია ვალდებულია საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებები და შექმნას ისეთი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთენ მუშაკების პროფესიულ დაავადებას.

შრომის დაცვის ღონისძიებათა შესრულებაზე კონტროლი ეკისრება ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია, თუ მუშაკები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო მსუბუქ საშუაოს საჭიროებენ, გადაიყვანონ ისინი ასეთ საშუაოზე, დროებით ან მუდმივად, მათი თანხმობით და სამედიცინო დასკვნის შესაბამისად. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საშუაოზე მიიღოს ინვალიდები და დაუწესოს მათ შემოკლებული საშუაო დღე და შრომის სხვა შედეგითანი პირობები, სამედიცინო დასკვნის შესაბამისად. არ დაიშვება ინვალიდთა დასაქმება მათი თანხმობის გარეშე ზეგანაკეთურ საშუაოზე, დასვენების დღეებში და ღამის საშუაოზე. თუ ინვალიდს სამედიცინო დასკვნით ეკრძალება კონკრეტული საშუაოს შესრულება, ამ საშუაოზე მისი გამოყენება არ შეიძლება მისი თანხმობის შემთხვევაშიც. მძიმე და მავნე საშუაოებზე, აგრეთვე ტრანსპორტთან დაკავშირებულ საშუაოებზე დასაქმებულ მუშაკთა სამედიცინო შემოწმება ხდება პერიოდულად. ადმინისტრაციამ დროულად უნდა მოახდინოს მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევა და მიიღოს საჭირო ზომები უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებლად.

კანონმდებლობით დამატებით გათვალისწინებულია ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვის საკითხები. კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის 156-ე და 157-ე მუხლების თანახმად აკრძალულია ქალთა შრომის გამოყენება მძიმე საშუაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა საშუაოებზე, გარდა ისეთი საშუაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია სანიტარულ და საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან. აკრძალულია ქალების მიერ ისეთი სიმძიმეების გადატანა, რომელიც აღემატება მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმას. არ შეიძლება ქალის შრომის გამოყენება ღამის საშუაოებზე, გარდა მეურნეობის იმ დარგებისა, სადაც ეს გამოწვეულია აუცილებლობით და ნებადართულია, როგორც დროებითი ღონისძიება. დაუშვებელია ორსული ქალების, აგრეთვე იმ ქალების შრომის გამოყენება, რომლებსაც სამ წლამდე ბავშვები ჰყავთ ღამის და ზეგანაკეთურ საშუაოებზე, დასვენების დღეებში, აგრეთვე მათი გაგზავნა მივლინებაში. 3-14 წლამდე ბავშვების დედების გაგზავნა მივლინებაში დასაშვებია მხოლოდ მათი თანხმობით. ორსული ქალები საექიმო დასკვნის შესაბამისად შეიძლება გადაყვანილი იქნენ სხვა უფრო მსუბუქ საშუაოზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ ფასიანი შვებულება, რომლის ხანგრძლივობა 70 კალენდარული დღეა მშობიარობამდე და 56 მშობიარობის შემდეგ. გართულებული მშობიარობისას, და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში მათ ეძლევათ შვებულება 80 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

ბავშვის 1,5 ასაკის მიღწევამდე ქალს ეძლევა ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულება ბავშვის მოვლისათვის. ამასთან, ქალის სურვილით მას შეიძლება მიეცეს დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის სამ წლამდე მიღწევამდე. შვებულების განმავლობაში ქალს ენახება საშუაო ადგილი და შვებულება ეთ-ვლება საშუაო სტაჟში. ქალებს, რომლებმაც ახალშობილი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან იგივე შედეგათებით აქვთ, რაც მშობიარე ქალებს. ქალებს, რომლებსაც წლინახვევის ასაკის ბავშვები ჰყავთ, საერთო შესვენების გარდა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის არანაკლებ 30 წუთისა, ხოლო თუ ქალს ჰყავს 1 წლამდე ორი ან მეტი ბავშვი არანაკლებ 1 საათისა.

კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად აკრძალულია საშუაოდ მიღებაზე უარის თქმა ორსულობის ან ბავშვის მოვლისათვის დაკავშირებული მოტივებით, ასევე იმ ქალის საშუაოდან დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, რომელსაც 1,5 წლამდე ბავშვი ჰყავს. საწარმოს სრული ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომის მოწყობის პირობით.

კანონმდებლობით დადგენილია შეთავსებით იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სწავლას უთავსებენ შრომას. მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც სასწავლებლების საღამოს განყოფილებებზე წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად, თავისუფლდებიან სამუშაოსაგან გამოცდებისათვის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად წელიწადში 30 სამუშაო დღით, მათთვის ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით საშუალო ხელფასის 50%-ის შენარჩუნებით.

მუშა-მოსამსახურეებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ეძლევათ უხელფასო შევებულება უმაღლეს სასწავლებელში – 15 კალენდარული დღე, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებელში – 10 კალენდარული დღე სასწავლებლის ადგილზე წასვლის და უკან დაბრუნების დროის ჩათვლევად.

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სწავლობენ დაუსწრებლად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სწავლასთან დაკავშირებით ეძლევათ შევებულება და აგრეთვე სხვა შეღავათები. მათ უფლება აქვთ სადილობო პროექტის (ნაშრომის) მომზადების ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების დაწყებამდე ათი სასწავლო თვის განმავლობაში მიიღონ სამუშაოსაგან თავისუფალი ერთი დღე კვირაში, ბელფასის 50%-ის ანაზღაურებით. საწარმო-დაწესებულებას უფლება აქვს სასწავლებლის რეკომენდაციით მისცეს ბოლო კურსის სტუდენტებს ერთი თვის ხელფასიანი შევებულება სადილობო პროექტისათვის მასალების გასაცნობად.

შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, მუშაკები ვალდებული არიან იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებები, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნები, გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ საკუთრება და სხვ.

შრომის დისციპლინა არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს მუშაკისა და ადმინისტრაციის მოვალეობებს, შრომის პროცესში მოვალეობათა შესრულების რეჟიმს, კეთილსინდისიერი შრომისათვის წახალისების ზომებს და ვალდებულებათა შესუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას.

შრომის დისციპლინა მოიცავს მუშა-მოსამსახურეთა ერთობლივი შრომის პროცესში დადგენილი წესების დაცვას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებებია:

- ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შექმნა;
- შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება;
- დაწინაურების, აღზრდისა და წახალისების მეთოდების გამოყენება.

საწარმო-დაწესებულებაში შრომის დისციპლინა განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს შრომითი კოლექტივი, ადმინისტრაციისა და პროფკავშირის წარდგენით. მუშაობაში მიღწეული წარმატებისათვის ადმინისტრაცია იყენებს მორალური და მატერიალური წახალისების შემდეგ სახეებს: მაღლობის გამოცხადება, პრემიის მიცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. შრომის შინაგანაწესით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წახალისების სხვა ფორმებიც. ასეთ შემთხვევაში მუშაკებს ეძლევათ უპირატესობა სამუშაოზე დაწინაურების დროს. მათ განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის წარადგენენ ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად ან საპატიო წოდების მიანიჭებლად და სხვ.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, ასევე შრომითი მოვალეობის არასაპატიო მიზეზით შესრულებლობისათვის, ადმინისტრაციას შეუძლია შრომის კანონთა კოდექსის 135-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენოს შემდეგი დისციპლინური სასჯელები:

- შენიშვნა;
- საყვედური;
- სასტიკი საყვედური;
- დათხოვნა.

ზოგჯერ დათხოვნას წინ უსწრებს სხვა დისციპლინური სახელების გამოყენება. ადმინისტრაცია დისციპლინურ სახელს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი

გამოვლენის დღიდან. დისციპლინური სახდელი არ შეიძლება დაედოს პირს გადაცდომის გამოვლენიდან 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო რევიზიის ან საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების მიხედვით არა უგვიანეს 2 წლისა მისი ჩადენის დღიდან. თუ დისციპლინურ სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში მუშაკს არ დაედება ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ჩათვლება დისციპლინური სახდელის არმქონედ, ხოლო თუ მან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მუშაკმა, მას შეიძლება მოეხსნას ეს სახდელი ერთი წლის გასვლაშდევ. დისციპლინური სახდელი ბრძანებით ცხადდება და მუშაკს წერილობით ეცნობება. დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში მუშაკის მიმართ წახალისების ზომები არ მიიღება.

კანონმდებლობით შრომაში წარმატებისათვის გათვალისწინებულია წახალისების ღონისძიებები, რომელიც შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- მაღლობის გამოცხადება;
- პრემიის მიცემა;
- ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება;
- ამავე დროს შრომის შინაგანაწესით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა წახალისებანიც.

გარდა აღნიშნულისა, კანონმდებლობით დადგენილია შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმო-დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების გამო, მუშაკისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა დაკისრება, თუ ზიანი გამოწვეულია მისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. დადგენილია მატერიალური პასუხისმგებლობის ორი ფორმა: შეზღუდული და სრული.

შეზღუდული პასუხისმგებლობა გულისხმობს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მუშაკის არა უმეტეს ორი თვის საშუალო ხელფასისა, ხოლო ზემდგომი თანამდებობის პირებისათვის – არა უმეტეს სამი თვის ხელფასისა.

სრული მატერიალური პასუხისმგებლობა დება იმ ზარალისათვის, რომელიც მიყენებულია;

- მუშაკის დანაშაულებრივი ქმედებით;
- ზიანი მიყენებულია არაფსიხელ მდგომარეობაში;
- მუშაკს ნორმატიული აქტით ან ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო;
- მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის დადებულია ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ;
- ზიანი მიყენებულია არაშრომითი მოვალეობების შესრულებისას;
- ქონება მუშაკის მიერ მიღებულია საქვეანგარიშოდ ან ერთჯერადი დოკუმენტით;
- ზიანი მიყენებულია დანაკლისით, ქონების განზრახ განადგურებით ან გაფუჭებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება მუშაკის საშუალო ხელფასის ფარგლებში ადმინისტრაციის ბრძანებით ხელფასიდან დაქვითვის გზით. სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ზორციელდება სასამართლო წესით, ადმინისტრაციის სარჩელის საფუძველზე.

საკონტროლო კითხვები:

1. შრომის დაცვის ცნება;
2. შრომის დისციპლინის არსი;
3. დისციპლინური სახდელის სახეები;
4. მუშაკთა წახალისების არსი;
5. მატერიალური პასუხისმგებლობის ცნება და არსი.

პრაქტიკული
საპარჯიშოები

ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიულ სერტიფიცირებაში მონაწილე ვალდებულია გამოავლინოს ღრმა ცოდნა სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული, საქართველოში მოქმედი ძირითადი კანონების („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სხვ.) მიმართ. ამდენად, წინამდებარე საუარჯიშოებში მოცემული საკითხები არ შემოიფარგლება წიგნში განხილული თემატიკით.

კაზუსები

(პასუხები იხილეთ 326–ე გვერდზე)

კაზუსი 1

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) “კაანაძე და ძნელაძის” ბუღალტერია სპს-ს ჩამოყალიბებიდან პირველი არასრული სამეურნეო წლის პერიოდში არ წარმოებულა. თუმცა, მეორე სამეურნეო წლის მანძილზე სპს-ს მიერ ბუღალტრის დაქირავების შემდეგ ის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით აღინუსხა და გაფორმდა.

კითხვა:

- დაირღვა თუ არა საკანონმდებლო მოთხოვნა?
- კონკრეტულად რომელი კანონის?
- რა ტიპის პასუხისმგებლობა შეიძლება მოჰყვეს მას? რატომ?

კაზუსი 2

კომანდიტურმა საზოგადოებამ (კს) “ლიდიამ” სპს “ტრანსმაკლერთან” გააფორმა გეგმების ქირავნობის შეამაგლობის ხელშეკრულება. მხარეთა შორის ვალდებულებების შესრულებით გამოწვეული დავის განხილვის წესს ეხება ხელშეკრულების 9.2 მუხლი, სადაც მითითებულია: “მხარეთა შორის სადავო ურთიერთობა გადაწყდეს მათ შორის ურთიერთმოლაპარაკებით. 15 დღის მანძილზე მხარეთა შორის შეუთანხმებლობისას დავა გადაწყდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს-მ ვერ შეასრულა ვალდებულება. კომანდიტური საზოგადოება მოითხოვს დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტას.

კითხვა:

- შესაძლებელია თუ არა კს-ის მოთხოვნის განხორციელება?

კაზუსი 3

შპს “თეთრონს” საქართველოში სარეკზი საშუალება “ზარფის” იმპორტისას ზედმეტობით დაარიცხეს და გადაახდევინეს დღე.

კითხვა:

- რას ურჩევდით, როგორ მოიქცეს, ვის მიმართოს შპს “თეთრონმა”?
- რომელი ინსტანციის სასამართლოში შეიძლება იჩილოს?
- რა კატეგორიის სადავო ურთიერთობის მონაწილეა?
- ვინ შეიძლება მიეთითოს მოასუსზე მხარედ?

კაზუსი 4

13 წლის გიორგიმ, მამისაგან ნაუქარი ფულით, მიიღო კომპიუტერის ყიდვა. მალაზიაში მისულს გამოეცხადებოდა უარი უთხრა კომპიუტერის მიყიდვაზე. მას ეტყობოდა უგუნებოდ იყო, რადგან გიორგის თანადროულად მალაზიაში მისულ ნოდარსაც არ მიჰყიდა "X"-ს ტიპის ტელევიზორი, იმიტომ, რომ მისი მეზობელი ნოდარი ხშირად ალკოჰოლის გავლენის ქვეშ მყოფი ოჯახის დანაზოვს სხვადასხვა ნივთის შექმნასა და გაუქმებაში ფლანგავდა.

კითხვა:

- სამართლიანად მოიქცა თუ არა გამოყიდველი გიორგის მიმართ? რატომ?
- შეეძლო თუ არა გამოყიდველს ნოდარისათვის არ მიეყიდა სასურველი ტელევიზორი? რატომ?

კაზუსი 5

საქართველოს მრეწველთა კავშირმა გადაწყვიტა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნება, რომლის დებულებაშიც მიუთითა მასზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე და გადაწყვიტა მისი დარეგისტრირება იუსტიციის სამინისტროში.

კითხვა:

- როგორ კონსულტაციას გაუწევდით დამფუძნებელს?

კაზუსი 6

მცირე ბიზნესის განვითარების ფონდმა სარეგისტრაციოდ მოამზადა დებულება, რომელშიც მიუთითა მიზანი, სახელწოდება და სხვა რეკვიზიტები, თუმცა შესაწირავის ოდენობა, სახე, გამოყენების წესი შევნიშვლად არ ჩაწერა. მოსამართლემ რეგისტრაციის მოთხოვნას უარი თქვა.

კითხვა:

- რა მოტივით შეეძლო მოსამართლეს ფონდის რეგისტრაციაზე უარის თქმა?
- როგორია ფონდის რეგისტრაციის საკანონმდებლო საფუძვლები?
- მართებულია თუ არა ფონდის სარეგისტრაციოდ სასამართლოსათვის მიმართვა?

კაზუსი 7

სოსომ კლუბის დასაარსებლად იურიდიული კონსულტაციისათვის ადვოკატს მიმართა, რომელმაც წესდება მოუმზადა. მან დამფუძნებლად სოსო მიუთითა და ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: კლუბის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ აღიარა საკონსულტაციო საბჭო და წვერთა საერთო კრება, რომელთაგან უკანასკნელს უფლება მიენიჭა კლუბის საჭიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება ერთხმად მიეღო და კლუბის სახელით გარიგება დაედო. ადვოკატმა სოსოს ურჩია, წესდება თბილისის ნებისმიერ სასამართლოში წაეღო და რეგისტრაციას 15 დღე დალოდებოდა.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ადვოკატის მიერ მომზადებული წესდება და მისი რჩევა?
- ეთანხმები თუ არა წესდების ამგვარი შინაარსით ჩამოყალიბებას?
- როგორია კლუბის რეგისტრაციის წესი?

კაზუსი 8

ფონდის წესდებაში მითითებული არ იყო მისი ლიკვიდაციის წესი, პირობები, ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილების საფუძვლები. ლიკვიდაციის დროს დესტინატურებმა მოითხოვეს ფონდის ქონების მათთვის მიკუთვნება, ხოლო იუსტიციის სამინისტრო კი ითხოვდა ფონდის მიზნის შეცვლას ან სხვა ფონდთან შეერთებას, რასაც ფონდის გამგეობა და დესტინატურები არ დაეთანხმნენ.

კითხვა:

- შეუძლიათ თუ არა დესტინატარებს ამგვარი მოთხოვნის წამოყენება?
- უფლებამოსილია თუ არა იუსტიციის სამინისტრო მოითხოვოს ფონდის მიზნის შეცვლა ან მისი სხვა ფონდთან შეერთება?

კაზუსი 9

ნიკო და მისი ვაჟი იურისტები არიან. ნიკო იურისტთა ასოციაციის წევრია. მან მოისურვა ასოციაციის წევრთა კრების მოწვევა და კრების დაუყოვნებლივ მოწვევის მოთხოვნით მიმართა გამგეობას. მას სურდა კრებაზე განეხილათ მის ნაცვლად, მისი ვაჟის წევრად მიღების საკითხი, რაზეც გამგეობამ იმთავითვე უარით უპასუხა.

კითხვა:

- რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო ნიკოს გამგეობისადმი მიმართვა?
- რა საფუძვლით შეეძლო გამგეობას კრების მოწვევაზე ნიკოსათვის უარი ეთქვა?

კაზუსი 10

პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) გამგეობამ, რომელსაც საქმიანობის ვალა ეწურება, მიიწვია სხდომა და ბაფ-ის წევრთაგან დანიშნა გამგეობის წევრები 5 წლის ვადით. ბაფ-ის განაწევნებულმა წევრთა 1/10-მა მოითხოვა საერთო კრების მოწვევა და გამგეობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება.

რიგგარეშე საერთო კრება ბაფ-ის გამგეობამ მოწვევიდან 1 კვირის განმავლობაში ჩაატარა, რომელმაც გაიწვია გამგეობა და ჩამოაყალიბა ახალი გამგეობა.

კითხვა:

- ეთანხმებიან თუ არა წევრთა ნაწილს გამგეობის უკანონოდ აღიარებაში?
- უფლებამოსილი იყო თუ არა წევრთა 1/10-ის მიერ მოწვეული კრება ახალი გამგეობის შესაქმნელად?
- როგორია ფედერაციის გამგეობის ფორმირებისა და წევრთა კრების მოწვევის წესი?

კაზუსი 11

სამტრედიის ქალაქეპატრონის თანამშრომლებმა (სულ 65 ადამიანი) გადაწყვიტეს ქალაქეპატრონის ბაზაზე იურიდიული პირის დაფუძნება. თითოეულ წევრს ერთი სურვილი ამოძრავებდა – იურიდიული პირის მოგებიდან წილი მიეღო და, ამასთანავე დაექმყოფილებინა საკუთარი ინტერესები. დამფუძნებელთაგან 10 ინდმეწარმე, 5 კი ფერმერი იყო, რომლებსაც განსაკუთრებით აინტერესებდათ მათი მუერნების განვითარება.

კითხვა:

- შეუძლია თუ არა 65 ადამიანს იურიდიული პირის დაარსება?
- რას ურჩევდით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევისას?

კაზუსი 12

სააქციო საზოგადოება (სს) “ტრანისი” წესდებაში მითითებულია ნიკო ხუნდაძეზე, რომლის უფლებამოსილება მცირედით განსხვავდება ღირებულების კომპეტენციისაგან. ის სს-ის არც დამფუძნებელია, არც ღირებულებით და არც აქციონერი. 3 თვის წინ სს-ში ერთწლიანი მუშაობის შემდეგ ნიკოს თანამდებობა დაიკავა გიზომ.

კითხვა:

- რა თანამდებობა ეკავა ნიკო ხუნდაძეს?
- ითვლება თუ არა გიზო იმავე თანამდებობაზე ნიკოს კანონიერ შემცვლელად?

კაზუსი 13

ანამ და ნიკომ გადაწყვიტეს სსს-ს დაფუძნება და მეგობარ გიას დაუკავშირდნენ. გია დაეთანხმა მათ დამფუძნებლად მის მიერ შექმნილი შპს “გია” ყოფილიყო. მათ შეადგინეს წესდება და სასამართლოს მიმართეს 2000 წლის 15 იანვარს. 25 იანვარს კი ნიკომ სასამართლოში მიიტანა ღირებულების დანიშვნის დოკუმენტი, ფაქსიმილე. 10 თებერვალს სასამართლომ არ დააკმაყოფილა სსს-ს რეგისტრაციის მოთხოვნა. დამფუძნებლებმა რეგისტრაციის ვადის გადაცილების მოტივით მონიდომეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

კითხვა:

- საფუძვლიანი იყო თუ არა სსს-ს რეგისტრაციის მოთხოვნაზე სასამართლოს უარი?
- რამდენად მოტივირებულად მიგაჩნით დამფუძნებელთა საჩივარი?

კაზუსი 14

სსს “გეგი და ჩოის” ინდემწარმე “გ. კალატოზიშვილმა” მიჰყიდა 2 ცალი მობილური ტელეფონი, რომლის საფასური სსს-ს უნდა გადაეხადა ტელეფონის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. ინდემწარმემ ტელეფონის ფასის გადახდა მოსთხოვა სსს-ს ერთ-ერთ დამფუძნებელ გვეის.

კითხვა:

- რას ურჩევდით, როგორ მოიქცეს გეგი?

კაზუსი 15

შპს “მერანის” დამფუძნებლებია: სპს “გეგი და ჩო” და ნანა მელქაძე. შპს-ს საწესდებო კაპიტალია 3000 ლარი. ნანა მელქაძეს პარტნიორობიდან გასვლა სურს და კონსულტაციისათვის მიმართა იურისტს.

კითხვა:

- შეიძლება თუ არა პარტნიორობიდან გასვლა?
- რა ბედი ეწევა მის მიერ განხორციელებულ შენატანს?
- შეიძლება თუ არა შპს-ს საწესდებო კაპიტალის შევსება?

კაზუსი 16

რკ “ბაქრაძის” პარტნიორის შესატანის (პაის) ოდენობა წესდებით განისაზღვრა 70 ლარით. კოპერატივმა პირველი სამეურნეო წლის მანძილზე მიიღო მოგება, რომლის განაწილების წესი წესდებაში არა აქვს გათვალისწინებული.

კითხვა:

- როგორ უნდა განაწილდეს რკ “ბაქრაძეში” წლიური მოგება?
- უხარვეზოა თუ არა კაზუსის შინაარსი?

კაზუსი 17

სს “არაგვის” საწესდებო კაპიტალია 15000 ლარი. სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა ღარიბიდან 2 წლის განმავლობაში აქტიონერებზე დივიდენდი არ გაეცათ და მოგება წარემართათ სარეზერვო ფონდში. დირექტორებმა კი მიიღეს გადაწყვეტილება, საწესდებო კაპიტალი გაეზარდათ და გამოუშვეს კონკრეტული სესხის ობლიგაციები.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის გადაწყვეტილებები?
- როგორია სს-ში საწესდებო კაპიტალის გაზრდის წესი?
- აუცილებელია თუ არა საწესდებო კაპიტალის გაზრდისას ეროვნული ბანკის თანხმობა?

კაზუსი 18

კს-ში წესდების თანახმად პარტნიორთა კრება ჩაატარეს, რომელზეც კს-ის დირექტორად კომანდითი დანიშნეს და მისი პასუხისმგებლობა საზოგადოების სახელით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას ისევე განსაზღვრეს, როგორც ეს მის წინამორბედ კომპლემენტარ დირექტორს გააჩნდა.

კითხვა:

- მიიჩნეოთ თუ არა, რომ სახეზეა ხარვეზი?

კაზუსი 19

რკ “დელისი” და სსს “მაიას” როგორც სავაჭრო წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით უკანასკნელმა რკ-ს ხარჯებით მის მიერ წარმოებული ფეხსაცმელი უნდა გაყიდოს, რა დროსაც კოლპერატივის წინაშე პასუხისმგებლობა ფეხსაცმლის რეალიზაციისათვის არ ეკისრება. მცხეთელმა პარტნიორმა ფეხსაცმლის პარტიებად შექმნის სურვილი გამოთქვა, რასაც ის სსს-ს მუშეობით ახდენდა ისე, რომ რკ-მ არაფერი იცოდ.

კითხვა:

- განსაზღვრეთ სსს “მაიას” სტატუსი და უფლება-მოვალეობანი.

კაზუსი 20

ღანიურმა კომპანიამ “Dn Inc”-მა გადაწყვიტა საქართველოში თავის წარმომადგენლობის დაარსება.

კითხვა:

- როგორ მოიტყეს დამფუძნებელი წარმომადგენლობის საქართველოში დასაარსებლად?

კაზუსი 21

სს “არაგვის” ტვირთის გადამზიდველი სასურველი პარტნიორის შერჩევაში დაეხმარა შპს “მაკლერი”. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხელშეკრულებაში მხარეები იმაზე არ ყოფილან შეთანხმებული, თუ ვინ გადაიხდიდა მაკლერის საზღაურს. სს “არაგვი” თანახმაა “მაკლერის” საზღაურის მხოლოდ ნახევრის გადახდაზე, მისი კონტრაგენტი კი გამოირიცხავს ამ მიმართებით თუნდაც ნაწილის გადახდას.

კითხვა:

- როგორი სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს ამ შემთხვევაში?

კაზუსი 22

სს „არაგვის“ სამეთვალყურეო საბჭომ, რომელიც 16 წევრისგან შედგება, თავისი პირველი სხდომა მოიწვია უფლებამოსილების განხორციელებიდან 3 თვის თავზე, რომელსაც ესწრებოდა 7 წევრი. სხდომის დღის წესრიგი წვერებმა იმავე დღეს შეიტყვეს და განსახილველი საკითხი ერთხმად დადებითად გადაწყვეტეს. დღის წესრიგი ითვალისწინებდა ფილიალის დაარსებას. ფილიალის რეგისტრაციის დროს გაირკვა, რომ პროცედურა უკანონო ყოფილა.

კითხვა:

- როგორ ფიქრობთ, რა მოტივით და საფუძველით შეიძლება იყოს საკითხის გადაწყვეტის პროცედურა უკანონო?

კაზუსი 23

კოორპერატივში გაერთიანებულია 220 მეპაიე, რომელთაგან 20-მა მეპაიემ მოითხოვა საერთო კრების ჩატარება. გამგეობა მათ მოთხოვნას არ დაეთანხმა, თუმცა მარეგისტრირებელმა სასამართლომ გამგეობა აიძულა რიგგარეშე კრების მოწვევა. კრებას ესწრებოდა 19 მეპაიე, თუმცა კრების ოქმში საკითხის განხილვისას მიუთითეს 130 ხმაზე, ხოლო წესდებაში ცვლილებები შეიტანეს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა მეპაიეთა კრების გადაწყვეტილება?

კაზუსი 24

სს „ანა და ჩიის“ დამფუძნებელია ანა და ნინო. ანამ უარი განაცხადა საწარმოს პარტნიორობაზე და კანონის დაცვით დატოვა სსს სასამართლომ ნინოს სპს-ს რეორგანიზაცია მოითხოვა, ისევე კომერციული იურიდიული პირის სახით.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა სასამართლოს მოთხოვნა?
- რა შეიძლება იყოს სპს რეორგანიზაციის შესაძლო ვარიანტი?

კაზუსი 25

შპს „ასტორიას“ დააფუძნა ნიკომ და ნინომ. რეგისტრაციის მეორე დღეს შპს-მ ხელშეკრულება დადო სს-თან, რომელიც შეთანხმებულ ვადაში ევრ შეასრულა შპს-მ. კონტრაქტორმა სასამართლოს მიმართა, მოსამართლემ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და ვალდებულების შესრულება დააკისრა შპს „ასტორიას“ მთელი მისი ქონებით და ნიკოს და ნინოს პირადი ქონებით.

კითხვა:

- რომელი სასამართლოსათვის უნდა მიემართა კრედიტორს?
- ეთანხმებით თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას?

კაზუსი 26

გაკოტრების მმართველმა შეადგინა კრედიტორთა სია, რომელთა რიცხვში იყო: სახელმწიფო ბიუჯეტი, მუშა-მოსამსახურეები, მეიჯარე, შპს „ლილო“, სს „ნართი“ და ა.შ

კითხვა:

- რა რიგითობით დააკმაყოფილოს კრედიტორები გაკოტრების მმართველმა?

კაზუსი 27

სს „არგოს“ გაკოტრებისას, გაკოტრების მმართველის პარალელურად, საზოგადოების ქონების მართვისა და რეალიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სს-ის დირექტორები, რასაც წინ აღუდგა მარგისტრირებული სასამართლო, ხოლო უკანასკნელს პრეტენზიით მიმართა იმ ბანკმა, სადაც სს-ს ქონდა ანგარიში გახსნილი იმ მოტივით, რომ მას სს-ის გაკოტრების შესახებ არ აცნობებს.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა სასამართლოს დაპირისპირება სს-ის დირექტორებისადმი?
- კანონიერია თუ არა ბანკის პრეტენზია სასამართლოსადმი?

კაზუსი 28

სს „არგოს“ კრედიტორია დანიური კომპანია „DN Inc“. გაკოტრების მმართველთა მიერ კრედიტორთა მოთხოვნის წარდგენის ვადა განისაზღვრა 2000 წლის 15 აპრილამდე, დანიურმა კომპანიამ კი მოთხოვნა წარმოადგინა 15 ოქტომბერს, მაშინ, როდესაც კრედიტორთა მოთხოვნები შემოწმებული იყო და საგაკოტრებო კვლავ განისაზღვრა. დანიურმა კომპანიამ დაგვიანების მიზეზად მიუთითა „არგოს“ გაკოტრების შესახებ დაგვიანებით შეტყობინება.

კითხვა:

- რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ამ შემთხვევას?

კაზუსი 29

სს-ში გადაწყდა საწინდებო კაპიტალის გაზრდა და აქციონერებს დაურიგდა მოწმობები, რა დროსაც აქციონერებმა მათ კუთვნილებაში არსებული აქციების პროპორციულად გადაიხადეს თანხა. მოწმობაში მითითებული იყო, რომ მის მფლობელს უფლება ეძლეოდა სამი წლის შემდეგ მიეთხოვა აქციები მის მიერ გადახდილი თანხის ფარგლებში.

კითხვა:

- რა ეწოდება ამ ტიპის მოწმობას?
- შეიძლება თუ არა ამ ფორმით სს კაპიტალის გაზრდა?

კაზუსი 30

შსს „ლაზის“ დირექტორს პარტნიორმა მოსთხოვა საბუღალტრო დოკუმენტები, რაზეც დირექტორმა უარი უპასუხა. პარტნიორი კი მას უჩივის მოგების არასწორად განაწილებაში. დირექტორმა მიიწვია პარტნიორთა კრება. მოდავე პარტნიორს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მისცევს.

კითხვა:

- უფლებამოსილი იყო თუ არა პარტნიორი მოეთხოვა საბუღალტრო დოკუმენტები?
- კანონიერი იყო თუ არა პარტნიორისათვის კენჭისყრაზე უარის თქმა?

კაზუსი 31

შსს „ლაზისის“ ქონება შეფასდა 3400 ლარად. მან შსს „ასტორიას“ წინაშე იყისრა 75000 ლარაანი ვალდებულების შესრულება, რაც შეთანხმებულ ვადაში ვერ განახორციელა. მიუხედავად სურვილისა, შსს „ლაზის“ უკვე 8 თვეა ვერ ასრულებს არა მხოლოდ „ასტორიას“, არამედ სხვა კრედიტორების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. შსს „ასტორია“ ითხოვს მის წინააღმდეგ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას.

კითხვა

- საფუძვლიანი თუ არა "ასტორიას" მოთხოვნა?
- ვალდებული იყო თუ არა შპს "ლაზი" გაკოტრების საქმის გახსნა მოეთხოვა?

კაზუსი 32

სს "არგოს" მიმართ საოლქო სასამართლოში გაიხსნა გაკოტრების საქმე. გაკოტრების მმართველმა სს-ში მისვლისთანავე მოახდინა მხოლოდ აქტივების შეფასება და მეორე დღიდან დაიწყო მათი გაყიდვა, ხოლო ამონაგები თანხის დიდ ნაწილს ხელფასებისა და ოფისის ქირის გადახდისათვის იყენებდა. სასამართლოსადმი შედგენილ ანგარიშში მან სს-ის რუმინეთში განთავისუფლებული ქონებაც მიუთითა.

კითხვა:

- ამ შემთხვევაში მართებული იყო თუ არა საოლქო სასამართლოსადმი მიმართვა?
- მართებული იყო თუ არა გაკოტრების მმართველის ქცევა?

კაზუსი 33

ქეთევანი ოფის-შენეგერის თანამდებობაზე ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მიიღეს. დირექტორმა გააფორმა განკარგულება ამის შესახებ.

კითხვა:

- რამდენად შეესაბამება ქეთევანის თანამდებობაზე დანიშნვა მოქმედ კანონმდებლობას?

კაზუსი 34

"მაცნეს" ვიზუალში გამყიდველად მიიღეს 16 წლის თამარი. მისი სამუშაო დღე იწყებოდა დილის 9 საათზე და გრძელდებოდა 20 საათამდე. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე თამარს ყოველდღიური შესვენება არ ეძლევა.

კითხვა:

- ამ შემთხვევაში დაცულია თუ არა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები?

კაზუსი 35

ქეთის შევებულბა განუსაზღვრეს მისიში, რაც მისთვის ხელსაყრელი არაა, ამიტომაც მოითხოვა შევებულების კომპენსაცია.

კითხვა:

- ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დააკმაყოფილოს ქეთის მოთხოვნები?

კაზუსი 36

ქეთისთან ადმინისტრაციამ გააფორმა 5 წლიანი ვადიანი ხელშეკრულება და ამასთან მიუთითა, რომ თუ ქეთი 8 თვის განმავლობაში შესაფერის კვალიფიციურობას ვერ გამოავლენდა, თანამდებობიდან დაითხოვდნენ, მიუხედავად ხელშეკრულების ვადისა.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ხელშეკრულების მითითებული პირობა?

კაზუსი 37

კერას ქეთი აღმინისტრაციამ სამუშაოზე გამოიძახა. ქეთიმ ნამუშევარი დროის ანაზღაურება მოითხოვა, გაბრაზებულმა დირექტორმა კი უპასუხა: "ორშაბათიდან თქვენ ჩვენი თანამშრომელი არ იქნებით".

კითხვა:

- კანონიერი იყო თუ არა ქეთის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ?
- რას ურჩევდით, როგორ მოიქცეს ქეთი?

კაზუსი 38

ნიკომ ზურას საკუთარი ავტომანქანა შეზღუდულ სარგებლობაში გადასცა. მთ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც ზურას ეკრძალება ავტომანქანის მემკვიდრეობით გადაცემა ან გაქირავება.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ამ შემთხვევაში აღნაგობის ხელშეკრულების გაფორმება?
- მართებულია თუ არა ხელშეკრულებით აღნაგობისას ზურასათვის ამგვარი პირობების (შეზღუდვის) დაწესება?

კაზუსი 39

შსს "ეოლგამ" კრედიტის უზრუნველსაყოფად ბანკში დააგირავა მღაზიაში გასაყიდად გამოტანილი ავტონაწილები. შსს-მ კრედიტი დროულად ვერ დაუარა. ბანკმა დალუქა ავტომანქანა და შემდეგ შსს-თვის არ უცნობებია, ისე გაყიდა ავტონაწილები.

კითხვა:

- ქჭონდა თუ არა ბანკს დაგირავებული ქონების რეალიზაციის უფლება?

კაზუსი 40

შსს „ლაზის“ ერთ-ერთმა პარტნიორმა წესდებაში განსაზღვრა, რომ ვალდებულია მთელი მომავალი ქონება მიმართოს საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით და გაზარდოს ის:

კითხვა:

- დასაშვებია თუ არა ამგვარი ფორმულირება?

კაზუსი 41

ქორიძე და სიხარულიძე შეთანხმდნენ, რომ ქორიძის პაპის გარდაცვალების შემთხვევაში სიხარულიძე იცხოვრებდა ქორიძის პაპის სამოთხაზიან ბინაში, რომელიც ანდერძით უნდა მიეღო ქორიძეს. მათ ეს შეთანხმება წერილობით გააფორმეს. პაპამ ანდერძით ბინა ქორიძის ძმას დაუტოვა.

კითხვა:

- აქვს თუ არა სიხარულიძეს უფლება ქორიძისგან მოითხოვოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება?

კაზუსი 42

კომპიუტერული ტექნიკით მოვაჭრე ფირმა ხელშეკრულებას დებს კომპანია „ფილიასთან“ 100 კომპიუტერის დამზადებისა და შექმნის თაობაზე, რომლითაც უკანასკნელი კისრულობს კომპიუტერების დამზადებას, მის გაგზავნას, დამონტაჟებას.

კითხვა:

- რა სახის ვალდებულება წარმოიშობა მხარეთა შორის?

კაზუსი 43

თბილისი-ფოთის სახაზო ავტობუსის კარებზე გაკეთებულია წარწერა:

„ავტობუსი წაეა მხოლოდ მაშინ, თუ შეგროვდა არანაკლებ 25 მგზავრისა“. საღაროში ბილეთის შექმნისას მგზავრისათვის ამგვარი რამ მოლარეს არ განუცხადებია:

კითხვა:

- როგორ ფიქრობთ, ჩაითვლება თუ არა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად წარწერაში მითითებული პირობა?

კაზუსი 44

საწარმომ სადაზღვევო კომპანია „აღლდავან“ თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება დადო. საწარმოს თანამშრომელს ქორიძეს ესაჭიროება ოპერაცია და უკანასკნელმა მიმართა „აღლდავს“, თუმცა უშედეგოდ. მას განუმარტეს, რომ მხოლოდ საწარმოს ადმინისტრაციას შეუძლია მიმართოს კომპანიას და არც ოპერაცია არ შეიძლება გახდეს ამგვარი მიმართვის საფუძველი.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა „აღლდავის“ პასუხი?
- ოპერაცია შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ სადაზღვევო შემთხვევად?

კაზუსი 45

კონდიციონერების მალაზიას საწარმოსათვის კონდიციონერები უნდა მიეწოდებინა 15 აპრილამდე, რაც კერ შეასრულა. საწარმომ მას დამატებითი ვადა 15 მარტამდე განუსაზღვრა, მაგრამ უშედეგოდ.

კითხვა:

- რას ურჩევდით, როგორ მოიქცეს საწარმო, რომელსაც კონდიციონერების საფასური გადახდილი აქვს?

კაზუსი 46

სესხამდე ვალაძეს 10 იანვარს ასესხა 10000 ლარი, რომელიც უკანასკნელს უნდა დაებრუნებინა 10 ივნისს. 10 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ვარდაიცვალა თავაძე, რომელიც თავდებად დაუდგა ვალაძეს.

კითხვა:

- შეუძლია თუ არა სესხამეს ვალაძეს მოსთხოვოს ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება?

კაზუსი 47

ივანიძეს დაქირავებული ჰქონდა თხელიძის ორსართულიანი სახლი. ამ უკანასკნელმა ეს სახლი „ინტელექტბანკიდან“ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინა. თხელიძემ შეთანხმებულ ვადაში ვალი ვერ გადაიხადა და შეიქმნა სახლის აუქციონზე გაყიდვის საშიშროება.

კითხვა:

- შეიძლება თუ არა ივანიძემ შეინარჩუნოს ძველი მდგომარეობა?
- როგორ უნდა გაფორმებულიყო თხელიძესა და ბანკს შორის სასესხო ურთიერთობა?

კაზუსი 48

ნიკა და გიორგი სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ ნიკა გიორგის მისი კუთვნილი ავტომანქანა „BMV“-ს სანაცვლოდ კუთვნილ მიწის ნაკვეთს მისცემდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნიკას და ჰყავს და ეს ნაკვეთი მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო. გიორგიმ წამოიწყო ნაკვეთზე სახლის მშენებლობა, მაგრამ ნიკას დამ მას ამის უფლება არ მისცა და ნაკვეთის განათავსულებაც მოსთხოვა.

კითხვა:

- უფლებამოსილია თუ არა ნიკას და აბგვარ აკრძალვაზე?

კაზუსი 49

შოთა დაუკავშირდა ბინების ყიდვა-გაყიდვის სააგენტოს, რომელმაც მისთვის სასურველი პირობებით ბანკ-ტრინინს ქუჩაზე შესთავაზა 3 ოთახიანი ბინა. აღნიშნული ბინა სააგენტოს მენეჯერის კახას მეუღლის მზეითად მიღებული ქონებაა, რის შესახებაც შოთამ არაფერი იცოდა. სააგენტომ მოითხოვა საზღაურის გადახდა და ის მთლიანად შოთას დააკისრა.

კითხვა:

- რა სახის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს შოთასა და სააგენტოს შორის?
- ვალდებულია თუ არა შოთა გადაიხადოს საზღაური სრული მოცულობით?

კაზუსი 50

ინდემწარმე „გია კალატოზიშვილმა“ 20 მაისს უნდა მიიღოს ბულგარული პარტნიორისაგან გამოვზავნილი ფქვილი შპს „ტრანსის“ მიერ. ტერითი შპს „ტრანსის“ ბულგარულმა მზარემ გადასცა 7 მაისს, თუმცა 18 მაისს „ტრანსის“ დაუკავშირდა და მოსთხოვა უკვე ხაშურში ჩამოტანილი ფქვილის ბათუმში შპს „ანისათის“ გადაცემა.

კითხვა:

- შეეძლო თუ არა ბულგარელს შეეცავლა კონტრაგენტი?
- აქედან გამომდინარე, აქვს თუ არა ტერიითის მოთხოვნის უფლება ინდემწარმეს?

კაზუსი 51

ნიკამ დაახლეია საცხოვრებელი სახლი „იმედი L“-ში. 7 თვის გასვლის შემდეგ მან ეს სახლი მიჰყიდა გიას, ისე, რომ მათ ამის შესახებ „იმედი L“-თვის არ უცნობებიათ. 2 თებერვალს მზღველისათვის მესამე პირთაგან ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ, რის საფუძველზეც მზღველმა 15 აპრილს უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე.

კითხვა:

- შეეძლო თუ არა ნიკას დაზღვეული სახლის გაყიდვა?
- ვალდებული იყო თუ არა ნიკა სახლის გაყიდვის შესახებ ეცნობებინა მზღვეველისათვის?
- კანონიერია თუ არა მზღვეველის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა?

კაზუსი 52

5-ს ფიზიკურმა პირმა გადაწყვიტა ასოციაციის დაფუძნება, შეადგინეს წესდება, რომელშიც არ მიუთითეს ასოციაციის მიზნები და ბუღალტრის ენაობა. დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს ასოციაციის დარეგისტრირება.

კითხვა:

- სად უნდა დაარეგისტრირონ დამფუძნებლებმა ასოციაცია?
- რამდენად სავალდებულოა რეგისტრაცია ასოციაციისათვის, როგორც იურიდიული პირისათვის?
- დარეგისტრირდება თუ არა ასოციაცია წესდების მითითებული რეკვიზიტების გარეშე?

კაზუსი 53

ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაციამ 2000 წლის 10 სექტემბერს მოიწვია საერთო კრება. ამის შესახებ აღმინისტრაციამ ასოციაციის წევრებს ტელეფონით აცნობა 5 სექტემბერს. საერთო კრებაზე გაირკვა, რომ დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო ასოციაციის წესდებაში მრჩეველთა საბჭოს შემოღებით ცვლილებების შეტანა. ეს საკითხი საერთო კრებაზე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით დადებითად გადაწყდა. სასამართლოში ცვლილებების რეგისტრაციის დროს გაირკვა, რომ წესდებაში ცვლილებების შეტანა უკანონო იყო.

კითხვა:

- აღნიშნულ შემთხვევაში კანონის რომელი მოთხოვნა (მოთხოვნები) დაირღვა?

კაზუსი 54

სპს „ანა და სოისი“ დამფუძნებელი პარტნიორებია ანა და ნინო. ანამ უარი განაცხადა საწარმოს პარტნიორობაზე. მან კანონის სრული დაცვით დატოვა სპს. სასამართლომ ნინოს სპს-ს რეორგანიზაცია შესთავაზა ისევე კომერციული იურიდიული პირის სახით.

კითხვა:

- სავალდებულოა თუ არა სპს-ს რეორგანიზაცია?
- რა შეიძლება იყოს სპს-ს რეორგანიზაციის შესაძლო ვარიანტები?

კაზუსი 55

კოოპერატივის დამფუძნებლებმა შეადგინეს წესდება, რომელშიც საფირმო სახელწოდება მითითებული იყო შემდგენიარად: „სსხივი“. დამფუძნებლებმა სარეგისტრაციო დოკუმენტები (მათ შორის წესდება) კოოპერატივის ადგილსამყოფელის მიხედვით მიიტანეს რაიონის სასამართლოში 2000 წლის 15 აპრილს. 20 აპრილს კი „სსხივმა“ ხელშეკრულება დალო შპს „პიკთან“, რომელიც შეთანხმებულ ვადაში ვერ შეასრულა. „პიკმა“ სასარჩელო განცხადებაში მოასუსხედ მიუთითა არა კოოპერატივი „სსხივი“, არამედ მისი დამფუძნებელი.

კითხვა:

- სამართლიანია თუ არა შპს „პიკის“ მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არა კოოპერატივისაგან, არამედ მისი დამფუძნებლებისაგან?
- ზომ არ არსებობს სასამართლოს მიერ კოოპერატივის რეგისტრაციაზე უარის თქმის პირობები?

კაზუსი 56

ტოტალიზატორი შპს „მატჩმა“ დათოს უნდა გადაუხადოს მოგებული 12000 ლარი, რომელიც გადახდის დღიდან 5 თვის ვადაში ტოტალიზატორმა ვერ გადაიხადა, ისე, რომ გადაუხდელობის მიზეზი არ დაუკონკრეტებია. როგორც გაირკვა, ტოტალიზატორს დათოს გარდა სხვებისთვისაც უნდა გადაეხადა მოგებული თანხა, რაც არ შეუძრულებია. დათომ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ტოტალიზატორის გაკოტრების საქმის გახსნის შესახებ.

კითხვა:

- რამდენად უფლებამოსილია დათო ტოტალიზატორის გაკოტრების საკითხი დასვას?
- გააჩნია თუ არა დათოს ტოტალიზატორის გაკოტრების საქმის აღძვრის მოთხოვნის საფუძველი? თუკი თვლით, რომ მას ეს საფუძველი გააჩნია, ვის უნდა მიმართოს ამ მოთხოვნით დათომ?

კაზუსი 57

კომანდიტური საზოგადოება „ოილი“ ერთ-ერთი მსხვილი ნავთობპროდუქტების იმპორტიორია. მას ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა 2000 წლის 20 აგვისტოს მოსთხოვა საბუღალტრო დოკუმენტების წარდგენა. ეს „ოილმა“ ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნები დააკმაყოფილა და აღნიშნულ სამსახურში საჭირო დოკუმენტაცია წარადგინა 30 სექტემბერს. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ეს კანონის დარღვევად მიიჩნია და საკითხი დასვა მისი იძულებითი დაყოფის შესახებ. ეს „ოილი“ ამ გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს კერძო გამოძეგმლობის მიერ დაბეჭდილი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სადაც მითითებულია, რომ პირი ვალდებულია ანტიმონოპოლიურ სამსახურს ცნობები გადასცეს მოთხოვნიდან 60 დღის ვადაში. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა კი მას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი კანონი დაუპირისპირა, სადაც 60 დღის ნაცვლად 30 წერია.

კითხვა:

- აქვს თუ არა ანტიმონოპოლიურ სამსახურს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებითი დაყოფის შესახებ მოთხოვნის დასმის უფლება?
- ეს „ოილიმ“ უგულებელყო თუ არა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა?
- რომელი კანონის ტექსტია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ანტიმონოპოლიური სამსახურის და ეს „ოილის“ მიერ წარდგენილი კანონებიდან?

კაზუსი 58

ნიკომ და გიგამ შუამავლობის ხელშეკრულება გააფორმეს და შეთანხმდნენ, გიგასათვის საშუალო საზღაურის ნიკოს მიერ გადახდის დაგვიანებისას, ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1 %. ნიკომ გიგას ვერ გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური, ამიტომ გიგამ ნიკოს მოსთხოვა კუთვნილი ბინის საკუთრებაში გადაცემა.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ნიკოსა და გიგას შეთანხმება გადახდის დაგვიანებისას ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე საზღაურის 0,1 %-ის გადახდის შესახებ?
- უფლებამოსილია თუ არა გიგა საზღაურის გადაუხდელობის შემთხვევაში ნიკოს მოსთხოვოს მისთვის ბინის საკუთრებაში გადაცემა?

კაზუსი 59

შპს „იმედმა“ სს „არაგვისაგან“ იხესხა 15000 ლარი ყოველთვიური 5%-ით 6 თვის ვადით. „იმედმა“ კეთილსინდისიერად გადაიხადა როგორც პროცენტი, ისე ძირითადი ვალი შეთანხმებულ ვადაში, მაგრამ „არაგვი“ აჭიანურებს თანხის მიღებას იმ ფარული განზრახვით, რომ „იმედს“ დააკისროს ვადაგადაცილებებისათვის პროცენტებისა და ზარალის ანაზღაურება. „იმედი“ ამ პრობლემიდან თავის დაღწევას ცდილობს.

კითხვა:

- რომელი მხარე მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ კონტრაქტად და რატომ?
- შეუძლია თუ არა „არაგვს“ დააკისროს „იმედის“ ვადაგადაცილებებისათვის პროცენტებისა და ზარალის ანაზღაურება?
- რას ურჩევდით „იმედს“?

კაზუსი 60

ჯაფარიძემ თავისი დირექტორი მესხისაგან 6 თვის ვადით იხესხა 5000 ლარი და ვალდებულების უზრუნველსაყოფად გირავნობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინა კუთვნილი ერთოთხიანი ბინა, რომელშიც კერძო 12 წლის მანძილზე ცხოვრობს ტაბატაძე. ჯაფარიძემ შეთანხმებულ ვადაში მესხს ვერ დაუბრუნა სესხი. უკანასკნელი მას დაემუქრა სამსახურიდან დათხოვნით, თუკი ის სესხის სანაცვლოდ მასთან არ გააფორმებდა დაგირავებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას და არ გახდებოდა მისი მესაკუთრე. ტაბატაძემ მიმართა სასამართლოს სასარჩელო განცხადებით და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა.

კითხვა:

- როგორ ფიქრობთ – სასამართლო ტაბატაძის სასარჩელო მოთხოვნას დააკმაყოფილებს? რა მოტივით?
- აქვს თუ არა მესხს უფლება ვალდებულების შესასრულებლად ჯაფარიძეს მოსთხოვოს დაგირავებული ბინა?

კაზუსი 61

შპს „ტრანსჯორჯიას“ ფოთის პორტიდან მცხეთაში უნდა ჩამოეტანა სარეკელაძის მიერ სარეალიზაციოდ შეძენილი შაქარი, ფეკილი და კარაქი. გადაზიდვის დროს ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობის გამო გადამზიდველი იძულებული გახდა ტვირთი სხვა ავტომანქანაზე გადაეტვირთა, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ კარაქი გაფუჭებულიყო. გადამზიდველმა ის გადმოტვირთა. ტვირთის მცხეთაში ჩამოტანიდან მათე დღეს სარეკელაძემ გადამზიდველებს პრეტენზია წაუყენა, რომ საქონლის რაოდენობა არ შეესაბამებოდა ზედანდების მონაცემებს და მოითხოვა ზარალის ანაზღაურება, რაზეც გადამზიდველისგან უარი მიიღო.

კითხვა:

- შეუძლია თუ არა ტვირთის მიმღებს გადამზიდველს მოსთხოვოს დანაკლისის ანაზღაურება?

კაზუსი 62

შოთა დაბადა მამის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ. შოთას დედამ, რომელიც კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდა გარდაცვლილ მუღღლესთან, შოთას დაბადებიდან ცხრა თვის შემდეგ მოითხოვა საცხოვრებელი სახლის საერთო ფართობის ნახევრის მემკვიდრეობით მიღება. აღნიშნული სახლი აშენებული იყო შოთას მამის შშობლების მიერ და როგორც კანონიერ მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ შოთას გარდაცვლილ მამას და მის ორ სრულწლოვან გაუთხოვარ დას.

შოთას მამიდებმა იმ მოტივით, რომ შოთა დაბადა მათი ძმის გარდაცვალების შემდეგ უარი განაცხადეს სახლის საერთო ფართობის ნახვერის მემკვიდრეობით გადაცემაზე. ისინი თანახმა იყვნენ სახლის საერთო ფართობი გაყოფილიყო სამზე, ანუ ორ დაზე და გარდაცვლილი ძმის მეუღლეზე.

კითხვა:

- აქვს თუ არა შოთას უფლება მიიღოს მემკვიდრეობით ქონების ნაწილი?
- რას ურჩევდით შოთას მამიდებს და დედას?

კაზუსი 63

დავითი დაქორწინდა 17 წლის ასაკში. მან განცხადებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო სიებში მისი შეტანა, განცხადებას დაურთო ქორწინების მოწმობა. საოლქო საარჩევნო კომისიამ იმ მოტივით, რომ დავითს არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის და, შესაბამისად, ის არ არის ქველუნარიანი, წერილობით უარი განუცხადა საარჩევნო სიაში შეტანაზე.

კითხვა:

- სწორია თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება?
- რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დავითი?

კაზუსი 64

ოთარი ჩამოფრინდა გერმანიიდან და ჩამოიტანა სამი ლიტრი ვისკი. თბილისის აეროპორტში საბაჟო კონტროლის გაკლისას საბაჟოს თანამშრომლებმა ოთარისაგან მოითხოვეს ერთ ლიტრ ვისკიზე საბაჟო გადასახდელის – აქციზის გადახდა იმ მოტივით, რომ საგადასახადო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად აქციზისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის შემოტანილი მხოლოდ ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელი. ოთარი არ დაეთანხმა მოითხოვულ არგუმენტებსა და მოთხოვნას. მან საბაჟოს თანამშრომლებს განუცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 მაისის №273-III დადგენილების შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ყოველი შემოსვლისას დაუბეგრავად შემოიტანება სამი ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა საბაჟოს თანამშრომლების მოთხოვნა?
- საფუძვლიანია თუ არა ოთარის მიერ მოყვანილი არგუმენტები და უარი აქციზის გადასახდელს გადახდაზე?

კაზუსი 65

შპს “გორდამ” საქართველოში შემოიტანა უკრაინაში დამზადებული ლითონის მილები და საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის დადებული “თავისუფალი ვაჭრობის შესახებ” შეთანხმების საფუძველზე, მოითხოვა აქციზის გადასახდისაგან გათავისუფლება, რაზედაც მას უარი განუცხადეს, ენაიდან საგადასახადო კოდექსითა და “საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ” საქართველოს კანონით ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებული არ არის.

კითხვა:

- მართლებულია თუ არა შპს “გორდამს” მოთხოვნა?
- როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

კაზუსი 66

ირაკლი კენჭს იყრიდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად ბაღდათის რაიონში. არჩევნების დამთავრების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით გაიმარჯვა დეპუტატობის მეორე კანდიდატმა ბადრიმ. ირაკლის საარჩევნო შტაბის წევრების მიერ დადგინდა, რომ ბადრის მსარდამჭერების მიერ გამოყენებულ იქნა ყალბი საარჩევნო ბიულეტენები, რომლებიც ივსებოდა არჩევნებზე გამოუცხადებელი მოქალაქეების სახელით, რამაც საბოლოოდ ბადრის გამარჯვება მოუტანა.

კითხვა:

- კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ვის უნდა მიმართოს ირაკლიმ?

კაზუსი 67

საქციო საზოგადოება “ენერჯიამ” ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში წარადგინა საპოქალაქო სარჩელი შპს “საქკინეზის” მიმართ მოხმარებული ელექტროენერჯიის საფასურის 610 ათას ლარის დავალიანების გადაუხდელობასთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სარჩელი არ არის მათი კუთვნილება.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოქმედება?

კაზუსი 68

შპს “გორიზონტმა”, რომელიც აწარმოებს საშენი მასალების რეალიზაციას, შეიძინა საქციო საზოგადოება “საქკემენტისაგან” 200 ტონა ცემენტი. ხელშეკრულების თანახმად შპს “გორიზონტს” ცემენტის ღირებულების თანხა უნდა გადაეხადა მთლიანად 20 დღეში. ერთი თვის გასვლის შემდეგ მან წერილობით მიმართა საქციო საზოგადოება “საქკემენტს” და მოითხოვა ვადის გაგრძელება კიდევ 20 დღით. საქციო საზოგადოება “საქკემენტმა” ერთი თვის გასვლის შემდეგ ცემენტის გაცემიდან, შპს “გორიზონტის” გაფრთხილების გარეშე, საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა კერძო არბიტრაჟს და მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა შპს “გორიზონტისაგან” 200 ტონა ცემენტის ღირებულების ანაზღაურების მიზნით.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა საქციო საზოგადოება “საქკემენტის” მოქმედება?
- როგორი იქნება მოცემულ შემთხვევაში საქციო საზოგადოება “საქკემენტის” მოქმედება?

კაზუსი 69

ინო და თინა, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდუალური მეწარმეები, ერთობლივად აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას და შემდგომ კი მის რეალიზაციას. მუშაობის დაწყებიდან უკესი თვის შემდეგ ნინომ და თინამ ფინანსური პრეტენზიები წაუყენეს ერთმანეთს, რასაც ამტკიცებდნენ მათ მიერ ინდივიდუალურად წარმოებული ჩანაწერების მიხედვით. ისინი შეთანხმდნენ და საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართეს კერძო არბიტრაჟს, სადაც თითოეულმა მათგანმა მოითხოვა თანაბარი რაოდენობის ორ-ორი არბიტრის დანიშვნა.

კერძო არბიტრაჟმა მიიღო საარბიტრაჟო პრეტენზია და ნინოს და თინას მათივე მოთხოვნის შესაბამისად, დაურჩენა თანასწორი რაოდენობის ორ-ორი არბიტრაჟის წევრი სულ ოთხი არბიტრაჟის წევრის შემადგენლობით და დანიშნა საარბიტრაჟო განხილვა.

კითხვა:

- სწორია თუ არა ნინოსა და თინას მოქმედება საარბიტრაჟო პრეტენზიის კერძო არბიტრაჟში შეტანასთან დაკავშირებით?
- მოცემულ შემთხვევაში, კანონიერია თუ არა კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

კაზუსი 70

კერძო არბიტრაჟმა გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და 20 ათასი ლარის გადახდა დააკისრა სს “იმელს”, შპს “იბერიას” სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, სს “იმელმა” უარი განაცხადა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე თანხის გადახდაზე.

კითხვა:

- აქვს თუ არა უფლება შპს “იმელს” უარი განაცხადოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე?

კაზუსი 71

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დინინშა ძეზვის შწარმოებელი შპს “არგოს” შემოწმება, რაზედაც გამოიტაცა ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება. შპს “არგოს” ხელმძღვანელებმა ვეტერინარიის თავმჯდომარის ბრძანება უსაფუძვლოდ ჩათვალეს და მოითხოვეს მოსამართლის ბრძანება.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ვეტერინარიის დეპარტამენტის მოქმედება შპს “არგოს” შემოწმებასთან დაკავშირებით?

კაზუსი 72

ცოტნემ საგზაო პოლიციაში წარადგინა ტექნიკურ დათვალიერებაზე პირად საკუთრებაში არსებული ავტომობილსა “ფორდი”. საგზაო პოლიციამ მოითხოვა მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა საგზაო პოლიციის მოთხოვნა?

კაზუსი 73

კობამ გააფორმა ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანია “ჰელიოსთან” და დააზღვია პირადი უანბრთულობა 20 ათას ლარად. ხელშეკრულების თანახმად, კობას 20 დღის ვადაში უნდა გადაეხადა სადაზღვევო შენატანი 600 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების გაფორმებიდან 30-ე დღეს კობამ გადაიხადა 400 ლარი. სადაზღვევო კომპანია “ჰელიოსმა” წერილი გაუგზავნა კობას და გააფრთხილა, თუ ერთი თვის ვადაში მთლიანად არ გადაიხდიდა სადაზღვევო შენატანს, მოშლიდა ხელშეკრულებას. გაფრთხილებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ “ჰელიოსმა” გააუქმა ხელშეკრულება.

კითხვა:

- უფლებამოსილია თუ არა სადაზღვევო კომპანია “ჰელიოსი” მოშალოს კობასთან ხელშეკრულება?

კაზუსი 74

ჯუმბერმა ხელშეკრულება გააფორმა სადაზღვეო კომპანიასთან და 40 ათას ლარად დააზღვია კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი. ხელშეკრულების შესაბამისად, სხვადასხვა სადაზღვეო რისკებთან ერთად, გათვალისწინებული იყო შენობის ხანძრით განადგურების რისკი. სადაზღვეო შესატანი ხელშეკრულებით შეადგენდა 1000 ლარს, რომელიც ჯუმბერს უნდა გადაეხადა ერთი თვის ვადაში. ჯუმბერმა დადგინო ვადაში შეძლო მხოლოდ 300 ლარის გადახდა. სადაზღვეო კომპანიამ ჯუმბერი წერილობით გააფრთხილა და მოითხოვა სადაზღვეო შესატანის სრულად გადახდა ორი კვირის ვადაში, გადაუხდელობის შემთხვევაში კი სადაზღვეო კომპანია გააუქმებდა ხელშეკრულებას. მიუხედავად ამისა, ჯუმბერმა დადგინო ორი კვირის ვადაში სადაზღვეო შესატანის გადახდა ვერ შეძლო. ამ წერილობითი გაფრთხილებიდან 20 დღის გასვლის შემდეგ, ჯუმბერის საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა ხანძარი და დაიწვა. ჯუმბერმა მოსთხოვა სადაზღვეო კომპანიას სადაზღვეო თანხის ანაზღაურება, რაზედაც კომპანიამ უარი განუცხადა.

კითხვა:

- მოკემულ შემთხვევაში, კანონიერია თუ არა სადაზღვეო კომპანიის უარი?

კაზუსების პასუხების ნიმუში**კაზუსი 1**

- დაირღვა, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, ნებისმიერი კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა საწარმოს საქმიანობის დაწყების დღიდან უნდა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსით სპს, როგორც გადასახადის გადამხდელი, ვალდებული იყო საქმიანობის დაწყების პირველი დღიდანვე ეწარმოებინა სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაერიცხება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადები და სანქცია-საურავები.

კაზუსი 2

- შესაძლებელია კს-ს მოთხოვნის განხორციელება.

კაზუსი 3

- შპს „თეთრონმა“ უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს.
- მას შეუძლია იჩიელოს პირველი ინსტანციის სასამართლოში.
- ადგილი აქვს ადმინისტრაციული ხასიათის სადავო ურთიერთობას.
- მოპასუხე მზარეა საგადასახადო ორგანო.

კაზუსი 4

- სამართლიანად მოიქცა, რადგან გიორგი არის არასრულწლოვანი, შეზღუდული ქმედუნარიანობით, მის მიერ კომპიუტერის შესაყენად აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლების (ამ შემთხვევაში მშობლების) თანხმობა.
- რაც შეეხება ნოდარის, ისიც ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად, რადგან ზში-რად იმყოფებოდა ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ და ოჯახს აყენებდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, აქედან გამომდინარე გამყიდველის საქციელი სამართლიანია.

კაზუსი 5

- საეარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა ხდება სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე, საგანკარგულებო წესით და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი საფუძვლად არ უდევს. აქედან გამომდინარე, მრეწველთა კავშირი ვერ შეძლებდა სამეცნიერო-კლექციით ინსტიტუტის დაფუძნებას.

კაზუსი 6

- ფონდის რეგისტრაცია ხორციელდება იუსტიციის სამინისტროში, სარეგისტრაციოდ აუცილებელია ნოტარიუსის მიერ დამოწმებული წესდება, რომელიც უნდა შეიცავდეს: საქმიანობის მიზანს, სახელწოდებას, შესაწირაის მინიმალურ ოდენობას და სხვ.

კაზუსი 7

- არ ეთანხმები, რადგან კლუბი წარმოადგენს კავშირს, რომელიც არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი, მის დასაფუძნებლად აუცილებელია საერთო მიზნით გაერთიანებული 5 პირი მინც.
- რაც შეეხება ხელმძღვანელობას, კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა და წევრთა საერთო კრება. კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება წევრთა საერთო კრებაზე, ხოლო მისი სახელით გარიგებას დებენ გამგეობის წევრები. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს ადგილმდებარეობის მიხედვით არსებული რაიონული სასამართლო, განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კაზუსი 8

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება უნდა მოხდეს წესდების მიხედვით, რადგან წესდება ასეთ უფლებამოსილ პირებს არ განსაზღვრავს, ამიტომ იუსტიციის სამინისტროს შეუძლია, ფონდის ლიკვიდაციის ნაცვლად, მოთხოვოს ფონდის მიზნის შეცვლა ან განახორციელოს სხვა ფონდებთან შერწყმა, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურება.

კაზუსი 9

- არ იყო სამართლიანი, რადგან საერთო კრების მოწვევა ხდება გამგეობის მიერ ან წევრთა ერთი მეთაუდის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
- ასოციაციის წევრობის მემკვიდრეობით გადაცემა დაუშვებელია.

კაზუსი 10

- ვეთანხმები, რადგან გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება 4 წლის ვადით (შეიძლება წესდებით სხვა ვადაც იყოს განსაზღვრული).
- წევრთა ერთი მეთაუდის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გამგეობას შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე კრება, მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ფედერაციის ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით, კრების დაწყებამდე 2 კვირით ადრე. აქედან გამომდინარე ახალი გამგეობის ჩამოყალიბება არაკანონიერია.

კაზუსი 11

- „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, 65 ადამიანს შეუძლია იურიდიული პირის დაარსება.
- რადგან დამფუძნებლებს მოგების მიღების გარდა ანტერესებით მათი მეურნეობის განვითარება, ამიტომ ეურჩევით ჩამოყალიბონ კოოპერატივი.

კაზუსი 12

- ნიკო ხუნდაძე ყოფილა საზოგადოების წარმომადგენელი ანუ პროკურისტი. გიზო არ ითვლება კანონიერ შემცველად, რადგან მას მხოლოდ სს-ის მიერ გაცემული გენერალური მინდობილობის საფუძველზე ეწებოდა პროკურისტის უფლებამოსილება.

კაზუსი 13

- სასამართლოს უარი საფუძვლიანი იყო, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, სს-ს დაფუძნება შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს. ამდენად, დამფუძნებელთა საჩივარი არამოტივირებულია.

კაზუსი 14

- გვეი წარმოადგენს სს-ს კომპლიმენტარს, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, სს-ს კომპლიმენტარები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პერსონალურად, ამიტომ გვეი ვალდებულია გადაიხადოს მობილური ტელეფონის საფასური.

კაზუსი 15

- პარტნიორს გააჩნია საზოგადოებიდან გასვლის უფლება, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა გააკეთოს.
- ნანას დაუბრუნდება მის მიერ შეტანილი შენატანი, დაბრუნება მოხდება საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით, ამას მოჰყვება ასევე წესდებაში ცვლილებები.
- ამის შემდეგ შს-ს საწესდებო კაპიტალი შეიცვება კანონით დადგენილ მინიმუმამდე. შეესება მოხდება ან ახალი პარტნიორის მიღების საფუძველზე, ან შს-ს პარტნიორები შეავსებენ ამ თანხას.

კაზუსი 16

- კოოპერატივში პირველი სამეურნეო წლისათვის, წევრებს შორის წლიური მოგება უნდა განაწილდეს მათ მიერ შესრულებული შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი - მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით, წინა წლის ბოლოს არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად.
- კაზუსის შინაარსი ზარეზიანია, რადგან რკ-ში პაის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ, მაგრამ ის უნაშთოდ უნდა იყოფოდეს 50-ზე.

კაზუსი 17

- კანონიერია, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია არ გასცეს დივიდენდი.
- სს-ში კაპიტალის გაზრდის მიზნით, შეუძლიათ გამოუმუშაონ ობლიგაციები, კონვერტიული სესხის ობლიგაციები და ოფციური სესხის ობლიგაციები, რისთვისაც საეაღდებულოა ეროვნული ბანკის თანხმობა.

კაზუსი 18

- სახეზეა ზარეზი, რადგან, როგორც წესი, კომანდითი არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში, მაგრამ თუ წესდებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, მაშინ იგი პასუხს აგებს შს-ის დირექტორის მსგავსად და არა კომპლიმენტარი დირექტორის მსგავსად.

კაზუსი 19

- თუ პირი საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ზარეზით არის კომისიონერი. სპს „მაია“ არის კომისიონერი. კომისიონერი პასუხისმგებელია მისთვის მიბარებულ ქონებაზე და ვალდებულია საწარმოს აცნობოს ხელშეკრულების კონტრაგენტი. სპს „მაიას“ უნდა ეცნობებინა რკ-სთვის მცხეთელი პარტნიორის შესახებ.

კაზუსი 20

- უცხოური საწარმოების ფილიალების რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო, რეგისტრაციისათვის განცხადებას უნდა დაერთოს: 1 ოურიდიული პირის მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.
- 2 ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა. 3 წესდების ასლი, 4 გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილება პირისათვის ხელმძღვანელობის უფლების მინიჭების თაობაზე, 3 ასევე უცხოეთის საწარმოს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კაზუსი 21

- შპს „მაკლერი“ წარმოადგენს სავაჭრო მაკლერს. მისი მომსახურების ანაზღაურების თაობაზე კონტრაგენტები უნდა შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ მაკლერის მომსახურების ანაზღაურება ორივე მხარეს შორის შუაზე იყოფა., რადგან სს „არავემა“ გადაიხადა საზღაურის ნახევარი, მისმა კონტრაგენტმაც უნდა გადაიხადოს ასევე ნახევარი.

კაზუსი 22

- „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, სს-ში სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევა ხდება წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით, სულ ცოტა 8 დღით ადრე სხდომის დაწყებამდე. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა არ იყო გადაწყვეტილებისუნარიანი, რადგან მას არ ეწერებოდა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. აქედან გამომდინარე, სს „არავემა“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკითხის გადაწყვეტის პროცედურა არაკანონიერია.

კაზუსი 23

- არ არის კანონიერი, რადგან საერთო კრებაზე თითოეულ მესამე შეიძლება გააჩნდეს არა უმეტეს 3 ხმის უფლება, ხოლო კრების ოქმში კი მითითებული იყო 130 ხმა.

კაზუსი 24

- კანონიერია, რადგან სს-ს დამფუძნებელი უნდა იყოს არანაკლებ 2 ფიზიკური პირი.
- ნინოს შეუძლია რეორგანიზაცია განახორციელოს და დარეგისტრირდეს:
 - ა) იპოვოს სხვა პარტნიორი ან პარტნიორები (ფიზიკური პირები) და დატოვოს სს, მაგრამ უნდა შეცვალოს სახელწოდება და სს-ს დაარქვას ერთ-ერთი პარტნიორის სახელი ან გვარი.
 - ბ) ჩამოაყალიბოს კს, ერთ-ერთი პარტნიორის – კომანდიტის სავარანტიო თანხის ხარჯზე.
 - გ) ჩამოაყალიბოს შპს, არანაკლებ 2000 ლარი საწესდებო კაპიტალით.
 - დ) ჩამოაყალიბოს სს, არანაკლებ 15000 ლარი საწესდებო კაპიტალით.
 - ე) ჩამოაყალიბოს კოოპერატივი, თუ მოგების მიღების გარდა, მიზნად დაისახავს სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას.

კაზუსი 25

- კრედიტორს უნდა მიემართა ადგილმდებარეობის მიხედვით არსებული სასამართლოსათვის.
- არ ვეთანხმები, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, შპს პასუხს აგებს საზოგადოების ქონებით და არა ნინოს და ნიკოს (დამფუძნებლების) პირადი ქონებით.

კაზუსი 26

- მუშა-მოსამსახურეები, მეიჯარე, სახელმწიფო ბიუჯეტი, შპს „ლილო“, სს „ნართ“.

კაზუსი 27

- სასამართლოს ქმედება კანონიერია, რადგან გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, ვალაუვალ მოვალეს ჩამოერთმევა გაკოტრების მასის მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება.
- კანონიერია აგრეთვე ბანკის ქმედება, რადგან სასამართლომ საქმის წარმოების გახსნის გადაწყვეტილების თაობაზე, უნდა აცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც ვალაუვალ მოვალეს ქონდა საქმიანი ურთიერთობა.

კაზუსი 28

- რადგან კრედიტორთა მოთხოვნების წარდგენის ვადა განისაზღვრა 15 აპრილამდე (ეი ჩატარებულია კრედიტორთა საბოლოო კრება, სადაც გამოვლინდა კრედიტორთა საბოლოო სია), ამ ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორს, მისი მოთხოვნის მოცულობის მიუხედავად, უფლება არა აქვს ჩაერთოს გაკოტრების საქმის წარმოებაში.

კაზუსი 29

- რადგან სააქციო კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოუშვეს მოწმობები, რომლებიც მითითებული პირობების თანახმად, გადაიქცეოდა აქციებად, ამიტომ ეს მოწმობები ყოფილა კონვერსიული სესხი.
- სს-მ კაპიტალის გაზრდის მიზნით შეუძლია გამოუშვას ფასიანი ქაღალდები: ობლიგაციები, კონვერსიული სესხის ობლიგაციები და ოფციური სესხის ობლიგაციები.

კაზუსი 30

- საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორი უფლებამოსილია, მოითხოვოს საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტები, მისი საქმიანობის შემოწმების მიზნით.
- კანონიერია, რადგან მოდავე პარტნიორს არა აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

კაზუსი 31

- "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის თანახმად, საწარმოს გაკოტრების მოთხოვნის უფლება გააჩნია ნებისმიერ მესამე პირს და ნებისმიერ კრედიტორს, აქედან გამომდინარე შსს "ანტრონის" მოთხოვნა საფუძვლიანია.
- შსს "ლაზის" ქონდა უფლება (არა ვალდებულება), დავალიანების დაფიქსირებიდან 3 კვირის ვადაში, მიემართა რაიონული სასამართლოსათვის განცხადებით, გაკოტრების საქმის გახსნის შესახებ.

კაზუსი 32

- სს"არგოს" მიმართ გაკოტრების საქმე უნდა გახსნილიყო ადგილმდებარეობის მიხედვით არსებულ სასამართლოში და არა საოლქო სასამართლოში.
- მართებული იყო, რადგან მან გაკოტრების ტაბულაში მითითებული რიგითობით დააკმაყოფილა კრედიტორები.

კაზუსი 33

- არ შეესაბამება, რადგან შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, მხარეებს შორის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით.

კაზუსი 34

- არ არის დაცული, რადგან შრომის კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანის სამუშაო კვირის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 სთ-ს, თამარის სამუშაო კვირა კი მოიცავს 77 სთ-ს, ასევე შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით, მუშაკს უნდა ჰქონდეს დასვენების დრო, თამარს კი შესვენება არ ეძლევა.

კაზუსი 35

- ადმინისტრაცია არ არის ვალდებული დააკაფოფილოს ქეთი, რადგან კანონი კრძალავს ყოველწლიური შევებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლას.

კაზუსი 36

- არ არის კანონიერი, რადგან ვადიანი შრომითი ხელშეკრულება არის არა უმეტეს 3 წლისა, საგამოცდო ვადა კი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

კაზუსი 37

- კანონიერი იყო, რადგან საქართველოს შრომის კანონმდებლობით ადმინისტრაციამ ზუსტად უნდა აღრიცხოს მუშაკის ზეგანაკეთური ნამუშევარი დრო და გაითვალისწინოს ხელფასის დაანგარიშების დროს, პირველი 2 საათისათვის მუშაკს ნამუშევარი უნდა აუნაზღაურდეს 1.5-ჯერ გაზრდილი ოდენობით, მომდევნო საათებისთვის კი ორმაგი ოდენობით.
- ქეთიმ უნდა მიმართოს შრომის დავის კომისიას ან პროფკავშირს 3 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც გაიგო, რომ ირღვევა მისი უფლებები. თუ მოდავე მზარეები არ დაეთანხმებან კომისიისა და პროფკავშირის გადაწყვეტილებას, მაშინ დავას განიზილავს სასამართლო.

კაზუსი 38

- არ არის კანონიერი, რადგან აღნავობის უფლება არის მიწის ნაკვეთის სხვა პირისათვის ვადიან სარგებლობაში გადაცემა, მასზე რაიმე ნაგებობის აღმართვის, ასევე მისი გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების ან გაქირავების უფლებით.

კაზუსი 39

- უფლება ჰქონდა, მაგრამ მას 2 კვირით ადრე უნდა გაეფრთხილებინა შპს "კოლგა", გირაოს საგნების რეალიზაციის შესახებ.

კაზუსი 40

- არ არის დასაშვები, რადგან კანონი კრძალავს ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომლის საგანი ხელშეკრულების მონაწილის მომავალი ქონებაა.

კაზუსი 41

- არა აქვს უფლება, რადგან სამოქალაქო კოდექსის თანახმად: "პირის სიცოცხლეში, მისი სამკვიდროს თაობაზე, სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია".

კაზუსი 42

- ადგილი აქვს სავალდებულო ნასყიდობას, გადაზიდვისა და მომსახურების ვალდებულებით.

კაზუსი 43

- არ ჩაითვლება, რადგან სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, როდესაც ხელშეკრულების პირობები იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მისი გათვალისწინება, მაშინ ასეთი პირობები არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

კაზუსი 44

- არ არის კანონიერი, რადგან სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადგილი აქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, რომლის შესრულებაც შეიძლება მოითხოვოს კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ამასთან, ოპერაცია განიხილება სადაზღვევო შემთხვევად. აქედან გამომდინარე, ქორიძეს უფლება აქვს სადაზღვევო კომპანიისაგან უშუალოდ მოითხოვოს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება.

კაზუსი 45

- საწარმოს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

კაზუსი 46

- რადგან თავდები ყოველთვის თანხის მიღების გარანტია და ცნობილი ვახდა, რომ იგი გარდაიცვალა, ამიტომ კრედიტორს, ამ შემთხვევაში სესხაძეს, უფლება აქვს მოითხოვოს ვალის დაბრუნება.

კაზუსი 47

- ივანიძემ ძველი მდგომარეობა რომ შეინარჩუნოს, უნდა გადაიხადოს თხელიძის ვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება დატოვოს სახლი.
- თხელიძესა და ბანკს შორის უნდა გაფორმებულიყო საკრედიტო-საიპოთეკო ხელშეკრულება.

კაზუსი 48

- ნიკას და აკაძელაზე უფლებამოსილია თავისი წილის ფარგლებში, რადგან ისიც ითვლება ნაკვეთის მესაკუთრედ. გარდა ამისა, ნიკას და გიორგის შორის დაიდო ზეპირი ხელშეკრულება, რომელიც ბათილია, რადგან უნდა ყოფილიყო წერილობითი.

კაზუსი 49

- შოთასა და სააგენტოს შორის წარმოიშვა საშუამავლო-ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა. აღნიშნული სააგენტო წარმოადგენს საბინაო მაკლერს.
- არ არის ვალდებული, რადგან მაკლერი გასამრჯელოს ვერ მიიღებს, თუ შემკვეთსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების საგანი, მაკლერის კუთვნილებაა ან მესამე პირის მფლობელობა.

კაზუსი 50

- შეეძლო შეეცვალა კონტრაგენტი, რადგან სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სანამ გადაუხდიველი ტვირთის მის მიღებას გადასცემდეს, გამზავნის უფლება აქვს მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა, განკარგოს ტვირთი და გადაუხდიველს მოსთხოვოს ზედნაღებში მითითებულ მესამე პირს არ მისცეს ტვირთი. აქედან გამომდინარე, ინდუმწარმეს ტვირთის მოთხოვნის უფლება არა აქვს.

კაზუსი 51

- აცნობონ ნიკას, რომ შეეძლო დაზღვეული სახლის გაყიდვა, რადგან სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დაზღვეული ქონების გასხვისება, გაყიდვა არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, ქონების შემქმნი ზღვდა დაზღვევით, ოღონდ ორივემ, შემქმნმა და გამსხვისებელმა ამის თაობაზე უნდა მიმართოს მზღვეველს. ნიკა ვალდებული იყო, სახლის გაყიდვის შესახებ ეცნობებინა „იმედისთვის“, აქედან გამომდინარე, მზღვეველის უარი ხელშეკრულების თაობაზე კანონიერი იყო.

კაზუსი 52

- ასოციაციის რეგისტრაციას ახორციელებს მისი იურიდიული მისამართის მიხედვით რაიონის სასამართლო.
- ასოციაციას იურიდიული პირის სტატუსი ენიჭება მხოლოდ სასამართლოში რეგისტრაციის მომენტიდან.
- წესდებაში საეალღებულოა მიეთითოს ასოციაციის მიზნები, რაც შეეხება ბუღალტრის, მასზე წესდებაში არ მიუთითებენ. ამ რეკვიზიტის გარეშე წესდებას სასამართლო არ მიიღებს, ვინაიდან სა-რეგისტრაციო დოკუმენტა ნუსხაში ერთ-ერთი უმთავრესი არის ასოციაციის წესდება, მის გარე-შე ან არასრულყოფილი წესდების საფუძველზე სასამართლო ასოციაციას რეგისტრაციაში არ გაა-ტარებს.

კაზუსი 53

- მითითებულ შემთხვევაში დაირღვა კანონის შემდეგი მოთხოვნები. კერძოდ,
 - ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, კემირის ყველა წევრი 2 კვირით ადრე უნდა გაფრთხილდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ.
 - ბ) ამავე კოდექსის თანახმად კემირის წევრებს მოწვევასთან ერთად უნდა ეცნობოს არა მარტო საერთო კრების თარიღი, არამედ დღის წესრიგიც, სამი დღის ვადაში შენიშვნების განსახორციელებლად.
 - გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საერთო კრებაზე წესდებაში ცვლილებების შესატანად საჭიროა დამსწრეთა ხმების ორი მესამედის თანხმობა.

კაზუსი 54

- სსს-ს რეორგანიზაცია საეალღებულოა, ვინაიდან სსს-ს დამფუძნებელი უნდა იყოს არანაკლებ ორი ფიზიკური პირი.
- ნინოს შეუძლია რეორგანიზაცია განახორციელოს და დარეგისტრირდეს:
 - იპოვოს სხვა პარტნიორი (ან პარტნიორები მხოლოდ ფიზიკური პირები) და დატოვოს სსს, თუმცა უნდა შეეკალოს სახელწოდება და სსს-ს დაარქვას ერთ-ერთი პარტნიორის სახელი ან გვარი ან/და სახელი და გვარი;
 - ჩამოაყალიბოს კს, ერთ-ერთი პარტნიორის –კომანდიტის საგარანტიო თანხის ფონზე;
 - ჩამოაყალიბოს შპს არანაკლებ 2000 ლარი საწესდებო კაპიტალით, თუნდაც მხოლოდ მან;
 - ჩამოაყალიბოს სს არანაკლებ 15000 ლარი საწესდებო კაპიტალით;
 - ჩამოაყალიბოს კოოპერატივი, თუკი მოგების მიღების გარდა ის მიზნად დაისახავს პარტნიორთა სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას ან ხელშეწყობას.

კაზუსი 55

- შპს „პიკის“ მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა კოოპერატივის დამფუძნებლებისაგან სა-მართლიანი და კანონიერი შემდეგი პირობების გამო:
 - ა) “შეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საზოგადოება იურიდიული პირია რეგის-ტრაციის მომენტიდან, ანუ სასამართლოს მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენიდან 15 დღის ვადაში, მოსამართლის მიერ დადგენილების გამოტანის მომენტიდან. ამრიგად, კოოპერატი-ვი „სხივი“ 20 აპრილს ევრ კიდევ არ იყო რეგისტრირებული.
 - ბ) იმავე კანონის შესაბამისად, საწარმოს მიერ რეგისტრაციაზე განხორციელებული ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამფუძნებლებს სოლიდარულად და არა საზოგადოე-ბას.
 - გ) სასამართლოს მიერ კოოპერატივი “სხივის” რეგისტრაცია არ განხორციელებდა იმ მოტივით, რომ მის წესდებაში საფირმო დასახელება (ფირმა) სრულად არაა მითითებული, რამეთუ “შე-

წარმოთა შესახებ” კანონის მე-6 მუხლით ფირმის სახელწოდება უნდა ჩამოყალიბდეს ქართულად და ერთ-ერთ უცხო ენაზე. განსახილველ შემთხვევაში უნდა მიეთითოს: რკ “სსხვი”

კაზუსი 56

- საწარმოს გაკოტრების მოთხოვნის უფლება გააჩნია ნებისმიერ მესამე პირს და საწარმოს ნებისმიერ კრედიტორს.
- დათოს მოთხოვნით ტოტალიზატორის გაკოტრების შესახებ საქმის აღძვრის საფუძველი უნდა იყოს ტოტალიზატორის გადახდისუნარიობა და დავალიანება, ხოლო საქმის აღძვრის პრეროგატივა მხოლოდ სასამართლოს გააჩნია.

კაზუსი 57

- მონოპოლიური მდგომარეობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ანტი-მონოპოლიურ სამსახურს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებითი დაყოფის შესახებ მოთხოვნის დასმის უფლება გააჩნია უკანასკნელის მიერ მითითებული კანონის არაერთგზის დარღვევის დაფიქსირებისას.
- იმავე კანონის შესაბამისად კს “ოილს” ანტიმონოპოლიურ სამსახურში დოკუმენტაცია უნდა წარედგინა მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში.
- “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, უპირატესია იმ კანონის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია გახუთ “საქართველოს რესპუბლიკაში”, ეინაიდან ის არის ერთ-ერთი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო.

კაზუსი 58

- ნიკოს და გიგას შთანხმება კანონიერია, ეინაიდან ის წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომელიც კანონით აღიარებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად. საზღაურის გადაუხდელობისა გიგა ნიკოს ვერ მოსთხოვს ბინის საკუთრებაში გადაცემას შემდეგი გარემოებების გაძი:
- მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ბინის გათვალისწინებას ეწოდება იპოთეკა, რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს, დადასტურდეს ნოტარიუსის მიერ და დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში;
- თუნდაც ნიკოსა და გიგას შორის კანონიერად გაფორმებულიყო იპოთეკის ხელშეკრულება, გიგას არც ერთ შემთხვევაში არა აქვს უფლება მოითხოვოს ნიკოს კუთვნილი ბინის საკუთრებაში გადაცემა, რადგან იპოთეკით დატვირთული ბინა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აუქციონზე უნდა გასხვიდეს.

კაზუსი 59

- არაკეთილსინდისიერი მხარე არის გამსესხებელი სს “არაგვი”, რომელიც შეგნებულად აჭიანურებს თანხის მიღებას იმ ფარული განზრახვით, რომ “იმედს” დააკისროს ვადაგადაცილებისათვის პროცენტებისა და ზარალის ანაზღაურება და ამით გაზარდოს თავისი შემოსავალი.
- “არაგვს” არ შეუძლია “იმედს” დააკისროს ვადაგადაცილებისათვის პროცენტებისა და ზარალის ანაზღაურება, რადგან მას ვალის გადახდის ვადა არ გადაუცილებია.
- იმისათვის, რომ “იმედი” არ ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერ მოვალედ, მას უფლება აქვს მის მიერ განხორციელებული შესრულება განათავსოს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე არა უმეტეს 3 წლით.

კაზუსი 60

- სასამართლო დაკმაყოფილებს ტაბატაძის სარჩელს შემდეგი გარემოებების გამო:
 - მესხმა, როგორც დირექტორმა და კრედიტორმა ნლობის ბოროტად გამოყენებით აიძულა ჯაფარიძე, ბინის მის საკუთრებაში გადასვლის მიზნით, მასთან ნასყიდობის ხელშეკრულება გაეფორმებინა, რაც სამოქალაქო კოდექსის 65-ე და 348-ე მუხლების შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილობის უცლო პირობაა.
 - მითითებულ ბინაში 12 წელი ქირით ცხოვრობდა მოსარჩელე ტაბატაძე, რომელიც სარგებლობდა უპირატესი შესყიდვის უფლებით
- მესხს უფლება არ ჰქონდა ჯაფარიძისაგან სესხის ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებინა უკანასკნელის კუთვნილი ბინა, რამდენადაც ის იძოვრებით დატვირთული არ იყო. მხარეებს შორის უნდა გაფორმებულიყო იძოვრების და არა გირაუნობის ხელშეკრულება. ამასთან, მესხი ვერასოდეს გახდებოდა ბინის მესაკუთრე, თუ არა სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის და მოსამართლის მიერ დანიშნული აუქციონში მონაწილეობით, ბინის გამოსყიდვის ფონზე.

კაზუსი 61

- სარეველაძე გადამზიდველს ვერ მოსთხოვს დანაკლისის ანაზღაურებას, ვინაიდან:
 - გადამზიდველი ვალდებული არაა შეამოწმოს გადასახიდი საქონლის რაოდენობა.
 - გადამზიდველისათვის პრეტენზიის წაყენების ვადა—ტვირთის მიღებიდან 7 დღე — გასულია.
 - ამ შემთხვევისას გადამზიდველს შეიძლება დაევალოს საქონლის გაფუჭების ფაქტის სარეველაძისათვის შეტყობინება.

კაზუსი 62

- სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მემკვიდრედ ყოფნის უფლება კი წარმოიშობა ჩასახვისთანავე და ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. სამოქალაქო კოდექსის 1336 მუხლის შესაბამისად, შოთა ითვლება პირველი რივის მემკვიდრედ და შესაბამისად მას გააჩნია სახლის ნაწილის მემკვიდრეობით მიღების უფლება.
- შოთას დედამ და მამიდებმა, როგორც კანონიერმა მემკვიდრეებმა, უნდა მიმართონ რაიონულ სასამართლოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით.

კაზუსი 63

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქმედობაუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იჭორწინებს თერამეტი წლის ასაკის მიღწევამდე;
- თავისი უფლების აღდგენის მიზნით, დათოს შეუძლია მიმართოს რაიონულ სასამართლოს საარჩევნო სიებში შეტანის მოთხოვნით.

კაზუსი 64

- საბაუოს თანამშრომლების მოთხოვნა კანონიერია და ოთარიძე ერთ ლიტრ ვისკეზე უნდა გადაიხადოს აქციზის გადასახადი, შემდეგ გარემოებათა გამო:
 - მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობას (კოლიზიას);
 - “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს 1996 წლის კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საგადასახადო კოდექსი არის იერარქიით უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტი, ვიდრე საქართველოს პარლამენტის დადგენილება;

- ამავე კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ, ანუ უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს;
- ამასთან, ამ კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე, თუ სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ სხვადასხვა ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

კაზუსი 65

- შსს "გორდას" მოთხოვნა კანონიერია, ვინაიდან:
 - მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსითა და "საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ" საქართველოს კანონით ლითონის მილის იმპორტი გადასახადებისაგან არ არის გათავისუფლებული, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ადგენს, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.
 - საწარმო "გორდას" ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს ზემდგომ სახელმწიფო დაწესებულებას ან სასამართლოს.

კაზუსი 66

- "საქართველოს საკონსულტაციო სასამართლოს შესახებ" კანონის თანახმად, ირაკლიმ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, სარჩელით უნდა მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

კაზუსი 67

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სამოქალაქო სარჩელებს, რომლის დავის საგანი აღემატება 500 ათას ლარს, განიხილავენ საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს უარი სარჩელის მიღებაზე არის კანონიერი.

კაზუსი 68

- სააქციო საზოგადოება "საქცემენტის" მოქმედება კერძო არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანასთან დაკავშირებით, ცემენტის ღირებულების ანაზღაურების მიზნით, არასწორია, ვინაიდან "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კერძო არბიტრაჟი განიხილავს დავებს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო საკითხებზე, მხოლოდ მათივე შეთანხმებით. სააქციო საზოგადოება "საქცემენტმა" კი საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა კერძო არბიტრაჟს შსს "პორიზონტთან" შეთანხმების გარეშე.
- მოცემულ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოება "საქცემენტი" უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს საერთო სასამართლოს და მოითხოვოს შსს "პორიზონტისაგან" ცემენტის ღირებულების ანაზღაურება.

კაზუსი 69

- "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კერძო არბიტრაჟი დავებს განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო საკითხებზე, მათივე შეთანხმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნინოსა და თინას მითითებული მოქმედება სწორია.

- კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან, ზემოთ ნახსენები კანონის თანახმად, არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი. ამასთან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ არბიტრაჟი ვალდებულია ხუთი დღის ვადაში დანიშნოს არბიტრაჟის კიდევ ერთი წევრი.

კაზუსი 70

- “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ შესრულდება, აღსრულება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული საარბიტრაჟო წარწერის საფუძველზე.

კაზუსი 71

- “სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას (მათ შორის შეიძლება საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობა) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

კაზუსი 72

- საქართველოს კანონის “ავტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ” მე-3 მუხლის შესაბამისად, ავტორტრანსპორტის მფლობელი ვალდებულია დააზღვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ყოველ ავტორტრანსპორტზე.
- ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საგზაო პოლიციის ორგანოები მოვალენი არიან ტექნიკურ დათვალიერებაზე არ გაატარონ ის ავტორტრანსპორტი, რომლის მფლობელსაც არა აქვს გაფორმებული შესაბამისი დაზღვევა.

კაზუსი 73

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდისათვის ხელშეკრულების მოშლის პირობებს. თუ დაზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანის თანხა, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დაზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და თუ ამ ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მთლიანად არ იქნა გადახდილი, მზღვეველს შეუძლია მომალოს ხელშეკრულება.

კაზუსი 74

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დაზღვევს ეკისრება სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დაზღვევის მიერ გადაცილებულია სადაზღვევო შესატანის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან.

ტესტები

(პასუხები იხ. 364-ე გვერდზე)

საქართველოს კონსტიტუცია

1. საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდებაა:
 - ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;
 - ბ. საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა;
 - გ. საქართველოს რესპუბლიკა;
 - დ. საქართველო.
2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმაა:
 - ა. ფედერაციული რესპუბლიკა;
 - ბ. მონარქიული სახელმწიფო;
 - გ. დემოკრატიული რესპუბლიკა;
 - დ. უნიტარული სახელმწიფო.
3. საქართველოს მოქალაქე იმად ითვლება:
 - ა. შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე;
 - ბ. შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით;
 - გ. შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, მხოლოდ პარლამენტის თანხმობით;
 - დ. არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.
4. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა:
 - ა. დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის თანხმობით;
 - ბ. დასაშვებია მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით;
 - გ. დაუშვებელია;
 - დ. დასაშვებია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.
5. ველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში:
 - ა. არა აქვს საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავისუფლად მიმოსვლის უფლება;
 - ბ. არა აქვს საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავისუფლად მიმოსვლის უფლება, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე;
 - გ. აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება;
 - დ. აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება.
6. საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს:
 - ა. მხოლოდ გენერალური პროკურორი;
 - ბ. სახალხო დამცველი;
 - გ. მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი;
 - დ. მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
7. საქართველოს პარლამენტი არის:
 - ა. საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო;
 - ბ. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო;
 - გ. საზედამხედველო ხელისუფლების ორგანო;
 - დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.

8. საქართველოს პარლამენტი აირჩევა:
- 3 წლის ვადით;
 - 4 წლის ვადით;
 - 5 წლის ვადით;
 - 6 წლის ვადით.
9. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა:
- 3 წლის ვადით;
 - 4 წლის ვადით;
 - 5 წლის ვადით;
 - 6 წლის ვადით.
10. საქართველოს პარლამენტი შედგება:
- 200 წევრისაგან;
 - 235 წევრისაგან;
 - 250 წევრისაგან;
 - 215 წევრისაგან.
11. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე:
- 18 წლის ასაკიდან;
 - 20 წლის ასაკიდან;
 - 25 წლის ასაკიდან;
 - 30 წლის ასაკიდან.
12. საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს იღებს:
- სიითი შემადგენლობის 2/3-ით;
 - სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
 - სიითი შემადგენლობის 1/3-ით;
 - სრული სიითი შემადგენლობით.
13. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია:
- მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს;
 - მხოლოდ საქართველოს პარლამენტს, დადგენილებით;
 - მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით;
 - მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.
14. სასამართლო გადაწყვეტილება:
- შეიძლება იყოს საიდუმლო, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით;
 - ცხადდება საქვეყნოდ;
 - შეიძლება იყოს საიდუმლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
 - შეიძლება იყოს საიდუმლო, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.
15. საქართველოს მოქალაქეს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს:
- 14 წლის ასაკიდან;
 - 16 წლის ასაკიდან;
 - 18 წლის ასაკიდან;
 - 24 წლის ასაკიდან.

16. საქართველოს პრეზიდენტი კანონს ხელს აწერს:
- ორი დღის ვადაში;
 - ხუთი დღის ვადაში;
 - ათი დღის ვადაში;
 - 15 დღის ვადაში.
17. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე:
- 18 წლის ასაკიდან;
 - 25 წლის ასაკიდან;
 - 35 წლის ასაკიდან;
 - 40 წლის ასაკიდან.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს:
- ირჩევს საქართველოს პარლამენტი
 - ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი;
 - ირჩევენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები;
 - არც ერთი ჩამოთვლილთაგან.
19. საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს:
- საქართველოს პარლამენტი;
 - ცენტრალური საარჩევნო კომისია;
 - საქართველოს სახელმწიფო კანცელარია;
 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.
20. საქართველოში გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია:
- მხოლოდ კანონით;
 - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
 - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაუო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით;
 - ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.
21. საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის ზედამხედველობას ახორციელებს:
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
 - საქართველოს პრეზიდენტი;
 - საქართველოს კონტროლის პალატა;
 - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.
22. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია:
- საქართველოს პრეზიდენტის წინაშე;
 - საქართველოს პარლამენტის წინაშე;
 - საქართველოს მთავრობის წინაშე;
 - საქართველოს უშიშროების საბჭოს წინაშე.
23. საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს:
- საქართველოს კონტროლის პალატა;
 - საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო;

- გ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- დ. საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს საბაჟო კოდექსი

1. საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელება განეკუთვნება:
 - ა. უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას;
 - ბ. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა განმგებლობას;
 - გ. ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო ორგანოთა განმგებლობას;
 - დ. უმაღლეს და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა განმგებლობას
2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიას შეიძლება შეადგენდეს:
 - ა. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი თავისუფალი საბაჟო საწყობის ტერიტორია;
 - ბ. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი თავისუფალი საბაჟო ზონები;
 - გ. საქართველოს საბაჟო სივრცე;
 - დ. სწორია „ა“ და „ბ“.
3. საბაჟო სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზელშეკრულების საფუძველზე:
 - ა. უფლება აქვს მოიწვიოს უცხო ქვეყნის ექსპერტები;
 - ბ. უფლება არა აქვს მოიწვიოს უცხო ქვეყნის ექსპერტები;
 - გ. უფლება აქვს მოიწვიოს უცხოელი ექსპერტები, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე;
 - დ. უფლება აქვს მოიწვიოს უცხოელი ექსპერტები, მხოლოდ საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე.
4. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აქტებს:
 - ა. აქვთ უკუქცევითი ძალა;
 - ბ. არა აქვთ უკუქცევითი ძალა, მხოლოდ სავალუტო კონტროლის განხორციელების სფეროში;
 - გ. აქვთ უკუქცევითი ძალა, მხოლოდ სავალუტო კონტროლის განხორციელების სფეროში;
 - დ. არა აქვთ უკუქცევითი ძალა, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.
5. საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საბაჟო რეჟიმს ირჩევს:
 - ა. საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი;
 - ბ. საბაჟო გამშვები პუნქტის ცვლის უფროსი;
 - გ. საბაჟო ორგანოს უფროსი;
 - დ. საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო მოხელე.
6. საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაშადგილებელ პირს უფლება აქვს შეცვალოს არჩეული საბაჟო რეჟიმი:
 - ა. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით;
 - ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;
 - გ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით;
 - დ. ნებისმიერ დროს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ადგილს განსაზღვრავს:
 - ა. საქართველოს პრეზიდენტი;
 - ბ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;
 - გ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
 - დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
8. რეიპორტის საბაჟო რეიფში მოქცეული საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე:
 - ა. გატანის მომენტიდან არა უგვიანეს სამი წლისა;
 - ბ. გატანის მომენტიდან არა უგვიანეს ერთი წლისა;
 - გ. გატანის მომენტიდან არა უგვიანეს ორი წლისა;
 - დ. გატანის მომენტიდან არა უგვიანეს ხუთი წლისა.
9. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება უნდა:
 - ა. დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით;
 - ბ. გადაშუადეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ხოლო გადაშუადების შედეგად მიღებული პროდუქტი გატანილ იქნეს საბაჟო ტერიტორიიდან;
 - გ. გადაშუადეს საქართველოს გარეთ, ხოლო გადაშუადების პროდუქტი შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;
 - დ. შემოტანილ იქნეს საბაჟო ტერიტორიაზე დასაწყობების მიზნით, საქონლის თავისუფალ მოქცევაში შემდგომი გაშვების ვალდებულებით.
10. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საქონლის დროებითი შემოტანის და/ან გატანის ვადას ადგენს:
 - ა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
 - ბ. საქართველოს საბაჟო ორგანო, ასეთი შემოტანისა და/ან გატანის მიზეზებისა და გარემოებების გათვალისწინებით;
 - გ. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო;
 - დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავადასახადო დეპარტამენტი.
11. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საქონლის რეექსპორტი დაიშვება:
 - ა. საქართველოს პრეზიდენტის ნებართვით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
 - ბ. საქართველოს პარლამენტის ნებართვით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
 - გ. საბაჟო ორგანოს ნებართვით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
 - დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
12. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, განადგურების საბაჟო რეიფში მოქცეულ საქონელს ანადგურებს:
 - ა. მესაკუთრე ან მფლობელი საკუთარი სახსრებით;
 - ბ. საბაჟო ორგანო საკუთარი სახსრებით;
 - გ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
 - დ. საქართველოს ჭინების მართვის სამინისტრო.
13. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებისას, დეკლარანტი არ არის ვალდებული:
 - ა. უზრუნველყოს საბაჟო გადასახდელების გადახდა;
 - ბ. საბაჟო ორგანოს მოთხოვნით წარადგინოს საჭირო საბუთები და ცნობები;

- გ. მოახდინოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება, საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული წესის მიხედვით;
- დ. განახორციელოს საქონლის გადაზიდვის ოპერაციები .
14. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო დეკლარაციის სახეს არ განეკუთვნება:
- სატიერთო-საბაჟო დეკლარაცია;
 - ფიზიკური პირის დეკლარაცია;
 - სპეციალური სატიერთო-საბაჟო დეკლარაცია;
 - განსაკუთრებული სატიერთო-საბაჟო დეკლარაცია.
15. პირისა და საბაჟო გადაზიდველის ურთიერთობას საფუძვლად უდევს:
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება;
 - ხელშეკრულება;
 - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დებულება;
 - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულება.
16. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება ხდება:
- საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე;
 - მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე;
 - მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე;
 - მხოლოდ საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე.
17. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო კონტროლს ექვემდებარება:
- საქართველოს პრეზიდენტი;
 - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
 - საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წევრები;
 - საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებული ერთობლივი საწარმოს თანამშრომლები.
18. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, დიპლომატიურ ფოსტაში შეიძლება მოთავსებულ იყოს:
- მხოლოდ დიპლომატიური საბუთები და ოფიციალური სარეგულობისათვის გათვალისწინებული საქონელი;
 - ნებისმიერი პირადი მოხმარების საგნები და საბუთები;
 - დიპლომატიური წარმომადგენლის პირადი მიმოწერა;
 - დიპლომატიური წარმომადგენლობის შესანახი ფულადი თანხები.
19. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო რეჟიმებს არ განეკუთვნება:
- განადგურება;
 - უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ;
 - რეტრანზიტი;
 - უბაჟო ვაჭრობა.
20. საქართველოს საბაჟო კოდექსის თანახმად, საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებათა დადება ზორციელდება:
- საბაჟო ორგანოების მიერ;
 - იმპორტიორის მიერ;
 - საგადასახადო ორგანოს მუშაკის მიერ;
 - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ.

საძარბოველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“

1. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია:
 - ა. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის ორგანიზაცია;
 - ბ. საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საბაჟო პროცედურებისათვის საბაჟო მოსაკრებლების სახეებისა და განაკვეთების განსაზღვრა;
 - გ. საქართველოს გეონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან;
 - დ. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.
2. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბაჟო ტარიფი გამოიყენება:
 - ა. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი და/ან ამ ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მიმართ;
 - ბ. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის მიმართ;
 - გ. სტიქიური უბედურების ლიკვიდაციის მიზნით შემოტანილი საქონლის მიმართ;
 - დ. ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის შემოტანილი საქონლის მიმართ.
3. საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები:
 - ა. ჩვეულებრივი, სეზონური, ადვალური;
 - ბ. სპეციალური, ანტიდემპინგური, საკომენსაცო;
 - გ. სპეციფიკური, კომბინირებული, ადვალური;
 - დ. ჩვეულებრივი, სეზონური, სპეციფიკური.
4. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეებია:
 - ა. ჩვეულებრივი, სეზონური, განსაკუთრებული;
 - ბ. ადვალური, სპეციფიკური, კომბინირებული;
 - გ. სპეციალური, ანტიდემპინგური, საკომენსაცო;
 - დ. ჩვეულებრივი, სპეციალური, კომბინირებული.
5. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბაჟო გადასახადის განაკვეთები:
 - ა. სხვადასხვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
 - ბ. ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
 - გ. ერთიანია საქართველოს ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკების გარდა;
 - დ. დაყოფილია (განსხვავებულია) საქართველოს კუთხეების მიხედვით.
6. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ კანონის თანახმად, საბაჟო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული არ არის:
 - ა. ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 500 ლარის ღირებულების საქონელი;
 - ბ. სტიქიური უბედურების სალიკვიდაციოდ შემოტანილი საქონელი;
 - ბ. საქართველოს სახელმწიფო აღმით მცურავი გემები;
 - დ. საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის.

7. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება:
- საქონლის ღირებულების მიხედვით;
 - საქონლის საბაჟო ღირებულებას დამატებული საბაჟო მოსაკრებლის თანხის მიხედვით;
 - საქონლის ღირებულებას დამატებული დაზღვევის თანხის მიხედვით;
 - საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით.
8. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქონლის საბაჟო ღირებულება არ მოიცავს:
- გარიგების ფასს საქონლის შეძენისას;
 - საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯებს;
 - საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ტრანსპორტირების ხარჯებს;
 - საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე დაზღვევის ხარჯებს.
9. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება ქვეყანა:
- სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოშობილი ან გადამუშავებული;
 - სადაც საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში იქნა გაშვებული და შემდგომ ექსპორტირებული;
 - სადაც საქონელი არ იქნა წარმოებული, მაგრამ თავისუფალ მიმოქცევაში იქნა გაშვებული;
 - სადაც მოხდა საქონლის შეფუთვა.
10. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტია:
- ავტოსტრანსპორტო ზედღებულები;
 - კონოსამენტი;
 - სატეირთო - საბაჟო დეკლარაცია;
 - საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

საქართველოს კანონი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“

1. „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით დადგენილია:
- მიგრანტთა ინსპექტირებისას გადასახდებიანებული მოსაკრებლების ოდენობა და გადახდებიანების წესი;
 - საბაჟო პროცედურებისა და ლიცენზიის გაცემისათვის გადასახდებიანებული მოსაკრებლების სახეები და განაკვეთები, ამ მოსაკრებლების გადახდებიანების წესი და ვადები;
 - რეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებზე სალიცენზიო მოსაკრებლების გადახდებიანების წესი;
 - საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადის განაკვეთები და დაბეგერის წესი.
2. „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ კანონის თანახმად, საბაჟო მოსაკრებლების სახეებია:
- მოსაკრებელი მედიკამენტების იმპორტზე ლიცენზიის გაცემისათვის;
 - მოსაკრებელი საქართველოში პირების შემოსვლისათვის;
 - მოსაკრებელი საქართველოდან პირების გასვლისათვის;
 - მოსაკრებლები საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისა და საბაჟო ორგანიზების მიერ ლიცენზიის გაცემისათვის;

3. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში საქონლის საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთებია:
 - ა. საქონლის საბაჟო ღირებულების 0,1 პროცენტი;
 - ბ. საქონლის საბაჟო ღირებულების 0,3 პროცენტი;
 - გ. საქონლის საბაჟო ღირებულების 0,2 პროცენტი;
 - დ. საქონლის საბაჟო ღირებულების 0,15 პროცენტი.
4. საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტით ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს:
 - ა. ერთ დეკლარაციაზე 200 ლარს;
 - ბ. ერთ დეკლარაციაზე 100 ლარს;
 - გ. ერთ დეკლარაციაზე 300 ლარს;
 - დ. ერთ დეკლარაციაზე 150 ლარს.
5. საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტით ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს:
 - ა. ერთ დეკლარაციაზე 100 ლარს;
 - ბ. ერთ დეკლარაციაზე 300 ლარს;
 - გ. ერთ დეკლარაციაზე 500 ლარს;
 - დ. ერთ დეკლარაციაზე 200 ლარს.
6. საქართველოს ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტით ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს:
 - ა. ერთ დეკლარაციაზე 150 ლარს;
 - ბ. ერთ დეკლარაციაზე 300 ლარს;
 - გ. ერთ დეკლარაციაზე 200 ლარს;
 - დ. ერთ დეკლარაციაზე 100 ლარს.
7. „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ კანონის თანახმად, საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან გათავისუფლებულია:
 - ა. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანა;
 - ბ. საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტით ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი;
 - გ. საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი;
 - დ. ჰუმანიტარული დახმარების მიზნით იმპორტირებული საქონელი.
8. „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ კანონის თანახმად, საბაჟო მოსაკრებლები გადახდებიან:
 - ა. ანგარიშ-სპეციფიკაციის მიხედვით;
 - ბ. სატრანსპორტო ზედღებულის საფუძველზე;
 - გ. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე;
 - დ. ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

საბართმელოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ უფლებამოსილებათა შესახებ

1. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის:
 - ა. სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი გეგმა;
 - ბ. სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების ფულადი სახსრების მობილიზაციის ძირითადი გეგმა;
 - გ. სახელმწიფო არასაბიუჯეტო ორგანიზაციების ფულადი სახსრების მობილიზაციის ძირითადი გეგმა;
 - დ. სახელმწიფოს მიერ მხოლოდ საგადასახლო შემოსულებით ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების გეგმა.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება:
 - ა) ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდებისაგან.
 - ბ) ცენტრალური ბიუჯეტისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისაგან;
 - გ) ცენტრალური ბიუჯეტის, ფონდებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისაგან;
 - დ) ცენტრალური ბიუჯეტის, სპეციალური სახელმწიფო ფონდების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისაგან.
3. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სპეციალური სახელმწიფო ფონდებია:
 - ა) სახელმწიფო სამობილიზაციო რეზერვების ფონდი;
 - ბ) პრეზიდენტის ფონდი;
 - გ) სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და საგზაო ფონდი;
 - დ) საენსიო ფონდი.
4. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბიუჯეტის სექსტრს არ ექვემდებარება:
 - ა) კაპიტალური ხარჯები;
 - ბ) თავდაცვის ხარჯები;
 - გ) დაცული მუხლები;
 - დ) განათლების ხარჯები.
5. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტებს ამტკიცებს:
 - ა) პრეზიდენტი;
 - ბ) ფინანსთა მინისტრი;
 - გ) ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო;
 - დ) გამგებელი.
6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს:
 - ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრო;
 - ბ) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრო ინდიკატური გეგმის საფუძველზე;
 - გ) საქართველოს სახელმწიფო კანცელარია;
 - დ) საქართველოს პრეზიდენტი.

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები ერთმანეთისაგან:
- ა) დამოუკიდებელი არიან;
 - ბ) არიან დამოკიდებულები;
 - გ) მხოლოდ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებია დამოკიდებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტზე;
 - დ) მხოლოდ აფხაზეთისა და აჭარის ა/რ ბიუჯეტებია დამოკიდებული საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტზე.
8. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს იღებს:
- ა) საქართველოს პარლამენტი;
 - ბ) საქართველოს პრეზიდენტი;
 - გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
 - დ) საქართველოს მთავრობა.
9. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნებაართუების, ლიცენზიების გაცემასა და სხვა სახის სახელმწიფო (ან სახელმწიფოს სახელით) მომსახურების გაწევიდან მიღებული მოსაკრებელი და საფასური ჩაირიცხება:
- ა) ცენტრალურ ბიუჯეტში;
 - ბ) შესაბამისი ორგანიზაციის სპეციალურ ბიუჯეტში;
 - გ) სპეცფონდების ანგარიშზე;
 - დ) ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში.
10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს:
- ა) საქართველოს პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა;
 - ბ) მხოლოდ საქართველოს პარლამენტი;
 - გ) მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატა;
 - დ) მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სამართლმცოდნეობის კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“

1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი არის:
- ა. საქართველოს ბიუჯეტებში შენატანები;
 - ბ. საქართველოს სპეციალურ ფონდებში შენატანები;
 - გ. კომერციულ ბანკებში შენატანები;
 - დ. მხოლოდ ეროვნულ ბანკში შენატანები.
2. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადამხდელები შეიძლება იყვნენ:
- ა. მხოლოდ ფიზიკური პირები;
 - ბ. მხოლოდ იურიდიული პირები;
 - გ. ფიზიკური და იურიდიული პირები;
 - დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
3. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი გადაიხდებიან:
- ა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას;
 - ბ. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას;

- გ. საერთო სასამართლოებში განსახილველი სასარჩელო ან სხვა განცხადებებსა და საჩივრებზე;
 - დ. მოხელის პენსიაზე გასვლის მომენტში.
4. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ყველა სარჩელზე თავისუფლება:
- ა. ყველა ფიზიკური პირი;
 - ბ. ყველა იურიდიული პირი;
 - გ. საქართველოს ეროვნული ბანკი;
 - დ. ინდივიდუალური მეწარმეები.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

- 1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მიღებულია:
 - ა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ;
 - ბ. სახელმწიფო მინისტრის მიერ;
 - გ. საქართველოს პარლამენტის მიერ;
 - დ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.
- 2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობა არის:
 - ა. მართლზომიერი და არაერთგვარადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად;
 - ბ. მოგების მიზნით განხორციელებული ერთგვარადი სავაჭრო საქმიანობა;
 - გ. პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების გაყიდვა, ფულადი სახსრების მიღების მიზნით;
 - დ. პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის გაყიდვა ფულადი სახსრების მიღების მიზნით.
- 3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინდივიდუალური საწარმო:
 - ა. არის იურიდიული პირი;
 - ბ. არის ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის ფორმა;
 - გ. არის სამეწარმეო რეესტრში არარეგისტრირებული პირი;
 - დ. არის კომანდიტური საზოგადოება.
- 4. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შვლედული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის:
 - ა. საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით;
 - ბ. საზოგადოება, რომელიც უნდა აწარმოებდეს მხოლოდ პირველადი მოხმარების საქონელს;
 - გ. საზოგადოება, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს;
 - დ. საზოგადოება, რომელსაც აქვს ყველანაირი საქმიანობის უფლება, გარდა საქონლის იმპორტისა.
- 5. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააქციო საზოგადოება არის:
 - ა. საზოგადოება, რომლის კაპიტალი შეადგენს სულ ცოტა 2000 ლარს;
 - ბ. საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი, მინიმუმ 15000 ლარის ოდენობით;
 - გ. საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ფორმა;
 - დ. საზოგადოება, რომლის კაპიტალი შეადგენს სულ ცოტა 5000 ლარს.

6. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, იურიდიული პირების რეგისტრაცია ხდება:
 - ა. ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობის მიერ;
 - ბ. სასამართლოს მიერ;
 - გ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ;
 - დ. ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ.
7. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დასაარსებლად აუცილებელი მინიმალური საწევრებო კაპიტალი შეადგენს:
 - ა. 2 ათას ლარს;
 - ბ. 10 ათას ლარს;
 - გ. 15 ათას ლარს;
 - დ. 20 ათას ლარს.
8. სასამართლო ეალდებულია სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარმოებიდან:
 - ა. ორი კვირის ვადაში;
 - ბ. 20 დღის ვადაში;
 - გ. 7 კალენდარულ დღეში;
 - დ. ერთი თვის ვადაში.
9. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმოს ფილიალები:
 - ა. წარმოადგენენ კონცერნებს;
 - ბ. წარმოადგენენ იურიდიულ პირს;
 - გ. არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს;
 - დ. სწორია „ა“ და „გ“.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი და
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი

1. საქართველოს შრომის კანონის კოდექსის შესაბამისად, მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შეცირებისას, თანაბარი პირობების შემთხვევაში, სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა აქვს:
 - ა. ოჯახის მესატრონეს, თუ ცმყოფაზე ჰყავს ორი ან მეტი პირი, ასევე მარტოხელა დედებს და ქალებს, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი;
 - ბ. იმ პირს, ვის მიმართაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა თანამდებობრივი სარგოს ამაღლება;
 - გ. იმ პირს, ვისი მშობლებიც არიან გამოფონებლები;
 - დ. თუ თანამდებობაზე დანიშნული იყო უვადოდ.
2. საქართველოს შრომის კანონის კოდექსის შესაბამისად, ღამით სამუშაოებზე არ დაიშვებიან:
 - ა. ქალები, რომლებსაც ჰყავთ 2 და მეტი შვილი;
 - ბ. ორსული ქალები, მეტბერი დედები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები;
 - გ. საქენსიო ასაკის მქონე თანამშრომლები;
 - დ. სწორია „ა“, „ბ“ და „გ“ ერთად.
3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურის სახეებია:
 - ა. სამსახური საქციო საზოგადოებაში;
 - ბ. სახელმწიფო სამსახური;
 - გ. სამსახური მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში;

- დ. სამსახური უცხოეთის ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობაში.
4. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხელე არის პირი:
- რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების სამტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე;
 - რომელიც ინიშნება დაწესებულების შტატგარეშე თანამდებობაზე;
 - რომელიც მიიღება ხელშეკრულების საფუძველზე;
 - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი.
5. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო მოხელე, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედობუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და:
- მიაღწია 16 წლის ასაკს;
 - მიაღწია 18 წლის ასაკს;
 - მიაღწია 21 წლის ასაკს;
 - მიაღწია 23 წლის ასაკს.
6. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოსამსახურის ანაზღაურებადი შევებულების მინიმალური ხანგრძლივობაა:
- 20 კალენდარული დღე;
 - 25 კალენდარული დღე;
 - 30 კალენდარული დღე;
 - 35 კალენდარული დღე.
7. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო, საჯარო მოხელის გათავისუფლების ვადებია:
- გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ათი დღით ადრე;
 - გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის შემდეგ;
 - სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს;
 - გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი დღის შემდეგ.
8. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქეობის შეცვლის გამო:
- მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან;
 - მოხელეს უბრუნდება შტატით გათვალისწინებული თანამდებობა;
 - მოხელესთან შეჩერდება სამსახურებრივი ურთიერთობები;
 - მოხელე ჩაირიცხება მოხელეთა რეზერვში.
9. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოსამსახურეს არა აქვს უფლება:
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
 - ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას;
 - დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად;
 - მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით.

10. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ეჭვის თაობაზე მოსამსახურებზე:
- უპირობოდ შეასრულოს განკარგულება;
 - დაუყოვნებლივ აცნობოს განკარგულების გამცემ და ზემდგომ უფროსს;
 - დაუყოვნებლივ აცნობოს, მხოლოდ განკარგულების გამცემის ზემდგომ უფროსს;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
11. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურად არ ითვლება:
- საქართველოს იუსტიციის საბჭო;
 - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
 - საქართველოს პროკურატურა;
 - საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა აპარატი.
12. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურე მიიღება:
- გარკვეული ვადით;
 - განუსაზღვრელი ვადით;
 - მხოლოდ ერთი თვით;
 - მხოლოდ სამი თვით.
13. საჯარო მომსახურე ყოველწლიურად წარადგენს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ ცნობას (დეკლარაციას):
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატის ტერიტორიულ ორგანოში;
 - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საგადასახადო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოში;
 - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საბანკო დაწესებულებაში;
 - ქონების მართვის სამინისტროში.
14. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ერთი დისციპლინარული გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის:
- მხოლოდ ერთი ზომა;
 - მხოლოდ ორი ზომა;
 - მხოლოდ შენიშნა და გაფრთხილება ერთდროულად;
 - ჩამოთვლილთაგან ყველა.

**საპარტემენტო კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების
სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ“**

- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია:
 - საქართველოს პრეზიდენტი;
 - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
 - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
 - პარლამენტის ვიცე-სპიკერი.
- საქართველოს მთავრობა არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან:
 - საპარლამენტო კომისიები;
 - სამთავრობო კომისიები;

- გ. სახელმწიფო მინისტრი და მინისტრები;
 დ. სწორია „ა“, „ბ“, „გ“ ერთად.
3. საქართველოში მინისტრისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტის პროექტი გადაეცემა დასკვნის გასაკეთებლად, მისი საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ და შემდგომ რეესტრში გასატარებლად:
 ა. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიას;
 ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს;
 გ. საქართველოს პრეზიდენტის აპარატს;
 დ. დამოუკიდებელ იურისტთა ასოციაციას.
4. საქართველოს მთავრობის შემადგენლობის მიერ უფლებამოსილებათა მოხსნა ან სხვა საფუძველზე მინისტრის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა მინისტრის პირველი მოადგილის და სხვა მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველი:
 ა. არ არის;
 ბ. არის;
 გ. არის იმ შემთხვევაში, როცა მოსახლეობა მოითხოვს;
 დ. არის პარლამენტის გადაწყვეტილების შემთხვევაში.
5. საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გადაცემას სამინისტროს მმართველობის სფეროში, თუ კანონით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული, ახორციელებს:
 ა. საქართველოს პარლამენტი;
 ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
 გ. საქართველოს პრეზიდენტი;
 დ. სწორია „ა“ და „ბ“.
6. საქართველოს მთავრობის სხლომის მოწვევის დროს დღის წესრიგს ამტკიცებს:
 ა. საქართველოს პრეზიდენტი;
 ბ. საქართველოს პარლამენტი;
 გ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
 დ. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი.
7. საქართველოს მთავრობის სხლომას უძღვება:
 ა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
 ბ. საქართველოს პრეზიდენტი;
 გ. სხლომის წევრებიდან არჩეული მინისტრი;
 დ. სწორია „ა“ და „ბ“ ერთად.
8. საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი:
 ა. შუდის მთავრობის შემადგენლობაში;
 ბ. არ შუდის მთავრობის შემადგენლობაში;
 გ. შუდის მთავრობის შემადგენლობაში, სახელმწიფო მინისტრის გადაწყვეტილებით;
 დ. შუდის მთავრობის შემადგენლობაში განსაკუთრებული საკითხების განხილვისას“.
9. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს:
 ა. აქვს ნორმატიული სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება;
 ბ. აქვს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება;
 გ. აქვს ნორმატიული სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება, გარკვეულ საკითხებზე;
 დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთის უფლება არა აქვს“.

სამართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა
შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“

1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირს რომელიმე სხვა საწარმოში რაიმე თანამდებობის დაკავების უფლება:
 - ა. აქვს;
 - ბ. აქვს უფლება, თუ ამაზე თანახმაა ოჯახის წევრები;
 - გ. არა აქვს;
 - დ. აქვს უფლება, თუ ამაზე თანახმაა საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
2. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება აქვს მიიღოს საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმს:
 - ა. ორმაგ ოდენობას;
 - ბ. ათმაგ ოდენობას;
 - გ. ოცმაგ ოდენობას;
 - დ. ასმაგ ოდენობას.
3. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირთა დეკლარაციები წარედგინება:
 - ა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;
 - ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს;
 - გ. თანამდებობის პირთა ქონებრივ და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს;
 - დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
4. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ თანამდებობის პირთა დეკლარაციაში შესატანი ქონების ღირებულების დასადგენად, საჭიროა სპეციალური შეფასება დეკლარაციაში უნდა მიეთითოს მისი მიახლოებითი საბაზრო ღირებულება:
 - ა. 10 % ცდომილების ფარგლებში;
 - ბ. 15 % ცდომილების ფარგლებში;
 - გ. 20 % ცდომილების ფარგლებში;
 - დ. 30 % ცდომილების ფარგლებში.
5. საქართველოს კონტროლის პალატასთან არსებული თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს თანამდებობიდან ათავისუფლებს:
 - ა. საქართველოს შს მინისტრი;
 - ბ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
 - გ. საქართველოს პრეზიდენტი;
 - დ. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.
6. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირს, რომელიც საჯარო სამსახურის გამო ვალდებულია უფასოდ გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება:
 - ა. უფლება აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სახით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობას;

- ბ. უფლება აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სახით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ათმაგ ოდენობას;
- გ. უფლება აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სახით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას;
- დ. უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს:
 - ა. ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას;
 - ბ. აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ ზოგად წესებს;
 - გ. საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების წესებს;
 - დ. „ა“ და „გ“ ასუსხი ერთად.
2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებია:
 - ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტები;
 - ბ. საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
 - გ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს კანონი;
 - დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტები.
3. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტს არ განეკუთვნება:
 - ა. საქართველოს ორგანული კანონი;
 - ბ. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
 - გ. საქართველოს კონსტიტუცია;
 - დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება.
4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებია:
 - ა. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის ბრძანება;
 - ბ. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები;
 - გ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, მინისტრის ბრძანება;
 - დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება.
5. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობას ქმნიან შემდეგი ნორმატიული აქტები:
 - ა. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
 - ბ. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს კანონი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის კანონი;

- გ. მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა ნორმატიული აქტები;
- დ. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.
6. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს:
- ა. მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ;
- ბ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების მიმართ;
- გ. საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მყოფ უცხოელთა მიმართ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
7. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც წესი, საქართველოს ნორმატიული აქტები მოქმედებს:
- ა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- ბ. მხოლოდ საქართველოს ცალკეულ ტერიტორიაზე;
- გ. ერცელდება მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზეც;
- დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთზე.
8. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტი:
- ა. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
- ბ. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს კანონი და საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
- გ. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საკადრო და პერსონალური საკითხების შესახებ აქტები;
- დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
9. საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებაზე, დენონსირებასა და გაუქმებაზე უფლებამოსილია:
- ა. საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ. საქართველოს პარლამენტი;
- გ. საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- დ. სახელმწიფო მინისტრი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.
10. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოისცეს შემდეგი ნორმატიული აქტები:
- ა. ბრძანებულება და დეკრეტი;
- ბ. ბრძანება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ;
- გ. ბრძანება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა გადაცემის თაობაზე;
- დ. არც ერთი ჩამოთვლილთაგან.
11. საქართველოს ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა:
- ა. მხოლოდ საქართველოს ორგანულ კანონს;
- ბ. უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს;
- გ. უწყებრივ ნორმატიულ აქტს, რომელიც საეაღდებულოა შესასრულებლად;
- დ. სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს.

12. იერარქიის ერთი და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს:
 - ა. უფრო ადრე მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა;
 - ბ. უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა;
 - გ. ნორმატიული აქტი, რომელიც ხელმოწერილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ;
 - დ. ნორმატიული აქტი, რომელიც ხელმოწერილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ.
13. საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის:
 - ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე;
 - ბ. მიღების დღეს;
 - გ. ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი;
 - დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილ ვადაში.
14. საკანონმდებლო აქტი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, ძალაში შედის:
 - ა. გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე;
 - ბ. არა უადრეს მე-15 დღისა მისი გამოქვეყნებიდან;
 - გ. გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;
 - დ. გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არის დადგენილი.
15. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა:
 - ა. არა აქვს, თუ მას არ გააჩნია პირდაპირი მოქმედების ძალა;
 - ბ. აქვს, თუ ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას;
 - გ. აქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით;
 - დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
16. საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტს და წარუდგენს:
 - ა. მხოლოდ უშიშროების საბჭოს;
 - ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს;
 - გ. საქართველოს პარლამენტს;
 - დ. საქართველოს მთავრობას.

სისხლის სამართლის კოდექსი

1. საბაჟო წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება:
 - ა. 14 წლის ასაკიდან;
 - ბ. 17 წლის ასაკიდან;
 - გ. 18 წლის ასაკიდან;
 - დ. 19 წლის ასაკიდან.
2. „საბაჟო წესების დარღვევა“ არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის:
 - ა. 114-ე მუხლი;
 - ბ. 212-ე მუხლი;
 - გ. 214-ე მუხლი;
 - დ. 314-ე მუხლი.

3. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „გადასახადისათვის თავის არიდება“ არის:
 - ა. 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
 - ბ. 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
 - გ. 228-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
 - დ. 239-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.
4. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ჯგუფურ დანაშაულად არ ჩაითვლება:
 - ა. თუ დანაშაული ჩადენილია 1 პირის მიერ;
 - ბ. თუ დანაშაული ჩადენილია 2 პირის მიერ;
 - გ. თუ დანაშაული ჩადენილია არანაკლებ 5 პირის მიერ;
 - დ. თუ დანაშაული ჩადენილია არანაკლებ 10 პირის მიერ.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ არის:
 - ა. „სამოხელეო დანაშაული“;
 - ბ. „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ“;
 - გ. „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ“;
 - დ. „დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ“.
6. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა არის:
 - ა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
 - ბ. სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაული;
 - გ. დისციპლინური გადაცდომის ფაქტი;
 - დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
7. მომკვლევის კომპეტენციაში არ შედის:
 - ა. მოწმეთა დაკითხვა;
 - ბ. ჩხრეკის ჩატარება;
 - გ. ექვმიტანილის დაკავება;
 - დ. საბრალდებულო დასკვნის შედგენა.
8. საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე არ შეიძლება დაკითხოს:
 - ა. ექვმიტანილის უფროსი;
 - ბ. ექვმიტანილის მეგობარი;
 - გ. ექვმიტანილის მოძღვარი მისთვის აღსარების განდობილ გარემოებათა შესახებ;
 - დ. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექვმიტანილის მიერ მისთვის განდობილი გარემოების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და
სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ფიზიკური პირის უფლებამოსილება წარმოიშობა:
 - ა. სრულუფლებიანობის მიღწევისთანავე;
 - ბ. დაბადების მომენტიდან;
 - გ. ქორწინების დღიდან;
 - დ. ჩამოთვლილთაგან ერც ერთი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ფიზიკური პირის ქმედობუნარიანია:
 - ა. 14 წლის ასაკიდან;
 - ბ. 16 წლის ასაკიდან;
 - გ. 18 წლის ასაკიდან, ან რომელმაც იქორწინა ამ ასაკის მიღწეამდე;
 - დ. 10 წლის ასაკიდან.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არასამეწარმეო *(არაკომერციული) იურიდიული პირი არ არის:
 - ა. კავშირი;
 - ბ. ასოციაცია;
 - გ. კოოპერატივი;
 - დ. ფონდი.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ფონდის რეგისტრაციას ახორციელებს:
 - ა. სასამართლო;
 - ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექცია;
 - გ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
 - დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს:
 - ა. ადგილობრივი თვითმმართველობის, მმართველობის ორგანოები;
 - ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
 - გ. სასამართლო;
 - დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად იურიდიული პირის უფლებუნარიანობა წარმოიშობა:
 - ა. მისი რეგისტრაციის მომენტიდან;
 - ბ. მისი ფაქტობრივი ამოქმედების მომენტიდან;
 - გ. მისი საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან;
 - დ. საერთო კრებაზე მისი წესდების დამტკიცების დღიდან.
7. საგადასახადო ინსპექციამ კრედიტორის განცხადების საფუძველზე მოახდინა ქონების აუქციონზე იძულებით გაყიდვა:
 - ა. ინსპექცია არ მოიქცა სწორად, რამდენადაც აუქციონზე ქონების გაყიდვა ხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით;
 - ბ. საგადასახადო ინსპექცია მოიქცა სწორად, რამდენადაც ქონების იძულებით გაყიდვა აუქციონზე მისი პრეროგატივაა;
 - გ. საგადასახადო ინსპექცია სწორად მოიქცა, რადგან კრედიტორმა მხოლოდ მას მიმართა აუქციონის ორგანიზების თაობაზე;

- დ. არ მოიქცა სწორად, რადგან ქონების აუქციონზე იძულებითი გაყიდვა საგანგებო შემთხვევა და იგი უნდა მოეხდინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონს.
8. საგადასახადო ინსპექციამ სარჩელით მიმართა ისან-სამგორის რაიონულ სასამართლოს. ამ დროისათვის მოპასუხე ცხოვრობდა უკრაინაში და საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი იყო ქ. გურჯაანი, სადაც მას გააჩნდა საქვორებელი სახლი:
- საგადასახადო ინსპექციამ სწორად მიმართა სასამართლოს, ვინაიდან საგადასახადო ინსპექცია ამ რაიონში მდებარეობს;
 - ინსპექციას უნდა მიემართა უკრაინის სასამართლოსათვის, ვინაიდან მოპასუხე დასახლებულ რესპუბლიკაში ცხოვრობს;
 - ინსპექციას არ ჰქონდა უფლება მიემართა სასამართლოსათვის, ვინაიდან მოპასუხე არ ცხოვრობს საქართველოში და არც ქონება გააჩნია;
 - საგადასახადო ინსპექცია არასწორად მოიქცა, ვინაიდან მას უნდა მიემართა გურჯაანის რაიონის სასამართლოსათვის, ე.ი. მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოში, სადაც მას სამკუდრო საცხოვრებელი გააჩნდა.
9. სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვის მაქსიმალური ვადაა:
- 3 თვე;
 - 5 თვე;
 - 6 თვე;
 - ერთი წელი.
10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად სასამართლოში სარჩელი წარედგინება:
- მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
 - მოსარჩლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
 - მოპასუხის და მოსარჩლის ურთიერთშეთანხმებით;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი სწორი არ არის.
11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელში სასამართლოს წარედგინება:
- ხელშეკრულების ადგილის შესრულების ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო;
 - მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
 - მოსარჩლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
 - იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.
12. საოლქო სასამართლოს გასჯადი დაგება:
- თუ საქონლის ფასი აღემატება ასი ათას ლარს;
 - თუ საქონლის ფასი აღემატება ოთხას ათას ლარს;
 - თუ საქონლის ფასი აღემატება სამას ათას ლარს;
 - თუ საქონლის ფასი აღემატება ხუთას ათას ლარს.
13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საპროცესო საჩივრისათვის შეადგენს:
- სადავო საგნის ღირებულების ერთ პროცენტს;
 - სადავო საგნის ღირებულების ორ პროცენტს;
 - სადავო საგნის ღირებულების სამ პროცენტს;
 - სადავო საგნის ღირებულების ხუთ პროცენტს.

14. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ბაგის ოდენობა საკასაციო საჩივრისათვის შეადგენს:
- სადავო საგნის ღირებულების ორ პროცენტს;
 - სადავო საგნის ღირებულების ოთხ პროცენტს;
 - სადავო საგნის ღირებულების ხუთ პროცენტს;
 - სადავო საგნის ღირებულების ექვს პროცენტს.
15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ბაგის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:
- სამი ათას ლარს;
 - ხუთი ათას ლარს;
 - შვიდი ათას ლარს;
 - ათი ათას ლარს.

**საძარბაველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კომისიის
და ზოგადი ადმინისტრაციული კომისიის**

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი:
 - 14 წლის ასაკიდან;
 - 16 წლის ასაკიდან;
 - 18 წლის ასაკიდან;
 - 21 წლის ასაკიდან.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ:
 - ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქეებს;
 - მხოლოდ მათი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
- საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის მქონე ნიშნის ობიექტის დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობა იწვევს:
 - დისციპლინარულ პასუხისმგებლობას;
 - ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;
 - ფინანსურ სანქციებს;
 - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახელის სახით გამასწორებელი სამუშაოების შეფარდება შეუძლია:
 - მხოლოდ პროკურორს;
 - მხოლოდ მოსამართლეს;
 - მხოლოდ პოლიციის უფროსს;
 - იმ პიროვნებს, ვინც გამოაქვინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახელის შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან:
 - არა უგვიანეს ორი თვისა;
 - არა უგვიანეს სამი თვისა;
 - არა უგვიანეს ოთხი თვისა;
 - არა უგვიანეს ხუთი თვისა.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები არ ვრცელდება:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული კოდექსის საფუძველზე კონფისკაციაქმნილ საგნების ჩამორთმევისას;
 - საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე, საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი საგნების კონფისკაციის შეფარდებისას;
 - ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებისას;
 - გამანწორებელი სამუშაოების გამოყენებისას.
7. „საბაჟო წესების“ დარღვევას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არეგულირებს:
- 63-ე მუხლით;
 - 93-ე მუხლით;
 - 163-ე მუხლით;
 - 193-ე მუხლით.
8. საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკურ პირთა უნებართვოდ გადაადგილებისათვის ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაეღოს სამართალდარღვევის ჩაღების დღიდან არა უგვიანეს:
- ერთი წლისა;
 - ექვსი თვისა;
 - ორი თვისა;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
9. საბაჟო წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდადებულად, თუ სახდელის მოხდის დღიდან არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა:
- სამი თვის განმავლობაში;
 - ერთი წლის განმავლობაში;
 - ექვსი თვის განმავლობაში;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
10. იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო-საბაჟო ლეკარაიაში, ყალბად იქნა შეტანილი უზუსტო მონაცემები, რის გამოც საქონლის იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელის თანხამ ნაცვლად ფაქტობრივი 840 ლარისა შეადგინა 730 ლარი, სახეზეა:
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი;
 - დისციპლინური გადაცდომის ფაქტი;
 - სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტი;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
11. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი საქონლის შემენამ და ტრანსპორტირებამ შეიძლება გამოიწვიოს ამ საქონლის და მისი ტრანსპორტირების საშუალების კონფისკაცია იმ შემთხვევაში, თუ:
- ისინი დამრღვევის კანონიერ მფლობელობაშია;
 - წარმოადგენენ დამრღვევის პირად საკუთრებას;
 - გადაცემული აქვთ დამრღვევს ოპერატიული მართვის უფლებით;
 - ჩამოთვლილთაგან არც ერთი.
12. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივარს და პროტესტს განიხილავენ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები მათი შემოსვლიდან:
- 10 დღის ვადაში;
 - 15 დღის ვადაში;
 - 20 დღის ვადაში;
 - ერთი თვის ვადაში.

13. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს:
- ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამოყენას;
 - ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურულ შემადგენლობას და უფლებამოსილებას;
 - ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების წესს;
 - ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების წესს.
14. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზანს არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ:
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
 - კანონის უზენაესობის დაცვა;
 - საჯარო ინტერესების დაცვა;
 - განხორციელებული მოქმედების კანონიერების განსაზღვრა და ზედამხედველობა.
15. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის:
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;
 - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;
 - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ყველა დოკუმენტი;
 - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადსტურებული ყველა დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.
16. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ტერმინებს, სხვა სამართლებრივი აქტით შეიძლება მიეცეს სხვა მნიშვნელობა:
- არ შეიძლება, თუ კანონით სხვა რაიმე არ არის დადგენილი;
 - შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით;
 - შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი მოითხოვს ასეთს;
 - შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მოთავე მხარე მოითხოვენ ტერმინის მნიშვნელობის შეცვლას.
17. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას:
- მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
 - არ წარმოადგენს;
 - მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
 - წარმოადგენს, თუ ასეთი გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.
18. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევების გარდა, რა ვადით ზღბება პრაქტიკული ინფორმაციის გასაიდუმლოება:
- ორი წლის ვადით;
 - უვალოდ;
 - ხუთი წლის ვადით;
 - ათი წლის ვადით.

ტესტების პასუხები

საპარტეზლოს კონსტიტუცია

1. დ. საქართველო.
2. გ. დემოკრატიული რესპუბლიკა;
3. დ. არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.
4. გ. დაუშვებელია;
5. გ. აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება;
6. ბ. სახალხო დამცველი;
7. ა. საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოა;
8. ბ. 4 წლის ვადით;
9. გ. 5 წლის ვადით;
10. ბ. 235 წევრისგან;
11. გ. 25 წლის ასაკიდან;
12. ბ. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
13. გ. მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით;
14. ბ. ცხადდება საჭეწონდ;
15. გ. 18 წლის ასაკიდან;
16. გ. ათი დღის ვადაში;
17. გ. 35 წლის ასაკიდან;
18. ა. ირჩევს საქართველოს პარლამენტი
19. ბ. ცენტრალური საარჩევნო კომისია;
20. ა. მხოლოდ კანონით;
21. გ. საქართველოს კონტროლის პალატა;
22. ა. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე;
23. ბ. საქართველოს პარლამენტის წინაშე;
24. დ. საქართველოს ეროვნული ბანკი.

საპარტეზლოს საბაჟო კოდექსი

1. ა. უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განმგებლობას;
2. გ. საქართველოს საპაერო სიერცე;
3. ა. უფლება აქვს მოიწვიოს უცხო ქვეყნის ექსპერტები;
4. დ. არა აქვთ უკუტყვევითი ძალა, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.
5. ა. საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი;
6. დ. ნებისმიერ დროს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
7. ა. საქართველოს პრეზიდენტი;
8. ა. გატანის მომენტიდან არა უგვიანეს სამი წლისა;
9. ა. დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლითი, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით;
10. ბ. საქართველოს საბაჟო ორგანო ასეთი შემოტანისა და/ან გატანის მიზეზებისა და გარემოებების გათვალისწინებით;

11. გ. საბაჟო ორგანოს ნებართვით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
12. ა. შესაკუთრე ან მფლობელი საკუთარი სახსრებით;
13. დ. განახორციელოს საქონლის გადაზიდვის ოპერაციები .
14. დ. განსაკუთრებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.
15. ბ. ზელშეკრულება;
16. ა. საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე;
17. დ. საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებული ერთობლივი საწარმოს თანამშრომლები.
18. ა. მხოლოდ დიპლომატიური საბუთები და ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი;
19. გ. რეტრანზიტი;
20. ა. საბაჟო ორგანოების მიერ.

საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და
ბაღასახაზის შესახებ“

1. გ. საქართველოს ეკონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან;
2. ა. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი და/ან ამ ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მი-
მართ;
3. ბ. სპეციალური, ანტიდემინგური, საკომპენსაციო;
4. ბ. ადვალური, სპეციფიკური, კომბინირებული;
5. ბ. ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
6. ა. ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 500 ლარის ღირებუ-
ლების საქონელი;
7. დ. საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით.
8. გ. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ტრანსპორტირების ხარჯებს;
9. ა. სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოშობილი ან გადამუშავებული;
10. დ. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

საქართველოს კანონი
„საბაჟო მოსაპარებლების შესახებ“

1. ბ. საბაჟო პროცედურებისათვის და ლიცენზიის გაცემისათვის გადასახდებიანელი მოსაკრებლების
სახეები და განაკვეთები, ამ მოსაკრებლების გადახდევინების წესი და ვადები;
2. დ. მოსაკრებლები საქონლის საბაჟო დათვალეირების და/ან გაფორმებისათვის და საბაჟო
ორგანოების მიერ ლიცენზიის გაცემისათვის;
3. დ. საქონლის საბაჟო ღირებულების 0,15 პროცენტით.
4. ბ. ერთ დეკლარაციაზე 100 ლარს;
5. დ. ერთ დეკლარაციაზე 200 ლარს.
6. ბ. ერთ დეკლარაციაზე 300 ლარს;
7. დ. კუმანტარული დახმარების მიზნით იმპორტირებული საქონელი.
8. გ. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე.

საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და
საბიუჯეტო უზრუნველყოფის შესახებ“

1. ა. სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების განხორციელებისათვის საჭირო ფუ-
ლადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი გეგმა;
2. ა) ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდებისაგან.
3. ა) სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და
საგზაო ფონდი;
4. გ) დაცული მუხლები;
5. გ) ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო;
6. ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
7. ა) დამოუკიდებელი არიან;
8. ა) საქართველოს პარლამენტი;
9. ა) ცენტრალურ ბიუჯეტში;
10. ა) საქართველოს პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“

1. ა. საქართველოს ბიუჯეტში შენატანები;
2. გ. ფიზიკური და იურიდიული პირები;
3. გ. საერთო სასამართლოებში განსახილველი სასარჩელო ან სხვა განცხადებებსა და საჩივრებზე;
4. გ. საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს კანონი
„მეწარმეთა შესახებ“

1. გ. საქართველოს პარლამენტის მიერ;
2. ა. მართლზომიერი და არაერთგვარადი საქმიანობა, რომელიც ზორციელდება მოგების მიზნით, დამო-
უკიდებლად და ორგანიზებულად;
3. ბ. არის ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის ფორმა;
4. ა. საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი
ქონებით;
5. ბ. საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 15 000 ლა-
რის ოდენობით;
6. ბ. სასამართლოს მიერ;
7. ა. 2 ათას ლარს;
8. გ. 7 კალენდარულ დღეში;
9. გ. არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს.

საძარტველოს შრომის კანონთა კოდექსი და
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საძარტველოს კანონი

1. ა. ოჯახის მეპატრონეს - თუ კმაყოფაზე ჰყავს ორი ან მეტი პირი, ასევე მარტოხელა დედებს და ქალებს, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი;
2. ბ. ორსული ქალები, მეძუბური დედები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ შვილები ერთ წლამდე ასაკისა;
3. ბ. სახელმწიფო სამსახური;
4. ა. რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე;
5. გ. მიაღწია 21 წლის ასაკს;
6. გ. 30 კალენდარული დღე;
7. გ. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს;
8. ა. მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან;
9. ბ. ეწოდეს სამეწარმეო საქმიანობას;
10. ბ. დაუყოვნებლივ აცნობოს განკარგულების გამცემ და ზემდგომ უფროსს;
11. დ. საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა აპარატი;
12. ა. გარკვეული ვადით;
13. ბ. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სავადასახადო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოში;
14. ა. მხოლოდ ერთი ზომა.

საძარტველოს კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების
სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ“

1. ა. საქართველოს პრეზიდენტი;
2. გ. სახელმწიფო მინისტრი და მინისტრები;
3. ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს;
4. ბ. არის;
5. გ. საქართველოს პრეზიდენტი;
6. ა. საქართველოს პრეზიდენტი;
7. ბ. საქართველოს პრეზიდენტი;
8. ა. შედის მთავრობის შემადგენლობაში;
9. ბ. აქვს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება.

საძარტველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა
შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“

1. გ. არა აქვს;
2. გ. ოცმაგ ოდენობას;
3. გ. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბუროს;
4. ა. 10 % ცდომილების ფარგლებში;
5. გ. საქართველოს პრეზიდენტი;
6. დ. უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

**საქართველოს კანონი
„ნორმატიული აქტების შესახებ“**

1. დ. „ა“ და „ბ“ პასუხი ერთად.
2. ბ. საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
3. დ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
4. გ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, მინისტრის ბრძანება;
5. ა. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
6. გ. საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მყოფ უცხოელთა მიმართ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი;
7. ა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
8. ა. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
9. ბ. საქართველოს პარლამენტი;
10. ა. ბრძანებულება და დეკრეტი;
11. ბ. უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს;
12. ბ. უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა;
13. გ. ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი;
14. ბ. არა უადრეს მე-15 დღისა, მისი გამოქვეყნებიდან;
15. გ. აქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით;
16. გ. საქართველოს პარლამენტს.

სისხლის სამართლის კოდექსი

1. ა. 14 წლის ასაკიდან;
2. გ. 214-ე მუხლი;
3. ბ. 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
4. ა. თუ დანაშაული ჩადენილია 1-ლი პირის მიერ;
5. ა. „სამოხელეო დანაშაული“;
6. ბ. სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაული;
7. დ. საბრალდებულო დასკვნის შედგენა;
8. გ. ეკუმბიტანილის მოძღვარი მისთვის აღსარების განდობილ გარემოებათა შესახებ.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სამოქალაქო
საპროცესო კოდექსი**

1. ბ. დაბადების მომენტიდან;
2. გ. 18 წლის ასაკიდან, ან რომელმაც იქორწინა ამ ასაკის მიღწევამდე;
3. გ. კოოპერატივი;
4. დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

5. გ. სასამართლო;
6. ა. მისი რეგისტრაციის მომენტიდან;
7. ა. ინსპექცია არ მოიქცა სწორად, რამდენადაც აუქციონზე ქონების გაყიდვა ხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით;
8. დ. საგადასახადო ინსპექცია არასწორად მოიქცა, ვინაიდან მას უნდა მიემართა გურჯაანის რაიონის სასამართლოსათვის, ე.ი. მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოში, სადაც მას საქვეიდრო საცხოვრებელი გააჩნია.
9. ბ. 5 თვე;
10. ა. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
11. ა. ხელშეკრულების ადგილის შესრულების ან იმ ადგილის მიხედვით სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო;
12. დ. თუ საქონლის ფასი აღემატება ხუთას ათას ლარს.
13. გ. სადაო საგნის ღირებულების სამ პროცენტს;
14. ბ. სადაო საგნის ღირებულების ოთხ პროცენტს;
15. ბ. ხუთი ათას ლარს.

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
და ზომადი ადმინისტრაციული კოდექსი**

1. ბ. 16 წლის ასაკიდან;
2. ა. ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქეებს;
3. დ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.
4. ბ. მხოლოდ მოსამართლეს;
5. ა. არა უგვიანეს ორი თვისა;
6. ა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კონფისკაციაქმნილ საგნების ჩამორთმევისას;
7. დ. 193-ე მუხლით.
8. გ. ორი თვისა;
9. ბ. ერთი წლის განმავლობაში;
10. ა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი;
11. ბ. წარმოადგენენ დამრღვევის პირად საკუთრებას;
12. ა. 10 დღის ვადაში;
13. გ. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების წესს;
14. დ. განხორციელებული მოქმედების კანონიერების განსაზღვრა და ზედამხედველობა;
15. ბ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;
16. ა. არ შეიძლება, თუ კანონით სხვა რაიმე არ არის დადგენილი;
17. ბ. არ წარმოადგენს;
18. ბ. უკალოდ.

სამარჯიშო კაზუსები პასუხების ბარეში

კაზუსი 1

დავით გაჩეჩილაძემ და გივი ხუციშვილმა გადაწყვიტეს დაეფუძნებინათ საქართველოს პროფესიონალთა კავშირი. შესაბამისად, მათ მოაშაადეს საქართველოს პროფესიონალთა კავშირის წესდება, აგრეთვე ყველა სხვა საჭირო დოკუმენტი და 2001 წლის 9 ივლისს განცხადებით მიმართეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კავშირის რეგისტრაციაში გასატარებლად.

2001 წლის 7 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს პროფესიონალთა კავშირი.

კითხვა:

- შესაბამისი არგუმენტაციით, შეაფასეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კაზუსი 2

2001 წლის 29 იანვარს მალხაზ კაკაბაძე შპს „მერიდიანის“ წილის 12 პროცენტის მფლობელი გახდა. 2001 წლის 14 ნოემბერს მან დანარჩენ ორ პარტნიორს, სოსო ჭანტურიას და თემურ იმნაძეს, მიმართა და მოითხოვა საზოგადოების საბუღალტრო წიგნების გაცნობა დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით. 2001 წლის 18 ნოემბერს მათ უარი განუცხადეს მალხაზ კაკაბაძეს საბუღალტრო წიგნების გაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი საზოგადოების მხოლოდ 12 პროცენტს ფლობდა და შესაბამისად უფლება არ ჰქონდა გაცნობოდა საწარმოს საბუღალტრო წიგნებს.

კითხვა:

- დასაბუთეთ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რამდენად სწორია შპს „მერიდიანის“ პარტნიორთა უარი საბუღალტრო წიგნების გაცემის თაობაზე.

კაზუსი 3

მაია არჩვაძე შპს „კრისტალის“ პარტნიორი იყო. 2001 წლის 10 სექტემბერს მან თავისი წილი, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, მიჰყიდა ხათუნა შილაკაძეს.

2001 წლის 20 სექტემბერს შპს „კრისტალის“ მეორე პარტნიორმა კოტე მუხურაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სასამართლომ განიხილა კოტე მუხურაძის სარჩელი და დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა.

კითხვა:

- წილის დათმობის ხელშეკრულების გასაფორმებლად, დადგენილია თუ არა რაიმე სპეციალური ფორმა?
- შესაბამისი არგუმენტაციით შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან.

კაზუსი 4

2001 წლის 11 მარტს შპს „მერანის“ დირექტორმა შალვა უჩანუიშვილმა დღის წესრიგის შემცველი დაზღვეული წერილის საშუალებით 2001 წლის 20 მარტისათვის მოიწვია საზოგადოების პარტნიორთა კრება.

2001 წლის 20 მარტს ქეორუმი არ შედგა და შალვა უჩანუიშვილმა 2001 წლის 21 მარტს კვლავ დაზღვეული წერილით, იმავე დღის წესრიგით 2001 წლის 28 მარტისათვის ხელახლა მოიწვია საზოგადოების პარტნიორთა კრება.

2001 წლის 28 მარტს პარტნიორთა კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ ორი პარტნიორი, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილებები დღის წესრიგით განსაზღვრულ შესაბამის საკითხებზე.

2001 წლის 2 აპრილს შპს „მერანის“ დანარჩენმა სამმა პარტნიორმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს 2001 წლის 28 მარტს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება, იმ პოტიით, რომ ისინი მიღებულ იქნა კრებაზე მათი მონაწილეობის გარეშე.

სასამართლო განიხილა მათი სარჩელი და უარი უთხრა დაკმაყოფილებაზე.

კითხვა:

- შესაბამისი არგუმენტაციით, შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კაზუსი 5

გიორგი ქადაგიშვილმა, ფიქრია ლომიძემ და შპს „დონისემ“ გადაწყვეტეს დაფუძნებნით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მათ შეაგროვეს ყველა საჭირო დოკუმენტი და 2001 წლის 6 მაისს მიმართეს სასამართლოს საზოგადოების რეგისტრაციაში გასატარებლად.

2001 წლის 20 მაისს სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კითხვა:

- შეიძლოთ თუ არა კაზუსში მითითებულ პირებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება?
- შესაბამისი არგუმენტაციით, შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კაზუსი 6

2001 წლის 17 მაისს დავით შვერილაძემ აეთანდღე ცაავასგან იყიდა ციფრული ტელევიზორი 500 ლარად, თუმცა ტელევიზორი სახლში არ წაუღია.

2001 წლის 19 მაისს აეთანდღე ცაავამ იგივე ტელევიზორი მიჰყიდა ზურაბ ლობჯანიძეს 450 ლარად, დავით შვერილაძისგან განსხვავებით მან ტელევიზორი მაშინვე წამოიღო სახლში.

2001 წლის 20 მაისს დავით შვერილაძემ მაიკოთხა აეთანდღე ცაავას ნაყიდი ტელევიზორის წამოსაღებად, თუმცა მისგან ვერც ტელევიზორი წამოიღო და ვერც მასში გადახდილი 500 ლარი, რის გამოც მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ტელევიზორის მისთვის გადაცემა.

სასამართლომ განიხილა მისი სარჩელი და უარი უთხრა დაკმაყოფილებაზე.

კითხვა:

- შესაბამისი არგუმენტაციით, შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კაზუსი 7

2001 წლის 9 ოქტომბერს ლია დოლიძე და ნოდარ საღირაშვილი შეთანხმდნენ, რომ ნოდარ საღირაშვილი ლია დოლიძისგან 2001 წლის 13 ოქტომბერს იყიდიდა როტევილერის ჯიშის ორ ლექსს, თითოეულს 150 ლარად. აღნიშნული ხელშეკრულების დადების ფაქტის დასადასტურებლად, ნოდარ საღირაშვილმა ლია დოლიძეს ბეს სახით გადაუხადა 120 ლარი.

2001 წლის 13 ოქტომბერს ლია დოლიძემ უარი განაცხადა ლექსების გაყიდვაზე, ამიტომ ნოდარ საღირაშვილმა მოითხოვა მისთვის 240 ლარის დაბრუნება.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ნოდარ საღირაშვილის მოთხოვნა?
- როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი 8

ირაკლი ამალოზელმა 2001 წლის 18 მარტს ბიძინა ფურცელაძისაგან 6 თვის ვადით იქირავა ბინა. ამ დროის განმავლობაში მან თავისი ხარჯებით შეაქეთა ონკანი და სამზარეულოს კარი.

2001 წლის 18 სექტემბერს ქირაენობის ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და დამქირავებელმა მოითხოვა გამქირავებლისაგან მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ მან უარი მიიღო გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

კითხვა:

- შესაბამისი არგუმენტაციით დაასაბუთეთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად რამდენად საფუძვლიანია, ერთი მხრივ, ირაკლი ამალოზელის მოთხოვნა და/ან, მეორე მხრივ, ბიძინა ფურცელაძის უარი.

კაზუსი 9

2000 წლის 12 ივნისს ლენა ზომასურიძემ თავისი ავარაკი, რომელიც 100 000 ლარად იქნა შეფასდა, დააზღვია სადაზღვეო კომპანია „ლიმაში“ ასევე 100 000 ლარად. იმავე წლის 16 ივნისს ისე, რომ ამის თაობაზე „ლიმას“ არ აცნობა, მან იგივე ავარაკი დააზღვია სადაზღვეო კომპანია „მირაუში“ კვლავ 100 000 ლარად. ლენა ზომასურიძემ არც „მირაუს“ გაუმხილა ის ფაქტი, რომ ავარაკი „ლიმაშიც“ ჰქონდა დაზღვეული.

2001 წლის 29 იანვარს, სადაზღვეო შემთხვევის გამო, ლენა ზომასურიძის ავარაკი მთლიანად განადგურდა. 2001 წლის 2 თებერვალს მან მიაკითხა სადაზღვეო კომპანიებს და მოითხოვა სადაზღვეო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ როგორც ერთმა, ისე მეორე სადაზღვეო კომპანიამ უარი განაცხადა სადაზღვეო თანხის გადახდაზე, იმ მოტივით, რომ თავის დროზე ლენა ზომასურიძემ მათ არ აცნობა იმის თაობაზე, რომ ავარაკი სხვა სადაზღვეო კომპანიაშიც ჰქონდა დაზღვეული.

კითხვა:

- დაასაბუთეთ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რამდენად კანონიერია სადაზღვეო კომპანიების უარი სადაზღვეო თანხის გადახდაზე.

კაზუსი 10

ვახტანგ იმედაძე და დიმიტრი გეაზავა 15 წლის განმავლობაში მუშაობდნენ თბილისის ელმაველ მშენებელ ქარხანაში. 2000 წლის 16 მარტს საწარმოს ადმინისტრაცია იძულებული გახდა ისინი სამუშაოდ გადაეყვანა სხვა საწარმოში, რაზედაც მათ თანხმობა განაცხადეს. ახალი საწარმოს ადმინისტრაციამ მათ დაუნიშნა 8 თვიანი საგამოცდო ვადა.

კითხვა:

- რამდენი ხნით განისაზღვრება მაქსიმალური საგამოცდო ვადა?
- შესაბამისი არგუმენტაციით დაასაბუთეთ, ჰქონდა თუ არა ადგილი ახალი საწარმოს მხრიდან საქართველოს შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს?

კაზუსი 11

2000 წლის 17 აპრილს შს „ნიკალას“ ადმინისტრაციამ სამუშაოდან დაითხოვა ვლადიმერ ნასარიძე. ნასარიძემ მიიჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა, ამიტომ 2000 წლის 24 ივლისს მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა, აგრეთვე გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

2000 წლის 31 ივლისს სასამართლომ უარი განუცხადა ვლადიმერ ნასარიძეს სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მას გადახდილი არ ჰქონდა სახელმწიფო ბატი.

კითხვა:

- შესაბამისი არგუმენტაციით, შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კაზუსი 12

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას შპს „უძრავი ქონებისაგან“ 1998 წლიდან ქირით აღებული ჰქონდა შენობა ოფისისათვის. იგი კეთილსინდისიერად იხილდა ოფისის ქირას, 2001 წლის მარტიდან კი შეწყვეტა ქირის გადახდა, ფინანსური სიძნელეების გამო. შპს „უძრავი ქონება“ სასამართლოში შეიტანა განცხადება საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიმართ, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

სასამართლომ განიხილა აღნიშნული განცხადება და გახსნა გაკოტრების საქმის წარმოება ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიმართ, გაკოტრების დროებით მმართველად კი დანიშნა შპს „უძრავი ქონების“ პარტნიორი ზურაბ ზახარაძე.

კითხვა:

- ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით, შესაბამისი არგუმენტაციით შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების სისწორე და შესაბამისობა საქართველოს კანონთან „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“.
- შეეძლო თუ არა სასამართლოს გაკოტრების მმართველად დანიშნა შპს „უძრავი ქონების“ პარტნიორი? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი 13

2002 წლის ნოემბერში ქ. თბილისის ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციამ ჩაატარა საექიო საზოგადოება „თბილავიამშენის“ გვერდით საფინანსო-სამურნეო საქმიანობის შემოწმება. 2003 წლის მაისის თვეში რაიონის პროკურატურის მოთხოვნით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, საგადასახადო ინსპექციის უფროსის ბრძანების საფუძველზე დანიშნა საექიო საზოგადოება „თბილავიამშენის“ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების შემოწმება.

კითხვა:

- დაირღვა თუ არა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ 2001 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონის მოთხოვნა?
- შეაფასეთ თქვენი არგუმენტებით პროკურატურისა და საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნისა და მოქმედების კანონიერება?

კაზუსი 14.

ქ. თბილისის სამედიცინო სანიტარულმა სამსახურმა, ამ სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე, შეამოწმა და დალუქა ლიბონათის ჩამოსასხმელი ინდივიდუალური საწარმო „გივი სენაძე“.

კითხვა:

- კანონიერია თუ არა ქ. თბილისის სამედიცინო-სანიტარული სამსახურის მოქმედება?
- მოიყვანეთ თქვენი არგუმენტები და დაასაბუთეთ მითითებული სამსახურის მოქმედება „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კაზუსი 15.

2003 წლის თებერვლის თვეში კონტროლის პალატამ შეამოწმა ტრანსპორტის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი. 2003 წლის მაისის თვეში მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ მოითხოვა იმავე საკითხის განმეორებით შემოწმება.

კითხვა:

- დაასაბუთეთ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სწორია თუ არა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მოთხოვნა.

კაზუსი 16.

შპს “საქტრანსმა” გააფორმა ხელშეკრულება თურქეთის ფირმა “ნჯისთან“ აზერბაიჯანიდან 1000 ტონა პოლიეთილენის ნელღეულის გადაზიდვის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად შპს “საქტრანსი” ვალდებული იყო დაეზღვია ტვირთი ავტოავარიისა და სხვა უბედური შემთხვევის რისკისაგან. მიუხედავად ამისა, ხარჯების შემცირების მიზნით, შპს “საქტრანსმა” ტვირთი არ დააზღვია და ამის შესახებ არ აცნობა დამკვეთს. ტვირთის ავტომანქანებით ექსპედიციისას მოხდა ავტოავარია, რის შედეგად გაჩნდა ზანძარი და განადგურდა პოლიეთილენის ნელღეული.

კითხვა:

- მოცემულ შემთხვევაში კანონიერია თუ არა შპს “საქტრანსის” გადაწყვეტილება ტვირთის დაზღვევის შესახებ?
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შეუფასეთ თქვენი არგუმენტებით შპს “საქტრანსის” მოქმედება და გადაწყვეტით მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

კაზუსი 17.

გენომ თავისი კუთვნილი ავტომანქანით, რომელიც აწარმოებდა მგზავრების გადაყვანას მოახდინა ავტოავარია, რის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო არასრულწლოვანმა ნატომ, რომელსაც საავადმყოფოში გაუკეთდა ორი მძიმე ოპერაცია. ნატოს მშობლებმა მოითხოვეს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება. გენომ იმ მოტივით, რომ არის უმუშევარი, ავარიის შედეგად ავტომანქანა არ ექვემდებარება აღდგენას, თითონ ცხოვრობს ნაჭირავებ ბინაში და არავითარი ქონება არ გააჩნია, უარი განაცხადა ხარჯების ანაზღაურებაზე. ამის შემდგომ ნატოს მშობლებმა მიმართეს სადაზღვევო კომპანიას, სადაც გაირკვა, რომ ავტომანქანის მფლობელ გენოს გაფორმებული არ ჰქონდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

კითხვა:

- შესაბამისი არგუმენტებით შეაფასეთ კაზუსი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

კაზუსი 18.

ჯუმბერმა გაასხვინა საცხოვრებელი სახლი, რომელიც იყო დაზღვეული და მიჰყიდა გოგის. სადაზღვევო კომპანიამ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის გასვლის შემდეგ წერილობით აცნობა გოგის დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

კითხვა:

- მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დაასაბუთეთ სადაზღვევო კომპანიის მოქმედების კანონიერება სადაზღვევო ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

კაზუსი 19.

შპს “ინტელექტმა” საქართველოში შემოიტანა 60 ათასი აშშ დოლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, რაზედაც შეადგინა საბაჟო-სატივრთო დეკლარაცია, დაარიცხა კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელები და წარადგინა საბაჟოში საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად. საბაჟოს თანამშრომელმა შეამოწმა საბაჟო-სატივრთო დეკლარაცია და არასწორად ჩათვალა საბაჟო გადასახდელების განაგარიშება იმ მოტივით, რომ საბაჟო გადასახდელები დაერიცხა კომპიუტერის ღირებულებას 60 ათას აშშ დოლარს და მხედველობაში არ იქნა მიღებული საბაჟო ღირებულების გაანგარიშების წესი, რომლის შესაბამისად საქონლის ღირებულებას ემატება ტრანსპორტირების, დაზღვევისა და სხვა ხარჯები.

კითხვა:

- საქართველოში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, დაასაბუთეთ თქვენი არგუმენტებით საბაჟო გადასახდლების დარიცხვის სისწორე.

კაზუსი 20.

შპს “ბელელმა” ყაზახეთიდან შემოიტანა 1000 ტონა ხორბალი. საბაჟოში წარადგინა გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტები და მოითხოვა საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

კითხვა:

- თქვენი არგუმენტებით შეფასეთ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად “ბელელის” მოთხოვნა საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე.

კაზუსი 21.

შპს “ორიენტმა” თავისუფალი მიმოქცევის საბაჟო რეჟიმით (იმპორტი) საქართველოში შემოიტანა 50 ათასი ლარის ღირებულების გერმანიაში დამზადებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრო-საქონელი, რომელზედაც გადაიხადა კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახდლები და გაიტანა შიდა ბაზარზე სარეალიზაციოდ. საქონლის შემოტანიდან სამი თვის გასვლის შემდეგ შპს “ორიენტმა” იმ მოტივით, რომ ამ ელექტროტექნიკის საქონლის ფასი აზერბაიჯანში უფრო მაღალია, მოითხოვა რეექსპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის გატანა და გადახდილი საბაჟო გადასახდლების უკან დაბრუნება.

კითხვა:

- თქვენი არგუმენტებით, სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით დაასაბუთეთ შპს “ორიენტის” მოთხოვნის კანონიერება.

კაზუსი 22.

ინდივიდუალურმა მეწარმე ლევანმა სარჩელი შეიტანა რაიონულ სასამართლოში კომანდიტური საზოგადოების “საუნჯის” წინააღმდეგ მის მიერ მაღაზია “საუნჯეში” ჩაბარებული წიგნების ღირებულების 15 ათასი ლარის ანაზღაურების თაობაზე. რაიონულმა სასამართლომ სასარჩელო განცხადების მიღებისას ლევანს მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის, სადავო თანხის, 15 ათასი ლარის 2,5%-ის 225 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ლევანის სასარჩელო განცხადება და იმ მოტივით, რომ წიგნები მაღაზიაში არ გაყიდულა, გამოიტანა გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ. ლევანი არ დეთანხმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, გაასაჩივრა ის საოლქო სასამართლოში და ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 225 ლარის უკან დაბრუნება.

კითხვა:

- ეთანხმებით თუ არა ლევანის მოთხოვნას?
- რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ ლევანის მოთხოვნასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ?

კაზუსი 23.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ერთობამ” იტალიიდან შემოიტანა ავეჯი და მოათავსა საბაჟო საწყობის რეჟიმში. ერთი წლის გასვლის შემდეგ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ერთობამ” წერილობით მიმართა საბაჟო ორგანოს და მოითხოვა საბაჟო საწყობის რეჟიმში საქონლის მოთავსების ვადის გაგრძელება ერთი წლით.

კითხვა:

- დაასაბუთეთ მოთხოვნის კანონიერება და უპასუხეთ, რა გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული?

კაზუსი 24.

საერთაშორისო გადაზიდვის "ვილი ბენცის" კუთვნილი ავტომანქანა, რომელსაც ტრანზიტული ტვირთი გადაჰქონდა სომხეთში, სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტში შემოვიდა 10 ნოემბერს. საქართველოს ტერიტორიაზე მოძრაობისას ავტომანქანა გამოვიდა მწყობრიდან. მისი გამართვის შემდეგ სადაზღვრის საბაჟო გამშვებ პუნქტში ავტომანქანა მივიდა 25 ნოემბერს.

კითხვა:

- თქვენი არგუმენტებით დაასაბუთეთ ავტომანქანის მძღოლის მოქმედების სისწორე და რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სადაზღვრის საბაჟო-გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა.

კაზუსი 25.

შპს "ჯეოტრანსმა" აზერბაიჯანის ფირმა "აფშერონთან" გააფორმა ხელშეკრულება ტვირთების გადაზიდვის თაობაზე, ფოთის პორტიდან ქ. ბაქომდე ხელშეკრულების თანახმად "ჯეოტრანს" უნდა გადაეზიდა მფლობელისა და საბაჟოს მიერ დალუქული კონტეინერი, რომელშიც მოთავსებული იყო სპირტით სავსე პოლიეთილენის კასრები. გზაში მსვლელობისას პოლიეთილენის რამდენიმე კასრი დაზიანდა და სპირტი დაიღვარა. შპს "აფშერონმა" მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

კითხვა:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მოიცვანეთ არგუმენტები და მიიღეთ გადაწყვეტილება მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

კაზუსი 26.

უცხოურმა ფირმამ გააფორმა საქართველოს სახელმწიფოსთან ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიის წიაღში არსებული ნავთობისა და გაზის მოპოვების შესახებ და ამ საქმიანობაზე მოითხოვა ლიცენზიის აღება 25 წლის ვადით.

კითხვა:

- დაასაბუთეთ შესაბამისი არგუმენტებით უცხოური ფირმის მოთხოვნის კანონიერება.

კაზუსი 27.

ეთერიმ გადაწყვიტა სამეწარმეო საქმიანობის დაწყება. მან მიმართა რაიონის საგადასახადო ინსპექციას ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის შესახებ. ინსპექციის თანამშრომელმა მიზეზის აუხსნელად უარი განუცხადა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციაზე და დაიბარა ერთი თვის შემდეგ.

კითხვა:

- საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლის ქმედება არის თუ არა დასჯადი სისხლის სამართლის კოდექსით, დაახასიათეთ ამ დანაშაულის შემადგენლობა.

კაზუსი 28.

თურქეთის მოქალაქე მუსამედი კერძო მოწვევით იმყოფებოდა თბილისში. პირად კუთვნილებაში არსებულ მსუბუქი ავტომანქანით მოძრაობისას მან დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და შექმნა ავარიული სიტუაცია. საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა მოძრაობის წესების დარღვევისათვის ის დააკარბმეს. მუშამედმა უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე იმ მოტივით, რომ ის არის სხვა ქვეყნის მოქალაქე.

კითხვა:

– შეაფასეთ კაზუსში მოყვანილი გარემოებები და მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება.

კაზუსი 29.

საგადასახლო ინსპექციის თანამშრომლებმა თინა დააკავეს აქციზური მარკის გარეშე სიგარეტის რეალიზაციისათვის. დაკავებისას მას აღმოაჩნდა 198 ლარის ღირებულების აქციზური მარკის გარეშე სიგარეტი “პირველი”.

კითხვა:

– სამართალდარღვევის რომელი შემადგენლობით კვალიფიცირდება კაზუსში მოყვანილი ქმედება?

კაზუსი 30.

მერი აწარმოებდა სამკურნალო საშუალებების რეალიზაციას ლიცენზირების გარეშე. ამავე დროს ის არა იყო რეგისტრირებული საგადასახლო ინსპექციაში გადასახლის გადახდელად.

კითხვა:

– სამართალდარღვევის რომელ შემადგენლობას შეიცავს მერის ქმედება?

კაზუსი 31

სს “ალფა” გასული წლის 1 თებერვალს მიჩნეულ იქნა ანგარიშგაღებულ საწარმოდ. მის მიერ მოზადებულ დოკუმენტებში მითითებულია, რომ ის ახორციელებს ემისირებას, რომლებსაც საჯარო შთოვაზებით ინვესტორი გამოუჩნდა. ემისირებული თამასუქის აღწესზე სს-ის ბუღალტრმა განახორციელა, რის გამოც სს-ას ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისათვის ანგარიში არ წარმოუდგენათ. კომისიამ სს-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

კითხვა:

- რა საფუძვლით შეეძლო კომისიას სს-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესების მოთხოვნა?
- უფლებამოსილია თუ არა კომისია მოითხოვოს სს-გან ანგარიშის წარდგენა?

კაზუსი 32

ანამ და ნინომ დააფუძნა კს. ანასგან განსხვავებით ნინო მხოლოდ 2000 ლარის ფარგლებში კობრულობს საზოგადოების მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობას. საზოგადოების ხაწიხი ჭრუბის ფორმირებაში მათ გაითვალისწინეს და წესდებით დაადგინეს შესატანი და მისი ოღრბა.

კითხვა:

- რა ტიპის საზოგადოება დააფუძნა ანამ და ნინომ?
- როგორ განაწილდება მათ მიერ დაფუძნებულ საზოგადოებაში მოგება-ზარალი?

თავი 19

აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი.

ამ თავში ზოგადად განხილულია საქართველოში აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, აუდიტორული შემოწმების არსი, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენცია, ლიცენზიის მიღების, გამოცდების ჩატარების მოთხოვნები, აუდიტორული შემოწმების ხელშეკრულების საგანი, აუდიტორის უფლებები და მოვალეობები, ასევე შემოწმებელი საწარმოს ვალდებულებები და უფლებები.

1. საქართველოში აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

მსოფლიოს დღევანდელ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დამოუკიდებელი საფინანსო კონტროლის უზრუნველყოფის სისტემას. უმრავლესი მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად საფინანსო კონტროლის ეს სისტემა მოიცავს განხორციელებულ საფინანსო ოპერაციების სისწორის დადგენას ანუ მის შესაბამისობას მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან, საწარმოთა წლიური საფინანსო ანგარიშის (ბალანსის) მონაცემების შემოწმებასა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, აღრიცხვის, ფინანსებისა და სხვა სფეროში. აუდიტორულ ამ შემოწმებას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმები და დამოუკიდებელი ინდივიდუალური აუდიტორები.

საქართველოს კანონის “აუდიტორული საქმიანობის შესახებ” მე-2 მუხლის შესაბამისად აუდიტორული საქმიანობა მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას.

აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები საწარმოთა სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების, დაბეგვისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აუდიტორული მომსახურება მოიცავს ბუღალტრულ მომსახურებას, ექსპერტიზას და საკონსულტაციო მომსახურებას საფინანსო, დაბეგვისა და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა სფეროებში.

აუდიტორი ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმით შექმნილ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობითა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რომელშიც მოცემულია აუდიტორული შემოწმების ჩატარების ძირითადი პრინციპები და აუცილებელი პროცედურები, რომლებიც თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს შემოწმების პროცესში.

აუდიტორული შემოწმება (აუდიტი) ტარდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (საეკონომიკური აუდიტი), აგრეთვე საწარმოს ინიციატივით (საინიციატივო აუდიტი) სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიონ აუდიტორი (აუდიტური ფირმა) საწარმოს აუდიტორული შემოწმებისათვის. აუდიტორის შრომა ანაზღაურდება დადებული ხელშეკრულების შესაბამისად დამკვეთის ხარჯზე.

კანონით დადგენილია აუდიტორული შემოწმების სუბიექტები, რომლებსაც მიეკუთვნებიან აუდიტორული ფირმა ანუ საწარმო და ფიზიკური პირები ანუ ინდივიდუალური აუდიტორები, აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად ლიცენზიის საფუძველზე დასან აუდიტური ფირმის მეშვეობით.

აუდიტურ ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მასში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს. აუდიტორი ფირმა არის საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა. ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის რეგულირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 30 ივნისის №778-110 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და დამტკიცებელია მისი დებულება, რომლის თანახმად აუდიტორული საბჭოს კომპეტენცია და ფუნქციები განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით, რომლებიც აწესრიგებენ აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას.

აუდიტორული საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება;
- აუდიტორთა ატესტაციასათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება;
- აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის დებულების შემუშავება და დამტკიცება; აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლების) სისტემის შექმნა, აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება;
- აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- აუდიტორულ საქმიანობაზე სხვა სახელმწიფოთა მიერ გაცემული ღირებულების ლეგალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე;
- აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

დაკისრებული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით აუდიტორული საბჭო:

- შეიმუშავებს აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს, შეიმუშავებს და ამტკიცებს საქმიანობის სტანდარტებს, დებულებებს, მეთოდურ რეკომენდაციებს;
- ადგენს აუდიტორთა საატესტაციო მოთხოვნებს, აუდიტორული საქმიანობის განხორციელების ლიცენზირების წესებს;
- ორგანიზაციას უწევს აუდიტორთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას (კვალიფიკაციის ამაღლებას);
- აწყობს აუდიტორთა ატესტირებას, გასცემს აუდიტორთა სერთიფიკატებს და სააუდიტორო საქმიანობის ლიცენზიებს;
- საჭიროების შემთხვევაში აჩერებს მის მიერ გაცემული ლიცენზიების მოქმედებას ან შესაბამის სუბიექტებს ჩამოართმევს სერტიფიკატებს და ლიცენზიებს;
- მეთვალყურეობს აუდიტორული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- შესაბამისი ორგანოების წინაშე აღძრავს იმ სუბიექტების საქმიანობის შეჩერების საკითხს, რომლებიც აუდიტორული საქმიანობისას არღვევენ მოქმედ კანონმდებლობას;
- მჭიდროდ თანამშრომლობს აუდიტორთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ სამსახურებთან, ქვეყნისა და უცხოეთის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან.

აუდიტორთა ატესტაციის მიზნით აუდიტორული საბჭო აყალიბებს შემდეგ მუდმივმოქმედ საატესტაციო კომისიებს:

- საბანკო აუდიტისა;
- სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტისა;
- საბირჟო, არასაბირჟო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტისა;

- ზოგადი (სხვა ეკონომიკური სუბიექტების) აუდიტისა.

აუდიტორული საქმიანობის საბჭო ლიცენზიებს აძლევს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებმაც გაიარეს ატესტაცია, მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატი და აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე სახელმწიფო რეგისტრაცია გაკლავს იმ აუდიტორულ ორგანიზაციას (ფირმას), რომელშიც სულ ცოტა ერთი ლიცენზირებული აუდიტორი მინც მუშაობს.

ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებს სერტიფიკატი და ლიცენზიები ეძლევა შესაბამის საფასურად, რომლის ოდენობას განსაზღვრავს აუდიტორული საქმიანობის საბჭო საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შეთანხმებით.

აუდიტორული საბჭოს მართვის უმაღლესი ორგანოა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგია. კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარდგენით. კოლეგიის თავმჯდომარე იმავდროულად არის აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარე.

აუდიტორული საბჭოს საქმიანობას ოპერატიულად მართავს აუდიტორული საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილე.

“აუდიტორული საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად აუდიტორთა ატესტაციის /კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა/ ახდენს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ატესტაციაზე დაიშვებიან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური ეკონომიკური ან იურიდიული განათლების მქონე ფიზიკური პირები, რომელთაც აქვთ აუდიტორად, აუდიტური ფირმის სპეციალისტად, ბუღალტრად, ეკონომისტად, რევიზორად, იურისტად, საწარმოს ხელმძღვანელად, ეკონომიკური პროფილის მეცნიერ მუშაკად ან პედაგოგად მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის სტაჟი.

აუდიტორს ან აუდიტურ ფირმას შეუძლია მიიღოს ერთ ან რამდენიმე სფეროში აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია. აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების კონკრეტული პირობები განისაზღვრება სპეციალური დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის 2002 წლის 9 ოქტომბრის №1 დადგენილებით, რომლის თანახმად აუდიტური ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ მასში სულ ცოტა ერთი სერტიფიცირებული აუდიტორი მინც მუშაობს.

აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის მიღების მსურველი შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება განაზოციელოს ლიცენზიით განსაზღვრული აუდიტორული საქმიანობა, რომელიც მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას, ექსპერტიზას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას, ახორციელებს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის, საჯარო საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვის და სამეურნეო საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენას.

სხვა სახელმწიფოების აუდიტორ ფირმებზე ლიცენზია გაიცემა აუდიტორული საქმიანობის საბჭოში, მათი წყაროლობით მიმართვის და წარმოდგენილი დოკუმენტების ლეგალიზაციის საფუძველზე.

ლიცენზიით ნებადართული აუდიტორული საქმიანობის ქვემოთ ჩამოთვლილ სახეებზე ლიცენზიებს გასცემს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო ცალ-ცალკე:

- საბანკო აუდიტი;
- სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტი;
- საბირჟო, სახელმწიფო სპეციალური ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი;
- ზოგადი აუდიტი (სხვა ეკონომიკური სუბიექტების აუდიტი).

ლიცენზიის გამცემი ორგანო საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო უფლებამოსილია:

- გასცეს ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე და აწარმოოს უწყებრივი რეესტრი;

- კანონით დადგენილი წესით შეაჩეროს ან გააუქმოს ლიცენზია საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივი კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად;
- აუნობოს საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის შემადგენელ ორგანოს ლიცენზიის გაცემის, შერეების ან გაუქმების შესახებ;
- გამოაქვეყნოს ინფორმაცია ლიცენზიის გაცემის, შერეების ან გაუქმების შესახებ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". კანონმდებლობით დადგენილია, რომ ლიცენზია გაიცემა 5 წლამდე ვადით. ამასთან ლიცენზიის გადაცემა სხვა პირისათვის აკრძალულია.

ლიცენზიის მიღების საფუძველია ლიცენზიის მძიებლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ფიზიკური პირის სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიას, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს, სერტიფიკატის ნომერს, საქმიანობის სფეროს, აუდიტორული ორგანიზაციის საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს). წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და გვარს, სერტიფიცირებული აუდიტორის მინაცემებს.

ლიცენზიის მფლობელის, მისი საფირმო სახელწოდების (გვარი, სახელი), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ადგილსამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის გამცემ ორგანოს წერილობით აცნობოს ამის შესახებ და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

აუდიტორული საქმიანობის საბჭო ვალდებულია ლიცენზიის მძიებლის ამ დებულებით გათვალისწინებული წესით წარმოდგენილი საბუთი განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება წარადგინის 30 დღის განმავლობაში, რომლის შედეგების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას:

- ლიცენზიის გაცემის შესახებ
- ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ

ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული და განსაზღვრავდეს ლიცენზიაზე უარის თქმის საფუძველს. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მძიებელს არ გაეცხვანება შეტყობინება ლიცენზიის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ 30 დღის განმავლობაში, ლიცენზიის მძიებელს უფლება აქვს შეუდგეს ლიცენზიის მისაღებ განცხადებაში აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას ამ ვადის გასვლისთანავე.

ლიცენზიის გამცემ ორგანოს-აუდიტორული საქმიანობის საბჭოს შეუძლია ლიცენზიის გაცემაზე უარი თქვას, თუ:

- წარმოდგენილი საბუთი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს;
- ლიცენზიის მძიებელი ითხოვს ლიცენზიას იმ საქმიანობაზე, რომელზეც მს გაუქმდა ლიცენზია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
- ლიცენზიის მძიებელს შერეებული აქვს ლიცენზია და არა აქვს აღმოფხვრილი ლიცენზიის შერეების საფუძველი.

დაუშვებელია ლიცენზიაზე უარის თქმა ლიცენზიების გაცემის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით. ლიცენზიის გამცემი აუდიტორული საქმიანობის საბჭო ლიცენზიის დუბლიკატს გასცემს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიმართავს სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს რეესტრში შესაძლო ცვლილებების შეტანის შესახებ.

ლიცენზიის გაცემის თაობაზე სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილება ლიცენზიის ასლის გაცემის შესახებ, ლიცენზიის მოწმობის ასლს გააჩნია ისეთივე ფურილიუალი ძალა, როგორც ლიცენზიის დედანს. ლიცენზიის გაცემისას, ისევე როგორც ლიცენზიის დუბლიკატის გაცემისას, ლიცენზიის მძიებელი და ლიცენზიის მფლობელი იხილის სალიცენზიო მოსაყრებელს.

გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შერეების ან გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მის მფლობელს ლიცენზიის შერეების ან გაუქმების მოტივისა და საფუძვლის მითითებით,

აღინიშნება სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში და გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდება ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება ნიშნავს ლიცენზიის ნებადართული აუდიტორული საქმიანობის განხორციელების აკრძალვას ლიცენზიის განახლებამდე.

ლიცენზიის მოქმედების განახლების შესახებ გადაწყვეტილება შეიტანება როგორც უწყებრივ, ისე სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში და ქვეყნდება ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილებით აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) შეიძლება ჩამოერთვას აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონის საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

- აუდიტის დაბალ დონეზე ჩატარების რამდენიმე ფაქტის დადგენისას;
- აუდიტის ჩატარებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორული ეთიკის მოთხოვნების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების განზრახ დარღვევის დროს;
- თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა მის მასალებში აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ უსწორი მონაცემების წარდგენის ფაქტი;

ლიცენზიის გამცემი ვალდებულია, ადმინისტრაციული პირის განცხადების საფუძველზე, განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან დაიწიოს ადმინისტრაციული წარმოება და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ 3 დღის ვადაში. სალიცენზიო მოწმობა ლიცენზიის მფლობელს უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში.

გარდა აღნიშნულისა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის 2002 წლის 9 ოქტომბრის №2 დადგენილებით დამტკიცებულია აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლების მოსაპოვებელი საკვალიფიკაციო გამოცდების (სერტიფიცირების) ჩატარების დებულება, რომლის თანახმად ატესტაცია (სერტიფიცირება) ნიშნავს, რომ განსაზღვრული მომენტისათვის აუდიტორული საქმიანობის წარმოებით დაინტერესებული პირი (საქმავომში – პრეტენდენტი) შეესაბამება იმ სასერტიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია მათი საქმიანობისათვის. პრეტენდენტის ატესტაცია (სერტიფიცირება) ხდება აუდიტორული საქმიანობის სფეროში მათი კომპეტენტურობის დადასტურების მიზნით.

დებულებით დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს საბანკო, სადაზღვევო ორგანიზაციათა, საბირო, საკვალიფიკაციო სახელმწიფო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების და ზოგადი (სხვა სამეურნეო სუბიექტთა) აუდიტის საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარების უფლების მოპოვებას. ატესტაციაზე დაიშვება უმაღლესი ან საშუალო საკვალიფიკაციო ეკონომიკური ან იურიდიული განათლების მქონე ფიზიკური პირები, რომელთაც აქვთ აუდიტორად, აუდიტური ფირმის საკვალიფიკატად, ბუღალტრად, ეკონომისტად, რევიზორად, იურისტად, საწარმოს ხელმძღვანელად, ეკონომიკური პროფილის მეცნიერ-მუშაკად ან პედაგოგად მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის სტაჟი.

საატესტაციო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში პირი იღებს საკვალიფიკაციო სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება სამი წლით. საკვალიფიკაციო საგამოცდო დისციპლინებია:

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- აუდიტი;
- საგადასახადო კანონმდებლობა;
- კერძო სამართალი.

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზაციის, ჩატარების და შედეგების დამტკიცებისათვის ქმნის საკვალიფიკაციო კომისიას (შემდეგი-კომისია) და ამტკიცებს კომისიის პერსონალურ შემადგენლობას. კომისიას ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც საბჭოს 10 დღით ადრე წარუდგენს კომისიის შემადგენლობას. კომისიის შემადგელობა უნდა იყოს კომპეტენტუ-

რი იმისათვის, რომ შემოწმდეს პრეტენდენტის ცოდნა დისციპლინის მიხედვით. კომისიის უფლებამოსილება წყდება გამოცდების შესახებ ანგარიშგების ჩაბარების შემდეგ. დებულებით აგრეთვე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების წესი.

საკონტროლო კითხვები:

1. აუდიტორული საქმიანობისა და აუდიტორული შემოწმების ცნება;
2. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენცია;
3. აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების წესი;
4. საატესტაციო გამოცდების ჩატარების ზოგადი მოთხოვნები.

2. აუდიტორული შემოწმების ჩატარების ზოგადი წესი

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტორისა (აუდიტორული ფირმისა) და დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულებით. ამასთან ერთად, კანონი ადგენს, რომ აუდიტორსა (აუდიტორულ ფირმას) და დამკვეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორის საგანი და შესრულების ვადები. აუდიტორული მომსახურების მოცულობა, ანაზღაურების ოდენობა და პირობები. მხარეთა პასუხისმგებლობა და სხვა საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს აუდიტორული შემოწმების სრულად და ობიექტურად ჩატარებას, და ამავე დროს დაცული იქნება ამ აუდიტორული საქმიანობის მონაწილეთა უფლებები.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის შემოწმება, მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ასევე მატერიალური და ფულადი საშუალებების დაცულობის ხარისხის შეფასება. ხელშეკრულების ამ საგნის შესასრულებლად აუდიტორი ვალდებულია შეისწავლოს და გაარკვიოს საწარმოს წესდებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრეავენ საწარმოში ორგანიზაციულ ურთიერთობებს, მისი საფინანსო საქმიანობის ნაწილში. დეტალურად შესწავლისა და ანალიზის საგანია აგრეთვე:

- საწესდებო კაპიტალის საბალანსო მონაცემების რეალობა, მისი ფორმირება და სისწორე;
- ბუღალტრული რეესტრების, ბრუნვათა ბალანსის, ფულადი სახსრებისა და დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ანგარიშგების ბლანკების, საბანკო ანგარიშსწორების მდგომარეობა, საკრედიტო რესურსების არსებობა და გამოყენება;
- მასალების, ქონების ინვენტარიზაცია, მათ შორის მცირეფასიანი და სწრაფცვლიანი საგნები, ასევე ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რემონტზე გაწეული კაპიტალური დამანდები და დანახარჯები.
- შიდა კონტროლის ორგანიზაცია, წინა პერიოდის საგადასახადო ინსპექციის, სხვა მაკონტროლებელი ორგანოების აქტები და აუდიტორული დასკვნები.

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია აგრეთვე ხელშეკრულების საგნის გაფართოება და დაკონკრეტება შესრულების ვადების დადგენით. ამავე დროს ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს დამკვეთის ვალდებულებას ჩაატაროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაცია და უზრუნველყოს საბოლოო შედეგების გამოყენება, წარმოადგინოს სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი დოკუმენტაცია და საწარმოს ანგარიშგება და ასევე თანამდებობის პირებისა და სხვა თანამშრომლების ახსნა-განმარტებები და ცნობები.

ხელშეკრულებაში აგრეთვე უნდა განისაზღვროს ჩასატარებელ სამუშაოთა ღირებულება, ანგარიშსწორების წესი, შესრულებული სამუშაოს მიღებისა და ჩაბარების შექანიზმი. მხარეთა პასუხისმგებლობის სა-

კითხი ვალდებულების შესრულებლობის ან არასათანადო დონეზე შესრულების შემთხვევაში, ასევე აუდიტორულ დასკვნაში არასწორი მონაცემების შეტანისათვის და სამუშაოს დაგვიანებით შესრულებისათვის. ამავე დროს ხელშეკრულებით უნდა დადგინდეს, რომ ყველა დავა და უთანხმოება, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, მიუღწევლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან ერთად კანონით დადგენილია, რომ ხელშეკრულების საგანი და პირობები კონფიდენციალური ინფორმაციაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მხარეთა ვალდებულება საიდუმლოდ შეინახონ ხელშეკრულების არსებობა და შინაარსი, არ გაუშვებონ ინფორმაცია მესამე მხარეს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საყოველთაოდ მისაწვდომი საჯარო ინფორმაციის გამოკლებით.

ხელშეკრულებაში აგრეთვე ითვალისწინებენ სამუშაოების შეჩერების საკითხს ფორს-მაჟორული მდგომარეობების (საზოგადოებრივი უწყსრულობა, საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, სტიქიური და სხვა ექსტრემალური პირობები) დადგომისას, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებაში. ამის შესახებ ეცნობება მხარეებს მათი ერთობლივი გადაწყვეტილებებით. შესაძლოა სამუშაოების შესრულების დროებით შეჩერება და გადადება ერთსაყრელი მომენტის დადგომამდე.

ამასთან ერთად კანონი ითვალისწინებს, რომ კონსულტაციების სახით აუდიტორული მომსახურების გაწევა შეიძლება ხელშეკრულების, დამკვეთის მიერ აუდიტორისადმი (აუდიტორული ფირმისადმი) წერილობითი ან ზეპირი მიმართვის საფუძველზე. ამ სახის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, ხელშეკრულებით ან წერილით, ასევე ზეპირი შეთანხმებით უნდა განისაზღვროს მხარეთა ვალდებულებები, რომელიც უნდა დაკონკრეტდეს იმის მიხედვით, თუ რა მიზანს სახავს აუდიტორულ შემოწმებები, საწარმოს რომელი მიმართულება ექვემდებარება ექსპერტიზას, რა ფორმით და მოცულობით იქნება წარმოდგენილი საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, საწარმოს სხვა დოკუმენტაცია, რომელთა უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობას. ურთიერთშეთანხმებით ღვინდება სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები, ასევე შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ანაზღაურების საკითხები.

გარდა ფინანსური ანგარიშგებისა, აუდიტის საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს საწარმოს მთლიანი ასპექტების აუდიტორული შემოწმება, ან ცალკეული ისეთი მიმართულებებისა, როგორიცაა პერსონალის მუშაობის მეთოდი, საწარმოში არსებული ნაკლოვანებების გაანალიზება, ეკონომიკური დისციპლინის დარღვევის გამოვლენა და სხვა პროცესები, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენენ საწარმოს საბოლოო შედეგებზე. ამ სახის აუდიტორული შემოწმებების მთავარი მიზანია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული მიმართულებების ჩამოყალიბება.

დღეისათვის ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს საწარმოთა ნებაყოფლობით და სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას. ამასთან, სამეურნეო სუბიექტს უფლება აქვს ამირჩიოს აუდიტორი (აუდიტორული ფირმა), რომელიც დამოუკიდებელი არიან თავიანთი დამკვეთისაგან, აგრეთვე მხარისაგან, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე იმ აუდიტორული ფირმის შესაკუთრებისა და ხელმძღვანელებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ.

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია აუდიტორული საქმიანობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი. ამ კანონის მე-19 მუხლის თანახმად აუდიტორებს (აუდიტორულ ფირმებს) უფლება აქვთ:

- მოქმედი კანონმდებლობის, სტანდარტების, ნორმების, დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების პირობების, პროცესული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვრონ აუდიტის ფორმები და მეთოდები;
- მიიღონ დამკვეთის ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს. ასეთი დოკუმენტების მქონე მესამე პირები ვალდებული არიან წარუდგინონ ისინი აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) დამკვეთის მიერ დამოწმებული მოთხოვნის შესაბამისად;
- მიიღონ აუდიტის საგანზე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით დამკვეთის ხელმძღვანელებისა და მუშაკებისაგან;

- შეამოწმონ სრული მოცულობით სამეურნეო სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტაცია, არსებული ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ფასეულობანი, მოითხოვონ სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისაგან საკონტროლო გაზომვის, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის და სხვა საბუთაობების მოწოდება;
- მიიწვიონ ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად.

კანონით ასევე დადგენილია აუდიტორების (აუდიტორული ფირმების) მოვალეობები, ისინი ვალდებული არიან:

- აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას განუხრებლად დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, დებულებები და ნორმატიული აქტები;
- კვალიფიციურად მოაწვიონ აუდიტორული მომსახურება, შეამოწმონ დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა, მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგინდ ნორმატივებთან;
- აცნობონ დამკვეთს, აგრეთვე სათანადო მიმართვის შემთხვევაში შესაკუთრებს, მათ რწმუნებულებს აუდიტის ჩატარებისას ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები;
- საიდუმლოდ შეინახონ აუდიტორული მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაურონ კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გამოიყენონ ისინი თავიანთი ან მესამე პირის ინტერესებისათვის;
- არ დაუშვან თავისი და მესამე პირების საქმიანი თვისებების რეკლამირება.

ამავე დროს კანონმდებლობით დადგენილია, რომ აუდიტორული შემოწმების ჩატარება ეკრძალება:

- აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი საწარმოს რომელიმე ხელმძღვანელის ახლო ნათესავები არიან;
- აუდიტორებს, რომლებსაც შესამოწმებელ საწარმოსთან აკავშირებთ პირადი ქონებრივი ინტერესები;
- აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი საწარმოს მუშაკები, მესაკუთრეები, დამფუძნებლები ან ხელმძღვანელობის წევრები არიან;
- აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი საწარმოს შვილობილი საზოგადოების, ფილიალების ან წარმომადგენლობის მუშაკები ან თანამესაკუთრენი არიან.

ამასთან ერთად კანონი ადგენს შესამოწმებელი საწარმოს ხელმძღვანელების მოვალეობებს, ისინი ვალდებული არიან:

- აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) გადასცენ აუდიტის ჩასატარებლად საჭირო მთელი დოკუმენტაცია, აუდიტის მოთხოვნისთანავე მისცენ ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით აუდიტის საგანთან დაკავშირებით, შეუკმნან აუდიტორს აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო პირობები;
- ოპერატიულად აღმოფხვრან აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები;

კანონმდებლობით დადგენილია, რომ საწარმოები, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება საყალბეებულო აუდიტორულ შემოწმებას, ვალდებული არიან საანგარიშო წლის 31 დეკემბრამდე შეატყობინონ საგადასახადო ინსპექციას აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების დადების შესახებ. აუდიტორული დასკვნა საგადასახადო ინსპექციას ჩაბარდება წლიურ ანგარიშთან ერთად. სპეციალური სახელშეიფო ფონდებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სხვა სუბიექტების აუდიტორული დასკვნები უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

კანონით აგრეთვე დადგენილია აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) პასუხისმგებლობის საკითხი. აუდიტორს (აუდიტურ ფირმას), რომელიც სათანადოდ არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, ქონებრივი და სხვა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მის მიზეზით დამკვეთისადმი ფაქტობრივად მიყენებული ზარალის ოდენობას.

კანონში ასევე მითითებულია, რომ აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულება ფორმდება აუდიტორული დასკვნის მიღებ-ჩაბარების აქტით. ამასთან აუდიტორული დასკვნა დგება შესაბამისი ფორმით და მოწმდება აუდიტორის ხელმოწერით.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე უნდა მოიცავდეს ნათლად და მკაფიოდ გამოხატულ მოსაზრებას, არგუმენტებსა და ანალიზს მთლიანი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ამასთან აუდიტორული დასკვნა დგება შემდეგი თანმიმდევრობით:

- შესავალი, სადაც აღინიშნება აუდიტორის დასახელება, ლიცენზიის ნომრები, შესამოწმებელი საწარმოს დასახელება, ხელშეკრულების თარიღი და ნომრები;
- აუდიტის სახე და საგანი;
- აღწერილობითი ნაწილი მოიცავს წარმოდგენილ დოკუმენტებისა და სხვა გარემოებების შეფასებას, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოვლენილი ნაკლოვანებების მტკიცებულებებით დასაბუთებას;
- სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება საწარმოში არსებული მდგომარეობა და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები.

საკონტროლო კითხვები:

1. აუდიტორული შემოწმების ხელშეკრულების არსი;
2. აუდიტორების უფლებები და მოვალეობები;
3. შესამოწმებელი საწარმოს ვალდებულებები.

თავი 20

სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივი რეგულირება

სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივი რეგულირების კუთხით, ამ თავში განხილულია:

- სახელმწიფო შესყიდვა, როგორც სამართალურთიერთობის ახალი ფორმა.
- სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირების შესახებ მიღებული კანონმდებლობა.
- კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“.
- სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივი რეგულირების შესახებ მიღებული კანონმდებლობა.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“.

1. სახელმწიფო შესყიდვა, როგორც სამართალურთიერთობის ახალი ფორმა.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვა წარმოადგენს სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი სახის საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვას, რომელთა დაფინანსება ხორციელდება:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საცესასხრებით;
- უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დახმარებისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით;
- სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტებით;
- სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება შემდეგი ნორმატიული აქტებით:

- ✓ 1998 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის იელისიდან;

- ✓ 1999 წლის აგვისტოში დამტკიცდა დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“;
- ✓ 2001 წლის მარტში კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები. ამ ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი გამოეყო სამინისტროს და რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ;
- ✓ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 5 ივნისის №223 და №224 ბრძანებულებებით დამტკიცდა სააგენტოსა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს დებულებები. საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებით დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭოს პირველი შემადგენლობა და სააგენტოს თავმჯდომარე;
- ✓ სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებით დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება და მისი დოკუმენტების დანართები.
- ✓ 1999 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების თანახმად, ყველა შემოსილველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ✓ რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში – კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით;
- ✓ შესყიდვები განახორციელოს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და შესაბამისი ფორმით წარუდგინოს სააგენტოს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები;
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ, არა უგვიანეს 20 დღის ვადისა, დაამტკიცოს სახელმწიფო შესყიდვების დაზუსტებული გეგმა და წარუდგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
- ✓ თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 5000 ლარს სახელმწიფო შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების დასრულებისთანავე აცნობოს შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
- ✓ ყოველი საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ სათანადო ფორმით შეადგინოს წლიური ანგარიში გასულ წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და წარუდგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არა უგვიანეს მომდევნო წლის 1 თებერვლისა;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ყოველთვიურად მიაწოდოს სტატისტიკური ანგარიში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ადებულებით „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემდეგი საშუალებებია:

- ღია ტენდერი;
- დახურული ტენდერი;
- ერთ პირთან მოლაპარაკება.

კითხვები:

1. რას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვა?
2. როგორია სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყაროები?
3. რა ნორმატიული მასალა არსებობს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში?
4. რა ვალდებულებები გააჩნიათ შემსყიდველ ორგანიზაციებს?
5. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების რა საშუალებები არსებობს?

2. სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში.

სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივ საკითხებს საქართველოში არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გაეოკრების საქმეთა წარმოების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“;
- საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროცესში „ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულების ინდექსირების შესახებ“;
- საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროცესის დროს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემის წესის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და მართვის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და უწყებების, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბალანსზე რიცხული და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემული უძრავი ქონების აღრიცხვიანობის მოწესრიგების აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“;

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული მუერნობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების 2002-2005 წლების ერთიანი გეგმის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული მუერნობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების 2002-2005 წლების ერთიანი გეგმა“;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოსათვის განსაკუთრებული და სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტების პრივატიზების თაბაზე“.

საქართველოს კანონით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ სახელმწიფო ქონების პრივატიზება ზორციელება:

- საქართველოს კონსტიტუციის;
- სამოქალაქო კოდექსის;
- სხვა ნორმატიული მასალის საფუძველზე.

აღნიშნული კანონით განსაზღვრულია სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელებისა და მართვის ორგანო.

ამვე კანონით სახელმწიფო ქონებიდან პრივატიზებას არ ექვემდებარება:

- წიაღისეული, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შეღფი, განსაკუთრებული ეკონომიკური და სასაზღვრო ზონა, ტყის ფონდი, საპაერო სიერცე, დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები;
- დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული, მხატვრულ ფასეულობათა და მასთან გათანაბრებული ობიექტები;
- სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;
- ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები და ინსტიტუტები, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს;
- საერო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, პიდროტექნიკური ნაგებობები, შუქურები, შუქნიშნები და აკვატორია;
- სახელმწიფო მნიშვნელობის რკინიგზა, გაზის მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო გზები, თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები და ასაფრენ-დასაფრენი ზოლები;
- საქართველოს სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლოების, სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და დაზვერვის დეპარტამენტის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშუალო და სარეზერვო ქონება;
- სიხშირეთა სპექტრი, საფოსტო კავშირი, სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის I არხის ტექნიკური საშუალებები და საანტენო-საფიდერო მოწყობილობები, სამთავრობო კავშირის ტექნიკური საშუალებები და საქართველოს პოზიცია გეოსტაციონალურ ორბიტაზე;
- საწარმოები, რომლებიც ამზადებენ სამხედრო დანიშნულებისა და რადიოაქტიურ მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორული და სამეცნიერო დაწესებულებების ქონება;
- სახელმწიფო სასაფლაოები და პანთონები;
- სახელმწიფო წყალსადენისა და საკანალიზაციო მუერნობის ერთიანი სისტემა;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;
- სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები;

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მიხედვით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ფორმებია:

- კონკურსით;
- აუქციონით;
- იჯარა-გამოსყიდვით;
- პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვა.

პრივატიზებასთან დაკავშირებული სადავო და ბათილად ცნობის საკითხები განიხილება სასამართლოში, რომლის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

კითხვები:

1. რა სახის კანონმდებლობა არსებობს სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზების სამართლებრივი რეგულირების შესახებ?
2. რას არეგულებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“?
3. რა არ ექვემდებარება სახელმწიფო ქონებიდან პრივატიზებას?
4. სახელმწიფო ქონების პრივატიზების რა და რა ფორმები არსებობს?
5. როგორია ხანდაზმულობის ვადა სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ?